სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი

Аҟәатәи аҳәынҭқарратә университет
Аҧсуа бызшәеи культуреи ринститут

თეიმურაზ გვანცელაძე
Ҭеимураз Гванцелазе

აფხაზური ენა

სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება

Аҧсуа бызшәа

Еилазаашьа, атоурых, ахрархәара

გამომცემლობა „უნივერსალი“
Ашәкәытыжьырта “Универсал”
თბილისი
Қарҭ
2011

მონოგრაფიაში თანამედროვე თვალთახედვით განხილულია აფხაზური ენის ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა, გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის სინქრონული და ისტორიულ-შედარებითი კვლევის, აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა ისტორიის, აფხაზურ-ქართველურ ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა, აგრეთვე აფხაზური ენის ფუნქციონირების აქტუალური საკითხები. ახალი ემპირიული მასალის, ან ადრე სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული ენობრივი ფაქტების ახლებური ანალიზის გზით გამყარებულია უკვე ცნობილი სამეცნიერო თვალსაზრისების ნაწილი, ან გამოთქმულია სრულიად ახალი დებულებები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისა და ლინგვისტური საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ნაშრომი დაიბეჭდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებით.

რედაქტორი: † აკად. ქეთევან ლომთათიძე

რეცენზენტები: პროფ. მანანა ტაბიძე
თამარ გითოლენდია
სოფიკო ჭაავა

© თ. გვანცელაძე, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი", 2011
თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-423-0

ვუძღვნი მამის **იონა გვანცელაძისა** და
ჩემი აფხაზი მორდუს **სივარნა წვიჯბას**
ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

აფხაზური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ერთ-ერთი ყველაზე უკეთ გამოკვლეული ენაა, რაც აფხაზ, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ღვაწლების დამსახურებაა, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს კავკასიოლოგს, აკადემიკოს **ქეთევან ლომთათიძეს**. მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, აფხაზური ენის მეცნიერული კვლევის საქმეში "სამკალი ფრიად არს". თქმული ეხება, ერთი მხრივ, იმ საკითხებს, რომელთა შესწავლა ან საერთოდ იყო აკრძალული საბჭოთა პერიოდში, ან შუქდებოდა ცალმხრივად (სოციოლინგვისტური პრობლემების დიდი ნაწილი, აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ამსახველი ენობრივი საკითხები...), მეორე მხრივ კი არსებობს პრობლემათა მთელი წყება, რომლებიც არასოდეს გამხდარა მეცნიერული ანალიზის ობიექტი.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის მიერ 1970 წელს დაწყებული კვლევის ძირითად შედეგთა ის ნაწილი, რაც ან არასოდეს დაბეჭდილა, ან ადრე იყო გამოქვეყნებული, მაგრამ შემდგომში გადაისინჯა ჩვენ მიერ ახლებური პოზიციიდან ამოსვლით. კერძოდ, წიგნში თანამედროვე თვალთახედვით განხილულია აფხაზური ენის ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა, გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის სინქრონული და ისტორიულ-შედარებითი კვლევის, აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა ისტორიის, აფხაზურ-ქართველურ ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა, აგრეთვე აფხაზური ენის ფუნქციონირების აქტუალური საკითხები. განსა-

კუთრებული ყურადღება ექცევა აფხაზური ენის სხვადასხვა მეტყველების ნაწილების მორფოლოგიურ მოდელირებასა და ენობრივ ფაქტთა დათარიღების საკითხებს, რაც აქტუალურია ახალდამწერლობიანი ენის ისტორიის აღდგენის თვალსაზრისით. ენობრივ ფაქტთა დათარიღებისას ჩვენ ვემყარებით აწ უკვე საბოლოოდ დამტკიცებულ ისტორიოგრაფიულ დებულებას, რომლის თანახმადაც, თანამედროვე აფხაზთა წინაპრები XVI საუკუნემდე ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და ამ პერიოდიდან დაიწყეს კავკასიონის გადმოღმა დასახლება.

წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრს, ქალბატონ დალი ხომერიკს, მინისტრის მოადგილეებს, ბატონ ალექსანდრე აპლაკოვსა და ბატონ ბესარიონ ოდიშარიას.

თავი I

აფხაზი ხალხისა და აფხაზური ენის გენეზისის საკითხები

§ 1. აფხაზური ენის ადგილი მონათესავე ენათა შორის და აფხაზურ-ადიღური ეთნოსთა დივერგენციის პრობლემა

ის ეთნოსი, რომელიც ამჟამად თავის დედაენაზე საკუთარ ეთნიკურ ვინაობას **აფსუა** სახელით აღნიშნავს, გვიანდელი შუა საუკუნეების ქართული ტრადიციის მიხედვით აღინიშნება **აფხაზის** სახელწოდებით (იხ. "ქართლის ცხოვრების" დამატებანი, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვათა ცნობები).

აფხაზებთან ენობრივ-ეთნიკური ნიშნებით ყველაზე ახლოს დგანან **აბაზები** (მხ. რ. აბაზა), რომლებიც ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში, აფხაზეთისა და სვანეთის გადაღმა, მდინარე ყუბანის ხეობაში გაფანტვით მდებარე 13 სოფელში სახლობენ (რუსეთის ფედერაციის ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკა).

აფხაზთა ახლომონათესავე **უბიხები** 1864 წლამდე ცხოვრობდნენ ქ. სოჭისა და ადლერის მიმდებარე ზოლში. ეს ხალხი მთლიანად გადასახლდა ოსმალეთში, სადაც დაკარგა დედაენა და შეერია თურქებსა და კავკასიელ მუჰაჯირებს.

აფხაზთა ახლომონათესავენი არიან აგრეთვე **ჩერქეზების** ზოგადი სახელით ცნობილი **ადიღელები** (ადიღეს რესპუბლიკაში) და **ყაბარდოელები** (ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში).

აფხაზური ენა შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჩრდილო-დასავლურ, ანუ აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში აბაზურ, უბიხურ, ადიღურ და ყაბარდოულ „ენებთან" ერთად. რეალურად აფხაზური და აბაზური არ არის ერთმანეთისაგან იმდენად დაშორებული მეტყველებანი, რომ მათ დამოუკიდებე-

ლი ენები ეწოდოს და თუ უწოდებენ, ამისი მიზეზი ექსტრალინგვისტური ფაქტორებია: აფხაზები და აბაზები უკვე რამდენიმე საუკუნეა ერთმანეთისაგან განცალკევებით სახლობენ და ჩამოუყალიბდათ დამოუკიდებელი ეთნიკური იდენტობა[1], აფხაზურ და აბაზურ მეტყველებათა შორის ისეთივე დაცილების ხარისხია, როგორც ქართული ენის გურულ და კახურ კილოებს შორის გვაქვს. ასევე ახლოს დგანან ერთმანეთთან ადიღეური და ყაბარდოული.

ამიტომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლური ჯგუფის დახასიათებისას უფრო მართებული იქნებოდა, გვესაუბრა არა ამ ჯგუფში შემავალი 5 ენობრივი ერთეულის, არამედ 3 ენის არსებობის შესახებ. ეს ენებია:

1. აფხაზურ-აბაზური ენა;
2. უბიხური ენა;
3. ჩერქეზული (ადიღეურ-ყაბარდოული) ენა.

სამივე ეს ენა მომდინარეობს წინარეიბერიულ-კავკასიური ენის დაშლის შედეგად წარმოქმნილი **წინარეაფხაზურ-ადიღური ენისაგან, რომელსაც, ჩვენი ვარაუდით, უნდა ეარსებნა ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან ახ. წ. დასაწყისამდე და ამ დროს უნდა დაშლილიყო ამჟამად არსებულ 3 ენად.** სხვაგვარად შეუძლებელი ჩანს იმ სტრუქტურული და მატერიალური სიახლოვის ახსნა, რაც თვალნათლივ შეინიშნება აფხაზურ-

---

[1] ნიშანდობლივია, რომ აფხაზურ-აბაზური ენის უდიდესი მკვლევარი, აკად. ქ. ლომთათიძე 1954 წლამდე გამოცემულ არცერთ ნაშრომში ცალკე ენად არ ასახელებდა აბაზურს და ტაპანთურ-აშხარულ მეტყველებებს აფხაზური ენის დიალექტებს უწოდებდა. მაგალითად, 1954 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში მკვლევარი აცხადებდა: "ყველაზე განსხვავებული დიალექტიც კი – ტაპანთური დიალექტი – არ ქცეულა აფხაზურისაგან განსხვავებულ ენად თავისი ენობრივი საფუძვლის მიხედვით..". იხ. ქ. ლომთათიძე. აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ). თბ., 1954, გვ. IX. ქვემოთ ჩვენ ანგარიშს ვუწევთ დამკვიდრებულ ტრადიციას და ხშირად ვიყენებთ ტერმინებს "აფხაზური ენა" და "აბაზური ენა", თუმცა მიგვაჩნია, რომ შესაბამისი ერთეულები ერთი და იმავე ენის ნაირსახეობებია. ამ ორ მეტყველებას ასევე ერთ ენად განიხილავენ აფხაზი ავტორებიც. იხ.: http://www.abyzshwa.narod.ru/bzybazwa.htm

აბაზურ, უბიხურ და ჩერქეზულ ენებს შორის.

ამ მოსაზრების დამადასტურებლად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ სწორედ წელთაღრიცხვათა მიჯნის ახლო ხანებში იწყება **ბრუნების** (უბიხთა წინაპრების), **ზიხებისა** და **კერკეტების** (ჩერქეზთა წინაპრების) ხსენება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. როგორც ახლებურმა გამოკვლევებმა აჩვენა, ამავე ეპოქაში, ძვ. წ. I ათასწლეულში უნდა ეარსება ამჟამინდელ ქართველურ ენა-კილოთა წინაპარს, საერთოქართველურ ენასაც[2].

ბუნებრივია, ამ კონტექსტში წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად სად ბინადრობდნენ ამჟამინდელ აფხაზ-აბაზათა, უბიხთა და ჩერქეზთა საერთო წინაპრები, ანუ წინარეაფხაზურ-ადიღურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა. რაკი, როგორც ირკვევა, წინარეაფხაზურ-ადიღურ ენაზე თუ თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ, ან ჩერქეზულ ენებზე მოლაპარაკეთა ბინადრობა დასავლეთ საქართველოში **ვერ მტკიცდება** ვერც წერილობითი წყაროებისა და ვერც ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე[3], ამიტომ ლოგიკურია, მათი თავდაპირველი საცხოვრისი ეძებოთ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზიდან მდინარე თერგის ნაპირებამდე მდებარე ტერიტორიაზე, ანუ ამჟამინდელი კრასნოდარის მხარის ნაწილში, ადიღეს, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის მიწა-წყალზე, აგრეთვე სტავროპოლის მხარის სამხრეთ ნაწილში. ეს ის ტერიტორიაა, სადაც შუა საუკუნეების ისტორიული

---

[2] ტ. ფუტკარაძე. ქართველები. ნაწილი I. ქრისტიანობამდელი ეპოქა. ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები. ქუთაისი, 2005, გვ. 238.

[3] მიგვაჩნია, რომ ვარაუდი დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, გურიაში, აჭარაში, იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმში) აფხაზ-აბაზათა, ჩერქეზთა და უბიხთა წინაპრების ქართველებამდე ბინადრობის შესახებ ვერ უძლებს კრიტიკას. რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში აფხაზურ-ადიღური ფენა "გამოელენილია" ლინგვისტური ანალიზის მეთოდიკის იგნორირებით: "დგინდება" სიტყვის ერთი კომპონენტის "აფხაზურობა", ან "ჩერქეზულობა", მაგრამ დაუდგენელი რჩება იმავე სიტყვის სხვა სეგმენტთა რაობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვის ეტიმოლოგია ვერ გაირკვა და ამის საფუძველზე შორეული ისტორიულ-ეთნოლოგიური დასკვნების გამოტანა ნაჩქარევია.

წყაროები ტრადიციულად მიუთითებენ უბიხთა, ჩერქეზთა და, რაც მთავარია, აფხაზ-აბაზათა ბინადრობას და სადაც დღემდე ცხოვრობენ აბაზები და ჩერქეზები (1864 წლამდე – უბიხებიც).

საყურადღებოა, რომ **აფხაზი ხალხი ერთადერთია აფხაზურ-ადიღური მოდგმის ეთნოსთაგან, რომელიც სამხრეთ კავკასიაშია წარმოდგენილი,** დანარჩენები კი (მათთან ყველაზე ახლოს მდგომი აბაზების ჩათვლით) რეალურად ბინადრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, რასაც უამრავი წყარო ადასტურებს.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე **ძვ. წ. არცერთ წერილობით წყაროში არ იხსენიებიან არც აფხაზები, არც აბაზები, არც უბიხები და არც ჩერქეზები,** სამაგიეროდ აქ სახელდებიან კოლხების უეჭველად ქართველური ტომები[4], აქვე ძველთაგანვე დასტურდება ასევე ქართველური წარმოშობის გეოგრაფიული სახელებიც.

მაინც სად უნდა გამოცალკევებულიყვნენ აფხაზ-აბაზათა საერთო წინაპრები წინარეაფხაზურ-ადიღური ეთნოსისაგან?

ვფიქრობთ, ამ საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ იმ ნაწილს, რომელშიც გადმოცემულია კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ეთნარქ-ეპონიმების განსახლების სქემა. ამ სქემასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ **ლეონტი მროველი საერთოდ არ იყენებს ტერმინებს „აფხაზი“ და „აფხაზეთი“,** რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ქართული წყაროები საერთოდ არ იცნობენ "აბაზა" ტერმინს, რაც ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია. მემატიანისათვის **თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ეთნიკურ-ტერიტორიულ ერთეულს** და იგი არა

---

[4] არავითარ ანგარიშგასაწევ არგუმენტს არ ემყარება ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილისა და აფხაზ მეცნიერთა თვალსაზრისი, თითქოს კოლხების სახელით აფხაზთა წინაპრებიც აღინიშნებოდნენ. ეს მოსაზრება **სასურველის რეალურად წარმოდგენა უფროა,** ვიდრე ემპირიული მასალის ობიექტური მეცნიერული კვლევის შედეგი.

მარტო **ეგრისის** სახელით აღნიშნული ერცელი დასავლურქართული მიწის განუყოფელი ნაწილია, არამედ მისი **კულტურულ-იდეოლოგიური და პოლიტიკური ცენტრის – ქალაქ ბედიის (ქ. ეგრისის) ადგილსამყოფელია.** ლეონტი მროველი თარგამოსის – ყოველთა კავკასიელთა მამის – შესახებ წერს:

„ხოლო ეგრისსა [= ეგროსსა – თ. გ.] მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღუარი აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქუიან ლიხი, დასავლით ზღუა, მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წასწუდების წუერი კავკასიისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქუიან ბედიად“[5].

მაშასადამე, ლეონტის ცნობით, **ეგრისი** (// **ეგრი, ეგური**) ერქვა მიწა-წყალს ლიხის ქედიდან შავ ზღვამდე და ამ მიწის ჩრდილოეთის საზღვარი მდინარე ყუბანის (მცირე ხაზარეთის მდინარის) შესართავთან გადიოდა. ამ მიწაზე მობინადრეებს მემატიანე **მეგრნი, მეგრელნი** სახელით აღნიშნავს და გულისხმობს არა მხოლოდ ამჟამინდელ მეგრელთა უშუალო წინაპრებს, არამედ ეგრისის ყველა მცხოვრებს მეგრელების, სვანების, გურულების, იმერლების, რაჭველების, ლეჩხუმელებისა და ლაზების წინაპართა ჩათვლით, მაგრამ არამცდაარამც ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრებს.

იქვე მემატიანე ასახელებს **კავკას(ოს)ს**, რომელიც უეჭველად **აფხაზურ-ადიღურ ეთნოსთა, მათ შორის აფხაზთა, საერთო წინაპარია.** კავკასოსის წილხვედრი მიწა განისაზღვრება მდინარე თერგიდან კავკასიონის ქედის უკიდურეს დასავლეთ პუნქტამდე, ანუ მდინარე ყუბანის ზღვასთან შესართავამდე (ეგროსის წილხვედრი მიწის ჩრდილოეთის საზღვრამდე). მემატიანე წერს:

„და მისცა კავკასის [= კავკასოსს – თ. გ.] მდინარეთაგან ლომეკისა [= თერგი – თ. გ.] ვიდრე დასასრულადმდე კავკასისა [= კავკასიონისა – თ. გ.] დასავლით“[6].

---

[5] ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1942, გვ. 2.

[6] ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 3.

რა თქმა უნდა, მემატიანეს ერთმანეთში არ აერეოდა ეთნიკური ქართველი და ეთნიკური აფხაზი (აფსუა) და მათ საერთო წინაპრად ეგროსს არ იგულისხმებდა – საამისოდ მას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა. რჩება ის შესაძლებლობა, რომ ლეონტი მროველს სწორედ კავკასოსი მიაჩნდა აფხაზ-აბაზათა, უბიხთა და ჩერქეზთა საერთო წინაპრად. კავკასოსის სამფლობელოც უშუალოდ ესაზღვრებოდა ქართველთა მიწა-წყალს, თანაც **სწორედ მდინარე ყუბანის შესართავთან**, რომლის სიახლოვესაც ბერძენი ავტორები შემთხვევით სულაც არ უნდა ასახელებდნენ ქალაქ **ჰალაია ლაძიკა**-ს "ძველ ლაზიკას" (**ლაზიკაც**, როგორც ცნობილია, იმ ეტაპზე მთელ დასავლეთ საქართველოს ერქვა და ლეონტი მროველისეული **ეგურ**-ის, **ეგრ**-ისა და **ეგრის**-ის სინონიმი იყო).

ამრიგად, მოყვანილი ცნობები, სხვა ენობრივ ფაქტებთან ერთად, ადასტურებენ იმას, რომ **ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნიდან ახ. წ. დაწყებამდე ამჟამინდელ აფხაზ-აბაზათა, უბიხთა და ჩერქეზთა საერთო წინაპრები, რომლებიც ჯერ კიდევ დაუშლელ ენობრივ-ეთნიკურ ერთობას ქმნიდნენ, დასახელებულ ეპოქაში ბინადრობდნენ არა დასავლეთ საქართველოს მიწაზე, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირიდან მოკიდებული მდინარე ყუბანის შესართავამდე, სადაც „წასწუდების წუერი" კავკასიონისა, ე. ი. ქედის უკიდურეს დასავლეთ წერტილამდე.**

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან იწყება ერთიანი წინარეაფხაზურ-ადიღური ეთნოსის დაშლა, ჩნდება 3 ენა (აფხაზურ-აბაზური, უბიხური და ჩერქეზული), რაც 3 ახალი ეთნოსის ჩამოყალიბების მომასწავებელია. თავის მხრივ, აფხაზურ-აბაზურ ენაზე მოლაპარაკე ახალი ეთნოსი 2 მთავარი ეთნიკური ჯგუფისაგან შედგებოდა 2 მთავარი დიალექტით: ამჟამინდელ **აფხაზთა** წინაპარი **აფსუა** ტომისაგან და **აბაზა** ტომისაგან. როგორც ჩანს, მეზობელი ეთნოსები (განსაკუთრებით ჩერქეზები) აფხაზ-აბაზათა განმაზოგადებელ, საერთო სახელწოდებად იყენებდნენ **აბაზა** ტერმინს, რომელიც მათგან გვიან შუა საუკუნეებში ოსმალებს შეუთვისებიათ: გვიან შუა საუკუნეთა ოსმალურ წყაროებშიც და ამჟამინდელ ცოცხალ თურ-

ქულ ენაშიც აფხაზებს აბაზა სახელით (მრ. რ. აბაზა-ლარ) აღნიშნავენ[7].

მოსაზრება საერთო იბერიულ-კავკასიური (წინარეკავკასიური) ენისაგან წინარეაფხაზურ-ადიღური ენის ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე გამოყოფის შესახებ ემყარება სანდო ლინგვისტურ-ისტორიულ მონაცემებს, თუმცა მკვლევართა ერთი ნაწილი უარყოფს ქართველურ ენა-კილოთა ნათესაობას აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენებთან. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობის ფაქტი 1979 წელს საბოლოოდ დაადგინა აკად. არნ. ჩიქობავამ ყველა ამ ენის უმდიდრეს ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ-სინტაქსურ და ლექსიკურ მონაცემთა აკადემიური ანალიზის საფუძველზე[8]. ჩვენ ვიზიარებთ არნ. ჩიქობავას დებულებას, რომ „იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებს. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს: სავარაუდოდ, სამი ათასი წლის წინანდელს და, ალბათ, ძველ ადგილ-სამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს“[9].

სამხრეთ კავკასიასა (ისტორიული საქართველო, ამჟამინდელი სომხეთი, აზერბაიჯანი) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მობინადრე წინარეკავკასიელების საზიარო ენა ალბათ მინიმუმ 4 მთავარი დიალექტისაგან შედგებოდა, რომელთა თანდათანობითი ენობრივი დაშორება უნდა გამოეწვია წინარეკავკასიელთა განსახლების არეალის გაფართოებას. სავარაუდოა, რომ წინარეკავკასიური ენის წინარეაფხაზურ-ადიღურ დიალექტზე (და არა ენაზე) მოლაპარაკენი უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში დასახლდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე თერგიდან ყუბანის შესართავამდე, წინა-

---

[7] ც. აბულაძე. საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში. — კრებ.: „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“. თბ., 1993, გვ. 274-276.

[8] არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1979, გვ. 253.

[9] არნ. ჩიქობავა. დასახ. ნაშრ., გვ. 253.

რენახურ-დაღესტნურ დიალექტზე მოსაუბრენი – თერგიდან დარუბანდამდე, წინარეალბანურ დიალექტზე მოლაპარაკენი უნდა დარჩენილიყვნენ ამჟამინდელი აზერბაიჯანის მიწაზე (ისტორიული ჰერეთის გამოკლებით), ხოლო ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრათ არაინდოევროპულ დიალექტზე მოლაპარაკე ტომებს, რომლებიც ემეზობლებოდნენ ურარტუელებს. რაც შეეხება წინარექართველურ დიალექტზე მოსაუბრე მოსახლეობას, იგი ცხოვრობდა ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (შდრ. ლეონტი მროველის სქემა) და სამხრეთ-დასავლეთით ემიჯნებოდა პროტოხეთურ (ხათურ)-ხურიტულ ტომებს.

ძვ. წ. I ათასწლეულის ახლოს ეს წინარეკავკასიური დიალექტები უკვე ენებად ჩამოყალიბდა და ასე მივიღეთ წინარექართველური, წინარეაფხაზურ-ადიღური, წინარენახურ-დაღესტნური და წინარეალბანური ენები, რომლებიც თავის მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, ახალი წელთარიცხვის დასაწყისისათვის დაიშალა იმ ენებად, რომლებიც ამჟამად ქმნიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს. გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს არაინდოევროპული წინარესომხური (ჰაიური) ენა, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნეში წყვეტს არსებობას ინდოევროპელი არმენების შემოსევებისა და სომხეთში დამკვიდრების გამო.

ასე რომ, თუ ამ, ჩვენი აზრით, მართებულ პოზიციას გავიზიარებთ, სრულიად ნათელი გახდება, თუ რატომ არ ჩანს და არცაა საძიებელი თანამედროვე აფხაზ-აბაზათა, ჩერქეზთა და უბიხთა წინაპრების ნაკვალევი ამჟამინდელი ტუაფსე-ფსოუს, აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭის, ლეჩხუმის, გურიის, აჭარისა და ლაზეთის მიწებზე, თუ რატომ არ იხსენიებიან აფხაზ-აბაზა-უბიხ-ჩერქეზთა წინაპრები ადრეანტიკურ წყაროებში, თუ რატომაა მეცნიერულად გაუმართავი ზოგი აფხაზი ავტორის ამგვარი მითოლოგიზებული განცხადებანი:

"Признано – абхазский язык является одним из древнейших языков мира"[10];

---

[10] О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии. С древнейших времен до наших дней. 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухум[и], 2006, გვ. 4.

"Распад абхазо-адыгского праязыка на три основные ветви (абхазы-адыги-убыхи) начался, как считается, примерно, 5 тыс. лет назад"[11];

"Народ, говоривший на праязыке абхазо-адыгов, занимался земледелием, разводил скот, изготавливал различные ремесленные изделия, обрабатывал металлы. Это подтверждают археологические материалы из Абхазии"[12];

"В пользу того, что носители праязыка жили примерно в тех же условиях, в котором обитают нынешние абхазо-адыги и сформировались в пределах западнокавказской территории, говорят такие слова, как: "море", "берег", "рыба", "гора (лесистая)", "лес (лиственный)", "лес (хвойный)", "пихта", "бук", "кизил", "каштан" и т. д. О том же говорят и топонимические названия. Например, названия рек, включающие в себя элемент "псы" – вода, река (Арипса, Супса, Акампсис, Апсар, Лагумпса), а также с названием "куа" – "овраг", "балка", "речка" и др."[13].

რა უნდა ითქვას ამ განცხადებათა შესახებ?

ჯერ ერთი, არცერთ აფხაზურ-ადიღურ ენაში დამოუკიდებელ სიტყვებად არ არსებობს ტყიანი მთის, ფოთლოვანი ტყისა და წიწვიანი ტყის აღმნიშვნელი მარტივფუძიანი სახელები და ციტირებულ დებულებათა ავტორები ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა (ეს უკანასკნელი წიგნის წერის დროს სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის მთავარი იდეოლოგი, ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანი იყო) უბრალოდ თხზავენ ფაქტებს;

მეორე, აფხაზური ენა არ შეიძლება იყოს აბაზურ ენაზე უფრო ძველი, ვინაიდან ისინი ერთდროულად გაჩნდნენ აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დაშლის დროს, ეს კი XVI საუკუნეზე ადრე ვერაფრით მოხდებოდა. აქედან გამომდინარე, აფხაზური და აბაზური ენების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობის ისტორია ვერ გასცდება 500 წელიწადს, 5 საუკუნე კი არც ისე დიდი დროა. შდრ. გაცილებით უფრო ძველი დოკუმენტირებული ისტორია აქვთ კაეკასიაში წარმოდგე-

---

[11] იქვე, გვ. 4.
[12] იქვე, გვ. 5.
[13] იქვე, გვ. 5.

ნილ სხვა ენებს (ქართულს, სომხურს, ალბანურს), აგრეთვე ბერძნულს, სპარსულს, არაბულს და უთვალავ სხვას. მათთან შედარებით აფხაზური და აბაზური ძალზე "ახალგაზრდები" არიან;

მესამე, აფხაზური არც მაშინ აღმოჩნდება სხვა ენებზე ძველი, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას ერთი აფხაზურ-აბაზური ენის არსებობის შესახებ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იგი (აფხაზურ-აბაზური ენა) ტყუპისცალი გამოდის ჩერქეზული და უბიხური ენებისა, რომლებთან ერთადაც გამოეყო წინარეაფხაზურ-ადიღურ ენას არა უადრეს ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისა (იხ. ზემოთ). იმ დროს კი მსოფლიო'ში უკვე დოკუმენტირებულია უამრავი სხვა ენა, რომელთაგან ზოგი უკვე გამქრალიც კი იყო;

მეოთხე, 5 ათასი წლის წინათ, ე. ი. ძვ. წ. III ათასწლეულში ვერ იარსებებდა ვერც წინარეაფხაზურ-ადიღური ენა, ვინაიდან იგი, როგორც ითქვა, წინარეკავკასიური ენისაგან გამოიყო ათასი წლის შემდგომ, ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე. გარდა ამისა, ამჟამად მსოფლიო'ში უცველელი სახით არ შემონახულა ასეთი ხანგრძლივი ისტორიის მქონე არცერთი ენა. მაგალითად, ეგვიპტური, ასურული, შუმერული, ხეთური თუ სხვა ენები დიდი ხანია გაქრნენ, ხოლო ძველი ბერძნული და ძველი სპარსული ენები სწორედ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში გარდაიქმნენ სრულიად განსხვავებულ ენებად (ამჟამინდელმა ბერძენმა და სპარსელმა საგანგებოდ უნდა შეისწავლონ ძველი ბერძნული და ძველი სპარსული, რომ ტექსტის გაგება შეიძლონ). ასევე სწორედ ჩვენს ერაში მოხდა მანამდე არსებული ისეთი ენების დაშლა და მათგან ახალი, სრულიად დამოუკიდებელი ენების ჩამოყალიბება, როგორიც იყო ლათინური, სლავური და სხვ. ამ მხრივ გამონაკლისი ვერ იქნება აფხაზური: იგი მართლაც 5 ათასი წლის წინ რომ გაჩენილიყო, დღეს სულ სხვა, ძველისაგან რადიკალურად განსხვავებული ენა იარსებებდა. ამიტომაცაა არასერიოზული იმავე ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას კიდევ ერთი განცხადება, მაიკოპისა და ეშერის „ეპიგრაფიკული წარწერების" ძვ. წ. II-I

ათასწლეულთა ხეთურ კულტურასთან კავშირის შესახებ[14]. ლინგვისტთა შორის კარგადაა ცნობილი, რომ, მაგალითად, პროფ. გ. ტურჩანინოვის საეჭვო მცდელობას, რადაც უნდა დასჯდომოდა, თანამედროვე აფხაზურ ენაზე ამოეკითხა „მაიკოპის წარწერის“ ტექსტი, მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს და მასზე დაყრდნობით ისტორიული დასკვნების გამოტანა მხოლოდ ირონიულ ღიმილს თუ იწვევს.

მეხუთე, ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას არცერთი ზემოთ ციტირებული დებულება არ ემყარება ობიექტურ, სწორი მეთოდოლოგიით გამოკვლეულ ენობრივ თუ ისტორიულ ფაქტებს. ისინი კითხვათა მთელ წყებას აღძრავენ. მაგალითად:

ა) რით უნდა აიხსნას ძველი წელთაღრიცხვის წერილობით წყაროთა სრული დუმილი აფხაზ-აბაზათა, უბიხთა და ჩერქეზთა წინაპრების ვითომდა ბინადრობის შესახებ თანამედროვე აფხაზეთისა თუ ლაზეთის. აჭარის, გურიის, სამეგრელოს, რაჭის, ლეჩხუმის, იმერეთის, სვანეთისა და თვით ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე?

ბ) თუკი ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მანძილზე აფხაზ-აბაზათა, უბიხთა და ჩერქეზთა საერთო წინაპრები ხეთების თუ ხათების გვერდით ცხოვრობდნენ და მათი უახლოესი მონათესაენიც იყვნენ, რით უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, ის, რომ ხეთური ენა სულ სხვა გენეტიკური წარმოშობის, ინდოევროპული ენა იყო, აფხაზურ-ადიღური ენები კი — იბერიულ-კავკასიური ენებია, მეორე მხრივ, რატომაა, რომ ხათების ენა, მართალია, მრავალი ნიშნით ჰგავს იბერიულ-კავკასიურ ენებს[15], მაგრამ აფხაზურ-ადიღური ენებისაგან მას საკმაოდ მკვეთრი სხვაობანი გამოარჩევს ყველა ენობრივ დონეზე?

გ) მართალია, აფხაზურ-აბაზურ, უბიხურ და ჩერქეზულ ენებში არსებობს ზღვის, ნაპირის, თევზის, მთის, ტყის, სოჭის ხის, წიფლის, შინდისა და წაბლის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ მარტო **ამგვარ სიტყვათა არსებობის ფაქტი** არ კმარა იმის სამტკიცებლად, რომ დასახელებულ ენებზე მოლაპარაკე-

---

[14] О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. დასახ. ნაშრ., გვ. 4-5.

[15] И. М. Дунаевская, И. М. Дьяконов. Хаттский (протохеттский) язык. წიგნში: "Языки Азии и Африки", т. III. М., 1979.

ნი უეჭველად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, **სუბ-სტროპიკულ ზონაში ცხოვრობდნენ** შორეული წარსულიდან დღემდე. ზღვის, ნაპირისა და თევზის სახელები ისეთ ეთნოსთა ენებშიც გეხვდება, ზღვისაგან შორს რომ ცხოვრობენ. მთის, ტყის, სოჭის, წიფლის, შინდისა და წაბლის სახელები აქვთ ჩრდილოეთ კავკასიის ზღვისაგან მოშორებულ რეგიონებში მობინადრეებსაც. აფხაზურ-აბაზურ, უბიხურ და ჩერქეზულ ენებში არ დასტურდება მხოლოდ სუბსტროპიკულ ზოლში, ჭაობიან დაბლობზე გავრცელებულ ენდემურ მცენარეთა, ცხოველთა და მწერთა არცერთი საზიარო სახელწოდება.

დ) ვთქვათ, გავიზიარეთ დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომ **ფსჳ** ელემენტი მართლაც უნდა გამოიყოს დასაელეთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: **არიფსა, სუფსა, აკამფსის, აფსაროს, ლაგუმფსა** და ჩავთვალეთ ეს ელემენტი წყლის, მდინარის სახელწოდებად, მაგრამ რა შუაში არიან ასეთ შემთხვევაში აფხაზთა წინაპრები? **ფსჳ** სიტყვა წყალსა და მდინარეს ჩერქეზულად ეწოდება, აფხაზურში კი **აძჳ** ჰქვია წყალს, ხოლო **აძიას** – მდინარეს. გარდა ამისა, არცერთ მკვლევარს აქამდე არ წარმოუდგენია დასახელებულ გეოგრაფიულ სახელთა მეოთდურად სრულყოფილი ანალიზი და დამაჯერებლად არ აუხსნია ამ სიტყვათა დანარჩენი ნაწილების რაობა, ან აფხაზურობა. კერძოდ, არ გარკვეულა, თუ რა არის: **არიფსა** სახელის თავკიდურა **არი** და ბოლოკიდურა **ა** სეგმენტები; **სუფსა** ჰიდრონიმის თავკიდურა **სუ** და ბოლოკიდურა **ა** სეგმენტები; **აკამფსის** სახელის თავკიდურა **აკამ** და ბოლოკიდურა **ის** ელემენტები; არავის უპასუხია კითხვაზე: რატომ წერია ანტიკურ წყაროებში **აკამფსის** ფორმის პარალელურად **აკაფსის** და **აკამფსეონ** ვარიანტები? რატომ ქრება თუ ჩნდება ამ სიტყვაში **მ** თანხმოვანი? რა არის **ეონ** დაბოლოება? ნიშნავს თუ არა ბერძნულად **აფსაროს** მოუხრელს, სწორს? რა არის **ლაგუმფსა** ჰიდრონიმის **ლაგუმ** და ბოლოკიდურა **ა** ელემენტები?

ამდენ კითხვაზე პასუხების უქონლად არავის აქვს უფლება, ამტკიცოს, თითქოს ეს სახელები უეჭველად ადასტურებენ აფხაზ-აბაზა-უბიხ-ჩერქეზთა ოდინდელ ბინადრობას ყუბა-

ნის შესართავიდან ტრაპიზონამდე. ეს საკითხები სერიოზულ კვლევას მოითხოვენ და არა უსაბუთოდ განმეორებას.

ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა აბორიგენობის სამტკიცებლად არ გამოდგება არც ასეთი **კურიოზული** მსჯელობა: შუა ქვის ხანის, ანუ მეზოლითის ეპოქის (ძვ. წ. X-V ათასწლეულები) დახასიათებისას იგივე ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა აცხადებენ: "Интересно, что "лосось" по-абхазски – "амлагур": "амла" – голод, "агур" – игла. То есть с помощью иглы-гарпуна древние абхазы утоляли свой голод"[16].

გამოდის, რომ ძვ. წ. X-V ათასწლეულებში, როცა თვით ამ ავტორთა აზრითაც კი **ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი** წინარეაფხაზურ-ადიღური ერთობა და ამ პერიოდამდე დარჩენილი იყო "სულ რაღაც" 2-7 ათასი წელი, სასწაულებრივად არსებულა აფხაზური ენა, რაც ყოვლად წარმოუდგენელია. გარდა იმისა, რომ აქ ავტორებს აერიათ ქრონოლოგია, ისინი არ ითვალისწინებენ ლინგვისტთათვის ცნობილ ერთ უნიერსალურ კანონზომიერებას: ჩვეულებისამებრ, თევზის ჯიშთა სახელდება (ნომინაცია) ხდება თევზის ანატომიური აგებულების, სხეულის საეროო, ან მისი რომელიმე ნაწილის შეფერილობის თუ ფორმის, ნირის, ბინადრობის ადგილის, ბინადრობის წესის, მოძრაობის, გამრაელების თავისებურების საფუძველზე[17]. „ნემს-თევზი" თევზის ჯიშის სახელად შეიძლება იქცეს მხოლოდ მაშინ, თუ თევზს სხეულზე ნემსისებური წანაზარდები აქვს, ანდა თევზის სხეული ძალზე წვრილი და წაგრძელებულია, ორაგულს კი ამგვარი ანატომიური თავისებურებანი არ ახასიათებს. მაგრამ ყველაზე არსებითი მაინც აფხაზური **აშლაგჲრ** „ორაგული" სიტყვის წარმომავლობაა. საქმე ის არის, რომ აფხაზურში გარდა ამ ვარიანტისა არსებობს ორაგულის აღმნიშვნელი სხვა 3

[16] О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. დასახ. ნაშრ., გვ. 20.

[17] შედარებისათვის იხ.: მ. სალია. მეთევზეობის ლექსიკა ზანურში. თბ., 2005, გვ. 60-97.

ვარიანტიც: **ა-ულაგიგრ, ა-ჟალაგიგრ, ა-ოლაგიგრ**[18].

საყურადღებოა, რომ განსახილველი კურიოზული „თეორიის" ერთ-ერთი ავტორის მამის, ცნობილი აფხაზი ლინგვისტის, პროფ. ხ. ბღაჟბას აზრით, რომელსაც მოჰყავს ბზიფურ დიალექტში გავრცელებული **ა-მლაგიგრ** //**ა-ულაგიგრ** ვარიანტები, ეს სიტყვა ნასესხებია ქართულიდან[19]. დავაზუსტებთ, რომ სიტყვა აფხაზურში შესულია მეგრული დიალექტიდან, ეტიმოლოგიურად კი უკავშირდება მდინარე არაგვის სახელს: ***არაგვ-ულ-ი → *არაგ-ულ-ი → ორაგულ-ი**[20] (შდრ. თეძის ჯიშის სახელწოდებანი **ხრამ-ულ-ი, კაპარჭინა** და მდინარეების სახელები **ხრამი, კაპარჭინა**).

მეგრულიდან შესულმა **ორაგულ-ი** ფორმამ აფხაზურში ჯერ **ლ/რ** მეტათეზისის გზით მოგვცა აბუუური **ა-ოლაგიგრ** სახეობა, შემდეგ **ო → უა** პროცესის შედეგად გადაიქცა **ა-უალაგიგრ** ფორმად, მესამე ეტაპზე მახვილის ზეგავლენით ამოვარდა სიტყვის თავიდან მეორე ხმოვანი და მივიღეთ **ა-ულაგიგრ** ვარიანტი, ბოლოს კი **უ > მ** ბგერათცვლილების გზით გაჩნდა **ა-მლაგიგრ** სახეობა, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ იარსებებდა 7-12 ათასი წლის წინათ იმ მარტივი მიზეზით, რომ იმ ეპოქაში ჯერ კიდევ არ არსებობდა არც აფხაზური და არც ქართული ენები. მეგრულისაგან კი აფხაზურს ეს სახელი XVI-XVII საუკუნეებამდე არ შეეძლო ესესხებინა, რაზეც **ა-ოლაგიგრ** ფორმა მიგვანიშნებს: **ო** ხმოვანი აფხაზურში მანამდე საერთოდ არ არსებობდა. შდრ. ძველ ნასესხობებში **ო** ხმოვნის ცვლა **უა** კომპლექსით, ხოლო ახალ (XIX-XX საუკუნეთა) ნა-

---

[18] ბ. ჯანაშია. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1954, სვ. 215 და სვ. 264; Х. С. Бгажба. Бзыбский диалект абхазского языка. Тб., 1964, გვ. 216.

[19] Х. С. Бгажба. დასახ. ნაშრ., გვ. 216.

[20] მ. სალია. დასახ. ნაშრ., გვ. 28; ი. ქერქაძე. ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში. თბ., 1974, გვ. 206.

სესხობებში უცვლელად შენარჩუნება. მაგალითად, აფხაზურში ეკლესიის აღმნიშვნელი მეგრული **ოხვამე** სახელი **აუახიამა** ფორმით X-XVIII საუკუნეებს შორისაა დამკვიდრებული.

ამრიგად, ზემოთ განხილული ენობრივ-ეთნოლოგიური მასალა სრული უეჭველობით ადასტურებს, რომ **ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნემდე არასოდეს უცხოვრიათ აფხაზთა წინაპრებს, რომ არაფერი ვთქვათ ჩერქეზ-უბიხთა წინაპრებზე**. გარდა ამისა, ძვ. წ. III ათასწლეულში საერთოდ არ არსებობდა არც წინარეაფხაზურ-ადიღური და არც წინარექართველური ენები, ისინი მხოლოდ ათასი წლის შემდგომ თუ წარმოიქმნებოდა. რაც შეეხება ამჟამინდელი აფხაზეთის მიწაზე ორი აბორიგენი ეთნოსის ბინადრობის „თეორიას", მას არანაირი ისტორიული და ლინგვისტური საფუძვლები არა აქვს, ამიტომ მისი ანალიზი აქ ზედმეტი გვგონია.

§ 2. აფხაზური ენის დიალექტთა დიფერენციაციის დროის საკითხისათვის

ამჟამად გამოიყოფა 4 აფხაზურ-აბაზური დიალექტი:

1. აბჟუური, რომელიც გავრცელებულია ახლანდელი აფხაზეთის ოჩამჩირის რაიონში[21];

2. ბზიფური, რომელიც გავრცელებულია აფხაზეთის გუდაუთისა და ნაწილობრივ გაგრის რაიონების ტერიტორიაზე (გაგრაში მცხოვრებ აფხაზთა უმრავლესობა XX საუკუნეშია მიგრირებული გუდაუთის რაიონიდან);

3. აშხარული დიალექტი, რომელიც წარმოდგენილია ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე 3 სოფელში: ხუჟდუ (რუსულად Старокувинск), ხუჟენჩკუნ (რუსულად Новокувинск) და აფსუა (ყოფილი შაჰგირეი >

---

[21] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1992-1993 წლების ომის შემდგომ შეიცვალა. აქაც და ქვემოთაც ჩვენ ვემყარებით ომამდელ დაყოფას.

ჩეგირეი). XX ს. 40-იან წლებში ამავე დიალექტზე ჯერ კიდევ მეტყველებდნენ აგრეთვე სოფელ აბაზაქოში მოსახლე აბაზები, რომლებიც ამჟამად ჩერქეზულად (ყაბარდოულად) ლაპარაკობენ;

4. ტაპანთური დიალექტი, რომელიც წარმოდგენილია ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში მდებარე სოფლებში: ტაპანთა, ფსიჟი, ყუბინა, ელბურგანი, კრასნოკოსტოჩნი, ფსაუჭა-დახა, აბაზაჰაბლი, მალოაბაზინსკი, ინჯიქჩკუნი, ყარაფაგვა, ყიზილ-ფაგუნი და ყვაიდანი.

იყო მცდელობები, ცალკე გამოეყოთ სამურზაყანოული დიალექტი (პ. უსლარი, ნ. მარი....), მაგრამ სამურზაყანოში გავრცელებული აფხაზური მეტყველება იმ დონეზე არ განსხვავდება აბჟუური კილოსაგან, რომ ამგვარი დაყოფა გამართლებული ყოფილიყო, რის გამოც ეს მოსაზრება არ დამკვიდრდა.

საბჭოთა პერიოდში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, აფხაზები და აბაზები ერთად სახლობდნენ ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე და ლაპარაკობდნენ ერთ ენაზე. მოგვიანებით (XIII-XIV სს.) ამ ერთობას გამოჰყოფიან ტაპანთელები და აფხაზეთიდან გადასახლებულან ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო კიდევ უფრო გვიან (XVII-XVIII სს.) მათ კვალს აშხარელებიც მიჰყოლიან.

ამ თვალსაზრისს ერთი არსებითი ნაკლი აქვს: არცერთ წერილობით საისტორიო წყაროში არ დასტურდება არანაირი ცნობა ტაპანთელებისა და აშხარელების კავკასიონის გადმოღმიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიგრაციის შესახებ, სამაგიეროდ, ჩვენამდე მოღწეულია საპირისპირო მიმართულების მიგრაციის დამადასტურებელი ფრიად საყურადღებო დოკუმენტური მასალა (ვ. ტატიშჩევის ცნობა აფხაზეთში ჩრდილოეთკავკასიელთა წამლეკავი შემოსევების შესახებ, ქართული იურიდიული საბუთები, ევროპელ მისიონერთა ჩანაწერები და რუკები...)[22], რაც საფუძველს აცლის აქ ხსენებულ მოსაზრებას.

რაკი ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე აფხაზ-აბაზათა წი-

[22] ვრცლად იხ. კრებ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. თბ., 2007.

ნაპრების აბორიგენობა არ მტკიცდება, ვერც ის მოსაზრება იქნება მისაღები, რომლის მიხედვითაც, სწორედ ამ ტერიტორიაზე მოხდა წინარე აფხაზურ-აბაზური ენისაგან აფხაზურ-აბაზური დიალექტების დიფერენცია. მაგალითად, აფხაზურ-აბაზური ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხზე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა აფხაზმა ენათმეცნიერმა ემა კილბამ, რომელიც სწორედ ხსენებულ დებულებებს ემყარება. მისი შეხედულება ასეთია:

XIX ს. 60-70-იანი წლების მუჰაჯირობამ აფხაზეთის ლინგვისტური რუკიდან მთლიანად წაშალა მანამდე არსებული საძების დიალექტი, აგრეთვე გუმისთისა და კოდორის ხეობების აფხაზური მეტყველება. საძების დიალექტი გავრცელებული იყო ისტორიული ჯიქეთის (აფხაზ. **საძჳნ**) ტერიტორიაზე მდ. ბზიფიდან მდ. დაგომისამდე და შავი ზღვიდან კაეკასიონამდე. ისტორიული საძების დიალექტის ამჟამინდელი მემკვიდრეები არიან: აშხარული დიალექტი, ბათუმის აფხაზთა ფერიის მეტყველება, სირიაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველება, აჰჭიფსის მეტყველება თურქეთში, ფსხუს მეტყველება თურქეთში და საკუთრივ საძების დიალექტი თურქეთში. მკვლევარი ყველა ამ სამეტყველო მიკროვარიანტს საზიარო ნიშნებს უძებნის ფონოლოგიურ სისტემაში, ფონეტიკურ პროცესებში, გრამატიკულ სისტემასა და ლექსიკაში[23].

ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ზემოთ უკვე ხსენებული დაუსაბუთებელი თვალსაზრისი ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზ-აბაზათა აბორიგენობის შესახებ, მაგრამ მასში უდავოდ არის რაციონალური მარცვლები. კერძოდ, ზემოთ უკვე განხილული ისტორიულ-ეთნოლოგიური მონაცემებისა და წინამდებარე წიგნის სხვა თავებში კონკრეტულ ენობრივ მასალაზე დამყარებული დასკვნები საშუალებას იძლევიან, გავიზიაროთ აფხაზი კოლეგის დებულებათა მცირე ნაწი-

---

[23] Э. К. Килба. К проблеме реконструкции исторического садзского диалекта абхазского языка.
http://abaza-duney.ru/images/kilba_k_probleme_sadzsogo_dialekta.pdf.

ლი და აღვადგინოთ შემდეგი ისტორიულ-დიალექტოლოგიური სურათი:

ახ.წ. დასაწყისიდან კარგახნის მერე, დაახლოებით XIII-XIV საუკუნეებში, როცა დამოუკიდებლად არსებობდა წინარე აფხაზურ-აბაზური ენა, მის წიაღში გაჩნდა 2 დიალექტი: **ტაპანთური** და დანარჩენ აფხაზურ-აბაზურ ტომთა მეტყველების გამაერთიანებელი დიალექტი, რომელსაც პირობით შეიძლება **აფსუურ-აშხარული** კილო ვუწოდოთ. ტაპანთური დიალექტი გავრცელებული უნდა ყოფილიყო მდ. ყუბანის აუზში, თანამედროვე ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ბარის ნაწილში. ამაზე თვით სახელწოდება **ტაპანთა** მიანიშნებს, რომელიც ოსური ენიდან მომდინარეობს, სადაც სიტყვა **ტაპან** "ბრტყელს" ნიშნავს (**-თა** სუფიქსი აფხაზურ-აბაზურში გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელია), ანუ სახელი **ტაპანთა** ბარელის, დაბლობის მკვიდრის აღმნიშნელი ყოფილა[24]. ამ სახელთან ოპოზიციას ქმნის აშხარელთა სახელი **შჯარაუა** "მთიელი", რაც პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ სწორედ იმ დროს, როცა ტაპანთელები გამოემიჯნენ აფხაზურ-აბაზურ ერთობას, ამ ერთობის დარჩენილი ნაწილები ახლანდელ აფხაზთა და აშხარელთა ჩათვლით ჯერ კიდევ ჩრდილოეთ კავკასიის მთის ზოლში, ახლანდელი აფხაზეთისა და სოჭი-ადლერის გადაღმა ცხოვრობდნენ. შესაძლოა, ამ ეტაპზე აშხარელ-აფსუათა ერთობას უკვე ჰქონდა მინიმუმ 3 კილოკავი, რომელთაგან ერთი ახლანდელი აშხარული დიალექტის წინაპარი იყო, მეორე – თანამედროვე ბზიფური კილოსი და საძების (ჯიქების) მეტყველებისა[25], მესა-

---

[24] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1976, გვ. 11.

[25] საძების (ჯიქების) მეტყველება, ჩვენი აზრით, დიდად არ განსხვავდებოდა ბზიფური კილოსაგან. ამისი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ, ჩვენი საველე-საექსპედიციო მონაცემებით (2011 წ.), ბათუმელ აფხაზთა შორის მცხოვრებ საძებს, რომლებიც ქ. ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში ცხოვრობენ, არ ახასიათებს ბზიფური კილოსაგან მნიშვნელოვნად განმასხვავებელი ენობრივი თავისებურებანი არცერთ ენობრივ დონეზე. ამგვარი თავისებურებანი ვერ გამოაელინა ვერც ე. კილბამ, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა ბათუმელ

მე – აბჟუური დიალექტისა. ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ აშხარელები საკუთარ ეთნიკურ ვინაობას **აფსაუა** (ე.ი. **აფსუა**) სახელითაც აღნიშნავდნენ XX საუკუნის 50-იან წლებამდეც კი[26].

XVI საუკუნიდან, როცა იწყება აფხაზთა წინაპრების ექსპანსია თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და სოჭი-ადლერის მთიან ზოლში (აიბგა, ახლ. კრასნაია პოლიანა), ამ რეგიონში, როგორც ჩანს, უპირატესად სახლდებოდნენ ბზიფური დიალექტის წინაპარ კილოკავზე მოლაპარაკენი საძების ჩათვლით, ხოლო XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა დაიწყო აფხაზთა გადმოსახლება თანამედროვე გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიაზე[27], აფხაზი მიგრანტები აქეთკენ 2 მიმართულებიდან მოდიოდნენ: 1. ახლანდელი გუდაუთის რაიონიდან სოხუმის რაიონის გამოვლით და 2. დალის (კოდორის) ხეობის გამოვლით[28]. "გუდაუთელებს" თან მოჰქონდათ ბზიფური კილოს მახასიათებლები, ხოლო "დალელებს" – აბჟუური კილოსი. ამ კილოურ სხვაობათა ნიველირებამ დამხვდური მეგრული მეტყველების სუბსტრატული ფენის ზეგავლენით საბოლოოდ აბჟუურ დიალექტს ის სახე ჩამოუყალიბა, რაც მას ამჟამად აქვს. სხვაგვარად რომ ითქვას, ბზიფურ-საძური დიალექტი საბოლოო სახეს XVI-XVII საუკუნეებში იღებს, ხოლო აბჟუური – XVIII საუკუნეში.

აბჟუური დიალექტის ისტორიისათვის მეტად საინტერესო მასალას გვაწვდის ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", რომელშიც აღწერილია ავტორის მოგზაურობა ახლანდელი აფხაზეთის ზღვისპირა ნაწილში 1641 წელს. ჩელები აფხაზთა ჩაჩების ტომის შესახებ წერს: "ჩაჩების ტომი: **ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ, რადგანაც მდინარე ფაშას გაღმა**

აფხაზთა მეტყველება (იხ.: Э.К. Килба. Особенности речи батумских абхазов. Тб., 1983). ამის გათვალისწინებით რეალური ჩანს საძების მეტყველების მიჩნევა ბზიფური დიალექტის ერთ-ერთ კილოკავად.

[26] ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 12.

[27] ამ პროცესის დათარიღების შესახებ იხ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი. თბ., 2007, გვ. 159-169.

[28] ამ ვარაუდის დამადასტურებელი წყაროების შესახებ იხ. იქვე.

მხარე მთლიანად სამეგრელოა. ბეგთა შვილები ჰყავთ. ათი ათასამდე ძლიერი ჯარი ჰყავთ. ყველა ერთი სარწმუნოებისა არ არის. მძარცველი და მამაცი ტომია"[29].

როგორც აღნიშნავს ტექსტის ქართულად გამომცემი გიორგი ფუთურიძე, ჩაჩების ტომში უნდა ვიგულისხმოთ არა ნამდვილი ტომი, არამედ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჩაჩბას (შარვაშიძეს) ემორჩილებოდა[30]. რაც შეეხება მდინარის სახელ **ფაშა**-ს, იგი რიონის სახელია (შდრ. ფაზისი), მაგრამ აქ ეულია ჩელების, რომელიც თავის წიგნს მოგზაურობიდან თითქმის 40 წლის მერე წერდა, ერთიმეორეში არეული რიონი და მდ. კოდორი. ეს რომ ასეა, ჩანს იტალიელი მისიონერის დონ არქანჯელო ლამბერტის ზუსტად იმავე დროის, 1633-1651 წლების უაღრესად სანდო ცნობებიდანაც: "[სამეგრელოს] უკანასკნელი მდინარე არის კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) კორაქსი, რადგან კოლხიდის საზღვრებია (ძველთა სიტყვით) ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით – კორაქსი; **როგორც ფაზისი ჰყოფს სამეგრელოს გურიისაგან, ისე კორაქსი ჰყოფს მას აფხაზეთისაგან და როგორც ფაზისის გაღმა მეგრული იცვლება ქართულად, ისე კორაქსის გაღმა იცვლება აფხაზურად**. აქედან ცხადია, რომ მეგრელების კოდორი ძველებური კორაქსია, რადგან კოდორს გადაღმა ცხოვრობენ აფხაზები თავისის განსაკუთრებულის ენით"[31]

ჩელების ცნობა გვიდასტურებს, რომ XVII ს. 40-იან წლებში კოდორის მარჯვენა ნაპირას, თანამედროვე გულრიფშის რაიონის ტერიტორიაზე, ქართველური მოსახლეობის თავდაპირველ საბინადროში ცხოვრობდა ორენოვანი მოსახლეობა და ახალი დაწყებული იყო მოსული აფხაზებისაგან დამხვდური ქართული მოსახლეობის (მეგრელების) გააფხაზების პროცესი, რაკი აქაურები "**ერთმანეთში** მეგრულადაც ლაპარაკო-

---

[29] ეულია ჩელების "მოგზაურობის წიგნი". თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვეთი I. თბ., 1973, გვ. 100 (ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

[30] ეულია ჩელების "მოგზაურობის წიგნი"....ნაკვეთი II. თბ., 1973, გვ. 69.

[31] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1991, გვ. 163.

ბენ" და "ყველა ერთი სარწმუნოებისა არ არის" (მეგრელები, როგორც ცნობილია, გვიან შუა საუკუნეებშიც მასობრივად ქრისტიანები იყვნენ, აფხაზები კი დღესაც რელიგიურად სინკრეტულნი არიან). ჩვენი ვარაუდით, XVII ს. 40-იან წლებში ორენოვანი უნდა ყოფილიყო თანამედროვე გულრიფშის რაიონისა და სოხუმის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობა, გამონაკლისი უნდა ყოფილიყო დაბა დრანდის მოსახლეობა, რომელიც ჯერ კიდევ მონოლინგვური იყო: ა. ლამბერტის ცნობით, დრანდა, რომელიც კოდორის მარჯვენა ნაპირზეა, მაშინ ჯერ კიდევ რჩებოდა სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში და წარმოადგენდა სამეგრელოს 6 ეპარქიიდან ერთ-ერთის რეზიდენციას – "[ოდიშში] დარჩენილია შემდეგი საეპისკოპოსო ეკლესიები: პირველია დრანდის, რომელიც მდებარეობს მდ. კოდორზე, **აფხაზეთის საზღვარზე**..."[32]. დრანდაში, ამ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრში, რომ ენობრივი და ეთნიკური ვითარება შეცვლილი ყოფილიყო და აფხაზური ენა გავრცელებულიყო, მისიონერი ავტორი ამას უეჭველად აღნიშნავდა.

ახლანდელი გულრიფშის რაიონის მოსახლეობის ორენოვნების ანარეკლი უნდა ჩანდეს ეკლია ჩელების მიერ ჩაწერილ მეგრული მეტყველების ნიმუშებშიც, სადაც ცალკეც და სამი მეგრული ფრაზის შემადგენლობაშიც დასტურდება ფორმა **ვაი** "მოდი!": **ვაი ჩ[ქ]აი** "მოდი, კაცო!" [ალბათ: ვაი, ქიე! "მოდი, ბიჭო!], **ვაი** დიას "მოდი, დედა!" [ალბათ: ვაი, დია!], ვაი ჩაი დახოდ კკლ ქობალ ჯრჩვან ოჯკომ "მოდი, კაცო [ბიჭო], დაჯექი ყველის, პურისა და მაწვნის საჭმელად!"[33]. ეფიქრობთ, ეს **ვაი** ფორმა სხვა არაფერია, თუ არა აფხაზური ენის **ააირა** "მოსვლა" ზმნის ბრძანებითი კილოს მამაკაცის გრამატიკული კლასის **ჭააი** "მოდი (მამაკ.)!" ფორმა – იგივე ფორმა ჩელების

---

[32] იქვე, გვ. 106-107.

[33] ეკლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი"..ნაკვეთი I. თბ., 1973, გვ. 333.

მოჰყავს აფხაზურ სიტყვა-ფრაზათა ნიმუშებშიც[34].

მეგრული ფრაზები აშკარად ჩაწერილია არააფხაზისაგან (მეგრელისაგან), რომელსაც არ სცოდნია/ცუდად სცოდნია აფხაზური ენა, რადგანაც დაუშვია ისეთი შეცდომა, რაც არცერთ აფხაზს არ უნდა მოსვლოდა: ფრაზაში "მოდი, დედა!" ქალის გრამატიკული კლასის ბრძანებითი **ბაა** ფორმის ნაცვლად გამოუყენებია მამაკაცის კლასის **ვა** ფორმა.

ჩელებისეული მეგრული და აფხაზური ჩანაწერები მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მათში ასახულია ამოსავალი აფხაზურ-აბაზური **ჰა** მარცვლის ტრანსფორმაცია **აა** ხმოვანთჯგუფად (გრძელ ხმოვნად)[35]. მაშასადამე, 1641 წლისათვის აფხაზურ-აბაზური ენის იმ კილოში, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა მეგრულ მეტყველებასთან, უკვე დაწყებული ყოფილა **ჰა > აა** ფონეტიკური პროცესი. სხვა შემთხვევაში ჩელებისეულ მეგრულ და აფხაზურ ჩანაწერებში (**უაა** >) **ვა** ფორმის ნაცვლად უნდა ყოფილიყო (**უჰა** >) ***უდა** "მოდი!" ვარიანტი.

აქ განხილული ევლია ჩელებისა და არქანჯელო ლამბერტის ნარატიული ცნობები და ჩელებისეული ენობრივი ჩანაწერები სრულ თანხმობაშია იმავე პერიოდის სხვა ნარატიულ და კარტოგრაფიულ მონაცემებთანაც, რომლებიც ადასტურებენ აფხაზთა მიგრაციას ჩრდილოეთ კავკასიიდან ახლანდელი აფხაზეთის შიდა რეგიონებში. დავასახელებთ ზოგ დამახასიათებელ რუკას:

1. არქანჯელო ლამბერტის 1654 წლის რუკა "Totius Colchidis, hodie Mengreliae a Corace amne ad Phasim usque description"[36]. რუკაზე აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარი მდ. კოდორზე გადის, კავკასიონის ქედის გადაღმა აღნიშნულნი არიან აბასხები, ანუ აბასები (Abbaschi, hodie Abbassa), ხოლო ქედის

---

[34] იქვე, გვ. 107.

[35] ამ საკითხის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ.

[36] თ. ბერაძე. ოდი'შის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. "მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის სერია", № 3, 1971; კრებ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. თბ., 2007, რუკა № 13.

გადმოღმა გამოსახულ კელასურის თავდაცვით კედელს ლათინურად აწერია: "სამოცი ათასი ნაბიჯის [სიგრძის] კედელი აბასკოა თავდასხმების მოსაგერიებლად";

2. ასევე 1654 წის ლათინურ-ფრანგული რუკა "Tabula Colchidis, hodie Mengrelie"[37], რომელზეც კოდორის მარჯვენა ნაპირზე ფრანგული წარწერაა "აბასების, ანუ აბხაზების მხარე", კავკასიონის ქედის გადაღმა აღნიშნულნი არიან აბკაშები, ანუ აბასები და ალანები (ყარაჩაელები), ხოლო ქედის გადმოღმა გამოსახულ კელასურის თავდაცვით კედელს ფრანგულად აწერია: "სამოცი ათასი მილის [სიგრძის] კედელი აბასების თავდასხმათა მოსაგერიებლად";

3. ქრისტოფორო კასტელის ლათინური რუკა იმავე დროისა[38], რომელზეც კავკასიონის ქედის გადაღმა აღნიშნულნი არიან აბასები და ალანები (ყარაჩაელები), ხოლო ქედის გადმოღმა გამოსახულ კელასურის თავდაცვით კედელს ლათინურად აწერია: "სამოცი ათასი ნაბიჯის სიგრძის კედელი აბასების თავდასხმათა მოსაგერიებლად"...

---

[37] თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები: ძირითადი პრობლემები. თბ., 2008, გვ. 121.

[38] იქვე, გვ. 122.

თავი II

ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა და მორფონოლოგიის ისტორიის საკითხები

§ 1. წინარე აფხაზურ-აბაზური ენის ხმოვანთა სისტემის დიაქრონია. ზოგადი საკითხები

ამჟამად სამწიგნობრო აფხაზურსა და სამწიგნობრო აბაზურ ენებში დასტურდება ექვსწეროვანი ხმოვანთა სისტემა: **ა, ე, ი, ო, უ, ჷ.**

აფხაზური ენის აბჟუურსა და ბზიფურ დიალექტებში ისევე, როგორც აბაზური ენის ტაპანთურსა და აშხარულ დიალექტებში წარმოდგენილია ყველა ამ ხმოვნის გრძელი სახეობებიც, რომლებიც აშკარად პოზიციური წარმოშობისაა და ფონეტიკურ პროცესთა მოქმედების შედეგია. არცერთ ტერიტორიულ სამეტყველო ქვესისტემაში გრძელი ხმოვნები არ წარმოადგენენ ნამდვილ ფონემებს და მათი სიახლეც სრულიად ცხადია, რასაც ადასტურებს გრძელ ხმოვანთა პარალელურად იმავე სიტყვებში ამოსავალი დიფთონგების რეალურად არსებობა თვით ერთი და იმავე პირების მეტყველებაშიც კი.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი და საყოველთაოდ გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ აფხაზურ-აბაზური ხმოვანთა ექვსწევრა სისტემა შედარებით ახალი წარმოქმნილია. ამ 6 ხმოვნიდან ორს, **ა** და **ჷ** ფონემებს, ძირითად ხმოვნებად მიიჩნევენ, ხოლო დანარჩენ ოთხს მკვლევართა ერთი ნაწილი ფონემებადაც კი არ თვლის, ვინაიდან ისინი **ჲ, ჳ** სონანტებთან (ნახევარხმოვნებთან) ორი ძირითადი ხმოვნის (**ა, ჷ** ფონემების) ასიმილაციური კომბინაციით მიიღება და ამოსავალი დიფთონგები დღესაც რეალურად დასტურდება. მაგალითად:

ე ხმოვანი წარმოქმნილია **აჲ, ჷა** დიფთონგებისაგან **ეჲ, ჷე** საფეხურთა გაელით;

ო ხმოვანი მიღებულია **ჷი, ჷჳ** დიფთონგებისაგან;

ო ხმოვანი ჩამოყალიბებულა **აუ, უა** დიფთონგებისაგან **ოუ, უო** საფეხურთა გავლის გზით;

უ ხმოვანი მომდინარეობს **გუ, უგ** დიფთონგებისაგან[39].

გარდა აღნიშნულისა, აფხაზურსა და აბაზურში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული რუსული ენის ინტენსიური ზეგავლენის გამო გაჩნდა ნასესხებ სიტყვათა მთელი წყება, რომლებშიც წარმოდგენილია **ე, ი, ო, უ** ხმოვნები: ალექცია (აფხაზ.) // ლექცია (აბაზ.) "ლექცია", აკინო (აფხაზ.) // ქინო "კინო", აკლუბ (აფხაზ.) // ქლუბ (აბაზ.) "კლუბი"...

ამგვარი ნასესხობების დიდი სიმრავლე, ჩვენი აზრით, გამორიცხავს სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებულ იმ მოსაზრებას, რომ აფხაზურსა და აბაზურში **ე, ი, ო, უ** ხმოვნები ფონემები არ არის. საქმე ისაა, რომ ნასესხობებშიცა და ძირეულ სიტყვებშიც **ოთხივე ბგერას აქვს როგორც სიტყვათაგანმასხვავებელი, ისე ფორმათგანმასხვავებელი ფუნქციები,** რაც ფონემის უცილობელი თვისებაა. მაგალითად. (ა)ლექცია სიტყვაში **ე** და **ი** ხმოვნების ნაცვლად შეუძლებელია სხვა ხმოვნების ჩასმა სემანტიკის დაურღვეველად, რაც აჩვენებს, რომ მასში **ე** და **ი** ბგერებს **სიტყვათაგანმასხვავებელი** ფუნქცია აკისრიათ და, შესაბამისად, ისინი ნამდვილი ფონემებია.

იმავე დასკვნისაკენ გვიბიძგებს ისეთი შემთხვევების სიმრავლე-სისტემურობა, როცა ძირეულ სიტყვებში დასახელებულ ბგერებს ფონემისათვის დამახასიათებელი **ფორმათგანმასხვავებელი** ფუნქცია აკისრიათ.

მაგალითად, აფხაზური სამწიგნობრო ენის დინამიკურ ზმნებში აწმყოსა და ნამყო სრულის (აორისტის) დაბოლოებებს შორის სხვაობას **ო** და **ე** ხმოვანთა სისტემური გამოყენება ქმნის: ფორმა სცოიტ "მივდივარ" აწმყოს ფორმაა და მასში **ო** ხმოვნის მაგიერ **ე** ხმოვნის გამოყენება ცვლის სიტყვის ფორმას – სცეიტ "წავედი" უკვე ნამყო სრულის (აორისტის)

---

[39] ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ.: ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1976, გვ. 45-64

ფორმაა. მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში მეორეული **ო** და **ე** ხმოვნები ასრულებენ ფორმათაგანმასხვავებლის ფუნქციას, რაც მათი ფონემურობის უეჭველი დასტურია.

ასე რომ, აფხაზურ-აბაზურ ხმოვანთა ამჟამინდელ სისტემაში **ე, ი, ო, უ** ხმოვნები სრულუფლებიან ფონემებად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად უდაოა მათი წარმოქმნის მეორეულობა-სიახლე. მაგრამ ამ საკითხის გარკვევა არ წარმოადგენს ჩვენს მთავარ მიზანს. **ჩვენი ამოცანაა აფხაზურ-აბაზური ექვსწევროვანი ხმოვანთა სისტემის ჩამოყალიბების დროის მიახლოებით დადგენა შესაბამისი ისტორიულ-ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით.**

დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის მთავარი დაბრკოლება აფხაზურ-აბაზური ენობრივი მასალის ძველ წერილობით წყაროებში აუსახველობაა. როგორც ცნობილია, რამდენიმე აფხაზური სიტყვისა და ფრაზის პირველი ჩანაწერები ეკუთვნის თურქ მოგზაურს ევლია ჩელების, რომელმაც აფხაზეთი 1641 წელს გაიარა[40]. იმის გამო, რომ ევლია ჩელები პროფესიონალი ლინგვისტი არ იყო, უჭირდა კავკასიაში გავრცელებულ ენათათვის დამახასიათებელი ფონემების გარჩევა და თანაც იყენებდა არაბულ გრაფიკას, რომელშიც ხმოვნები არ აღინიშნება, ეს ჩანაწერები ჩვენთვის გამოუსადეგარია. მსგავსი ნაკლი აქვს გერმანელი ნატურალისტის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის აბაზურ ჩანაწერებსაც, რომლებიც XVIII საუკუნის დასასრულსაა შესრულებული[41]. ამიტომ საკითხის საკვლევად შიდა რეკონსტრუქციის ხერხის გამოყენებაღა გვრჩება, თუმცა ევლია ჩელებისა და იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ჩანაწერებს მაინც შეუძლიათ გარკვეული დახმარების გაწევა.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი გარემოება:

---

[40] ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი"... ნაკვ. I. თბ., 1971, გვ. 107.

[41] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ბ. გელაშვილმა. თბ., 1964, გვ. 349-357.

1. ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც წინარე აფხაზურ-ადიღურ ენას მონოვოკალური სისტემა უნდა ჰქონოდა, ნეიტრალური ხმოვანი მომდინარეობს ა ხმოვნისაგან და იგი წინარე აფხაზურ-ადიღური ენის დაშლამდე საკმაო ხნით ადრე უნდა იყოს მიღებული (ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, მ. კუმახოვი, უ. ალენი, ა. კუიპერსი, რ. იაკობსონი...). გარდა ამისა, ა ხმოვანი და ნეიტრალური ჹ ხმოვანი ამჟამად წარმოდგენილია უკლებლივ ყველა აფხაზურ-აბაზურ ტერიტორიულ სამეტყველო ქვესისტემაშიც და ადიღეურ-ყაბარდოულ-უბიხურ ენებშიც. ვფიქრობთ, ყველა აფხაზურ-ადიღურ ენაში აღნიშნულ ხმოვანთა საყოველთაო გავრცელების ფაქტი ქმნის იმის რეალურ საფუძველს, რომ ვივარაუდოთ:

ორივე ეს ხმოვანი (ა, ჹ) უნდა არსებულიყო წინარე აფხაზურ-ადიღურ ენაში მის დაშლამდე და აფხაზურ-აბაზური, ადიღეურ-ყაბარდოული და უბიხური ენების წარმოქმნამდე, ანუ ახ. წ. დასაწყისამდე.

2. აფხაზურ-აბაზურ ენობრივ ქვესისტემებში ამჟამად წარმოდგენილი 4 ახალი (ე, ი, ო, უ) ხმოვნის ჩამოყალიბების პროცესი უნდა დაწყებულიყო იმ დრომდე ცოტა ხნით ადრე, როცა აფხაზთა წინაპრები გამოეყვნენ აბაზებს, დატოვეს თავიანთი თავდაპირველი სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიაში და დასახლდნენ ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე (XVI საუკუნიდან). მეორეულ ხმოვანთა სისტემამ საბოლოო სახე აფხაზებისა და აბაზების ფიზიკური დაშორების მერეღა მიიღო.

3. აფხაზურ-აბაზურ მასალაში ნამდვილი უ ხმოვანი ყველაზე ხშირად გვხვდება სიტყვის თავკიდურა პოზიციაში, უპირატესად ზმნის კლასოვან-პიროვან ფორმებში მეორე პირის მამაკაცის გრამატიკული კლასის ნიშნად[42], თანაც სავალდებულოა მის მომდევნოდ რომელიმე თანხმოვნის დგომა: უცეტ (აფხაზ.) // უცატ (აბაზ.) "შენ (მამაკაცო) წახვედი", უყოუპ (აფხაზ.), შდრ. უაჯაბ (აბაზ.) "შენ (მამაკაცო) ხარ"... არაზმნურ ძირეულ

[42] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორ.-შედარ. ანალიზი. I.... თბ., 1976, გვ. 61.

ლექსიკაში პრაქტიკულად მხოლოდ აუ "გრძელი" და აურა "სიგრძე" სიტყვები დავადასტურეთ, რომლებშიც უ ხმოვანი ერთდროულადაა წარმოდგენილი როგორც აფხაზურში, ისე აბაზურში. სხვა ძირეულ ლექსიკაში შემდეგი შესაძლებლობაა რეალიზებული:

ერთ, ან რამდენიმე ტერიტორიულ ქვესისტემაში დასტურდება უ ხმოვანი, რომელსაც იქვე, ან სხვა ქვესისტემაში დიფთონგი ენაცვლება: აფხაზ. უაჟ // აბაზ. უზ "ახლა, ამჟამად", აფხაზ. აუს // აუჳს // აბაზ. ჳს "საქმე"...

ეს ფაქტები სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ დავასკვნათ: უ ხმოვნის ჩამოყალიბება დაწყებულა ზმნურ ფორმათა ანლაუტში აფხაზურ-აბაზური ეროვნულ-ენობრივი ერთობის დაშლის წინა პერიოდში, დანარჩენ შემთხვევებში კი ეს ხმოვანი აფხაზურ და აბაზურ ქვესისტემებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბულა.

4. ასევე მეტად შეზღუდულია იმ საზიარო ძირეულ სიტყვათა და სიტყვაფორმათა რაოდენობა, რომლებშიც ი ხმოვანი ერთდროულად დასტურდება როგორც აფხაზურ, ისე აბაზურ ქვესისტემებში. ყველაზე ხშირად ეს ხმოვანი ერთნაირადაა წარმოდგენილი ზმნურ ფორმათა თავკიდურა პოზიციაში[43] მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ნიუთის, ან მამაკაცის გრამატიკული კლასების, ანდა მრაელობითი რიცხვის მესამე პირის ნიშნად: იცეტ (აფხაზ.) // იცატ (აბაზ.) "იგი (ნიუთი) წავიდა; ისინი წავიდნენ", იჰეტ (აფხაზ.) // იჰატ (აბაზ.) "მან (მამაკაცმა) თქვა"... იგივე ხმოვანი ასევე ერთნაირადაა წარმოდგენილი ყველა ტერიტორიული ქვესისტემის ჩვენებით ნაცვალსახელთა ერთ ჯგუფში[44]: აფხაზ. აბრი // არი, აბაზ. აბარი "ეს", აფხაზ. აბნი // ანი, აბაზ. აბანი "ეგ", აფხაზ. უბრი // უი // ჳდ, აბაზ. უბარი "ის, იგი"...

---

[43] ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 54.
[44] იქვე, გვ. 55.

რაც შეეხება სხვა ძირეულ ლექსიკას, მასში ი ხმოვანი საერთოდ არ დადასტურდა ყველა ტერიტორიული ქვესისტემისათვის საზიაროდ.

5. პრინციპულად ერთნაირია ე და ო ხმოვნების ქცევა. არ დაიძებნა არც ზმნური ფორმები და არც არაზმნური ლექსიკა, რომლებშიც ეს ხმოვნები ერთნაირად იქნებოდა წარმოდგენილი ყველა აფხაზურ-აბაზურ ტერიტორიულ ქვესისტემაში, რაც ფრიად საყურადღებო ფაქტია და საფუძველს ქმნის შემდეგი დასკვნის გამოსატანად:

ე და ო ხმოვნები, როგორც ჩანს, ჩანასახის სახითაც კი არ არსებობდა XVI საუკუნისათვის, როცა აფხაზთა წინაპრებმა ამჟამინდელ აფხაზეთში იწყეს ჩამოსახლება. ისინი დიალექტებში მოგვიანებით უნდა შექმნილიყო ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად.

მაშასადამე, ირკვევა, რომ:

1. ა და ჲ ხმოვნები აფხაზურ-ადიღური ერთობის დონის ფონემებია. მათგან ამოსავალია ა ხმოვანი;

2. აფხაზურ-აბაზურ ტერიტორიულ სამეტყველო ქვესისტემებში ე, ი, ო, უ ხმოვნების ჩამოყალიბების პროცესი დაწყებულა გაცილებით გვიან, წინარე აფხაზურ-აბაზური ენის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, ანუ XV-XVI საუკუნეთა განმავლობაში, როცა ეს ბგერები მხოლოდ ალოფონები იყო. ამ ხმოვნებს ფონემის საბოლოო სახე მიუღიათ უკვე მას შემდეგ, რაც აფხაზთა და აბაზათა წინაპრები ტერიტორიულად დასცილდნენ ერთიმეორეს;

3. შეინიშნება სხვაობა ე, ი, ო, უ ხმოვნების ჩამოყალიბების დროის მხრივაც: არსებობს მეტი საფუძველი საიმისოდ, რათა მივიჩნიოთ, რომ უშუალოდ წინარე აფხაზურ-აბაზური ენის საბოლოო დაშლის წინ ფონემად ჩამოყალიბების მიდრეკილება უკვე ჰქონიათ ი და უ ხმოვნებს, ხოლო ე და ო ხმოვნებს უფრო გვიან უკისრიათ ფონემის ფუნქციები და ამაში სერიოზული როლი უთამაშია რუსული ენის მძლავრ ზეგავლენას XIX-XX საუკუნეებში.

§ 2. ხმოვანთა ქცევა ზმნურ წარმოებებში და აფხაზურ-აბაზური ვოკალიზმის ისტორია

წინა პარაგრაფში ჩვენ გავარკვიეთ ხმოვანთა ისტორიის ზოგადი საკითხები სხვადასხვა მეტყველების ნაწილებისა და მათ შორის ზმნის მონაცემთა გათვალისწინებით, ოღონდ აქცენტი გაკეთდა ზმნის თავკიდურა პოზიციაში არსებულ ვითარებაზე, მაგრამ არანაკლებ საინტერესო სურათს გვიჩვენებს ზმნის აუსლაუტის მონაცემები.

ცნობილია, რომ აფხაზურ-აბაზურ ტერიტორიულ მიკროვარიანტებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა ზმნურ ფორმათა აუსლაუტის გახმოვნების თვალსაზრისით. კერძოდ, სხვადასხვაგვარ ფონეტიკურ შედეგს იძლევა ტერიტორიულ სამეტყველო ერთეულებში ზმნის ძირის ურთიერთობა დრო-კილოთა და ფინიტობა-ინფინიტობის სუფიქსებთან: იკარგება, ან სხვა ფონემად გარდაიქმნება ძირისეული ბგერები და/ან მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიან სუფიქსები. ეს ცვლილებები ყველაზე ხშირად სწორედ ხმოვნებს ეხება. ამიტომ ზმნის ფორმათწარმოების მორფონოლოგიური მონაცემები არსებით მასალას გვაწვდის ვოკალური სისტემის, განსაკუთრებით ე.წ. ახალ **ე, ი, ო, უ** ხმოვანთა, ისტორიის შედარებით სრული სურათის აღდგენისათვის.

იმის გამო, რომ აფხაზურ-აბაზური ენა მეტად მდიდარია სხვადასხვაგვარი გრამატიკული და სიტყვათწარმოებითი ფორმებით და ყოველი მათგანის დეტალური ანალიზი დიდ ადგილს მოითხოვს, შემოვიფარგლებით მხოლოდ დინამიკურ ზმნათა თხრობითი კილოს დადებით ფინიტურ და ინფინიტურ წარმოებათა აწმყოსა და აორისტის მონაცემებით, რაც საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ ზმნის ძირისა და სუფიქსების ფონეტიკური ცვლილებების ძირითადი ტენდენციები (სხვა ნაკეთებში ე.წ. ახალი ხმოვნები ან საერთოდ არ წარმოიქმნება, ანდა აწმყოსა და აორისტის მსგავს ვითარებას წარმოგვიდგენს).

ზმნის ძირთან ფინიტობა-ინფინიტობისა და დროის აღმნიშვნელ სუფიქსთა ფონეტიკური შეხამებადობისა და ცვლილებათა მხრივ აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში ამგვარი სურათია:

აწმყო.

ფინიტური წარმოება.

თუ ზმნის ძირი წარმოადგენს თანხმოვანს, ან ბოლოვდება თანხმოვნით, ანდა **აა, ჰა** სეგმენტებით, **აბჟუურ დიალექტში** ძირეული ფონემები უცვლელი რჩება, ხოლო ახლანდელი დროის **-უა** და ფინიტობის **-ჲტ** სუფიქსები ან უცვლელია, ანდა მცირედ იცვლება[45]. შესაბამისად, დროისა და ფინიტობის სუფიქსების შეერთებით წარმოქმნილი ამოსავალი კომპლექსი **უა-ჲტ** ან უცვლელია, ანდა უფრო ხშირად მისგან ვიღებთ **-უე-ჲტ** ვარიანტს, იშვიათად კი **-უო-ჲტ** სახეობას. უკანასკნელ ორ შემთხვევაში საქმე გვაქვს ასიმილაციის ურთიერთსაპირისპირო მიმართულებასთან: **-უე-ჲტ** ვარიანტი შედეგია **ჲ** ფონემის რეგრესული მაასიმილირებელი ზემოქმედებისა დროის სუფიქსის **ა** ხმოვანზე, **-უო-ჲტ** ვარიანტში კი იმავე **ა** ხმოვანზე პროგრესულ მაასიმილირებელ ზეგავლენას ახდენს მის წინ მდგომი **უ** ფონემა.

ბზიფურ დიალექტში იმავე სტრუქტურის ძირებთან ამოსავალი **-უა-ჲტ** სუფიქსური კომპლექსი საერთოდ არ დასტურდება და გვაქვს **-უო-ჲტ > -უო-ტ // -უ-ტ > -ო-ტ // -ტ** ვარიანტები, ანუ ამ კილოში, განსხვავებით აბჟუურისაგან, მოქმედებს მხოლოდ **უ** ფონემის პროგრესული მაასიმილირებელი ძალა, ხოლო **ჲ** იმდენად "სუსტი" ფონემაა, რომ საერთოდ რედუცირდება, თუმცა იმავე დიალექტში იშვიათად მაინც დასტურდება საპირისპირო ტენდენციის ამსახველი **-უე-ჲტ** დაბოლოებაც.

---

[45] აქ და ქვემოთ ცნობები ძირთა და მორფემათა ფონეტიკური სახის შესახებ მოხმობილია პროფ. ლიდია ჭკადუას მონოგრაფიიდან: Л.П. Чкадуа. Система времен и основных модальных образований в абхазско-абазинских диалектах. Тб., 1970.

აშხარულ დიალექტში იმავე ტიპის ზმნებში ამოსავალი -უა-ჲტ სუფიქსური კომპლექსი ასევე არ დასტურდება, მაგრამ გვაქვს გაცილებით უფრო მეტი ვარიანტი, ვიდრე აბჟუურსა და ბზიფურ კილოებს აქვთ: ამ ორ უკანასკნელ კილოსთან სა-ზიაროა -უე-ჲტ დაბოლოება; ბზიფურთან საერთოა -უო-ტ ვარი-ანტი; კუვინსკის კილოკავში გავრცელებულია *-უა-ჲტ > *-ა-ჲტ > -ე-ჲტ სახეობა, რომელიც საზიაროა აფსუის კილოკავთანაც, მაგრამ ამ უკანასკნელში პროცესი უფრო შორსაა წასული და ტ-ს კვეცის გამო დასტურდება -უ-ჲ დაბოლოებაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშხარულ დიალექტში მოქმედებს უ თანხმოვნის პროგრესული მაასიმილირებელი ზეგავლენაც, მაგრამ უფრო ძლიერია ჲ ფონემის რეგრესული მაასიმილირებელი ძალა, რაც იწვევს როგორც ახლანდელი დროის -უა სუფიქსის თან-ხმოვნის რედუცირებას, ისე ამავე სუფიქსის ა ხმოვნის ასიმი-ლაციასაც. ბოლოკიდურა ტ თანხმოვნის მოკვეცა, რაც აფსუ-ის კილოკავში სისტემებრ დასტურდება, სხვა ტენდენციის გა-მოვლინებაა და ამჯერად ჩვენთვის არსებითი არ არის.

ტაჰანთური დიალექტი იმავე შემთხვევებში წარმოგვიდგენს საკმაოდ განსხვავებულ ვითარებას: აქ ზმნური ძირის თანხმო-ვანს ერთვის -ჳ-ჲტ > -ით // -ჳ-ჲდ > -იდ, ან ძალზე იშვიათად -ჯ-ტ > -უ-ტ დაბოლოებები. პროფ. ლ. ჭკადუას აზრით, ამ და-ბოლოებებში ახლანდელი დროის -უა სუფიქსი წარმოდგენილი არ არის[46], რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან, მართალია, დასახელებულ ვარიანტებში ეს სუფიქსი უცვლელად არ დას-ტურდება, მაგრამ მისი კვალი მაინც ჩანს: -ჯ-ტ ვარიანტი ამო-სავალ -უა-ჲტ სახეობაში ჲ ფონემის გავლენით ა ხმოვნის ნე-იტრალურ ხმოვნად ქცევის შედეგადაა მიღებული, ხოლო ამ უკანასკნელის ჯ მარცვლის შერწყმით წარმოქმნილა უ ხმოვა-ნი და ჩამოყალიბებულა -უ-ტ დაბოლოება. რაც შეეხება -ჳ-ჲტ

[46] Л.П. Чкадуа. დასახ. ნაშრ., გვ. 84.

სახეობას, მასში ნეიტრალური ხმოვანი ახლანდელი დროის -უა სუფიქსის უ თანხმოვნის რედუქციისა და მისი მომდევნო ა ხმოვნის ნეიტრალურ ხმოვნად ტრანსფორმაციის შედეგია, ხოლო -იტ სუფიქსში ი ხმოვანი მიღებულია ჲ მარცვლის შერწყმის გზით. -ჲ-იტ ვარიანტი გვიჩვენებს, რომ მის წარმოქმნაში გადამწყვეტი როლი ი ფონემის მაასიმილირებელ ზემოქმედებას უთამაშია, ხოლო -უჲ-ტ სახეობა საპირისპირო ტენდენციის სიძლიერეზე მიუთითებს: მის წარმოქმნაში მთავარი უ თანხმოვნის გაელენა ყოფილა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ტაპანთური დიალექტის ოთხივე დაბოლოება მაინც ამოსავალი -უა-იტ სუფიქსური კომპლექსისაგანაა წარმოქმნილი.

თუ ზმნის ძირი ბოლოვდება ცალ ა ხმოვანზე (გარდა აა, ჰა სეგმენტებით დაბოლოებული ძირებისა), აწმყოს ფინიტური ფორმები დიალექტებში მრავალფეროვან სურათს წარმოგვიდგენენ:

აბჟუურ დიალექტში ამოსავალი -უა-იტ დაბოლოება აღარ დასტურდება, რადგან ამ დაბოლოების ა ხმოვანი მომდევნო ი ფონემის ზეგაელენით ყველგან და ყოველთვის შეცვლილია ე ხმოვნით, ანდა პირიქით, იგივე ა ხმოვანი წინამავალი უ ფონემის ზემოქმედებით გარდაქმნილია ო ხმოვნად, ანუ დიალექტში ერთდროულად მოქმედებს ასიმილაციის ურთიერსაპირისპირო ტენდენციები: ასიმილაცია ერთ შემთხვევაში რეგრესულია, მეორეში – პროგრესული. ასეა მიღებული უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში შემორჩენილი ა-უე-იტ და ა-უო-იტ დაბოლოებები. მაგრამ აქვე უფრო მასობრივადაა გავრცელებული მესამე ვარიანტი, რომელშიც ძირისეული ბოლოკიდურა ა ხმოვანი ერწყმის მის მომდევნო ახლანდელი დროის -უა დიფთონგურ სუფიქსს და წარმოიქმნება *ა-უა-იტ > ო-იტ დაბოლოება. თავის მხრივ ამ ო-იტ სახეობისაგან მიიღება, ერთი მხრივ, ო-ტ და, მეორე მხრივ, ო-ტ ვარიანტები. საყურადღებოა, რომ ა-უე-იტ და ა-უო-იტ დაბოლოებები არ გარდაიქმნება *ო-უე-იტ და *ო-უო-იტ

სახეობებად (შდრ. *ა-უა-იტ > ო-იტ) და თუ რატომ, ძნელი სათქმელია.

ბზიფურ დიალექტში ცალ ა ხმოვანზე დამთავრებულ ძირებიან ზმნებში ზუსტად იგივე ვითარებაა, რაც აბუუურ დიალექტში.

აშხარულ დიალექტში დასტურდება აბუუურ-ბზიფურის ტიპის ა-უე-იტ, *ა-უა-იტ > ო-იტ > ო-ტ (კუვინსკის კილოკავში), *ა-უა-იტ > ო-იტ > რტ (კუვინსკის კილოკავში) და მათთან ახლომდგომი -უო-ტ ვარიანტები. პირველ შემთხვევაში ძირისეული ა ხმოვანი უცვლელია, მეორე და მესამე შემთხვევებში ა ხმოვანი ახლანდელი დროის -უა სუფიქსთან შერწყმის ნიადაგზე იძლევა ო ხმოვანს, ხოლო ბოლო ვარიანტში ა ხმოვანი საერთოდ რედუცირებულია. იქვე არსებობს სხვა სახეობებიც: კუვინსკის კილოკავში – *ა-უა-იტ > *ო-უა-იტ > ოა-ტ, აფსუის კილოკავში – *ა-უა-იტ > *უა-იტ > უ-იტ > უ.

შესაბამის შემთხვევებში **ტაპანთურში** არ ჩანს ახლანდელი დროის -უა სუფიქსი და მატერიალურად წარმოდგენილია მხოლოდ -იტ > -იდ სუფიქსი, ხოლო ძირისეული ა ხმოვანი რედუცირებულია. ამის გამო არც ძირში და არც დაბოლოებაში სხვა ფონეტიკური ცვლილებები აღარ ხდება: როგორც ზემოთაც ვნახეთ, ტრანსფორმაციას ძირითადად განიცდის ძირისეული ხმოვანი, ან/და ახლანდელი დროის სუფიქსი, რაკი ეს ელემენტები ზმნას არ შერჩება, არც ფონეტიკური ცვლილების საფუძველი არსებობს.

რომ შევაჯამოთ აწმყოს ფინიტური ფორმის წარმოების მონაცემები აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში, შემდეგ დასკვნებს მივიღებთ:

1. უკლებლივ ყველა დიალექტს აერთიანებს ის, რომ ფინიტური აწმყოს ფორმის თავდაპირველი მაწარმოებელი ყოფილა -უა-იტ დაბოლოება, რომელიც დღემდე შემოუნახავს აბუუურ დიალექტს. შესაბამისად, ამ არქეტიპის აღდგენა გვაყარაუდებინებს, რომ -უა-იტ დაბოლოება წინარე აფხაზურ-აბაზური ენის დაშლამდე დიდი ხნით ადრე გაჩენილა, ჯერ კიდევ მანამ,

სანამ დაიწყებოდა **ე, ი, ო, უ** ხმოვანთა ჩამოყალიბების პროცესი;

2. ფინიტური აწმყოს ფორმის მაწარმოებელ დაბოლოებაში, როგორც ჩანს, ყველაზე ადრე **ე** და **ო** ხმოვნები გაჩენილა, ოღონდ უნდა დავაზუსტოთ, რომ ვინაიდან **ე** და **ო** ხმოვნები არ დასტურდება ტაპანთური კილოს ფორმებში, ეს ხმოვნები წარმოქმნილი უნდა იყოს ტაპანთური დიალექტის გამომიჯვნის შემდეგ, აშხარულ-აფსუური ერთობის შიგნით, ხოლო იმავე დაბოლოების ტაპანთურ ვარიანტებში **უ** და **ი** ხმოვნები ამ დიალექტის დამოუკიდებლად არსებობის დაწყებიდან კარგა ხნის მერე ჩანს წარმოქმნილი (შდრ. სხვაობა ანლაუტის მონაცემთა მიხედვით: ამ პოზიციაში აფხაზურ-აბაზური ენის საბოლოო დაშლის წინ ფონემად ჩამოყალიბების მიდრეკილება უკვე ჰქონიათ **ი** და **უ** ხმოვნებს, ხოლო **ე** და **ო** ხმოვნებს უფრო გვიან უკისრიათ ფონემის ფუნქციები).

ინფინიტური წარმოება.

თუ ზმნის ძირი წარმოადგენს თანხმოვანს, ან ბოლოვდება თანხმოვნით, ანდა **აა, ჰა** სეგმენტებით, **აბჟუურ დიალექტში** აწმყოს ინფინიტური ფორმის წარმოებისას ძირის ბოლოკიდურა ბგერას ემატება ახლანდელი დროის **-უა** სუფიქსი და არ ხდება არანაირი ფონეტიკური ცვლილებანი.

ბზიფურ დიალექტში იმავე შემთხვევებში ახლანდელი დროის **-უა** სუფიქსის **ა** ხმოვანი წინა ბგერის ზეგავლენით იძლევა **ო** ხმოვანს, თუმცა აქვე დასტურდება აბჟუურის ტიპის ვარიანტებიც.

აშხარულ დიალექტში იშვიათად დასტურდება **-უა > -უო** ვარიანტები, სამაგიეროდ უფრო გავრცელებულია ამ სუფიქსის **უ** თანხმოვნის დაკარგვისა და მხოლოდ **-ა** ხმოვნის გამოყენების შემთხვევები.

ტაპანთურ დიალექტში აბჟუური დიალექტის მსგავსი ვითარებაა და **-უა** სუფიქსი უცვლელი რჩება.

როცა ზმნის ძირი ბოლოვდება ცალ **ა** ხმოვანზე (**აა, ჰა** სეგმენტებით დაბოლოებულ ზმნათა გარდა), ფონეტიკური ვარიანტები უფრო მეტია. კერძოდ:

აბჟუურ დიალექტში დასტურდება **ა-უა > ო // რ** ვარიანტები.

ბზიფურ დიალექტში წარმოდგენილია ***ა-უა > ო-უა > ო** სახეობები.

აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში გვხვდება **ა-უა, ა-უო, ო-უა, ო-უო, ო-ა, ო // რ** დაბოლოებები, ხოლო აფსუის კილოკავში – ან **ა-უა**, ანდა ***ა-უა > *ჳჳ > უ**.

ტაჰანთურ დიალექტში არის მხოლოდ **ა-უა**, ანდა ***ა-უა > *ჳჳ > უ** ვარიანტი.

ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამოსავალი **თანხმოვანი + -უა** და **ა-უა** ვარიანტებისაგან **ო** და **უ** ხმოვნები მიღებულია აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დაშლის შემდეგ, ყოველ დიალექტში ცალ-ცალკე. ამისი მანიშნებელია ამოსავალი **თანხმოვანი + -უა** და **ა-უა** ვარიანტების უცვლელად შენარჩუნება ყველა დიალექტში.

აორისტი.

ფინიტური წარმოება.

თუ ზმნის ძირი წარმოადგენს თანხმოვანს, ან ბოლოვდება თანხმოვნით, ანდა **აა, ჰა** სეგმენტებით, **აბჟუურ, ბზიფურ და აშხარულ დიალექტებში** ძირს უშუალოდ მოსდევს ფინიტობის **-ჲტ > -იტ > -ტ** სუფიქსი და არ ხდება არანაირი სხვა ცვლილებები, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავში იკარგვის ეს **ტ** თანხმოვანიც.

ტაჰანთურ დიალექტში ანალოგიურ ვითარებაში გამოიყენება მხოლოდ ***-იტ** სუფიქსის გამარტივებული **-ტ > -დ** ვარიანტები.

როცა ზმნის ძირი ბოლოვდება ცალ **ა** ხმოვანზე (**აა, ჰა** სეგმენტებით დაბოლოებულ ზმნათა გარდა), **აბჟუურ დიალექტში** ძირისეული **ა** ხმოვანი ფინიტობის **-ჲტ** სუფიქსის **ჲ** ფონემის ზეგავლენით განიცდის ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციას და იძლევა **ე** ხმოვანს: ***ა-ჲტ > ე-ჲტ**.

ბზიფურ დიალექტში იმავე პირობებში ძირისეული ა ხმოვანი რედუცირდება, ხოლო ფინიტობის სუფიქსმა შეიძლება დაკარგოს ჲ ბგერა: *ა-ჲტ > *ჳ-ჲტ > ჳ-ტ > -ტ. ზოგჯერ ძირისეული ა ხმოვანი არ რედუცირდება და დაბოლოება ინარჩუნებს ამოსავალ ა-ჲტ სახეს, ან ბზიფური ფორმა ემთხვევა აბჟუურს, ანდა რედუცირდება ფინიტობის სუფიქსის ჲ ბგერა: ა-ჲტ > ჳ-ჲტ, ა-ტ.

აშხარულ დიალექტში გავრცელებულია როგორც აბჟუური, ბზიფური და ტაპანთური დიალექტებისათვის დამახასიათებელი დაბოლოებები, ისე მათგან განსხვავებული ვარიანტებიც. აბჟუურის ტიპისაა ჳ-ჲტ დაბოლოება, ბზიფურის ანალოგიურია ძირეული ხმოვნის რედუქციით მიღებული ჳ-ჲტ ვარიანტი, ხოლო ტაპანთურს ემსგავსება ოდენ -ტ სუფიქსიანი დაბოლოება. საკუთრივ აშხარულ ნიადაგზეა მიღებული *ა-ჲტ > *ჳ-ჲტ > ჳ-ტ > ჳ-ტ დაბოლოებანი.

ტაპანთურ დიალექტში როგორც თანხმოვანზე, ისე ხმოვანზე დაბოლოებული ძირები სხვაობას არ იძლევიან. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ამის მიზეზი ისაა, რომ ამ დიალექტში ფინიტობის -ჲტ სუფიქსი წარმოდგენილია მხოლოდ ტ // დ თანხმოვნების სახით, მათ კი არ შეუძლიათ მაასიმილირებელი ზეგავლენის მოხდენა მეზობელ ხმოვან ფონემებზე[47].

ინფინიტური წარმოება.

იმის გამო, რომ აორისტის ინფინიტური ფორმები არ დაირთაყენ დროისა და ინფინიტობის სუფიქსებს, ზმნები ამ ნაკვთში ყველა დიალექტში წარმოდგენილია წმინდა ფუძის სახით და, შესაბამისად, არც ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიან.

ამრიგად, აორისტის ფინიტურ და ინფინიტურ წარმოებათა მონაცემები გვიჩვენებენ, რომ აფხაზურ-აბაზური დიალექტებიდან სამში – აბჟუურში, ბზიფურსა და აშხარულში ახალი

---

[47] ქ. ლომთათიძე. აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ). თბ., 1944, გვ. 153-154.

ხმოვნებიდან მხოლოდ ე ხმოვანი დასტურდება. ეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამ ბგერის წარმოქმნა მოხდა მას შემდეგ, რაც ტაპანთური დიალექტი გაემიჯნა დანარჩენ აშხარულ-აფსუურ კონტინუუმს. თუმცა უნდა დავძინოთ: სერიოზული სხვაობანი აბუუურ, ბზიფურ და აშხარულ დიალექტებს შორის აორისტის ფინიტურ ფორმათა წარმოებაში და ე ხმოვნიანი ვარიანტების ნაკლები გავრცელება ბზიფურსა და აშხარულში უნდა ადასტურებდეს, რომ ე ხმოვნის ჩამოყალიბება ამ ფორმებში ახალი დაწყებული იყო, როცა აფხაზთა წინაპრები დაიძრნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთისაკენ, აქ კი ბზიფური კილოსაგან მალევე გამოეყო აბუუური კილო და დაიწყო პროცესის დამოუკიდებლად განვითარება დასახელებულ 3 დიალექტში.

§ 3. ორი ა ხმოვნის ისტორია აფხაზური ენის ძირეული და ნასესხები ლექსიკის მიხედვით

სპეციალურ ლიტერატურაში ცალკე განიხილება აფხაზური ენის ორი ა ხმოვნის (გრძელი ა-ს) საკითხი. მკვლევართა მიერ გამოვლენილია რამდენიმე კანონზომიერება ამ ფონოლოგიური ერთეულის წარმოქმნისა აფხაზურ ენასა და აბაზური ენის აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში (ორი ა ხმოვანი არ დასტურდება აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტსა და აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავში).

კერძოდ, ირკვევა, რომ:

1. ორი (გრძელი) ა ხმოვანი, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს სიტყვის თავშიც, შუაშიცა და სიტყვის ბოლოსაც, მომდინარეობს ლარინგალური ჰ თანხმოვნისა და ა ხმოვნის კომბინაციით შემდგარი მარცვლისაგან ლარინგალის დაკარგვის ნიადაგზე. მაგალითად: ტაპანთ., აფსუის კილოკ. ჰაბა "რვა (ნივთი)", ჰაგრა "მოტანა, მოყვანა", ბჰაძა "სველი", ხჭა "ტკივილი"... – აფხაზ., კუვინსკის კილოკ. ააბა "რვა (ნივთი)",

ააგარა "მოტანა, მოყვანა", (ა-)ბააძა "სველი", (ა-)წაა "ტკივილი"...[48]

აფხაზურში ორი (გრძელი) ა ხმოვნის წარმოქმნის დროის გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა აქეს სიტყვათა ერთი ჯგუფის ფონეტიკურ ისტორიას:

ა. აფხაზურში ამჟამად დასტურდება ღობის აღმნიშვნელი **აანდა** სიტყვა, რომელსაც აბაზურის ტაპანთურ დიალექტსა და აშხარული კილოს აფსუის კილოკავში შეესაბამება **ჰანდა** "ღობე". საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა შესულია სამურზაყანოულ მეგრულ მეტყველებაში **ღანდა** ფორმით, რომელშიც **ღ** თანხმოვანი აშკარად მიანიშნებს, რომ **სიტყვა მაშინაა ნასესხები, როცა აფხაზურ ენაში ჯერ კიდევ არსებობდა ლარინგალური მჟღერი ჰ თანხმოვანი**, რომელიც მეგრულმა მეტყველებამ შეცვალა მასთან ფონოლოგიურად ახლომდგომი **ღ** თანხმოვნით. ეს სიტყვა სამურზანოულ მეგრულს შეეძლო ესესხებინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები დასახლდნენ ახლანდელი სამურზაყანოს მიმდებარე მიწაზე, ანუ XVIII საუკუნეში;

ბ. გალისა და ოჩამჩირის რაიონებს ერთიმეორისაგან მიჯნაეს მდინარე ღალიძგა, რომელსაც მეგრულ დიალექტზე **ღალიძგა**, ხოლო აფხაზურად **აალძგა** ეწოდება. აფხაზური ფორმა არ დასტურდება ძველ წყაროებში მაშინ, როდესაც მეგრული ვარიანტი ქართულ წყაროებში დამოწმებულია 1639 წლიდან სწორედ **ღალიძგა**-ს სახით და ერქვა ამ მდინარის ნაპირზე მდებარე სოფელს, სადაც დადიანების სასახლეც მდგარა. შემდეგ სახელი მეტონიმიის გზით მდინარეზეც გადატანილა.

---

[48] ქ. ლომთათიძე. გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნაში. ენიმკის მოამბე, ტ. XII. თბ., 1942, გვ. 9; ქ. ლომთათიძე. აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ). თბ., 1944, გვ. 11 და 28; ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I... თბ., 1976, გვ. 25-26.

მეგრულად **ღალიძგა** "ღელის ნაპირს" ნიშნავს[49]. მისგანაა მიღებული ამ მდინარის ამჟამინდელი აფხაზური სახელი **აალძგა**: **ღა** მარცვალი გამარტივებულა **აა** ბგერებად და მომხდარა **ი** ხმოვნის რედუქცია[50]. **ღა** მარცვლის ამგვარი ცვლა აფხაზურ ენაში მოულოდნელი არაა, ვინაიდან, როგორც ქ. ლომთათიძემ დაადგინა, ორი **ა** ხმოვანი (**აა**) ამ ენაში წარმოიქმნება **ღა** მარცვლისგანაც[51]... სახელი რომ აფხაზურიდან შესულიყო მეგრულში, მაშინ ამ უკანასკნელში უნდა არსებულიყო ***ალძგა** ფორმა, რაც არსად დასტურდება, **ა** ხმოვნით დაწყებულ ფუძეებს კი აფხაზურში მეორე **ა** ხმოვანი არასოდეს ერთვის. მაშასადამე, ირკვევა, რომ მდინარის სახელში აფხაზურმა ენამ ორი **ა** ხმოვანი წარმოქმნა **ღა** მარცვლის სანაცვლოდ და ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ ამ ტერიტორიაზე აფხაზთა მასობრივად დასახლების შემდგომ, ანუ XVIII საუკუნის დასაწყისიდან;

გ. ეელია ჩელების აფხაზურ და მეგრულ ჩანაწერებში, როგორც ზემოთ ითქვა, წარმოდგენილია ამოსავალი **ჰაძრა** "მოსვლა" ზმნის ბრძანებითი კილოს არა მოსალოდნელი არქაული **უჰაძ > *უღაძ** სახეობა, არამედ მისი ტრანსფორმირებული **ვაძ < უაძ** "მოდი (მამაკ.)!" ფორმა, რაც იმისი დასტურია, რომ 1641 წლისათვის მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე დასახლებულ აფხაზთა მეტყველებაში **ჰა > აა** პროცესი დაწყებული ყოფილა;

ეს ფაქტები საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, რომ **ლარინგალური ჰ ფონემის მოშლის ტენდენცია უკვე XVII საუკუნის 30-40 წლებში მოქმედებდა და ეს ბგერა აფხაზურ ენას საბოლოოდ დაუკარგავს XVIII საუკუნიდან, შესაბამისად, სავარაუ-**

---

[49] პ. ცხადაია. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია (ენათმეცნიერული გამოკვლევა). თბ., 2004, გვ. 41-42.

[50] ქ. ლომთათიძე. **ღალიძგა**-ს გაგებისათვის. – XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1999, გვ. 43-44.

[51] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტ.-შედარ. ანალიზი. I..., გვ. 28.

დოა, რომ ორი (გრძელი) ა ხმოვნის წარმოქმნა ჰა მარცვლის სამაგიეროდ აფხაზურში უნდა დასრულებულიყო ამავე დროს. აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავის მონაცემები მიუთითებს იმაზეც, რომ ჰა > აა პროცესი დაწყებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ აფხაზთა წინაპრების ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე დასახლების წინ, XVI საუკუნისათვის.

დ. თითქმის მთელ სამეგრელოში, ძირითადად მწყემსთა მეტყველებაში, გავრცელებულია სიტყვა **აფუნი** "საქონლის მთაში არეკვის დრო, გაზაფხულ-ზაფხულის მიჯნა", რომელიც მომდინარეობს აფხაზური **ააფჳნ** სახეობისაგან, შდრ. აბაზური **ჰაფჳნ** (მ. ბუკია). ის ფაქტი, რომ ამ სიტყვის მეგრულ ვარიანტში არ დასტურდება ღ თანხმოვანი (შდრ. **ღანდა**), ნათლად მიგვანიშნებს, რომ სიტყვა მეგრულში უნდა შესულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც აფხაზურში უკვე აღარ არსებობდა ჰ თანხმოვანი, ე.ი. არა უადრეს XVIII საუკუნისა.

აშკარად XVI საუკუნემდე, აშხარულ-აფსუური ენობრივი ერთობის დაშლამდეა აფხაზურში ყარაჩაულ-ბალყარულიდან, ან თურქულიდან ნასესხები შემდეგი სიტყვები, რომლებშიც აა მომდინარეობს ჰა // ღა მარცვლებისაგან. მაგრამ არც ის გამოირიცხება, რომ ჰა > აა პროცესი ენაში XVI საუკუნის მერეც მომხდარიყო:

აამაბ "წამება, ტანჯვა, ვაება", შდრ.: აბაზ. **ჰაზაბ**, ადიღ.-ყაბ. **ჰჳზაბ**, თურქ. **აზაფ** (მომდინარეობს არაბულიდან)[52], ყარაჩ.-ბალყარ. **აზაბ**. ჩვენი აზრით, სიტყვა ნასესხებია აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის დაშლამდე ყარაჩაულ-ბალყარული ენიდან, როცა აბაზური და ადიღეურ-ყაბარდოული ენების მსგავსად აფხაზურშიც არსებობდა ჰ ფონემა. აფხაზური აა სწორედ მისი მოშლის რეფლექსია. სესხების ამ გზაზე უნდა მიანიშნებდეს აფხაზურ-აბაზურ და ადიღეურ-ყაბარდოულ ფორმათა აუსლაუტში ბ თანხმოვნის არსებობა მაშინ,

---

[52] А.К. Шагиров. Заимствованная лексика абхазо-адыгских языков. М., 1989, გვ. 84.

როდესაც თურქულში მის ნაცვლად **ფ** თანხმოვანია წარმოდგენილი;

ა-მაანა "ხერხი, ილეთი; ეშმაკობა", შდრ.: აბაზ. **მაჰანა** "აზრი; მნიშვნელობა", ადიღ.-ყაბ. **მაჰან // მაჰან // მჰან**, თურქ. **მანა** "აზრი, მნიშვნელობა; იდეა" (მომდინარეობს არაბულიდან)[53], ყარაჩ.-ბალყარ. **მაღანა**. გამისესხებელი ენა ამ შემთხვევაშიც ყარაჩაულ-ბალყარული ჩანს. აბაზური ვარიანტი გვიკარნახებს, რომ ეს სიტყვაც ნასესხებია აფხაზურ-აბაზური ერთობის მოშლამდე;

ა-ნაალეთ "წყეველა, კრულვა", შდრ.: აბაზ. **ნალათ // ნაჰალათ**, ადიღ.-ყაბ. **ნალათ**, სასაუბრო თურქული **ნალეთ** (არაბული **ლანეთ** ფორმიდან)[54], ყარაჩ.-ბალყარ. **ნალათ**. აბაზური **ნაჰალათ** ვარიანტი გვიკარნახებს, რომ ეს სიტყვა თურქულიდანაა შეთვისებული აფხაზურ-აბაზური ერთობის ეტაპზე და შემდგომ განიცადა ცვლილება აფხაზურში;

ა-ზაანდაყ "მშვილდი; ისარი", შდრ. აბაზ. **საჰზნდაყ** "მშვილდი; ისარი", ადიღ.-ყაბ. **სალზნდაყ** "კაპარჭი და მშვილდ-ისარი", უბიხ. **სალზნდაჯ** "არბალეტი". ნასესხებია თურქულ ენათაგან[55]. აშკარაა, რომ აფხაზური ფორმა მომდინარეობს აბაზურში დაცული ვარიანტისაგან;

ა-ფაამბარ "წინასწარმეტყველი" (მუჰამედის ეპითეტი ისლამში), შდრ.: ადიღ.-ყაბ. **ფელჟმბარ // ბელჟმბარ**, უბიხ. **ფალამბარ**, აბაზ. **ფიჰჟმბარ**, სპარსულიდან მომდინარე თურქული **ფეღამბარ**[56], ყარაჩ.-ბალყარ. **ფაღამბარ // ფაჲღამბარ**. აბაზური და აფხაზური ფორმების შედარება, ერთი მხრივ, უბიხურ-ჩერქეზულ, ყარაჩაულ-ბალყარულ და, მეორე მხრივ, სპარსულ-თურქულ ვარიანტებთან გვაფარაუდებინებს, რომ ტერმინი ნასესხებია ყარაჩაულ-ბალყარულიდან და აფხაზურ-აბაზური ერ-

---

[53] იქვე, გვ. 85.
[54] იქვე, გვ. 80.
[55] А.К. Шагиров. დასახ. ნაშრ., გვ. 118.
[56] იქვე, გვ. 81.

თიანობის დროს სიტყვა ულერდა როგორც *ფაძლამბარ, რომელმაც შემდგომ, როცა აფხაზური და აბაზური გამოეყვნენ ერთმანეთს, სხვადასხვა ცვლილება განიცადა აფხაზურსა და აბაზურში: აბაზურში ღ ფონემას ჩაენაცვლა ჰ ბგერა და ა ხმოვანი ნეიტრალურ ხმოვნად იქცა, ხოლო აფხაზურში მთლიანად რედუცირდა აძ დიფთონგი და ღა მარცვალი შეიცვალა აა ხმოვნებით;

ა-საათ "საათი", შდრ.: აბაზური საჰათ, თურქ. saat, ყარაჩ.-ბალყარ. сәләт. მიიჩნევენ, რომ სიტყვა თურქულიდანაა ნასესხები აფხაზურშიცა და აბაზურშიც (ა. შაგიროვი), მაგრამ, ვფიქრობთ, არ გამოირიცხება მისი სესხება ყარაჩაულ-ბალყარული ენიდან და ღა > აა პროცესი აფხაზურში, ხოლო ღა > ჰა პროცესი აბაზურში.

2. ორი (გრძელი) ა ხმოვანი მიღებულია აჰ//ჰა მარცვლისაგან ჰ თანხმოვნის დაკარგვის ნიადაგზეც. აჰ//ჰა ვარიანტები შემორჩენილია ხოლმე არა მარტო ტაპანთურ და აშხარულ დიალექტებში, არამედ ბზიფურ და აბჟუურ კილოებშიც კი, მაგრამ უფრო ძველი სახეობები მაინც ტაპანთურს აქვს დაცული, სადაც აჰ//ჰა მარცვალთა მაგიერ, ან პარალელურად წარმოდგენილია თავდაპირველი აჰ // ჰა მარცვალი: აფხაზ., აშხარ. აკლაარა//აკლჰარა, ტაპ. კლჰარა "ჭუჭრუტანა, ხვრელი", აბჟ. ახაახჳთრა, ბზიფ. ახჰახჳთრა, ტაპ. ხჰახჳთრა "ვაჭრობა"...[57] ამგვარი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ცვლილებანი ასეთი სახისა ყოფილა: აჰ // ჰა > აჰ // ჰა > აა.

ჰ თანხმოვნის დაკარგვის გზითაა მიღებული აა თურქულიდან, ან ყარაჩაულიდან ნასესხებ აფხაზურ ა-საან "თეფში" სიტყვაში, შდრ.: აშხარული დიალექტის საჰან, ყაბ. сҳән, დასავლურქართული დიალექტების საინი < თურქ. saһan "სპილენძის თეფში"[58], ყარაჩ. саһан "დიდი თეფში; ლანგარი". სე-

[57] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტ.-შედარ. ანალიზი. I..., გვ. 26.

[58] А.К. Шагиров. დასახ. ნაშრ., გვ. 104.

მანტიკის მხრივ ყარაჩაული ვარიანტი უფრო ახლოა აშხარულ-აფხაზურ ფორმებთან.

3. იშვიათად ორი **ა** ხმოვანი წარმოდგენილია აფხაზურ სასაუბრო ენასა და აშხარულ დიალექტში **ყა** მარცვლის ნაცვლად **ჟ** თანხმოვნის დასუსტებისა და გაქრობის ნიადაგზე: დაბაა-უ < დაბაჟა-უ < დაბაყაუ "სად არის?", (ა)უაა < (ა)უაჟა < (ა)უაყა "იქ"[59]...;

4. ბზიფურ დიალექტში ასევე იშვიათად ორი **ა** ხმოვანი მიღებულია ზმნის პირობითი კილოს მაწარმოებელი **-ზარ** სუფიქსის **ზ** სპირანტის დაკარგვის ნიადაგზე: ɑააღუაარ < ɑააɑაზარ "თუ მოვა", იზბუაარ < იზბუაზარ "თუ ნახავთ"[60]...;

5. სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ აფხაზურში ცალკეულ სიტყვებში, უმთავრესად ნასესხებ მასალაში, **აა** მიღებულია თანხმოვანთა ჩავარდნის (ან **ი, უ** ხმოვანთა მონაცვლე **ɑ, ჭ**-ს ჩავარდნისა თუ **ა** ხმოვანთან ასიმილაციის) ნიადაგზე: ა-მაათ "მანეთი" (შდრ. მანათი), ა-ლუმაათ (// ალუმანათ) "ლიმონათი", ა-მაამჭნ (შდრ. ტაპ. მიმუნ // მაɑმუნ) "მაიმუნი", ა-ზანაათ (რუს. **занятие**) "პროფესია", ა-თაარგხ (//ა-თაურგხ//ა-თოურგხ) "ისტორია", მაააცხლ "ბუასილი"... განსაკუთრებით ეს მაშინ ხორციელდება, როცა **ა** ხმოვნის გვერდით **ღ** სპირანტია: ა-ბლაამ "ბალღამი", ა-კმაან "კ'უმღანი, თითბრისგან დამზადებული წყლის ჭურჭელი"[61]...;

მაშასადამე, ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ორი **ა** ხმოვნის წარმოქმნას განაპირობებენ წმინდა ფონეტიკური მიზეზები: **ჰ, ჰ, ყ, ზ, ღ** თანხმოვან ფონემათა შესუსტება-მო'შლის ტენდენცია და **ɑ, ჭ** ფონემათა ასიმილაცია. მაგრამ ამ ფონეტიკურად კანონზომიერ გარდაქმნათა გარდა სპეციალისტები აფხაზურ ენაში ადასტურებენ ორი **ა** ხმოვნის წარმოქმნის ისეთ შემთხვევებსაც, რომლებსაც არ განაპირობებენ ფონეტიკური

---

[59] იქვე, გვ. 27.
[60] იქვე, გვ. 27.
[61] იქვე, გვ. 27-28.

ფაქტორები. ჩვენ იმასაც დაეძებნთ, რომ ამგვარი შემთხვევები შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ის რამდენიმე სიტყვა, რომლებშიც ორი (უკეთ, გრძელი) **ა** ხმოვანი აშკარად მიღებულია სიტყვათა ექსრესიულ-ემოციური დატვირთულობის ნიადაგზე. მაგალითად:

ზმნისართი **დაარა // დარა** "ძალიან, ძალზე" მომდინარეობს აბაზურ ენაში დაცული ამოსავალი **დარა** ვარიანტისაგან (შდრ. ქართული **ძალიან** და **ბლიან // ბაან**);

ფშალა // ფშაალა // ფშალა "ნელა, წყნარად" (შდრ. ქართ. **ნელა**);

აგააურ // გაურ "გიაური, ურჯულო" (სალანძღავი კონოტაციით) < თურქ. **გიავურ** (არაბულიდან)[62];

ა-ქააფგრ // ა-ქაფგრ "ქაფირი, ურჯულო" (სალანძღავი კონოტაციით) < თურქ. **ქაფირ** (არაბულიდან)[63]...

სიტყვათა **მეორე ჯგუფს**, რომლებშიც ორი (გრძელი) **ა** ხმოვანია წარმოდგენილი, განეკუთვნება შემდეგი ნასესხები ლექსიკა:

თურქული ენის მეშვეობით ნასესხები საკუთრივ თურქული და არაბული სიტყვები:

ა-კაამეთ "საშინელება; უბედურება; მეორედ მოსვლა", შდრ. თურქ. **აკამეთ//კიამეთ** "უნაყოფობა, სიბერწე; უშედეგობა, წარუმატებლობა; მკვდრეთით აღდგომა, მეორედ მოსვლა; ცუდი, საშინელი, ყიამეთი; ალიაქოთი, არეულობა, ა'ურზაური", ყარაჩ.-ბალყარ. **ყიამათ** "მეორედ მოსვლა" (მომდინარეობს არაბულიდან);

ა-ჯაამა "ჯამე, მუსლიმთა სალოცავი", შდრ. უბიხ. **ჯამი // ჯამია // ჯამგია** < თურქ. **ჯამი // ჯამია** (მომდინარეობს არაბულიდან)[64];

---

[62] იქვე, გვ. 28.

[63] А.К. Шагиров. დასახ. ნაშრ., გვ. 79.

[64] იქვე, გვ. 79.

ა-მაალქ "ანგელოზი", შდრ. აბაზ. **მალ'აიქ**, ადიღ.-ყაბ. **მლაჯიჩ // მლეჯეჩ < მლაჯიქ // მლეჯექ**, უბიხ. **მალაიქ** < არაბულიდან მომდინარე ოსმალური თურქული **მელაიქ** "ანგელოზი"[65];

ა-თაალემ "სამხედრო წვრთნა" < თურქ. **თალიმ** (არაბულიდან)[66];

ბზიფ. **ა-ზააიფ** "სუსტი, უძლური" < თურქ. **ზაიფ** (არაბულიდან)[67]. სიტყვის გავრცელება მხოლოდ ბზიფურ დიალექტში, ჩვენი აზრით, სესხების სიახლის მაუწყებელია...

აქვე უნდა დავაზუსტოთ ზემოთ, მე-5 პუნქტში დასახელებული 3 სიტყვის – **ა-ზანაათ** "პროფესია", **ა-თაარეხ (//ა-თაურეხ//ა-თოურეხ)** "ისტორია", **ა-მააიშეელ** "ბუასილი" – წარმოშობის საკითხი. ისინი აკად. ქ. ლომთათიძეს თანხმოვანთა ჩავარდნის, ან ასიმილაციის ნიადაგზე წარმოქმნილ სახეობებად მიაჩნდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, პროფესიისა და ისტორიის აღმნიშვნელი სიტყვები სწორედ სპონტანურად წარმოქმნილი ფორმები უნდა იყოს, ხოლო მესამე სიტყვის ისტორია ცოტა სხვაგვარად უნდა იხსნებოდეს. ამ დასკვნისაკენ გვიბიძგებს დასახელებულ სიტყვათა შედარება თურქული ენის მონაცემებთან. კერძოდ:

სიტყვა **ა-ზანაათ**, მართალია, ძალიან ჰგავს რუსულ **занятие**-ს, მაგრამ რეალურად მისი წყარო თურქიზებული არაბული **ზანაათ** "ხელობა" უნდა იყოს. თუ ეს ასეა, რაშიც ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ აფხაზური სახეობა ფონეტიკურად უცვლელი ფორმითაა გადმოღებული თურქულიდან და სიტყვაში არც რომელიმე თანხმოვანია დაკარგული და არც ასიმილაციაა მომხდარი, ვინაიდან არ არსებობდა საამისო ფონეტიკური გარემო.

ისტორიის აღმნიშვნელი სიტყვის 3 აფხაზური ვარიანტიდან ქ. ლომთათიძეს, როგორც ჩანს, ყველაზე გვიანდელ სახეობად

---

[65] იქვე, გვ. 80.
[66] იქვე, გვ. 118.
[67] იქვე, გვ. 120.

ა-თაარჭხ ფორმა მიაჩნდა, მაგრამ ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს თურქული ენის მონაცემები, სადაც არაბულიდან ნასესხებია **თარიხ** "ისტორია; მატიანე; თარიღი, რიცხვი" ფორმა, რომელიც არ შეიცავს **ო** ხმოვანსა და **უ** თანხმოვანს, რომლებიც წარმოდგენილია აფხაზურ **ა-თაურჭხ // ა-თოურჭხ** ვარიანტებში. ეს ბოლო ორი სახეობა მომდინარეობს არაბული **თარიხ** სიტყვის მრავლობითი რიცხვის **თევარიხ** ფორმისაგან დიფთონგიზაციის ნიადაგზე[68], ხოლო თვით **ა-თაარჭხ** სახეობის პირველწყარო თურქული **თარიხ** ფორმაა, რომელსაც აფხაზურ ნიადაგზე განუცდია შემდეგი ცვლილებანი: დაერთო აფხაზური ენის სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი პრეფიქსი **ა-**, მომდევნო **ა** ხმოვანი სპონტანურად დაგრძელდა, **ი** ხმოვანი **რ** თანხმოვნის შემდგომ კანონზომიერად გარდაიქმნა ნეიტრალურ ხმოვნად, ხოლო **ჰ** თანხმოვანს ჩაენაცვლა **ხ** თანხმოვანი.

რაც შეეხება აფხაზური **ა-მააიშჲლ** "ბუასილი" ფორმას, იგი მიღებულია არა ქართული **ბუასილ** ფუძისაგან, არამედ თურქული **მაჲასჲლ** ვარიანტისაგან ერთადერთი ცვლილების, **ჲ** თანხმოვნის მეტათეზისის (მეორე **ა** ხმოვანსა და **ს** თანხმოვანს შორის გადასმის) შედეგად. ამდენად ეს ვარიანტი ვერ ჩაითვლება თანხმოვნის დაკარგვის, ან ასიმილაციის პროდუქტად.

ცალკე უნდა განვიხილოთ აფხაზურში ქართველური სამეტყველო ერთეულებიდან შესული რამდენიმე სიტყვა, რომლებშიც სპონტანურადაა წარმოქმნილი ორი (გრძელი) **ა** ხმოვანი და სავარაუდო არ არის არც თანხმოვანთა დაკარგვა და არც ასიმილაცია. ეს სიტყვებია:

ა-გაბალაა "ხელგობი, მცირე გობი" < ქართ. სამწიგნ. **გობელა**;

---

[68] იქვე, გვ. 133. აფხაზურში ნასესხებ ლექსიკაში დიფთონგიზაციის შესახებ იხ.: Т.И. Гванцеладзе. Тенденция дифтонгизации в заимствованных словах в абхазском языке. - IX международный коллоквиум Европейского общества кавказоведов. Тезисы докладов. Махачкала, 1998, გვ. 35.

ა-ჟარაან "ყორანი; ყვავი" < ქართ. სამწიგნ. **ყორან-ი**;

ა-ხაან "ხანი, დრო", რომელიც, მართალია, აღმოსავლურ ენათა კუთვნილებაა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ნასესხები უნდა იყოს ქართულის მეშვეობით, შდრ. **ხან-ი** და ა.შ.

ცალკე უნდა ვიმსჯელოთ ამავე ჯგუფში შემავალი კიდევ ერთი ქართველური სიტყვის შესახებ. ესაა ცელის აღმნიშვნელი **ა-ჩალაა // ა-ჩაალა** ვარიანტები, რომლებიც უეჭველად მეგრული მეტყველებიდანაა შესული აფხაზურში, თუმცა ამჟამად თვით მეგრულში აღარ დასტურდება მათი პირველწყარო ***ჩალ-ი** "ცელი" სახეობა, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია სისინა ქართველური დიალექტების **ცელ-ი** სახეობისა. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში აფხაზური ენა რეალურად გვიდასტურებს მეგრულში ***ჩალ-ი** ვარიანტის ოდინდელი არსებობის ფაქტს. რაც შეეხება ორი (გრძელი) **ა** ხმოვნის წარმოქმნას აფხაზურ პარალელურ ფორმებში, იგი არ გამომდინარეობს მეგრული მეტყველებიდან, ვინაიდან მეგრულს არ ახასიათებს ხმოვნის ასეთი დაგრძელება. ამიტომ ორი (გრძელი) **ა** ხმოვანი სპონტანურადაა წარმოქმნილი სწორედ აფხაზურ ნიადაგზე. აფხაზურ ვარიანტთა პირველადობა-შემდგომადობის საკითხი, ჩვენი აზრით, ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

სესხების კანონზომიერებათა გათვალისწინებით, მოსალოდნელია, ჯერ გაჩენილიყო ფორმა ***ა-ჩალ**, რომელსაც მომდევნო ეტაპზე ბოლოში დაემატებოდა უფუნქციო **ა** ხმოვანი (აფხაზურში გავრცელებულ ამგვარ შემთხვევებს ქ. ლომთათიძე **ა**-ურ ვოკალიზაციას უწოდებდა), შემდეგ ამ ხმოვნის სპონტანური დაგრძელების გზით მივიღებდით ამჟამად რეალურად არსებულ **ა-ჩალაა > ა-ჩაალა** სახეობებს.

ვფიქრობთ, ზემოთ განხილული ენობრივი მასალა იძლევა შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას:

აფხაზურ ენაში ორი (გრძელი) **ა** ხმოვანი წარმოქმნილია სხვადასხვა მიზეზთა ზემოქმედებით – თანხმოვანთა ერთი ჯგუფის (**ჭ, ჰ, ჯ, ზ, ღ**) დაკარგვის, ასიმილაციის პროცესის ზეგავლენისა და სპონტანურ ცვლილებათა გზით. სპონტანურ ცვლილებათა მიზეზის დადგენა ამჟამად ჭირს, მაგრამ სამაგიეროდ ნა-

თელი ხდება, რომ ორი (გრძელი) ა ხმოვნის წარმოქმნა დაწყებულა ჯერ კიდევ XVI საუკუნემდე, აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის დაშლამდე და საბოლოოდ დასრულებულა არც ისე დიდი ხნის წინ, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე.

§ 4. არსებით სახელთა თავკიდურა (ანლაუტის) ა ხმოვნის სტატუსისათვის

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება აფხაზურ-ადიღურ ენათა შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების დადგენის სირთულის შესახებ, თუმცა არავისთვის საკამათო არ არის ამ ენათა საერთო წარმოშობა და სიახლოვე. მიუთითებენ ამგვარი სირთულის მიზეზებსაც.[69]

ბგერათშესატყვისობათა გამოსავლენად წინასწარ უნდა დადგინდეს შესადარებელ ფუძეთა რეალური შედგენილობა: რა არის მოცემული სიტყვის ძირი და რა ფუნქცია აკისრია მასზე დართულ აფიქსებს. ამ მხრივ მეტად თავისებური ვითარებაა აფხაზურ ენაში. ამ ენის მრავალი სახელის ფუძეთა და ძირთა საიდენტიფიკაციოდ უნდა გაირკვეს სტატუსი თავკიდურა, ანლაუტის ა ხმოვნისა, რომელიც შეიძლება იყოს ან ფუძის (ძირის) განუყოფელი ნაწილი, ანდა რომელიმე სიტყვათმაწარმოებელი კატეგორიის პრეფიქსი. ჩვეულებრივ, აფხაზურ სახელთა ფუძის (ხშირად – ძირის) გამოსაყოფად საჭირო ხდება სახელის ჩასმა ზოგი ისეთი სიტყვათმაწარმოებელი თუ გრამატიკული კატეგორიის ფორმაში, როგორიცაა: განუსაზღვრელობის, გარდაქცევითობის, ინსტრუმენტალისის, კუთვნილების, უქონლობის კატეგორიები. სახელის უცვლელი ნაწილი, რომელიც დასახელებულ კატეგორიებში იქნება წარმოდგენილი, უნდა ჩაითვალოს მოცემული სიტყვის ფუძედ.

---

[69] К.В. Ломтатидзе. К вопросу об обобщении позиционно обусловленного фонетического варианта. - "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული", ტ. VII, თბ., 1980, გვ. 104; К.В. Ломтатидзе. К вопросу о закономерном и регулярном характере звуковых соответствий. - "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული", ტ. IX, თბ., 1982, გვ. 16 და სხვ.

სახელთა ფუძის დადგენაში დახმარების გაწევა შეუძლიათ აგრეთვე ნასახელარ ზმნებსაც. ასეთ შემთხვევაში ზმნურ ფორმას ჩამოვაცილებთ პირ-კლასის, დრო-კილოთა და მოდალურ აფიქსებს და სხვა მორფოლოგიურ ინვენტარს, გავითვალისწინებთ მომხდარ ფონეტიკურ პროცესებს და რაც დარჩება, ის იქნება მოცემული სახელის ფუძე. მაგალითად, ფუძე **ხაწა** გამოიყოფა შემდეგ ნასახელარ ფორმათა ანალიზის შედეგად: ს-**ხაწო**-უპ "მე კაცი ვარ", დჳლ-**ხაწო**-უპ "ის მისი ქმარია", დ-**ხაწა**-ხეტ "ის დაკაცდა" და ა.შ.

ზოგჯერ ანლაუტის ა ხმოვანი შედის ფუძის შემადგენლობაში, მაგრამ არ არის ძირისეული ელემენტი. ამიტომ ასეთ სიტყვათა თავკიდურა ა ხმოვანი არ გამოეყოფა ფუძეს არც სახელთა სიტყვათწარმოებით ფორმებში და არც ნასახელარ ზმნებში. მაგალითად, როგორც დადგენილია, ფუძე სახელისა **ან** "დედა" შეიცავს თავკიდურა ა ხმოვანს, მაგრამ იგი არ არის ძირის ნაწილი. ეს ბგერა შენარჩუნდება ამ სახელის ნებისმიერ სიტყვათწარმოებით ფორმაშიც და ნასახელარ ზმნურ წარმოებებშიც: ანგ-კ "რომელიღაც დედა", ანგ-ს "დედად", ს-ან "დედაჩემი", ანგ-და "უდედო; უდედოდ", დ-ან-უპ "ის დელაა", დ-ან-ხეტ "ის დედა გახდა" და ა.შ. შდრ.: აჰ-ჴს აან "ხბოს დედა". ამ უკანასკნელი ფორმის საფუძველზე ივარაუდება, რომ სიტყვის ამოსავალი ფორმა ყოფილა **აან**, ხოლო **ან** ვარიანტში გამოსაყოფია აა- პრეფიქსისაგან მომდინარე ა- თავსართი.[70]

გაცილებით უფრო იოლია სხვა ენათაგან აფხაზურში ნასესხებ სახელთა ფუძისა და ძირის დადგენა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არსებობს საკონტროლო საშუალება მოკონტაქტე ენათა მონაცემების შეჯერებისა. მაგრამ **აფხაზურ ენაში არცთუ ისე იშვიათად ყოველგვარი მორფოლოგიურ-სიტყვათწარმოებითი ფუნქციის გარეშეც შეიძლება ფუძეს დაემატოს, ანდა მოაკლდეს თავკიდური ა ხმოვანი.**

---

70 ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორ.-შედარ. ანალიზი. I... თბ., 1976, გვ. 83-84.

ჩვენ მიერ აფხაზური მხატვრული ლიტერატურიდან, პრესიდან და ცოცხალი მეტყველებიდან ამოკრებილი ენობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით აფხაზურ ენაში გამოიყოფა როგორც საკუთრივ აფხაზური წარმოშობის, ისე სხვადასხვა ენიდან (ქართულიდან, ჩერქეზულიდან, რუსულიდან, თურქულიდან...) ნასესხებ არსებით სახელთა 3 ძირითადი ტიპი, რომელთაგან ერთი ტიპის სახელები მკაცრად იცავენ აფხაზური ენის მორფოლოგიურ წესებს, ხოლო დანარჩენი 2 ტიპის სახელები არღვევენ ამ წესებს და ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებს ავლენენ.

***

პირველ ძირითად, ორდინარულ ტიპს ქმნიან ის არსებითი სახელები, რომელთა თავკიდურა ა ხმოვანი წარმოადგენს სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის მაწარმოებელს და ჩამოსცილდება ფუძეს ზემოთ დასახელებულ სახელურ კატეგორიებსა და ნასახელარ ზმნურ ფორმებში. ამ ტიპში ერთიანდება საკუთრივ აფხაზურ სახელთა უმრავლესობა სხვა ენათაგან ნასესხებ სახელთა ნაწილთან ერთად. ამგვარი სახელებია:

ძირეული სიტყვები: ა-ხაწა "მამაკაცი; ქმარი", ა-ფჰჳს "ქალი; ცოლი", ა-ფა "ძე, ვაჟიშვილი", ა-ფჰა "ასული, ქალიშვილი", ა-ჭკჳნ "ბიჭი", ა-ჩჳ "ცხენი", ა-მშ "დათვი", ა-წლა "ხე", ა-ჳნჳ "სახლი", ა-ბჳსთა "ღომი", ა-მჰაწ "კოვზი", ა-ძჳ "წყალი", ა-მშჳნ "ზღვა", ა-ღბა "გემი", ა-ჭთა "სოფელი", ა-გაშ "ჭიშკარი", ა-დჳკრჳნ "ია", ა-ჟ "ძროხა", ა-ც "ხარი", ა-ჯმა "თხა", ა-უასა "ცხვარი", ა-ჟჳ "ხორცი" (ცოცხალი არსებისა), ა-კაც "ხორცი" (დაკლული საქონლისა და ფრინველისა), ა-ძაძა "ნამი, ცვარი", ა-ჭა "წვიმა", ა-ლაბა "ჯოხი", ა-ქდჳ "მორი, კუნძი", ა-ლაშ "ბრმა", ა-ყჳშ "ბრძენი", ა-მჩ "ძალა, ღონე"...;

ნასესხები სიტყვები: ა-ქაბზ "წესი, ადათი", ა-წას "წესი, კანონი", ა-ქატ "კეტი", ა-თაუად "თავადი", ა-მაწმაბა "მოწმობა", ა-ძღაბ "გოგონა", ა-კამბაშ "კამეჩი", ა-გაბან "ლეიბი, გობანი",

ა-ფენჯერ "ფანჯარა", ა-შკოლ "სკოლა", ა-მეხანიკ "მექანიკოსი", ა-სტოლ "მაგიდა", ა-სტანოკ "დაზგა" და ა.შ.

ამაყე ტიპში შეიძლება გაეაერთიანოთ სახელთა კიდევ 3 ქვეჯგუფი:

ა. საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის სახელები, რომლებშიც წარმოდგენილია აბაზურ მეტყველებაში დღემდე შემორჩენილი ამოსავალი **ჰა** მარცელისაგან მომდინარე თავკიდ'ურა **აა** ხმოვანთკომპლექსი. ამ სახელებში ზოგადი, სალექსიკონო ფორმის წარმოებისას ამ ფორმის მაწარმოებელი **ა-** პრეფიქსი შერწყმულია ფუძისეული **აა** კომპლექსის რიგით პირველ ხმოვანთან და მოსალოდნელი სამი **ა** ხმოვნიდან რჩება მხოლოდ ორი, ვინაიდან **აფხაზური ენა ვერ ჰგუობს ორზე მეტი ერთნაირი ხმოვნის მეზობლობას**. ამ ქვეჯგუფს განეკუთვნება სახელები: **ააბა** "რვა (ნივთი)", **აანდა** "ღობე", **აამთა** "დრო", **აამსთა** "აზნაური", **ააფჳნ** "გაზაფხული", **ააშა** "ზარმაცი, მცონარა", **აა** "ღვედი", **აარჳარა** "გვალვა", **ააწ-** "ფითრი", **ააშჳშ** "მაჩვი" და სხვ.;

ბ. საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის სახელები, რომლებშიც სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის **ა-** მაწარმოებელი შერწყმულია ფუძის შემადგენლობაში შემავალი სიტყვათმაწარმოებელი **აჲ-** პრეფიქსის **ა** ხმოვანთან: **აჲკაღა** "ხელცული", **აჲშა** "ტაბლა", **აჲზგა** "კრებული", **აჲთაგა** "თარგმანი", **აჲჭა** "შარვალი; ქვედა საცვალი, ნიფხავი", **აჲხა** "რკინა; ცული" და სხვ.;

გ. სხვა ენათაგან ნასესხები სახელების ნაწილი, რომლებიც თვით გამსესხებელ ენებში შეიცავენ ფუძისეულ ანლაუტის **ა** ხმოვანს. აფხაზურ ენაში ეს სახელები აღარ დაირთავენ სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის **ა-** მაწარმოებელს და სხვადასხვა სიტყვათწარმოებით კატეგორიებსა და ნასახელარ ზმნურ წარმოებებში ინარჩუნებენ ანლაუტის ფუძისეულ **ა** ხმოვანს: **ავტორ** "ავტორი" (შდრ.: ავტორ-კ "ვიღაც, რომელიღაც ავტორი", ავტორ-ს "ავტორად", ავტორ-და "უავტორო; უავტოროდ", აშყჳ ავტორ "წიგნის ავტორი", დ-ავტორ-

უპ "იგი ავტორია"...), ატომ "ატომი", აგვტაცია "აგიტაცია", ავტორეფერატ "ავტორეფერატი" და მრ. სხვ. საყურადღებოა, რომ ამ ქვეჯგუფში ძირითადად XX საუკუნეში რუსულის მეშვეობით ახლად ნასესხები ლექსიკაა წარმოდგენილი.

სახელთა ძირითადი, ორდინარული ტიპის სიტყვები უგამონაკლისოდ იცავენ 2 საერთო წესს:

1. თუ ანლაუტისეული ა ხმოვანი სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის მაწარმოებელია, იგი არ შედის ფუძეში და აუცილებლად ჩამოსცილდება სახელურ სიტყვათწარმოებით კატეგორიებსა და ნასახელარ ზმნურ ფორმებში;

2. თუ ანლაუტისეული ა ხმოვანი სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის მაწარმოებელი არ არის, იგი შედის ფუძეში და უცვლელად იქნება წარმოდგენილი სახელურ სიტყვათწარმოებით კატეგორიებსა და ნასახელარ ზმნურ ფორმებშიც.

***

სახელთა **მეორე ტიპს** უპირატესად ქმნიან სხვა ენათაგან ნასესხები ის სიტყვები, რომლებიც, მართალია, თვით გამსესხებელ ენებში შეიცავენ ამ ხმოვანს და იგი ფუძისეული ფონემაა, მაგრამ აფხაზურ ენაში გადააზრებულია ამ უკანასკნელი ენისათვის დამახასიათებელ სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის მაწარმოებელ ა- პრეფიქსად და ჩამოსცილდება ფუძეს როგორც სხვადასხვა სიტყვათწარმოებით ფორმებში, ისე ნასახელარ ზმნათა წარმოებისას. სრულიად ცხადია, რომ ამ ტიპის სახელებში თავკიდურა ფუძისეული ა ხმოვნის ამგვარი ქცევა გამოწვეულია ზემოთ განხილული პირველი ტიპის სახელთა ანალოგიით[71]. მაგალითად, რუსული ენიდან აფხაზურ-

---

[71] შდრ. ქართული ენა, სადაც სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსი არ შედის ფუძის შემადგენლობაში და, ჩვეულებრივ, ჩამოსცილდება ფუძეს დანარჩენ ბრუნვებში (სახ. კაც-ი, მოთხრ. კაც-მა, მიც. კაც-ს, ნათ. კაც-ის, მოქმ. კაც-ით, ვით. კაც-ად, წოდ. კაც-ო), მაგრამ ზოგ ნასესხებ სიტყვაში, რომლებშიც ბოლოკიდურა ი ხმოვანი ფუძის ნაწილია, ეს ფონემა გააზრებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნად და დანარჩენ ბრუნვებშიც ჩამოსცილდება (მაგალითად, სასაუბრო ენაში: სახ. ტაქსი, მოთხრ. ტაქს-მა, მიც. ტაქს-ს, ნათ. ტაქს-ის, მოქმ. ტაქს-ით, ვით.

ში შესულ **აგრონომ** "აგრონომი" სიტყვაში თავკიდური **ა** ხმოვანი ფუძეს ჩამოსცილდება ხოლმე:

ლაბ **დ-გრონომჺნ**[72] "მისი (ქ.) მამა აგრონომი იყო";

გრონომს აუსურა დალაგჺტ[73] "აგრონომად დაიწყო მუშაობა"_ მსგავსი რამ ხდება შემდეგ სახელებშიც:

ა-დგჺლ "მიწის ნაკვეთი" (ნასესხებია ქართულიდან)[74], ა-ხრათ "საიქიო" (ნასესხებია თურქულის მეშვეობით)[75], ა-ლაჰ "ალაჰი" (ნასესხებია თურქულის მეშვეობით), ა-ეტობუს "ავტობუსი" (ნასესხებია რუსულის მეშვეობით), ა-ნბან "ანბანი; ასო" (ქართულიდან), ა-ნაფარ "ანაფორა" (ქართულის მეშვეობით), ა-პარატ "აპარატი" (რუსულის მეშვეობით), ა-ფთეკა "აფთიაქი" (რუსულის მეშვეობით), ა-დუკატ "ადვოკატი, ვექილი" (რუსულის მეშვეობით), ა-ნსამბლ "ანსამბლი" (რუსულის მეშვეობით), ა-ტამა (მეგრული დიალექტიდან) და მრ. სხვ.

ამ სიტყვათა ნაწილის ორდინარული ფორმები დასტურდება როგორც აფხაზურ ენაშივე, ისე აბაზურშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბაზურში სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის საწარმოებლად არ გამოიყენება **ა-** პრეფიქსი (მისი გამოყენების ჩანასახები შეინიშნება მხოლოდ აშხარულ დიალექტში) და ზოგადი ფორმა ბგერითი შემადგენლობით სრულად ემთხვევა სახელის წმინდა ფუძეს. აფხაზურ სახელთა მეორე ტიპის მსგავსი ფორმები აბაზურში პრაქტიკულად მეტად იშვიათად დასტურდება. ჩვენი აზრით, ამგვარი სხვაობა აფხაზურსა და აბაზურს შორის იმითაა განპირობებული, რომ ამ ორი სამეტყველო ერთეულის გავრცელების ტერიტორიის ერთიმეორისაგან დაშორების პერიოდში (XVI-XVIII საუკუნეებში)

ტაქს-ად, წოდ. ტაქს-ო; გურულ დიალექტში: სახ. ჩა "ჩაი", მოთხრ. ჩამ, მიც. ჩა-ს...).

[72] ჟურნალი "Алашара", № 8, 1981, გვ. 62.

[73] Г. Жанаа. Апатрет хучи абаҟа дуи. - კრებ.: Аамтеи ауааи. Аҟуа, 1982, გვ. 22.

[74] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორ.-შედარ. ანალიზი. I... თბ., 1976, გვ. 60.

[75] А.К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. А-Н. Москва, 1977, გვ. 65.

სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის **ა-** პრეფიქსით მორფოლოგიური მარკირების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული (ეს პროცესი მაშინ ჩანასახოვან მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ტაპანთურ და აშხარულ დიალექტებში). მეტიც, თვით აფხაზურ ენაში (მის ორსავე დიალექტში) დადასტურებული ურთიერთსაპირისპირო პარალელური ფორმები ცხადად მიანიშნებენ, რომ ეს პროცესი ჯერაც ბოლომდე არ არის მისული. ვვარაუდობთ, რომ **ფუძისეული ა ხმოვნის ჩამოცილების პროცესი ყველა სახელში ერთბაშად კი არ დაწყებულა, არამედ თავი იჩინა მხოლოდ ცალკეულ ხშირად ხმარებულ სიტყვებში.** ამისი დამადასტურებელია აბაზური ენის ტაპანთური დიალექტის მონაცემები. ქართულიდან ნასესხები **ა-დგვლ** "მიწის ნაკვეთი" სახელი (შდრ. ქართ. **დგ-ომ-ა** ზმნის **დეგ** ძირი) ამ კილოში ხან თავკიდურა **ა** ხმოვნითაა წარმოდგენილი, ხან კი უმისოდ, თუმცა უფრო გავრცელებულია **ა** ხმოვნის შემცველი ვარიანტები: შდრ., ერთი მხრივ, **დგვლ-კ** "რომელიღაც მიწის ნაკვეთი", **დგვლ-დჯა** "უმიწისნაკვეთოდ", **სგ-დგვლ** "ჩემი ნაკვეთი"... და, მეორე მხრივ, **ადგვლ-კ, ადგვლ-დჯა, ს-ადგვლ.** აფხაზურ დიალექტებში ეს სიტყვა თითქმის მუდამ წარმოდგენილია თავკიდურა ფუძისეული **ა** ხმოვნის გარეშე.

აფხაზურ ენაში ფუძისეული **ა** ხმოვნის შენარჩუნება-დაკარგვის ტენდენციის მიხედვით მეორე ტიპის სახელები თავის მხრივ იყოფა 3 ქვეჯგუფად:

ა. **პირველი ქვეჯგუფის** სახელებს მოეპოვებათ თავკიდურა **ა** ხმოვნის შემცველი და უმისო პარალელური ვარიანტები. მაგალითად, **აგვტატორ** "აგიტატორი" – შდრ.: **აგვტატორ-კ** // **გვტატორ-კ** "ერთი აგიტატორი, ვიღაც აგიტატორი", **აგვტატორ-ს** // **გვტატორ-ს** "აგიტატორად", **აგვტატორ-და** // **გვტატორ-და** "უაგიტატორო; უაგიტატორიდ", **ს-აგვტატორ** // **ს-გვტატორ** "ჩემი აგიტატორი", **დ-აგვტატორ-უპ** // **დ-გვტატორ-უპ** "იგი აგიტატორია".

სხვა მაგალითი: სიტყვა **აზერბა[ი]ჯან** "აზერბაიჯანი; აზერბაიჯანელი; აზერბაიჯანული" XX საუკუნის 50-იან წლებში

აფხაზურში მხოლოდ ეთნონიმად იხმარებოდა. მისი თავკიდურა **ა** ხმოვანი აფხაზურ პრეფიქსად გაიგებოდა, რის გამოც ბაგრატ ჯანაშიას "აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში" **ზ** ასოზე იყო განთავსებული **აზერბა[ი]ჯანტ'ელა** "აზერბაიჯანი" სიტყვასთან ერთად[76]. ვლადიმერ კასლანძიას მიერ შედგენილი "აფხაზურ-რუსული ლექსიკონის" ბეჭდურ გამოცემაში სიტყვა **აზერბაიჯან** განმარტებულია როგორც "აზერბაიჯანი; აზერბაიჯანული" და ასევე **ზ** ასოზეა განთავსებული[77], მაგრამ მოგვიანებით გავრცელებულ ელექტრონულ ვერსიაში ავტორმა ვარიანტი **აზარბაიჯან** შეიტანა **ა** ასოზე და განმარტა როგორც "აზერბაიჯანელი; აზერბაიჯანული", ვარიანტი **აზერბაიჯან** კი კვლავ **ზ** ასოზე განათავსა და მნიშვნელობებად "აზერბაიჯანი; აზერბაიჯანული" მიუთითა[78].

ამავე ქვეჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე სახელები: ა-ვიაცია "ავიაცია", ა-ვტობიოგრაფია "ავტობიოგრაფია", ა-ვტობუს "ავტობუსი", ა-ნბან "ანბანი; ასო", ა-ფთეკა "აფთიაქი", ა-რტულ "არტელი", ა-კტ "აქტი" და სხვ.

ამ ქვეჯგუფში შემავალი სახელები აფხაზურ ენას ძირითადად ნასესხები აქვს წერილობითი გზით XX საუკუნეში.

ბ. **მეორე ქვეჯგუფს** ქმნიან ის სახელები, რომლებსაც, მართალია, მოეპოვებათ პარალელური ფორმები როგორც თავკიდურა **ა** ხმოვნით, ისე მის გარეშეც, მაგრამ კუთვნილების კატეგორიაში ეს **ა** ხმოვანი მუდამ თავის ადგილზეა. მაგალითად, ⴰბაზ "აბაზი" (ფულის ერთეული) – ⴰბაზ-კ // ბაზ-კ "ერთი აბაზი; რაღაც აბაზი", ⴰბაზ-ს // ბაზ-ს "აბაზად", ⴰბაზ-და // ბაზდა "უაბაზოდ; უაბაზო", ⴰბაზ-ლა // ბაზ-ლა "აბაზით", მაგრამ ს-ⴰბაზ "ჩემი აბაზი", უ-ⴰბაზ "შენი (მამაკ.) აბაზი", ბ-ⴰბაზ "შენი (ქ.) აბაზი", ⴰ-ⴰბაზ "მისი (მამაკ.) აბაზი", ლ-ⴰბაზ "მისი

---

[76] ბ. ჯანაშია. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1954, სვეტი 110.

[77] В.А. Касландзия. Абхазско-русский словарь, том I, А-Н. Сухум[и], 2005, გვ. 415.

[78] В.А. Касландзия. Абхазско-русский словарь. http://www.abiblioteka.info/rus/lang/section_1/dict/ab-rus/264.html.

(ქ.) აბაზი", ჰ-ჳბაზ "ჩვენი აბაზი", შ-ჳბაზ "თქვენი აბაზი", რ-ჳბაზ "მათი აბაზი".

ამ ქვეჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ნასესხები სახელები: ა-ბზაც "აბზაცი", ა-ბრაგ "აბრაგი, ყაჩაღი", ა-ბჯარ "აბჯარი, იარაღი", ა-დრეს "მისამართი; ადრესი", ა-ტლაზ "ატლასი", ა-ჯალ "სიკვდილის დრო", ა-რთმაყ "აბგა", ა-რშჳნ "არშინი" და სხვ.

ამ ქვეჯგუფში შემავალი ლექსიკა აფხაზურ ენაში ნასესხები ჩანს ზეპირი გზით XVI-XIX საუკუნეებში. სესხების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თურქული ენიდან შემოსულ ლექსიკას: საქმე ისაა, რომ თურქეთს (ოსმალეთს) XVI საუკუნემდე არ ჰქონია უშუალო კონტაქტები ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიასთან, რაც გამორიცხავს აღმოსავლური ლექსიკის სესხებას აფხაზურ ენაში ამ პერიოდამდე.

გ. **მესამე ქვეჯგუფის** შემადგენელი ნასესხები სახელები იმით განსხვავდებიან პირველ და მეორე ქვეჯგუფთა სახელებისაგან, რომ ყველა სიტყვათწარმოებით კატეგორიაში მუდამ წარმოდგენილნი არიან ფუძისეული (resp. ძირისეული) თავკიდურა ა ხმოვნის გარეშე. მაგალითად, თურქული ენის შუამავლობით ნასესხები არაბული სიტყვა **ʿაჯამ** "არააარაბი; სპარსელი" (შდრ. თურქ. **აჯემ**) აფხაზურ ენაში დამკვიდრდა **აჯამ** ფორმით და აღნიშნავს "სპარსელს; სპარსულს". მისი სიტყვათწარმოებითი ფორმებია: ჯამ-კ "ვიღაც სპარსელი", ჯამ-ს "სპარსელად", ს-ჯამ "ჩემი სპარსელი" და ა.შ.

ამავე ქვეჯგუფში შედის აგრეთვე შემდეგი ნასესხები სიტყვები: ა-დუკატ "ადვოკატი, ვექილი" (რუსულის მეშვეობით), არაფ "არაბი; ზანგი" (თურქულის მეშვეობით), ა-ტამა "ატამი" (მეგრული დიალექტიდან), ა-ფიცარ "ოფიცერი" (რუსულიდან) და სხვ.

ამ ქვეჯგუფის სახელებიც აშკარად ზეპირი გზითაა ნასესხები იმავე XVI-XIX საუკუნეებში.

ამრიგად, აფხაზური ენის სახელთა მეორე ჯგუფი ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელთა თავკიდურა ფუძისეული (resp. ძირისეული) ა ხმოვნის აფხაზურ პრეფიქსად გადააზრების პრო-

ცესი ერთგვაროვნად არ მიმდინარეობს: სახელთა ერთ ნაწილში (პირველი ქვეჯგუფი) თანაარსებობენ როგორც ამოსავალი, ორდინარული, ისე მეორეული ფორმები (პირველი ქვეჯგუფი); მეორე ნაწილში კუთვნილების კატეგორია ხელს უწყობს ამოსავალი ფორმების გადარჩენას (მეორე ქვეჯგუფი), ხოლო დანარჩენ სახელებში პროცესი დასრულებულია და საერთოდ აღარ დასტურდება ამოსავალი ორდინარული ფორმები (მესამე ქვეჯგუფი).

***

სახელთა **მესამე ტიპს** ქმნიან როგორც ძირეული აფხაზური წარმოშობის, ისე სხვა ენათაგან ნასესხები სიტყვები, რომლებიც მეორე ჯგუფის სახელთა **საპირისპირო ტენდენციას** ავლენენ: სხვადასხვა სიტყვათწარმოებით კატეგორიებსა და ნასახელარ ზმნებში ამ სახელებს თავკიდურა პოზიციაში უვითარდებათ "უფუნქციო" ა ხმოვანი, რომელიც არ არის ფუძის (resp. ძირის) კუთვნილება. ამ სახელებს პარალელურად უდასტურდებათ ამოსავალი, ორდინარული ვარიანტებიც. საყურადღებოა, რომ მესამე ჯგუფის სახელთა ერთი ნაწილი ეთნონიმებია. შესაძლოა, ხმოვანდართულ ფორმებს ჰქონდეთ რაიმე სემანტიკური ნიუანსი, მაგრამ მისი გამოვლენა ჩვენთვის ძნელი აღმოჩნდა.

მესამე ტიპს განეკუთვნებიან შემდეგი სახელები:

ა-ҧრთუა "ქართველი; ქართული", შდრ. ქართ. **ქართ**-ვ-ელ-ი. ამ სახელის ორდინარული ფორმებია: ҧრთუა-კ "ვიღაც ქართველი", ҧრთუა-ს "ქართველად", ҧრთუა-და "უქართველოდ; უქართველო", ҧრთბზშ-ალა "ქართული ენით, ქართულ ენაზე, ქართულად", დ-ҧრთუო-უპ "იგი ქართველია"... მაგრამ ამ ფორმათა პარალელურად დადასტურდა შემდეგი ვარიანტიც: ԥარა დ-ა-ҧრთუა-ნ, ახა დაҳ'იზ, დაҳ'ააძაზ ლენინგრად აუპ[79] "იგი ქართველი იყო, მაგრამ ლენინგრადში დაიბადა და გაიზარდა".[80]

---

[79] ჟურნალი "Алашара", № 9, 1982, გვ. 45

[80] Д. Гулиа. Ифымтакуа реизга ф-томкны. Аҧбатəи атом. Аҟуа, 1982, გვ. 101.

ა-ურგს "რუსი; რუსული" (ნასესხებია თურქულიდან. შდრ. თურქ. **ურგს**). მისი ორდინარული ფორმებია: ურგს-კ "ვიღაც რუსი", ურგს-ს "რუსად", ურგს-და "ურუსოდ; ურუსო", ურგსბგშაალა "რუსული ენით, რუსულ ენაზე, რუსულად", დ-ურგს-უპ "იგი რუსია"... დავადასტურეთ ამ სახელისაგან ნაწარმოები სტატიკური ზმნის ფორმა: კამაჭგჭ ხგჭგკ ლ-ღ-ურგს (< ლ-ჲ-ურგს) ბგზშა დაცგფხაშონ "კამაჭიჭს ცოტათი რცხვენოდა თავისი რუსული მეტყველების გამო".

აქვე შემოდის სახელები: ა-ურია "ურია, ებრაელი; ებრაული" (ნასესხებია ქართულიდან), ა-ლგმ "ლომი" (ნასესხებია ქართულიდან), ა-უფშგლ "უფლისწული" (ნასესხებია ქართულიდან), ა-ჰალალრა "სიალალე, პატიოსნება" (ნასესხებია თურქულიდან), აჰასაბ "ანგარიში" (ნასესხებია თურქულიდან) და სხვ.

ამრიგად, აფხაზურ ენაში სახელურ ფუძეთა გაფორმების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციათა მოქმედება ყველაზე უკეთ სხვა ენათაგან ნასესხებ ლექსიკაში ჩანს. ყველა საფუძველი არსებობს საიმისოდ, რათა ასეთივე ერთიმეორის გამომრიცხავი ტენდენციების კვალი ეძიოთ საკუთრივ აფხაზური წარმოშობის სახელებშიც. და მართლაც, ასეთი კვალი ცხადად ჩანს საკუთრივ აფხაზურ სახელთა საკმაოდ დიდ ჯგუფში. ეს ძირეული სახელები ზუსტად ისევე იქცევიან, როგორც მეორე და მესამე ჯგუფებში შემავალი ნასესხები სიტყვები.

მაგალითად, **მეორე ტიპის** სახელებს უნდა მივაკუთვნოთ ძირეული აფხაზური სიტყვები **ანცა** "ღმერთი" და **აბშთრა** "მამისეული შთამომავლობა", რომლებიც ნაწარმოებია ასე: **ან** "დედა" + მრ. რ. სუფიქსი **-ცა**[81], **აბ** "მამა" + **ა-შთრა** "კვალი"[82]. **ან**

---

[81] ს. ჯანაშია. უზენაესი ღვთაების აფხაზური სახელწოდებისათვის. – "წელიწდეული", I-II, თბ., 1923-1924, გვ. 69-73; ქ. ლომთათიძე. კვლავ ანცა ("ღვთაება") სიტყვის შესახებ აფხაზურ და აბაზურ ენებში. – "მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია". 1978, № 3, გვ. 145.

[82] ქ. ლომთათიძე. ნათესაურ ურთიერთობათა განსაზღვრის საფუძველი ენობრივი მონაცემების მიხედვით (საკითხის დასმისათვის). – "მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია". 1983, № 3, გვ. 137.

და აბ სიტყვებში თავკიდურა ა ხმოვანი შედის ფუძის შემადგენლობაში, მაგრამ არ არის ძირის ნაწილი: იგი მომდინარეობს *ҳа- > аа- პრეფიქსისაგან[83]. ამ სახელთა სიტყვათწარმოებით კატეგორიებსა და ნასახელარ ზმნებში ეს ხმოვანი მუდამ თავის ადგილზე დგას, თუმცა საანალიზო სახელთაგან ნაწარმოებ სახელებში ა ხმოვანი მუდამ არ არის წარმოდგენილი. შდრ., ერთი მხრივ, ҳნჷ-კ "რომელიღაც, ვიღაც დედა", ҳნჷ-ს "ღედად", ҳნჷ-და "უდედოდ; უდედო", დ-ҳნ-უპ "იგი დედაა", ҳԥნ "უგონო არსებათა დედა"...; ҳბჷ-კ "რომელიღაც მამა", ҳბჷ-ს "მამად", ҳბჷ-და "უმამოდ; უმამო", დ-ҳბ-უპ "იგი მამა"...; მეორე მხრივ, ნცაა-კ "რომელიღაც ღვთაება", ნცაა-და "უღმერთოდ; უღმერთო", ნცაა-ს "ღმერთად", დჷ-ნცო-უპ "იგი ღმერთია"...; ბშთრა-კ "რომელიღაც წარმომავლობა", ბშთრა-ს "მამისეულ წარმომავლობად", ბშთრა-და "მამისეული წარმომავლობის გარეშე"... ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ აბაზურ ენაშიც ღმერთის აღმნიშვნელი სახელი დასტურდება როგორც თავკიდურა ა ხმოვნით, ისე უმისოდაც. მაგალითად, "აბაზურ-რუსულ ლექსიკონში" ეს სახელი შეტანილია არა ა ასოზე, არამედ **ნ** ასოზე **ნცაა** ფორმით, თუმცა იმავე წიგნში დასტურდება **ანცაა** ვარიანტიც სიტყვათშეხამებაში **ანცაა იდჷრიტ** "ღმერთმა უწყის"[84].

ასევე მეორე ტიპის სახელებივით იქცევიან ძირეული აფხაზური წარმოშობის ზოგი სხვა სახელებიც, რომლებიც სხვადასხვა ქვეჯგუფში ნაწილდებიან. მაგალითად, მეორე ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში შედიან სახელები: არბაღ "მამალი", არცჷნა "დედალი", არდჷნა "შაშვი", აჟარდჷნა "შოშია", არხჷნა "ჩხართვი", აჩა "მწყერი", ანცაარწჷს "ბულბული" (ზედმიწევნით: "ღვთის ჩიტი"), აჟმჷჟ "ძველმანი", არფჷს "ჭაბუკი", არფჷზბა "ვაჟი, ჭაბუკი", აღ "სეტყვა", აშ "ყველი" და სხვ. ეს სიტყვები

---

[83] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორ.-შედარ. ანალიზი. I... თბ., 1976, გვ. 80-84.

[84] Абазинско-русский словарь, под редакцией В.Б. Тугова. Москва, 1967, გვ. 293.

ყველა სიტყვათწარმოებით ფორმაში წარმოდგენილნი არიან როგორც თავკიდურა ა ხმოვნით, ისე უმისოდ. მაგალითად: ⴔრ-ბალ-კ // რბალ-კ "რომელიღაც მამალი", ⴔრბალ-ს // რბალ-ს "მამლად", ⴔრბალ-და // რბალ-და "უმამლოდ; უმამლო", ⴔრბალ-ლა // რბალ-ლა "მამლით", ს-ⴔრბალ // სგ-რბალ "ჩემი მამალი"...

მეორე ტიპის მეორე ქვეჯგუფს განეკუთვნება სახელები: აშა "სიმღერა", აჟა "სიტყვა", აჟაბჟ "ამბავი; მოთხრობა", ავსთაა "ეშმაკი, სატანა" და სხვ. განუსაზღვრელობის, უქონლობის, ინსტრუმენტალისის კატეგორიებში ამ სახელებს, მეორე ტიპის მეორე ქვეჯგუფის სახელთა მსგავსად, მოეპოვებათ პარალელური ფორმები, მაგრამ კუთვნილების კატეგორიაში თავკიდურა ა ხმოვანი მუდამ არის წარმოდგენილი. მაგალითად: ⴔშა-კ // შა-კ "რომელიღაც სიმღერა", ⴔშა-ს // შა-ს "სიმღერად", ⴔშა-და // შა-და "უსიმღეროდ; უსიმღერო", ⴔშა-ლა // შა-ლა "სიმღერით", მაგრამ ს-ⴔშა "ჩემი სიმღერა", უ-ⴔშა "შენი (მამაკ.) სიმღერა", ბ-ⴔშა "შენი (ქ.) სიმღერა", ჲ-ⴔშა "მისი (მამაკ.) სიმღერა", ლ-ⴔშა "მისი (ქ.) სიმღერა", პ-ⴔშა "ჩვენი სიმღერა", შ-ⴔშა "თქვენი სიმღერა", რ-ⴔშა "მათი სიმღერა".

რაც შეეხება მეორე ტიპის მესამე ქვეჯგუფის სახელთა მსგავს ძირეულ აფხაზურ სიტყვებს, ჩვენ მხოლოდ სახელი **აჟარ** "ლექსიკონი" (აჟა "სიტყვა" ფუძისაგან მომდინარე) დავადასტურეთ. ეს სახელი ყველა სიტყვათწარმოებით კატეგორიაში, მათ შორის კუთვნილების ფორმებშიც, თავკიდურა ა ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი: ჟარ-კ "რომელიღაც ლექსიკონი", ჟარ-ს "ლექსიკონად", ჟარ-და "ულექსიკონოდ; ულექსიკონო", ჟარ-ლა "ლექსიკონით", ს-ჟარ "ჩემი ლექსიკონი" და ა.შ.

აქ განხილულ აფხაზურ სახელთა თავკიდურა ა ხმოვნის სტატუსთან დაკავშირებით ბუნებრივად დაისმის საკითხები: განეკუთვნება თუ არა ეს ხმოვანი ფუძეს (resp. ძირს)? იგი რომელიმე კატეგორიის მაწარმოებელია, თუ უფუნქციოდ განვითარებული ბგერაა?

საანალიზო ა ხმოვნის სტატუსის გარკვევას აქვს როგორც წმინდა სამეცნიერო, ისე გამოყენებით-პრაქტიკული მნიშვნელობა:

სამეცნიერო თვალსაზრისით არსებითია ის, რომ, როგორც ითქვა, ენის ისტორიულ-შედარებითი კვლევა შეუძლებელია სიტყვათა ზუსტი მორფოლოგიური და ფონემატური სტრუქტურის ცოდნის გარეშე. თუ მკვლევარმა დანამდვილებით არ იცის საანალიზო სიტყვის დეტალური აგებულება, მას შეიძლება შეცდომა მოუვიდეს და უზუსტო დასკვნა გამოიტანოს.

რაც შეეხება გამოყენებით-პრაქტიკულ მხარეს, ერთენოვანი და თარგმნითი ლექსიკონების შედგენისას ლექსიკონის ავტორებს აბნევს აფხაზურ ლექსიკაში არსებული ვარიანტთა სიჭრელე და ამის გამო, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ერთი და იგივე სიტყვა ხშირად სხვადასხვა ასოზე თავსდება, მკითხველს კი ეს პრობლემას უქმნის – შეიძლება მხოლოდ ლექსიკონის ერთ ადგილზე ამოკითხულ ინფორმაციას დასჯერდეს და გამორჩეს იმავე ლექსიკონის სხვა ადგილას განთავსებული არსებითი ცნობები საძიებელი სიტყვის შესახებ.

აფხაზურ სახელთა თავკიდურა ა ხმოვნის სტატუსის დადგენაში არსებით როლს თამაშობენ აბაზური სამწიგნობრო ენისა და მის დიალექტთა მონაცემები (თუმცა ეს მხოლოდ მაშინ, თუ ერთი და იგივე სიტყვა წარმოდგენილია ორსავე ენაში):

თუ კონკრეტული სახელის თავკიდურა ა ხმოვანი არ არის ფუძის (resp. ძირის) ნაწილი, აბაზურ ენაში სახელი ზოგად, სალექსიკონო ფორმაში უნდა დასტურდებოდეს ამ ხმოვნის გარეშე და, პირიქით, თუკი კონკრეტული სახელის თავკიდურა ა ხმოვანი ფუძის, ან ძირის ნაწილია, მაშინ იგი წარმოდგენილი უნდა იყოს აბაზური ენის ზოგადსახელურ, სალექსიკონო ფორმაშიც.

ზემოთ განხილულ აფხაზურ (უკეთ, საზიარო აფხაზურ-აბაზურ) სახელთაგან თავკიდურა ა ხმოვანი დაცულია აბაზური ენის შემდეგ სიტყვათა ზოგად, სალექსიკონო ფორმებში: არგბა "მამალი" (შდრ. აფხაზ. არბაღ), არცგნა "დედალი", აჩა "მწყერი", აშგ "ყველი", აშა "სიმღერა", აჟა "სიტყვა", აჟარ "ლექსიკონი", რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვებში თავკიდუ-

რა ა ხმოვანი ფუძის ნაწილია და, შესაძლოა, რაიმე მორფოლოგიური ფუნქციაც ჰქონდა წარსულში[85]. ამის გათვალისწინებით უპრიანია, დასახელებული სიტყვები აფხაზური ენის ლექსიკონებში სწორედ ა ასოზე განთავსდეს.

აბაზურში ანლაუტის ა ხმოვანი არა აქვს **лҕ** "სეტყვა" ფუძეს (შდრ.: აფხაზ. **аҕ** "სეტყვა"), რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზურში სახელის ზოგადი, სალექსიკონო ფორმის პრეფიქსი შეხორცებია ძირს. მეტიც, ფუძეს აშკარად მოკვეცილი აქვს ბოლოკიდური ნეიტრალური **ҕ** ხმოვანიც. ამისათვის, ჩვენი აზრით, ხელი შეიძლება შეეწყო აფხაზურში მოსალოდნელ ომონიმიას სეტყვისა და პენისის აღმნიშვნელი **аҕ** სიტყვებისა.

ასევე ფუძესთან გვიან მიხორცებულ ნაპრეფიქსალ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ ა ხმოვანი **аҧсуа // аҧсҭуа** "აფხაზი" სიტყვაშიც. აფხაზი მკვლევრის ტარას ხალბადის აზრით, ამ ეთნონიმში განსაზღვრულობის კატეგორიის პრეფიქსი ფუძის განუყოფელ ნაწილად ქცეულა[86]. იმავე ავტორს მიაჩნია, რომ განსაზღვრულობის პრეფიქსი შერწყმია ისეთ ფუძეებსაც, როგორიცაა: **абаза** "აბაზა", **абдзах** "აბაზახა, აბაძეხი", **адҕга** "ადიღელი"[87]. ჩვენი მხრივ უნდა დავძინოთ, რომ **аҧсуа** სახელში თავკიდურა ა ხმოვანი ხან წარმოდგენილია, ხან კი – არა (იხ. ზემოთ). შდრ., ერთი მხრივ: сара аҧсҭҭуп, **с-аҧсуа-уп**[88] "მე აფხაზეთიდან ვარ, აფხაზი ვარ" და, მეორე მხრივ: ასტოლ ხიან **ҧсуа** წასლა[89] "სუფრა გაშლილი იყო აფხაზური წესით".

ჩვენი აზრით, ამ სიტყვაში ა ხმოვანი მართლაც შერწყმია ფუძეს და იგი მომდინარეობს ამოსავალი *ҽа- პრეფიქსისაგან

---

85 აქ გამონაკლისს ქმნის მწყრის სახელი, რომლის თავკიდურა ა ხმოვანი არ უნდა იყოს ძირისეული. იხ. ქვემოთ, ფრინველთა სახელების ანალიზი.

86 Т.Х. Халбад. Выражение категорий определенности и неопределенности в абхазо-адыгских языках. Тб., 1975, გვ. 103.

87 იქვე, გვ. 103-105.

88 კრებ. Аамтеи ауааи. Аҟуа, 1981, გვ. 25.

89 "Алашара", № 3, 1983, გვ. 74.

(შდრ. აფხაზურ ენაშივე შემორჩენილი ეთნონიმი ა-ԥա-დგგ "ადიღელი", რომელშიც აშკარად გამოიყოფა ԥა- თავსართი, რომლისგანაც იოლად მიიღება ა- ვარიანტი[90]). ამ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ პ. უსლარი აფხაზთა ავტოეთნონიმად ასახელებს **ააფსუა** ფორმას[91].

აქ მოყვანილი მასალა წამოჭრის ახალ საკითხს: ხომ არ არის ა-ჭრთუა "ქართველი", ა-ურგს "რუსი", ა-ურია "ურია, ებრაელი" ეთნონიმების თავკიდურში წარმოდგენილი "ზედმეტი" ა ხმოვანი ისეთივე პრეფიქსის ნაშთი, როგორიც გამოიყოფა სახელებში ა-ფსუა "აფხაზი" და ა-ԥა-დგგ "ადიღელი"?

შენიშვნა 1. შეიძლებოდა გვეფიქრა, თითქოს სახელთა მეორე ტიპს განეკუთვნება სახელი **აგრუა // აგჳრუა** "მეგრელი; მეგრული", მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებდით, რომ ეს სადაურობის სახელი ხშირად თავკიდურა ა ხმოვნის გარეშეც გვხვდება (შდრ.: აგრუა-კ // აგჳრუა-კ და გჳრუა-კ "ვიღაც, რომელიღაც მეგრელი", აგრუა-ს // აგჳრუა-ს და გჳრუა-ს "მეგრელად", აგრეთვე ამავე სახელისაგან მომდინარე გვარსახელი **გჳრუაფშ**, რომელიც ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "მწითური მეგრელი"). მაგრამ სიტყვის ეტიმოლოგია გვიდასტურებს, რომ მასში ანლაუტის პოზიციაში წარმოდგენილი ა ხმოვანი ფუძის განუყოფელი ნაწილია და წარმოადგენს ძველქართული **ეგრ-ი** ქორონიმის **ე** ხმოვნის აფხაზურ ბგერინაცვალს (შდრ.: ქართ. წეს-ი > აფხაზ. ა-წა-ს...). ამის გათვალისწინებით მეგრელის აღმნიშვნელი აფხაზური სახელი ზემოთ განხილულ სახელთა მეორე ტიპის მეორე ქვეჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ.

---

[90] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორ.-შედარ. ანალიზი. I.. თბ., 1976, გვ. 74-75 და სხვ.

[91] П.К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. I. Абхазский язык. Тифлис, 1887, გვ. 7. ამ და მსგავს ფორმათა შესახებ ვრცლად იხ.: ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 29-30.

***

ყურადღებას იპყრობს საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის სიტყვების დიდი ჯგუფის ანლაუტში წარმოდგენილი სხვადასხვა ფუნქციის მქონე **აჲ-, აჲბა-, აჲც-** პრეფიქსების ფონეტიკური (უკეთ, მორფონოლოგიური) ქცევა. მათგან პირველი (**აჲ-** პრეფიქსი) სახელებსა და ზმნურ წარმოებებში ასრულებს საურთიერთო კატეგორიის მაწარმოებლის, ან სამიმართებო პრეფიქსის ფუნქციას, **აჲ-ბა-** თავსართი საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის გამომხატველია, ხოლო **აჲ-ც-** თავსართი – საურთიერთო-სათანაო ქვეკატეგორიისა (ქ. ლომთათიძე). ამ პრეფიქსების პირველი **ა** ხმოვანი არასოდეს ჩამოსცილდება სიტყვას, მაგრამ ზოგჯერ იგი გადადის **ე** ხმოვანში, ზოგჯერ კი უცვლელი რჩება. სათანადო სიტყვებზე დაკვირვებამ გამოგვავლენინა შემდეგი კანონზომიერებანი:

1. თუ **აჲ-, აჲბა-, აჲც-** პრეფიქსების შემცველი სიტყვები იხმარება ზოგადი, სალექსიკონო (დასახელების, ნოშინაციის) ფუნქციით, ეს პრეფიქსები უცვლელად ინარჩუნებენ პირველ **ა** ხმოვანს, ანუ **იზღუდება ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის პროცესი,** რომელიც საზოგადოდ დამახასიათებელია აფხაზური ენის **აჲ** ბგერათკომპლექსისათვის (დიფთონგისათვის). მაგალითად: **აჲბა** "ობოლი; ქვრივი", **აჲბაგა** "ცქვიტი, მარდი", **აჲბაგჲძრა** "ერთმანეთის კოცნა, კოცნაობა", **აჲბანჳჰარა** "ერთმანეთის დალოცვა", **აჲბარკრა** "აიბარკირა (აფხაზური საფერხულო ცეკვა)", **აჲბარჩარა** "ერთობლივად გაცინება", **აჲბაფარა** "ერთმანეთის ჭამა > ჩხუბი", **აჲბაშრა** "ერთმანეთის დახოცვა; ომი, ბრძოლა", **აჲბაშჳგ** "მებრძოლი, მეომარი", **აჲბგა** "მთელი, სრული; ბრძენი", **აჲვაგჳლარა** "გვერდი-გვერდ დგომა; გვერდი-გვერდ დადგომა", **აჲვაფარა** "გჳერდი-გჳერდ ჯდომა; გვერდი-გვერდ დაჯდომა", **აჲზა** "ვაზნა", **აჲგძარა** "დაზოგვა", **აჲგჳლაცა** "ერთმანეთის მეზობლები", **აჲგჳშ** "წალდი", **აჲღაცა** "ერთმანეთის მტრები", **აჲლ** "უკეთესი, უმჯობესი", **აჲდარა**

“ტვირთი”, **აჲარა** “მოტყუება”, **აჲაჳგ** “მატყუარა, ცრუ”, **აჲზა-და** “პირდაპირი, გულმართალი; სწორი”, **აჲზარა** “შეკრება, თავშეყრა; კრება”, **აჲზგა** “კრებული”, **აჲაღა** “ხელცული”, **აჲაალ** “ერთგვარი, ერთგვაროვანი” (ქართული **კვალ-ი** სიტყვისაგან), **აჲჭა** “შარვალი; ქვედა საცვალი; შავგვრემანი”, **აჲჭაწა** “შავი” და მრ. სხვ.

2. თუ **აჲ-, აჲბა-, აჲც-** პრეფიქსების შემცველი იგივე სიტყვები წინადადებაში გამოიყენება რომელიმე სხვა გრამატიკული, ან სიტყვათწარმოებითი კატეგორიის ფორმით, მაშინ ამ პრეფიქსთა პირველი **ა** ხმოვანი უმალ იცვლება **ე** ხმოვნით, ანუ **ამოქმედდება აფხაზური ენისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის პროცესი.** ამ წესის შესაბამისად, მაგალითად, **აჲბა** “ობოლი; ქვრივი” ზედსართავი სახელისაგან მივიღებთ ასეთ ასიმილირებულ ფორმებს:

ეჲბა-კ “ვიღაც ობოლი; ვიღაც ქვრივი”, **ეჲბა-ს** “ობლად; ქვრივად”, **ს-ეჲბო-უპ** “მე ობოლი ვარ; მე ქვრივი ვარ”, **უ-ეჲბო-უპ** “შენ (მამაკ.) ობოლი ხარ; შენ (მამაკ.) ქვრივი ხარ”, **ბ-ეჲბო-უპ** “შენ (ქ.) ობოლი ხარ; შენ (ქ.) ქვრივი ხარ”, **დ-ეჲბო-უპ** “იგი ობოლია; იგი ქვრივია”, **შ-ეჲბა-ცო-უპ** “თქვენ ობლები ხართ; თქვენ ქვრივები ხართ”, **(ჲ-)ეჲბა-ცო-უპ** “ისინი ობლები არიან; ისინი ქვრივები არიან”...;

აჲბანჳარა “ერთმანეთის დალოცვა” მასდარისაგან, ერთი მხრივ, იწარმოება **ეჲბანჳარა** ვარიანტი (მაგალითად, წინადადებაში: ურთ **ეჲბანჳარა** ჲალაგეტ “მათ ერთამანეთის დალოცვა დაიწყეს”), მეორე მხრივ კი იმავე ფუძისაგან წარმოიქმნება ზმნის დრო-კილოთა მხოლოდ **ე** ხმოვნიანი ფორმები: **ეჲბანჳოჲტ** “ისინი ერთმანეთს ლოცავენ”, **ეჲბანჳაპ** “ისინი ერთმანეთს დალოცავენ”, **ეჲბანჳაშტ** “ისინი ერთმანეთს დალოცავენ”, **ეჲბანჳოონ** “ისინი ერთმანეთს ლოცავდნენ”, **ეჲბანჳეჲტ** “მათ ერთმანეთი დალოცეს”, **ეჲბანჳაან** “მათ ერ-

თმანეთი დალოცეს და...", ეობანგჰაბ'ეტ "მათ უკვე დალოცეს ერთმანეთი", ეობანგჰაბ'ან "მათ უკვე დალოცვილი ჰყავდათ ერთმანეთი"...; ერთი და იმავე ნაკეთის კლასიოვან-პიროვან ფორმათაგან **ნაწილობრივი ასიმილაცია არ მოხდება** მხოლოდ მაშინ, თუ **აი-** პრეფიქსის წინ დგას მრავლობითი რიცხვის **ჰ-** პრეფიქსი, რომლის გეერდითაც აფხაზურ ენაში ა ხმოვანი **საერთოდ არასოდეს განიცდის ასიმილაციას** და უცვლელი რჩება. მაგალითად: **ჰ-აიბანგჰოიტ** "ჩვენ ერთმანეთს ვლოცავთ" (შდრ.: **ჰ-აიბა-ცოო-უპ** "ჩვენ ობლები ვართ; ჩვენ ქვრიეები ვართ"), მაგრამ **შ-ეობანგჰოიტ** "თქვენ ერთმანეთს ლოცავთ", (ი-)ეობანგჰოიტ "ისინი ერთმანეთს ლოცავენ".

რატომ ხდება ნაწილობრივი ასიმილაცია ფორმათა პირველ ჯგუფში და რატომ არ ხდება იგი მეორე ჯგუფში, სადაც ფონეტიკურად იგივე გარემოა, რაც პირველი ჯგუფის ფორმებშია – ა ხმოვანი ხომ ორივე შემთხვევაში უშუალოდ წინ უძღვის მაასიმილირებელ ჲ სპირანტს? რით უნდა აიხსნას ამგვარი ანომალია?

ვფიქრობთ, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებას:

სიტყვათა ზოგად, სალექსიკონო (დასახელების, ნომინაციის) ფორმებში, მართალია, რეალურად არ არის წარმოდგენილი ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსი (აფხაზურ ენას **საზოგადოდ არ სჩვევია მორფემათა ზღვარზე** სხვადასხვა ფუნქციის მქონე **ერთი და იმავე ორი ხმოვანი მორფემის** გვერდი-გვერდ დგომა – ერთი მათგანი აუცილებლად იკარგება ხოლმე), მაგრამ იგი ზემოთ მოყვანილ **უასიმილაციო ფორმებში უეჭველად იგულისხმება** და სწორედ ეს აფერხებს ასიმილაციის პროცესის ამოქმედებას. მეორე ჯგუფის სიტყვებში ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- თავსართი არც რეალურად არის წარმოდგენილი და არც იგულისხმება, რაც ხელს უწყობს ასიმილაციას და ვიღებთ ე ხმოვნიან ვარიანტებს.

თავი III

გრამატიკის საკითხები

§ 1. კლასოვან-პიროვანი უღვლილების პრინციპის დარღვევები აფხაზურ ზმნაში

დადგენილია, რომ ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, მათ შორის აფხაზურსა და აბაზურში კლასოვან-პიროვანი უღვლილება ქრონოლოგიური თვალსაზრისით მეორე საფეხურზე დგას და წარმოადგენს შუალედურ ეტაპს არქაულ კლასოვან უღვლილებასა და შედარებით ახალ პიროვან უღვლილებას შორის. ეს შუალედურობა იმითაც ვლინდება, რომ კლასოვანი უღვლილების მქონე ზმნა სუბიექტ-ობიექტთა გრამატიკული კლასის აღნიშვნისას ზმნურ ფორმაში, ჩვეულებრივ, იგუებს ან მხოლოდ სუბიექტის, ან მხოლოდ ობიექტის **ერთადერთი ექსპონენტის (ერთადერთი აფიქსის)** ჩართვას და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენი ობიექტია აზრობრივად დაკავშირებული ზმნასთან – ერთი, ორი, სამი თუ მეტი; კლასოვან-პიროვანი უღვლილების მქონე ზმნაში კი ჩვეულებრივი მოვლენაა ზმნურ ფორმაში **უკლებლივ ყველა** იმ სახელის გრამატიკული კლასის, პირისა და რიცხვის საგანგებო ექსპონენტებით (აფიქსებით) აღნიშვნა, რომლებიც შეეწყობა ზმნას სუბიექტისა და ობიექტების სახით. მაგალითად:

ხუნძურ გარდაუვალ ზმნაში საგანგებო ექსპონენტი (აფიქსი) გამოხატავს მხოლოდ სუბიექტის გრამატიკულ კლასს (მამაკაცისა, ქალისა, თუ ნივთისა). ზმნური ფორმა **ვ-უგო** ქართული ენის "ვარ", "ხარ", "არის" ფორმათა განზოგადებული შესაბამისია და ამ სამი ქართული ფორმიდან არცერთის ზუსტი თარგმანი არ არის: იგი ითქმის მხოლოდ მამაკაცის შესახებ და წინადადებაში ნაცვალსახელის, ან გრამატიკულ კლასზე მიმნიშნებელი სხვა სიტყვის ჩართვის გარეშე არ განარჩევს იმას, მე ვარ, შენ ხარ, თუ ის არის. მამაკაცი-სუბიექტის გრამატიკულ კლასზე ამ ფორმაში მიუთითებს პრეფიქსი **ვ-**.

ასეთივე მახასიათებლები აქვს ქალის გრამატიკული კლასის ამსახველ **დ-იგო** ფორმას, რომელიც სიტუაციის შესაბამისად მიუთითებს იმაზე, რომ მთქმელი ქალია და თავის მყოფობას აღნიშნავს, ან მთქმელი მიმართავს ქალს და ხაზს უსვამს, რომ ის არის (არსებობს, ან იმყოფება), ანდა მთქმელი ლაპარაკობს საუბარში არამონაწილე ქალის არსებობა-მყოფობაზე. ქალი-სუბიექტის გრამატიკულ კლასს ამ ფორმაში გამოხატავს **დ-** პრეფიქსი.

ანალოგიური სპეციფიკა აქვს **ბ-უგო** ფორმასაც, რომელიც ითქმის უსულო, ან სულიერი უგონო საგნის (ნივთის) შესახებ საუბრისას. მასში ნივთ-სუბიექტის გრამატიკულ კლასს **ბ-** პრეფიქსი გამოხატავს.

მრავლობით რიცხვში გრამატიკული კლასი აღარ გაირჩევა, მაგრამ საგანგებო ექსპონენტით გამოიხატება სუბიექტის სიმრავლე: **რ-უგო** სიტუაციის შესაბამისად ნიშნავს "ჩვენ ვართ, თქვენ ხართ, ისინი არიან" ფორმებიდან ერთ-ერთს და მასში სუბიექტის სიმრავლის გამომხატველია **რ-** პრეფიქსი.

გარდამავალ ზმნაში აღინიშნება მხოლოდ ობიექტის გრამატიკული კლასი. ფორმა **ვ-ეცანა** სიტუაციის შესაბამისად შეიძლება ითარგმნოს როგორც: "მე ვაქე ის (მამაკაცი)", ან "შენ აქე ის (მამაკაცი)", ანდა "მან აქო ის (მამაკაცი)" და მამაკაცის გრამატიკული კლასის ნიშანია თავსართი **ვ-**.

ფორმა **დ-ეცანა**-ს სიტუაციის შესაბამისად შეესაბამება შემდეგ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი: "მე ვაქე ის (ქალი)", "შენ აქე ის (ქალი)", "მან აქო ის (ქალი)". ამ ფორმაში ქალის კლასს გამოხატავს თავსართი **დ-**.

ფორმა **ბ-ეცანა** სიტუაციისდა მიხედვით ითარგმნება შემდეგნაირად: "მე ვაქე ის (სულიერი, ან უსულო საგანი)", "შენ აქე ის (სულიერი, ან უსულო საგანი)", ანდა "მან აქო ის (სულიერი, ან უსულო საგანი)"[92].

განსხვავებული ვითარებაა აფხაზურ ენაში, სადაც, როგორც აღინიშნა, ზმნურ ფორმაში ზოგადი წესის შესაბამი-

---

[92] არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1979, გვ. 165-166.

სად, ჩვეულებრივ, აისახება ზმნასთან შეწყობილი უკლებლივ ყველა სახელის კლასიც, პირიც და რიცხვიც, თუმცა არის სისტემიდან ქვესისტემური გადახვევების შემთხვევებიც. მაგალითად, ტიპური ფორმებია:

ერთპირიან-ერთკლასიანი ზმნა

სარა ს-ოუპ "მე ვარ" – ასახულია სუბიექტის პირი;

უარა უ-ოუპ "შენ (მამაკ.) ხარ" – ასახულია სუბიექტის პირიც და კლასიც;

ბარა ბ-ოუპ "შენ (ქალო) ხარ" – ასახულია სუბიექტის პირიც და კლასიც;

დარა დ-ოუპ "ის (მამაკ.) არის" – ასახულია სუბიექტის პირიც და კლასიც;

ლარა ლ-ოუპ "ის (ქალი) არის" – ასახულია სუბიექტის პირიც და კლასიც;

დარა Ø-აუპ "ის (ნივთი) არის" – არ არის ასახული სუბიექტის არც პირი და არც კლასი, მაგრამ თუ ნივთის აღმნიშვნელი სახელი დაისმის ზმნის შემდეგ, ან ზმნასა და სუბიექტს შორის აღმოჩნდება რომელიმე სხვა სიტყვა, მაშინ ზმნაში აუცილებლად იქნება ასახული სუბიექტის პირ-კლასი: დ-ოუპ დარა "არის ის (ნივთი)", დარა აბრა დ-ოუპ "ის (ნივთი) აქ არის"[93];

პარა პ-აუპ "ჩვენ ვართ" – ასახულია სუბიექტის პირი და რიცხვი;

შარა შ-ოუპ "თქვენ ხართ" – ასახულია სუბიექტის პირი და რიცხვი;

---

[93] Ø-აუპ ფორმის თავკიდურა ა ხმოვანი ძირისეული ბგერაა. ენაში მოქმედი წესის თანახმად, წყვილბაგისმიერი უ თანხმოვნის წინ იგი ო ხმოვნად უნდა ასიმილირებულიყო, მაგრამ ეს წესი აქ დარღვეულია, ვინაიდან ამ ა ხმოვან'ში იგულისხმება III პირის ნივთის გრამატიკული კლასის ა ხმოვანიც. უასიმილაციო ვარიანტი დაკარგული კლასის ნიშნის კომპენსაციად გამოჩანს.

დარა რ-ოუპ "ისინი არიან" – ასახულია სუბიექტის პირი და რიცხვი.

როგორც ვხედავთ, აქ რიცხვის გამოხატვის სისტემასთან ერთად წარმოდგენილია როგორც გრამატიკული კლასის, ისე პირის აღნიშვნის სისტემაც, ხოლო მხოლობითი რიცხვის მესამე პირში ნივთის გრამატიკული კლასი არ არის გამოხატული, რასაც განაპირობებს ზმნური ფორმის წინ შესაბამისი სახელის დგომის ფაქტი.

ორპირიან-ორკლასიანი გარდაუვალი ზმნა

სარა აგაზეთ ს-ა-ფწოდტ "მე გაზეთს ვკითხულობ" – გამოხატულია სუბიექტის პირი (ნიშანი ს-) და ირიბი ობიექტის პირი და კლასი (ნიშანი ა-);

უარა აგაზეთ უ-ა-ფწოდტ "შენ (მამაკ.) გაზეთს კითხულობ" – გამოხატულია სუბიექტის პირ-კლასი (ნიშანი უ-) და ირიბი ობიექტის პირ-კლასი (ნიშანი ა-);

ბარა აგაზეთ ბ-ა-ფწოდტ "შენ (ქალო) გაზეთს კითხულობ" – გამოხატულია სუბიექტის პირ-კლასი (ნიშანი ბ-) და ირიბი ობიექტის პირ-კლასი (ნიშანი ა-);

დარა ‖ ლარა აგაზეთ დ-ა-ფწოდტ "ის (ადამიანი) გაზეთს კითხულობს" – გამოხატულია სუბიექტის პირ-კლასი (ნიშანი დ-) და ირიბი ობიექტის პირ-კლასი (ნიშანი ა-);

ჰარა აგაზეთ ჰ-ა-ფწოდტ "ჩვენ გაზეთს ვკითხულობთ" – გამოხატულია სუბიექტის პირი და რიცხვი (ნიშანი ჰ-) და ირიბი ობიექტის პირ-კლასი (ნიშანი ა-);

შარა აგაზეთ შ-ა-ფწოდტ "თქვენ გაზეთს კითხულობთ" – გამოხატულია სუბიექტის პირი და რიცხვი (ნიშანი შ-) და ირიბი ობიექტის პირ-კლასი (ნიშანი ა-);

დარა აგაზეთ დ-ა-ფწოდტ "ისინი გაზეთს კითხულობენ" – გამოხატულია სუბიექტის პირი და რიცხვი (ნიშანი დ-) და ირიბი ობიექტის პირ-კლასი (ნიშანი ა-);

სარა აგაზეთჭა ს-რჷფწ'ოჲტ "მე გაზეთებს ვკითხულობ" – გამოხატულია სუბიექტის პირი (ნიშანი ს-) და ირიბი ობიექტის პირი და რიცხვი (ნიშანი რ-) და ა.შ.

ამ შემთხვევებში ზმნაში აღინიშნება გრამატიკული კლასიც, პირიც და რიცხვიც.

ორპირკლასიანი გარდამავალი ზმნა

სარა უარა უჷზ-ბოჲტ "მე შენ (მამაკ.) გხედავ" – გამოხატულია სუბიექტის პირი (ნიშანი ზ- < ს-) და პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირ-კლასი (ნიშანი უ-);

სარა დარა ‖ ლარა დჷ-ზ-ბოჲტ "მე მას (ადამ.) ვხედავ" – გამოხატულია სუბიექტის პირი (ნიშანი ზ- < ს-) და პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირ-კლასი (ნიშანი დ-);

სარა ალა ‖ ამპჷლ Ø-ზ-ბოჲტ "მე ძაღლს ‖ ბურთს ვხედავ" – გამოხატულია სუბიექტის პირი (ნიშანი ზ- < ს-) და არ არის გამოხატული პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის არც პირი, არც კლასი და არც რიცხვი, მაგრამ თუ პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა აღმოჩნდება ზმნის მომდევნო პოზიციაში, ან ზმნასა და ობიექტის აღმნიშვნელ სახელს შორის ჩაერთვება რომელიმე სხვა სიტყვა, მაშინ ზმნურ ფორმაში ობიექტის პირ-კლასის ნიშანი (ი-) აუცილებლად აღდგება: სარა ი-ზ-ბოჲტ ალა ‖ ამპჷლ "მე ვხედავ ძაღლს ‖ ბურთს", სარა ალა ‖ ამპჷლ უეჲზჷჷ ი-ზ-ბოჲტ "მე ძაღლს ‖ ბურთს მაინც ვხედავ";

სარა ჱარა ჱჷ-ზ-ბოჲტ "მე თქვენ გხედავთ" – გამოხატულია სუბიექტის პირი (ნიშანი ზ- < ს-) და პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირი და რიცხვი (ნიშანი ჱ-);

სარა დარა Ø-ზ-ბოჲტ "მე მათ ვხედავ" – გამოხატულია სუბიექტის პირი (ნიშანი ზ- < ს-) და არ არის გამოხატული პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის არც პირი, არც კლასი და არც რიცხვი, მაგრამ თუ პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა ზმნის მომდევნო პოზიციაში გადაინაც-

ველებს, ან ზმნასა და პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელ სიტყვას შორის ჩადგება რომელიმე სხვა სიტყვა, პირდაპირი ობიექტის ნიშანი (ი-) ზმნურ ფორმაში აუცილებლად აღდგება: სარა ი-ზ-ბოდტ დარა "მე ვხედავ მათ", სარა დარა უეზგჳ ი-ზ-ბოდტ "მე მათ მაინც ვხედავ";

უარა სარა ს-უჳ-ბოდტ "შენ (მამაკ.) მე მხედავ" – გამოხატულია სუბიექტის პირ-კლასი (ნიშანი უ-) და პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირი (ნიშანი ს-);

ბარა სარა სჳ-ბ-ბოდტ "შენ (ქალო) მე მხედავ" – გამოხატულია სუბიექტის პირ-კლასი (ნიშანი ბ-) და პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირი (ნიშანი ს-);

ლარა ახაწა დჳ-ლ-ბოდტ "იგი (ქალი) კაცს ხედავს" – გამოხატულია სუბიექტის პირ-კლასი (ნიშანი ლ-) და პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირ-კლასი (ნიშანი დ-) და ა.შ.

ამრიგად, აფხაზურ ზმნაში კლასოვან-პიროვანი უღვლილების **უმთავრესი მახასიათებელი სწორედ ზმნასთან შეწყობილ სუბიექტ-ობიექტთა პირის, კლასისა და რიცხვის აღნიშვნის გარდაუვალი აუცილებლობაა**[94]. ქ. ლომთათიძის მიერ ისიცაა დადგენილი, რომ პირ-კლასის ნიშნები, როგორც ზემოთ დასახელებულ ზოგ მაგალითშიც გამოჩნდა, გარკვეულ პირობებში არ არის წარმოდგენილი. ამის მიზეზად შესაბამისი სახელის უშუალოდ ზმნური ფორმის ანლაუტში განლაგებული პირ-კლასის ნიშნის წინ დგომას მიიჩნევენ. როგორც კი ისპობა ეს

---

[94] ვრცლად ამის შესახებ იხ.: გ. როზენის, პ. უსლარის, ქ. ლომთათიძის, ი. გეწაძის, მ. ციკოლიასა და სხვათა ნაშრომები, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. ლომთათიძის შემდეგი გამოკვლევები: К.В. Ломтатидзе. Относительные местоимения в глагольных формах абхазского языка. – "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. III, № 4. თბ., 1941; ქ. ლომთათიძე. გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში. – "ენიმკის მოამბე", ტ. XII. თბ., 1942; ქ. ლომთათიძე. აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ). თბ., 1944; ქ. ლომთათიძე. აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები. – იკე, ტ. II. თბ., 1948; ქ. ლომთათიძე. აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ). თბ., 1954.

პირობა და სახელი, რომლის ექსპონენტიც ზმნის აბსოლუტურ დასაწყისში დგას, გადაინაცვლებს ზმნის შემდგომ, ან სხვა სიტყვის წინ, სუბიექტის, ან ობიექტის შესაბამისი რეალური ნიშანიც უმალვე აღდგება და თავის კუთვნილ ადგილს იკავებს (იხ. ზემოთ). მხოლობითი რიცხვის ნიეთის კლასის III პირისა და მრავლობითი რიცხვის III პირის ნიშანთა უქონლობას მკვლევართა უმრავლესობა მიაწერს, ერთი მხრივ, სიტყვათა რიგის და, მეორე მხრივ, სახელისა და ზმნის უშუალო მეზობლობის გავლენას, ხოლო ჯ. დიუმეზილი ამ ტენდენციას იმით ხსნის, რომ ასეთ შემთხვევებში თვით სახელი, რომელიც წარმოადგენს ობიექტს, ან სუბიექტს, გამოდის პირის, ან პირ-კლასის ნიშნის როლში, რის გამოც ზმნაში სათანადო აფიქსის ჩართვა აუცილებელი აღარ არის.

კლასოვან-პიროვანი უღელილების დროს ზმნაში სუბიექტ-ობიექტთა პირ-კლასის აღნიშვნის აუცილებლობის პრინციპი ირღვევა გარდამავალ ზმნათა ზოგიერთ ფორმაშიც. კერძოდ, როგორც ქ. ლომთათიძემ დაადგინა, სუბიექტის პირი, კლასი და რიცხვი ზმნაში არ აღინიშნება გამოიხატება შემდეგ შემთხვევებში:

1. როცა გარდამავალი ზმნის ბრძანებითი კილოს დადებით ფორმებში სუბიექტი მხოლობით რიცხვშია. შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ, თხრობითი კილოს ფორმა **დ-უ-ბეიტ** "შენ (მამაკ.) იგი (ადამ.) ნახე, დაინახე", სადაც **დ-** პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირ-კლასის პრეფიქსია, ხოლო **უ** – სუბიექტის პირ-კლასისა და, მეორე მხრივ, ბრძანებითი კილოს მხოლობითი რიცხვის ფორმა **დ-Ø-ბა!** "ის (ადამ.) ნახე!" სადაც წარმოდგენილია მხოლოდ პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირ-კლასის ნიშანი **დ-**, მაგრამ სუბიექტი აფიქსი არ არის წარმოდგენილი;

2. გარდამავალ ზმნათა აბსოლუტივის დადებით ფორმებში. შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ, თხრობითი კილოს დადებითი ფორმა წინადადებაში: ურთ აუს იბზიანგ **ი-ყა-რ-წე-იტ** "მათ საქმე კარგად გააკეთეს", სადაც პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირ-კლასის ნიშანიც (**ი-**) არის წარმოდგენილი და სუბიექტის პირისაც (**რ-**) და, მეორე მხრივ, აბსოლუტივის ფორმა

წინადადებაში: ურო აუს Ø-ყა-Ø-წა-ნ დააძტ "მათ საქმე გააკეთეს რა მოვიდნენ", სადაც მხოლოდ პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის პირ-კლასის ნიშანია წარმოდგენილი, სუბიექტისა კი არ ჩანს[95].

ამ ტიპის დარღვევებს ქ. ლომთათიძე სავსებით მართებულად მიიჩნევდა ზმნის კლასოვანი უღელილების პრინციპის გადმონაშთად აფხაზურ ენაში, კლასოვანი უღელილება კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გამოირჩევა იმით, რომ ზმნაში აღინიშნება ან გარდაუვალი ზმნის მხოლოდ სუბიექტის კლასი, ან გარდამავალი ზმნის მხოლოდ ობიექტის კლასი (იხ. ზემოთ).

3. არის შემთხვევები, როცა ზმნაში (ძირითადად სტატიკურში) პირი და კლასი კელავ არ აღინიშნება, ოღონდ ამ დროს სხვა ფაქტორს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. კერძოდ, სახელის ფუძეთაგან ნაწარმოებ III პირის ზმნურ ფორმებში განირჩევა განსაზღვრული და განუსაზღვრელი უღელილება, რაც აისახება პირ-კლასისა და რიცხვის აღნიშვნის სპეციფიკაში: დ-ფპა-უპ "ის ასულია, ქალიშვილია" ფორმა (შდრ. არს. სახ. ა-ფპა "ასული, ქალიშვილი"), რომელშიც დ- პრეფიქსითაა მარკირებული სუბიექტის კლასი, ხაზს უსვამს იმას, რომ კონკრეტული პიროვნებაა ასული, ქალიშვილი, ხოლო Ø-ფპა-უპ "ასულია, ქალიშვილია" ფორმაში დაკონკრეტებული არ არის, თუ ვის ეხება საუბარი.

აფხაზური ზმნის უღელილების განსაზღვრული და განუსაზღვრელი სახეობები პირველად ქ. ლომთათიძემ გამოყო და სპეციალური გამოკვლევაც უძღვნა მას[96]. მკვლევარს ისიც მითითებული აქვს, რომ III პირი ასევე ნულოვანი აფიქსითაა მარკირებული წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელ ნასახელარ სტატიკურ ზმნებში. მაგალითად, პარალელურად არსე-

---

[95] ვრცლად იხ.: ქ. ლომთათიძე. აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები. – იკე, ტ. II. თბ., 1948.

[96] ქ. ლომთათიძე. განსაზღვრულობის კატეგორია აფხაზური ზმნის უღელილების სისტემაში. – "მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია", № 2, 1979, გვ. 131-136.

ბობს ფორმები: რაშთ დ-აყატ'ჳნ და რაშთ Ø-აყატ'ჳნ "რაშითი სოხუმელი იყო" (ზედმიწ.: "რაშითი სოხუმისა იყო").

ქ. ლომთათიძის თვალსაზრისით, ამ პარალელურ ფორმებს შორის უდავოდ არის ნიუანსური სემანტიკური სხვაობა და გარჩეული უნდა იყოს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა, რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან **სუბიექტი ორივე შემთხვევაში დაკონკრეტებულია** – იგი რაშითია, რაც გამორიცხავს უნიშნო Ø-აყატ'ჳნ ფორმის ინტერპრეტირებას განუსაზღვრელ ფორმად.

სპეციალური ლიტერატურიდან უკვე ცნობილი სუბიექტის აღუნიშვნელობის შემთხვევების ნაწილი III პირს ეხება, ამ მხრივ გამონაკლისებია გარდამავალ დინამიკურ ზმნათა ბრძანებითი კილოსა და აბსოლუტივის დადებითი ფორმები, რომლებშიც სუბიექტის ნებისმიერი პირი და კლასი ასევე არ აღინიშნება და ეს **კლასოვანი უღელილების პრინციპის გადმონაშთია**. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი:

ხომ არ არის აფხაზურ ენაში სხვა შემთხვევებიც სუბიექტის აღუნიშვნელობისა არა მარტო III, არამედ I და II პირებშიც?

მართლაც, 1970-1991 წლებში აფხაზურ სოფლებში ექსპედიციების დროს ჩვენ მიერ შეგროვილ და აფხაზური, ან თარგმნილი მხატვრული, თუ პუბლიცისტური ლიტერატურიდან ამოკრებილ მასალაში დადასტურდა აფხაზური ზმნის კლასოვან-პიროვანი უღელილების პრინციპის დარღვევათა სხვა ტიპების არსებობაც. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ **ორივე რიცხვის პირველ, მეორე და მესამე პირებში მდგომი სუბიექტი არ არის მარკირებული ერთპირკლასიანი სტატიკური, ე.ი. გარდაუვალი ზმნების საკმაოდ დიდ ნაწილშიც**. ამ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ **ასეთი თავისებურებანი ახასიათებს ზმნათა 3 ჯგუფს**, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

პირველი ჯგუფს ქმნიან წარმომაელობა-სადაურობის აღმნიშვნელი ნასახელარი და ნაზმნისართალი სტატიკური ზმნები, რომელთა III პირის ფორმებში სუბიექტის აღუნიშვნელობის მაგალითები, როგორც ზემოთაც მიეუთითეთ, გამოვლენილი

ჰქონდა ქ. ლომთათიძეს. ჩვენს მასალაში კი დადასტურდა მრავალი შემთხვევა, როცა **სუბიექტი არ არის მარკირებული ორივე რიცხვის სამივე პირში.** ეს სტატიკური ზმნები ძირითადად ნაწარმოებია ტოპონიმებისაგან, გვარსახელებისა და ადგილის ზმნისართებისაგან. ტოპონიმთაგან და ზმნისართთაგან მომდინარე ზმნებს ერთვის დანიშნულება-კუთვნილების აღმნიშვნელი -ტ°(ი) სუფიქსი (თავის მხრივ, -ტ° სუფიქსი მომდინარეობს ა-ტ°ჲ "საკუთრება; კუთვნილი; მონა" არსებითი სახელისაგან). თუ სუბიექტი მრავლობით რიცხვშია, მაშინ ზმნაში -ტ° სუფიქსის შემდეგ ჩაერთვის მრავლობითი რიცხვის სახელური -ჭა სუფიქსიც. რაც შეეხება გვარსახელთაგან მომდინარე ნასახელარ ზმნებს, მათ უპირკლასო ფორმები მარტო მხოლობით რიცხვში აქვთ და არ დაირთავენ -ტ° სუფიქსს. მაგალითები:

I პირი:

სარა Ø-აფსჩ-ტ°-უპ, საფსუოუპ[97] "მე აფხაზეთელი ვარ, აფხაზი ვარ";

– უოურჯსუმა? – მაპ, საფსუოუპ, Ø-აყა-ტ°-უპ[98] "– რუსი ხარ? – არა, აფხაზი ვარ, სოხუმელი ვარ";

Ø-ჟანდჟრფშ-ტ°-უპ სარა[99] "ზვანდრიფშელი ვარ მე";

სარა შჟჟლაცა სრეჟუოუპ, Ø-ეშჟრხა-ტ°-უპ[100] "მე თქვენი მეზობელთაგანი ვარ, ეშირხველი ვარ";

– საშა, უარა არატ°იუმა? – ააჲ, Ø-არაა-ტ°ი-უპ[101] "– ძმაო, შენ აქაური ხარ? –დიახ, აქაური ვარ";

ჰარა Ø-ბეჟდუაანტ°-კარი-ტ°-ჭო-უპ[102] "ჩვენ ბედუაანთკარელები ვართ";

სარა Ø-აცანბო-უპ[103]... "მე აცანბა (გვარსახელია) ვარ"...

---

[97] Г. Жанаа. Апатрет хучи абаҟа дуи. - კრებ.: Аамтеи ауааи. Аҟуа, 1981, გვ. 25.
[98] Н. Барателиа. Иалкаау. Аҟуа, 1981, გვ. 43.
[99] А. Цьениа. Адгъыл агуамч. - კრებ.: Аамтеи ауааи. Аҟуа, 1981, გვ. 19.
[100] Н. Ҳашьг. Аҧышәара. - ჟურნ. «Алашара», № 2, 1983, გვ. 37.
[101] Н. Ҳашьг. Аҧышәара. - ჟურნ. «Алашара», № 3, 1983, გვ. 23.
[102] А. Казбеги. Елгунья. Еитеиҭеит И. Чочуа. Аҟуа, 1958, გვ. 36.

II პირი:

საშა, უარა Ø-არა-ტ'ი-უმა?[104] "ძმაო, შენ აქაური ხარ?";

Ъართ Ø-პრიბალტიკა-ტ'-უმა?[105] "თქვენ ბალტიისპირელები ხართ?"

უარა Ø-ოჩამჩრა-ტ'-უმა?[106]... "შენ ოჩამჩირელი ხარ?"

III პირი:

...არი Ø-შაქარ-იფო-უპ, ართ აჭკვნცა აბჟ Ø-ჯარდან-უპ, აბჟ Ø-Ъამბო-უპ, ეჯჯ Ø-ამაბო-უპ...[107] "ეს შაქარ-იფაა [გვარსახელია], ამ ბიჭებიდან ერთი ვარდანიაა, ერთი შამბაა, ის – ამაბა";

იფჯჯს Ø-ქუთეშ-ტ'-უპ[108] "მისი ცოლი ქუთაისელია";

გურამ იწძუპ, Ø-აგრბო-უპ[109] "გურამი ჰქვია, აგრბაა";

Ø-ტამშ-ტ'-ჯა-ნ დარა[110]... "ისინი ტამიშელები იყვნენ"...

ამ ჯგუფის ფორმათაგან ყველაზე გავრცელებული მაინც მესამე პირის ნულოვანი აფიქსით გაფორმების შემთხვევებია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ქ. ლომთათიძეც მიუთითებდა, ენაში პარალელურად არსებობს და უფრო გავრცელებულიცაა ორდინარული ფორმები, როცა სუბიექტის პირი და კლასი სათანადო პირ-კლასის აფიქსებითაა მარკირებული. აქ ორდინარულ ფორმებს აღარ ვასახელებთ.

მეორე ჯგუფს ქმნიან ის სინტაქსური წყვილები (შესიტყვებანი, სინტაგმები), რომლებიც არ არიან კომპოზიტები, მაგრამ კომპოზიტებად გაიგება და სხვადასხვა დანიშნულების აფიქსებით ისევე ფორმდება, როგორც მარტივი ფუძეები, თუ კომპოზიტები. ვიდრე ამ გამონაკლისებს განვიხილავდეთ, გაეიხსენოთ ზოგი წესი:

---

[103] В. Басариа. Аца ĸаҧшь. - ურნ. «Алашара», № 6, 1983, გვ. 55.
[104] Н. Ҳашьг. Аҧышәара. - ურნ. «Алашара», № 3, 1983, გვ. 23.
[105] Г. Жанаа. დასახ. თხზულება, გვ. 25.
[106] ჩვენი საექსპედიციო მასალებიდან. სოფ. კვიტოული, 1987 წ.
[107] Н. Ҳашьг. Аҧышәара. - ურნ. «Алашара», № 2, 1983, გვ. 37.
[108] იქვე, გვ. 54.
[109] Г. Жанаа. Аимфалацәа. - ურნ. «Алашара», 8, 1981, გვ. 69.
[110] Н. Ҳашьг. Аҧышәара. - ურნ. «Алашара», № 3, 1983, გვ. 37.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ აფხაზურ ენაში მსაზღვრელ-საზღვრული ერთ სიტყვად გაიგება და ფორმდება სხვადასხვა გრამატიკული, თუ სიტყვათწარმოებითი კატეგორიის მაწარმოებლებით. მაგალითად: ԥ-ҳа ҧсҳ-ҭа "პატარა კურდღლები", ս-ҳа ҧсҳ-ҭа "ჩემი პატარა კურდღლები" და ა.შ.

მსაზღვრელ-საზღვრულს ასევე წარმატებით შეუძლია გადაიქცეს სტატიკურ ზმნად და გაფორმდეს მარტივფუძიანი ზმნების მსგავსად: პირველი სიტყვის ანლაუტში დაირთოს პირკლასის ნიშნები, მეორე სიტყვის აუსლაუტში კი – დროის, ფინიტობისა და სხვა აფიქსები. მაგალითად: არი **д**-аҧсҳа ԥҩаб-**уеит** "ეს აფხაზი გოგონაა", уи **д**-арҧсҳ ҟага-**н** "ის მოხდენილი ჭაბუკი იყო" და ა.შ.

ამგვარ წარმოებათა გვერდით ენაში არსებობს მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მიღებული ორ- და მეტსიტყვიანი სტატიკური ზმნები, რომლებშიც სუბიექტის პირ-კლასი ნულოვანი აფიქსითაა მარკირებული. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში დავადასტურეთ მხოლოდ ამგვარ ზმნათა არამარკირებული I და III პირის რამდენიმე ფორმა, მაგრამ სრულებით არ გამოეკლინდა II პირის ფორმები. მაგალითები:

I პირი:

сара сбгрызԥнуп, Ø-аҵаа ҟрцҭи ҳаҵҵ-уп[111] "მე ბერძენი ვარ, საზღვარგარეთელი (უცხოელი) ვარ".

III პირი:

лаб Ø-ҳаҵҵ тҵнӡҵ-н[112] "მამამისი წყნარი (მშვიდი) ადამიანი იყო";

аҳ ҟ'елҵш-беи ԥара ԥаамтаҧҭи Ø-политикаҭ ҳашҭҵ ду-н[113] "[აფხაზეთის] მთავარი ქელეშ-ბეი თავისი დროისათვის დიდი პოლიტიკური მოღვაწე იყო".

---

[111] Н. Хашьг. Аҧышәара. - ჟურნ. «Алашара», № 12, 1982, გვ. 41.

[112] В. Дбар. Ашәҡуа анҧуа. Аҟуа, 1981, გვ. 57.

[113] Г. Зизариа. Аҧсны Георгиевскҳәи атрактат аамҵазы. - ჟურნ. «Алашара», № 6, 1983, გვ. 85.

მესამე ჯგუფში შედის ის ნასახელარი სტატიკური ზმნები, რომლებსაც უშუალოდ წინ უძღვის **ვინც** და **რაც** ნაცვალსახელთა ფუნქციის მქონე სამიმართებო **ი-** და **ზ-** პრეფიქსების შემცველი ინფინიტური წარმოების ზმნები. ამგვარ შემთხვევებში ინფინიტური ზმნა ასრულებს მსაზღვრელი სიტყვის ფუნქციას და, როგორც ვფიქრობთ, ეს ფაქტორიც განსაზღვრავს მომდევნო სტატიკური ზმნის სუბიექტის აღუნიშვნელობას სამივე პირში. მაგალითები:

I პირი:

სარა უბას იყოუ Ø-უაჳგ-უპ...[114] "მე ასეთი ადამიანი ვარ" (ზედმიწ.: "მე ასეთი ვინც არის, [ის] ადამიანი ვარ");

სარა ზეგჳ ზჳშთან რეიზჳრხაწოუ Ø-უაჳგ-უპ...[115] "მე ის ადამიანი ვარ, ვინც ყველაზე ბოლოს წააჩანჩალეს";

პარგჳ უბას იყოუ Ø-ჟლარ-უპ[116] "ჩვენც ასეთი ხალხი ვართ"...

III პირი:

ღარა იხათა კრონშტადტ ამიატეჟი აღლაფჳხხაარა ღალაზჳზ Ø-რევოლიუციონერ-უპ[117] "პირადად იგი კრონშტადტის ჯანყის მოსპობაში ვინც მონაწილეობდა, [ის] რევოლუციონერია";

...ურთ... ჰაქიდგრგჳლარც ღააზ Ø-შახტიორ-ცო-უპ[118] "ისინი ჩვენს ფეხზე წამოსაყენებლად ვინც მოვიდა, [ის] მეშახტეები არიან";

უარა ურობინზონ ხირ ზწოუ Ø-უაჳგ-მ "შენი რობინზონი ხეირი ვისაც აქვს, [ის] ადამიანი არ არის (ე.ი. უხეიროა)";

ლონგო... ინაალაზ Ø-არფჳსგ-ნ[119] "ლონგო, მოხდენილი ვინც იყო, [ის] ჭაბუკი იყო"...

---

[114] Т. Чания. Аҧсуа баллада. Аҟуа, 1981, გვ. 234.

[115] А. Цьения. Агәнаҳа уаҵамлан, сашьа. - ჟურნ. «Алашара», № 11, 1982, გვ. 49.

[116] Н. Ҳашыг. Аҧышәара. - ჟურნ. «Алашара», № 2, 1983, გვ. 39.

[117] Н. Ҳашыг. Аҧышәара. - ჟურნ. «Алашара», № 3, 1983, გვ. 28.

[118] იქვე, გვ. 41.

[119] იქვე, გვ. 33.

რა აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილ 3 ჯგუფს გარდა იმისა, რომ მათში სუბიექტის პირი და კლასი არ არის მარკირებული I, II და III პირებში? არის თუ არა ამ ჯგუფებს შორის სხვაობა?

დავიწყოთ იმით, რომ ამ **სამივე ჯგუფის ზმნები გარდაუვალია და ეს ნიშანია საზიარო გაანალიზებული ფორმებისათვის.**

პირველი და მეორე ჯგუფების **გარდაუვალი ზმნები არღვევენ როგორც კლასოვანი, ისე კლასოვან-პიროვანი უღვლილების კარდინალურ პრინციპებს**: კლასოვანი უღვლილების დროს სავალდებულოა გარდაუვალი ზმნის სუბიექტის კლასის აღნიშვნა შესაბამისი კლასის ექსპონენტებით, ხოლო კლასოვან-პიროვანი უღვლილება ასევე სავალდებულოდ გულისხმობს როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნების კლასისა და პირის აღნიშვნას შესაბამისი პირისა და კლასის ექსპონენტებით. ჩვენს შემთხვევაში ორივე ეს პრინციპი იგნორირებულია და **ზმნა ირჩევს იმ ენათა გზას** (ლეზგიური და აღულური ენების შემთხვევა), **რომლებშიც ზმნას საერთოდ არა აქვს არც კლასოვანი, არც კლასოვან-პიროვანი და არც პიროვანი უღვლილება.** ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზურ ენაში აშკარად საგრძნობია სრულიად ახალი მიდრეკილება ზოგ ზმნაში კლასისა და პირის კატეგორიების გაურჩევლობისაკენ.

მესამე ჯგუფში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ნულოვანი აფიქსით მარკირებული პირ-კლასის მქონე ზმნათა წინმდგომი ზმნის სამიმართებო დ- და ზ- პრეფიქსების მორფოლოგიურ-სინტაქსურ სემანტიკას: ეს პრეფიქსები სემანტიკურად უდრის ქართული ენის **ვინც** და **რაც** მიმართებით ნაცვალსახელებს, რომლებიც გარკვეული დოზით **განუსაზღვრელობის მნიშვნელობასაც გულისხმობენ**. ვფიქრობთ, სწორედ ეს შინაარსი იწვევს მომდევნო ზმნათა განუსაზღვრელობას და, შესაბამისად განუსაზღვრელი სუბიექტის პირ-კლასის ნიშნებიც ზედმეტი გამოდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ მიერ გამოვლენილი ზმნურ ფორმათა **მესამე ჯგუფი განუსაზღვრელი უღვლილების ნიმუშებია და, მაშასადამე, ინოვაციაა.** ამ სხვაობის

მიუხედავად, მესამე ჯგუფის ზმნებიც ჰგვანან პირველი და მეორე ჯგუფების ზმნებს, რაკიღა ისინიც არღვევენ როგორც კლასოვანი, ისე კლასოვან-პიროვანი უღვლილების პრინციპებს და ამით ავლენენ უკლასნიშნო უღვლილების ჩანასახებს.

დასასრულ დაისმის საკითხი აქ დასახელებულ სამი ჯგუფის ზმნურ ფორმათა სპეციფიკის წარმოქმნის დროის შესახებ. მიგვაჩნია, რომ **კლასოვან-პიროვანი უღვლილების პრინციპის ეს დარღვევები სრულიად ახალია და ისინი ვერ ჩაითვლება კლასოვანი უღვლილების გადმონაშთად.** ასეთი ფორმების სიახლეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მსგავსი დარღვევები არ ჩანს აბაზურ დიალექტებში, აფხაზურ-აბაზური ენობრივი კონტინუუმი კი საბოლოოდ დაიშალა არც ისე დიდი ხნის წინ, XVI საუკუნეში. მაშასადამე, ცვლილებანი აფხაზურ ენაში ამის შემდგომ უნდა იყოს წარმოქმნილი საკუთრივ აფხაზურ ნიადაგზე.

§ 2. აფხაზური ზმნის ერთი იშვიათი მოდელის საკითხისათვის

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან აფხაზურ-აბაზური გამოირჩევა სახელური ფორმათწარმოების შედარებითი სიმარტივითა და ზმნური ფორმათწარმოების დიდი სირთულით. აფხაზურ-აბაზური ზმნის ფორმათწარმოების სირთულესა და შესაბამის მორფოლოგიურ საშუალებათა სიმრავლეს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ზმნის ამოსავალი კლასოვანი უღვლილების მარტივი სისტემის მოშლა და უფრო რთული კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბება. საქმე ის არის, რომ **კლასოვანი უღვლილების მქონე ენათა ზმნა, პირობით რომ ვთქვათ, უფრო მთლიანი, "ჩაკეტილი, შეკრული და შეუღწევადია" აფიქსებისათვის, ვიდრე კლასოვან-პიროვანი, თუ პიროვანი უღვლილების მქონე ენათა ზმნაა, რომელიც თავისუფლად იგუებს სხვადასხვა სემანტიკის მქონე მორფოლოგიურ და მოდალურ საშუალებათა ინკორპორირებას ზმნის ფორმაში,** მით უმეტეს მაშინ, როცა ამა თუ იმ ენას არ მოეპოვება ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა (სიტყვათა) არსებითად აუცილებელი

მთელი ჯგუფები. მაგალითად, **აფხაზურსა და აბაზურში არ არსებობს ისეთი სიტყვების კლასები, როგორიცაა: კუთვნილებითი და მიმართებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ზმნისართები, მაქვემდებარებელი კავშირები და სხვანი.** ამის გამო ენა იძულებულია, შესაბამისი მორფოლოგიური და სინტაქსური მნიშვნელობანი გამოხატოს ზმნურ სიტყვაფორმაში ჩართული სხვადასხვა წარმოშობის აფიქსებითა და ნაწილაკებით, ზოგჯერ კი სახელური ძირებითაც კი.

იგივე ითქმის ამ ენაში ბრუნების სისტემის უქონლობის კომპენსაციაზეც: წინადადების წევრთა, თუ წინადადებათა შორის არსებული სინტაქსური ურთიერთობანი ბრუნების სისტემის უქონელ აფხაზურსა და აბაზურში სწორედ ზმნაში აისახება ფუძის შიგნით ჩართული სუბიექტისა და ობიექტთა აღმნიშვნელი ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსების ორი რიგის (დ-სა და ლ-ს რიგების) ადგილმდებარეობითაც, მორფონოლოგიზებული ფონეტიკური ცვლილებებითაც და ა.შ. აღნიშნულ და სხვა თავისებურებათა გამო აფხაზურ-აბაზური ზმნური სიტყვათწარმოების სისტემის სინქრონიულ და დიაქრონიულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ლინგვისტური კავკასიოლოგიის, ისე თეორიული ენათმეცნიერებისა და ა'როვნების ისტორიის თვალსაზრისით.

აფხა'ურ-აბა'ური ზმნის ფორმათწარმოებისა და სემანტიკის პრობლემები საკმაოდ ღრმად არის გამოკვლეული აფხა'ზ, ქართველ, აბა'ხა და უცხოელ ლინგვისტთა მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ აფხაზურ-აბაზური ენის უდიდესი მკვლევრის, აკად. ქეთევან ლომთათიძის დამსახურება. მის ნაშრომებში თითქმის სრულადაა აღწერილი და სისტემატიზებული აფხაზურ-აბაზური ზმნის მრავალი გრამატიკული და სიტყვათწარმოებითი კატეგორია, დადგენილია ამ კატეგორიათა ურთიერთმიმართება და ისტორია, გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი ამ პრობლემათა შესახებ. მაგრამ თქმული სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ მიმართულებით საკვლევი აღარაფერი დარჩა – შესასწავლი და გამოსავლენი საკითხი კიდევ ბევრია და ისინი მოელიან თავიანთ მკვლევრებს. წინამდებარე პარაგრაფიც მიზნად ისახავს ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლი-

ლი საკითხის გაშუქებას, კერძოდ კი აფხაზური ზმნის კავშირებითი კილოს ერთი თავისებური და ძალზე იშვიათად ხმარებული მოდელის მორფოლოგიური და სემანტიკური თავისებურების აღწერას. მაგრამ ვიდრე ამ მოდელის ანალიზს შევუდგებოდეთ, უპრიანია, გავიხსენოთ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი ცნობები აფხაზურ-აბაზური ზმნის კავშირებითი კილოს სხვა, უფრო ხშირად ხმარებულ და უკვე გამოკვლეულ მოდელთა წარმოებისა და სემანტიკის შესახებ. ამ მიზნით დავიმოწმებთ აფხაზი მეცნიერის, პროფ. ლიდია ჭკადუას განმაზოგადებელ დასკვნებს საანალიზო საკითხთან დაკავშირებით:

აფხაზურ-აბაზური ზმნის კავშირებით კილოს აქვს ორი ძირითადი მორფოლოგიური ვარიანტი: კავშირებითი პირველი და კავშირებითი მეორე. ორივე ვარიანტი საყრდენ მორფემად იყენებს განსაზღვრული (პირველი) მყოფადისა და განუსაზღვრელი (მეორე) მყოფადის ინფინიტურ ფორმებს, რომელთაც დაერთვის ნამყო დროის გამომხატველი -ნ სუფიქსი. მაგალითად:

	აფხაზ.	აბაზ.
კავშირ. I:	დგ-ზ-ბა-რგ-ნ	დგ-ზ-ბა-რგ-ნ
კავშირ. II:	დგ-ზ-ბა-შა-ნ	დგ-ზ-ბ-უ-შა-ნ // დგ-ზ-ბ-უ-შგ-ნ[120]

ქართულ ენაზე ყველა დასახელებული ფორმა ითარგმნება, როგორც "მე მას (ადამიანს) ვნახავდი, დავინახავდი".

დადგენილია ისიც, რომ კავშირებითი კილოს აქამდე ცნობილი ფორმები გამოხატავენ პროცესს, რომელიც არ განხორციელებულა, თუმცა შეიძლებოდა განხორციელებულიყო სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში. ამ პროცესის ირეალურობას განსაზღვრავს მისთვის აუცილებელი პირობების ირეალურობა. რაც შეეხება ამ ფორმათა დროით (ტემპორალურ) მიმართებებს, მათი არსებითი თავისებურება იმით გამოიხატება, რომ კავშირებითი კილო ორიენტირებულია ან მეტ-

[120] Л.П. Чкадуа. Система времен и основных модальных образований в абхазско-абазинских диалектах. Тб., 1970, გვ. 14.

ყველების თანადროულ მომენტზე, ან წარსულზე: მეტყველების მომენტზე ორიენტირებისას კავშირებითი კილოს ფორმით წარმოდგენილი ზმნის მოქმედება ან წარსულს უკავშირდება, ან მომავალ დროს, მაგრამ პირობის გამომხატველ დროზე ორიენტირების შემთხვევაში ზმნა გამოხატავს დროულ მიმდევრობას, იშვიათად კი თანადროულობას. აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, კავშირებითი პირველი და კავშირებითი მეორე ერთმანეთისაგან ფორმობრივად განსხვავდებიან (პირველს საფუძვლად უდევს მყოფადი პირველის, ანუ განსაზღვრული მყოფადის ნაკეთის მომავალი დროის აღმნიშვნელი -რ < -რა სუფიქსიანი ფორმა, ხოლო კავშირებითი მეორე იწარმოება მყოფადი მეორის, ანუ განუსაზღვრელი მყოფადის ნაკეთის მომავალი დროის გამომხატველი -შა სუფიქსიანი ფორმისაგან), მაგრამ მათ შორის მხოლოდ მინიმალური სემანტიკური სხვაობაა: კავშირებითი პირველი შედარებით მეტ კატეგორიულობასა და განსაზღვრულობას გულისხმობს, კავშირებითი მეორე კი უფრო განუსაზღვრელია და შესაძლებლობის, ალბათობის სემანტიკა აქვს[121].

კავშირებითი კილოს ამ მეტად პროდუქტიულ ფორმათა გვერდით აფხაზურში ძალზე იშვიათად დასტურდება მეტად თავისებური, უკვე მიმოხილულ ფორმათაგან მორფოლოგიურად საკმაოდ განსხვავებული წარმოებითი მოდელი, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს "განა, განაღამცა; როგორღა; რაღა" დამხმარე სიტყვებიანი კავშირებითის ფორმით. სპეციალურ ლიტერატურაში ამ თავისებური მოდელის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი, გარდა იმისა, რომ მათი მაწარმოებელი აჳ- პრეფიქსის მნიშვნელობად მითითებულია რუსული **разве** "განა"[122].

ამ თავისებური საწარმოო მოდელის მიხედვით აგებული ფორმები როგორც ზეპირ მეტყველებაში, ისე სამწიგნობრო აფსაზურ ენაში იმდენად იშვიათია, რომ ღიმიტრი გულიას

---

[121] Л. П. Чкадуа. დასახ. ნაშრ., გვ.174-175.

[122] И. Шадури И. Морфология абхазского языка. Тб., 2006, გვ. 166.

თხზულებათა ექვსტომეულის მეორე ტომში[123], რომელშიც შეტანილია აფხაზი მწერლის ორიგინალური პროზაული თხზულებანი, მათი გამოყენების სულ რაღაც 13 შემთხვევაღა გამოვლინდა. ქვემოთ მოვიყვანთ ყველა ამ მაგალითს, მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ ეს მოდელი იწარმოება ზმნის ძირის წინ, დ-ს რიგის სუბიექტურ, ან ობიექტურ კლასოვან-პიროვან პრეფიქსთა შემდეგ წარმოდგენილი აუ- // > оу- თავსართისა და ზმნის ძირის მომდევნოდ დასმული "კვლავ" ზმნისართის სემანტიკის გამომხატველი -ҳ სუფიქსის ერთდროული დართვით:

1. ааԥ, уи ԥ-оу-ҵаҩгьԥ-ҳԥ-м, аҳа... (გვ. 28) "დიახ, განა ეს ჭეშმარიტება არ იქნებოდა, მაგრამ..."

2. афшәмацәа, урт ртахцәа уҳәа рҿыԥԥ ԍмҭәаа аԥԥ д-аӡ-нрҿы-ҳ-уаз (გვ. 34) "მასპინძლები და მათი ახლობლები ვინმეს ისე როგორღა (განა) გაუშვებდნენ, რომ მათი სადღეგრძელო არ დაელიათ".

3. уҟыан аҩна инаҵәахиҵ, уаҳаԍҿ аԥҿр аӡ-иҳҳәа-ҳ-уаз! (გვ. 37) "მაშინ ისინი ტყემ დამალა (ტყეში მიიმალნენ) და იგი (მამაკაცი) რაიმეს განა (როგორღა) იტყოდა!"

4. ешьа уҟԥҿ уԥ ауҳа д-аӡ-цәа-ҳ-уаз! (გვ. 38) "ესმა იმ ღამით ისედაც განა (როგორღა) დაიძინებდა!"

5. ...тауадаи ааьыстәԥ ҩарацԥ уҳәа, аԥҿ анҿрӡа, ҳара анхацәа ҳадаԥ ԥ-аӡ-ҳәартә-ҳ-у! (გვ. 54) "როცა თავად-აზნაურები პურობას ან რაიმეს მართავენ, უჩვენოდ, გლეხების გარეშე როგორღა ივარგებდნენ!"

6. ...иҳәеиҵ алиаз, аҳа аҳаҳ уи аӡ-иу-ҳ-уаз! (გვ. 60) "...თქვა ალიასმა, მაგრამ განა მღვდელი ამას იზამდა (როგორღა დათანხმდებოდა)!"

7. ...иҳәеиҵ /арфҿсх/, аҳа каьаҷҿҷ ԥ-аӡ-лу-ҳ-уаз (გვ. 81) "...თქვა /ერთმა ჭაბუკმა/, მაგრამ კაცაჭიჭი განა ამას იზამდა (როგორღა დათანხმდებოდა)!"

---

[123] Д. Гулиа. Иҧымҭакуа реизга ф-томкны. Аҧбатәи атом. Акуа, 1982.

8. ...აცჟმზა მჟჟდაგჟ ...ლაშარაკ აუ-ახჟლწ-ხ-უაზ!.. (გვ. 145-146) "ოხერი სანთელიც განა შუქს გამოსცემდა (შუქს როგორღა გამოსცემდა)!"

9. ზნჟ აბაძეი საგასა დნეონ იხჟფჰა იჭჟ, ჲაათჟრყანჟ ჲ-აუ-იზჰა-ხ-უაზ, ახა დნაკაშა- ააკაშო ...იჰეტ (გვ. 189) "ერთხელ მორდუ საგესა თაცის გაზრდილთან მივიდა, პირდაპირ როგორღა (განა) მიახლიდა, მაგრამ მოიარებით თქვა (რაღაცა)".

10. ჲაშცაგჟ ჲაჰშცაგჟ დაარა იჰეტ, ახა თათლასთან ჲ-აუ-იუ-ხ-უაზ... (გვ. 193) "მისი ძმები და დებიც ძალიან შეევედრნენ, მაგრამ განა თათლასთანი ამას იზამდა (როგორღა დათანხმდებოდა)".

11. ...ლაბჭაბა დჟლბაზ ჯშა, აშ აააᲘლფაან დჟჟლჟლფშიტ, ახა არი აუ-ლაბჭაბა-ხჟ-ზ (გვ. 208) "მას (ქალს) ეგონა, თითქოს იგი (ადამიანი) ცხადლივ იხილა, კარი სწრაფად გამოაღო და გარეთ გაიხედა, მაგრამ განა ეს ცხადი იქნებოდა (აბა ეს ცხადი როგორღა იქნებოდა)".

12. აჭყანდარ აკჟ დარგააატ, ახა აპაპ უი ჲ-აუ-იდგრ-ხ-უაზ (გვ. 239) "ეპისკოპოსი რაღაცამ გააბრაზა, მაგრამ მღვდელს ეს განა ეცოდინებოდა (როგორღა, საიდანღა უნდა სცოდნოდა)".

13. უბრი ინაჭარშნჟ ტირუ აცირკ აწ დ-აუ-იზგა-ხ-უაზ (გვ. 262) "ამის გამოისობით ტირუს ცირკში რაღა წაიყვანდა (განა ვინმე წაიყვანდა)".

როგორც ვხედავთ, მოყვანილ ნიმუშებში დაცულია ფორმათწარმოების ერთიანი წესი: ზმნას ერთდროულად ეროვის აუ- პრეფიქსი და კვლავობის გამომხატველი -ხ სუფიქსი. ამ შემთხვევაში აქ ციტირებული ფორმები განსხვავდებიან კავშირებითი კილოს უფრო ხშირად ხმარებული ორდინარული ფორმებისაგან იმით, რომ ამ უკანასკნელთა საწარმოებლად ენა იყენებს მხოლოდ ნაკვთთა მაწარმოებელ სუფიქსებს, ამ 13 მაგალითში კი ფორმათწარმოებისათვის გამოყენებულია ერთდროულად ორი აფიქსი, რომელთაგანაც ერთი, აუ- თავსართი ენაში არ იხმარება რომელიმე სხვა ფუნქციით, ხოლო მეორე აფიქსის, -ხ ბოლოსართის მთავარი ფუნქცია არის

კვლავ მომხდარი მოქმედების გამოხატვა. ფორმათწარმოების თვალსაზრისით არსებითია ისიც, რომ კავშირებითი კილოს იშვიათი ფორმები ემყარება სტატიკური და დინამიკური ზმნის ან აწმყოს (ი-ოჭ-წაბჯრგჳ-ხჳ-მ "განა ჭეშმარიტება იქნებოდა", ი-აჭ-ხართა-ხ-უ "განა ივარგებდნენ"), ანდა, შედარებით უფრო ხშირად, ნამყო უსრულის ინფინიტურ ფორმებს.

რაც შეეხება კავშირებითი კილოს იშვიათ ფორმათა სემანტიკას, იგი მაქსიმალურად ემთხვევა კავშირებითი კილოს ფართოდ გავრცელებულ ფორმათა სემანტიკას: ზმნური ფორმა მიანიშნებს, რომ შესაბამისი მოქმედება, ან მდგომარეობა შესაძლებელია გარკვეულ პირობებში, მაგრამ რაკი ეს პირობები არ არსებობს, მოქმედება, ან მდგომარეობა ირეალური, განუხორციელებელი რჩება.

დროითი (ტემპორალური) მიმართების თვალსაზრისით კავშირებითი კილოს კონფიქსური წარმოების მქონე ზმნა უკავშირდება ან მეტყველების მომენტს (აწმყოს), ანდა ნამყო უსრულს და გულისხმობს ალბათობას, რითაც ჰგავს კავშირებითი კილოს დანარჩენ ორდინარულ ფორმებს.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული გარემოებანი სრულ საფუძველს ქმნიან საიმისოდ, რათა აჭ- თავსართითა და -ხ ბოლოსართით წარმოებული ზმნური ფორმები მივიჩნიოთ აფხაზური ზმნის კავშირებითი კილოს სპეციფიკურ ქვესახეობად. რაც შეეხება კავშირებითი კილოს ამ იშვიათი და სპეციფიკური მოდელის წარმოქმნის დროის საკითხს, ვფიქრობთ, საამისოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ **ეს მოდელი არ გამოირჩევა სიძველით:**

1. მის მაწარმოებლებად **ერთდროულად პრეფიქსიც იხმარება და სუფიქსიც.** იბერიულ-კავკასიურ ენებში სუფიქსაციაზე ძველ მოვლენად პრეფიქსაცია მიიჩნევა[124], მაგრამ რაკიღა საანალიზო შემთხვევაში ერთმანეთშია აღრეული ძველიცა და ახალიც (პრეფიქსაცია და სუფიქსაცია), უნდა ვივარაუდოთ, რომ **თავსართისა და ბოლოსართის ერთად გამოყენება სრუ-**

[124] არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1979, გვ. 273.

ლიად ახალია: ენამ ახალი მოდელისათვის ორივე პრინციპი გამოიყენა და ეს მოხდებოდა მხოლოდ სუფიქსაციის გაჩენის შემდგომ, რაც გარკვეულ სიძველეს მაინც გულისხმობს;

2. საანალიზო მოდელის სიახლის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მსგავსი წარმოება სრულიად უცნობია აბაზური დიალექტებისათვის, რაც გვაფარაუდებინებს, რომ **ახალი მოდელი გაჩნდა XVI საუკუნის მერე,** აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის საბოლოო დაშლის შემდგომ, საკუთრივ აფხაზურ ნიადაგზე, თუმცა მოდელის მეტად მცირეპროდუქტიულობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ენამ კავშირებითი კილოს ახალი სახეობის შექმნის "ექსპერიმენტი" მალევე შეწყვიტა.

§ 3. სიტყვაფორმის "შეღწევადობის" საკითხისათვის აფხაზურ-აბაზური ზმნის უარყოფით ფორმათა მონაცემების მიხედვით

გეორგ როზენის, პეტრე უსლარის, პეტრე ჭარაიას, ნიკო მარის, ადოლფ დირის, გერჰარდ დეეტერსის, ჟორჟ დიუმეზილის, ანატოლი გენკოს, კარლ ბოუდას, კარპეზ დონდუას, უილიამ ალენის, აერტ კუიპერსისა და განსაკუთრებით ქ. ლომთათიძის ნაშრომებიდან[125] ცნობილია, რომ აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში, აგრეთვე აფხაზურ და აბაზურ სამწიგნობრო ენებში მოქმედების, ან მდგომარეობის უარყოფა გამოიხატება ზმნურ ფუძეში ჩართული საგანგებო უარყოფითი **მ < *მა** ელემენტის გამოყენებით. დადგენილია ისიც, რომ ეს ელემენტი ზმნურ ფორმებში ხან პრეფიქსად გვევლინება, ხან კი – სუფიქსად და ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ზმნის სტატიკურობა-დინამიკურობას, ფინიტურობა-ინფინიტურობას, კილოს, დროს, გრამატიკულ კატეგორიებს.

მაგალითად, სტატიკური ზმნის ნებისმიერ შესაძლებელ ფორმაში უარყოფის ელემენტი მუდამ სუფიქსია, ასევე მუდამ

---

[125] ამ ნაშრომთა მიმოხილვისათვის იხ.: თ. გვანცელაძე. ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოების ძირითადი პრინციპები აფხაზურსა და აბაზურ ენებში. თბ., 1991, გვ. 3-42.

სუფიქსია ეს ელემენტი დინამიკურ ზმნათა თხრობითი კილოს 4 ნაკეთში (აწმყოში, მყოფად პირველში, მყოფად მეორესა და ნამყო უსრულში), რომლებსაც ჩვენ პირობით **აწმყოს ჯგუფის ნაკეთებს** ვუწოდებთ.

რაც შეეხება იმავე დინამიკური ზმნების **აორისტის ჯგუფის დრო-კილოთა ფორმებს**, კერძოდ, თხრობითი კილოს დანარჩენ 4 ნაკეთს (ნამყო განუსაზღვრელს, ნამყო სრულს (აორისტს), ნამყო უკვეობითს, ნამყო უკვეობითის წინარე წარსულს), აგრეთვე თურმეობითის ფორმებსა და ინფინიტური წარმოების უკლებლივ ყველა ნაკეთის ფორმებს, მათში უარყოფის **მ** ელემენტი მუდამ პრეფიქსია და, წესისამებრ, წარმოდგენილია უშუალოდ ზმნის ძირის, ან ნასახელარ ზმნათა სახელური ფუძის მომდევნო მადინამიკურებელი **-ხა, -ტ°** (აფხაზ.) // > **-ჰ** (აბაზ.) ელემენტების წინ. ამ სისტემაში სხვაობას ქმნის მხოლოდ აბაზური ენის ტაპანთური დიალექტი და მასზე დაფუძნებული აბაზური სამწიგნობრო ენა, სადაც ნამყო უსრულის ფინიტურ წარმოებაში უარყოფის **მ** ელემენტი, განსხვავებით ყველა დანარჩენი აფხაზურ-აბაზური ტერიტორიული ქვესისტემებისაგან, მუდამ პრეფიქსად გვევლინება.

ამრიგად, აფხაზურ-აბაზურ დიალექტებსა და სამწიგნობრო ენაში ზმნური უარყოფის გამოხატვის თვალსაზრისით რეალურად 2 სისტემაა წარმოდგენილი: **პრეფიქსული და სუფიქსური**. ქ. ლომთათიძე მიიჩნევდა, რომ უარყოფა აფხაზურ-აბაზურ ზმნაში თავდაპირველად მხოლოდ პრეფიქსაციით აღინიშნებოდა, რასაც აორისტის, როგორც უძველესი ნაკეთის, ჩვენება უჭერს მხარს, აორისტში კი უარყოფა უგამონაკლისოდ პრეფიქსაციით აღინიშნება[126].

მაგრამ უკლებლივ ყველა აფხაზურ-აბაზურ ენობრივ ქვესისტემაში ვლინდება ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევის მრავალი შემთხვევა, როცა დინამიკურ ზმნათა აორისტის ჯგუფის დრო-კილოთა ფორმებში, კერძოდ, ინფინიტური წარმოების ყველა შესაძლო ფორმასა და ფინიტური წარმოების

---

[126] ქ. ლომთათიძე. ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. — იკე, ტ. V. თბ., 1953, გვ. 209.

აორისტის, ნამყო უსრულის, ნამყო უკეეობითისა და ნამყო უკეეობითი წინარე წარსულის ფორმებში უარყოფის **მ** ელემენტი ძირისწინა პოზიციიდან გადმონაცვლებულია მთელი ზმნური ფუძის წინ. **ასეთი მეორეული ფორმები რამდენიმე ჯგუფად იყოფა და სისტემის ხასიათი აქვს, ანუ საქმე გვაქვს უარყოფის გამოხატვის ახალ ქვესისტემებთან.**

სათანადო მასალა გვიჩვენებს, რომ უარყოფის მეორეული აფიქსაციის შემთხვევები დასტურდება **მხოლოდ რთულფუძიან ზმნებში, რომელთა უმრავლესობა გარდაუვალია, ხოლო მეორეული აფიქსაციის მქონე გარდამავალი ზმნების დიდი ნაწილიც წარმოშობით გარდაუვალია.**

არსებითია ის გარემოება, რომ უარყოფის პრეფიქსაციის მეორეულ შემთხვევებში უარყოფის **მ** ელემენტი, ჩვეულებრივ, გადანაცვლებულია **სუბიექტის პირ-კლასის უშუალო მეზობლობაში,** აფხაზურ-აბაზურში კი, როგორც ცნობილია, **გარდაუვალი ზმნა რაგინდ რთულფუძიანი იყოს, არავითარ შემთხვევაში არ განიკვეთება პირ-კლასის ნიშნებით, მასში სუბიექტისა და ობიექტთა ექსპონენტები მუდამ მთელი ფუძის წინ თავსდება** და არა უშუალოდ ძირის, მიმართულების პრეევერბების, ძირ-სუფიქსების, ან მადინამიკურებელ ელემენტთა წინ, როგორც ეს გარდამაეალ რთულფუძიან ზმნებს ახასიათებს[127].

მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დინამიკურ ზმნათა უარყოფის პრეფიქსაციის ახლებურ ფორმებში **ვლინდება ახალი კანონზომიერება,** კერძოდ, უარყოფის **მ** ელემენტის ადგილმდებარეობა იცვლება და ამის გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ზმნის გარდამაველობა-გარდაუვალობა ჩანს.

უარყოფის პრეფიქსაციის ახლებური ფორმები მეტ-ნაკლები სიხშირით დასტურდება არა ერთ რომელიმე დიალექტში, კილოკავში, ან თქმაში, არამედ **უკლებლივ ყველა აფხაზურ-აბაზურ სამეტყველო ქვესისტემაში** სამწიგნობრო ენათა ჩათვლით, ე.ი. ცხადად ჩანს აფხაზურ-აბაზური მორფოლოგიური

---

[127] ქ. ლომთათიძე. გარდამაველობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში. — ენიმკის მოამბე, ტ. XII. თბ., 1942, გვ. 11.

სისტემის ერთიანი ძერა: **ენა ცდილობს, უარყოფის ელემენტის ადგილმდებარეობითაც გაარჩიოს ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობა**, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული**, რაზეც ის ფაქტი მიუთითებს, რომ უარყოფის ამოსავალი ფორმები ხშირად წარმოდგენილია იმავე, ან სხვა სამეტყველო ქვესისტემაში. არის სხვა შემთხვევებიც, როცა ამოსავალი უარყოფითი ფორმები არ დასტურდება, მაგრამ ზმნური ფუძის სირთულე დგინდება მორფოლოგიური ანალიზის მოშველიებით. ამ თვალსაზრისით უარყოფის ახლებურ ფორმათა 2 ტიპი გამოიყოფა (იხ. ქვემოთ).

აფხაზურსა და აბაზურში უარყოფის ახლებურ ფორმათა წარმოების ფაქტები გამოვლინდა რთულფუძიან ზმნათა შემდეგ ჯგუფებში:

1. კაუზატივის **რ-** პრეფიქსის შემცველი ზმნების ნაწილი;

2. საობიექტო მიმართების **ҳа-** > **ҳ-** // **а-** > **д-** პრეფიქსიან ზმნათა ნაწილი;

3. საურთიერთო კატეგორიის **ҳа-** პრეფიქსიან ზმნათა ნაწილი;

4. მიმართულების ზმნისწინიან და ფუძე-წინდებულიან ზმნათა ნაწილი;

5. მადინამიკურებელ **-ҳа** ელემენტიან აბაზურ ზმნათა ნაწილი.

ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენი საექსპედიციო მასალებიდან და ბეჭდურ წყაროთაგან ამოკრებილ ტიპურ მაგალითებს და მათ ანალიზს:

1. კაუზატივის რ- პრეფიქსის შემცველი ზმნები

როგორც ქ. ლომთათიძემ დაადგინა, ზოგი რთულფუძიანი წარმოშობითაც გარდამავალი ზმნის დადებით ფორმებში კაუზატივის **რ-** პრეფიქსი სუბიექტის ნიშანთან ერთად მისთვის

ჩვეული ძირისწინა პოზიციიდან გადანაცვლებულია მთელი რთული ფუძის წინ[128].

მაგალითად:

არაკაუზატიური ი-ყა-უ-წოჺტ (ფუძე -ყა-წა-, ძირი -წა-) "შენ რაღაცას აკეთებ";

კაუზატიური ი-დ-ურ-ყა-წოჺტ (ფუძე -რ-ყა-წა-) "შენ მათ რაღაცას აკეთებინებ";

შდრ. აშხარული დიალექტის ი-რ-ყა-უ-რ-წოჺტ "შენ მათ რაღაცას აკეთებინებ".

ამგვარი შემთხვევები წარმოშობით გარდამავალ ზმნებში ძალზე იშვიათია. მათში კაუზატივისა და სუბიექტის ნიშანთა გადანაცვლება მთელი ფუძის წინ ზმნის რთულფუძიანობის გაგების დაჩრდილვის შედეგად მიიჩნევა[129]. რა თქმა უნდა, ასეთ ზმნებში სრულიად ბუნებრივია, თუ უარყოფის ელემენტიც მთელი ფუძის წინ, კაუზატივისა და სუბიექტის ნიშნების გვერდით დაისმის.

ასევე მთელი რთული ფუძის წინ დგანან კაუზატივის, სუბიექტისა და უარყოფის აფიქსები წარმოშობით გარდაუვალ რთულფუძიან ზმნებშიც. ამგვარ ზმნათა რაოდენობა არცთუ ისე მცირეა, თუმცა ისინი ჭარბობს აბაზურ ქვესისტემებში. მაგალითად:

ამც ზნჷმზარ ზნჷ დ-ა-მჷ-რ-ფხაშარ ზჷყალომ "არ იქნება, ტყუილმა ადამიანი ერთხელაც რომ არ შეარცხვინოს" (ფუძე -რ-ფხა-შა-);

შდრ.: უსყან ჲარა იხათა დჷ-ფხა-მ-შეჲ?! "მაშინ იგი თვითონ ხომ შერცხვა (აკი არ შერცხვა)?!" (ფუძე -ფხა-შა-).

ასეთივე ვითარება გვაქვს უარყოფის გამოხატვის თვალსაზრისით შემდეგ წარმოშობით გარდაუვალ აბაზურ კაუზატიურ ზმნებში: რ-ჭჷ-ლ-რა "მოწყენინება", რ-მლა-შ-რა "მომშევა", რ-მჩა-ჲ-ს-რა "გსაზე ყისიმე ტარება", მა-რ-ჭჷ-ხა-რა "ვინმეს

---

[128] ქ. ლომთათიძე. კაუსატივის კატეგორია აფხაზურში. – სმამ, ტ. VI, № 1. თბ., 1945, გვ. 92.

[129] იქვე, გვ. 92.

სხვისგან გაღვიძება", რ-გდ-ზ-კ-რა "ვინმეს გაბრაზება, გაჯავრება სხვისგან", ნა-რ-კ'დ-ს-რა "რამეზე ხელით შეხება, რამისთვის ხელის ხლება", აფხაზ. ა-რ-ხდ-ნ-ჰ-რა // აბაზ. რ-ჯდ-ნ-ჰ-რა "ვინმეს მიერ ვისიმე, რამის დაბრუნება", რ-სას-ხა-რა "სხვისგან ვისიმე სტუმრად გადაქცევა" და სხვ. დასახელებულ ზმნათა აორისტის ჯგუფის არაკაუზატიურ უარყოფით ფორმებში **მ** ელემენტის ძირის წინ დასმა "სავალდებულოა". შდრ.: გარდამ. ი-ყა-ჲ-მ-წე-ჲტ "მან (მამაკ.) რაღაც არ გააკეთა", გარდაუვ. აფხაზ. დგ-ხ-ნდ-მ-ჰ-იტ // აბაზ. დგ-ჯ-ნდ-მ-ჰდ-ტ "იგი (ადამ.) არ დაბრუნდა", დგ-ფხა-მ-შე-ჲტ "მას (ადამ.) არ შერცხვა"...

ამგვარ ზმნებს პირობით **ა-რ-ხდ-ნ-ჰ-რა // რ-ჯდ-ნ-ჰ-რა ტიპის ზმნებს** ვუწოდებთ.

გამონაკლისია წარმოშობით გარდაუვალ ზმნათა დიდი ნაწილი, რომელთა არაკაუზატიურ აორისტის ჯგუფის უარყოფით ფორმებში უარყოფის **მ** ელემენტი მაინც მთელი რთული ფუძის დგას. ესენია: აფხაზ. ა-ჭდ-ხა-რა // აბაზ. ჰა-ჭდ-ხა-რა "გაღვიძება (თავისით)", (ა-)ჭდ-ღ'-რა "მოწყენა", (ა-)მლა-შ-რა "მოშიება, შიმშილით კვდომა", აფხაზ. ა-მჳა-ს-რა "გზად გავლა, გზაზე სიარული" // აბაზ. მჱა-ჲ-ს-რა "გზად გაევლა, გზაზე სიარული; მოგზაურობა", აბაზ. გდ-ზ-კ-რა "გაბრაზება"... ამ ზმნების არაკაუზატიურ ფორმებში სუბიექტის პირ-კლასისა და უარყოფის ნიშანთა მთელი ფუძის წინ დასმა (მათ სხვა ვარიანტები უკვე საერთოდ არა აქვთ), ჩვენი აზრით, სმნის ფუძის მთლიანობა-შეუვალობის გაგების გაძლიერების შედეგია.

ასეთ ზმნებს **ა-ჭდ-ხა-რა // ჰა-ჭდ-ხა-რა ტიპის ზმნები** შეიძლება ეწოდოს.

არსებობს სრული საფუძველი დავასკვნათ, რომ ზემოთ დასახელებული **ყველა კაუზატიური ზმნის ახლებურ უარყოფით ფორმებში კაუზატივისა და უარყოფის მაწარმოებელთა მთელი რთული ფუძის წინ გადანაცვლება აშკარად განპირობებულია სუბიექტის პირ-კლასის ექსპონენტის ადგილმდებარეობით, რამდენადაც მოქმედების, მდგომარეობისა და კაუზაციის უარ-**

ყოფა სწორედ სუბიექტის პირთანაა დაკავშირებული – უარიყოფა სუბიექტის მოქმედება (მათ შორის შუალობითი) და მდგომარეობა.

ა-რ-ხ-ნ-ჰ-რა // რ-ჯ-ნ-ჰ-რა ტიპის კაუზატიურ ზმნებში, რომელთა არაკაუზატიურ უარყოფით ფორმებშიც **მ** ელემენტი უშუალოდ ძირის წინ დგას ხოლმე, ეს უარყოფის ელემენტი **კაუზატივის პრეფიქსის მთელი ფუძის წინ გადაჯდომის შემდეგ უნდა გადასმულიყო კუთვნილი პოზიციიდან,** ხოლო **ა-ჭ-ხ-ა-რა // მა-ჭ-ხ-ა-რა ტიპის** ზმნების აორისტის ჯგუფის ფორმებში უარყოფის **მ** ელემენტი **გაცილებით უფრო ადრე ჩანს მთელი ზმნური ფუძის წინ გადასმული,** რაზეც არაკაუზატიური უარყოფითი ფორმებიც მიუთითებენ: შდრ., ერთი მხრივ, არაკაუზ. აფხაზ. დ-მ-ჭ-ხე-იტ // აბაზ. დ-გ-მ-ჭ-ხა-ტ "მან (ადამ.) არ გაიღვიძა" და, მეორე მხრივ, კაუზ. აფხაზ. დ-ი-მ-რ-ჭ-ხე-იტ // აბაზ. დ-გ-ი-მ-რ-ჭ-ხა-ტ "მან (მამაკ.) იგი (ადამ.) არ გააღვიძა".

2. საობიექტო მიმართების **ა-** > **ა-** // **ი-** > **ე-** პრეფიქსიანი ზმნები

ზოგი ორ- და სამპირიანი აფხაზურ-აბაზური ზმნა შეიცავს საობიექტო მიმართების პრეფიქსის **ა-** > **ა-** // **ი-** > **ე-** ალომორფებს. შდრ., მაგალითად, ერთპირიანი აფხაზ. დ-ცაჟოიტ // აბაზ. დ-ჩაჟიტ (ფუძე -ცა-ჟა- // -ჩა-ჟა-) "იგი (ადამ.) ლაპარაკობს", მაგრამ ორპირიანი აფხაზ. დ-ლ-ა-ცაჟოიტ // აბაზ. დ-ლ-ა-ჩაჟიტ "იგი (ადამ.) მას (ქალს) ელაპარაკება"[130]. ასეთ შემთხვევებში სულაც არ არის საეჭვოდებულო, ამოსაყალი ზმნა მაინცდამაინც რთულფუძიანი იყოს: **ა-** > **ა-** // **ი-** > **ე-** პრეფიქსული ვარიანტები მარტივ ფუძესაც ერთვის და მისი ნაწილი ხდება, ანუ რთულდება ზმნის სტრუქტურა. აორისტის ჯგუფის სათანადო უარყოფით ფორმებში უარყოფის **მ** ელემენტი **საო-**

---

[130] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორ.-შედარ. ანალიზი. I... თბ., 1976, გვ. 90-91.

ბიექტო მიმართების პრეფიქსული ვარიანტების წინ დაისმის მაშინ, როცა იმავე ზმნათა უამპრეფიქსო ამოსავალ ვარიანტებში უარყოფის ელემენტი ძირის წინ დგას. მაგალითად: აბაზ. აფჯა იშაჯჷსლჷზ უ-ი-მ-ად-ჯჷ-ჩჩა-ნ! "ვინც უწინ წაიფორხილა, შენ მას ნუ დასცინებ!" (ფუძე -ად-ჯჷ-ჩჩა- // -ად-ხჷ-ჩჩა-). შდრ. უამპრეფიქსო მეორეული ფორმა: აფხაზ. აჰათა ითოუ უბაანძა უ-ა-ხჷ-მ-ჩჩა-ნ! "გუდას ნუ დასცინებ, სანამ ნახავდე, შიგ რა დევს!" და უამპრეფიქსო ამოსავალი ფორმა: აბაზ. უ-ი-ჯჷ-მ-ჩჩა-ნ! // აფხაზ. უ-ი-ხჷ-მ-ჩჩა-ნ! "შენ (მამაკ.) მას (მამაკ.) ნუ დასცინებ!" (ფუძე -ჯჷ-ჩჩა- // -ხჷ-ჩჩა-).

მსგავსი თავისებურება შეინიშნება შემდეგ ზმნებშიც: (ა-)სრა "ცემა; შებრძოლება", (ა-)ჰაა-რა "ვინმესთვის თქმა", აფხაზ. ა-ზ-წაა-რა // აბაზ. ზ-წჰა-რა "შეკითხვა", (ა)ნა-ხ-რა "აღება", ა-ჰა-რა "გაგონება", ა-შ-შ-რა "ჩივილი, დაჩიველება", ა-ლა-გა-რა "დაწყება", ა-ლ-გა-რა "დამთავრება, გათავება", ა-ხ-რა "დამართება", ა-თა-რა "მიცემა" და სხვ.

3. საურთიერთო კატეგორიის ად- პრეფიქსიანი ზმნები

დინამიკურ ზმნათა საურთიერთო კატეგორიის ერთ-ურთ ქვესახეობაში, კერძოდ, ზოგადად საურთიერთო ქვეკატეგორიაში უარყოფის პრეფიქსაციის **2 ტიპი** განირჩევა: **პირველ ტიპში** შემავალი გარდამავალი და წარმოშობით გარდამავალი, ამჟამად კი გარდაუვალი ზმნები უარყოფის პრეფიქსაციის თვალსაზრისით **იცავენ ორდინარულ წესს** და აორისტის ჯგუფის დრო-კილოებში უარყოფის **მ** ელემენტს ძირის წინ წარმოგვიდგენენ; **მეორე ტიპს** კი ქმნიან როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი როულფუძიანი ზმნები, რომელთა აორისტის ჯგუფის დრო-კილოთა ფორმებში უარყოფის ელემენტი **მთელი ფუძის წინაა გადანაცვლებული**. ასეთ ზმნათა ფუძე ან იმთავითვე რთული იყო და დამატებით დართული აქვს საურთიერთო კატეგორიის აფხაზ. **ად-** > აბაზ. **ა-** პრეფიქსი, ანდა მარტი-

ვი ფუძე (ძირი) შეიცავს ფუძეს შეზრდილ **აԓ-** // **> ა-** პრეფიქსს, რომელშიც, თავის მხრივ, **შერწყმული ჩანს სხვადასხვა ფუნქციის მქონე ორი აფიქსი:** საურთიერთო კატეგორიის **აԓ-** და საობიექტო მიმართების **აԓ-** თავსართები[131]. ასეთ ზმნებში ხშირად ჭირს იმის გარკვევა, **აԓ- > ა-** პრეფიქსის დასახელებული 2 ფუნქციიდან რომელი ჭარბობს, თუმცა ის კი შეიძლება დანამღვილებით ითქვას, რომ ეს პრეფიქსი უკვე ფუძის განუყოფელი ნაწილია. მაგალითად:

ზეჸჷ მ-ეԓ-ზე-ჲტ (ფუძე **-აԓ-ზა-რა-**)"ყველა არ შეიკრიბა, ყველამ თავი არ მოიყარა";

ი-მ-ეԓ-ჯ-ფე-ჲტ (ფუძე **-აԓ-ჯ-ფა-**) "მათ არ იჭიდავეს; ერთმანეთს არ ეჭიდავნენ; მათ არ იბრძოლეს; ისინი ერთმანეთს არ შეებრძოლნენ".

ამ ჯგუფის ზმნებია: აფხაზ. **აԓ-ცა-უა-რა** // აბაზ. **ა-ჩა-ზა-რა** "ერთმანეთთან დალაპარაკება", **ა(ი)-გჷ-რღ'ა-რა** "შეხარება", **ა(ი)-უა-რა** "მოტყუება", **ა(ი)-გ-ძა-რა** "დაზოგვა", **ა(ი)-ს-რა** ჩხუბი", **ა(ი)-ლაჰა-რა** "მოწონება; შენატრება", **აԓ-აა-ი-რა** // აბაზ. **ა-ჩა-ი-რა** "მორევა, ჯობნა; გამარჯვება", **აԓ-ხ-ს-რა** "სროლა, ტყორცნა", **ა(ი)-გჷ-ღა-რა** "დაიმედება", **ა(ი)-მ-სა-რა** "ცხვირის დაცემინება, დაცხიკვება" და სხვ.

4. მიმართულების ზმნისწინიანი და ფუძე-წინდებულიანი ზმნები

ზემოთ კაუზატიურ ზმნათა განხილვისას ჩვენ გამოვყავით **ა-რ-ხჷ-ნ-ჰ-რა // რ-ჯჷ-ნ-ჰ-რა** და **ა-ჭჷ-ხა-რა // ჩა-ჭჷ-ხა-რა** ტიპის ზმნები. უარყოფის პრეფიქსული გამოხატვის თვალსაზრისით მათ შორის დიდი სხვაობაა:

---

[131] სხვადასხვა ფუნქციის მქონე ამ აფიქსთა შერწყმის ამგვარი შემთხვევების შესახებ იხ.: ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 88; შდრ.: А.Н. Генко. Абазинский язык. Грамматический очерк наречия Тапанта. М., 1955, გვ. 67.

1. ა-რ-ხგ-ნ-ჰ-რა // რ-ჯგ-ნ-ჰ-რა ტიპის ზმნათა ამოსავალ არაკაუზატიურ დინამიკურ გარდაუვალ ა-ხგ-ნ-ჰ-რა // ჯგ-ნ-ჰ-რა ტიპის ვარიანტებში უარყოფის პრეფიქსაციის დროს უარყოფის მ ელემენტი, ჩვეულებრივ, რთული ფუძის შიგნით, ძირის, ან მადინამიკურებელ ელემენტთა წინ დაისმის ყველა ინფინიტურ და ფინიტური წარმოების აორისტის ჯგუფის დრო-კილოთა ფორმებში, მსგავსად გარდამავალი რთულფუძიანი ზმნებისა, მაგრამ **პარალელურად არის მრავალი მეორეული შემთხვევა, როცა უარყოფის მ ელემენტი გადანაცვლებულია უფრო წინ** და უძღვის მთელ რთულ ფუძეს. **უარყოფის პრეფიქსაციის მეორეული ფორმები თითქმის ყველა აფხაზურ-აბაზურ დინამიკურ რთულფუძიან ზმნას შეიძლება ჰქონდეს, თუ ისინი გარდაუვალია.** ა-ხგ-ნ-ჰ-რა // ჯგ-ნ-ჰ-რა ტიპის გარდაუვალ ზმნათა **პარალელური, ამოსავალი უარყოფითი ფორმებიც ადვილად იძებნება** და მათში უარყოფის ელემენტი უშუალოდ ძირის, ან მადინამიკურებელ ელემენტთა წინ იქნება წარმოდგენილი.

2. ა-ჰჯ-ხა-რა // ჰა-ჰჯ-ხა-რა ტიპის აშკარად რთულფუძიანი დინამიკური გარდაუვალი ზმნები ა-ხგ-ნ-ჰ-რა // ჯგ-ნ-ჰ-რა ტიპის ზმნებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ **პარალელურად არ მოეპოვებათ ამოსავალი ფორმები,** რომლებშიც უარყოფის მ ელემენტი რთული ფუძის შუაში იქნებოდა ინკორპორირებული. ა-ჰჯ-ხა-რა // ჰა-ჰჯ-ხა-რა ტიპის ზმნებში **უარყოფის პრეფიქსაციის დროს მხოლოდ მეორეული ფორმები დასტურდება და უარყოფის მ ელემენტი მუდამ მთელი რთული ფუძის წინაა წარმოდგენილი.**

ქ. ლომთათიძე აფხაზურ-აბაზურ ზმნათა უარყოფითი ფორმების ანალიზისას მიუთითებდა, რომ უარყოფით ფორმათა წარმოების დროს დასტურდება გამონაკლისი შემთხვევებიც, "...როცა ბნელდება ფუძეთა აღნაგობა, შესაძლებელი ხდება მ-ს წინდებულის წინ გადმონაცვლებაც"[132]. მკვლევარს ამის მა-

---

[132] ქ. ლომთათიძე. ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. – იკე, ტ. V. თბ., 1953, გვ. 210. განსხვავებით ქ. ლომთათიძისაგან, ამგვარ შემთხვევებს ჩვენ არ ვუწოდებთ "ზმნის

გალითად მოჰყავდა აფხაზ. აა-ჲ-რა // < აბაზ. ჰა-ჲ-რა "მოსვლა" ზმნა, რომელშიც ჲ ძირია, ხოლო აა- // < ჰა- — სააქუთო მიმართულების ზმნისწინი (პრეევერბი). ამ ზმნის აორისტში აფხაზური ენის აბჟუურ და ბზიფურ დიალექტებში, აგრეთვე აბაზური ენის აშხარულ დიალექტში უარყოფის მ ელემენტი მხოლოდ მთელი ფუძის წინ დაისმის და არ დასტურდება პირველადი უარყოფითი ვარიანტები, ხოლო აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტში წარმოდგენილია მხოლოდ ამოსავალი სჳ-ჭა-მ-ი-ტ "მე არ მოვედი" სახეობა (შდრ. აბჟ., ბზიფ., აშხარ. ს(ჳ)-მ-აა-ჲ-ტ). ქ. ლომთათიძის აზრით, ამ ზმნის ფუძის აღნაგობის სირთულის გაგების დაჩრდილვას ხელს ისიც უწყობს, რომ აფხაზურში ძირისეული ჲ ბგერა ხშირად გაუჩინარებულია და მისი სემანტიკის გადმოცემა აა- პრეევერბს ეკისრება. მაგალითად: ს-აა-უეიტ // < ს-აა-ჲ-უეიტ "მე მოვდივარ"[133].

ამ მართებულ დასკვნაში ერთადერთი რამაა დასაზუსტებელი: როგორც უკვე ვნახეთ და ქვემოთაც ვნახავთ, უარყოფის პრეფიქსაციის მეორეული შემთხვევები აფხაზურ-აბაზურში იმდენად ხშირი და სისტემური ხასიათისაა, რომ მათ გამონაკლისებად ვერ მივიჩნევთ.

მ. ციკოლიას, რომელმაც საგანგებოდ გამოიკვლია აფხაზური ენის აბჟუური დიალექტი, დადასტურებული აქვს ფორმა დჳ-ზ-ცჳ-მ-ფხა-შოზ (// < დჳ-ზ-ცჳ-ფხა-მ-შოზ) "ვისიც მას (ადამ.) არ რცხვენოდა". მკვლევარს ფხა- ფუძე-წინდებულის წინ მ ელემენტის გადანაცვლება ფონეტიკურ პროცესად მიაჩნდა[134], რაც მართებული არ არის, ვინაიდან ეს ცვლილება ფონეტიკური გარემოთი სულაც არ არის განპირობებული, იგი ნამდვი-

---

ფუძის აღნაგობის სირთულის გაგების დაჩრდილვას", ვამჯობინებთ გამოვიყენოთ შესიტყვება: **"ზმნური ფუძის მთლიანობის გაგების გაბლიერება"**.

[133] იქვე, გვ. 210.

[134] მ. ციკოლია. ფონეტიკური პროცესები აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტში. — "აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები", ტ. XXVII. სოხუმი, 1956, გვ. 240.

ლი მორფოლოგიური მოვლენაა და დაკავშირებულია გრამატიკისა და სემანტიკის საკვანძო საკითხებთან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმართულების ზმნისწინიან და ფუძე-წინდებულიან ზმნათა **უარყოფის პრეფიქსაციის ამოსავალი, პირველადი ფორმები ყველაზე ხშირად ტაპანთურ დიალექტში დასტურდება**, თუმცა იქვე გვაქვს უარყოფის პრეფიქსაციის მრავალი მეორეული შემთხვევაც.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მიმართულების ზმნისწინიან და ფუძე-წინდებულიან ზმნათა სათანადო მაგალითებს:

ა-ხგ-ნ-ჰ-რა // ჯგ-ნ-ჰ-რა ტიპის გარდაუვალი ზმნები

აფხაზ.: უაწ იცაზ სა სგდა აძგგ დ-ზგ-**ხ-ნგ-მ-ჰ**-იტ (ფუძე -ხგ-ნ-ჰ-, რომელშიც ხ- და ნ- ფუძე-წინდებულებია) "იქით წასული ჩემ გარდა ვერავინ (ვინმეც) ვერ დაბრუნდა"; შდრ. ტაპანთ.: ჰადრგხა იცაზ ზაჯგგ დგ-გ-**ჭა-ჯ-ნგ-მ-ჰგ-ხ-ს-ტ** (ფუძე -ჭა-ჯ-ნგ-ჰ-, რომელშიც ჭა- სააქეთო მიმართულების ზმნისწინია, ხოლო ჯ- და ნ- – ფუძე-წინდებულები) "საიქიოს წასული ჯერ არავინ დაბრუნებულა".

ასეთივე ვითარებაა შემდეგ ზმნებში: (ა-)ნა-ჰ-რა "მიბრუნება, მიტრიალება; გადაბრუნება, გადატრიალება; შებრუნება, შეტრიალება", აფხაზ., აშხარ. აა-ჲ-რა // < ტაპანთ. ჭა-ჲ-რა "მოსვლა", (ა-)ნგ-ყა-რა "სიარული; მოგზაურობა; მოძრაობა", (ა-)გა-ფხა-რა "მოწონება", აფხაზ. ა-ხგ-ჩჩა-რა // < აბაზ. ჯგ-ჩჩა-რა "სიცილი; დაცინვა" და მრ. სხვ.

ა-ჭგ-ხა-რა // ჭა-ჭგ-ხა-რა ტიპის გარდაუვალი ზმნები

აფხაზ. ჲანაამთაზ დ-ზგ-**მ-ჭგ**-ხეე-იტ "მან (ადამ.) დროზე ვერ გაიღვიძა"; აბაზ. ლგგაზ დგ-გ-ზგ-**მ-ჭგ**-ხა-ტ "ბერიკაცმა ვერ გაიღვიძა". ამ ზმნაში **ჭგ-** "პირი" სახელისაგან მომდინარე ფუძე-წინდებულია, **ხა** კი ძირია.

ასეთივე ვითარებაა შემდეგ ზმნებში: აფხაზ. ა-ხ-წაა-ლა-რა "ზემოდან მოყივნა", (ა)მაწ-უ-რა "მომსახურება, სამსახურის გაწევა", აბაზ. ფხძგ-ჰა-რა "გაოფლიანება", აფხაზ. ა-ცაა-ჟა-რა // აბაზ. ჩაა-ზაა-რა "ლაპარაკი", (ა-)ხგ-ს-რა "სროლა, ტყორცნა", აფხაზ. აა-ფსა-რა // აბაზ. ჭა-ფსა-რა "დაღლა", აფხაზ. ა-გ-აა-რა "გულის მოსელა, გაბრაზება", აბაზ. გგ-ზ-კ-რა "აღელვება, განცდა", აბაზ. გ-ზაა-ზაა-რა "აჩქარება", (ა-)გგ-ღ-რა "იმედოვნება, დაიმედება", (ა-)გაა-ღ-რა "გაბედვა", (ა-)გაა-ყ-რა "ტანჯვა", აფხაზ. ა-ნგ-ჰა-რა "ლოცვა; დალოცვა" (ამ ზმნის ორსიტყვიანი ამოსავალი ფორმა დაცულია აბაზურში ნგხა ჰა-რა "ლოცვა", ზედმიწ. "ხატის თქმა" ვარიანტის სახით) და მრავალი სხვა.

5. მადინამიკურებელ -ხა ელემენტიანი აბაზური ზმნები

აფხაზურ-აბაზურში ნასახელარ დინამიკურ ზმნათა მაწარმოებლად -ტ' (აფხაზ.) // -ჳ (აბაზ.) ელემენტთან ერთად გარდაქცევითობის **-ხა** ელემენტიც გამოიყენება[135], რომელიც აბაზურში შემორჩენილი **ხა-რა** "კეთება" ზმნის ძირია[136] და რამედ გახდომას, გარდაქცევას აღნიშნავს[137]. მაგალითად: აფხაზ. *დ-ხაწა-უპ > დ-ხაწო-უპ, აბაზ. დ-ჯაწა-პ "იგი მამაკაცია; იგი ქმარია" – აფხაზ. *დ-ხაწა-**ხა**-ჲტ > დ-ხაწა-**ხე**-ჲტ, აბაზ. დ-ჯაწა-**ხა**-ტ "იგი დაკაცდა; იგი ქმარი გახდა".

აფხაზურ-აბაზურ უარყოფით ფორმათა წარმოების ორდინარული წესის მიხედვით, უარყოფის პრეფიქსაციის დროს უარყოფის **მ** ელემენტი დაისმის სახელის ფუძესა და გარდაქცევითობის მადინამიკურებელ **ხა** ძირს შორის. მაგალითად: აფხაზ. დ-

---

[135]სახელის ფუძეზე -ტ' (აფხაზ.) // -ჳ (აბაზ.) ელემენტის დართვით მიიღება ნასახელარი გარდამავალი ზმნები, რომლებშიც სუბიექტისა და უარყოფის მაწარმოებლები ამ ელემენტის წინ დაისმის.

[136] А.Н. Генко. დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[137] ქ. ლომთათიძე. სტატიკური და დინამიკური ზმნები აფხაზურში (აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა მონაცემების მიხედვით). – იკე, ტ. VI. თბ., 1954, გვ. 260.

ხაწა-**მ-ხე-**იტ, აბაზ. დვ-ჳ-ჯაწა-**მ-ხა-**ტ "იგი არ დაკაცდა; იგი ქმარი არ გახდა". ვინაიდან **ხა** ელემენტი რეალურად ზმნის ძირია და სწორედ ის ანიჭებს მის წინ მდგომ სახელის ფუძეს ზმნურ სემანტიკას, უშუალოდ მის წინ წარმოდგენილი უარყოფის **მ** ელემენტიც პრეფიქსად უნდა ჩაითვალოს და არა სუფიქსად.

აბაზურში დვ-ჳ-ჯაწა-**მ-ხა-**ტ ფორმის ანალოგიურ უარყოფის პრეფიქსულ წარმოებათა გარდა დასტურდება უარყოფის ისეთი **მეორეული ფორმებიც**, რომლებშიც უარყოფის **მ** ელემენტი არღვევს პრეფიქსაციის ორდინარულ წესს და დაისმის არა **ხა** ძირის, არამედ **მთელი ნასახელარი ზმნის ფუძის წინ, უშუალოდ სუბიექტის პირ-კლასის ნიშანთა მომდევნოდ**[138]. აბაზურშივე გვხვდება პარალელური, ამოსავალი ფორმებიც, აფხაზურში კი სათანადო შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ორდინარული ფორმები დასტურდება. მოგვყავს აბაზური მხატვრული ლიტერატურიდან და გამოქვეყნებული დიალექტოლოგიური ტექსტებიდან ამოკრებილი ტიპური მაგალითები:

სჳ-**მ-**ჰკჳნ-**ხა-**ნ![139] "ნუ გაბავშვდებით!" შდრ. აფხაზ. შჳ-ჭკჳნჳ-**მ-ხა-**ნ!

სარა უზჳგჳ ს-გჳ-მ-დაგ-**ხა-**ს-ტ[140] "მე ჯერაც არ დავყრუებულვარ". შდრ. აფხაზ. ს-დაგა-**მ-ხა-**ც-ტ;

ი-გჳ-მ-ჰაზგრ-**ხა-**დ[141] "ის (ნივთი) მზა არ გახდა". ამავე ზმნის ორდინარული ფორმა დავადასტურეთ აბაზურშიეც: ი-გ-ჰაზგრჳ-**მ-ხა-**დ.

ი-**მ-**ჩმაზაჭ-**ხა-**ს აზჩადარა ხჳ გჳზიჩფუმ[142] "ვინც ჯერ ავად არ გამხდარა, ჯანმრთელობას არ აფასებს". შდრ. აფხაზ.: ი-ჩმაზავჳ-**მ-ხა-**ც და მრ. სხვ.

---

[138] Н.Т. Мальбахова-Табулова. Причастие в абазинском языке. Автореферат кандидатской диссертации. М., 1961, გვ. 15.

[139] Ч. Татаршвауа. Кытк1 апны. Черкесск, 1975, გვ. 72.

[140] П. Цекъва. Ащхъаркт ащахахра. Черкесск, 1978, გვ. 107.

[141] Нартрг1а. Абаза уаг1а рэпос. Черкесск, 1975, გვ. 142.

ჩვენს ხელთ არსებულ აფხაზურ ენობრივ მასალაში ამ რიგისა სულ რაღაც 2 მეორეული მაგალითი გამოელინდა:

უბრი ეჯუშ ადოგორ ანხავც დაქშაპათხოუ, დ-ა-ქც-მ-შაპათხა-უო-უ ეილკაანც უაა...[143] "ასეთ შეთანხმებაზე გლეხი თანახმაა, თუ არა, გაიგე და მოდი";

ი-აბა-მ-წაა-ხო უაბ?! (გუდაუთის რ-ის სოფ. მგუძირხვა) "იქით როგორ არ გაიყინება?!".

ყველა ასეთ შემთხვევაში **-ხა** ელემენტიანი ნასახელარი ზმნების **ფუძეები ერთ განუყოფელ მთლიანობადაა გაგებული,** რამაც გამოიწვია უარყოფის პრეფიქსაციის ორდინარული წესების დარღვევა და მეორეული ფორმების მასობრივად გაჩენა. გარდა ამისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ როცა უარყოფის **მ** ელემენტი გარდაქცევითობის მადინამიკურებელი **ხა** ძირის წინ დგას, მაშინ **სუსტდება სემანტიკური კავშირი სუბიექტის ნიშანსა და უარყოფის ელემენტს შორის.** ამასთანავე დიდ როლს თამაშობს ზემოთ გაანალიზებულ სხვა რთულფუძიან გარდაუვალ ზმნათა ანალოგიაც.

***

ამრიგად, აფხაზურ-აბაზურში რეალურად დასტურდება უარყოფის პრეფიქსაციის 2 სხვადასხვა ქრონოლოგიური ჯგუფი:

1. **უფრო ადრეულია უარყოფის პრეფიქსაციის ორდინარული ფორმები,** როცა რთულფუძიან ზმნათა აორისტის ჯგუფის დრო-კილოებში უარყოფის აფიქს-ნაწილაკი ჩაირთვის ფუძის შუაში, ძირის წინ და ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს არც ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობას და არც სუბიექტის ექსპონენტის ადგილმდებარეობას;

2. **ინოვაციაა უპირატესად გარდაუვალ რთულფუძიან ზმნათა ის ფორმები, რომლებშიც დარღვეულია უარყოფის პრეფიქსაციის ორდინარული წესი** და უარყოფის **მ** ელემენტი გადა-

---

[142] Н.Т. Табулова. Афористическая поэзия абазин (пословицы, поговорки, приметы и крылатые выражения). Черкесск, 1977, გვ. 106.

[143] Аҧсуа лакукуа. Иаҧитцеит С.Л. Зыхуба. Аҟуа, 1976, გვ. 154.

ნაცვლებულია ანლაუტში, მთელი რთული ფუძის წინ, სუბიექტის ნიშნის უშუალო მეზობლობაში.

ამჟამადაც კი თანაარსებობენ უარყოფის პირველადი და მეორეული ფორმები, რაც აჩვენებს, რომ პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

წამოიჭრება საკითხი:

რამ გამოიწვია ზემოთ განხილულ მეორეულ შემთხვევებში უარყოფის მ ელემენტის გადანაცვლება ზმნის მთელი რთული ფუძის წინ?

გაანალიზებული მაგალითები გვიჩვენებს ერთ მთავარ კანონზომიერებას: როგორც არაერთგზის ითქვა, უარყოფის პრეფიქსაციის მეორეულ შემთხვევებში ელემენტი მ მუდამ სუბიექტის პირ-კლასის ნიშანთა მომდევნო, ან წინა პოზიციაში იკავებს ადგილს. ამდენად, არსებობს საფუძველი, დავასკვნათ, რომ **უარყოფის აფიქს-ნაწილაკის ამოძრავება სწორედ სუბიექტის პირ-კლასის ექსპონენტთა ზეგავლენის შედეგია**, ხოლო, როგორც ცნობილია, თვით **სუბიექტის ფორმანტთა ადგილმდებარეობა აფხაზურ-აბაზურ ზმნურ ფორმებში დამოკიდებულია ზმნის სტატიკურობა-დინამიკურობაზე, დინამიკურ ზმნათა გარდამავლობა-გარდაუვალობაზე, ფინიტურობა-ინფინიტურობაზე, თხრობითი კილოს დროზე**. ამ ფაქტორთა შორის, ჩვენი აზრით, შედარებით მნიშვნელოვან როლს ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობა უნდა თამაშობდეს. მაგრამ არის სხვა ფაქტორებიც, რომლებსაც ასევე უნდა მოეხდინათ ზეგავლენა უარყოფის აფიქს-ნაწილაკის ამოძრავებაზე:

1. ცალკე უნდა აღინიშნოს **მარტივფუძიან ზმნათა ანალოგია**: მარტივფუძიან დინამიკურ ზმნებში უარყოფის პრეფიქსაციის დროს უარყოფის აფიქს-ნაწილაკი და სუბიექტის პირ-კლასის ნიშნები **უგამონაკლისოდაა წარმოდგენილი გვერდი-გვერდ, რაც ლოგიკურია**, ვინაიდან **ზმნით გამოხატული მოქმედებაც და მდგომარეობაც სწორედ სუბიექტის მახასიათებელია, ხოლო უარყოფით ფორმებში, თავის მხრივ, ასევე სუბიექტის ქმედება, ან მისი მდგომარეობა უარიყოფა**. ბუნებრივია, ენას "აქვს მოთხოვნილება", მკაფიოდ გამოხატოს ლოგიკურ-სემანტიკური კავშირი ზმნის საერთო სემანტიკას, სუბიექტსა და სუბიექტის

მოქმედება-მდგომარეობის უარყოფას შორის არა მარტო მარტივფუძიან ზმნებში, არამედ რთულფუძიანებშიც. ამიტომ ცდილობს იგი, არ დააშოროს ერთმანეთს გარდაუვალი რთულფუძიანი ზმნების ფუძის თავში მდგომი სუბიექტის ნიშნები და მასთან ლოგიკურ-სემანტიკურად დაკავშირებული უარყოფის აფიქს-ნაწილაკი, რომელიც აორისტის ჯგუფის დრო-კილოებში "ფიზიკურად" გამიჯნულია სუბიექტის ფორმანტისგან მიმართულების პრევერბებით, ფუძე-წინდებულებითა და სხვა სიტყვათმაწარმოებელი, თუ ფორმათმცველელი ელემენტებით.

სხვაგვარად რომ ითქვას, იმ გარდაუვალ რთულფუძიან ზმნათა უარყოფის **პირველადი პრეფიქსაციის ფორმებში,** რომლებიც არასოდეს განიკვეთება სუბიექტის ნიშნით, მაგრამ ფორმის შუაში ჩაირთავს უარყოფის აფიქს-ნაწილაკს, **იჩრდილება ლოგიკურ-სემანტიკური კავშირი სუბიექტსა, მის მოქმედებასა და ამ ქმედების უარყოფას შორის** მაშინ, როდესაც იმავე ზმნათა დადებით ფორმებში **ლოგიკურ-სემანტიკური კავშირი** რთულფუძიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტსა და მის ქმედებას შორის **არ წყდება,** რადგან სუბიექტი მუდამ მთელი ფუძის წინ მდგომი სათანადო პირ-კლასის აფიქსებით აღინიშნება. მაგალითად: დადებით დ-ჰჲ-ხე-იტ "მან (ადამ.) გაიღვიძა" ფორმაში მთელი რთული ფუძის ანლაუტში მდგომი სუბიექტის დ- თავსართის ადგილმდებარეობაც კი მიანიშნებს, რომ ზმნაში გამოხატული მთელი სემანტიკა პირდაპირ კავშირშია სუბიექტთან, მაგრამ უარყოფით დჲ-ზ-ჰჲ-მ-ხე-იტ "მან (ადამ.) ვერ გაიღვიძა" ფორმაში სუბიექტის დ- ნიშანსა და მისი ქმედების უარმყოფელ მ აფიქს-ნაწილაკს ერთიმეორისაგან თიშავს პოტენციალისის კატეგორიის ზ- პრეფიქსი და ფუძე-წინდებული ჰჲ-, რაც ასუსტებს ლოგიკურ-სემანტიკურ კავშირს ფორმის შემადგენელ სეგმენტებს შორის. ვფიქრობთ, ასეთი შემთხვევები უნდა გვიხსნიდეს იმას, თუ რატომ ცდილობს ენა, არ დააშოროს ერთმანეთს სუბიექტისა და უარყოფის ნიშნები.

2. რთულფუძიან ზმნათა უარყოფის მეორეული პრეფიქსაციის წარმოქმნის კიდევ ერთი მიზეზი **ფუძის განუყოფლობის, მისი მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობაც** არის, რაც

ასეევე უკავშირდება ზმნის ფორმის შემადგენელ **სეგმენტთა შორის ლოგიკურ-სემანტიკური კავშირის შენარჩუნების მოთხოვნილებას**, რომელიც ისტორიულად დამახასიათებელი იყო კლასოვანი უღლილების თავდაპირველი სისტემისათვის (ეს დღესაც ასეა დაღესტნის ზოგ ენაში). ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია იბერიულ-კავკასიურ ენებში პრეფიქსაციის ზოგად ისტორიასთან და ზმნის ფუძის სტრუქტურასთან, განსაკუთრებით კი მიმართულებისა და ლოკატიურ ზმნისწინთა ზმნაში ჩართვის, ანუ ტმესის ტიპის წარმოების ისტორიის პრობლემასთან. ამიტომ უპრიანია აქვე მიმოვიხილოთ უარყოფის ტმესისებური წარმოების საკითხი სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების მიხედვით:

ძველ ქართულში ბუნებრივი იყო ტმესის ხმარება. დადგენილია, რომ ტმესი დასტურდება ძირითადად V-XI საუკუნეების როგორც თარგმნილ, ისე ორიგინალურ ნაწარმოებებში ზმნისწინიან და რთული შედგენილობის ზმნებში[144]. აღნიშნავენ იმასაც, რომ ძველ ქართულში ტმესი ერთნაირად არ არის გავრცელებული დრო-კილოთა ყველა ნაკვთში, იგი ყველაზე ხშირია მეორე სერიის ნაკვთებში, ნაკლებ გვხვდება I და III სერიის ფორმებში. თ. ცქიტიშვილი, რომელმაც ტმესის წარმოება საგანგებოდ გამოიკვლია, მიუთითებს: "სერიათა მიხედვით ტმესის მოელენის გავრცელების ასეთი მკვეთრი სხვაობა (რაც მთავარია, II სერიის ფორმებში მისი სიხშირე) და აგრეთვე მარტივ ზმნისწინიან და მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში სიტყვა-ნაწილაკთა შეუდარებლივ ხშირი ჩართვა... მოვლენის საკმაო სიძველეზე უნდა მიუთითებდეს, რასაც ტმესის ბუნებისა და ისტორიის გასაოვალისწინებლად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება"[145].

ძველ ქართულში ტმესის დროს ზმნურ ფორმაში შეიძლება ჩაერთოს ნაწილაკები (**-ვე-, -და-, -ცა-, -მცა-, -რე-, -მი-, -ძი-, -დათუ-, -ნუ-, -არა-, -ვერ-, -ველარ-, -თურე-, -თუმცა-**), ნაცვალსახელი, ზმნისართი, შორისდებული და კავშირი[146]. მაოგან ჩვენ

---

[144] თ. ცქიტიშვილი. ტმესი ძველ ქართულში. – "მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია", 1966, № 5, გვ. 131.
[145] იქვე, გვ. 132.
[146] იქვე, გვ. 133.

მხოლოდ უარყოფის ნაწილაკჩართულ ტმესის შემთხვევებზე შეეხერდებით სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით.

ძველქართულ ტექსტებში დასტურდება უარყოფით ნაწილაკიანი ტმესის შემდეგი მაგალითები: მი-**ნურან**-ვაროჳ (პარხლის მრავალთ. № 95, 1298 ბ), შე-**ვერას**-უძლებდეს (№ 2124, 106 ვ)[147], აღ-**ნუვინ**-ანთის (მრ., 4,21), მო-**ნუ**-ისთელიან (მ., 7, 16 ც), და-**გერ**-ვმალოთ (სინ. მრავ. 152, 29), შე-**ვერა**-ვალს (ამირანდარეჯ. 80, 12), წა-**ველარ**-უხვალთო (ამირანდარეჯ. 24,1)[148], შე-**არა**-ხუალთ (მ., 23,14, იმავე ტექსტის F ხელნაწერში არის აღწერითი ფორმაც – **არა** შეხუალთ)[149]. როგორც ამ მაგალითებიდანაც ჩანს, ტმესის შემთხვევაში შესაძლებელია სამივე ქაროული უარყოფითი ნაწილაკის (**არ, ვერ, ნუ**) ჩართვა ზმნისწინსა და ზმნის ფუძეს შორის, მაგრამ უკვე XI-XII საუკუნეებიდან იწყება ტმესის მოშლა და "ვეფხისტყაოსანში" მას, როგორც ფიქრობენ, შოთა რუსთაველი მხოლოდ ალიტერაციისათვის იყენებს[150]. თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში უკვე აღარ დასტურდება ტმესის მაგალითები: უარყოფა აღწერითი გზით – დამოუკიდებლად ხმარებული უარყოფის ნაწილაკებითღა გამოიხატება. თანამედროვე ქართულისებური ვითარებაა მეგრულში, ლაზურსა და სვანური ჯგუფის დიალექტებშიც, სადაც უარყოფის აღსანიშნავად დამოუკიდებელი ნაწილაკები იხმარება: სვან. **დე, შ // მა, ნე, დრ // დო, მრ // მო, ნრ // ნო...**[151], ზან. **ნუ, ნუმუ, ვა, მოთ**[152]. თუმცა მეგრულ დიალექტში

---

[147] ვიმოწმებთ ვ. თოფურიას მიხედვით: ვ. თოფურია. ორმაგი უარყოფა ქართულში. – ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების "წელიწდეული", I-II, თბ., 1923-1924, გვ. 85.

[148] თ. ცქიტიშვილი. დასახ ნაშრ., გვ. 130-133.

[149] ქართული ოთხთაეის ორი ბოლო რედაქცია. თბილისი, 1979, გვ. 338.

[150] თ. ცქიტიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 142.

[151] თ. შარაძენიძე. უარყოფითი ნაწილაკები სვანურში. – იკე, ტ. I. თბ., 1946, გვ. 290-307; В.Т. Топурия. Сванский язык. - Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки (ЯН СССР, ИКЯ). М., 1967, გვ. 90.

გვაქვს პარალელური ფორმები, როცა უარყოფითი ვა ნაწილაკი ზმნისწინთა შორისაა მოქცეული, ან წინ უძღვის ქო ნაწილაკიან ზმნას. შდრ. მაგალითად: დოთვადოხოდჳ ← დოთეჳვადოხოდუნ "არ ჯდება", კილვეძირე ← კილავაიძირე "არ იხედება, ვერ ატანს", მაგრამ ვაქოძირესო "ქე არ ნახეს..."[153].

ცნობილია, რომ ქართული ტმესის მსგავსი წარმოებები ყველაზე უფრო აფხაზურ-ადიღური ენებისთვისაა დამახასიათებელი და ამ ენებში უარყოფის ორგანული გამოხატვა ძალზე ბუნებრივია[154]. მეტიც, ამ ენებისათვის, განსაკუთრებით აფხაზურისა და აბაზურისათვის, როგორც უკვე ვნახეთ, უარყოფის ასეთი წარმოება (პრეფიქსად ხმარებული უარყოფითი ნაწილაკით) ერთადერთიც კია აორისტსა და მისი ჯგუფის დრო-კილოთა ფორმებში, რომლებიც შეესაბამება ქართული ენის მეორე სერიის ფორმებს და სიძველით გამოირჩევა. აქ გავიმეორებთ, რომ აფხაზურ-აბაზურში უარყოფა მხოლოდ ორგანულად, ე. ი. ზმნის ფუძეში აფიქსაციით იწარმოება და უარყოფის ჲ ფორმანტი ხან პრეფიქსია და ხან – სუფიქსი. პრეფიქსად გვევლინება იგი დინამიკურ ზმნათა ფინიტური წარმოების აორისტის, ნამყო განუსაზღვრელის, ნამყო უკვეობითისა და ნამყო წინარე წარსულის ფორმებში, აგრეთვე იმავე დინამიკურ ზმნათა ინფინიტური წარმოების ყველა დროის ფორმაში, ბრძანებითში, აბსოლუტივებში[155]. აფხაზურსა და აბაზურში ორდინარული პრეფიქსული უარყოფის დროს ჲ ელემენტი ძირის წინ დაისმის სუბიექტის ნიშანთა შემდეგ (არა აქვს მნიშვნელობა, ზმნა ზმნისწინიანია თუ უზმნისწინო), რითაც ეს ენები განსხვავდებიან ძველი ქართულისაგან, სადაც უარყოფითი ნაწილაკი სწორედ პირის ნიშნებს უძღვის წინ. შდრ. მაგა-

---

[152] К.Д. Дондуа. Грамматическое отрицание как проблема общего языкознания. რჩეული ნაშრომები. I. თბ., 1967, გვ. 257-258.

[153] მ. ხუბუა. უარყოფითი ნაწილაკი ვა მეგრულში. – სმამ, ტ. III, № 7, 1942, გვ. 744.

[154] ქ. ლომთათიძე. ზმნის ინფინიტური წარმოების კვალი ძველ ქართულში. – იკე, ტ. IX-X. თბ., 1958, გვ. 111-112.

[155] მისივე. ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. – იკე, ტ. V. თბ., 1953, გვ. 203-208.

ლითად: აფხ. დ-აა-ჲ-მ-ჳეიტ, აბაზ. დჳგ~-ჰა-ჲ-მ-დად "მან (მამაკ.) იგი (ადამ.) არ მოიყვანა", შდრ.: ძვ. ქართ. შე-არა-ხ-უალთ. მაგრამ, მიუხედავად სხვაობისა, ამ შემთხვევებში აფხაზურ-აბაზურსა და ქართულს შორის პრინციპული მსგავსებაც გვაქვს: **უარყოფის ელემენტები და სუბიექტის ექსპონენტები მაინც ერთიმეორის გვერდი-გვერდ დგანან.**

უარყოფის პრეფიქსაცია ჩვეულებრივია ჩერქეზულ ენაშიც. ასეა, მაგალითად, ადიღეურის საგარემოებო, მიმღეობურ, აბსოლუტივის, მასდარის, კითხვითის, ბრძანებითის ფორმებში. მაგ.: უ-მჷ-კ'! "არ წახვიდე"[156]. ყაბარდოულშიც იგივე მჷ- პრეფიქსი გვაქვს, ხოლო უბიხურში უარყოფის სუფიქსური წარმოების გვერდით დასტურდება პრეფიქსული წარმოებაც, რომელიც დამახასიათებელია აწმყოში, ოპტატივში, ბრძანებითში, მიმღეობურ და აბსოლუტივის ფორმებში, სადაც უარყოფის მ(ა)- პრეფიქსი ზმნის ძირის წინ დაისმის. მაგ.: ასჷ-მ-დჷაოჷნ "მე მას არ ვაჩერებ", თასჷ-მ-უჷნ "არ შევდივარ"[157].

როგორც აღნიშნულიდანაც ჩანს, ძველ ქართულსა, მეგრულ დიალექტსა და აფხაზურ-ადიღურ ენებს უარყოფის გამოხატვაში ბევრი რამ აქვთ საერთო, თუმცა სხვაობაც შეინიშნება. აფხაზურ-აბაზურის მონაცემების ძველ ქართულ ტმესთან შედარების შედეგად მიიჩნევენ, რომ ტმესი ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი, ხოლო ქ. ლომთათიძე დამატებით იმასაც აღნიშნავს, რომ ტმესი ქართულში ზმნათა ინფინიტური წარმოების ნაშთი ჩანს[158].

უარყოფის ტმესისებური წარმოების შემთხვევები ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაშიც დასტურდება. როგორც აღნიშნა-

---

[156] Г.В. Рогава, З.И. Керашева. Грамматика адыгейского языка. Краснодар-Майкоп, 1966, გვ. 239-254; М.А. Кумахов. Адыгейский язык. - ЯН СССР, т. IV, ИКЯ..., გვ. 160.

[157] Грамматика кабардино-черкесского литературного языка. I. Фонетика и морфология. М., 1970, გვ. 132; А.К. Шагиров. Кабардинский язык. - ЯН СССР, т. IV, ИКЯ..., გვ. 174; М.А. Кумахов. Убыхский язык. იქვე, გვ. 700.

[158] ქ. ლომთათიძე. ზმნის ინფინიტ. წარმ. კვალი...გვ. 116; თ. ცქიტიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 140.

ვენ, ნახურ ენებში უარყოფის ცა და მა ნაწილაკები ცალკე იხმარება, მაგრამ ჩაჩნურში გვაქვს ისეთი მასდარებიც, სადაც ეს ნაწილაკები ფუძეშია ჩართული: ჰალაცალათთარ "აუდგომლობა, невставание"[159]. იმავე ჩაჩნურში არც უარყოფით ნაწილაკთა ზმნურ ფუძეში ჩართვაა უცხო. მაგ.: დჰა-ცა-ვახა "არ წავიდა", დჰა-მა-ვურ! "არ წახვიდე!" (რ. ფარეულიძე).

ანალოგიური ვითარება გვაქვს დაღესტნის ზოგ ენაშიც. ასეა, მაგალითად, ლაკურში, სადაც უარყოფითი -მა-, -ჯა- ნაწილაკები ზმნის ფუძეში ჩაირთვის. აქ პარალელურად შეიძლება გვქონდეს როგორც მა-ჩიჩრა! "არ წერო!", ისე ჩი-მა-ჩრა! ჯა-ჩიჩინნა // ჩი-ჯა-ჩინნა "არ დავწერ"[160]. თაბასარანულ ენაში დარ "არ არის" კოპულა-ნაწილაკის მეშვეობით იწარმოება უარყოფითი ფორმები ყველა ზმნური ფორმისაგან. იგი მუდამ პრეფიქსი, ან ინფიქსია (ფონეტიკური ცვლილებით), გარდა ზმნის პირიანი ფორმებისა. მაგ.: აპუბ "კეთება" – დარ-აპუბ "არ კეთება", ურსუბ "შეხტომა" – უ-დრ-უსუბ "არ შეხტომა"[161]. ასეთივეა ვითარება სხვა ლეზგიურ ენებშიც: აღულურში უარყოფა ჩვეულებრივ პრეფიქსაციით გამოიხატება (დი-, და-, დ-, მ-... ელემენტები). მაგრამ თუ ზმნა პრევერბიანია, უარყოფის პრეფიქს-ნაწილაკი მაინც ძირის წინ აღმოჩნდება: რუხას "კითხვა" – დუ-რუხას "არ კითხვა"; ჯიკას "დაკეტვა" – ჯი-დი-კას "არ დაკეტვა", ჯი-მი-კა! "არ დაკეტო!"[162]. ასევე იქცევა რუთულურ ენაში უარყოფის მა აფიქს-ნაწილაკიც: გი-მა-ჯ! "არ უყურო!"[163]. წახურშიც ძირის წინ დაისმის დ- // დი, მ- // იმ- ელემენტები, ოღონდ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა ზმნა აბსოლუტივის, მიმღეობის, ან "მიზნობრივი" მნიშვნელობით იხმარება. მაგ.: გეშეს "ტირილი"

---

159 დ. იმნაიშვილი. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები იბერიულ-კავკასიურ ენებში. – იკე, ტ. IV, თბ., 1953, გვ. 58; Структурные общности кавказских языков. М., 1978, გვ. 78.

160 Г.Б. Муркелинский. Лакский язык. - ЯН СССР, т. IV, ИКЯ..., გვ. 500.

161 Б.Г.-К. Ханмагомедов. Табасаранский язык. იქვე, გვ. 556.

162 А.А. Магометов. Агульский язык. იქვე, გვ. 574.

163 Е.Ф. Джейранишвили. Рутульский язык. იქვე, გვ. 587.

– გი-დე-ეშეს "არ ტირილი", გეში! "იტირე!" – გი-მე-ეში! "არ იტირო!"[164]. ასეთივე სურათი გვაქვს კრიწულში, ბუდუხურსა და უდიურში. მაგალითად: კრიწ. ქოცლიჯ "ყურება" – ქო-და-ცლიჯ "არ ყურება"..., ბუდუხ. ცა-დალ-სარა (I კლ., მხ. რ.) "არ იცლის", ცა-მა-ბსალდა! "ნუ იცლით (მამაც)!"...; უდ.: ვართა'მნ. თე-ზ-ბო // ბო-თე-ზ, ნიჯ. თე-ზ-ბალ // ბალ-თე-ზუ "არ გავაკეთებ", მა-უფა! // უ-მა-ფა! "არ თქვა!"...[165].

გ. თოფურია, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა უარყოფის წარმოების საკითხი ლეზგიური ენების ბრძანებითის ფორმებში, აღნიშნავს: "...თითქმის ყველა ლეზგიურ ენაში უარყოფით ბრძანებითში (და მხოლოდ აქ!) დასტურდება მ- ელემენტი, რომელიც, როგორც წესი, პრეფიქსს წარმოადგენს. ზოგ შემთხვევაში იგი შეიძლება ინფიქსის სახითაც შეგვხვდეს, მაგრამ ასეთი ზმნები, ჩვეულებრივ, რთული ფუძისა ჩანან, ან უარყოფითობის პრეფიქსის წინამავალი ელემენტი რაღაც მორფოლოგიური ოდენობაა. ამდენად, მ- ყველა შემთხვევაში პრეფიქსია"[166]. იგივე შეიძლება ითქვას სხვა დასახელებულ ენათა შესახებ: **უარყოფა ყველგან პრეფიქსაციით იწარმოება.**

ეს მ- ელემენტი საერთო ლეზგიურ ოდენობადაა მიჩნეული. იმავე მ- ელემენტის შესახებ გ. ბურჯულაძე წერდა, რომ იგი სხვა მოდალურ ელემენტებთან ერთად საერთო კავკასიური მონაცემია[167]. ჩვენი მხრივ უნდა დავძინოთ, რომ მ- ელემენტის გარდა, იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო კუთვნილებაა დ- უარყოფითი ელემენტიც, მაგრამ ჩვენ ამჯერად სხვა რამ გვაინტერესებს: ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ენაში (ქართულში, აფხა-

---

[164] Б.Б. Талибов. Цахурский язык. იქვე, გვ. 603-604.

[165] Ш.М. Саадиев. Крызский язык. იქვე, გვ. 637; Ю.Д. Дешериев. Будухский язык. იქვე, გვ. 652-654; ევგ. ჯეირანიშვილი. უდიური ენა. გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი. თბ., 1971, გვ. 102-103.

[166] გ. თოფურია. უარყოფითი ბრძანებითისა და მისი საწარმოებელი ფუძის შესახებ ლეზგიურ ენებში (წინასწარი მოხსენება). – თსუ შრომები, 3 (142), თბ., 1972, გვ. 76.

[167] Г.Т. Бурчуладзе. О некоторых модальных частицах в лакском и их параллелях в некоторых других иберийско-кавказских языках. – იკეწ, ტ. IV, თბ., 1977, გვ. 224.

ზურ-აბაზურში, ჩერქეზულში, უბიხურში, ჩეჩნურში (და ალბათ ინგუშურ-ბაცბურშიც), ლაკურში, თაბასარანულში, აღულურში, რუთულურში, წახურში, კრიწულში, ბუდუხურში, უდიურში) **საერთოა უარყოფის გამოხატვის პრინციპი: ამ ენებში ჩვეულებრივია ტმესის ტიპის უარყოფა,** რაც იმაში მდგომარეობს, რომ უარყოფის აფიქს-ნაწილაკი ჩართულია ზმნისწინის, ან რაიმე სხვა ფუძისეული ელემენტის შემდეგ ზმნურ ფუძეში.

დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენათაგან დაღესტნის ენათა ერთ ნაწილში ტმესის ტიპის უარყოფის აფიქსური წარმოების ნაცვლად გვაქვს **უარყოფის აღწერითი წარმოება,** როცა ძირითად – დადებითი ფორმით წარმოდგენილ ზმნაში უარყოფითობის შინაარსი უარყოფით მეშველ ზმნას შეაქვს. ასეთი წარმოებაა ხუნძურში (მეშველი ზმნა პეჭო "არ არის"), ანდიურში (ъუ), ბოთლიხურში (ხუჭი, ლ'იჭი, გუჭი), ღოდობერიულში (იეუჩი), ბაგვალურში (ვაჭე), ჭამალურში (იკვ, იხვ), დიდოურ'ში (ან), ხვარშიულში (გობი), ჰინუხურ'ში (გომ, გომე). იმავე ლეზგიურ ენებში, სადაც, როგორც აღინიშნა, ტმესის ტიპის უარყოფითი ფორმები გვაქვს, პარალელურად აღწერითი წარმოებაცაა გავრცელებული. ასეა, მაგალითად, თაბასარანულში (მეშველი ზმნა დარ "არ არის"), აღულურში (და), რუთულურში (დიშ, ჯიშ, ჩიშ), წახურში (დეშ), კრიწულში (დარ, დაბ, დაღ), ბუდუხურში (დაბ, დაფ, დად, დარ), ხინალუღურში (ნდა)[168]. თითქმის ყველა ამ ენაში (როგორც ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის, ისე ლეზგიურისაში) შეინიშნება უარყოფითი მეშველი ზმნის აფიქსად ქცევის ტენდენცია. მაგალითად, ანდიური მეშველი ზმნა ъუ > -ъу // -ъ[169] (ამჯერად სუფიქსაციის საკითხებს არ განვიხილავთ).

თანამედროვე ქართველურ დიალექტთა მსგავსადვე დამოუკიდებელი ნაწილაკებით იწარმოება უარყოფა ნახურ ენებსა

---

[168] ცნობები ამოკრებილი გვაქვს კრებულიდან: Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки. М., 1967.

[169] И.И. Церцвадзе. Андийский язык. იქვე, გვ. 289.

და უდიურშიც: ჩაჩნ. ца გინა "არ უნახავს", ბაცბ. цо ვუცტ "არ მიდის", უდ. ма ба! "არ გააკეთო!"[170].

ამრიგად, იბერიულ-კავკასიურ ენებში უარყოფის გამოხატვის **ორი ძირითადი პრინციპი** მოქმედებს: ტმესისებური **ორგანული წარმოება**, როცა უარყოფითი აფიქს-ნაწილაკები ჩართულია ზმნურ ფუძეში და **აღწერითი წარმოება**, როცა უარყოფითი კოპულა-ნაწილაკი, ან ნაწილაკი იხმარება როგორც დამოუკიდებელი სიტყვა. პირველი პრინციპით გამოიხატება უარყოფა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველა ქვეჯგუფში მეტ-ნაკლებად, ხოლო მეორის მიხედვით – ყველა ქვეჯგუფის ენებში, გარდა აფხაზურ-ადიღური ენებისა (ზოგ ენაში ორივე პრინციპი მოქმედებს ერთდროულად. მაგ.: კლასიკურ ქართულსა და მეგრულ დიალექტში, ნახურ და ლეზგიურ ენებში).

რომელი პრინციპია უძველესი და რომელი ახალი?

კლასიკური ქართულის ტმესის ისტორია, რომლის თვალის გადევნების საშუალებაც გვაქვს ძველი წერილობითი წყაროების არსებობის წყალობით, გვიჩვენებს, რომ ტმესისებური წარმოება უეჭველად ძველია[171]. ანგარიშგასაწევია აფხაზურ-ადიღურ ენათა მონაცემებიც, სადაც უარყოფის აღწერითი წარმოება საერთოდ არ დასტურდება. ამ ენათა ზმნის ფუძეში ჩართული უარყოფის ელემენტი პრეფიქსად გვაქვს ძირითადად აორისტის ჯგუფის ნაკვთებში კლასიკური ქართულის ტმესის მსგავსად, რაც აღნიშნული წარმოების შედარებით სიძველეზე მიუთითებს. ამასთანავე სხვა ენებშიცა და აქაც უარყოფის პრეფიქსაცია დამახასიათებელია ბრძანებითის ფორმებისათვისაც, რაც ისევ და ისევ ამ წარმოების სიძველეზე მიუთითებს. ცნობილია ისიც, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში პრეფიქსაცია უფრო ძველია, ვიდრე სუფიქსაცია[172].

მეორე მხრივ, საინტერესოა, რომ იმ დაღესტნურ ენებში, სადაც უარყოფის აღწერითი წარმოება გვაქვს, ჩვენს თვალწინ ხდება უარყოფითი კოპულა-ნაწილაკის სუფიქსად ქცევა (ანდი-

---

[170] ЯН СССР, т. IV, ИКЯ, გვ. 205, 241, 684.

[171] ქ. ლომთათიძე. ზმნის ინფინიტ. წარმ. კვალი..., გვ. 112-113.

[172] არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1979, გვ. 273.

ური ენა...), ხოლო ის ენები, რომლებისთვისაც არ არის დამახასიათებელი ტმესის ტიპის წარმოება, **ტიპური გრამატიკული კლასის მქონე ენებია** (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები), რომლებშიც **ზმნისწინები თითქმის არა გვაქვს**[173]. ამ უკანასკნელ ფაქტს კი, ჩვენი აზრით, **გადამწყვეტი მნიშვნელობა** უნდა ჰქონდეს ტმესის ტიპის წარმოების ისტორიის გასათვალისწინებლად, ვინაიდან ტმესის დროს უარყოფითი ნაწილაკები სწორედ პრეევრბსა და ზმნის ძირს შორის (სუბიექტის ნიშნის წინ, ან მომდევნოდ) ჩაერთვიან.

ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის უარყოფის გამოხატვის ორივე პრინციპის ასეთი განაწილება იბერიულ-კავკასიურ ენებში. **პრინციპულ ერთიანობას ამჟღავნებენ ის ენები, სადაც გრამატიკული კლასის კატეგორია დღემდე მყარადაა შენარჩუნებული** (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები). ამ ენებში პრეევრბთა ნაკლები გავრცელებულობა სახელის ბრუნების თავისებურებებით იხსნება: აქ გვაქვს ე.წ. ლოკატიურ ბრუნვათა სერიები, რომლებიც ზმნისწინთა ფუნქციებს კისრულობენ – გადმოსცემენ ლოკალურ ურთიერთობებს (ბევრ ენაში 40-დან 80-მდე ამგვარი ბრუნვაა), იმ ენებში კი, სადაც გრამატიკული კლასის კატეგორია მთლიანად მოიშალა, ან სერიოზულად ტრანსფორმირდა (ტრანსფორმირებაში ვგულისხმობთ კლასოვან-პიროვანი, ან პიროვანი უღვლილების გაჩენასაც და გრამატიკული კლასის კატეგორიის შიგნით ახალი ქვეკლასების ჩამოყალიბებასაც), ზმნის სისტემა გართულდა, საჭირო გახდა სუბიექტისა და სუბიექტ-ობიექტთა ასახვა ზმნურ ფორმაში, რაც სახელის ფორმაცვალების სიმარტივის შენარჩუნებას, ანდა მის განტვირთვას უწყობს ხელს. სახელის სიმარტივის პირობებში კი ზმნა კისრულობს სახელის ფუნქციათა ნაწილს, რაც პრეევრბთა ჩამოყალიბების საწინდარია. თავის მხრივ, პრეევრბები დამოუკიდებელ სიტყვათაგან (ძირითადად სახელ-

[173] იქვე, გვ. 163-164.

თაგან) მომდინარეობენ, რაც ნათლად ჩანს აფხაზურ-აბაზურ ენათა მაგალითზეც[174], სადაც 100-მდე ასეთი ზმნისწინია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზმნისწინთა მსგავსად, **თავდაპირველად უარყოფითი ნაწილაკებიც დამოუკიდებელი სიტყვები უნდა ყოფილიყვნენ**, მაგრამ უფრო ახლოს უნდა მდგარიყვნენ ზმნასთან, ვიდრე ზმნისწინები. უარყოფითი ნაწილაკები **უფრო ადრე უნდა შეხორცებოდნენ ზმნას, ვიდრე ზმნისწინები**[175]. მაგრამ **ეს პროცესი მხოლოდ კლასოვანი უღვლილების ტრანსფორმაციის, ან მოშლის შემდეგ მოხდებოდა**, ვინაიდან კლასოვანი უღელილების მქონე ენებში ზმნური ფორმა გაცილებით უფრო მარტივი და "შეკრული", ფორმანტათვის ნაკლებად შეღწევადია (განსაკუთრებით ანლაუტში), ვიდრე კლასოვან-პიროვანი უღელილების მქონე ენათა ზმნაა:

ა. კლასოვანი უღელილების დროს **ზმნური სიტყვაფორმა მონოკლასოვანია და თავკიდურში დაირთავს ან მხოლოდ გარდაუვალი ზმნის სუბიექტის, ან მხოლოდ გარდამავალი ზმნის ობიექტის კლასოვან პრეფიქსს**[176]. ასეთი სისტემის მქონე ენებში ზმნისწინები საერთოდ არ არსებობს და მათ ფუნქციას ლოკატიურ ბრუნვათა სერიები ასრულებენ, ანდა პრეევერბები ძალზე ცოტაა და მათი ზმნური ფორმის ანლაუტში ჩართვა ახალი მოვლენაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამგვარ ენებში

---

[174] ქ. ლომთათიძე. რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში. – იკე, ტ. IV, თბ., გვ. 84; ქ. ლომთათიძე. ლოკალურ პრეევერბთა ძირითადი სახეობები და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში. თბ., 1981-1982.

[175] შდრ. ამ მხრივ სვანურ კილოთა მონაცემები: აქ უარყოფითი ნაწილაკები და ქა, ჩუ პრეევერბები ზმნის ფუძეში არ შედიან – დამოუკიდებლად იხმარებიან, მაგრამ მათი ერთდროული გამოყენების დროს უარყოფითი ნაწილაკი ექცევა ზმნასა და პრეევერბს შორის: ქადეშ ჯსკნეხ "ვერ ხტებოდნენ" (კლასიკური ქართულის "გა-ვერ-ხტებოდნენ"). იხ.: სვანური ენის ქრესტომათია, თბილისი, 1978, გვ. 35. აქ ტმესის ტიპის წარმოების ჩანასახთან გვაქვს საქმე.

[176] არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1979, გვ. 166.

გარდამავალი ზმნის სუბიექტი სრულებით არ არის მარკირებული ზმნურ ფორმაში[177].

ბ. კლასოვანი უღელილებისაგან მომდინარე კლასოვან-პიროვანმა უღელილებამ დაარღვია ზმნის ფორმის აფიქსთათვის შეუღწევადობის წესი, ვინაიდან საჭირო გახდა ზმნურ ფორმაში სუბიექტისა და ობიექტ(ებ)ის ერთზე მეტი ნიშნისა და სხვა მორფემათა ჩართვა. სხვადასხვა ენა ამ მხრივ განსხვავებულად იქცევა. მაგალითად, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, "...დაღესტნის ენებში, სადაც გრამატიკული კლასის გარდა, პირის კატეგორიაც არის გამოხატული, გრამატიკული კლასის ნიშანი პ რ ე ფ ი ქ ს ი ა, პირს კი ს უ ფ ი ქ ს ი გადმოგვცემს: პირის კატეგორია ამ ენათა ზმნაში ახალია, გრამატიკული კლასისა კი – ძველი"[178], ხოლო აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნა პოლიპერსონალურ-პოლიკლასოვანია და, როგორც აღინიშნა, სუბიექტისა და ობიექტ(ებ)ის ნიშნები, ჩვეულებრივ, განლაგებულია გვერდიგვერდ სიტყვის ანლაუტში. იქვე ჩაერთვის პრევერბები და სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის მაწარმოებლებიც.

როგორც ზემოთაც მიეუთითეთ, აფხაზურ-ადიღურ ენათათვის დამახასიათებელია ზმნის კლასოვან-პიროვანი (აფხაზურ-აბაზურში) და პიროვანი უღელილება (ჩერქეზულსა და უბიხურში). ამავე ენებში ტმესის ტიპის ფორმებიც არის გავრცელებული, როცა ზმნური ფუძის ინლაუტში, ძირის წინ ჩართულია მიმართულებისა და ლოკატიური პრევერბები, რაც წარმოქმნის რთულფუძიან ზმნებს. ტმესისებური ფორმების წარმოებისას ყველაზე ცხადად ჩანს, რომ ზმნის ფორმის მთლიანობა დარღვეულია და ზმნა შეიძლება "გაიხლიჩოს" სხვადასხვა ელემენტით.

გ. რაც შეეხება პიროვან უღელილებას, რომელიც წარმოადგენს კლასოვან-პიროვანი უღელილების მომდევნო ეტაპს, მას ზმნის ანლაუტის მორფოლოგიური შეუღწევადობა უფრო ნაკლებ ახასიათებს, ვიდრე კლასოვან უღელილებას, მაგრამ ეს შეუღწევადობა მეტია, ვიდრე კლასოვან-პიროვანი უღელილებისას. ეს, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ენა გაურბის

---

[177] იქვე, გვ. 168.
[178] იქვე, გვ. 87.

ზმნური ფორმის ღიაობას და მიისწრაფვის მისი ურღვევობისაკენ. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ძველქართულ ტექსტებში გამოვლენილი ტმესის ფორმების ისტორიაც: გარკვეულ პერიოდამდე ტმესი საკმაოდ გავრცელებული იყო ქართულში, ანუ ქართული ზმნის ანლაუტი იოლად შეღწევადი იყო, მაგრამ XII საუკუნისათვის ტმესი საბოლოოდ გაქრა და, შესაბამისად, განმტკიცდა ზმნის ანლაუტის შეუღწევადობის ხარისხიც (შდრ. ჩერქეზული და უბიხური ენები, სადაც კლასოვან-პიროვანი უღვლილების მემკვიდრეობად ჯერ კიდევ რჩება ტმესისებური წარმოებები). სხვაგვარად რომ ვთქვათ, **პიროვანი უღვლილება თანდათან უბრუნდება ზმნის ანლაუტის შეუღწევადობის პრინციპს**, რასაც სხვა მიზეზებთან ერთად ხელს უნდა უწყობდეს **ლოგიკურ-სემანტიკური ფაქტორი**:

ტმესის დროს ქართულ და აფხაზურ-აბაზურ (და, ალბათ, ჩერქეზულ-უბიხურ) ზმნურ ფორმებში ჩართულ ნაცვალსახელებს, ზმნისართებს, კავშირებს, შორისდებულებს, აგრეთვე ძირითადად დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე ნაწილაკებს **მკაფიოდ გამოხატული საკუთარი სიტყვიერი სემანტიკა აქვთ შენარჩუნებული**, რაც განსხვავდება ამ ჩანართებით ერთიმეორისაგან გახლეჩილ ზმნის სხვა სეგმენტთა, უპირველეს ყოვლისა კი – პირ-კლასის ნიშანთა, ქცევის, კაუსატივის, პოტენციალისისა და სხვა მორფემათა სემანტიკისაგან, რომელთაც **მხოლოდ აფიქსური სემანტიკა აქვთ**. გამოდის, რომ ტმესის დროს ქართული და აფხაზურ-აბაზური **ზმნური ფორმები სხვადასხვა ხარისხის სემანტიკის მქონე სეგმენტების ეკლექტიკური, ერთმანეთთან შეუხორცებელი ნაზავია**. მაგალითად: ქართულ **შე-არა-ვიდ-ა** ფორმაში **შე-** ზმნისწინისა და მესამე სუბიექტური პირის **-ა** სუფიქსის "სემანტიკური წონა" დიდად განსხვავდება, ერთი მხრივ, მათთან შედარებით მეტი "სემანტიკური წონის" მქონე **ვიდ** ძირისა და, მესამე მხრივ, უარყოფის **არა** ნაწილაკის "სემანტიკური წონისაგან". ამ 4 სეგმენტიდან სემანტიკურად ყველაზე უფრო დატვირთული უარყოფის ნაწილაკია, რომელსაც XII საუკუნემდეც არ ჰქონდა დაკარგული დამოუკიდებელი სიტყვის ფუნქცია და პარალელურად

ზმნისაგან ცალკეც იხმარებოდა; ასევე აფხაზურ ***დ-ვნა-ლა-ჲტ > დ-ვნა-ლე-ჲტ** "იგი (ადამ.) სახლში, შენობაში შევიდა" ფორმაში ყველაზე მეტი "სემანტიკური წონა" **ვნა** ფუძე-წინდებულს აქვს, რომელიც უშუალო კავშირშია სახლის აღმნიშვნელ დამოუკიდებელ ***ა-ვნა > ა-ვნ** არსებით სახელთან და ეს სემანტიკა მკაფიოდ იგრძნობა ზმნაშიც, დანარჩენ სეგმენტებს კი დამოუკიდებელი სიტყვიერი სემანტიკა არა აქვთ.

ვვარაუდობთ, რომ სწორედ ზმნური ფორმის შემადგენელ სეგმენტთა "სემანტიკური წონის" სხვაობამ და ტმესის დროს ზმნაში ჩართული სიტყვების დამოუკიდებლად არსებობის ფაქტორებმა გამოიწვიეს ტმესის გაქრობა ქართულში, ხოლო აფხაზურ-აბაზურში – უარყოფის ელემენტის გადანაცვლება რთულფუძიან ზმნათა ანლაუტში. ამ გზით განმტკიცდა სემანტიკური კავშირი რთული აფხაზურ-აბაზური ფუძის შემადგენელ სეგმენტებს შორის, რაც ასე ხელშესახებია დადებით ფორმებში, რომლებშიც უარყოფის ელემენტი ერთიმეორისაგან არ თიშავს ზმნისწინებსა და ზმნის დანარჩენ ნაწილებს.

აფხაზურ-აბაზურ ზმნურ ფორმებში უარყოფის მეორეული აფიქსაციის გაჩენის კიდევ ერთი ფაქტორია ზმნისწინთა დართვის გზით ახალ სიტყვათა წარმოქმნის ტენდენცია, ანუ **პრევერბთა სიტყვათწარმოებითი ფუნქციის მოქმედება**. ზმნისწინის დართვისას ზმნები არცთუ იშვიათად იძენენ ახალ სემანტიკას და ერთი და იმავე ზმნის პრევერბიანი და უპრევერბო ვარიანტები სხვადასხვა მნიშვნელობისაა. შდრ.: ქართ. კეთება და **შე**კეთება, აფხაზ. ა-გვლა-რა "დადგომა" და **აა-ნ**-გვლა-რა "გაჩერება, შეჩერება"... აფხაზურში ასეთ გართულფუძიანებულ ზმნებში უარყოფის **მ** ელემენტი ხშირად გადმოინაცვლებს ხოლმე პრევერბის წინ: მარტივფუძიანი დვ-**მ**-გვლე-ჲტ "იგი (ადამ.) არ დადგა" – დ-**აა-ნ**-გვლე-ჲტ > დ-**მ**-**აა-ნ**-გვლე-ჲტ "იგი (ადამ.) არ გაჩერდა, არ შეჩერდა"...

ამრიგად, იბერიულ-კავკასიურ ენებს ბევრი რამ აერთიანებს უარყოფის გამოხატვის თვალსაზრისით, თუმცა არც სხვაობაა გამორიცხული. უარყოფის გამოხატვის ორივე პრინციპი – რო-

გორც ტმესის ტიპისა, ისე აღწერითი – უდავოდ ძალიან ძველია. შესაბამის მონაცემთა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ **წინარეიბერიულ-კავკასიური ენის წინარექართველურ, წინარეაფხაზურ-ადიღურ და წინარენახურ-დაღესტნურ ენებად დაშლის წინ უარყოფის გამოხატვის ტმესისებური წესი უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული უნდა ჰქონოდათ წინარექართველურ და წინარეაფხაზურ-ადიღურ დიალექტებს, ხოლო წინარენახურ-დაღესტნურ დიალექტში უნდა არსებულიყო როგორც ტმესისებური, ისე აღწერითი წარმოება.**

აფხაზურ-აბაზურ რთულფუძიან ზმნებში უარყოფის მეორეული პრეფიქსაციის შემთხვევები უნდა შეფასდეს, როგორც **ტმესისებური წარმოების მოშლისა და პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბებისაკენ მიმართული ტენდენცია.** ამით აფხაზურ-აბაზური იმეორებს იმ გზას, რაც ამ 9-10 საუკუნის წინათ უკვე გაიარა ქართულმა ენამ და ცდილობს ზმნურ ფორმას შეუნარჩუნოს შემადგენელ სეგმენტთა შორის დადებით ფორმებში არსებული ლოგიკურ-სემანტიკური კავშირი.

§ 4. ზმნისართთა ერთი იშვიათი მოდელი აფხაზურში

აფხაზურ-აბაზურში ზმნისართთა წარმოება რამდენიმე გზითაა შესაძლებელი. მათგან ძირითადია აფიქსური სიტყვათწარმოება, როცა საყრდენ მორფემად გვევლინება არსებით სახელთა, ზედსართავ სახელთა, ნაცვალსახელთა და მასდარის ფუძეები, რომელთაც ერთვის მაზმნისართებელი აფიქსები. ერთერთი ამგვარი მაზმნისართებელი ფორმანტია უქონლობის -და სუფიქს-ნაწილაკი[179]. ეს სუფიქს-ნაწილაკი, ჩვეულებრივ, ემატე-

[179] აბაზურში უფრო გავრცელებულია უქონლობის სუფიქსისა და ყოფნის აღმნიშვნელი ზმნური ძირის შერწყმით მიღებული -დაცა ვარიანტი.

ბა სახელთა და მასდარის დადებით-განუსაზღვრელ, ზოგადობის ~ პრეფიქსჩამოცლილ ფუძეს[180]. მაგალითად:

ა-შაჰგ "ფეხი" > შაჰგ-და "უფეხოდ", ა-ჯაბაა "შრომა, ჯაფა, გარჯა" > ჯაბაა-და "უშრომლად, უჯაფოდ, გაურჯელად"...

დადგენილია, რომ უქონლობის იმავე სუფიქს-ნაწილაკიანი ფორმები უქონლობის სახელებიცაა. შესაბამისად, ზემოთ დასახელებულ შაჰგ-და, ჯაბაა-და ფორმებს აქვთ მნიშვნელობები: "უფეხო", "უჯაფო"[181].

მიიჩნევა, რომ ზმნისართთა -და სუფიქს-ნაწილაკიანი წარმოება ამჟამად არაპროდუქტიულია, რის გამოც მცირეა მისი გამოყენებით ნაწარმოები ზმნისართების რაოდენობა[182]. ძნელია, დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან სათანადო ზმნისართთა რაოდენობა არცთუ ისე ცოტაა.

აფხაზურ ზეპირმეტყველებაშიც და სამწიგნობრო ენაშიც ჩვენ დავადასტურეთ **უქონლობა-უარყოფის ზმნისართთა კიდევ ერთი მოდელი**, რომელიც ნაწარმოებია უარყოფის **მ** აფიქს-ნაწილაკიან ზმნურ ფუძეზე[183], ან უარყოფით მასდარზე უქონლობის -და სუფიქს-ნაწილაკის დართვით. ამგვარი ზმნისართებია:

ა. ზმნურ ფუძეთაგან მომდინარე:

ხგ-მ-ფა-და "აუცილებლად": ხგმფადა უცაროუპ[184] "აუცილებლად უნდა წახვიდე"; შდრ. ა-ხგ-ფა-რა "რამეზე გადახტომა; გა-

---

[180] К.В. Ломтатидзе. Абхазский язык. - ЯН СССР, т. IV. Иберийско-кавказские языки. М., 1967, გვ. 110; თ. გვანცელაძე. აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. I. თბ., 2003, გვ. 44 და 106.

[181] თ. გვანცელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 44 და 106.

[182] В.А. Амичба. Наречие в абхазском языке (По данным абхазско-абазинских диалектов). Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1971, გვ. 13.

[183] ამ სახის რამდენიმე ზმნისართი დადასტურებული აქვს ვ. ამიჭბასაც. იხ.: ვ. ამიჭბა. ზმნისართი აფხაზურში (აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა მონაცემების მიხედვით). სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1971, 195.

[184] ბ. ჯანაშია. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1954, სვ. 434.

დაცილება", დ-ა-ხგ-მ-ფე-ოტ "იგი რაღაცას არ გადაახტა; არ გადასცილდა;"

კომპოზიტი მ-ფა-და-მ-ჟგ-და "უსმელ-უჭმელად": მფადა-მჟგდა დგყან "უსმელ-უჭმელად იყო". შდრ. ა-ფა-რა "ჭამა", ა-ჟ-რა "სმა, დალევა", ი-მ-ფე-ოტ "არ შეჭამა", ი-მ-ჟ-იტ "არ დალია, არ შესვა"... საყურადღებოა, რომ აფხაზურში ამ ზმნისართის პარალელურად იხმარება იმავე ფუძეთა დადებითი ფორმებისაგან მომდინარე უქონლობის კომპოზიტური ზმნისართი ფა-და-ჟგ-და, რომელსაც იგივე სემანტიკა აქვს;

ბ. მასდარის სრული ფორმისაგან ნაწარმოები:

მ-ეღ-უა-რა-და "უტყუარად, ნამდვილად, ჭეშმარიტად"[185]: მეღუარადა ოუასჰოოტ "უტყუარად გეუბნები". შდრ. აღ-უა-რა "მოტყუება; ვერაგობა", დ-ი-ეღ-მ-უეღ-ოტ // > დ-ი-მ-ეღ-უეღ-ოტ "მან იგი არ მოატყუა";

მ-ეღ-გძა-რგ-და "დაუზოგავად, დაუნანებლად"[186]; ხა-მ-ეღ-გძა-რა-და // > ხა-მ-ეღ-გძა-რგ-და[187] "თავდაუზოგავად; უანგაროდ; ერთგულად": მეღგძარგდა დიპყეოტ "დაუზოგავად სცემა", აუს ხამეღგძარგდა იუან "საქმეს თავდაუზოგავად აკეთებდა". შდრ. აღ-გძა-რა "დაზოგვა, დანანება", ი-მ-ეღ-გძე-ოტ "არ დაზოგა, არ დაინანა". დასტურდება იმავე მასდარის დადებითი ფორმისაგან ნაწარმოები ხ-ეღ-გძა-რა-და ვარიანტიც: ხეღგძარადა აუს რუან[188] "თავდაუზოგავად შრომობდნენ";

ნე-ღ-ჟგ-მ-ს-რა-და // > ნე-ღ-ჟგ-მ-ს-რგ-და "უგამონაკლისოდ; უცილობლად"[189]: ზეგგ ნეღჟგმსრადა იცეოტ "ყველანი უგამონაკ-

---

185 Русско-абхазский словарь. Под редакцией Х.С. Бгажба. Сухуми, 1964, გვ. 185.

186 Русско-абхазский словарь, გვ. 607.

187 იქვე, გვ. 39.

188 Н. Тар-ҧха. Бзыҧтәи аповест. Аҟуа, 1961, გვ. 155.

189 Б. Шьынқуба. Ацынцәарах. Аҟуа, გვ. 22; Русско-абхазский словарь, გვ. 36.

ლისოდ წავიდნენ". შდრ. აღ-ვ-ს-რა "ურთანეთისთვის გვერდის აცლა", (ღ-)ეღ-ყვ-მ-ს-იტ "ერთმანეთს გვერდი არ აუარეს";

მჭ-ც-ცა-კ-რჭ-და "აუჩქარებლად"[190]: ათაჰმადა მჭცცაკრჭდა დცონ "ბერიკაცი აუჩქარებლად მიდიოდა". შდრ. ა-ც-ცა-კ-რა "აჩქარება; სიჩქარე", დ-მჭ-ც-ცა-კ-უე-ჲტ "იგი არ ჩქარობს";

ფხა-მ-შა-რჭ-და "უსირცხვილოდ, ურცხვად; თაყისუფლად, მოურიდებლად"[191]: უ ამც ფხამშარჭდა იჰოჲტ "იგი ტყუილს ურცხვად ამბობს". შდრ.: ა-ფხა-შა-რა "დარცხვენა, დამორცხვება; სირცხვილი", დჭ-ფხა-მ-შო-ჲტ "მას არ რცხვენია"; ა-ფხა-მ-შა "ურცხვი, უსირცხვილო". ფხა-მ-შა-რჭ-და ფორმის პარალელურად იმავე მნიშვნელობით გამოიყენება დაღებითი მასდარისაგან ნაწარმოები ფხა-შა-რა-და "უსირცხვილოდ, ურცხვად; უსირცხვილო, ურცხვი" ვარიანტიც;

ფჭ-მ-კ-რჭ-და "დაუყოვნებლივ"[192]: ფჭმკრჭდა სცაროუპ "დაუყოვნებლივ უნდა წავიდე". შდრ.: ფჭ-კ-რა ზმამ[193] "დაუყოვნებელი, გადაუდებელი" (ზედმიწ.: "რასაც დაყოვნება არა აქვს");

გ-ა-ქჭ-მ-კ-რა-და "უსურვილოდ, იძულებით, გულდაუდებლად" (ზედმიწ.: "გულ-ზედ-დაუჭერლად"): აწაჟჭ აშყჭ გაქჭმკრადა დაფხონ "მოსწავლე წიგნს გულდაუდებლად კითხულობდა". შდრ.: ა-გჭ "გული", ა-ქჭ-კ-რა "რამეზე რისამე დაჭერა", ღ-ა-ქ-ი-მ-კ-იტ "მან ის ზედ არ დაიჭირა"...

შეიძლება ითქვას, რომ ამ ფორმებში საქმე გვაქვს უარყოფა-უქონლობის კონფიქსურ (ცირკუმფიქსურ) წარმოებასთან: უარყოფის მ აფიქს-ნაწილაკი და უქონლობის სუფიქს-ნაწილაკი -და ერთობლივად, ხაზგასმით აღნიშნავენ უარყოფის სემანტიკას და ავსებენ ერთმანეთს.

---

[190] Русско-абхазский словарь, გვ. 435.
[191] იქვე, გვ. 513.
[192] იქვე, გვ. 352-353.
[193] იქვე, გვ. 353.

საყურადღებოა ისიც, რომ აქ მოყვანილი უკლებლივ ყველა უარყოფითი ზმნისართი აქტიურ და აუცილებელ ლექსიკას განეკუთვნება და ძალზე ხშირად იხმარება. ვფიქრობთ, ეს უნდა გამორიცხავდეს მათ ქრონოლოგიურ ინოვაციურობას[194].

მ- და -და აფიქს-ნაწილაკებით ნაწარმოები ზმნისართების ერთი ნაწილისაგან, თავის მხრივ, მიღებულია შესაბამისი სემანტიკის მქონე ინფინიტური სტატიკური ზმნები, სახელები და მასდარები. მაგალითად:

ინფინიტური სტატიკური ზმნები:

ხამეგბარადოუ[195] "თავდაუზოგავი; განუსჯელი, განუსჯელად მყოფი" (ზედმიწ.: "ვინც თავდაუზოგავია"), შდრ. ზმნისართი **ხამეგბარადა** "თავდაუზოგავი";

იმეჟარადოუ[196] "უტყუარი". არსებობს უარყოფის მ აფიქს-ნაწილაკის გარეშე წარმოდგენილი იმავე სემანტიკის მქონე ნაზმნისართალი **ეჟარადოუ** ფორმაც[197];

აქ დასახელებულ ფორმებში თავკიდურა **ი-** ინფინიტური წარმოებისათვის დამახასიათებელი **ვინც, რაც** ნაცვალსახელთა ფუნქციის შემსრულებელი სამიმართებო ნაცვალსახელოვანი პრეფიქსია, ხოლო ბოლოკიდურა **-უ** არის **აჲ > აუ** მე-შველი ზმნის ძირეული თანხმოვანი[198].

სახელები:

ნეჳჳმსრჳდატ' // ნეჳჳმსჳდატ'[199] "აუცილებელი". შდრ. ზმნისართი **ნეჳჳმსრადა // ნეჳჳმსრჳდა** "აუცილებლად";

---

[194] ჩვენს ადრეულ ნაშრომში პირიქით ვეარაუდობდით. იხ.: თ. გვანცელაძე. ზმნის უარყოფით ფორმათაგან ნაწარმოები უქონლობის ზმნისართები აფხაზურში. – ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან. თბ., 1980, გვ. 130.

[195] Русско-абхазский словарь, გვ. 41.

[196] იქვე, გვ. 76.

[197] იქვე, გვ. 186.

[198] ქ. ლომსიათიძე. ფინიტობის -ჰ სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში. – თსუ შრომები, ტ. 6-7 (№ 151-152). თბ., 1974, გვ. 133.

[199] Русско-абхазский словарь, გვ. 377.

ფემკრჳდატ° "დაუყოვნებელი". შდრ. ზმნისართი **ფემკრჳდა** "დაუყოვნებლივ".

ამ სახელებში წარმოდგენილი **-ტ°** სუფიქსი **ატ°გ** "საკუთრება; ტყვე; მონა" სახელის ძირია და აფხაზურში აწარმოებს დანიშნულების სახელებს.

მასდარები:

ამფადარა[200] "უჭმელობა". შდრ. **აფარა** "ჭამა";

ამცადარა "უძილობა": **ზეჳგ** რგმცადარა რხაშთიტ[201] "ყველას დააკლდა თავისი უძილობა". შდრ. **აცარა** "დაძინება; ძილი".

ამ გზით წარმოქმნილი ახალი ყცირმებიდან ნაზმნისართალი ინფინიტური სტატიკური ზმნები, ჩვეულებრივ, ასრულებენ ზედსართავ სახელთა ფუნქციას.

უარყოფის **მ-** ელემენტისა და **-და** სუფიქსის დართვის გზით მიღებულ ზმნისართთა რაოდენობა, როგორც აღინიშნა, დიდი არ არის, მათზე უფრო გავრცელებულია ის მოდელი, რომელიც გულისხმობს ზმნის დადებით ფუძეზე, ან დადებით მასდარზე უქონლობის **-და** სუფიქს-ნაწილაკის დართვას. ზმნისართთა უფრო იშვიათ მოდელში ზმნური უარყოფის სემანტიკა დაჩრდილულია, ხოლო უქონლობისა – უფრო გამოკვეთილი. მათში ამ მხრივ თითქოს ისეთივე ვითარებაა, როგორიც ქართულში, კერძოდ, "ვეფხისტყაოსნის" ენაში იყო, სადაც წარმოდგენილია უარყოფითი ზედსართავი სახელი და მიმღეობა, რომლებიც მიღებულია უქონლობის აფიქსებიან ფუძეზე უარყოფის ნაწილაკის დართვის გზით. ასეთი ფორმებია:

არ-უ-ხშირ-ო:

მას თეორსა ყელსა ეხვიენეს გრძლად თმანი **არ-უხშირონი**[202];

ამ შემთხვევაში წინადადების შინაარსი ასეთია: მას (თინათინს) ყელზე ეხვია თმები, რომლებიც **უხშირო არ ყოფილა**, ე.ი. **მეჩხერი არ იყო**, ანუ თინათინს **ხშირი თმები ეხვია ყელზე**.

---

[200] ბ. ჯანაშია. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი... სვ. 200.

[201] Д. Гулиа. Илкаау. Аҟуа, 1973, გვ. 204. საინტერესოა, რომ **ამცადარა** ზმნისართის პარალელურად ვერ დავადასტურეთ **აცადარა** ვარიანტი.

[202] შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1951, სტრ. 123,4.

არ-შე-უ-ზრახ-ე (ხელნაწერებში არის პარალელური **არ-მე-უ-ზრახ-ე**):

პკადრე: ვინ გაქოს ყოველმან პირმან **არ-შეუზრახემან**?[203]

წინადადების აზრი ასეთია: შენ მას უთხარი, **ზრახვის (მეტყველების) უნარის მქონე ყოველი პირი** შეგაქებს-თქო, ანუ **ვის პირსაც უზრახველობა (უმეტყველობა) არ ახასიათებს,** ყველა შეგაქებს-თქო.

არ-უ-ი-ც-არ-ი:

ჰშვენის მღერა და სიცილი, მათ, მისთა **არ-უიცართა**[204].

წინადადების სემანტიკა შემდეგს გულისხმობს: სიმღერა და სიცილი შვენოდა მათ, **ვინც სიმღერისა და სიცილის უცოდინარი არ იყო,** ანუ მათ სიმღერა და სიცილი **კარგად (ლამაზად) იცოდნენ.**

მაგრამ ქართულსა და აფხაზურ მოდელებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ ენებში **საჯარდენ ფუძედ გამოყენებულია სხვადასხვა ერთეულები**:

ქართულში ზედსართაული სახელი და მიმღეობა **წარმოდგენილნი არიან უქონლობის ფორმით** და მას ერთვის უარყოფის ნაწილაკი, ხოლო აფხაზურში ზმნის ფუძე და მასდარი **წარმოდგენილია უარყოფის ფორმით** და მას ერთვის უქონლობის სუფიქსი;

მეორე, **ქართულში** უარყოფისა და უქონლობის ელემენტთა დაროება **სიტყვას დადებით სემანტიკას აძლევს,** აფხაზურში კი, პირიქით, მათი გამოყენებით **ძლიერდება უქონლობის სემანტიკა.**

შენიშვნა: "ვეფხისტყაოსნის" გარდა სხვა ტექსტებში მსგავსი ფორმები თითქოს არ ჩანს. ხომ არ იყო ეს ფორმები პირადად შოთა რუსთაველის მიერ შექმნილი ოკაზიური წარმოებები, რომლებსაც პოეტი რითმისა და რიტმის შესანარჩუნებლად იყენებდა? თუმცა ასეც რომ იყოს, დასახელებული ფორმები მაინც არ ტოვებს ხელოვნურ წარმოებათა შთაბეჭდილებას.

---

[203] იქვე, სტრ. 738,1.
[204] იქვე, სტრ. 1448,3.

ქართულის მსგავსი ვითარებაა რუსულ ენაშიც, სადაც უარყოფის **не** და უქონლობის **без** ნაწილაკების ერთდროული ხმარებისას **ნეიტრალდება უარყოფა-უქონლობის სემანტიკა და შესიტყვებას დადებითი მნიშვნელობა უძლიერდება:**

შდრ.:

რუს. **щадить** "დაზოგვა, დანანება", **без пощады** "დაუზოგავად, დაუნანებლად", **не без пощады** "დაზოგვით"...;

აფხაზ. **ақгдара** "დაზოგვა, დანანება", **ақгдара-да** "დაუზოგავად, დაუნანებლად", **м-ақгдарц-да** "დაუზოგავად"...

"ვეფხისტყაოსნის" დ. გულიასეულ (1941 წ.) და მ. ლასურიასეულ (1978 წ.) აფხაზურ თარგმანებში ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში შესაბამისი ფორმების დადებითი შინაარსი ძირითადად სწორადაა გადმოცემული.

დ. გულიასეული თარგმანი:

ლეხცე შქ'ერე ლეხ'და წყაშარა даҳ'надлаҷаз даргуқдаҷан[205] "მისი მოქნილი ნაწნავი მის ქათქათა ყელს რომ ეხვეოდა, ამშვენებდა";

ҷе ус сеზдаҳ: аҷаақ'ғсаа аҷа-ҳаа зҳ'оҷ ҷа ҷеқерҳ'ҳҷалаақ'...[206] "შენ მას ჩემთვის უთხარი: დაე, შენ გაქონ ხოლმე ტკბილმოუბარმა (ზედმიწ.: ვისაც ტკბილი სიტყვა აქვს პირში) ადამიანებმა";

...иқ'урл'он, иҳ'ҳон, урт аҷа рҳ'он, даҳ'ҷаҳамқ'ап урт абри еҷқ'ҷқ'ҷа[207]. ამ შემთხვევაში მთარგმნელს სწორად ვერ გაუგია ფორმა **არ-უიცარი** "ვინც იცის" და თარგმანში დედნის საპირისპირო შინაარსი მიუღია: "ისინი ხარობდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ, **ისინი არ იყვნენ ამისთანების ოსტატები**".

მ. ლასურიასეული თარგმანი:

---

[205] შოთა რუსთაველი. აბჟას-ცაა ზშ'ე. აҳ'ртҳаа'қ' ҿтеҿгеҿтқ' დ. გულია. აყუა, 1941, გვ. 28.

[206] იქვე, გვ. 154.

[207] იქვე, გვ. 296.

ლეხცე ეჭაწა ლეხდა წყაშაა დადგნ, დარგეკუან ლცა[208] "მის ქათქათა ყელს შავი ნაწნავი ერტყა და ამშვენებდა მის კანს";

ისზეთაჰა: აჰეინთქარ დუ, ისაჰ, დეზუსთა უზმერჩხო?![209] "შენ მას ჩემთვის უთხარი: დიდო ხელმწიფეე, მითხარი, ვინ არის, ვინც არ შეგაქოს?!" როგორც ვხედავთ, მთარგმნელმა აქ **არ-შეუზრახე** ფორმის შესატყვისი გამოტოვა.

რაშაა, რენჩა, რგეერლა ხალონ, ეშა-ეშა ეხზეკხო[210] "მათი სიმღერა, სიცილი და სიხარული მაღლა ადიოდა, უფრო და უფრო მშვენიერდებოდა". ამ შემთხვევაშიც მთარგმნელმა გამოტოვა ის პასაჟი, რომ პერსონაჟებს სიმღერა კარგად ეხერხებოდათ.

დედნის ტექსტიდან გადახვევა, რაც პოემის ორივე აფხაზურ თარგმანში შეინიშნება, ბუნებრივია, ვინაიდან პოეტური ნაწარმოების, მით უმეტეს, "ვეფხისტყაოსნის" თარგმანში აბსოლუტური სიზუსტის დაცვა შეუძლებელია. ჩვენთვის აქ არსებითი ის არის, რომ უარყოფის ნაწილაკითა და უქონლობის აფიქსებით ნაწარმოები ქართული ფორმების დადებითი სემანტიკა აფხაზურში ძირითადად სწორადაა გადმოცემული და ქართული **არ-უხშირო, არ-შეუზრახე** და **არ-უიცარი** ფორმები არ შეესატყვისება აფხაზურში გამოვლენილ სპეციფიკურ ზმნისართებს, რომლებიც ნაწარმოებია ზმნისა და მასდარის უარყოფით ფუძეზე უქონლობის სუფიქსის დართვით.

ამრიგად, საკითხის ანალიზი უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ:

აფხაზურ ენაში ზმნისართთა წარმოების მოდელებში გამოიყოფა უარყოფით ზმნისართთა მეტად იშვიათი მოდელი, რომელიც გულისხმობს ზმნის, ან მასდარის უარყოფით ფუძეზე უქონლობის სუფიქსის დართვას. ასეთი ზმნისართები, მათი რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად, აქტიურ ლექსიკას განეკუთვნება და სიძველის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა აბაზურ ენაში ამ მოდელის სრული უქონლობა გამორიცხავს

---

208 Шьота Руставели. Абжьас-цәа зшәу. Еитеигеит М. Лашәриа. Аҟуа, 1978, გვ. 34.
209 იქვე, გვ. 149.
210 იქვე, გვ. 278.

მათი ჩამოყალიბების დროდ XVI საუკუნის წინა პერიოდის, ანუ აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის ხანის დაშვებას. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ **ეს იშვიათი მოდელი ამოქმედდა XVI საუკუნის შემდგომ, მაგრამ მისი მოქმედება მალევე შეწყდა:** ენამ ამჯობინა უარყოფით ზმნისართთა წარმოება **უფრო მარტივი გზით,** ზმნისა და მასდარის დადებით ფუძეზე უქონლობის -და სუფიქსის დართვით, რაც **აბაზურ ენაშიც დასტურდება და ამით მტკიცდება ამ უკანასკნელი მოდელის არსებობა ჯერ კიდევ აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის პერიოდში, XVI საუკუნემდე.**

§ 5. აფხაზური ენის სინტაქსური კონსტრუქციების სახელდების საკითხისათვის (საკითხის დასმის წესით)

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში გამოყოფენ სინტაქსურ კონსტრუქციათა რამდენიმე სახეობას: ნომინატიურს, ერგატიულს, დატიურს, ინსტრუმენტალისიანს, გენიტიურს, ლოკატიურსა და ინდეფინიტურს.

მათგან ძირითად კონსტრუქციებად მიიჩნევა ნომინატიური, ერგატიული და დატიური. დადგენილია, რომ ამ კონსტრუქციათაგან ლოკატიურსა და დატიურს მხოლოდ გარდაუვალი ზმნა ქმნის, ერგატიულ კონსტრუქციას – მხოლოდ გარდამავალი ზმნა, ხოლო დანარჩენ 4 კონსტუქციას შეიძლება ქმნიდეს როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნა.

დასახელებულ კონსტრუქციათაგან იბერიულ-კავკასიურ ენათათვის სპეციფიკურად ერგატიული კონსტრუქცია ითვლება.

ყველა დასახელებული კონსტრუქცია აუცილებლად გულისხმობს შესაბამის ენებში ბრუნების კატეგორიის არსებობას, ვინაიდან კონსტრუქციის მთავარ წევრებად უნდა გამოდიოდეს არა მარტო გარდამავალი, ან გარდაუვალი ზმნა, არამედ სახელობით, ერგატიულ, მიცემით, ნათესაობით, ან ლოკატიურ ბრუნვაში მდგარი სახელი, რომელიც სუბიექტი ან ობიექტია.

მაგრამ ამ ენათა ოჯახში არის რამდენიმე ენა, რომელთაც ბრუნების კატეგორია ჩანასახის დონეზე აქვთ, ან საერთოდ არ

მოეპოვებათ. ამ ენებში კონსტრუქციების არსებობის მტკიცება დამატებით არგუმენტებს მოითხოვს. და მართლაც, აფხაზურსა და აბაზურ ენებში სინტაქსურ კონსტრუქციათა არსებობის ფაქტის დასადგენად საჭირო გახდა სპეციალისტთა ნაშრომების მთელი სერიის (მათ შორის აკად. ქეთევან ლომთათიძის კლასიკურ ნაშრომთა და ირინე გეწაძის მონოგრაფიის) შექმნა.

დადგინდა, რომ მიუხედავად აფხაზურსა და აბაზურში სინტაქსურ კონსტრუქციათა გამოსახატად საჭირო ბრუნვების უქონლობისა, ორივე ენამ გამოძებნა მორფოლოგიური საშუალებანი ორი ძირითადი სინტაქსური კონსტრუქციის – ნომინატიურისა და ერგატიულის ფუნქციების გადმოცემისათვის, მაგრამ ეს საშუალებანი **სახელებში კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ზმნურ ფორმაშია განლაგებული**. ესაა სუბიექტისა და ობიექტების კლასისა და პირის აღმნიშვნელი პრეფიქსები:

დ-ს რიგის პრეფიქსები მუდამ ზმნური ფორმის აბსოლუტურ დასაწყისში დგანან, **ლ**-ს რიგის პრეფიქსები კი – ზმნური ფორმის დასაწყისიდან მეორე, მესამე ან მეოთხე ადგილებზე.

მეტიც, ამ პრეფიქსთაგან პირველნი ასრულებენ გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტისა და გარდაუვალ ზმნათა ირიბი ობიექტის მარკირების ფუნქციას, ხოლო მეორენი ზმნაში გამოხატავენ გარდამავალი ზმნის სუბიექტისა და ირიბი ობიექტის, აგრეთვე გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და ირიბი ობიექტის გამოხატვის ფუნქციას.

თუ ჩავუკვირდებით აფხაზურ-აბაზური ზმნის აღნიშნულ თავისებურებას, შევნიშნავთ, რომ აქ ერთი და იმავე ნიშნებით სისტემატურად გადმოიცემა მხოლობითი რიცხვის მეორე პირში მდგომი სუბიექტიც და იმავე პირში მდგომი ობიექტიც (როგორც პირდაპირი, ისე ირიბი), სხვა პირებშიც ძირითადად ასევე ერთი და იმავე ნიშნებით ხდება სუბიექტისა და ობიექტთა მარკირება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზმნის ძირი იწყება მეღერი თანხმოვნებით, რაც იწვევს პირისა და კლასის ნიშანთა მორფონოლოგიურ ცვლას. ეს უკანასკნელი მორფონოლოგიური ცვლილებანი გაცილებით უფრო იშვიათია და იძლევიან იმის თქმის უფლებას, რომ **აფხაზურ-აბაზურ ზმნაში გარდამავლობა-გარდაუვალობის გარჩევა მორფონოლოგიური**

საშუალებებით გამონაკლისი უფროა, ვიდრე ორდინარული წესი და ამითაც დასტურდება აკად. არნოლდ ჩიქობავას მიერ გამოთქმული იმ დასკვნის სისწორე, რომლის მიხედვითაც იბერიულ-კავკასიურ ენებში თავდაპირველად არ იყო დიფერენცირებული ნომინატივი და ერგატივი[211].

ამასთანავე სრულიად **აშკარაა ისიც, რომ მორფონოლოგიური ცვლილებანი რელატიური სიახლეა და ჩამოყალიბული ჩანს მას შემდეგ, რაც აფხაზურ-აბაზურმა ზმნამ კლასოვანი უღვლილებისაგან ჩამოაყალიბა კლასოვან-პიროვანი უღვლილება.** მაგრამ ეს დასკვნა მაინც არ გამორიცხავს იმ დებულებას, რომ აფხაზურ-აბაზურში თუნდაც გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც ხდება სხვა ენათა სინტაქსური კონსტრუქციების, კერძოდ, ნომინატიურისა და ერგატიულის **ფუნქციათა აღნიშვნა.** ამ მოსაზრების სასარგებლო სერიოზულ არგუმენტად გვეელინება არნ. ჩიქობავას შემდეგი მსჯელობა:

"...ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში გარდამავალი ზმნის პრობლემაა.

ამიტომაა, რომ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა დაისმის აფხაზურ ენაშიც, სადაც სახელის ბრუნებაში ერგატივი (ისევე, როგორც მიცემითი, ნათესაობითი) არ მოგვეპოვება, მაგრამ გარდამავალი ზმნის უღვლილების პროცესში პირის ფორმანტების თავისებური გამოყენებით გვანიშნებს, რა სახელსაც ეკუთვნის ერგატივის როლი (და რას – სახელობითისა): ზმნის მორფოლოგიაშია გადატანილი საკითხი, რამაც შემდეგ თავისებური ბრუნვისა თუ ბრუნვათა თავისებურ გამოყენებაში იჩინა თავი იმ იბერიულ-კავკასიურ ენებში, სადაც ეს ბრუნვები ჩამოყალიბდა.

თუ ერგატივი არა გვაქვს, ერგატიული კონსტრუქცია როგორღა გვექნებაო, აკი რეალური სუბიექტიცა და რეალური ობიექტიც გაუფორმებელიაო. ასეთი მსჯელობა აზრიანი იმ

---

[211] არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1979, გვ. 142.

შემთხვევაში იქნებოდა, თუ ერგატიულ კონსტრუქციას სახელთა ბრუნების წიაღში გაჩენილად მივიჩნევდით, თუ ერგატიული კონსტრუქციის სათავეს ბრუნებაში ვივარაუდებდით. ნამდვილად კი გული (ბირთვი) ერგატიული კონსტრუქციისა იყო და არის გარდამავალი ზმნა მაშინაც, როცა ერგატივი გვაქვს და მაშინაც, როცა ბრუნვათა სისტემა არ მოგვეპოვება (არ განვითარებულა). ბრუნების თავისებურება შეიძლება გქონდეს და შეიძლება – არა. ესაა ერგატიული კონსტრუქციის გარეგანი ატრიბუტები, გარდამავალი ზმნის თავისებურება ქმნის ერგატიული კონსტრუქციის არსს: ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის ამოხსნაც ამ თავისებურების ჩვენებას გულისხმობს"[212].

ჩვენ ვიზიარებთ ამ დამაჯერებელ დებულებას, მაგრამ რაკი **სინტაქსური კონსტრუქციის ატრიბუტიკაში გარკვეულ ბრუნვაში მდგომი სუბიექტი და ობიექტ(ებ)იც აუცილებლობით იგულისხმება,** მაინც რჩება ლოგიკური შეუსაბამობა აფხაზურ-აბაზურ რეალობასა და ამ რეალობის აღმნიშვნელ ტერმონოლოგიურ შესიტყვებებს ("ნომინატიური კონსტრუქცია" და "ერგატიული კონსტრუქცია") შორის, რაც მოითხოვს უფრო ადეკვატური სახელწოდების შერჩევას ამ ენების სინტაქსურ ერთეულთა აღსანიშნავად, რომლებსაც ბრუნების კატეგორია არა აქვთ.

მიგვაჩნია, რომ აფხაზური და აბაზური სინტაქსური სპეციფიკისათვის უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ დავნერგავდით ახალ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს: **"გარდამავალი ზმნის შემცველი კონსტრუქცია"** და **"გარდაუვალი ზმნის შემცველი კონსტრუქცია"**. მათგან პირველი შეეფარდებოდა ტერმინოლოგიურ შესიტყვებას: "ერგატიული კონსტრუქცია", მეორე კი აღნიშნავდა იმას, რასაც სხვა, მონათესავე ენებზე მსჯელობისას "ნომინატიურ კონსტრუქციას" უწოდებენ. ამგვარი ტერმინოლოგიური ცვლილება გამომდინარეობს, ერთი მხრივ, აფხაზური და აბაზური ენების სპეციფიკიდან, მეორე მხრივ კი – არნ. ჩიქობავას ზემოთ ციტირებული არგუმენტაციიდან.

---

[212] იქვე, გვ. 199.

თავი IV

ლექსიკის სტრუქტურა (მორფოლოგიური მოდელები), სემანტიკა და ეტიმოლოგია

§ 1. აფხაზური გვარსახელების სტრუქტურულ მოდელთა ისტორიისათვის

აფხაზური წარმოშობის გვარსახელების სტრუქტურა და ეტიმოლოგია ჯერჯერობით მონოგრაფიულად არ გამოკვლეულა. ეს საკითხები სხვა ლინგვისტური თუ ეთნოლოგიური საკითხების კონტექსტში გაკვრით აქვთ მიმოხილული როგორც აფხაზ, ისე ქართველ ლინგვისტებს (ნ. მარს, ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძეს, გ. როგავას, ხ. ბღაჟბას, გ. შაკირბაისა და მრავალ სხვას). ამჯერად ჩვენ გავაანალიზებთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ და როდის უნდა ჩამოყალიბებულიყო საკუთრივ აფხაზური გვარსახელების სტრუქტურული მოდელები. აქვე განვმარტავთ, რომ **აფხაზურ გვარსახელებად მიგვაჩნია არა მარტო ის სახელები, რომელთა ძირიცა და აფიქსებიც უეჭველად საკუთრივ აფხაზური წარმოშობისაა** (მაგალითად, გვარსახელი **ა-ძნ-ბა** "აძინბა", რომელშიც **ა-** სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელია, **ძნ** "ზამთრის" აღმნიშვნელი სიტყვის ძირი, ხოლო **-ბა** გვარსახელთა მაწარმოებელი სუფიქსი. მთლიანად გვარი ითარგმნება, როგორც "ზამთარიძე"...), **არამედ ის ქართველური თუ ჩერქეზული (იშვიათად – თურქული) წარმოშობის გვარსახელები, რომლებიც მორფოლოგიურადაა ადაპტირებული აფხაზურ ნიადაგზე,** ე.ი. დართული აქვთ აფხაზური სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები (მაგალითად, ქართველური **მარუ-შ-იან-ი // მარუ-შ-ის-ძე > მარშან-ია** > აფხაზ. **ა-მარშან...**; თურქული **ომერქეჩ ოღლუ** > აფხაზ. **ომერქეჩ-იფა...**). სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ არ განვიხილავთ იმ ქართველურ, ადიღურ (ჩერქეზულ) თუ თურქულ გვარსახელებს, რომლებიც აფხაზთა შორის გუხვდება, მაგ-

რამ განუცდიათ მხოლოდ ფონეტიკური ცვლილებები სესხების კანონზომიერებათა დაცვით (მაგალითად, გვარი **გულია** ქართველურია და მისი აფხაზური ფონეტიკური ვარიანტია **გჳლია**. ამ უკანასკნელს და მის მსგავს გვარსახელებს ჩვენ აფხაზურ გვარსახელებად არ მივიჩნევთ, რაკი მათ აფხაზური მორფოლოგიური ინვენტარი არ დაერთვის).

ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე აფხაზთა შორის გავრცელებულია აფხაზურ (და გააფხაზურებულ) გვარსახელთა შემდეგი სტრუქტურული მოდელები:

1. უაფიქსო, წმინდა ფუძის სახით წარმოდგენილი გვასახელები: **აუხათ, ბაგაფშ** (ზედმიწ.: "წითური ტურა"), **ბარას, ბარაჩ, ბარჩან, ბარცჳც, ბჟეუ // ბჟოუ, გჳბაზ, გჳრუაფშ** (ზედმიწ.: "წითური მეგრელი"), **დბარ, ენქ, თარკჳლ, თრაფშ, ინაფჰა, კაფშ, კაჳჳ // ქაჳჳ, კიუტ, კჩაჩ, სმჳრ, სჳმსჳმ, უანაჭა, ფკინ, ყაიტან, შაყრჳლ, შარმათ, შუჳან** (ჩერქეზულიდან, ნიშნავს მღვდელს), **ჩაბალჳრხა, ჩაბლახ, ჩალმაზ, ჩუაზ, ჩქაბარ, ცარგჳშ, ხაგჳშ // ჰაგჳშ, ხჳრხჳმალ, ჰალბად, ჰაშჳგ, ჰათჳშ //ჰატჳშ** და სხვანი.

ამ მოდელის გვარსახელებიდან **აუხათ** მომდინარეობს მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული მამაკაცის **აუხათ//აუხად** სახელისაგან (შდრ., მაგალითად, ჩეჩნური გვარი **ოვხადოვი**); **გჳბაზ** – მამაკაცის ქართული სახელისაგან; **ხჳრხჳმალ** – ასევე ქართული გვარის **ხორხომელიძის** გააფხაზურებული ვარიანტია (თ. გითოლენდია); **შაყრჳლ** ფორმის ამოსავალი **შეყრილავა // შეყრილოვ** ვარიანტები სოფ. ლიხნში დასტურდება XIX საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ ნათლობის ქართულ წიგნებში:

"64. **შეყრილოვ მურა**, დანი ამისნი: ფუნდუკ, ხარჯიხან"[213], "78. **აჯგერეი შეყრილავას** ასული თირსა. 79. **შეყრილავა** მი-

[213] გ. გასვიანი. აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998, გვ. 156.

სირყვა"[214], "111. **შეყრილოვ** ზაჩა, ცოლი ამისი ხი'შმან, ძენი ამირანი [ამისანი – თ.გ.] აჯგერვაი, ბაღირ, შხანუყვა, იაჯგე..."[215], "5. **შეყრილავა** ხალირ"[216], "53. **შეყრილავა** ქალბოჩი, ძმანი ამისნი: ლაზ, კვაჯი, დაი ამისი კიდიფა"[217], "ჯოღორია **შეყრილავას** ქალი ხიში"[218].

ამ ისტორიული ცნობების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ აფხაზ. **შაყრჳლ** ფორმა ქართველური ვარიანტებისაგან მომდინარეობს (შდრ. აგრეთვე ქართ. **შეყრილაძე** //**შეყილაძე**).

2. ზოგადობის აფხაზური **ა-** პრეფიქსის შემცველი "უსუფიქსო" გვარსახელები. ამ მოდელს ძირითადად განეკუთვნება ქართველური წარმოშობის ის გვარსახელები, რომლებიც თავდაპირველად დაირთავდნენ ქართველურივე წარმოშობის მაგვარსახელებელ **-ია** სუფიქსს, მაგრამ ამ გვართა მატარებლების ნაწილის გააფხაზების შემდეგ ჩამოსცილდათ ეს სუფიქსი და დაირთეს აფხაზურ არსებით სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა-** თავსართი: აფხაზ. **ა-ბლჳსკჳრ** < ქართვ. **ბულეისკირი** // **ბულისკირ-ია**; აფხაზ. **ა-მარშან** < ქართვ. **მარშან-ია** < **მარუშ-იან-ი** (შდრ. **მარუ-შ-ის-ძე**); აფხაზ. **ა-მფარ** < ქართვ. **მეფორ-ია**; აფხაზ. **ა-ნჭაბ** //**ა-მჭაბ** < ქართვ. **მექვაბ-ია** //**მიქვაბ-ია** < **მექვაბე-ა** (შდრ. **მექვაბიშვილი**); აფხაზ. **ა-ჯჳნჯოლ** < ქართვ. **ჯინჯოლ-ია**; აფხაზ. **ა-ყვარდან** < ქართვ. **ვარდან-ია...**;

3. **-იფა** "მისი (მამაკაცის) ძე" სუფიქსოიდით გაფორმებული გვარსახელები: **დადალ-იფა** "დადალიძე" **დემერჯ-იფა** თურქ-აფხაზ. "მჭედლიძე" (შდრ. **დემერჯ-ოღლჳ**), **ინალ-იფა** "ინალიძე" (შდრ. **ინალიშვილი**), **კახირ-იფა** "კეხირიძე", **ლად-იფა** "ლადიძე", **ნარ-იფა** "ნარიძე", **ომერეკ'ეჩ-იფა** ‖ **ომერქ'ეჩ-იფა** "ომერქეჩიძე" (შდრ. **ომერექეჩ-ოღლჳ**), **პატე-იფა** "პაატაძე", **სამაჭ-იფა**

---

[214] იქვე, გვ. 157.
[215] იქვე, გვ. 159.
[216] იქვე, გვ. 174.
[217] იქვე, გვ. 176.
[218] იქვე, გვ. 178.

“სამაქვიძე”, ჭეჟ-იფა ”ქიქვიძე”, შაქარ-იფა “შაქარიძე”, შათ-იფა “შათიძე”, ჩაქმაჩ-იფა “მეჩექმიძე” (შდრ. თურქ. ჩაქმაჩ-ოღლე), ძაფშ-იფა ”ძაფშიძე”.

4. -ბა სუფიქსიანი გვარსახელები, რომელთა ერთ ნაწილს ზოგადი ფორმის ა- თავსართიც აქვს დართული: (ა-)ბალ-ბა, ა-ბგარ-ბა, ა-ბგხ-ბა “კლდეიძე”, ა-ბეჯ-ბა, აგრ-ბა “მეგრელიძე”, აკა-ბა, აკშ-ბა, ალშგმ-ბა // ალშგნ-ბა, ამა-ბა, ამ(ე)ჭ-ბა, ანშ-ბა, აიმგრხ-ბა // ემრგხ-ბა, აპ-ბა, (ა-)ჟი-ბა “მჭედლიძე”, (ა-)ჟიან-ბა “ჟვანიძე, ივანიძე” (ქართული ჟვანია-საგან), არყეჭ-ბა, არშ-ბა “არეშიძე?”, არჭნ-ბა “ვერცხლიძე”, ასლან-ბა “ასლანიძე” (შდრ. ასლანბია), (ა-)ქავ-ბა, ა-შეს-ბა, ა-შიან-ბა “სვანიძე”, ა-შ-ბა “წიფელიძე? ყველიძე? კარიძე?”, აჩ-ბა “ანჩაბაძე”, ა-ცან-ბა, ა-ხ-ბა “თავიძე”, ახსალ-ბა, ა-ჯხ-ბა “მუხაძე”, (ა-)ჰაშ-ბა “პანტაძე”, აჰ-ბა, აჳბ-ბა, ბაზ-ბა, ბალ-ბა “ბაღიძე, ბაღიშვილი”, ბალდათ-ბა “ბალდათიძე”, ბარც-ბა, ბგან-ბა, ბლაბ-ბა, ბღაჟ-ბა, ბჟო-ბა, გაჟ-ბა, გეშ-ბა // გეწნ-ბა, გეც-ბა, დელ-ბა, ეშ-ბა “კვერნაძე”, ვოზ-ბა, ვოუ-ბა, ზეთ-ბა “ზეთიძე”, ზიუ-ბა, ზეხ-ბა “ჯიქიძე, ზიხიძე”, თარ-ბა, თხაზ-ბა, თურქ-ბა “თურქიძე (ქართული თირქია-საგან), თეჟ-ბა, ინაფშ-ბა, იუნუს-ბა “იუნუსიძე”, იუან-ბა (ქართული ივანიძე-საგან), კაკო-ბა “კაკოძე”, კარ-ბა, კოკო-ბა “კოკოძე”, კაბ-ბა, კაპალ-ბა, კეჟ-ბა, კურქ-ბა (ქართული კვირიკაძე-საგან), კეჭ-ბა, კეჯ-ბა, კახ-ბა “კიახიძე, ადიღელიძე”, კვლ-ბა (ქართული კილაძე-საგან – ქ. ლომოათიძე), კვჩ-ბა, ლაზ-ბა “ლაზიძე” (ლაზ აფხაზთა შორის გავრცელებული მამაკაცის სახელიცაა. შდრ. ზემოთ ნახსენები ლაზ შეყრილავა), ლაკა-ბა //ლაკო-ბა, ლაკრ-ბა, ლაცეშ-ბა “რუხთვალიძე”, ლეშ-ბა, ლეხ-ბა, მიქან-ბა // მქან-ბა, მუსხაჯ-ბა, მეკ-ბა, მეშ-ბა “დათვიძე”, ნან-ბა, ოთურ-ბა “ოთარიძე”, ორჩეყ-ბა, პალ-ბა, პაპ-ბა “მღვდელიძე”, რაშ-ბა, რაწ-ბა, საბ-ბა “საძიძე, ჯიქიძე”, ტეკ-

ბა "ურჩხულიძე", ტ'ან-ბა "წვენიძე", ქაჰ-ბა, ქარ-ბა, ქაც-ბა, ჰთარ-ბა, ქ'ეც-ბა, ყალღ'-ბა, შენჯ-ბა, შ.ლგმ-ბა, შამ-ბა, შ.ლარ-ბა, ჩამ-ბა, ჩაჩ-ბა // შარვაშიძე, ჩაწ-ბა, ჩ.რგ-ბა (ქართული ჩირ-გაძე-საგან), ჩ.ჩ-ბა, ჩ.ხ-ბა (ქართული ჩუხუა-საგან), ცუზ-ბა, ცკ-ბა, ცკჳ-ბა "კატაძე", ცკმც-ბა, ცოშ-ბა "რუხაძე", ძაფშ-ბა, ძ-ბა "წყალიძე", წგშ-ბა, წ.გ-ბა, წ.ვჯ-ბა, ჭან-ბა "ჭანიძე, ჭანიშვი-ლი" (ჭან მამაკაცის სახელიცაა), ხოკერ-ბა, ხენთ-ბა, ხშ-ბა "თეთრთავაძე", ხ.ტა-ბა "ხუტაძე", ხ.გ-ბა "ოქროძე", ხ.გბ-ბა, ხ.გჳ-ბა, ჯან-ბა, ჯაფშ-ბა, ჯკ.კრ-ბა, ჰაგ-ბა, ჰაჯ-ბა "პაჯიძე", ჰაჯკმ-ბა, ფ.ჲზ-ბა, ფერგზ-ბა.

გვარსახელთა ამ მოდელში ყველაზე მეტი ერთეული შე-დის.

5. -იბა სუფიქსიანი გვარსახელები, რომლებშიც ხმოვნის მომდევნო პოზიციაში -ჲბა ვარიანტი დასტურდება: აბდ-იბა, ადლე-ჲბა, ალთე-ჲბა, აშმე-ჲბა, გადლ-იბა (ქართველური გადე-ლია // გადილია გვარსახელისაგან), ლე-ჲბა, ცე-ჲბა, ცე-ჲბა. ყველა ამ ფორმაში -იბა // -ჲბა სუფიქსი -იფა სუფიქსოიდის-გან მომდინარეობს.

6. -აა სუფიქსიანი გვარსახელები, რომლებიც ორ ქვეჯგუ-ფად იყოფა:

ა) გვარსახელები, რომლებიც აფხაზური წარმოშობისა ჩანს, ხოლო –აა სუფიქსი კრებითობის გამომხატველია: აბ-ლაჯ-აა "ზურგკუზაანი" (შდრ. ვარიანტი აბლაჯ "ზურგკუზია-ნი"), აგ.ხ-აა, აგშ-აა, ატ'მ-აა, ა-ქ.რთ-აა "ქართველაანნი", ა-შხარ-აა "მთიელნი" (შდრ. გვარსახელი ა-შხა-რ-უა "მთიელი"), აშ.ხაწ-აა, ბარმ.შ-აა "ბარმიშელნი" (ბარმიში სოფელია გუდა-უთის რ-ნში), დარმ-აა, პაპც-აა, შარდლ-აა, შარმათ-აა (შდრ. აფხაზური და ჩერქეზული გვარსახელი შარმათ), ჯარდალ-აა;

ბ) -[ვ]ა სუფიქსიანი ქართველური წარმოშობის გვარსახე-ლები, რომლებშიც აფხაზურ გამოთქმაში ამ -[ვ]ა სუფიქსის

მაგიერ დასტურდება –აა დაბოლოება. საყურადღებოა, რომ ამ გვარსახელთა მეგრულ გამოთქმაში –[ვ]ა სუფიქსი არ დასტურდება და ისინი უსუფიქსოდ, წმინდა ფუძის სახით გვხვდება. შდრ.: აფხაზ. **დუმ-აა** – მეგრ. **დუმა**, აფხაზ. **კარტ-აა** – მეგრ. **კორტა** (შდრ. მეგრ.-იმერ. გვარი **კორტ-ი**), აფხაზ. **კუბრ-აა** – მეგრ. **კობრა**, აფხაზ. **კუპრ-აა** – მეგრ. **კუპრა** (შდრ. "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" დადასტურებული პირსახელი **კუპრა**, აგრეთვე ქართ. გვარები **კუპრაძე**, **კუპრეიშვილი**), აფხაზ. **ლაგ-აა** – მეგრ. **ლაგვილავა**, აფხაზ. **სირგინ-აა** – მეგრ. **სირგინა**, აფხაზ. **სჭჭნაა** – მეგრ. **სიჭინა**, აფხაზ. **ჭთან-აა** – მეგრ. **ჭითანა** და მრ. სხვა.

ამ ტიპის ქართულ გვარსახელებში -ვა დაბოლოება დასტურდება მხოლოდ იმერულ, გურულ, აჭარულ, ლეჩხუმურ და რაჭულ დიალექტებში, აგრეთვე ქართულ სამწიგნობრო ენაში: **ბიგვა-ვა, სიჭინა-ვა, ჭითანა-ვა**... იმის გამო, რომ **ვ** თანხმოვანი არ ისმის არც აფხაზურ და არც მეგრულ დიალექტურ გამოთქმაში, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ნ. მარისა და ი. ყიფშიძის ნაჩქარევი ვარაუდი, თითქოს ქართველურ გვარსახელთა -ვა სუფიქსი აფხაზური -იფა სუფიქსოიდისაგან მომდინარეობდეს[219]. ს. ჯანაშიას აზრითაც, "ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ, ანგარიში არ ეწევა მოცემული ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას; აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში კი – ორივე სქესისას. და ბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული – როდის უნდა ყოფილიყო ასეთი წამლეკავი გაცლენა აფხაზურისა მეგრულზე"[220].

საყურადღებოა პ. ცხადაიას თვალსაზრისი -ვა დაბოლოებიან გვარსახელთა შესახებ. მკვლევარი ანგარიშს უწევს იმ

---

[219] Н. Я. Марр. О языке и истории абхазов. Л., 1936, § 4; ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. თბ., 1994, გვ. 437.

[220] ს. ჯანაშია. შრომები, ტ. III. თბ., 1959, გვ. 40.

ფაქტს, რომ ამ ტიპის გვარებში -ჟა დაბოლოებას თითქმის ყოველთვის წინ უსწრებს ა ხმოვანი. გათვალისწინებულია ისიც, რომ გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში დასტურდება ამ ტიპის გვარსახელთა გაფორმების სამი ვარიანტი: 1. -ჟა სუფიქსით; ორი ა ხმოვნით (ჟ-ს გარეშე); 3. ფუძისეული ა ხმოვნისა და -ჟა სუფიქსის გარეშე[221], თუმცა ავტორს რატომღაც მნიშვნელოვნად არ მოსჩვენებია, რომ -ჟა დაბოლოება საკუთრივ მეგრულ და აფხაზურ წარმოთქმაში პრაქტიკულად არ ისმის.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი შეხედულება ასეთია: ქართულში -[ვ]ა სუფიქსი არ მომდინარეობს აფხაზურიდან, ვინაიდან **ამგვარი ვარიანტი ამ ენაში საერთოდ არ დასტურდება**, თანაც ის გვარსახელები, რომლებიც იმერულ, მეგრულ, გურულ, აჭარულ, ლეჩხუმურ, რაჭულ დიალექტებსა და სამწიგნობრო ენაში შეიცავენ ჟ თანხმოვანს, ეტიმოლოგიურად არ იხსნება აფხაზურ ნიადაგზე – ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ამ გვარებში სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ ჟ თანხმოვნის მომდევნო ა ხმოვანი, რომელსაც წინამავალი ფუძისეული ა ხმოვნისაგან გასამიჯნად მიემატა ბგერათგამყარი ვ ბგერა. ეს წესი, როგორც ჩანს, გავრცელდა უფრო სამეგრელოს აღმოსავლეთით და სამხრეთით (იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ლეჩხუმსა და რაჭაში), თვით სამეგრელოში კი, უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო წმინდა ფუძით, "უსუფიქსოდ" წარმოდგენილი გვარები: **ბიგვა, გერზმა, დუმა, კორტა** (შდრ. ამუამინდელი გვარსახელი **კორტი** სამეგრელოშივე და იმერეთში), **კობრა, კუპრა, ლაგვილა, სირგინა, სიჭინა, ჭითანა**...

სამეგრელოში გვიან შუა საუკუნეებში პარალელურად დასტურდება ამ გვარსახელთა მაგვარსახელებელი **-ან** სუფიქსის ა ხმოვნიანი ვარიანტებიც, რომლებშიც ა ხმოვნის დართვა ა ხმოვნითვე დამთავრებულ ფუძეებზე ორ ა ხმოვანს, ან -ჟა დაბოლოებას იძლეოდა. ამისი მაჩვენებელია პ. ცხადაიას მიერ

---

221 პ. ცხადაია. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბ., 2000, გვ. 21.

ქართულ საეკლესიო საბუთებში გამოვლენილი ისეთი პარალელური ფორმები, როგორებიცაა: **გოგილა // გოგილაა // გოგილავა, ფათხა // ფათხაა // ფათხავა** და სხვანი[222]. ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI საუკუნის შემდგომ აფხაზთა ჩამოსახლებისა და დამხვდურ ქართველთა ასიმილაციის პროცესში აფხაზებმა, როგორც ჩანს, ქართულ გვარებში წარმოდგენილი ორი ა ხმოვანი გააიგივეს აფხაზურ კრებითობის მაწარმოებელ **-აა** სუფიქსთან და ასე გაითავისეს ისინი.

ამ ვარაუდის მხარდამჭერი გვგონია ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართულ გვარსახელებში არ დასტურდება **-ვა // -აა** სუფიქსი, მაგრამ აფხაზურ გამოთქმაში მაინც არის **-აა** სუფიქსი. ასეთებია: **არსთ-აა < ერისთავ-ი** და **ამხ-აა // ემხ-აა < ქართ. ემხვარ-ი < ამილახვარ-ი**.

შენიშვნა: რამდენიმე **-ვა** დაბოლოებიან ქართველურ გვარს აფხაზურში მოჰკვეცია ბოლოკიდური ა ხმოვანი, ხოლო ვ თანხმოვანი კანონზომიერად ქცეულა უ თანხმოვნად: **(ა)ფჰაზოუ < აფხაზავა, ებენოუ < აბენოუ < ბეინავა, ვაჭაროუ** (ეს ფორმა დასტურდება XIX საუკუნის საბუთებში) **< ვაჭარავა, მამაცოუ < მამაცავა, შეყრილოუ** (დასტურდება XIX საუკუნის საბუთებში. იხ. ზემოთ) **< შეყრილავა**.

დაისმის საკითხი: **როდის უნდა დაწყებულიყო აფხაზურ გვარსახელთა ჩამოყალიბების პროცესი და რა დროს უნდა დასრულებულიყო იგი?**

ვიდრე ამ საკითხზე მსჯელობას წარმოვადგენდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ სრულიად დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ნ. მარის მიერ ერთადერთი გვარსახელის (**გუბაზ** "გუბაზ") მიხედვით, ისტორიული და ლინგვისტური ფაქტების მცდარი "ანალიზის" საფუძველზე გამოტანილი დასკვნა, თითქოს **-ბა** სუფიქსიანი აფხაზური გვარსახელები უკვე კარგახნის ჩამოყალი-

---

[222] პ. ცხადაია. დასახ. ნაშრ., გვ. 21-22.

ბებული ყოფილიყოს ეგრისის (ლაზიკის) მეფე გუბაზ პირველის დაბადებამდე, ე.ი. V ს. 50-60-იან წლებამდე. ნ. მარი ასეთ "ანალიზს" გვთავაზობს:

გვარსახელი **გუბაზ** (გუბაზ) აფხაზური წარმოშობისაა. მასში გამოიყოფა გულის აღმნიშვნელი **გუ** ძირი (შდრ. აფხაზ. **ა-გუ** "გული") და აფხაზურ გვარსახელთა მაწარმოებელი **-ბა** სუფიქსი. ამოსავალ **გუბა** ვარიანტს მოგვიანებით დართვია ქართული **-ძე** სუფიქსი, რომელშიც დაკარგულა **ე** ხმოვანი, **ძ** თანხმოვანი კი სპირანტიზაციის გზით შეცვლილა **ზ** თანხმოვნით. ე.ი. გვარი **გუბაზ (გუ-ბა-ზ)** აფხაზურ ენაზე შექმნილი გვარსახელის ქართველიზებული ფორმა ყოფილა. ნ. მარს აქვე აგონდება გურიაში არსებული ჰიდრონიმი **გუბაზოული**, რომელიც, მისი აზრით, იმისი დამადასტურებელი ყოფილი, რომ გურიის ტერიტორიაზეც უცხოვრიათ აფხაზთა წინაპრებს[223].

ნ. მარის ამ მოსაზრებას ხელს არ უწყობს არც ლინგვისტური და არც ისტორიული მონაცემები. კერძოდ, აუხსნელია, თუ რატომ არ დაკარგულა ქართული **-ძე** სუფიქსი და რა მიზეზით არ მომხდარა **ძ** თანხმოვნის სპირანტიზაცია, მაგალითად, ისეთ აშკარად ნააფხაზარ გვარში, როგორიცაა **დოლბაძე** და რატომ არა გვაქვს მის ნაცვლად ფორმა **დოლბაზ**? რატომაა, რომ წესი ერთ შემთხვევაში მოქმედებს, მეორეში – არა? რატომ არ გაითვალისწინა ნ. მარმა ის ფაქტი, რომ **-ძე** სუფიქსიანი ქართული გვარები აფხაზურ გამოთქმაში უცვლელად ინარჩუნებენ სუფიქსის **ძ** თანხმოვანს, ხოლო **ე** ხმოვანი ადრე ნასესხებ გვარებში იცვლება **ჲა** დიფთონგით, ახალ ნასესხებ გვარებში კი შენარჩუნებულია, თუმცა მათშიც ხშირად ისმის **ჲა** დიფთონგი **ე** ხმოვნის ნაცვლად? მაგალითად, ადრე ნასესხები გვარი **ნოზაძე** ბზიფელ აფხაზთა მეტყველებაში ჟღერს როგორც **ნაზაძჲა // ნაძაძჲა**, ხოლო ამ სტრიქონების ავტორის გვარს აფხაზები გამოთქვამდნენ **განცალაძჲა** ფორმით...

---

[223] ვრცლად იხ.: Н. Я. Марр. О языке и истории абхазов. Л., 1936, § 4; ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. თბ., 1994, გვ. 57-58.

გაურკვეველია ისიც, თუ რა ისტორიულ წყაროს ეყრდნობოდა ნ. მარი, როცა აფხაზთა წინაპრებს ხედავდა არა მარტო ამჟამინდელი აფხაზეთის, არამედ გურიის ტერიტორიაზეც V ს. შუა ხანებამდე. არგუმენტაცია სჭირდება იმის მტკიცებასაც, თითქოს **-ბა** დაბოლოებიანი აფხაზური გვარები უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში არსებობდა. საამისო ფაქტებს არ ადასტურებს არცერთი წერილობითი წყარო. ამ მიზეზთა გამო მიგვაჩნია, რომ ნ. მარის მოსაზრება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

მიეუბრუნდეთ საკითხს აფხაზურ გვარსახელთა მოდელების ჩამოყალიბების დროის შესახებ. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **აფხაზური გვარსახელების არცერთი მოდელი არ დასტურდება ისტორიულ დოკუმენტებში გვიანდელ შუა საუკუნეებამდე**. პირველი გვარსახელი, რომელიც შეიძლებოდა ნააფხაზარ გვარსახელად მოგეჩვენებოდა, არის "აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში" (1621 წ.) დადასტურებული ფორმა **შამბია** (მდ. კოდორის ნაპირას მდებარე სოფ. ტყაურუში სახელდებიან თავაზა **შამბია**, მაშუტია **შამბია**, კუაკუალია **შამბია**). ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას ეს გვარსახელი მეგრელიზებულ აფხაზურ (აფსუურ) გვარად მიაჩნიათ[224], კ. ოკუჯავა კი მიიჩნევს, რომ ასეთი ახსნის შესაძლებლობა არსებობს, რადგან **-ბა** სუფიქსიან აფხაზურ გვარსახელებს მართლაც ემატება **-ია** ბოლოსართი ეგრიზაციის ნიადაგზე (შდრ.: **ზვან-ბა-ია, თარ-ბა-ია, ბუთ-ბა-ია...**), მაგრამ "ეს გვარი **შამბადან** რომ ყოფილიყო წარმომდგარი, უნდა მიგვეღო **შამბაია** და არა **შამბია**. როგორც ჩანს, ამ გვარსახელში **"ბ"** ასო-ნიშანი [თანხმოვანი – თ. გ.] ფუძისეულია"[225]. ჩვენი აზრით, **შამბია** მაროლაც არ არის ნააფხაზარი გვარსახელი. იგი მომდინარეობს არა აფხაზური **შამბა**-საგან, არამედ ქართული **შამუგია**-საგან, რომელშიც ბაგისმიერი **უ** ხმოვნის მეზობლად **გ** თანხმოვანი შეცვლილია ბაგისმიერიევე **ბ** თანხმოვნით ქ. ლომსათიძის მიერ

---

[224] Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 611.

[225] კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბ., 2002, გვ. 124.

ქართველურ ენა-კილოებში გამოვლენილი წესის შესაბამისად. ამ ვარაუდის რეალურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ "ბიჭვინთის იადგარში" (XVI ს.) იმავე სოფელ ტყაურუში დასახელებულნი არიან **შამიგია ჭუჭურია** და დათია[226], ფორმა **შამიგია** კი **შამუგია**-ს ფონეტიკური ვარიანტია.

აფხაზურ გვარსახელთა ჩამოყალიბების დროის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აფხაზური ენის უახლოესი განაყოფის, აბაზური ენის მონაცემებს. რაკიღა სრულიად უეჭველია აფხაზურ-აბაზური ეთნო-ლინგვისტური ერთიანობის არსებობა XVI საუკუნემდე, როცა აფხაზთა (აფსუათა) წინაპრებმა დაიწყეს ჩამოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან აწინდელი აფხაზეთის მიწაზე, უნდა ვიფარაუდოთ შემდეგიც: თუ აფხაზებს იმ დროს უკვე ჰქონდათ გვარსახელთა ზემოთ განხილული მოდელები, მაშინ აბაზათა შორის დღესაც უნდა დასტურდებოდეს გვარსახელთა იგივე სტრუქტურული მოდელები (სტრუქტურული მოდელების გაქრობა მოსალოდნელი არ არის!).

როგორია აბაზურ გვარსახელთა მოდელები?

ჩვენ მიერ 70-80-იან წლებში აბაზურ სოფლებში მოპოვებული მასალა გვიჩვენებს, რომ ტაპანთელ აბაზათა შორის ძირითადად გაურცელებულია გვარსახელთა ორი სტრუქტურული მოდელი: უსუფიქსო ფუძეები (**ლაუ, შაუ, პაზ, ბაზ, მჩაჰაჯ, ყლეჩ, ჯანდარ, აჯბაქ, მერემყულ, ჩაზკა, თობელ, ყაფსერგან...**) და მხოლობითი რიცხვის ფუნქციით გამოყენებული კრებითი მრავლობითის აღმნიშვნელი **-რჰა // > -რაა** სუფიქსიანი გვარსახელები, რომლებიც უფრო იშვიათია (**ყარდან-რჰა, ჰაფ-რაა...**). შედარებით უფრო მრავალფეროვანია აშხარელ აბაზათა გვარსახელები:

1. უსუფიქსო ფუძეები: **ლაპულ, ბათღრბი, გაგა, ბ(ა)რაყა, მახა, ნიფა, აჰანა, ბორს, ჰატგშ, სმღრ...**

---

[226] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 180.

2. მხოლობითი რიცხვის ფუნქციით გამოყენებული კრებითობის –აა სუფიქსის შემცველი გვარსახელები: **ჯერ-აა, ლარს-აა, ლი-აა, ახ-აა, ძუ-აა, ჩქ-აა, უაზ-აა...**

3. **-ბა** სუფიქსიანი რამდენიმე გვარსახელი: **ახ-ბა, ასკ-ბა, კაპ-ბა, აგრ-ბა, ალი-ბა, ლ'ის-ბა, აბჟნ-ბა, ბჟ-ბა, მშჭ-ბა, ჟირ-ბა, ლაუარსან-ბა, ქაპ-ბა.**

4. **-ძა** სუფიქსიანი რამდენიმე გვარსახელი: **კუკ-ძა, ეკ-ძა, კწლ-ძა, აკ-ძა.**

1939, 1940, 1941 და 1947 წლებში ქ. ლომთათიძის მიერ აშხარელ აბაზათა შორის ჩაწერილ გვარსახელებში ზოგჯერ სხვაობაა იმ მხრივ, რომ კრებითობის **-აა** სუფიქსიანი გვარები მხოლობითი რიცხვის ფუნქციით მეტად იშვიათად ყოფილა გამოყენებული, ჩვენი ექსპედიციებისას კი (70-80-იანი წწ.) ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ, როგორც ქ. ლომთათიძე წერს, "მთელი რიგი აშხარელთა გვარების დაბოლოებაში თავს იჩენს **ძა** ელემენტი. ესენია: **ეკძა, კუძა, აკძა**. უდაოა, რომ ეს ელემენტი გვარის მაწარმოებელია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აფხაზურს (იმ დროს ქ. ლომთათიძე აბაზურს ცალკე ენად არ მიიჩნევდა – თ. გ.) **ე** ფონემა არ გააჩნია და სხვა ენებიდან შესულ სიტყვებში **ე** გადადის **ა**-დ, აშკარა იქნება, რომ აღნიშნულ გვარებში შემორჩენილია ქართული გვარის **-ძე** დაბოლოება. უნდა ყოფილიყო ***ეკძე, *კუძე, *აკძე, *კწლძე** (შდრ. ქართული გვარი **კილაძე**). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იმავე გვარებს აქვს სხვა, აფხაზური **-ბა** სუფიქსით გაფორმებული ვარიანტებიც. ეს ვარიანტები მხოლოდ რუსულად გამოთქმისას მოეპოვებათ აღნიშნულ გვარებს. შდრ. **Екба, Килба, Агба**. ხსენებულ გვართა დაბოლოებაში **-ძე** ელემენტის არსებობა საყურადღებო ფაქტია ისტორიული თვალსაზრისით"[227].

ჩვენ ვითვალისწინებთ რა იმ ფაქტს, რომ, ერთი მხრივ, აშხარელებსა და ტაპანთელებს, აგრეთვე აბაზებსა და აფხაზებს

---

[227] ქ. ლომთათიძე. აშხარული დიალექტი.., თბ., 1954, გვ. 224.

შორის საზიარო მხოლოდ უსუფიქსო და კრებითობის **-რჩა > -რაა // -აა** სუფიქსიანი გვარსახელებია, მეორე მხრივ, აშხარელთა შორის **-ბა** სუფიქსიანი ვარიანტები მხოლოდ რუსულ გამოთქმაშია გავრცელებული **-ძა** სუფიქსიან ვარიანტთა ნაცვლად, მესამე მხრივ კი **-ძა** სუფიქსი არ დასტურდება არც ტაპანთელთა, არც აბუუელთა და არც ბზიფელთა შორის, დავასკვნით: **-ბა სუფიქსი აბაზურ უსუფიქსო გვარსახელებს უნდა დართვოდა მხოლოდ XX საუკუნის 20-30-იან წლებში,** როცა აშხარელთა 60 ოჯახი კომუნისტებმა ჩამოასახლეს აფხაზეთში აფხაზეთის სსრ-ს არსებობის გასამართლებლად და რეგიონის მოსახლეობაში აფხაზთა წილის გასაზრდელად. როგორც ჩანს, უკან, ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნებისას (30-იანი წლების ბოლოს) აშხარელებმა "თან გაიყოლეს" აფხაზური სუფიქსი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აბაზათა შორის საერთოდ არ დასტურდება **-იფა** სუფიქსოიდის შემცველი არცერთი გვარსახელი, ეს სუფიქსოიდი კი ამოსავალია აფხაზური **-იბა** და **-ბა** სუფიქსებისათვის. ყურადსაღებია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: აბაზათა შორის დასტურდება ისეთი უსუფიქსო და კრებითობის სუფიქსიანი გვარებიც, რომლებსაც აფხაზურში **-ბა** სუფიქსი დაერთვის, ანუ ეს გვარები ამ **ორ ენაში სხვადასხვა სტრუქტურულ მოდელებში ნაწილდებიან.** მაგალითად: აშხარ. **ქაპა** – აფხაზ. **ქაპ-ბა**, აშხარ.-აფხაზ. **სმჟრ** – აფხაზ. (ბათუმში) **სმჟრ-ბა**, აშხარ. **ერჯსლან** – აფხაზ. **ასლან-ბა**, აშხარ. **მჯჰაჯჯ** – აფხაზ. (ბათუმში) **მუსხაჯ-ბა**, აშხარ. **ლი-აა** – აფხაზ. **ლე-იბა**, აშხარ. **აბჯნ-აა** – აფხაზ. **აბჯნ-ბა**, აშხარ. **დაშ-აა** – აფხაზ. **ეშ-ბა**...

ვფიქრობთ, აქ დასახელებული ფაქტები საკმარისი საფუძველია საიმისოდ, რათა დავასკვნათ, რომ **აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის არსებობის პერიოდში (XVI საუკუნემდე) არც აფხაზებს (აფსუებს) და არც აბაზებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ -იფა > -იბა > -ბა დაბოლოებიანი გვარსახელები და მათ შორის გავრცელებული იყო მხოლოდ უსუფიქსო და კრებითობის -რჩა > -რაა > -აა სუფიქსიანი გვარები.**

რაც შეეხება -იფა > -იბა > -ბა სუფიქსიან აფხაზურ გვარსახელებს, ისინი უნდა შექმნილიყო XVI საუკუნის შემდგომ, აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი დასახლების მერე, ქართული -ძე და -შვილი დაბოლოებიანი გვარსახელების ანალოგიით.

-იფა // -იბა //-ბა დაბოლოებიან აფხაზურ გვარსახელთა ჩამოყალიბების პროცესი, როგორც ჩანს, დიდხანს გაგრძელდა. იგი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსათვის. ამისი მაჩვენებელია 1867 წელს რუსი მოხელეების მიერ შედგენილი აფხაზ მუჰაჯირთა საკომლო სიები, რომელთა ქართული თარგმანი 2004 წელს გამოსცა სოხუმელმა ისტორიკოსმა ბეჟან ხორავამ (რუსული დედნის ქსეროასლი მანვე გადმოგვცა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

ამ მეტად საყურადღებო დოკუმენტებში შეტანილია 60 სოფლის 2 500 კომლის უფროსთა სახელები და გვარსახელები იმის მითითებით, თუ რამდენი მამრობითი და მდედრობითი სქესის პირი შედიოდა თითოეულ კომლში (ამ სიების მიხედვით, 1867 წელს აფხაზეთიდან ოსმალეთში სულ გაუძევებიათ 11 957 აფხაზი)[228]. ამ სიების თანახმად, იმ დროს აფხაზთა შორის ყველაზე გავრცელებული ყოფილა უსუფიქსო, **-იფა** სუფიქსოიდიანი და **-ბა** სუფიქსიანი გვარსახელები (ქართველური წარმომავლობის გვარსახელებთან ერთად). დოკუმენტების გაცნობისას ყურადღება მიიპყრო აფხაზურ გვარსახელთა გამოყენების ერთი წესის დარღვევის დიდმა სიხშირემ. კერძოდ:

აფხაზურ ენაში მოქმედი წესის მიხედვით, თუ **-იბა //-ბა** სუფიქსიანი გვარსახელი მოსდევს პირის სახელს (ე.ი. პოსტპოზიციაშია წარმოდგენილი), მაშინ გვარსახელი ცვლილებას არ განიცდის და სრული სახით, სუფიქსიანად იქნება წარმოდგენილი, მაგრამ შებრუნებული წყობისას, ე.ი. მაშინ, როცა **-იბა // -ბა** სუფიქსიანი გვარი წინ უძღვის პირსახელს (ანუ გვარი პრეპოზიციაშია), გვარსახელს აუცილებლად ჩამოსცილდება **-იბა // -ბა** სუფიქსები. შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ: ადგურ ლე-**იბა**, ალხას ამჭ-**ბა**, სიუარნა წგჯ-**ბა**, ომარ შამ-**ბა**... და, მეო-

[228] ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბ., 2004.

რე მხრივ: **ლე** ადგურ, **ამჭგ** ალხას, **წოჯ** სიუარნა, **შაშ** ომარ... მუჰაჯირთა სიებში **306-ჯერ** აღმოჩნდა დარღუეული სუფიქსიანი **40 გვარის** პოსტპოზიციაში წარმოდგენის წესი და ეს გვარები ფიქსირებულია უსუფიქსოდ, არადა **სუფიქსის გამოყენება სავალდებულო იყო**. მაგალითად, სიებში წერია: მამუდ **აბდი** (Мамуд **Абды**) – უნდა ყოფილიყო **აბდიბა**; სუსრან **აბუხ** (Сусранъ **Абухъ**)– უნდა ყოფილიყო **აბუხბა**; სმაილ **აგოძი** (Смаилъ **Агодзы**) – უნდა ყოფილიყო **აგვაძბა**; ჰუსინ **აგუმ** (Хусинъ **Агумъ**) – უნდა ყოფილიყო **აგუმბა**; იაკუბ **აკა** (Якубъ **Ака**) –უნდა ყოფილიყო **აკაბა** და ა.შ. წესის დარღვევათა დიდი სიხშირე ვერ მიიჩნევა ვერც შემთხვევითობად და ვერც რუს მოხელეთა შეგნებული ქმედების შედეგად. ეს მაგალითები აფხაზურ ენაში 1867 წელს არსებული რეალური ვითარების ამსახველია და უდავოდ გვიჩვენებს, რომ **გვარსახელთა გაფორმება სუფიქსებით ამ ენაში სრულიად ახალი მოვლენაა. სუფიქსაცია უნდა დასრულებულიყო მხოლოდ XX საუკუნის დამდეგისათვის**. კიდევ ერთ საამისო საბუთად უნდა ჩავთვალოთ იმავე პერიოდში აფხაზეთიდან ბათუმსა და მიმდებარე სოფლებში ჩასახლებულ აფხაზთა შორის **სმგრ-ბა** და **ყაღტან-ბა** გვარსახელთა არსებობაც: საქმე ისაა, რომ აფხაზეთში ეს ორი გვარი უსუფიქსოა (**სმგრ, ყაღტან**), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გვარებს **-ბა** დაბოლოება ბათუმში დაერთო აფხაზთა იქ ჩასახლების მერე.

საინტერესო სურათია ასახული ისტორიკოს გერონტი გასვიანის მიერ გამოცემულ XIX საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ ნათლობის წიგნებში, რომლებშიც აღნუსხულნი არიან ახლადმონათლულნი აფხაზეთის შემდეგი სოფლებიდან: ლიხნი (ლიხნი), კვიტეული //კვიტაული (კვიტოული), ტამუში (ტამიში), კინდღი, ეშქიდი (ეშქითი), ფოქვეში, ათარა, შქაწყალი (აძვიბჟა), თხინა და მოქვი[229]. ამ წიგნებში აფხაზური წარმოშობის გვარსახელთა გაფორმების სხვადასხვა მოდელია ასახული, მათ შორის:

---

229 გ. გასვიანი. აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები..., გვ. 153-184.

1. **-იფა, -ბა** სუფიქსოიდიანი: ქაშაშიფა, გუნუნბა (< გჳნბა), ხუკუბა (< ხჳკობა), ჭანუმბა (< ჭანბა);

2. **-ბა-ია** დაბოლოებიანი: ეიბაია (< აიბა), ჭანბაია // ჭანუნბაია (< ჭანბა), გუნბაია // გუნუმბაი (< გჳნბა), ვშთიბაია (< შთბა? — შდრ. ქცემოთ ტოპონიმი აშთრჳფშ), თარბაია // თორბაია (< თარბა), ღულუშბაია, ცუბშაია (< ცჳშბა), გიცბაია // გიციბაია (< გჳცბა), ავშიბაია // ელშიბაია // აშიბაია (< ალშიბაია), კივშიბაია, ცუიბაია (< ცჳიბა), ამიბაია (< ამაბა), ტეიშბაია, ლაკრიბაია (< ლაკრბა), წისბაია (< წჳსბა), ბიშანიბაია, მუქბაია (< მჳქბა), ბინძბაია, აპბაია, ლაჭიბაია, ცუსუბაია (< ცუზბა), არძიბაია (< არძჳნბა), ტვანბაია (< ტ'ანბა), ერბაია, ქარსაბაია, კარბაია, აგრიბაია (< აგრბა);

3. **უსუფიქსო**: მაჯი ჯანაი, არყუჯა, ლუკუნ ფათლა, აჟია (შდრ. (ა)ჟიბა), ბარციცი // ფაციცი, ლაკვა (ამავე დოკუმენტებში არის ლაკვაბაია ფორმაც), ხავშუთა, ავიჟი, ჩიკვაკუ, სიმურ (< სმჳრ), ჩაბალურხვა, ბუსკურ // ბუშკური, ქავა, პატი აჟვი, ქვასაჯი გეგი, ჯაზლი დეშელი. ამ გვარსახელთაგან ზოგიერთი დღეს **-ბა** სუფიქსითაა გაფორმებული: არყუჯა > არყუჯბა, ლაკვა > ლაკაბა // ლაკობა, ქავა > აქავბა.

ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ XIX საუკუნეში აფხაზურ გვარსახელთა მოდელები ჯერაც არ იყო საბოლოოდ დაღვინებული.

§ 2. ბა მარცვლის შემცველ ქართულ პირსახელთა და გვარსახელთა წარმომავლობის საკითხისათვის

ქართველ და აფხაზ ავტორთა ერთ ჯგუფს წერილობითაც და ზეპირადაც გამოთქმული აქვს მოსაზრება ზოგიერთი ქართული გვარსახელის აფხაზური წარმომაელობის შესახებ. ამ მოსაზრების მთავარი არგუმენტია ასეთ გვარსახელებში **-ძე, -შვილი, -ფა, -ია** დაბოლოებათა წინ წარმოდგენილი ბა მარ-

ცვლის ფონოლოგიური (ბგერითი) იგივეობა აფხაზურ გვარსახელთა **-ბა** < **-იფა** "მისი (მამაკაცის) ძე, მისი ვაჟი" სუფიქსოიდთან, ე.ი ივარაუდება, რომ **ბა** მარცვლიანი ქართული გვარები ნააფხაზარია და ორმაგი სუფიქსაციის (აფხაზური **-ბა** + ქართული **-ძე, -შვილი, -ვა, -ია**) გზითაა ჩამოყალიბებული.

როგორც წინა პარაგრაფში ითქვა, საკითხი ამგვარად პირველად 1912 წელს წამოჭრა აკად. ნ. მარმა. მკვლევარი გამოთქვამდა ვარაუდს ქართულ, კერძოდ, მეგრულ გვარსახელთა **-ვა** დაბოლოების აფხაზური წარმომავლობის შესახებაც. მისი აზრით, **-ვა** < ***-ვარ** დაბოლოება მომდინარეობს აფხაზური **-ბა** < ***-ბარ** "ძე" დაბოლოებისაგან[230], თუმცა ავტორი არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ, როგორც აღინიშნა, რეალურად მეგრულ მეტყველებაში გვარსახელები **-ვა** მარცვალზე კი არა, არამედ ოდნავ დაგრძელებულ **ა** ხმოვანზე ბოლოვდება და ეს ხმოვანი ვერ მიიღებოდა აფხაზური **-ბა** სუფიქსოიდისაგან, ანდა ნ. მარის მიერ სემიტურ ენათა ვითარების ზეგავლენით სრულიად თვითნებურად აღდგენილი ***-ბარ** "ძირისაგან". ამიტომ ობიექტური იყო აკად. ს. ჯანაშიას შენიშვნა **-ვა** დაბოლოებასთან დაკავშირებით, რომელსაც აქ განმეორებით მოვიხმობთ:

"ნ. მარი მას უყოყმანოდ აფხაზურიდან შენათვისებ ელემენტად სთვლიდა, – მეგრულ ნიადაგზე სახეცვლილი აფხაზური სიტყვა **ბა // ფა** ("ძე") არისო [...]. ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ, ანგარიში არ ეწევა მოცემული ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას; აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში კი – ორივე სქესისას. და ბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული – როდის უნდა ყოფილიყო ასეთი წამლეკავი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე"[231].

---

[230] Н.Я. Марр. К вопросу о положении абхазского языка среди яфетических. С.-Пб., 1912, გვ. 5.

[231] ს. ჯანაშია. შრომები. ტ. III. თბ., 1959, გვ. 40.

ნ. მარის უკანასკნელ მოსაზრებას კრიტიკულად უდგებოდა აკად. ქ. ლომთათიძეც, თუმცა აღრეულ ეტაპზე მასაც მიაჩნდა, რომ მეგრულ გვარსახელთა **-ფა** დაბოლოება აფხაზური წარმომაკლობისაა. იგი წერდა:

"აფხაზური **-ბა "ძე", "შვილი"** საერთო უნდა იყოს მართლაც მეგრულ გვარებში შემორჩენილ **ფა**-სთან, მაგრამ მათი ურთიერთმიმართება სხვანაირად წარმოგვიდგება. მეგრული გვარების წარმოებაში გადარჩენილი **ფა // < ჶა** აფხაზური წარმოშობისაა. აფხაზურ ნადაგზე მოეპოვება მას ახსნა. იგი "ადამიან" სიტყვის **ა-ჶა-ჳჲ**-ს ძირს წარმოადგენს: ისე რომ, გვარები, რომლებიც აშკარად მეგრული გვარების შთაბეჭდილებას ახდენს თავისი წარმოებით, აფხაზურადაა გაფორმებული. კერძოდ, იგი აფხაზურის გარკვეული დიალექტური ერთეულის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. **ბა** კი, უკვე აფხაზური გვარების წარმოებაში დაცული, მისივე სხვა დიალექტურ სახეობას უნდა წარმოადგენდეს: **ადელ-ბა, ამჭ-ბა, აშ-ბა, აგრ-ბა** [...].

შემდეგ ეს **ბა** უნდა იყოს ცვლილი დაყრუებით **ფა**-დ, რომელიც ცალკე სიტყვადაც გვხვდება. **ა-ფა** "ძე", "შვილის" მნიშვნელობით. ასეთი დაყრუების პირობა **აფჰა** "ქალიშვილი" სიტყვის არსებობა უნდა ყოფილიყო[...]. ეგეთე **ფა** შემდეგ გამოყენებულია გვარების საწარმოებლად **ბა**-ს ადგილას, მაგ., **ინალიფა, ძაფშიფა** და სხვ."[232].

საყურადღებოა, რომ ქ. ლომთათიძემ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თავისი ხელით შედგენილ საკუთარ სამეცნიერო ნაშრომთა ბიბლიოგრაფიაში იმ სტატიის დასახელებას, რომელშიც ზემოთ ციტირებული მოსაზრება აქვს გამოთქმული, სქოლიოში დაურთო შემდეგი შენიშვნა:

"სადაეოა ქართულ გვარებში არსებული **-ფა** დაბოლოების მასთან [აფხაზური **ა-ჶა-ჳჲ** "ადამიანი" სიტყვის **ჶა** ძირთან – თ.

---

[232] ქ. ლომთათიძე. "ადამიანის" აღმნიშვნელი **აოჳჲ** სიტყვა აფხაზურში. – სმამ, ტ. IV, № 7, გვ. 726-727.

გ.] კავშირი. სარწმუნო ჩანს ამ უკანასკნელის [ქართულ გვართა -ვა დაბოლოების – თ. გ.] ს. ჯანაშიასეული ახსნა"[233].

ვფიქრობთ, კომენტარი აქ ზედმეტია და ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მეცნიერის ბოლო ნება.

რაც შეეხება ს. ჯანაშიას შეხედულებას, იგი ამოსავალ სახეობად გულისხმობს საერთოქართველურ **-ვან** სუფიქსს, რასაც ადასტურებს გვარსახელთა სვანურ-მეგრული პარალელური ფორმები: სვან. **ფალავან** > მეგრ. **ფალავა**, სვან. **გალდავან** > მეგრ. **გალდავა**[234].

ამ საკითხის შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებებიც (გ. როგავასი, მ. ქალდანისა, ზ. ჭუმბურიძისა, ჯ. ონიანისა...), მაგრამ მეგრულ გვართა **-ვა** დაბოლოების რაობის შესახებ ყველაზე დამაჯერებელი მოსაზრება გამოთქმული აქვს პროფ. ჰ. ცხადაიას. მისი მსჯელობა ასეთია:

"საისტორიო წყაროებში დადასტურებულია **-ვა** დაბოლოებიან გვარსახელთა სამი ვარიანტი: ა. **-ვა** უცვლელადაა შემონახული; ბ. **-ვა** გამარტივებულია და გვარის ფუძეს ერთვის მხოლოდ **-ა** სუფიქსი; გ. ნაშთის სახით დარჩენილი **-ა** სუფიქსიც მოკვეცილია. საილუსტრაციო მასალას წარმოვადგენთ შუა საუკუნეების დას. საქართველოს საეკლესიო საბუთებიდან, რაც დაბეჭდილია "ქართული სამართლის ძეგლების" III ტომში (თბ., 1970). ნაჟანეულში (ამჟამინდელი ოტობაია გალის რ-ნში) მცხოვრები გოგილავები (საეკლესიო გლეხები) XVI ს. დამლევის საბუთში დასახელებულნი არიან როგორც გოგილავა (მამისმამა გოგილავა და შურიოოლი გოგილავა. იხ. ქსძ, III, 384). ორი ათეული წლის შემდეგდროინდელ (1621 წ.) სა-

---

[233] აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია. თბ., 2007, გვ. 11.

[234] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. – ენიმკის მოამბე. ტ. I. თბ., 1937, გვ. 215. ამ უდავოდ მართებული თვალსაზრისის პარალელურად იმავე ავტორს გამოთქმული აქვს სხვა, ნაკლებ არგუმენტირებული მოსაზრებაც ზოგი ქართული გვარსახელის აფხაზური წარმომაელობის შესახებ. ამ მცდარი ვარაუდის კრიტიკა იხ.: თ. გვანცელაძე. ზოგი ქართული გვარსახელის სტრუქტურისა და წარმომაელობის საკითხისათვის. – ჟურნ. "ბედია", № 8-9, 2010, გვ. 319-332.

ბუთში კი მოხსენიებულია თოლიოყრო გოგილაა. ამავე საბუთში კიდევ ერთი გოგილავა არის მოხსენიებული, ოღონდ -ვა მოკვეცილი ვარიანტით. ესაა ხუხურია გოგილა (იქვე, 420, 421). ამავე (1621 წ.) საბუთში გირგოლავა ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: სრული ფორმით (ორქოია გირგოლავა) და -ვა მოკვეცილი (ვარგიბია გირგოლა, თაუზარი გირგოლა, პინათე გირგოლა. იხ. იქვე, 430-431). ასევე ორი ფორმითაა წარმოდგენილი გვარი შარინავა: გვაგვალა შარინავა, ბართიმე შარინავა (იქვე, 430) და ასპანდელი შარინა (იქვე, 434). "საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დაეთარი" (1616-1621 წწ.) ჯგალ'ში მცხოვრებ ფათხავებს ორი ვარიანტით მოიხსენიებს: გიორგი ფათხავა, ოსაეთარი ფათხავა და მიქაი ფათხაა, ბანუა ფათხაა, თომიხილა ფათხაა. აქვე ეს გვარი დასახელებულია მრ. რიცხვის ფორმითაც: ფათხაები (ქსძ, III, 471-477). დავასახელებთ ამავე წიგნიდან კიდევ რამდენსამე ნიმუშს: სიჭინავა, ცისკარავა, მალურავა, აფხაზავა, გოგორდავა, ძიგურავა, თომავა, ვართაგავა, ასმავა, გიგიდავა... გაგაა, კუკაა, სალაბეხაა, გვაზაა, ტურაა, ვართაგაა, ბულაა, ფარცხელაა... როგორც ეხედავთ, -ვა სუფიქსის სრულად მოკვეცის შემთხვევები იშვიათია.

...ცხადი ხდება, რომ კოლხურ გვარსახელთა -ავა დაბოლოებაში წინამავალი -ა ფუძისეულია, ბოლოკიდური -ა საგვარსახელო სუფიქსია, ხოლო თანხმოვანი **ვ** (და უ) გარკვეული ფუნქციის მქონე ჩანართია ინტერვოკალურ პოზიციაში. ორი სხვადასხვა დანიშნულების მორფემის შეერთებით მიღებული -ვა კომპლექსი, თავის მხრივ, გვარსახელთა მაწარმოებელ რთულ სუფიქსად იქნა აღქმული"[235].

ვფიქრობთ, ამ არგუმენტირებული მსჯელობით საბოლოოდ გამოირიცხა -ვა დაბოლოებიან გვარსახელთა აფხაზურობის "თეორია", მით უმეტეს, რომ **-ვა დაბოლოების მქონე გვარსახელებს აფხაზურ ნიადაგზე ეტიმოლოგია არ ეძებნება.** იგივე ითქმის **-ძე** და **-შვილი** დაბოლოებათა მქონე იმ გვარსახელებ-

---

[235] პ. ცხადაია. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბ., 2000, გვ. 21-22.

ზეც, რომლებშიც აღნიშნულ დაბოლოებათა წინ ბა მარცვალია წარმოდგენილი.

თუ გავითვალისწინებთ იმ ზოგად კანონზომიერებას, რომ გვარსახელებს, ჩვეულებრივ, საფუძვლად ედება მამაკაცთა პირსახელები და მეტსახელები, უპრიანია საანალიზო გვარსახელთა წარმომავლობის დასადგენად ისტორიულ წერილობით წყაროებსა და ამჟამინდელ ონომასტიკონში ვეძიოთ საყრდენი ფუძეები. და მართლაც, XI-XIX საუკუნეებში შედგენილ ქართულ საისტორიო წყაროებში აღმოჩნდა საკმაოდ დიდი რაოდენობის ისეთი ანთროპონიმები და გვარსახელები, რომლებიც შეიცავენ ბა მარცვალს და ისინი აშკარად არ არის აფხაზური წარმოშობისა (აქვე გავიმეორებთ, რომ წერილობით წყაროებში აფხაზური გვარსახელები მასობრივად მხოლოდ XIX საუკუნეში იჩენენ თავს და, როგორც დგინდება, **-იფა > -იბა > -ბა** სუფიქსიან აფხაზურ გვარსახელთა მოდელების ჩამოყალიბების პროცესი საბოლოოდ დასრულებულა არა ადრეულ, ან კლასიკურ შუა საუკუნეებში, როგორც ამას ნ. მარი აცხადებდა, არამედ XIX საუკუნის დასასრულისათვის[236]. ქვემოთ წარმოვადგენთ პრაქტიკულად სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე გაერცელებულ ამ გვარსახელთა და პირსახელთა ნუსხას[237]:

---

[236] ამ საკითხის შესახებ ერცლად იხ.: თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები: ძირითადი პრობლემები. თბ., 2008.

[237] საანალიზო მასალა ამოკრებილია პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოცემული "ქართული სამართლის ძეგლების" III ტომიდან და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული "პირთა ანოტირებული ლექსიკონიდან". იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1970 ('შემოკლებით: ქსძ); პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. I. გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბ., 1991 ('შემოკლებით: პალ, 1991); პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. II. გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. თბ., 1993 ('შემოკლებით: პალ, 1993); პირთა ანოტირებული

ანთ-ებ-ა-ძე – ჩხარის ციხის მეციხოვნე (XVII ს. პალ, 1991: 157). შდრ. გვარები: **ანთია, ანთიძე, ანთაძე.**

აღვს-ებ-ა-ძე – მცხეთიშვილი ქართლში (1670 წ. ქსძ, 1970: 565; 1680 წ. პალ, 1991: 205), **ახვს-ებ-ა-ძე** – მისი ვენახი ესაზღვრებოდა შიომღვიმის მონასტრისათვის შეწირულ მიწას (1492 წ. პალ, 1991: 205). XVI-XVII სს. საბუთებში იხსენიებიან ამ გვარის სხვა წარმომადგენლებიც (პალ, 1991: 205-206), **ახუს-ებ-ა-ძე** – ხვედურეთის მცხოვრები (1467 წ. პალ, 1991: 205), **ახუს-ებ-ა-შვილ-ი** გულისადებ – თბილისელი ვაჭარი (1523 წ. პალ, 1991: 207). შდრ. აღოძე **აღვს-ებ-ა** – მაღლაკის მცხოვრები (1578 წ. პალ, 1991: 200). **აღვს-ებ-ა-ძე // ახვსებაძე** ვარიანტებისაგანაა მიღებული ამჟამინდელი გვარები **აღსაბაძე** და **ახსაბაძე**. პირსახელ **აღვსება**-ს არქმევდნენ აღვსების დღეს დაბადებულთ.

ახ-ობ-ა-ძე (1700 წ. პალ, 1991: 206), **ახ-უბ-ა-ძე** პაპუნა – ქორაზნას (ქართლი) მცხოვრები (1688-1700 წწ. პალ, 1991: 207). ამ გვარსახელთან ფონეტიკურად ახლოსაა აფხაზური **აჰვბა [აჰბა]** გვარსახელი, თუმცა ისინი სტრუქტურულად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, რადგან ქართული **ახ-ობ-ა-ძე** ნაწარმოებია პირსახელ **ახობა**-საგან, ხოლო აფხაზური **ა-ჰვ-ბა [ა-ჰბა]** მიღებულია **ჰვ [ჰ]** ძირისაგან.

ბარაბ-ა-ძე – ამ გვარის რამდენიმე წარმომადგენელი იხსენიება XVII ს. რამდენიმე საბუთში. მათ შორისაა **ბარაბა-ძე** კაცობელა (მათხოჯის მცხოვრები მესეფე კაცი (XVII ს. პალ, 1991: 387-390). შდრ. სახარებისეული პირსახელი **ბარაბა**.

ბელ-ებ-ა-ძე – ვახუშტი აბაშიძემ შესწირა კაცხის მონასტერს (1550-1570 წწ. პალ, 1991: 500). შდრ. **ბელ-ია-შვილ-ი.**

გენ-ებ-ა-ს-შვილ-ი იერემა – მოწმე მიწის ნასყიდობის წიგნისა (ქართლი, 1667 წ. პალ, 1991: 625), **გენ-ებ-ა-შვილ-ი** ნადი-

---

ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. III. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გ. ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძე. თბ., 2004 (შემოკლებით: პალ, 2004).

რაი – ქართლის დედოფლის მზარეული (1648 წ. პალ, 1991: 625), შდრ. **გენ-ებ-ა-ძე**.

გვინ-ებ-ა-შვილ-ი – ნაცვალი, მოწმე გიორგი მეფის მიერ ხახულის ღმრთისმშობლისათვის ყმა-მამულის შეწირულების წიგნისა (1565-1585 წწ. პალ, 1991: 634).

გზ-ობ-ია-შვილ-ი ავთანდილ – ქუთაისის მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა (1575 წ. ქსძ, 1970: 279; პალ, 1991: 635), შდრ. გვარსახელები: **გზ-ობ-ა-ძე** და **გზ-ობ-ა-ვ-ა**.

გიგა-ბა-ძე გაბრიელ – აზნაურიშვილი, მღვდელ-მოძღვარი. გაათარხნა ნაზარალი-ხანმა (1696 წ. პალ, 1991: 636). შდრ. პირსახელი **გიგა** და გვარსახელები: **გიგანი, გიგაშვილი**. გვარსახელ **გიგაბაძე**-ში ანთროპონიმის ბოლოკიდური **ა** ხმოვანი და სუფიქსის **ა** ხმოვანი ორ **ა** ხმოვანს უნდა იძლეოდეს, მაგრამ ერთი მათგანი რედუცირებულია.

გიორგ-ობ-იან-ებ-ი – რაჭაში, ფუტიეთს მცხოვრებნი; ემართათ ქუთაისის საყდრის ბეგარა (1578 წ. ქსძ, 1970: 308), შდრ. პირსახელი **გიორგ-ობ-ა**, რომელსაც გიორგობის დღეს, ან სადაგ დღეებში დაბადებულთ არქმევდნენ. პირსახელი ამ ფორმით რეალურად დასტურდება 1790-1803 წწ. საბუთში: **გიორგობა** ბახტაძე – ხონის საყდრის მებეგრე (ქსძ, 1970: 1075).

გოგ-ებ-ა-შვილ-ი გოგ-იბ – მოწმე შანშე ჯავახიშვილის მიერ გიორგი ცალქალამანიძისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1609 წლის ახლოს. პალ, 1991: 676). საბუთებში წარმოდგენილია გვარსახელის ფონეტიკური ვარიანტები: **გოგ-იბ-ა-შვილ-ი // გოგ-იბ-ა-ს-შვილ-ი**, აგრეთვე მორფოლოგიური ვარიანტი **გოგ-იბ-ა-ძე** (1590 წ. პალ, 1991: 680-684). ოთხივე ფორმას ახსნა ქართულ ენაზე ეძებნება. ისტორიულ საბუთებში რეალურად დასტურდება პირსახელები **გოგ-იბა** და **გოგ-ებ-ი**, რომლებიც, ჩვენი აზრით, მომდინარეობენ პირსახელ **გოგ**-ისაგან: ვინმე **გოგიბა** გორიჯვრის წმინდა გიორგის საყდრის დეკანოზი ყოფილა (1590 წ. პალ, 1991: 680), ხოლო **გოგები** ჭუმბურიძე – სიმონეთს მცხოვრები (1812 წ. 3 ივნისი. ქსძ, 1970: 1116). ამ მონაცემთა გათვალისწინებით ვვარაუდობთ, რომ პირსახელ **გოგიბა**-ს გვერდით უნდა არსებულიყო მისი **გოგება**

ვარიანტიც (ი/ე ხმოვნების მონაცვლეობა ქართულისათვის უნივერსალო არ არის) და ორივე სახეობა დასდებია საფუძვლად საანალიზო გვარსახელებს: **გოგებ > გოგება > გოგებასშვილი > გოგებაშვილი, გოგიბ > გოგიბა > გოგიბასშვილი > გოგიბაშვილი.**

გოგ-ობ-ა-ს-შვილ-ი – ემართა ულუმბის ღმრთისმშობლის მონასტრის ბეგარა (XVI ს. პალ, 1991: 694), **გოგ-ობ-ა-შვილი** ბეჟიტა – გაყიდა ნახევარი წისქვილი (XVII ს. პალ, 1991: 694). შდრ. **გოგოშვილი** ავგაროზა (XVII ს. პალ, 1991: 695) და გოგოძე ელბადურ (XVI-XVII სს. პალ, 1991: 697), ან **გოგი-შვილი**.

გონგლ-იბ-ა-ის-ძე – ამუამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ბედიის მონასტრის წარწერებსა და სხვა წერილობით წყაროებში იხსენიებიან ბედიელი მთავარეპისკოპოსები: ნიკოლოზ **გონგლიბაისძე** (XIII ს. II ნახევარი), სოფრონ **გონგლიბაისძე** (XIII-XIV სს. მიჯნა) და მიქაელ **გონგლიბაისძე**[238]. **გონგლიბაისძე** ნ. მარის კვალდაკვალ ნააფხაზარ გვარად მიაჩნდა ს. ჯანაშიას, თუმცა მათ არ წარმოუდგენიათ რაიმე დამაჯერებელი არგუმენტი ამ გვარის აფხაზური წარმოშობის შესახებ[239]. რეალურად გვარსახელში გამოსაყოფია არა აფხაზური **-ბა** სუფიქსოიდიანი გვარსახელი, არამედ ქართული პირსახელი **გონგლ-იბა**, რომლის ძირია **გონგლ-**. შდრ. ამავე ძირის შემცველი პირსახელი **გონგლ-ია**, გვარსახელები: **გონგლ-ია-ს-შვილი** (გონგლიასშვილი – ჯვარში მცხოვრები მცხეთის მეკ'ულუხე – 1454 წ. პალ, 1991: 705) და **გონგლ-ია-შვილ-ი**. საყრდენი **გონგლ-** ძირის ამოსავალი **გოგლ-** ვარიანტი შემონახულია გყარსახელ **გოგლ-ი-ძე**-ში.

გონ-ებ-ა-შვილი – გურამიშვილის ნაყმევი (1693 წ. პალ, 1991: 705). შდრ. ვინმე **გონ-ია** – ვინმე გიორგის სახლიკაცი

---

[238] ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბ., 2005, გვ. 50.

[239] ს. ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. – წიგნში: ნ. ბარათაშვილი. ლექსები, პოემა, წერილები. თბ., 1939, გვ. 141. ამ ნაშრომის კრიტიკისათვის იხ.: თ. გვანცელაძე. ზოგი ქართული გვარსახელის სტრუქტურისა და წარმომავლობის საკითხისათვის. – ჟურნ. "ბედია", № 8-9, 2010. გვ. 319-332.

(XV ს. პალ, 1991: 647 და 705) და **გონ-ია-ს-შვილ-ებ-ი** (XVII ს. 90-იანი წწ. პალ, 1991: 705), აგრეთვე ახლანდელი ვარიანტი **გონიაშვილი.**

გუერ-ებ-ა-ს-შვილ-ი იოვანე – გვერდისუბანს მცხოვრები სახასო გლეხი. პატრონმა ნიტრიის მონასტერს შესწირა (1584 წ. პალ, 1991: 729). შდრ. **გუერ-ა-ს-ძე** – მისი განაყოფის ვენახი კახა თორელმა რკონის მონასტერს შესწირა (1260 წ. პალ, 1991: 729).

გურ-იბ-ია-ს-შვილ-ი – ხოფის ეკლესიის მებეგრე (1550 წ. პალ, 1991: 748). შდრ მეგრ. **გურ-ი** "გული".

დარიგებ-ა-შვილ-ი < **დარიბეგ-ა-შვილ-ი** ბარლი//ბარალა (1445-1452 წწ. პალ, 1993: 53).

დიდ-ებ-ა-შვილ-ი თანდილა და პაპუნა – მოწმეები მამულის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. პალ, 1993: 80).

კაკ-ობ-ა-შვილ-ი (1682 წ. პალ, 1993: 476), შდრ. პირსახელები: **კაკუა** < ***კაკო-ა** (კაკუა სანოძე – ხონს მცხოვრები, XVI ს. ბოლო. ქსძ, 1970: 363), **კაკ-ობ-ა** < ***კაკო-ობა** – სამთავისს მცხოვრები ბოგანო, სამთავნელის ყმა (XVII ს. II ნახ. პალ, 1993: 476) და ს. ხოირში (ამჟამინდელი ს. ოხურეი ოჩამჩირის რ-ნისა) დადასტურებული გვარსახელი **კაკუა** < ***კაკო-ა**: იშამორთა, მოირდინა და მხიარ[უ]ლა **კაკუები,** რომელთაც ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621 წ. პალ, 1993: 476-477). ყველა ეს ფორმა **აკაკი** > **კაკო**-საგან მომდინარეობს. **კაკუა** პირსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს ქართული გვარსახელი **კაკუბავაც,** რომლის მატარებელთა ნაწილი ამჟამად აფხაზებიც არიან.

მიქა-ბა-ძე დავით – გიორგი მეფემ განუახლა ძველი სასისხლო სიგელი და დაუმტკიცა სისხლის ფასი 100 000 ძველი თეთრი (1325 წ. პალ, 2004: 190). შდრ. პირსახელი **მიქა** (1547 წ. პალ, 2004: 189); **მიქა-ის-ძე** რაჭაში, ქორთას მცხოვრები (1259-1293 წწ. პალ, 2004: 191); პირსახელი **მიქა-ჲ** – მეღვინეთუხუცესი (1399-1419 წწ. პალ, 2004: 191); **მიქა-ს-შვილ-ი** – ციხედიდში მცხოვრები (1695-1697 წწ. პალ, 2004: 191); **მიქა-ძე** ამბროსი – ლუარსაბ მეფის

კარის ჯვარისმტვირთველი (1550-1556 წწ. პალ, 2004: 192), **მიქა-ვა-მიქაბაძისაგან** მომდინარეობს გვარი **ნიქაბაძე**.

მოდ-ებ-ა-ძე მამისა – კაცხის ეკლესიისათვის შეწირული (1515-1535 წწ. პალ, 2004: 204).

მ-შვიდ-ობ-ა-შვილ-ი ბერა (1677 წ. პალ, 2004: 234) და **მ-შვიდ-ობ-ა-ძე** დავით – სკრას მცხოვრები (1527-1558 წწ. პალ, 2004: 234). შდრ. **მ-შვიდ-ა-ძე** სარგის და დათია (XV ს. პალ, 2004: 235).

ნალ-ებ-ა-ს-შვილ-ი (1638-1661 წწ. პალ, 2004: 282) და **ნალ-ებ-ა-შვილ-ი** – გარეჯის მონასტრის ყმა (1690-1733 წწ. პალ, 2004: 282).

ტოტ-იბ-ა-ი-ს-შვილ-ებ-ი გურზი და გიორგი – გლეხები (1247-1260 წწ. პალ, 1993: 72). შდრ. ისტორიულ საბუთებში წარმოდგენილი პირსახელი **ტოტ-იბ-ა-ი**: ოლოლაძე **ტოტ-იბ-ა-ი** – ცხუკურს მცხოვრები, გელათისთვის შეწირული (1568 წ. პალ, 2004: 327), აგრეთვე კახეთში ამჟამადაც გავრცელებული პირსახელი **ტოტიბა**[240] და გვარსახელი **ტოტ-იკ-ა-შვილ-ი**.

ქაშ-იბ-ა-ძე ტაიბუყა – ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა (1578 წ. ახალსოფელი ქუთაისთან), შდრ. **ქაშ-ია-შვილ-ი, ქაშ-იბ-ა-ურ-ი**, რომელთა რეალური არსებობა საფუძველს გვაძლევს, **ქაშიბაძე** ფორმაში გამოვყოთ ქართული **-იბა** სუფიქსი და **ქაშ** ძირი.

ქაჩ-იბ-ა-ს-ძე, ქაჩ-იბა-ძე, ქაჩ-იბა-ია. მათგან პირველი ორი ვარიანტი დასტურდება XV საუკუნიდან. მიიჩნევა, რომ ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის, **ბარათა** ქაჩიბაძის სახელი დასდებია საფუძვლად ქვემო ქართლში მოსახლე ბარათაშვილთა საგვარეულოს (ო. ჟორდანია, ს. ჯანაშია), რაც სადავო არ არის, თუმცა ჩვენ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ს. ჯანაშიას მოსაზრება, რომ ქაჩიბაძენი თავდაპირველად აფხაზები ყოფილან და მათი საგვარეულო სახელი უკავშირდება აფხაზური ეთნოგრაფიული ჯგუფის **გეჩ**-ების (აფხაზურად: **ჟაჩ**) სა-

---

[240] ა. ღლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი. თბილისი, 1986, გვ. 194.

ხელწოდებას[241]. ამ ვარაუდს არც ისტორიული საბუთები უჭერს მხარს და არც **ქაჩ** და **გეჩ** ძირთა ფონემატური სტრუქტურა: თუ ამოსავალი აფხაზური ***გაჩიბა** გვარსახელი იყო, მისი მატარებლების გაქართველების შემთხვევაში ქართულად უნდა გვქონოდა არა **ქაჩიბა[ს]ძე**, არამედ ***გეჩიბა[ს]ძე** და ***გეჩიბაია**[242] ვარიანტები, რაც არცერთ წყაროში არ დასტურდება. გარდა ამისა, თუ ქაჩიბაძეთა და ქაჩიბაიათა, აგრეთვე ბარათაშვილთა საგვარეულოების წარმომადგენლები წარმომავლობით მართლაც აფხაზები იყვნენ, როგორც ამას ს. ჯანაშია ვარაუდობდა, მაშინ ამ გვართა წარმომადგენელთაგან ვინმეს მაინც უნდა რქმეოდა აფხაზური წარმოშობის სახელი, რაც არცერთ წერილობით წყაროში არ დასტურდება. ამრიგად, ამ გვარსახელთა აფხაზურობა ვერ დამტკიცდა, ამიტომ უპრიანია, გავითვალისწინოთ ქართულ ანთროპონიმებსა და გვარსახელებში გავრცელებული **-იბა** სუფიქსის არსებობის ფაქტი და ვიეარაუდოთ, რომ გვარსახელები **ქაჩიბაძე** და **ქაჩიბაია** ქართული წარმოშობისაა და მათ საფუძვლად უდევს ქართული პირსახელი **ქაჩიბა**. უფრო მეტიც, აშკარად ჩანს ამ ორი გვარსახელის მატერიალური კავშირი, ერთი მხრივ, ზემოთ განხილულ გვარსახელ **ქაშიბაძე**-სთან და, მეორე მხრივ, გვარსახელ **ქაც-იბ-ა-ია**-სთან, მით უმეტეს, რომ ქართველურ ენობრივ კონტინუუმში **შ/ჩ** და **ც/ჩ** მონაცვლეობანი უჩვეულო არ არის, ხოლო აფხაზურ სინამდვილეში რეალურად არ დასტურდება გვარსახელები ***ქაჩიბა**, ***ქაშიბა** და ***ქაციბა**.

ჩაჩ-[ი]ბ-ა-შვილ-ი გრიგოლ – ასვატურა ჩნახაშვილისათვის ვენახის ნასყიდობის წიგნის მიმცემი (XVI ს. პალ, 1993: 434). ამ გვარსახელს ბგერითი მსგავსების გარდა არაფერი აკავშირებს **შარვაშ-ის-ძე-თა** გვარსახელის მეორეულ აფხაზურ **ჩაჩ-**

---

[241] ს. ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. წიგნში: ნ. ბარათაშვილი. ლექსები, პოემა, წერილები. თბილისი, 1939, გვ. 148.

[242] სხვათა შორის, **გეჩ**-ის აფხაზური (ჯიქურ-საბური) თემის მფლობელ **გეჩ**-ის თავადური საგვარეულოს წარმომადგენლები ამჟამად ბათუმის გარეუბან ანგისაში ცხოვრობენ. მათი გვარი ქართულად **გეჩბაია** ფორმით ფიქსირდება და არა **ქაჩიბაია**-ს სახით.

ბა ვარიანტთან. შდრ. **ჩაჩა-ევა, ჩაჩა-შვილ-ი, ჩაჩ-იბ-ა-ძე, ჩაჩ-იბ-ა-ია, ჩანჩ-იბ-ა-ძე,** რომლებშიც გამოსაყოფია ქართული პირსახელები: **ჩაჩა, ჩაჩიბა** და **ჩანჩიბა.**

ჩიქობავა ბაძღუელა – ს. რობას მცხოვრები, მარტვილის ტაძრის ყმა (1753 წ. ქსძ, 1970: 837), შდრ. პირსახელი **ჩიქობელ-ი < *ჩიქობა-ელ-ი,** რომელიც დასტურდება ხობ'ში XVI ს. საბუთში (ქსძ, 1970: 349) და გვარსახელი **ჩიქავა,** აგრეთვე სამეგრელოში გავრცელებული პირსახელები: **ჩიქვი, ჩიქო**[243].

ცხოვრებაძე მახარებელი – ფერსათს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა (1578 წ. ქსძ, 1970: 318), **ცხოვრებაძეები** სეხნია და პაპუნა – ქვაციხეს მცხოვრები ყმები (1646 წ. პალ, 1993: 318), შდრ. პირსახელები: **ცხორებაა**[244], **ცხორებილაი**[245] და გვარსახელი **ცხოვრებაშვილი.** აქედანვეა მიღებული ოსებში გავრცელებული გვარი **ცხურბათი (ცხოვრებოვი).**

წუწუბავა გემაძალი – სამეგრელოს მცხოვრები (1673-1699 წწ. ქსძ, 1970: 616), შდრ. გვარსახელი **წუწუნავა.**

ხარებაძე ნასყიდა – ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა (1578 წ. ქსძ, 1970: 299). შდრ. პირსახელი **ხარება,** რომელსაც არქმევდნენ როგორც ხარების დღეს, ისე სადაგ დღეებში დაბადებულთ (ბაქრაძე **ხარება** – რაჭიდან კახეთში გადასული აზნაურიშვილი, კახთა მეფის კარის ბოქაული (1492 წ. პალ, 1991: 478), გვარსახელები: **ხარებაშვილი, ხარებავა**). აქედანვე მოდის ოსებში გავრცელებული ვარიანტი **ხარებათი (ხარებოვი).**

ხუცობავა პაპა – იხსენიება 2 საბუთში ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ს. ნაუანევის (ახლანდელი ოჩამჩირის რ-ნის ს. ჭლოუს ახლოს) მოსახლედ. მისი ფლობის უფლება სადაო გამხდარა აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძესა და ყვაპუ შარვაშიძეს შორის, ბოლოს კათა-

---

[243] ა. ღლონტი. დასახ. ნაშრ., გვ. 226.

[244] ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977, გვ. 26.

[245] პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. 2. ტექსტები. თბ., 1941, გვ. 127.

ლიკოსს წამოუყვანია და ხობს დაუსახლებია (1706 და 1712 წწ. ქსძ, 1970: 648-649, 670), შდრ. პირსახელები: **ხუცეს** (**ხუცეს** ვარდანია – ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონის ს. ჭლოუს ახლოს მდებარე ს. ხაუელის მცხოვრები 1621 წლისათვის (ქსძ, 1970: 431); **ხუცეს** გოგორდავა – ს. ჭალას, ანუ ამჟამინდელ ს. ჭლოუს მცხოვრები 1621 წლისათვის (ქსძ, 1970: 434), **ხუც-ი**[246], **ხუც-ია** (თავაქარაშვილი **ხუცია** – 1673 წ. პალ, 1993: 266), **ხუც-ობ-ა** (თუშისშვილი **ხუცობა** – კახეთში, ს. კისისხევის მცხოვრები. ქსძ, 1970: 911), გვარსახელი **ხუც-ი-შვილ-ი**.

ამ გვარსახელთა უმრავლესობა დღესაც დასტურდება საქართველოს სხვადასხვა მხარეში. დასახელებულთა გარდა, ამგვარივე სტრუქტურისა ჩანს ამჟამინდელ ქართულში გავრცელებული შემდეგი გვარსახელებიც:

არობაძე, არობაშვილი; ახუბავა – შდრ.: **ახობაძე, ახუბაძე**. ეს სამი გვარსახელი მორფოლოგიური სტრუქტურითაც და ფონეტიკურადაც განსხვავდება აფხაზური **აჰვბა [აჰ-ბა]** გვარისაგან; **გადიბაშვილი; გამარჯობაშვილი, გამარჯობაძე; გვადიბაძე** – შდრ. პირსახელი **გვადი; გიებაშვილი** – შდრ. პირსახელი **გია; გოგბაიძე > ოგბაიძე // ობგაიძე** – შდრ. პირსახელები: **გოგი, გოგიბა//გოგება; გოდებაძე // გოდიბაძე** – შდრ. პირსახელი **გოდება**[247] და გვარსახელი **გოდუაძე; გუდაბანძე, გუდაბაძე** – შდრ. გვარსახელი **გუდავა; დათებაშვილი** – შდრ. პირსახელები: **დათა, დათია, დათო, დათუა, დათება; დარბაიძე; დედებაშვილი; დელიბაშვილი; დილებაშვილი; დუმბაძე** – შდრ. გვარსახელი **დუმავა; ელიბაშვილი** – შდრ. პირსახელები: **ელია**, ან **ელიბო; ეჯიბაძე** – შდრ. აღმოსავლური წარმოშობის სამოხელეო ტერმინი **ეჯიბ-ი** და გვარსახელი **ეჯიბია; თადუმბაძე** – შდრ. გვარსახელი **თა[ვ]დუმაძე; თოთიბაძე** – შდრ. პირსახელი **თოთ-იბ-ია < *თოთ-იბა-ია: თოთიბია** ჯომინია – ნაჟანეულს მცხოვრები (1621 წ. ქსძ, 1970: 419), პირსახელი **თოთ-ია**, გვარსახელი **თოთ-ა-ძე; ინჯიბაშვილი** – შდრ. გვარსახელი **ინ-**

---

[246] ტბეთის სულთა მატიანე..., გვ. 160 და 347.
[247] ა. ღლონტი. დასახ. ნაშრ., გვ. 104.

ჯია; **კაცობაშვილი** – შდრ. პირსახელები: **კაცობა** (ადამია **კაცობა** – იხსენიება მათხოჯის დავთარში, XVII ს. II ნახ. პალ, 1991: 69), **კაც-ობ-ელ-ა** (ბარაბაძე **კაცობელა** – მათხოჯის მცხოვრები მესეფე კაცი, XVII ს. პალ, 1991: 387-390), გვარსახელები: **კაცაძე, კაცია, კაციაშვილი; კენკებაშვილი** – შდრ. გვარსახელები: **კენკაძე, კენკიშვილი; კვაცაბაია; კორხიბაშვილი** – შდრ. **კოხრე-ი-ძე < *კოხრა-ის-ძე; კოჩობაშვილი** – შდრ. სამეგრელოში გავრცელებული პირსახელი **კოჩობა**, რომელიც ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია პირსახელ **კაც-ობა**-სი; **კუტიბაშვილი** – შდრ. გვარსახელი **კუტივაძე; ლათებაშვილი, ლათიბაშვილი** – შდრ. აღმოსავლური ანთროპონიმი **ლათიფ // ლათიბ; ლალებაშვილი** – შდრ. გვარსახელი **ლალიაშვილი; ლოთიბაშვილი** – შდრ. ბიბლიური ანთროპონიმი **ლოთი; მიქელბაია** – შდრ. გვარსახელები: **მიქელაძე, მიქელაშვილი; ნადიბაიძე** – შდრ. გვარსახელი **ნადაშვილი; ნანებაშვილი // ნანობაშვილი** – შდრ. გვარსახელები: **ნანავა, ნანეიშვილი; ნასებაშვილი // ნასიბაშვილი** – შდრ. აღმოსავლური პირსახელი **ნასიბ; ნაღებაშვილი; რაჯაბაშვილი // რაჯებაშვილი** – შდრ. აღმოსავლური პირსახელი **რაჯაბ // რეჯებ; როსებაშვილი** – შდრ. ძველქართულ საბუთებში ხშირად დასახელებული პირსახელის ვარიანტები: **როსაბ // როსებ // როსაფ** (მაგალითად, 1793 წელს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში იხსენიება ვინმე **როსებ** მგალობლიშვილი. ქსძ, 1970: 1021); **როსტობაია** – შდრ. პირსახელები: **როსტომ, როსტია,** გვარსახელი **როსტიაშვილი; სოსებაშვილი** – შდრ. პირსახელ **ოსებ**-ის ვარიანტები: **სოსო, სოსა, სოსე, სოსია; ტალაბაძე** – შდრ. გვარსახელი **ტალიაშვილი; ტარბაიძე** – შდრ. ფრინველის სახელწოდება **ტარბ-ი,** რომელიც იოლად შეიძლებოდა გადაქცეულიყო მეტსახელადაც და პირსახელადაც; **უკლება** – ამ გვარის მატარებელთა ფუძე ტყიბულის რაიონის სოფელი კურსებია. ფორმა **უკლება** მაგიური ფუნქციის გაგვარებული ქართული პირსახელია და პირველად სწორედ ანთროპონიმად დასტურდება XV ს. ბოლოს დაწერილ საბუთში: მაღნარაძე **უკლებაი** – ინდოეთს მცხოვრები. მამამისს ივანეს დავით მეფემ სისხლის ფა-

სად 400 000 ძველი კირმანაული გაუჩინა (პალ, 2004: 100). ანთროპონიმის თავდაპირველი ფუნქცია ღვთისათვის იმის თხოვნაა, რომ ახლადდაბადებული ბავშვი არ დააკლდეს ოჯახს; **ურგებაშვილი, ურგებაძე** – ორივე გვარი უნდა მომდინარეობდეს მაგიური ფუნქციის **ურგებ-ი** სახელისაგან, რომლითაც ამ სულს მიანიშნებდნენ, ახლადდაბადებული ბავშვი შენთვის ურგები იქნება და შეგვარჩინეო; **ქათიბაშვილი** – შდრ. აღმოსაველური ანთროპონიმი **ქათიბ**; **ქალებაშვილი** – შდრ. გვარსახელი **ქალიაშვილი**; **ქებაძე** – შდრ. პირსახელი **ქება**[248]; **ქიშიბაძე**; **ქურდობაძე, ქურდუბაძე** – შდრ. გვარსახელი **ქურდაძე**; **ქურთუბაძე** < ***ქურთობაძე** – შდრ. გვარსახელი **ქურთიშვილი**; **შალიბაშვილი** – შდრ. პირსახელები: **შალვა** > კნინ. **შალა, შალია, შალიკო**; **ჩალაბაშვილი, ჩელებაძე** – შდრ. აღმოსავლური პირსახელი **ჩალაბ // ჩელები**; **ჩხობაძე**; **ცაცაბაშვილი, ცაცებაშვილი** – შდრ. გვარსახელები: **ცაციაშვილი, ცაცანაშვილი**; **ცვალებაშვილი**; **ციბაძე** – შდრ. პირსახელები: **ციბა** "ფინია"(სამეგრ.)[249], **ციბუა, ციბუნა**[250]; **ციებაშვილი**; **ცინცაბაძე** – შდრ. გვარსახელი **ცინცაძე**; **ციქობავა, ციქობაძე** > **ციქუბაძე** – შდრ. მოციქულის აღმნიშვნელი სიტყვა **ციქვი** ძველ ქართულში, პირსახელები: **ციქო, ციქა, ციქუ, ციქული** (ყველა სამეგრელოში)[251]; **ცუცხობაშვილი, ცუცხუბაია, ცხუცხუბაია** – შდრ. ოიკონიმი **ცუცხვ-ა-თ-ი** ტყიბულის რაიონში, რომელიც აშკარად ანთროპონიმ **ცუცხვა**-საგან მომდინარეობს; **ძვაბავა** – შდრ. ანთროპონიმი **ძობა**; **წველებაშვილი** – შდრ. გვარსახელი **წველაშვილი**; **წიქობაძე** – შდრ. გვარსახელი **წიქვაძე**; **წყალობაშვილი, წყალობაძე** – შდრ. მაგიური ფუნქციის ანთროპონიმი **წყალობა**: კუჭუხიძე **წყალობა** – ფარცმანაყანევს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621 წ. პალ,

---

[248] ტბეთის სულთა მატიანე..., გვ. 163 და 580.
[249] ა. ღლონტი. დასახ. ნაშრ., გვ. 229.
[250] გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლებისა. – "საქართველოს არქივი", III. თბ., 1927, გვ. 183.
[251] ა. ღლონტი. დასახ. ნაშრ., გვ. 229.

1993: 546); **ჭუმბაძე, ჭუმბაშვილი** – შდრ. პირსახელი **ჭუმბა**[252]; **ხარაბაძე** – შდრ. ძველქართულში აღმოსავლური ენებიდან ნასესხები ტერმინი **ხარაბა** "პარტახი, უპატრონო ქონება"; **ხუტიბაშვილი** – შდრ. ანთროპონიმი **ხუტა; ჯობავა, ჯობაძე** – შდრ. ბიბლიური ანთროპონიმი **იობ**-ისაგან მომდინარე პირსახელები: **ჯობა** (სამეგრ.)[253] და **ჯობაი** (სვან.)[254] და სხვ.

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი საკმაოდ დიდი მასალა სრულიად უეჭველს ხდის ვარაუდს, რომ ამ გვარსახელებსა და მათ საყრდენ პირსახელებში გამოსაყოფია არა აფხაზური წარმოშობის მაგვარსახელებელი **-ბა** სუფიქსი, არამედ რამდენიმე ქართული სუფიქსი: **-ობ-ა, -ებ-ა, -იბ-ა, -(ა)ბა**, რომელთაგან ზოგიერთს დამატებით შეიძლება ერთვოდეს კნინობითობის ქართული სუფიქსები (**-ელ-ა, -ია...**).

აქვე წამოიჭრება **-ობ-ა, -ებ-ა, -იბ-ა, -(ა)ბა** სუფიქსთა მორფოლოგიური ფუნქციის საკითხი, რის გასარკვევადაც მოვიხმობთ ისტორიულ დოკუმენტებსა და ამჟამინდელ ქართულში გავრცელებულ მამაკაცთა პირსახელებსა და მეტსახელებს (ქვემოთ ალ. ღლონტის მიერ გამოქვეყნებულ ანთროპონიმებს ვუთითებთ წყაროს დაუსახელებლად)[255]:

ამდუნაბა: ამდუნაბა ჭაჭია – ცაიშს მცხოვრები (1616-1621 წწ. ქსძ, 1970: 454);

ბაბადიბა: მჭიფია **ბაბადიბა** – ცაიშელი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (1616-1621 წწ. პალ, 2004: 246), **ბაბადიბა** ლომაია – ხიბულას მცხოვრები (1621 წ. ქსძ, 1970: 418), შდრ. **ბაბადია** ქუნია – ხოირს (ამჟ. ს. ოხურეი ონამჩირის რ-ნში) მცხოვრები (1621 წ. ქსძ, 1970: 424), **ბაბადიში** ჯაკონია – მუხურს (ამჟ. გალის რ-ნი) მცხოვრები (1621 წ. ქსძ, 1970: 427). ვფიქრობთ, პირსახელი **ბაბად-ი** მეგრული **ბაბადიდ-ი** "დიდი მამა, პაპა, ბაბუა" სიტყვის ფონეტიკური ვარიანტია;

ბარნობა (სამეგრ.), შდრ. **ბარნა** (სამეგრ.);

---

[252] ტბეთის სულთა მატიანე..., გვ. 421.
[253] ა. ღლონტი. დასახ. ნაშრ., გვ. 251.
[254] პ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრ., გვ. 120.
[255] ა. ღლონტი. დასახ. ნაშრ.

გვანიბა: აფხაზაცა **გვანიბა** – დარჩელის მცხოვრები (1616-1621 წწ. პალ, 1991: 193), **გვანიბა** სერგია – ცაიშს მცხოვრები (1616-1621 წწ. ქსძ, 1970: 443). შდრ. **გვანიშია ქორია** – დარჩელს მცხოვრები (1616-1621 წწ. ქსძ, 1970: 451);

გიგაბა[256], შდრ. **გიგა**. მოსალოდნელი ორი **ა** ხმოვნიდან ერთ-ერთი რედუცირებულია;

გოჩაბა[257], შდრ. **გოჩა**. მოსალოდნელი ორი **ა** ხმოვნიდან ერთ-ერთი რედუცირებულია;

გოჯაბა (სამეგრ.), შდრ. **გოჯი** (სვან., მთიულ.);

გუჯბა (სვან.), შდრ. პირსახელ **ელგუჯა**-ს კნინობით-ალერსობითი ვარიანტები: **გუჯი, გუჯა**;

ვაჟობა: გრიგოლია **ვაჟობა** – ხოირს (ამჟ. ს. ოხურეი ოჩამჩირის რ-ნში) მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621 წ. პალ, 1991: 724); **ვაჟობა** ჯაკონია – მუხურს (ამჟ. გალის რ-ნი) მცხოვრები (1621 წ. ქსძ, 1970: 426); **ვაჟობა** ჟორჟოლიანი – მაღლაკს მცხოვრები (1578 წ. ქსძ, 1970: 286). შდრ. პირსახელები: **ვაჟა, ვაჟიკა, ვაჟია**;

ზვიდება (რაჭა);

თვალობა: გირგალაძე **თვალობა** – ბაგრატ მეფის მეღვინეთუხუცესის ვაჟი (1510-1565 წწ. პალ, 1991: 665); **თვალობა** ჟორჟოლიანი – მაღლაკს მცხოვრები (1578 წ. ქსძ, 1970: 286). შდრ. პირსახელი **თვალია**: **თვალია** ანდღულაძე – ბახვს მცხოვრები (1578 წ. ქსძ, 1970: 337);

ივანება: **ივანება** ფათხავა – ჯგალს მცხოვრები (ქსძ, 1970: 471). შდრ. პირსახელი **ივანე**. მოსალოდნელი ორი **ე** ხმოვნიდან ერთ-ერთი რედუცირებულია;

კაციბაი: **კაციბაი** კოდუა – ნაჟანეულს მცხოვრები (XVI ს. ბოლო. ქსძ, 1970: 382). შდრ. პირსახელები: **კაცი, კაცია, კაცობა**;

კოჩობა // კოჩოფა "კაცობა", **კოჩაბა** (სამეგრ.), შდრ. **კოჩა, კოჩია** (სამეგრ.). ყველა დასახელებული ანთროპონიმი საერთო-

---

[256] ტბეთის სულთა მატიანე..., გვ. 479.

[257] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. XV-XVIII სს. I. თბ., 1940, გვ. 404.

ქართული **კაც-** ძირის ფონეტიკური და მორფოლოგიური ვარიანტებია;

მახობა: კიკალაშვილი **მახობა** – დავით წულუკიძისათვის მეფისაგან ნაწყალობევი ყმა (1570 წ. პალ, 1993: 509). შდრ. **მახუტ-ია** გომთინირია – მუხურს (ამჟ. გალის რ-ნი) მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621 წ. პალ, 2004: 132), პირსახელები: **მახა, მახო, მახუა, მახუტა**, გვარსახელები: **მახაძე** (სურამი, XVI ს. ბოლო. ქსძ, 1970: 355) **მახუტაშვილი**, რომლებიც იხსენიება XVII ს. საბუთებში (პალ, 2004: 132), **მახაური**;

მინდობაი: არაბიძე **მინდობაი** – ქალაქელი (ქუთაისელი) ხელოსანი, მოწმე პირობის წიგნისა (1505-1519 წწ. პალ, 1991: 161). შდრ. პირსახელი **მინდია**.

ნაობა: აბიხონაშვილი **ნაობა** – უსისტყეს მცხოვრები, სამთავნელის ყმა, საამილახვროს დაყთრის მიხედვით, მისი კომლიდან ორ კაცს ეყალებოდა შუბით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. პალ, 1991: 56).

ნუნობა (კახ.);

სასება (ხევსურ.), შდრ. **სასი, სასო** (სვან.);

სოსება (კახ.), შდრ. გვარსახელი **სოსებაშვილი**, პირსახელები: **სოსო, სოსა, სოსია**;

ტატება < ტატე < ესტატე. მოსალოდნელი ორი **ე** ხმოვნიდან ერთ-ერთი რედუცირებულია;

ტოტობა;

უკოჩობა "უკაცობა" (სამეგრ.);

უტულობა (სამეგრ.), შდრ. **უტუ** (სამეგრ.);

ულვინობა: კერშილავა **ულვინობა** – ემართა ჯგალის ციხის ბეგარა (1616-1621 წწ. პალ, 1993: 497), **ულვინობა** ქარცხია – ხიბულას მცხოვრები (1621 წ. ქსძ, 1970: 416);

ქაქუბაი (სვან.), შდრ. **ქაქუ** (სვან.), ოიკონიმი **ქაქუ-თ-ი** გურია-აჭარის საზღვართან;

ქერაბაი[258], შდრ. პირსახელი **ქერა** და გვარსახელი **ქერაშვილი**;

ქოცება (კახ.), შდრ. მეტსახელი **ქოცო**;

ღამება – შდრ. გვარსახელი **ღამბაშიძე**;

ღვინობა: კოპისშვილი **ღვინობა** – ჯიმითელი (კახ.), სვეტიცხოველისათვის მეფისაგან შეწირული (1601 წ. პალ, 1993: 528), შდრ. პირსახელი **ღვინია**: ლაგრაძე **ღვინია** – ჯავახიშვილის ასულის მზითვის წიგნის მოწმე (1597 წ. პალ, 1993: 547);

ჩოჩება[259], შდრ. პირსახელები: **ჩოჩი, ჩოჩე, ჩოჩო** და გვარსახელი **ჩოჩიშვილი**. ამაგე წარმომავლობისა უნდა იყოს ოსებში გავრცელებული გვარი **ჩოჩიევი**;

ჭყოლოფა // ჭყოლოფია (სამეგრ.) – შდრ. პირსახელი **წყალობა**;

ხუხულობა: ზარქუა **ხუხულობა** – თიღიოს (ამჟ. ს. თხინა ოჩამჩირის რ-ნში) მცხოვრები. ემართა აფსაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621 წ. პალ, 1993: 209). შდრ. პირსახელები: **ხუხულია** (ვართაგაევა **ხუხულია** – ცაიშის საყდრის ყმა, 1616-1621 წწ. პალ, 1993: 172; ლატარია **ხუხულია** – ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა, 1616-1621 წწ. პალ, 1993: 555; **ხუხულია** ამბალია – ხოირს მცხოვრები, იხსენიება ორჯერ, 1621 წ. ქსძ, 1970: 425), აგრეთვე პირსახელები: **ხუხუ, ხუხუა, ხუხუნი, ხუხუნია**.

ჯამარიბა: **ჯამარიბა** კოდუა – ცაიშს მცხოვრები (1616-1621 წწ. ქსძ, 1970: 444), შდრ. გვარსახელი **ჯამრიშვილი**.

***

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ბა მარცვლის შემცველი გვარსახელებისა და ანთროპონიმების შედარება იმ გვარსახელებთან და პირსახელებთან, რომლებშიც ეს მარცვალი არ დასტურდება, იძლევა შემდეგი დასკვნების გამოტანის უფლებას:

1. აქ განხილული არცერთი გვარისა და ანთროპონიმის არც ფუძე/ძირი და არც მაწარმოებელი აფიქსები არ არის აფხაზური წარმოშობისა;

---

[258] ტბეთის სულთა მატიანე..., გვ. 481.

[259] გ. ბოჭორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 158.

2. განხილულ ქართულ გვარებსა და ანთროპონიმებში ბა მარცვალი სხვადასხვა ფუნქციისა და აგებულებისაა:

ა) შედის საკუთრივ ქართველური წარმოშობის აბსტრაქტულობის -ობა და -ება სუფიქსების შემადგენლობაში (სახელებში: წყალ-ობა, გიორგ-ობა, კაც-ობა, უღვინ-ობა, ღვინ-ობა, შკლ-ება, ცხოვრ-ება, ხარ-ება...). სახელთა ერთ ნაწილში ეს სუფიქსები აშკარად კნინობითობის გამომხატველია;

ბ) საყრდენი სახელის განუყოფელი ნაწილია (გვარსახელებში: ბარაბა-ძე, ციბა-ძე, ძვაბა-ვა, ხარაბა-ძე...);

გ) ბა მარცვლის ბ თანხმოვანი წინამავალი ანთროპონიმის ფუძის განუყოფელი ნაწილია, ხოლო ა ხმოვანი კნინობითობის სუფიქსია (ეჯიბ-ა-ძე, ლათებ-ა-შვილი // ლათიბ-ა-შვილი, ნასებ-ა-შვილი // ნასიბ-ა-შვილი, რაჯაბ-ა-შვილი // რაჯებ-ა-შვილი, როსებ-ა-შვილი, ტარბ-ა-ი-ძე, ქათიბ-ა-შვილი, ჩალაბ-ა-შვილი, ჩელებ-ა-ძე, ჯობ-ა-ვა, ჯობ-ა-ძე);

დ) -ბა მარცვალი კნინობითობის დამოუკიდებელი -(ა)ბა სუფიქსის ნაწილია და იმავე ძირისაგან ნაწარმოებ სხვა სახელებში მას ენაცვლებიან კნინობითობის სხვა, კერძოდ, -ა, -ია, -იკა, -უა, -ნა სუფიქსები (გვარსახელებში: გიგაბაძე, დარბაიძე, მიქაბაძე > ნიქაბაძე, წუწუბავა, გოგბაიძე, გუდაბანძე, გუდაბაძე, დუმბაძე, თადუმბაძე, კვაცაბაია, მიქელბაია, როსტობაია, ტალაბაძე, შხვაცაბაია, ცაცაბაშვილი, ცინცაბაძე, ჭუმბაძე, ჭუმბაშვილი; პირსახელებში: გიგაბა, გოჩაბა, გოჯაბა, გუჯბა, ქაქუბაი, ქერაბაი, ჭუმბა);

ე) ბა მარცვალი შედის კნინობითობის დამოუკიდებელი -იბა სუფიქსის შემადგენლობაში და იმავე ძირისაგან ნაწარმოებ სხვა სახელებში მას ენაცვლებიან კნინობითობის სხვა, კერძოდ, -ა, -ია, -იკა, -უა, -ნა სუფიქსები (გვარსახელებში: გადიბაშვილი, გვადიბაძე, გოგიბა[ს]შვილი, გოგიბაძე, გონგლიბაისძე, გურიბიასშვილი, დელიბაშვილი, თოთიბაძე, ინჯიბაშვილი, კორხიბაშვილი, კუტიბაშვილი, ლოთიბაშვილი, ნადიბაიძე, ტოტიბაისშვილი, ქაშიბაძე, ქაშიბაური, ქაჩიბა[ს]ძე, ქაჩიბაია, ქაციბაია, ქიშიბაძე, ჩაჩ[ი]ბაშვილი, ჩანჩიბაძე, ჩაჩიბაია, ჩაჩიბა-

ძე, ხუტიბაშვილი; პირსახელებში: ბაბადიბა, გვანიბა, გოგიბა, კაციბაი, ტოტიბა[ი], ჯამარიბა).

ამრიგად, ძველ დოკუმენტებსა და ამჟამინდელ ქართველურ დიალექტებში გამოვლინდა კნინობითობის საკმაოდ პროდუქტიული, სპეციალურ ლიტერატურაში აქამდე უცნობი ორი სუფიქსი: -იბა და -(ა)ბა, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ აფხაზურ გვარსახელთა მაწარმოებელ -იბა და -ბა სუფიქსოიდებთან.

§ 3. ქართულ გვართა გავრცელების ისტორიული არეალი აფხაზური სოფლების მიკროტოპონიმთა მიხედვით

იმ ფაქტით, რომ თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე თავდაპირველად ქართველური მოსახლეობა ბინადრობდა, ხოლო XVI საუკუნიდან აქ ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულმა აფხაზებმა (აფსუებმა) დამხვდურთა ნაწილი განდევნეს მდ. ენგურის მარცხენა მხარისაკენ, მეორე ნაწილი კი დარჩა თავის მამაპაპურ მიწაზე, მაგრამ დროთა მანძილზე შეერწყა მოსულ მოსახლეობას და დაკარგა ქართული ეთნიკურ-ენობრივი იდენტობა, აიხსნება ის გარემოება, რომ დღევანდელ აფხაზთა (აფსუათა) შორის ძალზე ფართოდაა გავრცელებული ქართველური წარმოშობის სხვადასხვაგვარი მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე გვარსახელები (-ია, -ფა, -უა, -ძე და -შვილი დაბოლოებიანი გვარსახელები).

აქ განვიხილავთ ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონების აფხაზურ სოფლებში ჩვენ მიერ 1970-1990 წლებში ყოველწლიური ექსპედიციების დროს შეკრებილ იმ მიკროტოპონიმებს, რომლებშიც ერთ-ერთ კომპონენტად გამოდის ქართველური წარმოშობის გვარსახელები. ამჯერად არ ვაანალიზებთ იმ სოფელთა მიკროტოპონიმიას, რომლებშიც რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდის დაწყებამდე (1992 წლამდე) წარმოდგენილი იყო ნარევი, აფხაზურ-ქართული მოსახლეობა (მაგალითად, აფხაზები და ქართველები გვერდი-გვერდ სახლობდნენ გუდაუ-

თის რაიონის სოფელ ოთპარაში, ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიაში და ა.შ.).

დავიწყოთ გუდაუთის რაიონით.

სოფელ **აბლარხუქში** არის უბანი, რომელსაც აფხაზურად **არგჳნაა რქაფთაჟ** ეწოდება. ეს სახელი ითარგმნება როგორც "არგუნების (არგუნთა) ძველი პარტახი". **არგუნ** ამჟამად ერთ-ერთი მცირერიცხოვანი აფხაზური გვარია, მაგრამ მას არ ეძებნება დამაჯერებელი ახსნა აფხაზურ ენაზე. რეალური ჩანს ამ გვარსახელის განმარტება ქართველურ ნიადაგზე: მეგრულ მეტყველებაში **არგუნ-ი** ხელცულის სახელია, რომელიც იოლად შეიძლებოდა ქცეულიყო ჯერ მეტსახელად, შემდგომ კი გაგვარებულიყო. ამ მოსაზრებისათვის დაბრკოლება არ უნდა იყოს ის, რომ ამჟამად ასეთი გვარი ქართველებში (მეგრელთა შორის) არ არის გავრცელებული. მცირერიცხოვანი გვარის მასობრივი გააფხაზება წარმოუდგენელი არ ჩანს.

ამავე სოფელში მდებარე ტაფობსა და ხეობას **ბიაა რჳაჳა** "ბიაების ტაფობი" ეწოდება. რაკი გვარსახელი **ბიავა** ქართული წარმოშობისაა, ეს მიკროტოპონიმიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აფხაზებს ამ ადგილას ქართული მოსახლეობა დახვედრია.

სოფელ **ბლაბურხვაში** არის ადგილი **ქანთრჳფშ,** რომელიც სრულად არ იხსნება აფხაზურ ენაზე. ტოპონიმი, ჩვენი აზრით, ჰიბრიდული, ქართულ-აფხაზური სახელია: პირველი კომპონენტია **ქანთრ,** გვარსახელ **ქანთარ-ია**-ს ძირეული ელემენტი. მას ერთვის ქართულიდან ნასესხები **ფშა** სიტყვის ხმოვანმოკვეცილი ნაწილი, რომელიც აფხაზური წარმოშობის ძირებსაც დაერთვის და ქართველურსაც (შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ, აფხაზური **ზანლ-რჳ-ფშ** "ზვანდვების ფშა" და, მეორე მხრივ, ჰიბრიდული **გულ-რჳ-ფშ** ქართ. გვარსახელ **გულ-ია**-ს ძირი + აფხაზ. მრ. რ. კუთვნილების პრეფ. **რ(ა)-** + ძირი **ფშ** (მთლიანად ტოპონიმი ნიშნავს "გულიების ფშას"[260]). მიკროტოპონიმ **ქანთრჳფშ**-ში ერთმანეთის მეზობლად უნდა ყოფილიყო ორი **რ**

---

[260] **-რჳ-ფშ** დაბოლოებიან ტოპონიმთა შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ.

თანხმოვანი: ერთი ქართული გვარის ფუძის ნაწილი, მეორე კი აფხაზური კუთვნილების პრეფიქსი, მაგრამ ერთი მათგანი რედუცირებულია, რაც უცხო არ არის აფხაზური ენისათვის. ამრიგად, ვვარაუდობთ, რომ საანალიზო სახელი შეიქმნა მას მერე, რაც ამ ადგილას უკვე არსებობდა ქართველი ქანთარიების დასახლება.

სოფელ **მგუძირხვაში** ზღვის ნაპირას არის ადგილი, რომელსაც **ჩჯან ითჯ** ჰქვია. სახელი ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "ჩიქვანის (ჩიქოვანის) ადგილი (მიწა)", თუმცა ჩვენ მიერ მასალის შეკრებისას სოფელში ჩიქოვანი არავინ ცხოვრობდა და არც ჩვენმა ინფორმატორებმა იცოდნენ რაიმე ასეთი ფაქტის შესახებ, მაგრამ სრულიად უდავოა, რომ აფხაზურ ენას შემოუნახავს უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზთა მოსვლამდე ჩიქოვანებს უცხოვრიათ ყოფილ ქართულ სოფელ მებოძირში (შდრ. ამჟამინდელი სახელი **მგუძირხა**: კლასიკ. ქართ. **მებოძირი // ნებოძირი** "გზაჯვარედინი" + აფხაზ. კუთვნ. პრეფ. **რ-** + აფხაზ. **ა-ხჳ ახა** "ბორცვი").

მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ **კალდახვარაში** არსებობს მიკროტოპონიმები: **ამფარაა რთაბგარა** "ამფარების ფლატე" (ზედმიწ.: "ამფარების ჩანგრეული მიწა"), **ამფარ იხჳ** "ამფარის ბორცვი". ორივე სახელში შემავალი ამჟამინდელი აფხაზური გვარსახელი **ამფარ** ქართულ გვარსახელ **მეფორია**-ს აფსუიზებული მეორეული ვარიანტია: გვარის მაწარმოებელი **-ია** სუფიქსი ჩამოცილებულია და ფუძეზე დართულია აფხაზური **ა-** თავსართი ისევე, როგორც ამ ტიპის სხვა ქართულ გვართა წარმომადგენლების გააფხაზების დროს მომხდარა (შდრ.: ქართ. ჯინჯოლ-**ია** – აფხაზ. **ა-ჯჳნჯალ**, ქართ. მექვაბ-**ია** // მიქვაბ-**ია** – აფხაზ. **ა-მჭაბ** // **ა-ნჭაბ**, ქართ. ბულისკირ-**ია** // ბულეისკირი – აფხაზ. **ა-ბლჳსკ'ვრ**). რაც შეეხება სხვაობას გახმოვნებაში, ამ შემთხვევებში ზუსტადაა დაცული სესხების ფონეტიკური კანონზომიერებანი. ამრიგად, აღნიშნული საკმაო საფუძველს ქმნის იმის სამტკიცებლად, რომ ამ ადგილას აფხაზთა მოსვლამდე რეალურად მცხოვრები მე-

ფორიას საგვარეულოს ქართველები დროთა მანძილზე გააფხაზებულან.

სოფელ **ყულანურხვაში** ერთ-ერთ უბანსა და იქვე მდებარე მაღლობს **ოსიაა რხეჯ** "ოსიების გადასახედი" ეწოდება. ამ უბანში ახლაც სახლობენ გააფხაზებული **ოსია**-ს გვარის წარმომადგენლები. მათი გვარსახელის ქართულობას, ვფიქრობთ, მტკიცება არც სჭირდება, მაგრამ მაინც დავძენთ, რომ გვარსახელს საფუძვლად უდევს ანთროპონიმ **ოსებ**-ის ქართული კნინობითი **ოსია** ფორმა.

სოფელ **ჯირხვაში** არის ხევი და მისი ხეობა, რომელსაც **ემხაა რჩაჳა** "ემხვარების ტაფობი" ეწოდება. **ემხაა // აემხაა** ქართულ გვარსახელ **ემხვარ**-ის აფსუიზებული ვარიანტია. სამურზაყანოში გავრცელებული **ემხვარ-ი** სახეობა, თავის მხრივ, სამოხელეო **ამირ-ახორ-ი** ტერმინისაგან მომდინარე ქართული **ამილახორ-ი // ამილახვარ-ი** გვარის სახესხვაობაა. მიკროტოპონიმი ცხადად მიანიშნებს, რომ ამ სოფლის მიწაზე აფხაზთა მოსვლამდე ქართველ ემხვარებს უცხოვრიათ.

იმავე სოფელში არის კიდევ ერთი საყურადღებო ჰიდრონიმი – **საქანიაა რჩჯ** "საქანიების წყარო", რომელსაც საფუძვლად უდევს ასევე ქართული გვარსახელი **სექანია // საქანია**. ამ შემთხვევაშიც ცხადია, რომ წყაროს სახელი ამჟამად უკვე გააფხაზებული ქართველების იქვე სახლობის გამო დარქმეულია...

ახლა კი განვიხილოთ ოჩამჩირის რაიონის შესაბამისი მასალა.

სოფელ **აფხაზური ათარის** ერთ-ერთ უბანს **ანდღლლოუ** "ანდღულავა" // **ანდღლლოუაა** "ანდღულავები" ეწოდება. მიკროტოპონიმის ვარიანტებს საფუძვლად ქართული გვარსახელი **ანდღულაჲა** (შდრ. **ანდღულაძე**) დასდებია, რომელიც ტრანსფორმირებულია აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სესხების კანონზომიერებათა შესაბამისად. სახელის პირველი ვარიანტი გვარის მხოლობითი რიცხვის ფორმაა, მეორე კი – კრებითი მრავლობისა. უეჭველია, რომ ამ სოფელში აფხაზთა მოსვლამდე ანდღულავას ქართულ გვარს უცხოვრია.

იქვე დასტურდება მინდვრის სახელი **არსთაა ძაშთა** "არისთავას მინდორი; არისთავას ეზო". ამჟამად ამ სოფელში არისთავები აღარ სახლობენ, თუმცა ამ გვარის მქონე რამდენიმე აფხაზური ოჯახი ცხოვრობს გუდაუთის რაიონში. გვარი აფსუიზებული ქართული **ერისთავია.**

ამავე სოფელში არის ბორცვისა და უბნის სახელი **გარგაა რხჳ,** რაც გერგიების (გვარი გერგია), ან გიორგიების (გვარი გიორგია) ბორცვს ნიშნავს. ცხადია, სახელი იმ დროის ანარეკლია, როცა აქ ქართველებს უცხოვრიათ. ზუსტად ასეთივე ტიპისაა ამავე სოფლის მიკროტოპონიმები: **გჳგაა რხჳ** "გეგიების ბორცვი" (ბორცვი; უბანი), **დოპუაჯარა** "დოპუას ღელე" (ღელე), **დოპუაჭთ** "დოპუას სოფელი" // **დოპუაა რჭთ** "დოპუების სოფელი" (უბანი). ეს სახელებიც მიგვანიშნებენ, რომ ამ სოფლის ტერიტორიაზე თავიდან ქართველ გეგიებსა და დოპუებს უცხოვრიათ. მეტიც შეიძლება ითქვას: ტოპონიმები **დოპუაჭთ** "დოპუას სოფელი" // **დოპუაა რჭთ** "დოპუების სოფელი" გვავარაუდებინებს, რომ ამჟამინდელი სოფელ აფხაზური ათარის ადგილას აფხაზთა მოსვლამდე უნდა არსებულიყო ქართული სოფელი, რომლის მოსახლეობაც ერთი გვარის (დოპუას) წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. სხვათა შორის, ჩვენი აფხაზი ინფორმატორები ერთხმად აღნიშნავდნენ, ამ სოფელს ადრე **დოპუაა რჭთ** ერქვაო. ამის გათვალისწინებით შეგვიძლია დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ სოფელს თავიდან მეგრულად **დოპუაში,** ან **ლედოპუე** ერქვა.

სოფელ **არასაძიხში** ერთ-ერთ ღელეს **ლაგჳლაა რჳფსჯკჳრთა** "ლაგვილავების სათევზაო, თევზსაჭერი" ჰქვია. იქვე გააფხაზებული ლაგვილავები მართლაც ცხოვრობენ. აშკარაა, რომ ისინი ამ სოფლის ავტოქთონები არიან და სათევზაოც მათი ყოფილა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს აფხაზური სახელი არ უნდა გაჩენილიყო ლაგვილავების გააფხაზების შემდეგ, იგი, ჩვენი აზრით, კალკირებული ჰიდრონიმია და ალბათ მეგრულ დიალექტზე ყოერდა როგორც **ლაგვილეფიშ ოჩხომე.** არსებითია იმის გათვალისწინებაც, რომ აფხაზთა რაცი-

ონში თევზი არ შედიოდა და სახელი "სათევზაო" თავდაპირველად ამ ენაზე არ შეიქმნებოდა.

სოფელ **აძვიბჟას** (აფხაზ. "ორ წყალს შუა") ჯერ კიდევ XIX საუკუნეში **შუაწყალი // შუაწყარი // შვაწყალი** რქმევია, რაც ასახულია რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში, ხოლო გ. გასვიანის მიერ გამოქვეყნებულ XIX საუკუნის 30-იანი წლების ნათლობის ქართულენოვან წიგნებში სოფლის სახელად წარმოდგენილია **შქაწყალი**[261] (მეგრ. "შუაწყალი"). მაგალითად, **შუაწყალის** სახელით მოიხსენიება ეს სოფელი კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების 1862-1863 წლების ანგარიშში[262], იმავე საზოგადოების 1868 წლის ანგარიშში მას **შუაწყარი** ჰქვია[263], ხოლო **შვაწყალი** ფორმა დასტურდება საზოგადოების 1888 წლის ანგარიშში[264]. ცხადია, აფხაზური სახელი ქართული ვარიანტების კალკირებული თარგმანია. ამ სოფელში ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე გეოგრაფიული სახელი დასტურდება. კერძოდ: **გულიაა რქაფთა** "გულიების პარტახი" (უბანი), **დადიანიში ნამარანი** "დადიანის ნამარნევი" (ადგ.; ეს ტოპონიმი მთლიანად მეგრული ფორმითაა წარმოდგენილი), **მალანიაა რქაფთა** "მალანიების პარტახი" (ადგ.). რა თქმა უნდა, ამ სახელებიდან ირკვევა, რომ სოფელ შუაწყალში // შქაწყარში თავიდან ქართველებს (გულიებსა და მალანიებს) უცხოვრიათ და იგი დადიანთა საკუთრება ყოფილა.

სოფელ **გუფში** ნაციხარს **არანაა აბააჯ** "არონიების ძველი ციხე" ჰქვია. იქვეა უბნები: **ბაგათელიაა რჩხწა** "ბაგათელიების ბორცვის ძირი", **ბრჯსკლაა რჭნხართა** "ბულეისკირების // ბულისკირიების საცხოვრისი", ბორცვი **დაჩიაა რხჯ** "დოჩიების ბორცვი", მაღლობები: **კაკაა რხჯ** "კაკავების ბორცვი", **ლაზა-**

---

[261] გ. გასვიანი. აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები..., გვ. 182.

[262] ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 927.

[263] იქვე, გვ. 944.

[264] იქვე, გვ. 993.

რიაა რხჳ "ლაზარიების ბორცვი", **ხუნტუაა რხჳ** "ხუნტუების ბორცვი". ყველა ეს სახელი ადასტურებს ამ სოფელში ქართველთა რამდენიმე საგვარეულოს, კერძოდ, არონიების, ბაგათელიების, ბულეისკირების // ბულისკირიების, დოჩიების, კაკავების, ლაზარიების, ხუნტუების ავტოქთონობას.

სოფელ **თხინაში** (< ქართ. **თხილნარი**) ერთ ღელეს **ბიგუაა რკჳარა** "ბიგვავების ღელე" ეწოდება. გვარსახელი **ბიგვავა** კი უეჭველად ქართულია.

სოფელ **კვიტოულში** (> აფხაზ. **კუტოლ**) დასტურდება ადგილის სახელი **გუჯუა იქაფთა** "გუჯუას პარტახი", რომელსაც საფუძვლად ქართული **გუჯუა** გვარსახელი უდევს. აქვეა წყაროს სახელები: **ვარდანაა რძჳ** "ვარდანიების წყარო", **საბუაა რძჳ** "სებუების // ესებუების წყარო"; მინდვრის სახელი **ჟანაა რლჳ** "ჟანავების მინდორი", მაღლობის სახელი **საბუაა რხჳ** "(ე)სებუების ბორცვი", უბანი **ჭოლოკუაა რჰაბლა** "ჭოლოკუების უბანი". კვიტოულის თემშივე შედის სოფელი **სამახარია**, რომლის სახელწოდებაც მთლიანად ქართული ფორმითაა წარმოდგენილი და **მახარიას** ქართული გვარსახელისგან მოდის.

სოფელ **კინდღში** დასტურდება მიკროტოპონიმები: **გაგაა რხჳ** "გოგიების ბორცვი" (მაღლ.), **დაუთიაა** "დაუთიები" (ადგ.), **კოღონიაა რქაფთა** "კოღონიების პარტახი" (ადგ.), **ლაკაატაა რხჳ** "ლაკვატავების ბორცვი" (მაღლ.), **ხახულიაა** "ხახულიები" (ადგ.), **ხოჭაა იწა** "ხოჭავას ვაშლი" (ადგ.). ყველა ეს სახელი ადასტურებს სოფელში ქართველთა, კერძოდ, გოგიას, დაუთიას, კოღონიას, ლაკვატავას, ხახულიასა და ხოჭავას გვართა წარმომადგენლების თავდაპირველ სახლობას.

სოფელ **მოქვში** დასტურდება შემდეგი მიკროტოპონიმები: **ადიან იქაფთა** "დადიანის პარტახი" (ადგ.; **ადიან** გვარსახელ **დადიანის** აფხაზური ვარიანტია), **გუნიაა რგაგარა** "გუნიების ტაფობი" (ტაფობი), **კაკასკრაა რხჳ** "კვეკვესკირების ბორცვი" (მაღლ.), **კარტაა რხჳ** "კორტავების ბორცვი" (მაღლ.), **ჯაბალ**

“ქობალია” (უბანი), **ჩამაა რრაჭგს** “ჩამავას ნორჩი თხილნარი” (ადგ.), **ჭაკაა რააფთრა** “ჭოკუების საქონლის ბაკი” (ადგ.). ეს სახელებიც ადასტურებენ, რომ ისტორიულ სოფელ მოქვ'ში, რომელიც საეპისკოპოსოს რეზიდენციაც იყო, თავიდან ქართული მოსახლეობა ბინადრობდა და მათი გვარები ყოფილა: დადიანი, გუნია, კეკეკესკირი, კორტავა, ქობალია, ჩამავა, ჭაკუა. სოფლის მეპატრონედ დადიანთა ერთ-ერთი შტოა სავარაუდო: რაკი აქ არსებულ ადგილს აფხაზურად “დადიანების პარტახი” ჰქვია, ეს გვაგულისხმებინებს, რომ დადიანები გარკვეულ დრომდე სახლობდნენ აქვე და შემდეგ ამოწყვეტილან.

სოფელ **ოტაფში** არის უბანი **ქუთელიაა რცუთა**-ს (“ქუთელიების უბანი”) სახელწოდებით. იქვეა მაღლობები: **ქუთელიაა რხწ** “ქუთელიების ბორცვი” და **ჯელიაა რხწ** ”ჯელიების ბორცვი”.

სოფელ **ტყვარჩელში** მიედინება ღელე **გოგიაა რკარა** “გოგიების ღელე”. აქვეა ადგილი **წაბრიაა რქაფთა** “წაბრიების პარტახი”.

სოფელ **ფოქვეშში** დასტურდება უბნის სახელები: **სათანია,** სადაც ამჟამადაც ბინადრობენ გააფხაზებული თანიას გვარის წარმომადგენლები; **საკოზმაა** – გააფხაზებული კოზმაევების სამოსახლო; **საკორტაა** – გააფხაზებული კორტაევების საბინადრო (სამივე ტოპონიმი არა მარტო შეიცავს ქართულ გვარსახელებს, არამედ ქართული სამწიგნობრო ენის მორფოლოგიური ინვენტარითაც, სახელდობრ, დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი **სა-** პრეფიქსით არის გაფორმებული, ე.ი. ისინი ნამდვილი სუბსტრატული სახელებია); **ჯგნჯალაა რკავა** “ჯინჯოლიების ტაფობი”, სადაც ასევე გააფხაზებული ჯინჯოლიები ცხოვრობენ.

სოფელ **ჯგერდაში** დავადასტურეთ მიკროტოპონიმები: **კაციაა რკარა** “კაციების ღელე” (ღელე და წყარო), **კარჭიაა რგხწა** “კვარჭიების ბორცვის ძირი” (უბანი), **საბუაა რბგწ** “(ე)სებუების წყარო” (წყარო), **საბუაა რხწ** “(ე)სებუების ბორ-

ცვი" (მაღლ.), **ყურდგალაა რხჳ** "ყურდგელიების // კურდღლიების ბორცვი" (მაღლ.), **შოუაა რგხწა** "შოუების ბორცვის ძირი" (უბანი), **ხუბტიაა რკაარა** "ხუბუტიების ღელე" (ღელე), **ჯალიაა** "ჯალიები ან ჯოლიები". აქედან ცხადია, რომ სოფელში თავიდან კაციას, კვარჭიას, (ე)სებუას, ყურდგელიას, შოუას, ხუბუტიასა და ჯელიას გვარები ყოფილა წარმოდგენილი.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ენობრივი მასალა (70-მდე მიკროტოპონიმი) სრულ საფუძველს იძლევა საიმისოდ, რომ დავასკვნათ:

აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების ამჟამინდელ აფხაზურ სოფლებში XVI საუკუნემდე რეალურად მასობრივად უცხოერია ქართულ მოსახლეობას და მათ ტერიტორიებზე არსებულა ქართულ გვართა დასახლებანი. ამგვარი ენობრივი მასალის სიმრავლე, რა თქმა უნდა, შემთხვეითი არ არის და სრულად ეხმიანება ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებში წარმოდგენილ იმ ცნობებს, რომლებიც ეროხმად ადასტურებენ ამ რეგიონში ქართული მოსახლეობის ავტოქთონობას.

საყურადღებოა, რომ ქართულ გვარსახელებთან ტოპონიმებში ხშირადაა შეწყვილებული აფხაზური სიტყვა **აქაფთა** "პარტახი, ნამოსახლარი", რაც აშკარად, არაორაზროვნად მიანიშნებს გვიან შუა საუკუნეებში ამ სოფელთა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლისა და ქართველთა ნასახლარებზე აფხაზთა დაბინავების შესახებ.

§ 4. ქართველური სუბსტრატული მაკრო- და მიკროტოპონიმები აფხაზეთში

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში გამოტანილი დასკვნების კონტექსტში **პერსპექტიულია** ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე წინარექართველური ეთნოსის ბინადრობის ამსახველი ენობრივი და მატერიალური კვალის ძიება ძვ. წ. II-I ათასწლეულიდან XVI საუკუნემდე პერიოდისათვის. ამიტომ აქ

წარმოვადგენთ ამ მიმართულებით ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის პირველ შედეგებს. ამჯერად განვიხილავთ საკითხს სუბსტრატული ქართველური მაკროტოპონიმების შესახებ.

4.1. წებელი // წაბალი. ქალაქ სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დალის ხეობის მეზობლად მდებარეობს სოფელი **წებელდა,** რომელიც ტრადიციული ცენტრი იყო ვრცელი ფეოდალური თემისა (განაგებდნენ გვიან შუა საუკუნეებში გააფხაზებული მარუშიან-მარშანიას ქართული საგვარეულოს წარმომადგენლები).

ამ ისტორიულ თემსა და ამჟამინდელ სოფელს აფხაზური მოსახლეობა თავის დედაენაზე **წაბალ** სახელით აღნიშნავს, ხოლო ქართულ წყაროებში ეს თემი **წებელ-ი** სახელით არის ცნობილი. მაგალითად, ისტორიკოსი ნიკო დადიანი თავის შტუდიებში მხოლოდ **წებელ** ფორმას იყენებდა, ხოლო წებელის მფლობელი მისოსტ, სარალუფუ და ზერეფსუ მარშანიები 1815 წლის 29 ნოემბერს სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანისათვის მიცემულ ფიცის წიგნში თემს ქართულად სწორედ **წებელის** სახელით იხსენიებენ:

"ქ. ჩვენ, ქვემო ხელის მომწერელნი, **წებელის** თემის ბატონები, თავადი მარშანიები მოგართმევთ ამ წერილს თქვენს უგანათლებულესობას, მთავარს დადიანს ლეონს, ასე რომ, ჩვენ მამა-პაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ერთგულები ვიყავით, მაგრამ რომელმანმე შემთხვეულმა შფოთებმა დაშორებულ ვიქმენით ერთმანეთისაგან..."[265].

წებელ- ვარიანტის სიძველეზე მიუთითებს აშკარად ამ ფუძისაგან მომდინარე მამაკაცის სახელი **წებელ-არ-ა,** რომელიც სადაურობის **-ელ** სუფიქსის მეგრულ-ლაზურ შესატყვის **-არ** დაბოლოებასა და კნინობითობის **-ა** სუფიქსს შეიცავს. სახელი **წებელარა** დასტურდება 1621 წელს შედგენილ "აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსაეალი მოსაკრებლობის დაეთარში", რომელშიც სოფელ ხოირში (ამჟამინდელი ოსამჩირის რაიონის

---

[265] ბ. ხორავა. აფხაზეთი 1810-1880 წლებში. – "ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი". თბ., 2007, გვ. 219-263.

სოფ. ოხურეიში) მოსახლე ბიჭვინთის ტაძრის ყმების შესახებ მითითებულია:

"მართებს მ[ა]მულიას **წებელარას** საპურობო, 1 საკლავი, მუშაობა, ყურძნის კრეფა, ლაშქრობა და სამსახური"[266].

იგივე **წებელი** ფონეტიკურად ოდნავ ცვლილი **ტსიბილ // ტსიბილიუმ // ტსიბელ** ვარიანტების სახით უკვე 554 წლიდან იხსენიება ბერძნულ წყაროებში.

ამჟამინდელი ქართული ვარიანტი **წებელდა** და რუსული **Цебельда** XIX საუკუნეში ცარისტული რუსეთის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის შედეგად შექმნილი ხელოვნური ფორმებია და მიღებულია წებელისა და დალის სახელთა შერწყმით: **წებელ-დალ** კომპოზიტისაგან წარმოიქმნა **წებელდა**. მართალია, ეს სახეობა სრულიად ახალია, მაგრამ მაინც საყურადღებოა იმ მხრივ, რომ კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ქართული **წებელ-ი** ფორმის რეალურ არსებობას თითქმის XX საუკუნემდე.

რა წარმოშობისა და როგორი სიძველისაა ტოპონიმი **წებელ-ი**?

აფხაზი ენათმეცნიერი ვ. ჩირიკბა უყოყმანოდ იზიარებს მეორე აფხაზი ენათმეცნიერის ვ. კვარჭიას მოსაზრებას, რომ საანალიზო ტოპონიმისათვის ამოსავალია აფხაზური **წაბალ** ვარიანტი და სწორედ მისგან მომდინარეობს ბერძნული ფორმები, თუმცა ჩვენი აფხაზი კოლეგები ამ უაპელაციო განცხადებათა გარდა ვერ გვთავაზობენ ვერანაირ ახსნას იმისა, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა აფხაზურ ენაზე და რა სტრუქტურა აქვს მას[267].

რა თქმა უნდა, ამგვარი განცხადებები საკმარისი არ არის საკვლევი ტოპონიმის ეტიმოლოგიის დასადგენად, მით უმეტეს, რომ აფხაზური ვარიანტი არ დასტურდება ძველ წყაროებში, ხოლო გააფხაზებული მარშანიები, როგორც ზემოთ

---

[266] აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსაცემი მოსაკრებლობის დავთარი. – "ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)". ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1970, გვ. 397- 437.

[267] В. Чирикба. Абхазский язык. – კრებ.: Абхазы. М., 2007, გვ. 23-39.

ვნახეთ, XIX საუკუნეში იყენებდნენ სწორედ ქართულ და არა აფხაზურ სახეობას, ე. ი. მათ იცოდნენ, რომ ამ თემის ნამდვილი სახელი **წებელ-ი** იყო (მფლობელზე უკეთ მისი სამფლობელოს სახელი ვის უნდა სცოდნოდა?).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია **წებელ-ი** ფორმის მიჩნევა აფხაზურ ვარიანტთან შედარებით უფრო ძველ სახეობად, რასაც მხარს დაუჭერს აფხაზური ენისათვის დამახასიათებელ სესხების ფონეტიკურ კანონზომიერებათა გათვალისწინებაც:

დადგენილია, რომ სხვა ენის **ე** ხმოვანი აფხაზურ ენაში იცვლება ხოლმე **ა** ხმოვნით. მაგალითად: ქართ. **წეს-ი** – აფხაზ. **ა-წას**, ქართ. **მოწაფე** – აფხაზ. **ა-მაწაფა**, ქართ. **ჩელტ-ი** – აფხაზ. **ა-ჩალტ** და ა.შ.[268]

ქართული **წებელი** ვარიანტის შედარებით სიძველეზე მიუთითებს აგრეთვე აფხაზურ ფორმაში მახვილის განთავსება ფუძის ბოლო მარცვალზე, რაც ქართული მახვილისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ზემოთ თქმული სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ თვით ქართული **წებელ-ი** ვარიანტი თავდაპირველი ფორმა იყოს ამ ოიკონიმისა. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ **წებელ-ი** ფორმა მომდინარეობს წაბლის წინარექართველური ამოსავალი **წაბალ-ი** სახეობისაგან (შდრ.: სამწიგნ. ქართ. **წაბლ-ი** მეგრ.-ლაზ. **ჭუბურ-ი** სვან. **ჰებ** "ბალი")[269], .რომელიც ბგერითი შემადგენლობით მაქსიმალურად ჰგავს აფხაზურ ფორმას, მაგრამ მათ შორის დიდი ქრონოლოგიური შუალედია საეარაუდო – წინარექართველური სახეობა უნდა წარმოქმნილიყო ძვ. წ. II-I ათასწლეულიდან ახ. წ. დასაწყისამდე პერიოდში, აფხაზური კი – XVII-XVIII საუკუნეებს შორის, როცა მიმდინარეობდა აფხაზთა ექსპანსია დალისა და წებელის ხეობების მიმართულებით და მათ მიერ დამხვდური ქართველური გეოგრაფიული ნომენ-

---

[268] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბილისი, 1976, გვ. 47.

[269] ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 1990, გვ. 456.

კლატ'ურის ათვისება-ადაპტაცია აფხაზური ენის ფონეტიკურ კანონ'ზომიერებათა შესაბამისად.

ბუნებრივია, ამ კონტექსტში დაისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როდის და როგორ წარმოიქმნა შუალედური ქართული წებელ-ი სახეობა და რატომ გაჩნდა მასში ე ხმოვანი თავდაპირველი ა ხმოვნის ნაცვლად. ჩვენი აზრით, საკითხის ახსნა ასეთი შეიძლება იყოს:

მას შემდეგ, რაც ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში წინარექართველურმა ენამ შეწყვიტა არსებობა და გარდაიქმნა თანამედროვე ქართველურ ენობრივ ერთეულებად, წინარექართველურ ენაზე შექმნილი ტოპონიმის ამოსავალი სემანტიკაც თანდათან გაბუნდოვანდებოდა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა სიტყვის ფონეტიკური ცვლის პროცესის გაადვილებას. ფონეტიკური ცვლილებები კი, როგორც ცნობილია, ხმოვნებს უფრო იოლად ეხება. ასევე ადვილად იცვლება ხოლმე ხმოვნები სიტყვის ერთი ენიდან მეორე'ში სესხების დროსაც, რაც ნათლად უნდა ჩანდეს საანალი'ზო გეოგრაფიული სახელის ბერძნულ ვარიანტებში, რომლებიც ახ. წ. 554 წლიდან დასტურდება და სწორედ ი და ე ხმოვნებს შეიცავენ და არა ამოსავალ ა ხმოვანს (შდრ.: **ტსიბილ // ტსიბელ // ტსიბილიუმ**), ე. ი. ბერძნულმა ენამ ეს სახელი მას შემდეგ შეითვისა, როცა უკვე არსებობდა მეორეული ქართული **წებელ-ი** სახეობა, ხოლო თვით ბერძნულ ენაში დაწყებული იყო ე ხმოვნის ი ხმოვნით ჩანაცვლების კანონზომიერი პროცესი.

რაც შეეხება აფხაზურ **წაბალ** სახეობას, მართალია, იგი სრულად ემთხვევა წინარექართველურ არქეტიპს, მაგრამ არანაირად არ იხსნება აფხაზურ ენაზე და, რაც მთავარია, სიძველითაც არ გამოირჩევა (გავიხსენოთ, რომ უკვე გააფხაზებულ მარშანიებს 1815 წელს ახსოვდათ თავიანთი სამფლობელოს სახელის შუალედური ქართული ვარიანტი **წებელი**). აფხაზური ფორმის სიახლის დამადასტურებელ დამატებით არგუმენტებად შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი:

1. ახ. წ. დასაწყისამდე საერთოდ არ არსებობდა არც აფხაზური ენა და არც აფხაზი ხალხი – არსებობდა მხოლოდ გაუდიფერენცირებელი აფხაზურ-ადიღური ენობრივ-ეთნიკური ერ-

თობა და ისიც ჩრდილოეთ კავკასიის დასაკლეთ ნაწილში. ამ მიზეზის გამო გამოირიცხება საკუთრივ აფხაზურ ენაში წინარექართველური **წაბალ** არქეტიპის სესხება ახ. წ. დაწყებამდე.

2. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI საუკუნემდე არ ჩანს აფხაზთა ბინადრობის არანაირი კვალი. ამიტომ არც ისაა სავარაუდო, რომ მათმა წინაპრებმა ამ დრომდე ისესხეს წებელდის სახელი.

3. ისტორიული წებელის თემის ტერიტორიასა და მის მიდამოებში ქართველთა უწყვეტი ცხოვრება დასტურდება წერილობითი და კარტოგრაფიული მონაცემებით. მრავალიდან დავასახელებთ რამდენიმეს:

წელთაღრიცხვათა მიჯნიდან აქ ბინადრობდა მისიმიანების, ანუ მუშუანების (სვანების) ქართული ტომი;

XIII საუკუნეში აქ მოღვაწეობდა, ჯვარი აღმართა და ზედ ქართული ასომთავრული წარწერაც გააკეთა ეროვნებით ქართველმა ლუკა მარტინავამ[270];

ამ თემის ზემოთ, კავკასიონის ქედის პარალელურად "აფხაზთა გამოუსელელობისათვის", ანუ ქედის გადაღმიდან მათი თავდასხმების შესაკავებლად სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა XVII საუკუნეში საგანგებო თავდაცვითი კედელი ააგო, რაც აღნიშნული აქვთ ვახუშტი ბაგრატიონსაც და არქანჯელო ლამბერტისაც. იგივე კედელი გამოსახულია 1654 წელს შესრულებულ ლამბერტისა და კასტელის რუკებზეც, აგრეთვე ლათინურ-ფრანგულ რუკაზე. მათზე მიწერილია, რომ კედელი განკუთვნილია აფხაზთა შემოსევების აღსაკვეთად;

თემის მფლობელი მარშანიები წარმოშობით ქართველები იყვნენ და მათი გააფხაზება მოხდა XVII-XVIII საუკუნეებში და ა.შ.

ამრიგად, არსებობს ყველანაირი საფუძველი იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ტოპონიმი **წაბალი** "წაბლი" შექმნილია წინარექართველურ ენაზე ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნიდან ახ. წ. დასაწყისამდე პერიოდში. ახ. წ. დასაწყისიდან 554 წლამდე გაჩნდა ახალი **წებელი** ვარიანტი, რომელიც თითქმის XX სა-

---

270 იხ. ქვემოთ.

უკუნემდე გამოიყენებოდა. სწორედ ამ უკანასკნელი სახეობისაგანაა მიღებული XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზური ფორმა **ფაბალ**.

4.2. ასაბულეი. როგორც დადგინდა, ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრების თავდაპირველი სამშობლო მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. ყუბანის აუზში, საიდანაც მათი მიგრაცია ახლანდელი აფხაზეთისაკენ, კერძოდ, ფსოუ-ბიჭვინთისა და მდინარე ბზიფის სათავეების მიმართულებით დაწყებულა XVI საუკუნეში, ხოლო მდ. კოდორის სათაეეებისაკენ – უფრო გვიან, XVII საუკუნის შუა წლებისათვის.

აფხაზ მიგრანტთა ჯგუფების ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე დასახლების ქრონოლოგიური სხვაობა, ერთი მხრივ, ამჟამინდელი გაგრისა და გუდაუთის, მეორე მხრივ კი სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიაზე ბუნებრივად უნდა ასახულიყო სუბსტრატული ქართველური გეოგრაფიული სახელების ბედზეც და ფონემატურ სტრუქტურაზეც. იმ ზოლში, სადაც აფხაზთა წინაპრები უფრო ადრე ჩასახლდნენ, ადრევე მოხდებოდა ქართველურ გეოგრაფიულ სახელთა ჩანაცვლება აფხაზური სახელებით და ასევე უფრო მეტად დასცილდებოდა აფხაზთა ენაში შეთვისებული ქართველური სახელების ბგერითი იერსახე ამოსავალ სტრუქტურას, ვინაიდან, როგორც ზოგადენათმეცნიერული კანონზომიერება გვიდასტურებს, ადრე ნასესხები ენობრივი მასალა ფონეტიკურად უფრო მეტად სცილდება პირველწყაროს, ვიდრე უფრო გვიან შეთვისებული[271]. ამიტომაც არის, რომ აფხაზეთის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში (ბზიფის აფხაზეთში, ანუ გაგრისა და გუდაუთის რაიონების მიწა-წყალზე) გაცილებით უფრო ჭირს ქართველური გეოგრაფიული სახელების მიკვლევა, ვიდრე აფხაზეთის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. შესაბამისად, ბზიფის აფხაზეთის გეოგრაფიული ნომენკლატურის კვლევა გაცილებით უფრო მეტ შრომასა და უფრო ღრმა

---

[271] Э. Хауген. Языковой контакт. Процесс заимствования. «Новое в лингвистике», т. VI, М., 1972, გვ. 356.

"გათხრებს" მოითხოვს, ვიდრე აფხაზეთის დანარჩენი ნაწილების ტოპონიმიას ესაჭიროება. მიუხედავად ამ სირთულისა, ბზიფის აფხაზეთის ტერიტორიაზე ოდინდელი ქართველური გეოგრაფიული სახელების ძიება პერსპექტიული საქმეა და მისი სწორად წარმართვის შემთხვევაში შედეგებიც ფრიად საყურადღებო იქნება, მით უმეტეს, თუ კვლევისას აუცილებლად გავითვალისწინებთ აფხაზური ენისათვის დამახასიათებელ სიტყვათსესხების ფონეტიკურ კანონზომიერებებს (ფონოტაქტიკის წესებს).

დღევანდელ გაგრის რაიონში დაბა განთიადის თემში შედის სოფელ ხეივანის მეზობლად მდებარე სოფელი **კულტუბანი** (< კულტურული უბანი). ეს სახელი კალკირებული თარგმანია რუსული იდეოლოგიზებული **Культучасток** სახელისა (< Культурный участок). მკვლევარ ვ. კვარჭიას ცნობით, რუსული სახელი 1935 წელს დარქმევია სოფელს, ხოლო ეს უკანასკნელი 1948 წელს შეცვლილა ქართული **კულტუბანი** ვარიანტით[272]. იმავე მკვლევრის ცნობით, აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ამსახველი ოფიციალური კრებული სოფლის ადრინდელ, 1935 წლამდელ დასახელებად უთითებს **ასაბულეი** (აფხაზური გამოთქმით: **ასაბულეი**) სახელს[273].

პირადად ჩვენი საველე-საექსპედიციო მასალებიც ადასტურებენ, რომ ვ. კვარჭიას ცნობა რეალობას ასახავს და სოფელს XX საუკუნის 30-იან წლებამდე მართლაც **ასაბულეი** რქმევია, ხოლო მერე იგი რუსული სახელით შეცვლილა, ბოლოს კი ქართულით. რა თქმა უნდა, აქ ზედმეტი იქნება იმაზე მსჯელობა, რომ რუსული **კულტუჩასტოკ** და ქართული **კულტუბანი** სახელების შერქმევა სოფლისათვის კომუნისტური ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკის მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ დაისმის საკითხი **ასაბულეი** სახელის წარმომავლობის შესახებ. ჩვენი მიზანიც სწორედ ამ საკითხის გარკვევაა.

---

[272] В. Е. Кварчия. Ойконимы Абхазии в письменных источниках. Сухуми, 1985, გვ. 42-43.

[273] В. Е. Кварчия. დასახ. ნაშრ., გვ. 42.

სახელი **ასაბულეი** არ იხსნება აფხაზური ენის ნიადაგზე, მაგრამ იგი მაინც შეიცავს აფხაზური არსებითი სახელებისათვის დამახასიათებელ, სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის მაწარმოებელ **ა-** პრეფიქსს. ტოპონიმის დანარჩენი ნაწილი, ჩვენი აზრით, ქართველური წარმოშობისაა და ქართველურიეე ტოპონიმიკური მოდელის შესატყვისად გაფორმებულ ფუძეს წარმოადგენს, რომელსაც აფხაზური ენის მორფონოლოგიური წესების შესაბამისად განუცდია მცირედი ცვლილება.

ქართველური წარმოშობის გეოგრაფიულ სახელთა გააფხაზურება (აფსუიზაცია) მზა ფორმაზე აფხაზური მორფოლოგიური ინვენტარის დართვით არცთუ იშვიათია ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. მაგალითად, ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველ მესამედში ოდიშის მთავარ მამია III დადიანის (1512-1523 წწ.) მიერ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრის სახელზე გაცემულ "ბიჭვინტის იადგარში" მოხსენიებულია ბიჭვინთის ახლოს მდებარე სოფელი **არუხა**, რომლის სახელწოდებაც შეიცავს აფხაზურ სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის მაწარმოებელ **ა-** პრეფიქსს, ძირი კი ქართულია და ემთხვევა სამეგრელოში არსებული ისტორიული სოფლის **რუხ-**ის სახელის ფუძეს, რომელსაც ბოლოში ერთვის უფუნქციო **ა** ხმოვანი (აკად. ქ. ლომთათიძე აფხაზურ ენაში ნასესხებ ფუძეთა აუსლაუტში უფუნქციო **ა** ხმოვნის დართვას **ა-**ურ ვოკალიზაციას უწოდებდა. შდრ. ლომთათიძის ერთ-ერთი მოხსენების სათაური: "აფხაზურში ნასესხებ სიტყვათა ფუძეების აუსლაუტის **ა-**ური ვოკალიზაცია"[274]).

ნასესხებ ფუძეებზე აფხაზური **ა-** პრეფიქსის დართვის მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ სანიმუშოდ რამდენიმე ტიპური შემთხვევის მოყვანაც საკმარისი იქნებოდა: **ა-ბია < ბია** "კომში" (ნასოფლარი სოფ. წებელდასთან, მდ. ამ-

---

[274] ქ. ლომთათიძე. აფხაზურში ნასესხებ სიტყვათა აუსლაუტის ა-ური ვოკალიზაცია. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 56-ე სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1997, გვ. 17.

ტყელის ნაპირას[275], **ა-მტყვალ < ტყემალ-ი**[276], **ა-ჭანდარ-ა < ჭანდარ-ი** და სხვა.

ამ ფონზე გასარკვევი რჩება ტოპონიმ **ა-საბულეი**-ს ფუძის რაობის საკითხი. რაკი აღნიშნული ფუძე, როგორც ითქვა, არ იხსნება აფხაზური ენის ნიადაგზე, ლოგიკურია, მისი ახსნა ვცადოთ ქართველურ ენა-კილოთა საფუძველზე, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ამჟამინდელ აფხაზეთში აფხაზური მოსახლეობის დამკვიდრებამდე ქართველები ცხოვრობდნენ და აფხაზებს აქ სწორედ ქართველური ტოპონიმია დაუხვდათ.

ამ უმთავრესი ისტორიული ფაქტის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ საანალიზო გეოგრაფიული სახელის ფუძე სხვა არაფერია, თუ არა ქართველური (მეგრული) **ბულ-ია** (შდრ. **ბულ-ი** "ბალი" + **-ია**) გვარსახელისაგან დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი **სა-** პრეფიქსით, ან ასევე დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი **სა- — -ო** ცირკუმფიქსით გაფორმებული **სა-ბულია // სა-ბული-ო** ფორმათაგან ერთ-ერთის აფხაზურ ენაზე ტრანსფორმირებული ვარიანტი. ამ ვარაუდს, ჩვენი აზრით, ამყარებს შემდეგ გარემოებათა გათვალისწინება:

1. სამეგრელო-სამურზაყანოში დასტურდება გვარსახელებისაგან **სა- — -ო** ცირკუმფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელთა დიდი რაოდენობა (იგივე მოდელი ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვა მხარეებშიც). მაგალითად, მარტო გალის რაიონში წარმოდგენილია ამ მოდელის შემდეგი ოიკონიმები (სოფელთა სახელწოდებანი): **სა-ბერი-ო** (სოფ. და თემი; შდრ. გვარი **ბერია**); **სა-ხახუბი-ო** (სოფ. ბედიის თემში; შდრ. გვარი **ხახუბია**); **სა-ბუთბაი-ო** (სოფ. ზემო ბარღების თემში; შდრ. ნააფხა'ხარი გვარი **ბუთბაია**); **სა-შამუგი-ო** (სოფ. ზემო ბარღების თემში; შდრ. გვარი **შამუგია**); **სა-ბულისკერი-ო** (სოფლები მუხურისა და ოქუ-

---

[275] В. Е. Кварчия. დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[276] ქ. ლომთათიძე. ბაგისმიერთა მიდრეკილება ანლაუტში მოხვედრისა აფხაზურ ენაში და ტოპონიმი "ამტყ"ალ". – ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1995, გვ. 19.

მის თემებში; შდრ. გვარი **ბულისკერია // ბულისკირია**); **სა-მელაი-ო** (სოფ. ოქუმის თემში; შდრ. გვარი **მელაია**).

ამაეე რაიონში ასევე ხშირად გეხვდება გვარსახელებზე **სა- – -ო** ცირკუმფიქსის დართვით მიღებული მიკროტოპონიმების, უპირატესად სოფლის უბანთა და ნასოფლართა სახელების საკმაოდ დიდი რაოდენობა[277]: **სა-აბაში-ო** (უბანი სოფ. სამქვარში. შდრ.: გვარსახელი **აბაშია**); **სა-აბლოთი-ო** (უბანი სოფ. თაგილონში. შდრ.: გვარსახელი **აბლოთია**); **სა-აბრუმი-ო** (უბანი სოფ. მზიურში. შდრ.: გვარსახელი **აბრუმია**); **სა-აკიშბაი-ო** (უბანი სოფ. მეორე გუდავაში. შდრ.: გვარსახელი **აკიშბაია** < აფხაზ. **აკ'შბა**); **სა-ანთი-ო** (უბანი სოფ. თხინაშკარში. შდრ.: გვარსახელი **ანთია**) და მრ. სხვა.

2. იმაეე ტერიტორიაზე გავრცელებულია აგრეთვე გვარსახელებზე ოდენ **სა-** პრეფიქსის დართვით მიღებული გეოგრაფიული სახელებიც (ზოგჯერ ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ობიექტს პარალელურად **სა- – -ო** ცირკუმფიქსიანი ვარიანტიც მოეპოვება). მაგალითად: **სა-აფშილა // სა-აფშილ-ო** (აფშილაების უბანი სოფ. სახახუბიოში); **სა-ბიგვა** (ბიგვაების უბანი სოფ. ახეცარაში); **სა-ბუა** (ბუაების უბანი სოფ. აჯრაში); **სა-გელენა** (გელენაების უბანი სოფ. სიდაში); **სა-გერგედა** (გერგედავების უბანი სოფ. სიდაში); **სა-ელია // სა-ელი-ო** (ელიაების უბანი სოფ. წარჩეში); **სა-კოზმა** (კოზმავების უბნები ოჩამჩირის რ. სოფ. პირველ ოხურეისა და გალის რ. სოფ. სამელაიოში); **სა-კოზმა(ა)** (კოზმავების ნასოფლარი სოფ. კაციპაბლაში. ადგილობრივთა ცნობით, კოზმაეები აქედან აფხაზ თავადებს, ა(რ)ჩებს, ანუ ანჩაბაძეებს აუყრიათ[278]); **სა-მალიშა // სა-მალიშა-ო** (მალიშავების უბანი სოფ. ჩხორთოლში); **სა-მატკა** (მატკავების უბანი სოფ. ახეცარაში); **სა-რიგვა** (რიგვაების უბანი სოფ. ოქუმში; რიგვაების ნასახლარი სოფ. ფართოღალში); **სა-სირგინა** (სირგინავების უბნები სოფ. ქვემო ჩხორთოლსა და წარჩის თემის ისტორიულ სოფ. ფუწყურში); **სა-**

---

[277] სახელებს ვიმოწმებთ წიგნიდან: პ. ცხადაია, ე. ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბ., 2003, გვ. 147-172.

[278] პ. ცხადაია, ე. ჯოჯუა. დასახ. ნაშრ., გვ. 157.

უბილა // სა-უბილ-ო კუნთხუ (უბილაევების უბანი სოფ. ზემო ბარღებში); **სა-ქულა** (ქულაევების უბანი ოჩამჩირის რ. სოფ. მიშველში); **სა-ხოჭა // ილორკუნთხუ** (ხოჭაევების უბანი ოჩამჩირის რ. სოფ. ილორში); **სა-ხოჯა // სა-ხოჯა-ო // ო-ხოჯა** (სოფ. ოჩამჩირის რ. აგუბედიის თემში); **სა-ჯობა** (ჯობაევების უბანი სოფ. ნაგვალოუში და უბანი სოფ. რეჩხში).

ამავე მოდელს განეკუთვნება სამურზაყანოშივე მდებარე, ოჩამჩირის რაიონში შემავალი გააფხაზებული ჩაჩხალიებით დასახლებული აფხაზური სოფლის **სა-ჩაჩხალია**-ს სახელიც (ფოქვეშის თემი), რომლის პარალელურადაც აფხაზურ ენაზე გამოიყენება სახელი **ჩაჩხალიაა რჭაბლა** "ჩაჩხალიების უბანი"[279].

ამ მონაცემთა საფუძველზე სრულიად უეჭველი ჩანს, რომ სოფლის სახელი (ოიკონიმი) **ა-საბულეი** უნდა მომდინარეობდეს ქართული სუბსტრატული **სა-ბულია** ან **სა-ბული-ო** ვარიანტებისაგან, ხოლო **ეი [ეი]** დიფთონგი წარმოქმნილია **ია** ხმოვანთკომპლექსის აფხაზურ ნიადაგზე ტრანსფორმირების შედეგად, რაც უცხო მოვლენა არ არის აფხაზურში:

ამ ენაში **ეი** დიფთონგი წარმოიქმნება არა მარტო საკუთრივ აფხაზურ სიტყვებში, არამედ ნასესხებ მასალაშიც. მაგალითად: ქართ. **ძიძა** > მეგრ. დიალ. **ძიძე** > აფხაზ. **ა-ძძეი**, ქართ. **კალა** > აფხაზ. **ა-კალეი**, ქართ. **კოპიტ-ი, გამო-კოპიტ-ება**, მეგრ. დიალ. **კოპიტ-უა** > აფხაზ. **ა-კოპტ-ეი-რა** "გამოკოპიტება", ქართ. **ფართხალ-ი** > აფხაზ. **ა-ფათხალ-ეი-რა** "ფართხალი", მეგრ. დიალ. **პარტყალ-ი** > აფხაზ. **ა-პატყალ-ეი-რა** "უაზროდ ლაპარაკი; ტლიკინი" და მრ. სხვა. როგორც ვხედავთ, ბოლო სამ შემთხვევაში (**ა-კოპტ-ეი-რა, ა-ფათხალ-ეი-რა, ა-პატყალ-ეი-რა**) **დიფთონგი შეიქმნა მაშინაც კი, როცა საამისო ფონეტიკური გარემო არ არსებობდა** – ამოსავალ ფუძეთა აუსლაუტში არ იყო ხმოვნები, რომლებიც წარმოქმნიდა პირობებს დიფთონგის გასაჩენად (შდრ. აქვე **ძიძა-ი > ძიძე** და **კალა** ფუძეები, რომლებიც ხმოვნებზე ბოლოვდება და ხელსაყრელ პირობებს

---

279 В. Е. Кварчия. დასახ. ნაშრ., გვ. 122.

ქმნიან დიფთონგიზაციისათვის, რაც გამოიყენა აფხაზურმა ენამ და წარმოქმნა კიდევაც მათში **ეჲ** დიფთონგი).

ამრიგად, ირკვევა, რომ ამჟამინდელი გაგრის რაიონის განთიადის თემის სოფელ კულტუბნის (კულტუჩასტოკის) თავდაპირველი სახელი ყოფილა ქართული სუბსტრატული **საბულია** ან **საბულიო** ვარიანტებიდან ერთ-ერთი.

ეს ფაქტი არაირაზროვნად მიუთითებს ამ სოფელში **ბულიას** ქართული საგვარეულოსა და ფსოუ-ბზიფის შუამდინარეთში ქართველთა თავდაპირველად ბინადრობის შესახებ. ამოსავალი ქართული ფორმისაგან მიღებულ **ასაბულეჲ** ვარიანტში აფხაზური ა- პრეფიქსის არსებობა ასევე უეჭველს ხდის იმას, რომ ფსოუ-ბზიფის შუამდინარეთში XVI საუკუნეში მოსულ აფხაზობას აქ დახვედრია ბულიების საგვარეულოთი დასახლებული ქართული სოფელი, რომელსაც ქართული ტოპონიმიკური მოდელის მიხედვით ნაწარმოები სახელი რქმევია (შდრ.: გაგრისა და გუდაუთის რაიონებში გამოვლენილი სხვა ქართველური გეოგრაფიული სახელებიც: **გაგრა** < სვან. **გაკრა** "კაკლოვანი", **აუადჰარა** < მეგრ. **ოთხირე** "სათხილე", **ოთჰარა** < მეგრ. **ოთხირე** "სათხილე", **კაპეტის წყალი** (მდ. ბზიფის სახელი) < მეგრ. **კაბეტი** "დიდი, მძლაური, ღონიერი", **აჭანდარა** < ქართ. **ჭა(ნ)დარი** და ა.შ.).

ამ ქართულ სოფელში დროთა მანძილზე შეიცვალა ეთნიკური ვითარება – უმრავლესობად აფხაზები იქცნენ, რაც გამოიწვევდა აქ აფხაზური ენის გაბატონებას. ამის გამო ამოსავალი ქართული გეოგრაფიული სახელი გადაფორმდა აფხაზური ენის მორფონოლოგიურ წესთა შესაბამისად: ფუძეს დაერთო აფხაზური ა- პრეფიქსი, აუსლაუტში კი ქართული **ია** ან **იო** ხმოვანთკომპლექსი დიფთონგიზაციის ნიადაგზე შეიცვალა **ეჲ** მარცვლით.

4.3. აუადჰარა, ოთჰარა. მდ. ბზიფის სათავეში, ზედ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე დასტურდება 3 გეოგრაფიული ობიექტი – ქედი, მდინარე და ბალნეოლოგიურ-კლიმატური კურორტი – ერთი და იმავე **აუადჰარა** სახელწოდებით:

– ამ სახელით აღნიშნული ქედი პრაქტიკულად დიდი კავკასიონის სამხრეთის განშტოებაა;

– მდინარე ავადჰარა მდინარე ლაშიფსის მარჯვენა შენაკადია და მიუყვება ამავე სახელწოდების ქედს;

– ამ მდინარის ხეობაში მდებარეობს მინერალური წყლის საბადო და კურორტი **აუადჰარა**. იგი დაშორებულია ქ. გუდაუთიდან 75 კილომეტრით, ქ. გაგრიდან კი 90 კილომეტრით[280].

აფხაზურ ენაზე სამივე გეოგრაფიული ობიექტის სახელად გამოიყენება 2 ვარიანტი: **აუადჰარა** და **აუათჰარა**. ბგერითი შედგენილობის თვალსაზრისით ტოპონიმის მეორე **აუათჰარა** ვარიანტთან ძალზე ახლოს დგას ქ. გუდაუთიდან 18 კმ-ით დაშორებული ერთ-ერთი სასოფლო თემის სახელი, რომელიც ასევე ორი – **უათჰარა** და **ოთჰარა** ვარიანტის სახითაა წარმოდგენილი.

მიგვაჩნია, რომ საანალიზო 4 ვარიანტი ერთი და იმავე სიტყვის ნაირსახეობებია, რაც იოლი შესამჩნევია. ამ ფორმათა ახსნა (ეტიმოლოგიზება) აფხაზური ენის ნიადაგზე შეუძლებელი ჩანს, რის გამოც ძიება უნდა წარიმართოს სხვა მიმართულებით, კერძოდ, ქართველური ენობრივი ქვესისტემებისაკენ, რაკიღა ამ გეოგრაფიულ სახელთა გაერცელების არეალში XVI საუკუნემდე მაინც საგულვებელია სწორედ ქართული მოსახლეობის ცხოვრება.

ვფიქრობთ, საანალიზო ფორმებისათვის არქეტიპული უნდა იყოს მეგრული **ო-თხირ-ე** ფორმა, რომელიც სემანტიკურად უდრის ქართული სამწიგნობრო ენის **სა-თხილ-ე** დანიშნულების სახელს, ხოლო მორფოლოგიურად ზუსტად შეესაბამება იმავე **სა-თხილ-ე** ვარიანტს და ამგვარი სტრუქტურა აქვს: **ო- – -ე** დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი ცირკუმფიქსია, **თხირ** ფუძე კი **თხილ-** ფუძის ფონეტიკური ნაირსახეობაა; შდრ. ლაზ. **მთხირ- // ნთხირ-**, სვან. **შდიხ-**[281]. მეგრული **ოთხი-**

---

[280] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. თბ., 1975, გვ. 114.

[281] არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფ., 1938, გვ. 124-125; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990, გვ. 159-160.

რე "სათხილე, თხილნარი" სახელისაგან აფხაზურ ენაში თავდაპირველად მიეიღებდით **ჳათჰარა** ფორმას შემდეგი ფონოტაქტიკური წესების სრული დაცვით:

1. მეგრული **ოთხირე** არქეტიპის თავკიდურა **ო** ხმოვანი უეჭველად დაიშლებოდა **ჳა** დიფთონგად, ვინაიდან აფხაზურ ენაში **ო** ხმოვანი ადრე ნასესხებ ლექსიკაში მუდამ გადმოიცემა აღნიშნული **ჳა** დიფთონგით. მაგალითად: **ორბ-ი > ა-ჳარბა** "არწივი", მეგრ. **ოფს-ი** (შდრ. ძვ. ქართ. **ოვს-ი**) **> ა-ჳაფს** "ოსი", მეგრ. **ოხვამე > ა-ჳახამა** "ეკლესია, სალოცავი", მეგრ. **ორთალ-ი > ა-ჳართალ** "ქცევა" (მიწის ფართობის საზომი ერთეული)[282], მეგრ. **ორჩან-ი > ა-ჳარჩან** "ოჩანი (ცხენი)", **ოთახ-ი > ა-ჳათახ** და ა.შ.;

2. **თ** თანხმოვანი უცვლელი დარჩა;

3. როგორც ქართველურ ენობრივ ქვესისტემათა, ისე სხვა ენათა **ხ** თანხმოვნის გადმოცემა აფხაზურ ენაში ორგვარადაა შესაძლებელი: ა. ეს თანხმოვანი მის მომდევნო **ი** ხმოვანთან ერთად პალატალიზაციას განიცდის და იძლევა სპეციფიკური პალატალიზებული (შერბილებული) **ჴ** ფონემისა და ნეიტრალური **გ** ხმოვნისაგან შემდგარ მარცვალს; ბ. სხვა ენის **ხ** თანხმოვანს აფხაზურში შეიძლება ჩაენაცვლოს **ჰ** თანხმოვანი, რომელიც ამ ენაში უფრო ინტენსიური ბგერაა, ვიდრე ქართულში. შდრ.: მეგრ. **კალმახა > აფხაზ. ა-კალმაჰა > ა-კამლაჰა** "კალმახი", ქართ. **ორხაო > აფხაზ. ა-ჳარჰაუ // ა-ჳარჰალ**[283]...

ამ ორი შესაძლებლობიდან ჩვენს შემთხვევაში დაცულია მეორე: **ხ** თანხმოვანს ჩაენაცვლა **ჰ** ფონემა.

4. აფხაზური ენისათვის დამახასიათებელ სესხების კანონზომიერებათა თანახმად, **ი** ხმოვანს ან წინამავალი თანხმოვნის პალატალიზაცია უნდა გამოეწვია, ანდა მას უნდა ჩანაც-

---

[282] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I..., გვ. 51.

[283] ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 190-191.

ვლებოდა ნეიტრალური **ჷ** ხმოვანი[284]. შდრ., ერთი მხრივ: ქართ. **კბე** > აფხაზ. **ა-ჴ̌ბა**, ქართ. **კირ-ი** > აფხაზ. **ა-ჴ̌ჷრ**, ქართ. **ად-გილ-ი** > აფხაზ. **ა-დჷგლ** "მიწის ნაკვეთი"... და, მეორე მხრივ: ქართ. **ბალიშ-ი** > აფხაზ. **ა-ბალჷშ**, მეგრ. **ნაბზითი** > აფხაზ. **ა-ნაბზჷთ** "მზითევი", მეგრ. **ყვარილ-ი** > აფხაზ. **ა-ყ̌ვარჷლ** "ყვერული"[285]... საანალიზო ტოპონიმებში ამ ორი წესიდან არცერთი არ არის დაცული და მეგრული **ოთხირე** სახელის **ი** ხმოვნის ნაცვლად **ა** ხმოვანია წარმოდგენილი, რაც თითქოს აბრკოლებს ჩვენს ვარაუდს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ **აფხაზურ ენაში ნეიტრალური ჷ ხმოვანი ჰ თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ვერ ძლებს და მას მუდამ ა ხმოვანი ენაცვლება**, მაშინ საკითხი იოლად გადაწყდება. თქმული რომ ლიტონ განაცხადად არ ჩაგვეთვალოს, მოვიყვანთ ერთ ტიპურ მაგალითს:

აფხაზურ ენაში ორპირიან სტატიკურ **ა-მა-ზაა-რა** "ყოლა, ქონება" ზმნაში უშუალოდ **მა** ძირის წინ, პირ-კლასის პრეფიქსთა მომდეგნოდ დაისმის საობიექტო მიმართების **ჷ-** პრეფიქსი, რომელიც მრავლობითი რიცხვის პირველი პირის **ჰ-** ნიშნის მომდევნოდ უეჭველად იცვლება **ა** ხმოვნით და, ერთი მხრივ, გვაქვს ორდინარული ფორმები:

მხ. რ.

I პ.	ი-ს-ჷ-მო-უპ	"მე მაქვს, მე მყავს"
II პ.	ი-უ-ჷ-მო-უპ	"შენ (მამაკ.) გაქვს, გყავს"
II პ.	ი-ბ-ჷ-მო-უპ	"შენ (ქ.) გაქვს, გყავს"
III პ.	(ი-)ჲ-ჷ-მო-უპ	"მას (მამაკ.) აქვს, ჰყავს"
III პ.	ი-ლ-ჷ-მო-უპ	"მას (ქ.) აქვს, ჰყავს"

[284] იქვე, გვ. 59-60.
[285] იქვე, გვ. 59-60.

მრ. რ.

II პ. ი-შ-გ-მო-უპ "თქვენ გაქვთ, გყავთ"

III პ. ი-რ-გ-მო-უპ "მათ აქვთ, ჰყავთ"

მეორე მხრივ, მრავლობითი რიცხვის პირველ პირში დასტურდება არა მოსალოდნელი *ი-ჰ-გ-მო-უპ "ჩვენ გვაქვს, გვყავს" ვარიანტი. არამედ ი-ჰ-ა-მო-უპ სახეობა. რაც შეეხება მხოლობითი რიცხვის ნივთის გრამატიკული კლასის ფორმას, აქ უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი *ი-ა-გ-მო-უპ "მას (ნივთს) აქვს, ჰყავს" ფორმა, მაგრამ იმის გამო, რომ აფხაზურ ენაში არაბუნებრივია (არაკანონიკურია) ა-გ ბგერათმიმდევრობა, ფორმაში დარჩა ა- პრეფიქსი, ხოლო გ- თავსართი დაიკარგა.

5. მეგრული **ოთხირე** ფორმის **რ** თანხმოვანი აფხაზურ ვარიანტებში უცვლელადაა წარმოდგენილი.

6. იმავე **ოთხირე** ფორმის ბოლოკიდურა **ე** ხმოვანი აფხაზური ენის ფონოტაქტიკის წესების შესაბამისადაა შეცვლილი **ა** ხმოვნით, რაც ძველ ნასესხობებს ახასიათებს. შდრ.: მეგრ. **ოხვამე > ა-ჳახ-ამა** "ეკლესია, სალოცავი", ქართ. **მოწაფე > ა-მა-წაფა**, ქართ. **საკაცე > ა-საკასა**[286]...

ამრიგად, ზემოთ დასახელებული ენობრივი ფაქტები სრულ საფუძველს იძლევიან საიმისოდ, რათა დავასკვნათ:

მეგრული **ოთხირე** "სათხილე, თხილნარი" ფორმისაგან აფხაზური **ჳათჰარა** ფორმა მიღებულია აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სესხების კანონზომიერებათა სრული დაცვით.

რაც შეეხება **აჳათჰარა, აჳადჰარა** და **ოთჰარა** ვარიანტებს, ისინი უფრო გვიანდელი სახეობებია და ჩამოყალიბებული უნდა იყოს მას შემდეგ, რაც დროთა განმავლობაში დაიჩრდილა აფხაზურისათვის თავდაპირველი **ჳათჰარა** ვარიანტის არააფხაზური წარმომავლობა, თუმცა გარკვეული ქრონოლოგიური

[286] ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 47.

თანმიმდევრობა ამ გვიანდელ სახეობებშიც ჩანს. საკითხი ასე წარმოგვიდგენია:

XVI საუკუნისათვის მდ. ბზიფის სათაეებში (მაო შორის ავადჰარის მიდამოებში) ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებულ აფხაზებს ახლანდელი რიწის ტბის ზემოთ დაუხვდათ ერთ-ერთი ქედის, მდინარისა და მცირე დასახლებული პუნქტის საზიარო მეგრული სახელწოდება **ოთხირე** "სათხილე. თხილნარი", რომელიც აფხაზურ ენაზე ადაპტირებულ იქნა **უათჰარა** ვარიანტის სახით. მოგვიანებით, როცა გაძლიერდა აფხაზ მიგრანტთა ექსპანსია, იგივე განმეორდა უფრო ქვემოთაც, გუდაუთიდან 18 კმ-ში[287]. კარგა ხნის შემდგომ, როცა გაბუნდოვანდა ხსოვნა ამ ტოპონიმთა ქართველური წარმომავლობის შესახებ, **მოხდა სახელის მორფოლოგიური ადაპტაციაც**: კავკასიონის ქედის ახლოს მდებარე მცირე ქედის, მდინარისა და დასახლებული პუნქტის სახელს დაერთო აფხაზური სახელებისათვის დამახასიათებელი სახელთა ზოგადი, სალექსიკონო ფორმის მაწარმოებელი **ა-** პრეფიქსი, რასაც ხელს შეუწყობდა **უათჰარა** ვარიანტის აუსლაუტში **რა** მარცვლის არსებობა, რომელიც გაიგიყდებოდა საკუთრივ აფხაზურ ტოპონიმთა ერთ წყებაში გავრცელებულ აბსტრაქტულობისა და კრებითობის მაწარმოებელ **-რა** სუფიქსთან. ეს აფხაზური სუფიქსი კი, თავის მხრივ, აუცილებლობით მოითხოვს სახელის ფუძეზე ზოგადი, სალექსიკონო ფორმის **ა-** პრეფიქსის დართვასაც (შდრ.: **ა-მზა-რა** "ფიჭვნარი", **ა-ჯ-რა** "მუხნარი", **ა-ფსა-რა** "სოჭნარი"... კრებით სახელთა ეს მოდელი ძალზე პროდუქტიულია ტოპონიმიაშიც). სწორედ ამ გზით, **ა- — -რა** ცირკუმფიქსად გადააზრიანების შედეგად ჩამოყალიბდებოდა კავკასიონის ქედის განშტოების, მდინარისა და დასახლებული პუნქტის სახელის ქრონოლოგიურად ახალი **ა-უათჰარა** ვარიანტი, რომელიც, თავის მხრივ,

---

[287] სხეათა შორის, ასევე თხილნარის მეგრული **თხინა** (< **თხილნარი**) ვარიანტისაგანაა მიღებული ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონის აფხაზური სოფლის **თხინა**-ს სახელიც, რომელიც აფხაზურად გამოითქმის როგორც **თხ'ჳნა**.

დისიმილაციური გამჟღერების ნიადაგზე გადაიქცეოდა ქრონოლოგიურად უკანასკნელ **ა-უადჰარა** სახეობად.

საგანგებო ახსნას მოითხოვს მთისწინეთში, გუდაუთიდან 18 კმ-ში მდებარე სოფლის სახელის **ოთჰარა** ვარიანტში **ო** ხმოვნის გაჩენის საკითხი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაში **ო** ხმოვანი უცვლელად იყოს შემორჩენილი არქეტიპული მეგრული **ოთხირე** ფორმისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც უნდა გვევარაუდა, რომ XVI-XVII საუკუნეებში აფხაზურ ენას უკვე მოეპოვებოდა **ო** ფონემა და მას განვლილი 300-400 წლის მანძილზე ცვლილება არ განუცდია. ჩვენი აზრით, ამგვარი ვარაუდის დაშვება არ იქნება მართებული შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ქ. ლომთათიძე, "საშუალო აწეულობის უკანა წარმოების **ო** ხმოვანი აფხაზურსა და აბაზურში პოზიციური წარმოშობისაა. იგი მიღებულია **ა** ხმოვნისაგან **უ** ნახევახმოვანთან მეზობლობაში (ან სხვა ლაბიალიზებული ბგერის **ა**-ზე გაელენით). ამ ნიადაგზე მიღებული **ო** ფართოდ ვამოიყენება აფხაზურში და აშხარულ დიალექტში ზმნურ ფორმათა წარმოებისას. იგი შედარებით იშვიათად გვხვდება ტაპანთურ დიალექტში.

ა ხმოვანი **უ**-სთან (როგორც **უა**, ისე **აუ** კომპლექსში) გარკვეულს პირობებში ნაწილობრივი ასიმილაციით იქცევა **ო**-დ, ვიღებთ **უო** ან **ოუ** დიფთონგებს, ან ხდება მათი **ო**-დ შერწყმა (სადაც **უ** ცალკე კომპონენტად აღარ გამოდის)"[288]. იმავე მკვლევრის დაკვირვებით, **ო** ფონემის მიღების წყაროა **აუა** ტრიფთონგიც შეიძლება იყოს[289].

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ ამ საუკუნეხახევრის წინათ, 1862 წელს შედგენილ აფხაზური ენის გრამატიკულ მიმოხილვაში პ. უსლარი აფხაზურში **ო** ხმოვნის შემცველ ერთადერთ სიტყვად **აოვგ** (< **აუაჳგ**) "ადამიანი" სიტ-

[288] ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 49-50.
[289] იქვე. გვ. 49-50.

ყვას ასახელებდა[290]. შესაძლებელია, პ. უსლარი აქ ცოტას აჭარბებდა კიდეც და იმ დროს სხვა სიტყვებშიც იყო ეს ფონემა, მაგრამ მის ცნობას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს და გვიდასტურებს, რომ ო ხმოვნის დამოუკიდებელ ფონემად ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და იგი ენაში თვალშისაცემად იშვიათი ხმოვანი ყოფილა XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის. და მართლაც, ჩვენს ხელთ არსებულ საისტორიო წყაროებშიც საანალიზო სოფლის სახელის ო ხმოვნიანი **Одхера** ვარიანტი პირველად 1834 წელს დასტურდება პლატონ ს'ებოვის ჩანაწერებში[291].

ზემოთ დასახელებულ გარემოებათა გათვალისწინებით ვვარაუდობთ, რომ **ოთჰარა** ვარიანტი **ყველაზე ახალია** და იგი უნდა წარმოქმნილიყო **ჭათჰარა** ან **აჭათჰარა** ვარიანტთაგან **არა უადრეს XIX საუკუნის დასაწყისისა.**

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილ ჩვენს მოსაზრებას **ჭათჰარა, აჭათჰარა, აჭადჰარა, ოთჰარა** ვარიანტების მეგრული **ოთხირე** "სათხილე, თხილნარი" სახელისაგან მომდინარეობის შესახებ დაბრკოლებას არ უნდა უქმნიდეს თხილის, როგორც მცენარის, გავრცელების გეოგრაფია (ბიოტოპი). სპეციალისტთა ცნობით, თხილი საქართველოში ბუნებრივად ხარობს ზღვის დონიდან 1500-1800 მეტრამდე[292]. საანალიზო სახელებით აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტებიდან ამ ზონაზე მაღლა მხოლოდ ავადჰარის ქედის ზურგია[293], მაგრამ ამ ქედის ძირას მიმავალი მდინარე, მინერალური წყლის საბადო და კურორტი

---

[290] П.К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. I. Абхазский язык. Тифлис, 1887, გვ. 7-8.

[291] Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия историческая область Грузии (Историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тб., 1997, გვ. 310.

[292] იხ.: პ. ლორია. თხილი. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5. თბ., 1980, გვ. 33.

[293] ავადჰარის ქედის ზურგი აღწევს 2000-2600 მეტრს ზღვის დონიდან, კურორტი ავადჰარა მდებარეობს 1600 მეტრის სიმაღლეზე, მინერალური წყლის საბადო – 1650 მეტრზე, სოფელი ოთჰარა კი ზღვის დონიდან 180 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

თხილის ბუჩქის გავრცელების არეალში შედის. გარდა ამისა, როგორც ტოპონიმიკური კანონზომიერება გვიჩვენებს, ქედს შეიძლება სახელი დაერქვას მის ძირას მდებარე ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელის მიხედვითაც.

დაბრკოლება არც ისაა, რომ მდინარეს მცენარის გავრცელების ადგილის სახელი (სათხილე) ჰქვია. საქართველოს ტოპონიმიაში იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა მდინარეზე გადატანილა მის ნაპირებზე არსებული გეოგრაფიული ობიექტის სახელი.

4.4. ტყვარჩელი. გეოგრაფიული სახელი **ტყვარჩელ-ი // ტკვარჩელ-ი** ამჟამად ჰქვია აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამრეწველო ქვანახშირის საბადოთი ცნობილ ქალაქს, მის მიმდებარე სოფელსა და მთას. აფხაზურ ენაზე ეს 3 გეოგრაფიული ობიექტი აღინიშნება სახელწოდებით **ტყარჩალ**. როგორც დადგენილია, სოფელი ტყვარჩელი გეოგრაფიულ რუკებზე პირველად მხოლოდ XIX საუკუნეში ჩანს, უფრო ადრინდელ სხვა სახის წყაროებში კი არ დადასტურებულა[294].

ტყვარჩელის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული:

ი. ყიფშიძე ამ სახელს მეგრული წარმოშობისად მიიჩნევდა (მას აღნუსხული აქვს მხოლოდ **ტკვარჩელი** ვარიანტი) და განმარტავდა, როგორც "თეთრ კიბე"-ს (**ტკვა** "კიბე" + **ჩე** "თეთრი"), თუმცა არ ასაბუთებდა სახელდების ამგვარ მოტივაციას[295].

ასევე მეგრულის ნიადაგზე განმარტავდა ამ ოიკონიმს პ. ინგოროყვაც, რომლის ვარაუდით, **ტკვარჩელი** "დაფენილ კი-

---

[294] В. Е. Кварчия. დასახ. ნაშრ., გვ. 31. სხვათა შორის, 1864 წელს აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე მისი სამთავროს გაუქმების წინ სწორედ სოფელ ტყვარჩელში იმყოფებოდა იქაურ წყლებზე სამკურნალოდ, სადაც იგი რუსებმა დააპატიმრეს და გადაასახლეს რუსეთში.

[295] И. Кипшидзе. Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб., 1914, გვ. 329.

ბე"-ს ნიშნავს[296], თუმცა არც მას დაუსაბუთებია სახელდების მოტივაცია.

საყურადღებო თვალსაზრისი წარმოადგინა აკად. ქ. ლომთათიძემ. იგი წერდა: "აღნიშნული ტოპონიმის მეორე კომპონენტი მართლაც უნდა იყოს ქართ. **რეც** ფუძის [შდრ. ძვ. ქართ. და-**რეც**-ა "დააფინა, დააგო" – თ.გ.] ზანური შესატყვისიდან მომდინარე **ფენილის** (განფენილის) შინაარსის მქონე. პირველი ნაწილი **ტყვა** კი უნდა უკავშირდებოდეს **ტყვ(ი)ა** სიტყვას და მსგავსად მასთან წარმოშობით საერთო **ტყვიავი, ტყვიბული** (< ***ტყვივული**) ფუძეებისა, უნდა მიუთითებდეს ტყვიის (ე.ი. მადნის) არსებობაზე აღნიშნულ ადგილას. შესაბამისად **ტყვარჩელი** უნდა ნიშნავდეს **ტყვია** (resp. **მადან**) **ფენილს** (მოფენილს, განფენილს)"[297].

განსხვავებით ი. ყიფშიძისა და პ. ინგოროყვას ვარაუდებისაგან, რომლებიც ხალხურ ეტიმოლოგიებს უფრო უახლოვდებიან, ქ. ლომთათიძის მოსაზრება წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, მას დაბრკოლებას უქმნის ერთი გარემოება: მკვლევრის ვარაუდი ემყარება ქ. ტყვარჩელში სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ქვანახშირის საბადოს არსებობის რეალურ ფაქტს, თუმცა, სამწუხაროდ, არ მოიპოვება არავითარი საისტორიო ცნობა იმის შესახებ, რომ XX საუკუნემდე ცნობილი იყო ამ ადგილას საბადოს არსებობა, რაც გაამყარებდა ლინგვისტურად გამართულ თვალსაზრისს და უეჭველს გახდიდა მას. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სიტყვა **ტყვარჩელ**-იც კი არ დასტურდება XIX საუკუნეზე ადრინდელ წყაროებში, რომ არაფერი ვთქვათ ცნობებზე აქ საბადოს არსებობის შესახებ. სოფელი ტყვარჩელი XX საუკუნის 30-იან წლებამდე ერთი ჩვეულებრივი დასახლება იყო იმ სხვაობით, რომ აქ ამოდიოდა სამკურნალო წყალი და ხალხი მას ხშირად აკითხავდა მოშორებული ადგილე-

---

[296] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 172.

[297] ქ. ლომთათიძე. "ტყვარჩელის" გაგებისათვის. – ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1994, გვ. 9.

ბიდანაც კი. ქვანახშირის საბადოს სამრეწველო დამუშავება სოფელ ტყვარჩელში მხოლოდ 1935 წელს დაიწყო, ხოლო სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნილი ახალი დასახლება ქალაქად 1942 წელს გამოცხადდა.

საყურადღებოა ისიც, რომ **ტყვარჩელში ქვანახშირის მარაგი საკმაოდ ღრმად მდებარეობს** და ორ ფენად იყოფა: ზედა 100-მეტრიანი ფენა შედგება ნაკლებპროდუქტიული არგილიტებისაგან, რომლის ქვემოთაც განლაგებულია მეორე, 20-200 მეტრის სისქის პროდუქტიული ფენა[298]. საბადოს ღრმად მდებარეობის გამო ძნელად სარწმუნოა, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ იცოდა აქ ქვანახშირის მარაგის არსებობის შესახებ და ეს ფაქტი გამოიყენა ადგილის მარკირებისათვის. ამიტომ უფლება გვრჩება, ვეძიოთ საანალიზო გეოგრაფიული სახელის წარმომავლობის სხვაგვარი ახსნა.

ვიდრე ტოპონიმის წარმომავლობაზე ჩვენს მოსაზრებას გამოვთქვამდეთ, მკითხველს შევახსენებთ ერთ მეტად საყურადღებო გარემოებას, რომლის გათვალისწინებაც დაგვეხმარება საკითხის ანალიზის დროს. კერძოდ, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის, რომ თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მსხვილ დასახლებულ პუნქტთა (სოფლების, დაბებისა და ქალაქების) სახელებად (ოიკონიმებად და პოლისონიმებად) უხვად დასტურდება არსებითი სახელები მხოლობითი რიცხვის ფორმით ისე, რომ მათ არ ახლავს არც რაიმე მატოპონიმებელი აფიქსი და არც მსაზღვრელი სიტყვები (**ძველი, ახალი, ზედა, ქვედა, პირველი, მეორე...**). ტოპონიმთა ამ მოდელს განეკუთვნებიან შემდეგი სახელები (მრავალთაგან ვასახელებთ მცირედ ნაწილს):

აბანო – სოფლები ქარელის, ყაზბეგის, ჯავის რაიონებში; **აგარა** (ძვ. ქართ. "სახნავი მიწა") – სოფლები ხელვაჩაურის, ხულოს, ახალციხის, ქარელის, ამბროლაურის რაიონებში; **ახო** – სოფელი ქედის რაიონში; **ბაგა** – სოფელი დუშეთის რაიონში; **ბია** (მეგრ., იმერ., გურ. "კომში") – სოფელი ხობის რაიონში; **ბოსელ-ი** – სოფლები თერჯოლისა და დუშეთის რაიონებ-

---

[298] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 10, თბილისი, 1986, გვ. 86.

ში; **გალავან-ი** – სოფელი მცხეთის რაიონში; **გომ-ი** – სოფლები კასპის, ხაშურის, ონის, ოზურგეთის რაიონებში; **გორ-ი** – ქალაქი შიდა ქართლში, სოფელი ამბროლაურის რაიონში; **გორა** – სოფელი დმანისის რაიონში; **გუმბრა** (გვიმრის სახელწოდების ვარიანტი) – სოფელი წყალტუბოს რაიონში; **დაბა** – სოფლები ბორჯომისა და გაგრის რაიონებში; **დარბაზ-ი** – სოფელი ბოლნისის რაიონში; **დგნალ-ი** (ტირიფის ქვესახეობის სახელი) – სოფელი დუშეთის რაიონში; **ეწერ-ი** – სოფლები სენაკის, თერჯოლის, აბაშის, ჭიათურის, გალის, მარტვილის, წალენჯიხის, ლანჩხუთის რაიონებში; **ვაკე** – სოფლები თეთრიწყაროს, კასპის, ოზურგეთის, გაგრის, დმანისის რაიონებში; **ვანი** – დაბა ქვემო იმერეთში, სოფლები შუახევის, ჩოხატაურის, ჭიათურის, ხარაგაულის რაიონებში; **ზეგან-ი** – სოფლები მესტიის, გაგრის, სოხუმის რაიონებში; **ზვარე** – სოფლები ქედისა და ხარაგაულის რაიონებში; **თელა** – სოფელი ლაგოდეხის რაიონში; **იფხ-ი** (გვიმრის სვანური სახელი) – სოფელი მესტიის რაიონში; **კიბე** – სოფელი ხელვაჩაურის რაიონში; **კლდე** – სოფელი ახალციხის რაიონში; **მარან-ი** – სოფლები აბაშისა და სოხუმის რაიონებში; **მეწყერ-ი** – სოფელი ახალგორის რაიონში; **მონასტერ-ი** – სოფლები შუახევის, ხაშურისა და ახალგორის რაიონებში; **ოჩე** (სახნავი მიწის მეგრული სახელი) – სოფელი მარტვილის რაიონში; **პანტა** – სოფელი სოხუმის რაიონში; **რიყე** – სოფელი ზუგდიდის რაიონში; **სარო** (“კვიპაროსი”) – სოფელი ასპინძის რაიონში; **ტბა** – სოფლები ბორჯომისა და ცხინვალის რაიონებში; **ფლატე** – სოფელი ადიგენის რაიონში; **ქედ-ი** – სოფელი კასპის რაიონში; **ღადო** – სოფელი ახალქალაქის რაიონში; **ყარაღაჯ-ი** (მცენარის სახელი) – სოფელი კასპის რაიონში; **ყვავილ-ი** – სოფელი დუშეთის რაიონში; **ყორულ-ი** – სოფელი ყორნისის რაიონში; **ყუმურ-ი** (< მეგრ. ჯომური “ტყემალი”) – სოფელი ვანის რაიონში; **ჩრდილ-ი** – სოფელი ხარაგაულის რაიონში; **ცაცხვ-ი // ცხაცხუ** – სოფელი ზუგდიდის რაიონში; **ცხემნა** (< ცხემლა – მცენარის სახელი) – სოფელი ქედის რაიონში; **წნორ-ი** – დაბა სიღნაღის რაიონში; **წრომ-ი** – სოფელი ხაშურის რაიონში;

წყნორ-ი (მცენარის სახელი) – სოფელი ტყიბულის რაიონში; **ჭალა** – სოფლები ოზურგეთის, სოხუმის, შუახევის, ლანჩხუთის, საჩხერის, ონის რაიონებში; **ჭანდარ-ი** – სოფელი გურჯაანის რაიონში; **ხევ-ი** – სოფლები ხარაგაულისა და ჩოხატაურის რაიონებში; **ხიდ-ი** – სოფელი ხონის რაიონში; **ჯეგირ-ი** – სოფელი გორის რაიონში; **ჯვარ-ი** – დაბა წალენჯიხის რაიონში, სოფელი საჩხერის რაიონში; **ჯიხა** (მეგრ. "ციხე") – სოფელი სენაკის რაიონში და სხვ.

ამ მოდელის ტოპონიმებში საკმაოდ ბევრია ისეთი სახელები, რომელთაც საფუძვლად დასდებია მცენარეთა სახელწოდებანი: **ბია, გუმბრა, დგნალი, თელა, იფხი, პანტა, სარო, ყარაღაჯი, ყვავილი, ყუმური, ცაცხვი // ცხაცხუ, ცხემნა, წნორი, წყნორი, ჭანდარი,** რომლებიც ასევე მთელი საქართველოს ტერიტორიას მოიცავენ, რაც ასეთ სახელთა და შესაბამისი ტოპონიმიკური მოდელის სიძველეზე მეტყველებს.

ამავე მოდელს განეკუთვნება აგრეთვე ქ. სოხუმის ძველი სახელი **ცხუმ**-იც, რომელიც ძველ ქართულ წერილობით წყაროებში (მაგალითად, "ქართლის ცხოვრება"-ში) VIII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება პირველად და დასტურდება **ცხომ-ი** და **ცხემ-ი** ვარიანტების სახითაც. შდრ.: სვან. **ცხუმ // ცხვიმ // ცხჷმ** "ცხემლა", ოიკონიმი **ცხუმ-არ-ი** "ცხემლები" სვანეთში, მესტიის რაიონში...

საინტერესოა, რომ ქ. სოხუმს აფხაზურ ენაზე სრულიად სხვა, **აყა** სახელი[299] აღნიშნავს, რაც ინოვაციაა და უკავშირდება მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლას რეგიონში. **ცხუმ** ფორმა ქ. სოხუმის სახელად აფხაზთა შორისაც

---

[299] სოხუმის აფხაზური სახელი **აყვა** "დამყაყებული წყალი" **Acua** ფორმით პირველად იხსენიება ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის რუკაზე მდ. ყუბანის ნაპირზე, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზებმა ეს სახელი თან ჩამოიყოლეს ჩრდილოეთ კავკასიიდან. იგივე სახელი კიდევ 12 სხვა ევროპულ რუკაზეც აღინიშნება კვლავ ყუბანის ნაპირებზე. ეს რუკებია: მერკატორის 1591 წლის, მერკატორისა და იუდოკუს ჰონდიუსის 1633 წლის, იუდოკუს ჰონდიუსის XVII ს. I ნახევრის, ფრედერიკ დე ვიტის 1671 წლის, იოან იანსონის XVII საუკუნის, დავიდ დე ვილპელმის XVIII საუკუნისა და ა. შ.

ყოფილა გავრცელებული XX საუკუნემდე, რასაც გვიდასტურებს ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ცნობაც. 1889 წელს ეს მკვლევარი შემდეგს აღნიშნავდა:

"ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზნი, შემდეგ იმათის გადმოხვეწნისა მთას-იქიდამ, როგორც უფრო ძლიერნი, მოაწვნენ მეგრელებს და ამ უკანასკნელებმა თავის სისუსტის გამო დაუთმეს მათ თავისი მიწა-წყალი... ცხადი უნდა იყოს, რომ აფხაზური ენა ძველადგანვე ცოტა-ცოტად იჭერდა მეგრულის ენის ადგილს – მიწასა და, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, იმ დროს, რომელსაც ზემოთ ხსენებული ნაშთები ეკუთვნის, მთელი წებელდი და აფხაზეთი, მთლად თუ არა, მომეტებული ნაწილი მაინც, ჯერ ისევ მეგრულს ტომს ეჭირა. როგორც წინათაც გვითქვამს, ძველი გეოგრაფიული სახელწოდებანი შთებიან ადგილობრივ, თუმცა შეცვლით, შემდეგშიაც, როდესაც ამ სახელწოდებათა ენის ადგილი უცხო-ტომს ენას დაუჭერია. აი მიზეზი, რომ მთელს აფხაზეთში აქამომდე მრავალი მეგრული სახელწოდება ისმის; იმათ შორის **თვით ისტორიული ცხუმი ანუ ცხომი (სოხუმი), რომელიც დიდი ხანია ხმარებიდამ გამოვიდა და რომელსაც აქამომდე აფხაზნი უწოდებენ ერთს ციხის ნანგრევს სოხუმის მახლობლად**"[300].

ტოპოფორმანტებით გაუფორმებელ გეოგრაფიულ სახელთა მოდელი იმდენად მტკიცედ არის დამკვიდრებული ქართველთა ენობრივ ცნობიერებაში, რომ ხანდახან მისი ზეგავლენით ხდება არაქართული ტოპონიმის ქართულად გადააზრიანებაც. მაგალითად, ერთ-ერთი უბიხური ტომის, თუ საგვარეულოს **სჭა-ჩა**-ს სახელისაგან მომდინარე ქალაქის სახელწოდება **სოჩა** (შდრ. უბიხური **საჩა**, აფხაზური **შაჩა**) ქართველთა ენობრივმა ცნობიერებამ იოლად დაუკავშირა სოჭის ხის ქართულ სახელწოდებას, რის გამოც აღნიშნული ქალაქის სახელი ქართულ ენაზე უპირატესად **სოჭ-ი** ფორმით მოიხსენიება, ხოლო მართებული **სოჩა** ვარიანტი რუსიფიცირებულ ფორმად გაიგება.

ამ საკვალდებულო მსჯელობის შემდეგ მივუბრუნდეთ ქ.

---

[300] დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. თბ., 1889, გვ. 272-273 (ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

ტყვარჩელის სახელწოდებას. მიგვაჩნია, რომ მეგრული ფორმები **ტყვარჩელი // ტკვარჩელი** აგებულია ზემოთ განხილული ზოგადქართული ტოპონიმიკური მოდელის მიხედვით და უკავშირდება ყოჩივარდას მეგრულ **ტყვარჩელია // ტკვარჩელია** სახელწოდებას, რომელიც დასტურდება პ. ჭარაიასა და ბოტანიკოს ალ. მაყაშვილის ლექსიკონებში[301]. ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს შემდეგი გარემოებანი:

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაკროტოპონიმის როლში წმინდა ფუძის სახით, მატოპონიმებელი აფიქსებისა და მსაზღვრელი სიტყვის გარეშე წარმოდგენილ არსებით სახელთა (მათ შორის, მცენარის სახელწოდებათა) გამოყენება სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე მეტად გავრცელებულია და მოიცავს ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიასაც.

2. აფხაზურ **ტყარჩალ** ფორმას ამ ენაზე არანაირი დამაჯერებელი ახსნა არ ეძებნება. მეტიც, **ამ სახელს იმგვარი ფონემური შემადგენლობა აქვს, როგორიც არ არის დამახასიათებელი საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის სიტყვებისათვის.** კერძოდ, აფხაზური წარმოშობის არცერთ ფუძეში, ან ძირში არ დასტურდება **ტყ, ტყ, ტყ** თანხმოვანთკომპლექსები. ამ კომპლექსთა შემცველი **უკლებლივ ყველა სიტყვა** აფხაზურ ენას ნასესხები აქვს ქართული სამწიგნობრო ენიდან, ან მეგრული დიალექტისაგან. მაგალითად: აფხაზ. **ა-ტყა** < ქართ. **ტყვე**, აფხაზ. **ა-ტყაც-რა** "გასკდომა, აფეთქება; ქუხილი" < მეგრ. დიალ. **ტყვაც-უა** "ტკაცანი, ტკრციალი; ქუხილი", აფხაზ. **ა-ტყაპ // ა-ტყაპა** "ტალახი, ლაფი, ტლაპო" < იმერ. დიალ. **ტყლაპო** "ტლაპო", აფხაზ. **ა-ტყაპ // ა-ტყაპა** < ქართ. **ტყლაპი**, აფხაზ. **ა-ტყწ'ლ** "ტყირპი" < მეგრ. დიალ **ტყილი** "ტყირპი" და სხვ. ამ სიტყვათა ქართველური წარმომავლობას აღასტურებს მახვილის განლაგებაც მათში: მახვილი ყველგან ინარჩუნებს იმ პოზიციას, რაც მას ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში აქვს.

---

[301] პ. ჭარაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1997, გვ. 129; ალ. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი, 1991, გვ. 72.

ზუსტად ასეევა ქ. ტყვარჩელის აფხაზურ **ტყარჩალ** სახელშიც.

3. ტყვარჩელის სახელწოდების ქართულ, კერძოდ, მეგრულ წარმოშობას ადასტურებს სიტყვათსესხების ფონეტიკური კანონზომიერებანიც. ამოსავალი რომ აფხაზური **ტყარჩალ** ვარიანტი ყოფილიყო, ამ კანონზომიერებათა ამოქმედების შედეგად ქართულ სამწიგნობრო ენასა და მეგრულ დიალექტში უცილობლად უნდა გვქონოდა ***ტყვარჩალ-ი** სახეობა, რაც არ დასტურდება. თუ მაინც დავუშვებთ ამგვარ შესაძლებლობას, მაშინ ასახსნელი იქნება, თუ რატომ არ დაიცვა ქართულმა ენამ და მეგრულმა მეტყველებამ სიტყვის ადაპტირების ბუნებრივი წესები და რატომ შეცვალა ფუძის ბოლო მარცვალში მოსალოდნელი **ა** ხმოვანი **ე** ხმოვნით, მით უმეტეს, რომ ფუძეში ამგვარი ცვლილების ფონეტიკური გარემო არ არის — როგორც ცნობილია, უწესრიგო ფონეტიკური ცვლილებანი ენაში არ ხდება.

სამაგიეროდ, კანონზომიერად იხსნება პირიქითი პროცესი: კარგა ხანია დადგენილია, რომ ქართველური ინტერკონსონანტური **ე** ხმოვანი აფხაზურ ენაში ბუნებრივად იცვლება **ა** ხმოვნით. სწორედ ასე უნდა შეცვლილიყო **ჩ** და **ლ** თანხმოვნებს შორის მოქცეული **ე** ხმოვანი აფხაზურში. შდრ.: ქართ. **ჩელტ-ი** > აფხაზ. **ა-ჩალტ**[302]. ზუსტად ამგვარადაა მიღებული აფხაზური **ტყარჩალ** ფორმა მეგრული **ტყვარჩელ-ი** ფორმისაგან, რითაც უნაკლოდაა დაცული აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათსესხების წესები.

4. ტყვარჩელის მეგრული სახელის პირველადობას ადასტურებს აგრეთვე აფხაზეთის ამ ნაწილის (აბჟუა-სამურზაყანოს) ეთნიკური ისტორიაც. ქართული და უცხოენოვანი წერილობითი თუ კარტოგრაფიული წყაროების ანალიზი უდავოდ გვიჩვენებს, რომ აფხაზური მოსახლეობა ტყვარჩელის მიდამოებში არ სახლობდა XVII საუკუნის მეორე ნახევრამდეც კი: ადრეფეოდალური ხანის აფშელ-აფსილები, რომელთა ეთნიკური ვინაობა ჯერ კიდევ ბოლომდე დადგენილი არ არის, იმ

---

[302] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორ.-შედარ. ანალიზი. I, გვ. 47.

ეპოქაში ცხოვრობდნენ ახლანდელი ქ. ტყვარჩელის ჩრდილოეთით, კოდორის სათაეეების ახლოს, რაც იმას ნიშნავს, რომ **XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე ტყვარჩელის სახელწოდების აფხაზური ვარიანტი ვერ წარმოიქმნებოდა.** სხვაგვარად რომ ითქვას, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მდინარე ღალიძგის ნაპირებზე მოსულ აფხაზებს უკვე დახვედაო ქართული სოფელი ტყვარჩელი და ამავე სახელწოდების მთა, რომელთა სახელიც ისესხეს მათ დამხვდურთაგან და თავიანთი ენის კანონთა შესაბამისად უცვალეს მას ფორმა.

5. წინა პუნქტებში წარმოდგენილ არგუმენტებს კიდევ უფრო ამყარებს ყოჩივარდას მეგრული სახელის ეტიმოლოგია. ჩვენი აზრით, მეგრული **ტყვარჩელია** და **ტკვარჩელია** ვარიანტებიდან მეორე უფრო ახალი უნდა იყოს (ცნობილია მეგრულ-ლაზურ მეტყველებებში **ყ** თანხმოვნის პოზიციათა სისუსტე და ამ ბგერის ცელა სხვა ფონემებით, მათ შორის **კ** თანხმოვნით). თაეის მხრივ, არც **ტყვარჩელია** ფორმა ჩანს უძველესი. ჩვენი ვარაუდით, იგი თავდაპირველად არ შეიცავდა **-ია** სუფიქსს, რომელიც ამჟამად ძალზე ხშირად გვხვდება მცენარეთა მეგრულ სახელებში. მაგალითად: **ბადად-ია** "ხვართქლა", **ბარწკვენ-ია // ბარწკვინ-ია** "თაგვისარა", **ბაძგარ-ია // ბაწკარ-ია // ბაკარ-ია** "ბირკა", **გახოკ-ია** "ცხენისკუდა", **დიხაში მელიშ-ია** "ძაღლყურძენა", **თახვანტ-ია** "დიდგულა", **ინჭირ-ი // ინჭირ-ია // ინჭირ-ა-ია // ინჭილ-ია** "ანწლი", **კოპეშ-ია** "გოგრა" და სხვ. ამ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს მცენარეთა ის მეგრული სახელწოდებანი, რომლებსაც თვით მეგრულ'ში მოეპოვებათ როგორც **-ია** სუფიქსიანი, ისე უმისო ვარიანტები, ანდა მეგრულში აქვთ **-ია** სუფიქსი, მაგრამ სხვა ქართულ დიალექტებში წარმოდგენილნი არიან ამ სუფიქსის გარეშე. შდრ., მაგალითად: **ინჭირ-ი // ინჭირ-ია // ინჭირ-ა-ია // ინჭილ-ია** და **ანწლ-ი**; **ბაძგ-არ-ია // ბაწკ-არ-ია // ბაკ-არ-ია** და **ბაძგ-ი // ბაძგ-არ-ი // ბაძგ-არ-ა**; **კოპე-შ-ია** და **კოპე...**

მაშასადამე, ამ გარემოებათა გათვალისწინებით, უნდა დავასკვნათ, რომ ყოჩივარდას მეგრული სახელწოდების ამოსა-

ვალი, თავდაპირველი ფორმა იყო ***ტყვარჩელ-ი**, რაც უცვლელად შემოინახა საანალიზო ტოპონიმმა.

მაგრამ აქ დაისმის კიდევ ერთი საკითხი: რა აგებულებისაა მეგრული **ტყვარჩელ-** ფუძე?

ამ კითხვის პასუხი ასეთია: **ტყვარჩელ-** ფუძე რთული აგებულებისაა, კომპოზიტია და მიღებულია ორი სიტყვის ფუძეთა შერწყმით. მეორე კომპონენტად გამოყენებული ჩანს "დაფენის, დაგების" აღმნიშვნელი ძველქართული **რეც** ძირისაგან (და-**რეც**-ვ-ა) მომდინარე მეგრული მიმღეობა **რჩ-ელ-ი** "დარეცილი, დაფენილი, დაგებული", რომელსაც **ტყვარჩელ-** ფუძეში გამოყოფდა ქ. ლომთათიძე (იხ. ზემოთ); პირველ კომპონენტად კი გამოყენებული უნდა იყოს **ტყავ-ი** სახელის ფუძე, რომელშიც მომხდარა ბგერათა მეტათეზისი (ადგილმონაცვლეობა): **ტყავ- > ტყვა-**. შესაბამისად, ყოჩივარდას მეგრული სახელი თავიდან ***ტყავრჩელ-ი** "ტყავდარეცილი, ტყავდაფენილი, ტყავდაგებული" ფორმისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქ ერთი საკითხიცაა გასარკვევი:

ყოჩივარდას რომელ ბოტანიკურ-მორფოლოგიურ თვისებას უნდა გამოეწვია სახელდების ამგვარი მოტივაცია ("ტყავდაფენილი")?

ვფიქრობთ, ამ კითხვის პასუხს მცენარის ფოთლების თავისებურება და მათი განლაგება უნდა გვაწვდიდეს. სპეციალისტი-ბოტანიკოსები ამ მცენარეს ასე აღწერენ:

"**ყოჩივარდა** (Cyclamen) მრავალწლოვან მცენარეთა გვარი ფურისულასებრთა ოჯახისა. **აქვს ტყავისებრი** მომწვანო-ჭრელი, მომრგვალო-გულისებრი ან თირკმლისებრი **ფოთლები, რებიც ნიადაგის ზედაპირზე ქმნიან როზეტს**_"[303].

მცენარის ღეროს გარშემო, უშუალოდ მიწაზე დაფენილი საკმაოდ უხეში, ტყავისებრი ფოთლები საკმარისი სამოტივაციო თვისება უნდა ყოფილიყო ყოჩივარდას სახელად ***ტყავრჩელ-**ის "ტყავდარეცილის, ტყავდაფენილის, ტყავდაგებულის" შესარჩევად. დროთა მანძილზე ***ტყავრჩელ-ი** ფორმისაგან იო-

[303] ა. ასიეშვილი. ყოჩივარდა. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10. თბ., 1986, გვ. 660.

ლად მივიღებდით ჯერ **ტყვარჩელი > ტკვარჩელ-ი** ფორმებს, შემდეგ კი **ტყვარჩელ-ია > ტკვარჩელ-ია** ვარიანტებსაც.

შენიშვნა: ამჟამად, როცა აფხაზეთი ოკუპირებული და ანექსირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რეგიონში მიმდინარეობს **ე.წ. ტოპონიმიკური ომიც**: ოკუპანტები და მათი დასაყრდენი მარიონეტული რეჟიმი ცდილობენ, წაშალონ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა ავტოქთონობისა და ოდინდელი ცხოვრების კვალი. ამ მიზნის მისაღწევად გეოგრაფიულ ობიექტებს, განსაკუთრებით კი დასახლებულ პუნქტებს სრულიად გაუუქმეს ქართული სახელები, ანდა დაამკვიდრეს ქართულ ტოპონიმთა აფსუიზებული თუ რუსიფიცირებული სახელები. ტოპონიმიკური ომის ერთ-ერთი სამიზნე სახელი **ტყვარჩელ**-იც გახდა: ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს, XX ს. 70-80-იან წლებში იყო მცდელობა ქალაქისა და მიმდებარე სოფლის სახელად ქართულ ენაზე დაემკვიდრებინათ **ტყუარჩალი** ფორმა, ხოლო რუსულ ენაზე **Ткуарчал** ვარიანტი. მაშინ ეს გეგმა ვერ განხორციელდა, ახლა კი ქართული ენა რეგიონში აკრძალულია და ოკუპანტებს მოხსნილი აქვთ ქართული ორთოგრაფიის პრობლემა, რუსულად კი დაამკვიდრეს აფსუიზებული **Ткуарчал** ვარიანტი, რითაც ხაზს უსვამენ სახელწოდების ვითომდა აფხაზურ წარმომავლობას.

65. ბიჭვინთა. როგორც ცნობილია, დაბა ბიჭვინთის სახელი პირველად სტრაბონის "გეოგრაფია"-ში დასტურდება **პიტიუნტა-ს (Πιτυντα)** ფორმით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სტრაბონი (ძვ.წ. I ს. - ახ.წ. I ს.) ემყარებოდა ძვ.წ. II საუკუნის ბერძენი გეოგრაფოსის არტემიდორე ეფესელის ცნობებს.

ბიჭვინთის ქალაქ-კოლონიას ახ.წ. დასაწყისში ორი განსხვავებული ფორმით ახსენებენ პლინიუს უმცროსი, ამიანე მარცელინუსი, თეოდორიტე კვირელი, V საუკუნის ანონიმი ბერძენი გეოგრაფოსი, ზოსიმე, პროკოპი კესარიელი, თეოფანე ბიზანტიონელი და სხვანი.

ძველქართულ წერილობით წყაროთაგან VIII საუკუნის ანონიმი ავტორის თხზულებაში "წამება წმიდათა დავითისა და

კონსტანტინესი" დასტურდება **პიტიოტა** ფორმა, მოგვიანო ხანის თხზულებებში კი ("ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი", "ქართლის ცხოვრების" გაგრძელება და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი "აღწერა სამეფოსა საქართველოსა") დასტურდება **ბიჭვნტა** და **ბიჭვინტა** ვარიანტები.

ერთი და იმავე **ბუჯუნდე** ფორმით მოიხსენიება ბიჭვინთა 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილეთა სირიულ სიაში და XVII საუკუნის ჯიჰან-ნუმას რუკაზე.

შუა საუკუნეების დასავლეთევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებსა და რუკებზე ბიჭვინთა აღინიშნება **Pezonda** ფორმითაც.

ამჟამად ამ დასახლებულ პუნქტს ქართულად **ბიჭვინთა** ეწოდება, ხოლო აფხაზურ ენაზე გამოიყენება დასავლეთევროპული ვარიანტის რუსიფიცირებული **პიცუნდა** ფორმა, ან იშვიათად აფხაზური **ა-შზარა** "ფიჭვნარი" სახელი.

ბიჭვინთის სახელის ეტიმოლოგიის შესახებ რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. პ. ინგოროყვას აზრით, სახელი **ბიჭვინთა** ქართულია როგორც ფუძით, ისე ბოლოკიდურა **-ნ-თა** ფორმანტებით და მიღებულია **ფიჭვ-ი** და **-ნ-თა** ელემენტების შეერთებით (შდრ. სოფლის სახელი **გურია-ნ-თა**), ხოლო ბერძნულ-ლათინურ წყაროებში წარმოდგენილი **პიტიუს** ფორმა ფიჭვის ქართული სახელწოდების თარგმანია. იმავე მკვლევრის თვალსაზრისით, ბერძნული **პიტიუნტა** ფორმა ქართული **ბიჭვინთა** ფორმის სახენაცვალი ვარიანტია და მასში შენარჩუნებულია ქართული **-ნ-თა** რთული სუფიქსი[304].

ამ მოსაზრებას იზიარებს ზ. ჭუმბურიძეც, რომელიც წერს: "პიტიუნტა **ბიჭვინთა**-ს დამახინჯებული ფორმაა, ხოლო **პიტიუსი** ქართული სახელწოდების თარგმანია: **პიტიუს** ბერძნულად ფიჭვს ნიშნავს"[305].

განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ გამოთქმული ა. აფაქიძესა და ი. ციციშვილს. მათი აზრით, ბიჭვინთის როგორც ქართული, ისე ძველბერძნული სახელი **პიტიუნტა** ბერძნული **პიტი-**

---

[304] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 148.

[305] ზ. ჭუმბურიძე. დედაენა ქართული. თბ., 1987, გვ. 434.

უს "ფიჭვი" სიტყვისაგან მომდინარეობს[306].

აღნიშნული ვარაუდები ემყარება იმ ფაქტს, რომ ბიჭვინთის ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი ფიჭვის უნიკალური, რელიქტური ჯიშის ტყე.

დაისმის საკითხი: რომელი ფორმაა თავდაპირველი – ქართული **ბიჭვინთა**, ბერძნული **პიტიუს** და **პიტიუნტა**, თუ აფხაზური **ამზარა**? ამასთანავე დასადგენია ისიც, თუ რომელ ენაზე შეერქვა სახელი უპირველესად ამ დასახლებულ პუნქტს: ქართულად, ბერძნულად, თუ აფხაზურად.

ერთი შეხედვით, ეს საკითხები მარტივად შეიძლება გადაწყდეს, თუ გავითვალისწინებთ საანალიზო ფორმათა წერილობით წყაროებში ფიქსირების ქრონოლოგიას. მათგან ყველაზე ადრე, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე იხსენიება ბერძნული ვარიანტები, აფხაზური ფორმა საერთოდ არ დასტურდება XX საუკუნემდელ წყაროებში, ხოლო ბერძნულ **პიტიუნტა** ვარიანტთან ახლომდგომი ქართული **პიტიოტა** ფორმა ყველაზე ადრე მხოლოდ VIII საუკუნეშია ფიქსირებული. ამ მონაცემთა საფუძველზე თითქოს სავარაუდო უნდა იყოს, რომ ამ დასახლებულ პუნქტს თავდაპირველად ბერძენმა კოლონისტებმა უწოდეს **პიტიუსი**, ან **პიტიუნტა**, რომელთაგან მეორე ვარიანტი ისესხეს ქართველებმა და თავისებურად გადაასხვაფერეს იგი, ხოლო აფხაზებმა **ამზარა** მხოლოდ XX საუკუნეში შეარქვეს მას. მაგრამ საკითხი გაცილებით უფრო რთული გაღასაწყვეტია.

ბიჭვინთის სახელწოდების ეტიმოლოგიის გასარკვევად ბევრი მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი. კერძოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბერძენი კოლონისტები ახალ ქვეყანაში დასახლებისას ხშირად ანგარიშს უწევდნენ ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის ადგილობრივ სახელწოდებას. თუკი ადგილობრივი სახელი გამჭვირვალე ეტიმოლოგიისა იყო, კოლონისტები მას ხშირად ზუსტად, ან მიახლოებით თარგმნიდნენ ბერძნულ ენაზე. მაგალითად, ასე მოექცნენ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე მათ მოსვლამდე არსებულ

---

[306] ა. აფაქიძე, ი. ციციშვილი. ბიჭვინთა. – "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ. 2, თბ., 1977, გვ.422.

ისეთ გამჭვირვალე ქართულ პიდრონიმებს, როგორიცაა მდ. ყვირილას სახელი, რომელიც თარგმნეს როგორც **ბოას**, ხოლო მდ. ცხენისწყალს უწოდეს **ჰიპოს-ი** და ა.შ. ბერძენთა ამ ჩვევისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბიჭვინთის ტერიტორიაზე ბერძნული ქალაქ-კოლონიის დაარსებამდე უკვე არსებობდა ავტოქთონური დასახლება, რაზეც პირდაპირ მიუთითებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, აგრეთვე ბერძენ ავტორთა წერილობითი ცნობები, უპრობლემოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბიჭვინთის ბერძნული სახელები არ უნდა იყოს თავდაპირველი და ისინი წარმოადგენენ ავტოქთონური სახელის ისეთსავე თარგმანს, როგორიცაა **ბოას** და **ჰიპოს** პიდრონიმები.

ამ ვარაუდის სასარგებლოდ სხვა გარემოებასაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. კერძოდ, ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, თუ რატომ ხმარობდნენ ძველი ბერძენი ავტორები ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად ორ სხვადასხვა (**პიტიუს** და **პიტიუნტა**) ფორმას.

როგორც ცნობილია, ბერძნულად **პიტიუს** ფორმა ფიჭვის სახელწოდების სახელობითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის ფორმაა. მას არ ერთვის რაიმე მატოპონიმებელი აფიქსი, ხოლო **პიტიუნტა** ვარიანტი **პიტიუს** ფორმისაგან მომდინარეობს და შეიცავს მატოპონიმებელ **-ნტა** სუფიქსს. ანალოგიისათვის არსებითია იმის გათვალისწინება, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდებად ძველი ბერძნები სხვა შემთხვევაშიც პარალელურად ხმარობდნენ უაფიქსო და აფიქსიან ვარიანტებს: ლაზეთის ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში დასტურდება ერთი და იმავე მდინარის სახელწოდების 2 ვარიანტი: **ოფი** და **ოფიუნტა** (**ოფი** ამ მდინარეს ახლაც ჰქვია). როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში (ბიჭვინთისა და ოფის სახელწოდებებთან დაკავშირებით) ბერძნები ემყარებოდნენ ადგილობრივ სახელწოდებებს. მათ თავდაპირველად უცვლელად გადაიღეს ადგილობრივი ტოპონიმიკური მოდელი (არსებითი სახელი მატოპონიმებელი აფიქსების გარეშე ტოპონიმ-პიდრონიმის როლში), მაგრამ რაკი მათ ენაში უფრო ბუნებრივი იყო მატოპონიმებელი აფიქსების

შემცველი გეოგრაფიული სახელები, დროთა მანძილზე შეცვალეს კალკირებული მოდელი ბერძნული ენისათვის უფრო ბუნებრივი მატოპონიმებელი აფიქსის შემცველი ვარიანტებით, ე.ი. გააბერძნულეს ავტოქთონური გეოგრაფიული სახელები.

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ დაზუსტებას მოითხოვს საკითხი: კონკრეტულად რომელი ენიდან თარგმნეს ბერძენმა კოლონისტებმა ბიჭვინთის სახელი – ქართველური კილოებიდან, თუ აფხაზური ენიდან?

როგორც ზემოთ აღინიშნა, პ. ინგოროყვასა და ზ. ჭუმბურიძის აზრით, ბერძნებს უთარგმნიათ ფიჭვის საკუთრივ ქართული სახელწოდება, მაგრამ ეს სწორი ვარაუდი, ჩვენი აზრით, მოითხოვს დამატებით არგუმენტირებას, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ბიჭვინთას აფხაზები **ამზარა** სახელსაც უწოდებენ, რაც ფიჭვისავე აფხაზური **ა-მზა** სახელის კრებითი მრავლობითის **-რა** სუფიქსიანი ფორმაა. **ამზარა** სახელი, როგორც აღვნიშნეთ, XX საუკუნემდე არცერთ საისტორიო წყაროში არ იხსენიება, რაც უმნიშვნელოვანესი დაბრკოლებაა იმ ვარაუდის დასაშვებად, თითქოს ძველ ბერძნებს შეეძლოთ ეთარგმნათ კრებითობის სუფიქსიანი აფხაზური სახელი **პიტიუნტა** ფორმის სახით და ამის შემდგომ გაჩენილიყოს მატოპონიმებელი აფიქსის არმქონე **პიტიუს** ფორმა, მაგრამ მაინც აუცილებელია იმის დადგენა, თუ რამდენად გავრცელებულია ტოპონიმის როლში მცენარის სახელწოდების (დენდრონიმის) მხოლობითი რიცხვის ფორმით გამოყენება, ერთი მხრივ, ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში და, მეორე მხრივ, აფხაზურ ენაში. თუ რომელიმე მათგანში მატოპონიმებელი აფიქსის გარეშე წარმოდგენილი დენდრონიმის გამოყენება გეოგრაფიულ სახელად ბუნებრივი და პროდუქტიულია, მაშინ უყოყმანოდ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ბერძნული **პიტიუს** ფორმა სწორედ ამ ენიდანაა თარგმნილი, ხოლო **პიტიუნტა** ვარიანტი გაცილებით უფრო გვიანაა **პიტიუს** ფორმისაგან მიღებული.

ზემოთ, ტოპონიმ **ტყვარჩელ**-ის ეტიმოლოგიის რკვევისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ **პრაქტიკულად მთელი საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის, სვანეთისა და სამეგრელო-აფხაზეთის მიწაზეც) ძველთაგანვე საკმაოდ გავრცელებულია მხო-**

ლობით რიცხვში მდგარი, მატოპონიმებელი აფიქსის გარეშე წარმოდგენილი ქართველური დენდრონიმების გამოყენება მაკროტოპონიმებად.

რაც შეეხება აფხაზურ ენას, მისთვის საერთოდ არ არის დამახასიათებელი მაკროტოპონიმის როლში მხოლობით რიცხვში მდგარი, მატოპონიმებელი აფიქსის გარეშე წარმოდგენილი დენდრონიმის გამოყენება. მეტიც, აფხაზურ ენას არ ახასიათებს არც მაკროტოპონიმად ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვში მდგარი დენდრონიმების გამოყენება. ამ ენისათვის დამახასიათებელია დენდრონიმთაგან მომდინარე მაკროტოპონიმების 3 სხვა მოდელი:

1. დენდრონიმი კრებითი მრავლობითი რიცხვის -რა სუფიქსით: ა-ლ-რა "თხმელნარი, მურყნალი" (სოფელი გუდაუთის რაიონის ააცის თემში; შდრ. ა-ლ "თხმელა, მურყანი"), ა-ჯამფაზ-რა "ჭიაფყერნალი" (სოფელი ოჩამჩირის რაიონის გუფის თემში; შდრ. ა-ჯამფაზ "ჭიაფყერა"), ა-ჯ-რა "მუხნარი" (სოფელი ოჩამჩირის რაიონის აგუბედიის თემში; შდრ. ა-ჯ "მუხა").

2. გაკომპოზიტებული დენდრონიმი თანმხლებ მსაზღვრელ სიტყვასთან სიტყვებთან ერთად: ა-ჯ-ხახარა "ბორჯღალა მუხა" (სოფელი გუდაუთის რაიონის კალდახვარის თემში), ა-რა-შ-ახშ "თეთრი კაკლის გორა" (სოფელი გუდაუთის რაიონის კალდახვარის თემში), ა-ლაჰა-შ-ხშ "თეთრი ლელვის გორა" (სოფელი გუდაუთის რაიონის ზვანდრიფშის თემში), ა-ჯ-აჟ "ბებერი მუხა" (სოფელი ოჩამჩირის რაიონის მოქვის თემში), ა-რა-ჟაპარა "კაკალთა სიხშირე, კაკლოვანი" (სოფელი ოჩამჩირის რაიონის ჭლოუს თემში), ა-რა-დუ "დიდი კაკალი" (თემი ოჩამჩირის რაიონში), ა-რა-კ'ვჩ "წახრილი, გადახრილი კაკალი" (თემი ოჩამჩირის რაიონში).

3. დენდრონიმი მსაზღვრელი სიტყვის როლში: ა-ლაჰა-ხ "ლელვის წყალი" (თემი გაგრის რაიონში), ა-რასა-ხწ "თხილის წყარო" (თემები გაგრისა და ოჩამჩირის რაიონებში), ა-ჯ-ახშ "მუხის გორა" (სოფელი გუდაუთის რაიონის კალდახვარის თემში), ა-ლ-ხწ "თხმელის, მურყნის წყარო" (სოფელი გუდაუთის

რაიონის ააცის თემში), **ა-ლაფან-კარა** "ლაფნის ღელე" (სოფელი ოჩამჩირის რაიონის სომხური ათარის თემში), **შეც-კარა** "ბზის ღელე" (სოფელი სოხუმის რაიონის ეშერის თემში).

ამ 3 მოდელიდან აფხაზური **ა-მზა-რა** "ფიჭვნარი" აფხაზურ ტოპონიმიკურ მოდელთა პირველ ჯგუფს განეკუთვნება და, როგორც აღვნიშნეთ, ფიჭვის აფხაზური **ა-მზა** სახელის კრებითი მრაელობითის ფორმაა. მასში გამოიყოფა კრებითობის **-რა** სუფიქსი (იგივე **ამზარა** სახელი ეწოდება კიდევ 2 სოფელს სოხუმის რაიონის შრომისა და ამტყელის თემებში).

რაკი **ამზარა** ტოპონიმის მორფოლოგიური მოდელი არ ემთხვევა ძველბერძნულ წყაროებში ფიქსირებულ **პიტიუს** სახელის მორფოლოგიურ მოდელს და XX საუკუნემდე საერთოდ არ დასტურდება არცერთ საისტორიო წყაროში, უნდა გამოირიცხოს ვარაუდი, თითქოს ძველ ბერძენ კოლონისტთა მოსელამდე ახლანდელი ბიჭვინთის ტერიტორიაზე ბინადრობდა აფხაზური მოსახლეობა და ბერძნებმა მისი ენიდან თარგმნეს აფხაზური ტოპონიმი[307]. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ძველბერძნულ წყაროებში **პიტიუს** და **პიტიუნტა** ფორმათა ნაცვლად უნდა გვქონოდა ფიჭვის სახელწოდების კრებით მრაელობითში მდგომი **Πιτυες** ვარიანტი.

ამრიგად, სრული საფუძველი არსებობს იმის საჭარაუდოდ, რომ ბიჭვინთის ტერიტორიაზე ბერძნული ქალაქ-კოლონიის დაარსებამდე ბინადრობდნენ ქართველები, დასახლებული პუნქტის სახელად კი გამოიყენებოდა ფიჭვის აღმნიშვნელი ზო-

---

[307] ბიჭვინთის მიდამოებში პირველი აფხაზური დასახლებები ფიქსირებულია მხოლოდ XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ოდიშის მთავრის მამია III დადიანის (მთავრობდა 1512-1533 წლებში) სახელით შედგენილ "ბიჭვინთის იადგარში", რომელშიც შავი ზღვის სანაპიროზე ისტორიაში პირველად იხსენიება აფხაზური ენის ნორმების მიხედვით გაფორმებული ორი გეოგრაფიული სახელი: **აითარნე** და **არუხა**. სახელი **აითარნე** მომდინარეობს მეცხოველეობის მფარველი აფხაზური წარმართული ღვთაების **აითარ**-ის სახელისაგან და ერთეის მატოპონიმებელი სუფიქსი **-ნ**ჲ, ხოლო სახელი **არუხა** იგივეა, რაც ქართული **რუხ-ი**, რომელსაც დართული აქვს აფხაზურ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა-** პრეფიქსი და უფუნქციო **-ა** სუფიქსი.

გადქართული **ფიჭვი** სახელწოდება, რომელიც, ჩვენი აზრით, სულაც არ მომდინარეობს ბერძნული **პიტიუს** ფორმისაგან, როგორც ეს ზოგ ლინგვისტს მიაჩნია (მათ შორის საკმაოდ დიდი ფონეტიკური სხვაობაა!). ბერძენმა კოლონისტებმა თავიანთ ენაზე თარგმნეს ეს გამჭვირვალე სახელი. ამ გზით წარმოიქმნა **Πιτυς** ფორმა, ხოლო **Πιτυντα** ვარიანტი უფრო გვიან შეიქმნა ბერძნულ ნიადაგზე. **Πιτυντα** ვარიანტისაგან, თავის მხრივ, გაჩნდა ქართულ წყაროებში ფიქსირებული **პიტიოტა, ბიჭვნტა, ბიჭვინტა** ფორმები, რომლებიც ქართულ-ბერძნულ ვარიანტთა კონტამინაციის შედეგია.

ბერძნული **Πιτυντα** ვარიანტისაგან ქართული კონტამინირებული **ბიჭვინთა** ფორმის მიღება ახ.წ. IV საუკუნეში უკვე მომხდარი ფაქტია, რასაც ადასტურებს ახ.წ. 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილეთა სირიულ ნუსხაში **ბუჯუნდე** ვარიანტის არსებობა, რომელიც აშკარად **ჭ** თანხმოვნის შემცველი ქართული **ბიჭვინტა** ვარიანტისაგანაა წარმოქმნილი – სხვაგვარად სირიულ ტექსტში **ჯ** თანხმოვნის გაჩენა ბერძნული **ტ** თანხმოვნის ნაცვლად აუხსნელია.

ორიგინალური ქართული სახელის გამოდევნა სხვაენოვანი ვარიანტის მიერ არ არის ერთადერთი შემთხვევა ჩვენს ისტორიაში. იძებნება სხვა ანალოგიური შემთხვევებიც, როცა ქართული ტოპონიმი დროთა მანძილზე გამოეიდა ხმარებიდან და მისი ადგილი იმავე სახელის სხვაენოვანმა გვიანდელმა ვარიანტმა დაიკავა. მაგალითად, ძველქართული ტოპონიმი **ცხუმი** მრავალი საუკუნის განმავლობაში დასტურდება ქართულ წყაროებში, ამჟამად კი მისი ადგილი დაიკავა თურქიზებული **სუხუმ** ვარიანტისგან მიღებულმა **სოხუმი** სახეობამ.

გარდა ზემოთ მოყვანილი ლინგვისტური მონაცემებისა, ბიჭვინთის თავდაპირველი სახელწოდების ქართულ წარმოშობას სხვა ფაქტებიც უჭერს მხარს. კერძოდ, მრავალ წერილობით წყაროში ჩანს, რომ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე თავიდან მხოლოდ ქართული მოსახლეობა ბინადრობდა. აქ და დანარჩენ დასავლეთ საქართველოში ძველი წელთაღრიცხვიდან უწყვეტად მოსახლე კოლხების ქართველობა სრულიად უეჭველი

ფაქტია (პიპოთეზას კოლხების შემადგენლობაში აფხაზთა წინაპრების ყოფნის შესახებ არავითარი სერიოზული არგუმენტი არ ამყარებს). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბერძენი ავტორის კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ.წ. I-II სს.) ცნობა ახლანდელი ბიჭვინთის მიდამოებში **სვანო-კოლხების** ცხოვრების შესახებ. იმავე ადგილას **ეგერ-სვანებს** ასახელებს VII საუკუნის სომეხი ავტორი ფავსტოს ბუზანდიც. როგორც ცნობილია, სომხურ წყაროებში **ეგერ** < ქართ. **ეგრი** სახელით (შდრ. **ეგრ-ის-ი**) დასავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობაც აღინიშნებოდა და კონკრეტულად მეგრელებიც. ფავსტოს ბუზანდის ცნობაში სახელი **ეგერ** მეგრელთა აღმნიშვნელია და ოპოზიციას ქმნის **სვან** სახელთან. მაშასადამე, ამ ავტორისეულ ტერმინ **ეგერ-სვან**-ში ნამდვილად იგულისხმება სვანთა და მეგრელთა ნარევი ტომი. იგივე უნდა ვიფარაუდოთ კლავდიოს პტოლემაიოსის **სვანო-კოლხის** სემანტიკაშიც: ამ სახელით სვანთა და მეგრელთა ნარევი ტომია ნაგულისხმევი. ამრიგად, სხვა წყაროებს რომ თავი დავანებოთ, ამ ორი ცნობიდანაც ცხადია, რომ სწორედ იმ დროიდან, როდესაც ბერძნულ ენაზე პირველად იხსენიება **პიტიუს** და **პიტიუნტა** ტოპონიმები, ფავსტოს ბუზანდის მოღვაწეობის ხანამდე, ე.ი. ახ.წ. I-VII საუკუნეებში ბიჭვინთის მიდამოებში ქართული, კერძოდ, მეგრულ-სვანური მოსახლეობა უეჭველად ცხოვრობდა. მოგვიანო პერიოდშიც (VIII საუკუნიდან) ამ მიწაზე ასევე უეჭველად ჩანს ქართული მოსახლეობა, რასაც წერილობით წყაროთა და კარტოგრაფიულ მონაცემთა გარდა ადასტურებს დიდი რაოდენობის ტოპონიმიკური მასალაც.

მაგალითად, უეჭველად ქართველური წარმომავლობის სუბსტრატული გეოგრაფიული სახელებია:

ზიგანა // სიგანეი // ზიგანევი – დასტურდება ახ. წ. I საუკუნიდან. მომდინარეობს ქართული **ზეგანი** სიტყვისაგან;

მოხორა // მუხორისი // მუხური – ახ. წ. V საუკუნიდან. შდრ.: მეგრ. **მუხური**, სვან. **მუხურ** "მხარე, კუთხე";

ფუსტა – იხსენიება 662 წლიდან. უკავშირდება უფლის, ღვთაების აღმნიშვნელ სვანურ **ფუსდ** სიტყვას (შდრ. სოფ. **შემოქმედი** გურიაში);

ჯიხახორა – 662 წლიდან. შდრ.: მეგრ. **ჯიხა** "ციხე" და

ძველ წყაროებში ახლანდელი გალის რ-ნის ტერიტორიაზე ხსენებული ტოპონიმი **ხოირი**;

ნაჟანეო // ნაჟანეული // ნაჟანაური // ნაჟანევი – ისინი პირველად იხსენიება 1525-1550 წლებს შორის. ტოპონიმს საფუძვლად უდევს გვარი **ჟანავა**, რომელიც გაფორმებულია ქართველური **ნა-** პრეფიქსითა და **-ურ // -ულ, -ევ** სუფიქსებით;

ტყაურუ // ტყავრუ – პირველად დასტურდება 1552-1550 წლებს შორის. მომდინარეობს მეგრული **ტყაჯურუ** "ყრუ ტყე" სახელისაგან (გ. როგავა);

მარმარისკარი – იხსენიება 1525-1550 წლებს შორის;

ბედია – დასტურდება "ქართლის ცხოვრებაში" XI საუკუნიდან ისტორიამდელ ამბებთან დაკავშირებით;

ქ. ეგრისი – დასტურდება იქვე XI საუკუნიდან ისტორიამდელ ამბებთან დაკავშირებით;

ეგრისწყალი – დასტურდება იქვე XI საუკუნიდან ძვ. წ. IV ს. ამბებთან დაკავშირებით;

მაგულა // მარგულა // მორგულა // მერკულა – ისინი სახელდება 1615 წლიდან. შდრ. შავქლიავის ერთ-ერთი ჯიშის მეგრული სახელი **მარგულა < მარგვ-ულ-ა** ე.ი. მარგვეთული (ზემოიმერული) ჯიში;

ჭალა (ამჟამად: **ჭლოუ**) – იხსენიება 1621 წლიდან. ამ ახლა უკვე აფხაზურ სოფელში არის უბანი **ჭალა-აიმარა**, რომელმაც შემოინახა სოფლის თავდაპირველი სახელი;

სკურჩა // სქურჩა – დასტურდება 1630 წლიდან. ეს სახელი ძალზე პოპულარულია მთელ სამეგრელოში, სადაც უამრავ მდინარეს თუ ღელეს ჰქვია **სქურჩა // სქურჩე** "თეთრი ღელე";

სოფ. და მდ. **ღალიძგა** – დასტურდება 1639 წლიდან. ეს სახელი თავდაპირველად რქმევია სოფელს, შემდეგ კი მდინარეზეც გადატანილა. მეგრულად **ღალიძგა** "ღელის ნაპირს" ნიშნავს. მისგანაა მიღებული ამ მდინარის ამჟამინდელი აფხაზური სახელი **აალძგა**[308];

---

[308] ქ. ლომთათიძე. **ღალიძგა**-ს გაგებისათვის. – XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1999, გვ. 43-44.

კვიტაული // კვიტოული // კიტოული // პიტაური – 1640 წლიდან. გვანცა გვანცელაძის გამოკვლევით, სოფლის სახელს საფუძვლად უდევს მამაკაცის ქართული სახელი **კვიტა** (შდრ. გვარსახელები: **კვიტაშვილი** და **კვიტაიშვილი**), **-ურ** სუფიქსი კი ამ და ანალოგიურ შემთხვევებში მიწის ნაკვეთის კუთვნილებას აღნიშნავს[309];

ოქუმი – პირველად იხსენიება 1654 წლიდან. მეგრულ დიალექტზე ნიშნავს საქუმელეს;

ოლუშე – მოხსენიებულია 1654 წლიდან. მეგრულად ნიშნავს სავალს;

კაპეტის წყალი (მდ. ბზიფის ძველქართული სახელი) – დასტურდება XVIII საუკუნიდან. **კაპეტი // კაბეტი** მეგრულად დიდს, მძლავრს ნიშნავს (მ. სალია) და ა. შ.

4.6. ქართველური სუბსტრატული მიკროტოპონიმები აფხაზურ სოფლებში. არანაკლებ ჰშირია ქართველური წარმოშობის გააფხაზურებული მიკროტოპონიმები აფხაზურ სოფლებში, რომლებიც, რა თქმა უნდა, ამ სოფლებში აფხაზთა დასახლებამდეა შექმნილი. მაგალითად:

ს. მოქვში, რომელიც წარსულში მნიშვნელოვანი ქართული ქრისტიანული ცენტრი იყო (აქ საეპისკოპოსო რეზიდენცია მდებარეობდა), მაგრამ ამჟამად აფხაზებითაა დასახლებული, დასტურდება ადგილის სახელი **ა-საყუდარა**, რომელიც ქართული **საყუდარ-ი** სიტყვის გააფხაზურებული სახეობაა;

აძვიბჟის თემში არის მიკროტოპონიმები: **ფშქარ** < მეგრ. დიალ. **ფშქერ-ი // ფშკერ-ი** "შქერი", **ურაკ** < ქართ. **ურეკი** "გაუვალი ტყე", **ჯჯურჩა** < მეგრ. დიალ. **სქურჩე** "თეთრი ღელე", ტბა **ალაფანა//ოლაფანა** < მეგრ. **ოლაგვანე** "საქვევრე, საჭურე"...;

არასაძიხის თემში დასტურდება სახელები: **ტყაუჩ(ა)** < მეგრ. "შავი ტყე"; **ა-საჩკ //ა-ჩაჩკ** < ქართ. **საჩიხ-ი**, ან **საჩეხ-ი; ჯაბალ** < მეგრ. **ქობალ-ი** "ხორბალი, პური"; **მდარ** (სა-

---

[309] გ. გვანცელაძე. სოფელ კვიტოულის სახელის ეტიმოლოგიისათვის. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XII, ქუთაისი, 2008.

ძოვარი) < ქართ. **მინდორ-ი** (იმერ. **მიდორ-ი**)...;

ღვადას თემში ასევე არის წარმოდგენილი ქართველური მიკროტოპონიმები: **ა-სალიან** < ქართ. **სელიან-ი** (სელის მცენარესთან დაკავშირებული); **ჯიან** < ქართ. **ქვიან-ი**...;

გუყის თემში გვხვდება ტბის სახელი **პაპანწყურ**, რომელიც მომდინარეობს მეგრული **პაპანწყვილ**-ისაგან ("დაღუპული მღვდელი", უკავშირდება ლეგენდას ღვთისაგან დასჯილი მსუნაგი მღვდლის შესახებ)...;

კვიტოულის თემში არის ერთი და იმავე ჭაობის აღმნიშვნელი პარალელური ტოპონიმები: მეგრული **ონტყალაში** და მისი აფხაზური შესატყვისი **აძბაა**...;

კინდღის თემში წარმოდგენილია სახელები: **აპარაწა // ოპარაწა** < მეგრ. **ოპარეხე** "საქოფაკე"; **ატრანჯ // ატარანჯა** < მეგრ. **ოტორონჯე** "სამტრედე"...;

ფოქვეშის თემში დასტურდება ტოპონიმი **აბუტაფჯრა** < მეგრ. **ბუტკუჯი** "ფუტკარი"...;

ბზიფის აფხაზეთშიც, კერძოდ, გუდაუთის რაიონში შემავალ აფხაზურ სოფლებშიც დასტურდება ასეთივე მიკროტოპონიმები: **მჭყრშხა** "მუხურის მთა"; **გერტ**[310] "მეგრული წყალი" (ბლაბურხვის თემი); **მიდარ ალ** (აჭანდარის თემი), შდრ. იმერ. **მიდორი** "მინდორი"; **მთარგალაზ** "მთავარანგელოზი" (დურიფშის თემი); **ახაჯა** (კალდახვარის თემი), რომელიც მეგრული **ოხოჯე** "სახარე" სახელის გააფხაზურებული სახეობაა; იქვეა **უაქარა** (ლიხნის თემი), რომელიც, ჩვენი აზრით, მეგრული **ოქარე** "საქარე" სიტყვისაგან უნდა მოდიოდეს; **ღაჯგალა** (ჯირხვის თემი), რომელიც მომდინარეობს მეგრულიდან და ნიშნავს "ღორის მთას" და ა.შ.

---

[310] ეს ჰიდრონიმი აშკარად იმდროინდელია, როცა აფხაზური მოსახლეობის პირველი მცირე ჯგუფი უკვე დასახლებულა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და მდ. ბზიფთან ახლოს ემეზობლებოდა დამხვდურ ქართულ, კერძოდ, მეგრულ მოსახლეობას, რაზეც ამ სახელის სემანტიკაც მიანიშნებს.

რა თქმა უნდა, ამჟამინდელ აფხაზურ სოფლებში, თუკი ისინი მუდამ დასახლებული იყო აფხაზური მოსახლეობით, ქართველური მიკროტოპონიმები არ უნდა გაჩენილიყო, მაგრამ რაკი არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სოფელთა მოსახლეობა თავდაპირველად ქართული იყო და აფხაზები მათში გვიან დასახლდნენ.

§ 7. ქართულ-აფხაზური ჰიბრიდული ტოპონიმები აფხაზეთში

7.1 -რხვა დაბოლოებიანი სახელები. აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სუბსტრატული ქართველური გეოგრაფიული სახელების სიმრავლე თავისთავად გვავარაუდებინებს, რომ რეგიონში უნდა არსებობდეს ისეთი ტოპონიმებიც, რომლებიც ერთდროულად ორი ენის ლექსიკის შერწყმითაა მიღებული. ამ მხრივ საყურადღებო ჩანს გუდაუთის რაიონის სოფელ **მგუძირხვის** სახელწოდება. ცნობილ აფხაზ მკვლევარს, პროფ. ხუხუტ ბღაებას ოიკონიმი **მგუძგრხა** აფხაზური წარმოშობისად მიაჩნდა და მას ასე შლიდა: **მგუძგ-რ-ხა**, სადაც მისი ვარაუდით **-ხა** ბორცვის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ხგ** სიტყვის ამოსავალი ძირია, **რ-** მრავლობითი რიცხვის მესამე პირის კუთვნილების პრეფიქსი, ხოლო პირველი **მგუძგ** ელემენტი – გვარსახელის ნაწილი[311].

ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით, დამაჯერებელი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმავე რაიონში დასტურდება **-რ-ხა** დაბოლოებიანი სოფლის სხვა სახელები: **ბლაბგ-რხა** "ბლაბების ბორცვი" (შდრ. გვარსახელი **ბლაბ-ბა**), **ჯგ-რხა** "აჯბების ბორცვი" (შდრ. გვარსახელი **ა-ჯ-ბა**), **ყლანგ-რხა** "ყვლანბების ბორცვი" (შდრ. გვარსახელი **ყლან-ბა**) და

[311] Х.С. Бгажба. Бзыбский диалект абхазского языка (Исследование и тексты). Тб., 1964, გვ. 258-259.

სოფელთა უბნების დასახელებანი, რომლებშიც იგივე **-რ-ხა** დაბოლოება ჩანს: **აბაჩგრხა, აშგრხა, ბაალარხა, გოგნგრხა, კაჭარხა, კოკოარხა, მქალგრხა, ონდანარხა, უასარხა, ჰაფშგრხა, ჯგგდგრხა, ჩააბალგრხა** და ა.შ.[312] მაგრამ ამ ტოპონიმებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ყველა მათგანი როდი შეიცავს აფხაზურ გვარსახელთა ფუძეებს.

მაგალითად, რეალურად არ დასტურდება და არც ისტორიულ საბუთებში იხსენიება აფხაზური გვარსახელები: ***მგოშბა, *აბაჩბა, *ბაალაბა, *კაჭაბა, *ონდანაბა, *უასაბა, *ჰაფშბა, *ჯგგდბა**, რაც სერიოზულ დაფიქრებასა და შესაბამის ტოპონიმთა წარმოშობის სხვაგვარად ახსნას მოითხოვს. ჩვენი აზრით, ამ ტოპონიმთაგან ცალკე უნდა გამოიყოს სახელი **მგოშგრხა**, რომელშიც გამოსაყოფია არა გვარსახელი **მგოშბა**, არამედ **მგოშგრ** სეგმენტი, რომელიც უნდა მომდინარეობდეს ძველქართული **მებოძირ-ი** "გზაჯვარედინი" სიტყვისაგან. ეს უკანასკნელი სიტყვა წარმოდგენილია ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანებში (ჯრუჭ-პარხლისა და ადიშის რედაქციები):

წარვედით **მებოძირებსა** გზათასა და რაოდენიცა ჰპოენეთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას[313] (მ. 22,9).

ჩვენი ყარაულიდით, **მებოძირ** სიტყვაში ლაბიალური **ო** ხმოვნის წინ მდგომ **ბ** თანხმოვანს იოლად შეეძლო უკანაენისმიერ **გ** თანხმოვნად გადაქცევა, რაც უცხო არ არის ქართველური ენობრივი სამყაროსათვის (შდრ.: რუსული **булав(к)а** "ქინძისთავი" > ქართ **გულავკა//გულოპკა**). ასე მივიღებდით **მეგოძირ-ი** ტოპონიმს.

მებოძირ-ი სახელი რომ შეიძლებოდა ტოპონიმი ყოფილიყო, ამაზე მიუთითებს ზემო იმერეთში, ხარაგაულის რაიონში სოფლის სახელ **მებოძირ**-ის არსებობის ფაქტიც.

---

312 Х.С. Бгажба. დასახ. ნაშრ., გვ. 258-259.

313 ი. იმნაიშვილი. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. თბ., 1986, გვ. 324; შდრ.: ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1973, გვ. 228.

ასე რომ, ჩვენი აზრით, სრულიად უეჭველია **მებოძირ-ი // მეგოძირ-ი** ტოპონიმის არსებობა ამჟამინდელი სოფელ მგურძიხვის ტერიტორიაზე. ამ სოფლის დღევანდელი სახელწოდება აშკარად ჰიბრიდულია და მიღებულია ქართული **მეგოძირ** ფუძისა და ბორცვის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ხა** სიტყვის ფუძის შერწყმით. ქართულ ფუძეს აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის წესების ზეგავლენით განცდილი უნდა ჰქონდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) **მ** და **გ** თანხმოვნებს შორის მდგომი **ე** ხმოვანი რედუცირებულია უმახვილო პოზიციაში[314];

ბ) **გო** მარცვალში **ო** ხმოვანი, აკად. ქ. ლომთათიძის მიერ დადგენილი წესის თანახმად, დაიშალა **უა** კომპლექსად, შემდგომ კი უმარცვლო **უ** გადაიქცა **გ** თანხმოვნის ლაბიალიზაციის მომენტად[315], ხოლო მახვილიანი **ა** ხმოვანი შეიცვალა ნეიტრალური ხმოვნით[316]. ასე მივიღებდით **გჳ** მარცვალს;

გ) ქართული ენის სისინა თანხმოვანი აფხაზურში შეიცვალა სისინ-შიშინა **ძ** თანხმოვნით;

დ) **ძ** და **რ** თანხმოვნებს შორის მდგომი **ი** ხმოვანი იქცა ნეიტრალურ ხმოვნად[317];

ე) ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია, როგორც ეს სხვა შემთხვევებშიც ხდება.

ამრიგად, **მებოძირ** ფუძის **მეგოძირ** ვარიანტისაგან აფხაზური **მგჳძგრ** ვარიანტის მიღება უპრობლემოდ იხსნება აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის წესების საფუძველზე. რაც შეეხება **ხა** სეგმენტს, იგი მართლაც ბორცვის აღმნიშვნელი აფხაზური ფუძის ამოსავალი ვარიანტი ჩანს. მთლიანობაში კი ჰიბრიდული (ქართულ-აფხაზური) კომპოზიტური ტოპონიმი **მგჳძგრხა** "გზაჯვარედინის ბორცვს" უნ-

---

[314] შდრ.: ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I..., გვ. 40-41.
[315] იქვე, გვ. 168-169.
[316] იქვე, გვ. 65.
[317] იქვე, გვ. 59.

და ნიშნაცდეს, რაც ტოპონიმიკურ კანონსომიერებებს არ ეწინააღმდეგება.

დაბრკოლებას არც ტოპონიმში წარმოდგენილი კუთვნილების კატეგორიის მრავლობით რიცხვში მდგომი **რ-** პრეფიქსი უნდა ქმნიდეს: საქმე ისაა, რომ აფხაზურ ენაში კუთვნილების მრავლობითი რიცხვის პრეფიქსი ხშირად შედის ისეთი ორკომპონენტიანი კომპოზიტების შემადგენლობაში, რომელთა შემადგენელი ფუძეები არ დგანან ხოლმე მრავლობითის ფორმაში. მაგალითად, ა-ჰა-კამა // ა-ჰა-**რ**-კამა "გვირილა" (ზედმიწევნით: "ღორის // ღორების კამა", თუმცა ღორის აღმნიშვნელი ფუძე ორივე ვარიანტში მხოლობით რიცხვში დგას), ა-ბგა-**რგ**-მწ "ციცინათელა" (ზედმიწევნით: "მგლების ბუზი", თუმცა ორივე კომპონენტი მხოლობით რიცხვშია), ა-შხა-**რგ**-უ "ხურტკმელი" (ზედმიწევნით: "მოების ყურძენი") და სხვ. აშკარაა, რომ ასეთ კომპოზიტებში მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი პრეფიქსი გამოხატავს მხოლობით რიცხვში წარმოდგენილი მსაზღვრელი სიტყვების მრავლობითობას და ეს აფხაზური ენის სინტაქსური სპეციფიკაა.

პიბრიდული, ქართულ-აფხაზური **მგძგრხა** ტოპონიმის კონტექსტშიეე უნდა განვიხილოთ გ'უდაუთის რაიონის ტერიტორიაზე გავრცელებული, ზემოთ ხ. ბღაჟბას ნაშრომიდან დამოწმებული ანალოგიური დაბოლოების მქონე ზოგი მიკროტოპონიმიც, რომლებიც ასევე პიბრიდული სახელები ჩანან. რაკი **-რხა** დაბოლოებიან ერთზე მეტფუძიან რთულ ტოპონიმებში სეგმენტი **-რხა** აღნიშნავს "მათ ბორცვს", ხოლო კომპოზიტის პირველი წევრი იგულისხმება, მაგრამ რეალურად არ დგას მრავლობით რიცხვში, **აბაჩგრხა, აშგრხა, ბაალარხა, გვნგრხა, კაშგარხა, კაკაარხა, მქალგრხა, ონდანარხა, ფასარხა, ჰაფშგრხა, ჯგვგდგრხა, ჩააბალგრხა**[318] მიკროტოპონიმთა პირველ კომპონენტებადაც უნდა ვიფარაუდოთ სიმრავლის სემან-

[318] ტოპონიმი **ჩააბალგრხა** მატერიალურად ძალზე ახლოს დგას აფხაზურ თავად'ურ გვარსახელ **ჩაბალგრხა**-სთან.

ტიკის მქონე სახელები, მათ შორის პატრონიმები და გვარსახელები. სამწუხაროდ, ყველა ამ გეოგრაფიული სახელის პირველი კომპონენტის რაობის დადგენა ჭირს, მაგრამ შესაძლებელი ჩანს რამდენიმე მათგანის ეტიმოლოგიის გარკვევა:

ტოპონიმ **გუნდრხა**-ს პირველ კომპონენტად აშკარად გამოიყოფა **გუნ** ფუძე, რომელიც, ჩვენი აზრით, ან აფხაზური **გუნ-ბა** გვარსახელის საყრდენი ფუძეა, ანდა ქართული **გუნ-ია** გვარსახელისა. თუკი ამ ტოპონიმის პირველ კომპონენტად აფხაზური გვარსახელის საყრდენი **გუნ** ფუძე გამოდის, **-ბა** სუფიქსის უქონლობა მოულოდნელი არ იქნება, ვინაიდან, როგორც ირკვევა, აფხაზურ გვარსახელებს თავდაპირველად, XVI საუკუნემდე მაინც ეს სუფიქსი საერთოდ არ დაერთოდა (შდრ. აბაზური გვარსახელები, რომელთა უმრავლესობა სწორედ წმინდა ფუძის სახითაა წარმოდგენილი და **-ბა** სუფიქსი არ ერთვის). მაგრამ თუკი ტოპონიმის საყრდენი ფუძე ქართული გვარსახელი **გუნია** არის, მისი **-ია** სუფიქსის მოკვეცა აფხაზურ ნიადაგზე სულაც არ არის მოულოდნელი (შდრ., ერთი მხრივ, ნაქართველარი გვარსახელი **გადელ-ია // გადილ-ია > გადლ-იბა**, რომელსაც ჩამოკვეცილი აქვს **-ია** სუფიქსი და, მეორე მხრივ, ქართველური **მარუშ-იან-ი > მარშან-ია >** აფხაზური **ა-მარშან**).

ტოპონიმ **კაჭარხა**-ს შემადგენლობაში, რა თქმა უნდა, გამოიყოფა აფხაზური **-რ-ხა** ელემენტები, პირველ კომპონენტად კი უნდა გამოდიოდეს ქართული **კაჭარა-ვა** გვარსახელი, რომელიც მეგრულ გამოთქმაში **კაჭარა** ფორმითაა წარმოდგენილი. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ტოპონიმის თავდაპირველი ვარიანტი იქნებოდა ***კაჭარა-რ-ხა** "კაჭარავების ბორცვი", რომლისგანაც **რა** მარცვლის რედუქციით იოლად მივიღებდით ამჟამინდელ **კაჭარხა** სახეობას.

ქართველური **კოკო**, ან **კვეკვე** პირსახელებიდან ერთ-ერთი უნდა ედოს საფუძვლად ტოპონიმს **კაკარხა**. შდრ. ამ პირსახელთა შემცველი ქართული გვარსახელები **კოკო-ს-ქირ-ია // კვეკვე-სქირ-ი**. როგორც **კოკო**, ისე **კვეკვე** ქართული ვარიანტე-

ბისაგან აფხაზურში სესხების ფონეტიკურ კანონზომიერებათა სრული დაცვით მივიღებდით ერთსა და იმავე **კაკა** ვარიანტს. თუ ეს მოსაზრება მართებულია, მაშინ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელები **კოკო**, ან **კვეკვე** ერქვა რომელიღაც პატრონიმიის ფუძემდებელს, ხოლო ტოპონიმი **კაკარხა** აღნიშნავდა ამ პატრონიმიის წარმომადგენლებით დასახლებულ ბორცვს.

ბერძნული **მიქელ** ანთროპონიმის გაქართულებული სახეობა უდევს საფუძვლად **მქალღრხა** ტოპონიმს. შდრ.: ძველ ბერძნულ ენაში ამ სახელში **χ** თანხმოვანი ფიგურირებს, რომელიც **ქ** ფონემად გამოითქმოდა. ქართულ ენაში ნასესხებ შესაბამის სიტყვებში სწორედ **ქ** თანხმოვნიანი წარმოთქმა იყო დამახასიათებელი. აფხაზურ ენას კი, როგორც ირკვევა, ძველ ბერძნულ ენასთან უშუალო შეხება არ ჰქონია. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ტოპონიმი **მქალღრხა** ქართულიდან შესულ **მიქელ** ანთროპონიმს შეიცავდეს და ეს სახელი პატრონიმიის დამფუძნებლის სახელი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ირკვევა, რომ ამჟამინდელი გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე აფხაზთა წინაპრების დასახლების შემდეგ შექმნილა ჰიბრიდული, ქართულ-აფხაზური გეოგრაფიული სახელები, რომელთა პირველი კომპონენტები ქართველური გვარსახელები, ან პატრონიმიის დამფუძნებელთა პირსახელებია, მეორე კომპონენტებად კი გამოდის კუთვნილების **რ-** პრეფიქსით გაფორმებული აფხაზური სიტყვა **ა-ხა** "ბორცვი".

7.2. -რჯუშ დაბოლოებიანი სახელები. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ერთ ნაწილზე, კერძოდ, გაგრის, გუდაუთის, სოხუმისა და გულრიფშის რაიონებში წარმოდგენილია 26 გეოგრაფიული სახელი, რომლებიც **რჯუშ** დაბოლოებას შეიცავენ. ესენია:

ბაღრჯუშ – დაუსახლებელი ადგილი გაგრის რაიონში; **გაგრჯუშ** – ღელე და უბანი ქ. გაგრაში; **ჩგარჯუშ** – სოფელი

გაგრის რაიონში; **მწალრეფშ // მქალრეფშ** – მიქელრიფში, სოფელი გაგრის რაიონში; **ცანდრეფშ** – გაგრის რაიონის სოფელ განთიადის ადრინდელი სახელი (აღადგინეს აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ); **ғაჩრეფშ // ғეჩრეფშ** – გაგრის რაიონის დაბა ლესელიძის ადრინდელი სახელი (აღადგინეს აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ); **ყუყრეფშ** – სოფელი და წყაროო გუდაუთის რაიონის სოფელ აბღარხუქვის თემში; **კოჯერეფშ** – დაუსახლებელი ადგილი გუდაუთის რაიონში; **ბახარეფშ** – კლდე გუდაუთის რაიონის სოფელ ააცში; **ქანთრეფშ** – ადგილი გუდაუთის რაიონის სოფელ ოთჰარაში; **აშთრეფშ** – ხეობა იმავე სოფელში; **ძაღრეფშ** – ღელე იმავე სოფელში; **აპყარეფშ** – ადგილი გუდაუთის რაიონის სოფელ ხვაფში; **აძხწრეფშ** – წყაროო გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში; **წაცრეფშ // წეცრეფშ** – ადგილი გუდაუთის რაიონის სოფელ კალდახვარაში; ღელე დაბა გულრიფშში; **ჩაღრეფშ** – დაუსახლებელი ადგილი გუდაუთის რაიონში; **ღრეფშ** – დურიფში, სოფელი გუდაუთის რაიონში; **ზანღრეფშ > // ჯანღრეფშ** – ზვანდრიფში, სოფელი გუდაუთის რაიონში; **გჳრჳლფშ < *გჳლჳრფშ** – ღელე სოხუმის რაიონის დაუსახლებელ ტერიტორიაზე; **დოუჩარეფშ // დაჩარეფშ** – ღელე სოხუმის რაიონის დაუსახლებელ ტერიტორიაზე; **მაჭარეფშ** – ტყე სოხუმისა და გულრიფშის რაიონების საზღვარზე; **ღენრეფშ** – ადგილი სოხუმისა და გულრიფშის რაიონების საზღვარზე; **გჳლრეფშ** – გულრიფში, რაიონის ცენტრი, დაბა.

აფხაზი ენათმეცნიერის ხუხუტ ბღაჟბას აზრით, ამ რიგის გეოგრაფიული სახელებში გამოსაყოფია **ფშ** ძირი, რომელიც მდინარის, ან წყლის ცნებებს უკავშირდება, ხოლო ამ ძირის წინ მდგომი **რ-** ელემენტი მრავლობითი რიცხვის მესამე პირის

კუთვნილებითი თავსართია[319]. მკვლევარი იმასაც ვარაუდობს, რომ მდინარის/წყლის აღმნიშვნელი იგივე ძირი უნდა გამოიყოფოდეს შემდეგ ტოპონიმებშიც: **ფშაფ, ფშანდრა, ჲუფშარა, რაფშ, ფშია, ფშქარ, ფშაური, ფშაშლა**, აგრეთვე შაფსუღეოში გვიან შუა საუკუნეებში დადასტურებულ დიდი დასახლებული პუნქტის **ფშად**-ის სახელში. მეცნიერი იქვე დასძენს:

"იმას, რომ **ფშ // ფშა** ელემენტით გამოიხატება მდინარის ცნება, მოწმობს ქართულ ენაში შემონახული **ფშა** და **ფშატალა**. ამ სიტყვათა რეალური მნიშვნელობა მითითებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. მისი სიტყვით, **ფშა** აღნიშნავს "მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილი". გარდა ამისა, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ნათქვამია ქართულ ენაში **ფშატალა** სიტყვის არსებობის შესახებ, რომელიც აღნიშნავს "გაზაფხულის წყალი თოვლიანი"[320].

მეცნიერი ამ ვარაუდის გამოთქმისას ემყარებოდა ივ. ჯავახიშვილის დაუმთავრებელ მონოგრაფიას "საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები"[321], რომელშიც არის მცდელობა, დასაბუთდეს დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართველთა დასახლებამდე აფხაზურ-ადიღურ ტომთა ბინადრობა, მაგრამ ქართველმა მეცნიერმა ამ მიზანს ვერ მიაღწია (იხ. ზემოთ).

მართალია, ხ. ბღაჟბას მიერ დასახელებული გეოგრაფიული სახელები შეიცავენ **ფშ(ა)** სეგმენტს, მაგრამ ყველა მაოგანის აფხაზურ ენაზე ახსნა და/ან მდინარის, თუ წყლის ცნებასთან დაკავშირება შეუძლებელი ჩანს:

1. ხ. ბღაჟბას მიერ დასახელებული სახელებიდან გამოსაცალკევებელია ტოპონიმი **ფშქარ**, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მდინარის/წყლის ცნებასთან. იგი მიღებულია მეგრული **ფშქერ-ი // ფშკერი** "შქერი" ბოტანიკური სახელისა-

---

[319] Х.С. Бгажба. Бзыбский диалект абхазского языка..., გვ. 257-258.

[320] იქვე, გვ. 257.

[321] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950, გვ. 34-38.

გან სესხების წესთა დაცვით: **ე** ხმოვანი შეცვლილია **ა** ხმოვნით, ხოლო იმავე **ე** ხმოვნის გაელენით პალატალიზებულია წინამავალი **ქ** თანხმოვანი. **ფშქარ** ეწოდება ფართო ადგილს ონამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბა-აღდარრას, სოფელ არაკიჩსა და თბილისი-სოჭის გზატკეცილს შორის. იქვე დასტურდება სამწიგნობრო ქართული **შქერ–ი** ვარიანტის აფსუიზებული ფორმა რთულფუძიანი ტოპონიმის ნაწილად: **ლატაშქარ** – მიკროტოპონიმი სოფელ აძვიბჟაში, მდ. კოდორის ნაპირზე;

2. ქართველურ ნიადაგზე უნდა იხსნებოდეს გულრიფშის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელი **ფშაფ–ი**. ჩვენი აზრით, იგი მომდინარეობს ხ. ბღაებას მიერ საბას ლექსიკონიდან დამოწმებული **ფშა** სიტყვის მრავლობითი რიცხვის მეგრული ფორმისაგან: **ფშ–ებ–ი > ფშ–ეფ–ი**, რომელიც კანონზომიერადაა შეცვლილი აფხაზური ენის სესხების წესთა შესაბამისად: **ფშეფი > ფშაფ** (შდრ. გალის რაიონის სოფელ ბარღების მეგრული **ბარღეფ–ი** და მისგან მომდინარე აფხაზური **ბარღ'აფ** ფორმები). სამწიგნობრო ქართულის ლექსიკა მეგრულში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი და გამონაკლისი არც ეს სიტყვა უნდა იყოს;

3. **ფშია** და **ფშაურ–ი** სახელთა ფონემატური სტრუქტურა ნაკლებად ჰგავს აფხაზურ სიტყვათა ფონემატურ სტრუქტურას. **–ია** და **–ურ** დაბოლოებები საერთოდ უცხოა საკუთრივ აფხაზური სახელებისათვის. ამიტომ მათი მითვლა აფხაზური ფუძეებისათვის გაუმართლებელია, სანამ არ დადგინდება ამ ორი ტოპონიმის ზუსტი ეტიმოლოგია;

4. გულდასმით ანალიზს მოითხოვს **ფშანდრა, ჲუფშარა, რაფშ, ფშაშლა** გეოგრაფიულ სახელთა ფუძეები. მათი აფხაზურობის სამტკიცებლად საკმარისი არ არის მათ ფუძეებში **ფშ(ა)** სეგმენტის გამოყოფა იმ მოტივით, რომ ქართულ ენაში **ფშა** და **ფშატალა** სიტყვები წყლის ცნებას გამოხატავენ. თუ ამ გეოგრაფიულ სახელებში **ფშ(ა)** სეგმენტი ქართული წარმოშობისაა, რას წარმოადგენს იმავე სახელთა დანარჩენი სეგმენტები, ან რა შუაშია მაშინ აფხაზური ენა? ასევე ნაკლებად

დამაჯერებელია მტკიცება, თითქოს შაფსუღეთში დადასტურებული **ფშად** სახელი რაიმე კავშირშია აფხაზურ ენასთან. ამ სახელის ახსნა პირველ რიგში ადიღეურ ენაზე, კერძოდ, შაფსუღურ დიალექტზეა საძიებელი და თუ ადიღეური წარმომავლობა გამოირიცხება, მერე უნდა ვეძიოთ მისი ეტიმოლოგია სხვაენოვან ნიადაგზე.

არსებითია კიდევ ერთი საკითხი: **ფშაფ, ფშანდრა, ჲუფშარა, რჲაფშ, ფშია, ფშქარ, ფშაური, ფშაშლა, ფშად** სახელები სრულებით არ შეიცავენ მრავლობითი რიცხვის კუთვნილების **რ-** პრეფიქსს და ამიტომ გამოირიცხება მათი მიკუთვნება **-რჯ-ფშ** დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელებისადმი, რომლებშიც, თავის მხრივ, მართლაც გამოსაყოფია **ფშ** და **ფშა** სახელური ძირები, თუმცა ამ ძირთა წინ მდგომი **რ** ბგერა ყველგან არ არის მრავლობითი რიცხვის კუთვნილების პრეფიქსი.

სხვაგვარად რომ ითქვას, **ფშაფ, ფშანდრა, ჲუფშარა, რჲაფშ, ფშია, ფშქარ, ფშაური, ფშაშლა, ფშად** სახელები არ არის ერთსა და იმავე მორფოლოგიურ მოდელზე აგებული უეჭველად აფხაზური წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები (მათი ნაწილი, ჩვენი ვარაუდით, ქართველური წარმოშობისაა და გაფორმებულია ქართველურ ტოპონიმიკურ მოდელთა შესაბამისად). მათ არაფერი აკავშირებს **-რჯ-ფშ** დაბოლოებიან გეოგრაფიულ სახელებთან, რომლებიც ასევე არ ჩანან ერთსა და იმავე მოდელზე აგებული ტოპონიმები. ამ უკანასკნელ სახელებთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ **-რჯ-ფშ** დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელები იყოფა სხვადასხვა მორფოლოგიურ მოდელებად:

ცალკე დგანან ჰიდრონიმები **გაგრჯფშ** და **მაჭარჯფშ**. მათგან პირველი მიღებულია **გაგრა** ტოპონიმისაგან. თავის მხრივ, **გაგრა** სახელს საფუძვლად უდევს კაკლის აღმნიშვნელი სვანური სიტყვის მრავლობითი რიცხვის **გაგ-არ (< გაკ-არ < კაკ-არ)** "კაკლის ხეები, კაკლოვანი" ფორმა. ამ მოსაზრებას ძველი წერილობითი წყაროებიც უჭერს მხარს, კერძოდ, გაგრის თავდაპირველ სახელად ძველქართულ წერილობით წყაროებში

გაგარი ვარიანტია წარმოდგენილი, ხოლო იტალიურ და კატალონიურ რუკებზე გვხვდება **Cacari // Cacara** ფორმები[322]. უცხოურ რუკებზე გაგრის სახელად **Cacara** ფორმის არსებობა ადასტურებს იმას, რომ XVI საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზთა ჩამოსახლებამდე ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება **გაგარ-ი** უკვე გართულებული იყო ქართული მატოპონიმებელი **-ა** სუფიქსით. **გაგარა** ფორმისაგან ხმოვნის რედუქციით მივიღებდით **გაგრა** ფორმას. ეს უკანასკნელი ვარიანტი იოლად იქნებოდა გამოყენებული იქვე ჩამომდინარე ფშის სახელის ერთ-ერთ კომპონენტად: ***გაგრაშ ფშა** "გაგრის ფშა" > ***გაგრაფშ** > **გაგრჳშ**. აფხაზურმა ენამ სწორედ ეს საბოლოო სვანური ვარიანტი ისესხა დამხვდურთა მეტყველებიდან. ვფიქრობთ, წერილობით წყაროთა და რუკების მონაცემების, აგრეთვე ენობრივი ფაქტების გათვალისწინება გამორიცხავს ხ. ბღაჟბას ვარაუდს, თითქოს ტოპონიმი **გაგრა** წყაროებიდან სრულებით უცნობი გაგის ტომის/გვარის სახელისაგან მომდინარეობდეს, ხოლო ჰიდრონიმი **გაგრჳშ** ამ ტომის/გვარის ფშას აღნიშნავდეს[323].

მსგავსი წარმოშობისაა სოხუმისა და გულრიფშის რაიონების მიჯნაზე მდებარე ტყის **მაჭარჳშ** სახელიც. ცხადია, რომ ამ გეოგრაფიულ სახელს უშუალო კავშირი აქვს იქვე არსებულ მდინარე **მაჭარა**-ს სახელთან. იგივე ხ. ბღაჟბა ამ მდინარის **მაჭარა** სახელში გამოყოფდა აფხაზურ მატოპონიმებელ **-რა** სუფიქსს, მაგრამ ვერ ხსნიდა **მაჭა** სეგმენტის სემანტიკას[324]. მიგვაჩნია, რომ ამ მდინარის სახელი ქართულია, უკავშირდება **მაჭარ-ი** არსებით სახელს და ერთვის ქართულივე **-ა** სუფიქსი. სახელი მოტივირებული უნდა იყოს სწრაფად მდინა-

---

322 ერცლად იხ.: თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, გვ. 271-272; თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ქართველური ტოპონიმია: გაგრა. – "ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", ტ. VI. თბ., 1996, გვ. 44-49.

323 Х.С. Бгажба. დასახ. ნაშრ., გვ. 260.

324 იქვე, გვ. 260.

რი წყლისა და მაჭრის ქაფიანობის მსგავსებით. თავის მხრივ, მაჭარა ფორმისაგან იოლად წარმოიქმნებოდა სვანური, ან მეგრული *მაჭარაშ ფშა > *მაჭარაფშა > *მაჭარაფში ფორმებიც. ხოლო მეტონიმიის შედეგად მაჭარაფში სახელი გადაიდოდა იქვე მდებარე ტყეზეც. ამ ტერიტორიაზე აფხაზთა მოსვლის მერე მაჭარაფშ ფუძის მახვილიანი ბოლოკიდური ხმოვანი აფხაზურ ნიადაგზე შეიცვლებოდა ნეიტრალური ხმოვნით და მივიღებდით მაჭარფშ ვარიანტს.

ხ. ბღაებას ცნობით, -რფშ დაბოლოებიანი სახელები, როგორც ითქვა, წყლის/მდინარის ცნებას უკავშირდება, მაგრამ რეალურად ჩვენ მიერ ჯერ კიდევ განუხილველ მხოლოდ 7 სახელს აქვს წყლის/ მდინარის აღნიშვნის ფუნქცია. ესენია: ყუარფშ, აშთრფშ, ძაღრფშ, აბჭრფშ, გჟრელფშ, დოუჩარფშ // დაჩარფშ, წაცრფშ // წეცრფშ. ეფიქრობთ, რომ ამ ტოპონიმებში მეორე კომპონენტად ქართულიდან შეთვისებული ფშა სახელის ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი ფშ ფუძე შედის, ხოლო ზოგი მათგანის პირველი კომპონენტები იოლი გამოსაცნობია. მაგალითად:

აბჭრფშ ჰიდრონიმის პირველი კომპონენტია არსებითი სახელი აბჭ "წყარო", თუმცა აქ ლოგიკური წინააღმდეგობაა ვინაიდან ფშაც წყაროს სახეობაა (იგი უშუალოდ მდინარის ნაპირას გამოედინება). გამოდის, რომ წყაროს ნომინაცია (სახელდება) ორმაგად ხდება: ქართული და აფხაზური ფუძეები თ და ჰიდრონიმი ნიშნავს "წყაროთა ფშა"-ს. ამგვარი რამ იმ შემთხვევაში იქნებოდა ბუნებრივი, თუ აფხაზურ მოსახლეობას დავიწყებული ექნებოდა ქართული ფშა სიტყვის სემანტიკა, მაგრამ ეხსომებოდა გეოგრაფიულ სახელად მისი გამოყენების ფაქტები;

ჰიდრონიმი აშთრფშ პირველ კომპონენტად შეიძლება შეიცავდეს "ყვავილ"-ის აფხაზურ აშთ სახელს და ითარგმნებოდეს როგორც "ყვავილების ფშა", რაც ჯდება აფხაზურ ტოპონიმიკურ მოდელში. არსებობს ახსნის სხვა შესაძლებლობაც: XIX საუკუნის 30-იან წლებში ქართველი სასულიერო პირების

მიერ შედგენილ ნათლობის წიგნებში სოფელ ლიხინში (ლიხნში) დასტურდება გვარსახელი **ვშთიბაია**[325], რომელიც **(ა)შთბა** "ყვავილიძე" გვარსახელისაგან უნდა მომდინარეობს. სწორედ ამ გვარსახელის უაფიქსო ფუძე უნდა ედოს საფუძვლად საანალიზო გეოგრაფიულ სახელსაც, რომელიც ითარგმნებოდა როგორც "აშვთიაანთ ფშა". გვარსახელიცა და ტოპონიმიც ერთ ზონაში (გუდაუთის რაიონის სოფლები ლიხნი და ოთჰარა) არის ფიქსირებული;

ჰიდრონიმსა და ტოპონიმში **წაცრჳშ // წეცრჳშ** წარმოდგენილია ან "რცხილის" ქართულიდან ნასესხები **ა-წაცა** სახელი, ანდა ასევე ქართული წარმოშობის გვარსახელ **ხეცია**-ს აფსუიზებული **წაცია // წეცია** (< ***მხეცია**) ვარიანტები. სხვათა შორის, გუდაუთის რაიონის სოფელ კალდახვარის იმ უბანში, რომელსაც საანალიზო სახელი ჰქვია, ახლაც ცხოვრობენ გააფხაზებული ხეციები. ეს ფაქტი გვიდასტურებს იმას, რომ გეოგრაფიული სახელი **წაცრჳშ // წეცრჳშ** ნამდვილად ნიშნავს "ხეციების ფშა"-ს;

დანარჩენი 5 ჰიდრონიმის პირველ კომპონენტთა რაობა ცხადი არ არის და შემდგომ კვლევას მოითხოვს.

რაც შეეხება სხვა ტოპონიმებს, ისინი აღნიშნავენ დაუსახლებელ ადგილებს, სოფლებს, კლდესა და მთას, რომლებიც ამჟამად არ არიან დაკავშირებულნი წყალთან/მდინარესთან. ზოგიერთი მათგანის პირველ კომპონენტად უეჭველად გამოყენებულია პირსახელების, პატრონიმებისა და გვარსახელების ძირეული ელემენტები. ასეთი გეოგრაფიული სახელებია:

ბაღრჳშ – შდრ. აბაზური სატომო სახელი **ბაღ**, აფხაზური გვარსახელი **ბაღ-ბა**. შესაბამისად ჰიბრიდული, აფხაზურ-ქართული ტოპონიმი ითარგმნება როგორც "ბაღიანთ ფშა";

ჩგრჳშ – ჩვენი აზრით, მომდინარეობს ამოსავალი ***ჩრგრჳშ** ვარიანტისაგან. შდრ. აფხაზური გვარსახელი **ჩრგბა**. შესაბამისად ტოპონიმი ნიშნავს "ჩრიგიანთ ფშა"-ს;

---

[325] გ. გასვიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 154.

მწალრჯფშ // მჭალრჯფშ – შდრ. პირსახელი მიქელ, აფხაზური გვარსახელი მჭალ-ბა. ფუძეში კუთვნილების რ- აფიქსის არსებობა გვავარაუდებინებს, რომ ტოპონიმი ჰიბრიდულია და ნიშნავს "მიქელიანთ ფშას";

ცანდრჯფშ – ტოპონიმს საფუძვლად უდევს აფხაზური (ჯიქთა) თავადური საგვარეულოს (ა)ცან-ბა-ს ფუძე, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მუჰაჯირობის გამო აღარ არის წარმოდგენილი აფხაზეთში. აცანბების რამდენიმე ოჯახი ამჟამად ცხოვრობს ქ. ბათუმსა და მის გარეუბან ანგისაში, რომელთა გადმოცემით, მათი მუჰაჯირობამდელი საცხოვრისი ცანდრიფში იყო. გვარსახელის თავდაპირველი ფორმა ცანდ უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს, ერთი მხრივ, ქართველური -ია სუფიქსით გაფორმებული ცანდია ვარიანტის რეალური არსებობა "ქართლის ცხოვრების" გაგრძელებაში, სადაც აღწერილია მამია დადიანისა და მამია გურიელის ერთობლივი ლაშქრობა ჯიქეთში 1533 წელს[326], მეორე მხრივ კი – თვით საანალიზო ცანდრჯფშ ტოპონიმში დ თანხმოვნის არსებობა. გეოგრაფიული სახელი ნიშნავს "ცანდიანთ ფშა"-ს;

გაჩრჯფშ // გეჩრჯფშ – გეოგრაფიული სახელი მომდინარეობს აფხაზური (ჯიქთა) თავადური გაჩბა // > გეჩბა საგვარეულო სახელის ფუძისაგან. აცანბების მსგავსად, არც გეჩბები ბინადრობენ ამჟამად აფხაზეთში, მათი რამდენიმე ოჯახი წარმოდგენილია ქ. ბათუმსა და ანგისაში. ბათუმელი გეჩბებიც ადასტურებენ, რომ მათი წინაპრები გეჩრიფშიდან წავიდნენ მუჰაჯირობაში. ტოპონიმი ნიშნავს "გეჩიანთ ფშა"-ს;

ბახარჯფშ – შდრ. მამაკაცის პირსახელი ბახვა, რომელიც აფხაზთა შორისაც არის გავრცელებული. ითარგმნება როგორც "ბახვაანთ ფშა";

---

[326] Абхазия и абхазы средневековых грузинских повествовательных источников. Грузинские тексты на русский язык перевел, предисловием и примечаниями снабдил Г.А. Амичба. Тб., 1988, გვ. 117. მოგვიანო წყაროებში იგივე გვარი წარმოდგენილია ცანუბაია // ცანუნბაია ფორმების სახითაც.

ზანლრჳშ – შდრ. ბზიფის აფხაზეთში გავრცელებული გვარსახელი **ზანბა**, რომლის ფუძე, როგორც ჩანს, თავდაპირველად **ზანლ-** იყო. ითარგმნება როგორც "ზვანდვიანთ ფშა";

გჳლრჳფშ – უნდა მომდინარეობდეს ქართული წარმომავლობის გვარსახელ **გულია**-საგან, ან პირსახელ **გულ**-ისაგან (შდრ. გვარსახელები: **გულიაშვილი, გულუა**). ნიშნავს "გულიანთ ფშა"-ს.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ **ბაღრჳფშ, ჩგრჳფშ, მზალრჳფშ // მჭალრჳფშ, ცანდრჳფშ, გაჩრჳფშ // გეჩრჳფშ, ზანლრჳფშ** ტოპონიმებში, რომლებიც აშკარად აფხაზური გვარსახელებისაგან მომდინარეობენ, ეს გვარები არ არის გაფორმებული აფხაზური გვარსახელებისათვის ნიშანდობლივი -**იფა, -იბა,** ან **-ბა** სუფიქსოიდებით. ეს იმას ნიშნავს, რომ დასახელებული ტოპონიმები შედარებით ახალი წარმოქმნილია და მათი ისტორია არ უნდა სცდებოდეს XVII-XVIII საუკუნეებს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ -**იფა, -იბა, -ბა** სუფიქსოიდებიანი აფხაზური გვარსახელები საეროდ არ დასტურდება XVI საუკუნემდე. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც ითქვა, არა მარტო XVI-XVIII საუკუნეებში, არამედ XIX საუკუნეშიც კი აფხაზური გვარსახელები წარმოდგენილია დასახელებული სუფიქსოიდების გარეშე, წმინდა ფუძეების სახით. აქ გავიმეორებთ, რომ მაგალითად, საინტერესო სურათია ასახული XIX საუკუნის 30-იან წლებში შედგენილ ნათლობის წიგნებში, რომლებშიც აღნუსხულნი არიან ახლადმონათლულნი აფხაზეთის შემდეგი სოფლებიდან: ლიხინი (ლიხნი), კვიტული //კვიტაული (კვიტოული), ტამუში (ტამიში), კინდღი, ეშქიდი (ეშქითი), ფოქვეში, ათარა, შქაწყალი (აძვიბჟა), თხინა და მოქვი[327]. ამ წიგნებში აფხაზური წარმოშობის გვარსახელთა გაფორმების სხვადასხვა მოდელია ასახული, მათ შორის უაფიქსო გვარებია: **არყუჯა, აჟია** –შდრ. **(ა)ჟიბა, ფაციცი // ბარციცი, ლაკვა** (შდრ. **ლაკაბა // ლაკობა**. ამავე დოკუმენტებში

---

[327] გ. გასვიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 153-184.

არის **ლაკვაბაია** ფორმაც), **ხავშუთა, ავიჟი, ჩიკვაკუ, სიმურ (< სმჯრ), ჩაბალურხვა, ბუსკურ // ბუშკურ, ქავა** (ამჟამად რუსულად იწერება: **Ковe**. შდრ. **აქავბა**). რამდენიმე შემთხვევაში ჭირს იმის გარკვევა, რომელია პირსახელი და რომელი გვარი: **მაჯი ჯანაი, ლუკუნ ფათლა, პატი აქვი, ქვასაჯი გეგი, ჯაზლი დეშელი.**

უაფიქსო გვარები გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით დასტურდება 1867 წელს რუსი მოხელეების მიერ შედგენილ აფხაზ მუჰაჯირთა სიებშიც, თანაც მათში უაფიქსო ფორმით ისეთი გვარებიცაა ფიქსირებული, რომლებსაც ამჟამად **-ბა, -იბა** სუფიქსები ერთვის[328], რაც იმისი ცხადი დასტურია, რომ აფხაზურ გვარსახელთა გაფორმება სუფიქსაციის ხერხით ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული 1867 წლისთვისაც კი.

ამ მიზეზთა გამო უდავოა, რომ აფხაზეთში **-რჯ-ფშ** "მათი ფშა" სეგმენტიანი გეოგრაფიული სახელები შექმნილა XVI საუკუნის შემდგომ, როცა კავკასიონის ქედის გადაღმიდან მიგრირებული აფხაზები შემოვიდნენ ქართველურ ენობრივ-კულტურულ სივრცეში და ისესხეს ქართული **ფშა** სიტყვა. **-რჯ-ფშ** დაბოლოებიან ტოპონიმ-ჰიდრონიმთა გაჩენისათვის ხელი უნდა შეეწყო ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე **გაგრაშ ფშა** და **მაჭარაშ ფშა** ტიპის სუბსტრატულ ტოპონიმთა არსებობას, რომლებში წარმოდგენილი **რ** თანხმოვანიც აფხაზებმა გადაიაზრეს როგორც მრავლობითი რიცხვის მესამე პირის კუთვნილების აფხაზური აფიქსი. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ **-რჯ-ფშ** სეგმენტიანი გეოგრაფიული სახელები საეროდ არ დასტურდება არც მდინარე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც უბიხები ცხოვრობდნენ და არც მდინარე ყუბანის აუზში, სადაც ამჟამად აბაზები ცხოვრობენ, ხოლო XVI საუკუნემდე ბინადრობდნენ ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრებიც.

---

[328] ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბ., 2004, გვ. 123-170.

§ 8. "ორენოვანი" ტოპონიმები აფხაზეთში და მათი წარმომავლობის პრობლემა

აფხაზეთის ტერიტორიაზე დასტურდება ისეთი გეოგრაფიული ობიექტები, რომლებიც 2-2 სახელით აღინიშნება: მათგან ერთი სახელი გამოიყენება ძველ, ან თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენასა და მეგრულ მეტყველებაში, ხოლო მეორე – აფხაზურ ენაზე. სხვაობას თითოეული წყვილის წევრთა შორის მათი ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებული ფონემატური სტრუქტურა ქმნის. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთ ისტორიულ სოფელს ქართულად **ილორი** ეწოდება, ხოლო აფხაზურად – **ელგრ**; ერთ-ერთი მდინარის ქართული სახელია **კოდორი**, აფხაზურად კი იმავე ობიექტს **კჲდრჲ** ეწოდება და ა.შ. ასეთ შემთხვევებში დაისმის გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებათა ამოსავალი ფორმის აღდგენისა და არქეტიპის ენობრივი კუთვნილების რკეეის საკითხი, რაც არა მარტო სამეცნიერო დავას იწვევს აფხაზ და ქართველ ლინგვისტთა შორის, არამედ პოლიტიკური შეფერილობაც ეძლევა: აფხაზი მეცნიერები ცდილობენ ამგვარ სახელთა აფხაზურობის დამტკიცებას აფხაზურ ვარიანტთა პირველადობის ხაზგასმით, რათა დაასაბუთონ აფხაზეთში აფხაზთა ავტოქთონობა და რეგიონში ქართველთა გვიან მისულობა. საბოლოო მიზანი კი აფხაზეთის საქართველოსაგან დამოუკიდებლობის აღიარებისათვის მეცნიერული საფუძვლების მომზადებაა.

ბუნებრივია, როცა საქმე გვაქვს ორი განსხვავებული ენის ასევე განსხვავებულ ენობრივ ფაქტებთან, უპირველეს ყოვლისა, დაისმის წყვილის წევრ ფორმათა პირველადობა-შემდგომადობის საკითხი: სარკვევი ხდება, თუ რომელ ენაზე შეიქმნა საკვლევი ფორმა და რომელმა ენამ ისესხა იგი მოგვიანებით.

სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ძველ წერილობით და კარტოგრაფიულ წყაროებში საძიებელი ტოპონიმების დადასტურება. განსაკუთრებით ეხება ეს მიკროტოპონიმებსა და დაუსახლებელი ადგილების სახელებს, რომლებიც მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში აისახება წერილობით და

კარტოგრაფიულ წყაროებში, წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროების მონაცემთა უქონლობის პირობებში კი გადამწყვეტი როლი ენიჭება ტოპონიმთა მორფოლოგიური და ფონოლოგიური მოდელების გათვალისწინებას.

აფხაზეთის შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, სომხურ, თურქულ და სხვაენოვან წყაროებში არცთუ ისე ცოტა გეოგრაფიული სახელი დასტურდება, რომელთა ნაწილის წარმომავლობა ბუნდოვანია, მეორე ნაწილი კი საკმაოდ გამჭვირვალეა და ცხადად აჩვენებს, რომ XVI საუკუნემდე ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე არ ჩანს აფხაზთა უძველესი მასობრივი ბინადრობის კვალი, სამაგიეროდ ძველთაგანვე აქ უეჭველად უცხოვრიათ ქართველებს.

წინამდებარე ნაშრომის ამ მონაკვეთში ჩვენ განვიხილავთ აფხაზეთის ტერიტორიაზე მრავლად წარმოდგენილი "ორენოვანი" მაკროტოპონიმების ნაწილს და ქართველური და აფხაზური ფონოტაქტიკური წესების გათვალისწინებით შევეცდებით დავადგინოთ მათი სესხების მიმართულება, რაც შესაძლებელია მაშინაც კი, თუ ბუნდოვანია სიტყვის ამოსავალი სემანტიკა და/ან მორფოლოგიური სტრუქტურა[329].

მეგრ. დიალ. **თაგილონ-ი** // აფხაზ. **თაგლან** – სოფელი გალის რაიონში. აფხაზურიდან სახელის სესხების შემთხვევაში მეგრულში უნდა გვქონოდა ***თაგილან-ი** ვარიანტი, რაც არ დასტურდება. მეგრული ფორმა კი უეჭველად სწორედ აფხაზურში რეალურად არსებულ ფორმას მოგვცემდა: **გი** მარცვალი კანონზომიერად შეიცვალა პალატალიზებული **გ** თანხმოვნით, ხოლო **ლ** და **ნ** სონორებს შორის მოქცეული **ო** ხმოვანი ასევე კანონზომიერად გარდაიქმნა **ა** ხმოვნად;

---

[329] აფხაზურ ენაში ნასესხები ლექსიკის ადაპტაციის ფონოტაქტიკური წესები დაადგინა აკად. ქ. ლომთათიძემ. წიგნის ამ ნაწილში ჩვენ ვემყარებით ზემოთ უკვე არაერთხელ ციტირებულ მის კლასიკურ მონოგრაფიულ გამოკვლევას: აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1976.

მეგრ. დიალ. **ბარდეფ-ი** // აფხაზ. **ბარძაფ** – სოფელი გალის რაიონში. მეგრულის **ღე** მარცვალი კანონზომიერად გარდაქმნილა პალატალიზებულ **ღ**' თანხმოვნად;

მეგრ. დიალ. **ჩხორთოლ-ი** // აფხაზ. **ჩხართალ** – სოფელი გალის რაიონში. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ ტოპონიმს გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს მეგრულ ნიადაგზე და ნიშნავს "ცხრა თვალს" (< **ჩხორო თოლი**. აღნიშნავს უხვწყლიან, მრავალ წყარონაკადულიან მდინარეს, ან ადგილს[330], სადაც წყალს ერთდროულად რამდენიმე გამოსასვლელი, რამდენიმე თვალი აქვს), აფხაზურ ფორმას მეგრულში უნდა მოეცა ***ჩხვართალ-ი** ვარიანტი, რაც არ დასტურდება. მეგრულის **ხო** მარცვალმა სესხების წესების მიხედვით აფხაზურში მოგვცა **ხა** მარცვალი, ხოლო **თ** და **ლ** თანხმოვნებს შორის მდგომი **ო** ხმოვანი ასევე კანონზომიერად ჩანაცვლდა **ა** ხმოვნით;

ქართ. **შეშელეთ-ი** // აფხაზ. **შაშალათ** – სოფელი გალის რაიონში. აფხაზური ვარიანტისაგან, რომელიც არანაირად არ იხსნება ამ ენაზე, ქართულში მოსალოდნელი იყო ***შაშალათ-ი** ფორმის მიღება, რაც არ დასტურდება. ქართულმა ფორმამ კი, რომელშიც იგიეე ფუძე გვაქვს, რაც გვარსახელ **შეშელ-ი-ძე**-ში და ერთვის ქართული მატოპონიმებელი **-ეთ** სუფიქსი[331], **ე** > **ა** კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილების გზით მოგვცა აფხაზური **შაშალათ** ვარიანტი;

მეგრ.-სვან. **მუხურ-ი** – სოფელი გალის რაიონში. ამჟამად ამ სოფლის ოფიციალურ სახელად ამკვიდრებენ გამოგონილ **მახურ** ვარიანტს, რომელიც არ დასტურდება არც ცოცხალ აფხაზურ მეტყველებაში და არც წერილობით წყაროებში. გარდა ამისა, მას არ ეძებნება დამაჯერებელი ეტიმოლოგია აფხაზურ ენაზე. მეგრულ-სვანური **მუხურ-ი** "მხარე, კუთხე" ფორმა კი მრავალგზისაა წარმოდგენილი ძველბერძნულ და

---

[330] პ. ცხადაია. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია (ენათმეცნიერული გამოკვლევა). თბ., 2004, გვ. 40.
[331] იქვე. გვ. 48-49.

ქართულ წყაროებში **მოხორა // მუხორისი // მუხური** ფორმების სახით ახ. წ. V საუკუნიდან;

მეგრ. დიალ. **ღალიძგა // აფხაზ. აალძგა** – მდინარე გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზე. აფხაზური ფორმა არ დასტურდება ძველ წყაროებში მაშინ, როდესაც ქართულ წყაროებში იგი დამოწმებულია 1639 წლიდან სწორედ **ღალიძგა**-ს სახით და ერქვა ამ მდინარის ნაპირზე მდებარე სოფელს, სადაც დადიანების სასახლეც მდგარა. შემდეგ სახელი მეტონიმიის გზით მდინარეზეც გადატანილა. მეგრულად **ღალიძგა** "ღელის ნაპირს" ნიშნავს[332]. მისგანაა მიღებული ამ მდინარის ამჟამინდელი აფხაზური სახელი **აალძგა: ღა** მარცვალი გამარტივებულა **აა** ბგერებად და მომხდარა **ი** ხმოვნის რედუქცია[333]. **ღა** მარცვლის ამგვარი ცვლა აფხაზურ ენაში მოულოდნელი არაა, ვინაიდან, როგორც ქ. ლომთათიძემ დაადგინა, ორი **ა** ხმოვანი (**აა**) ამ ენაში წარმოიქმნება **ღა** მარცვლისგანაც: **ა**-ბლ**აა**მ < ბალ**ღა**მ-ი, **ა**-კ**აა**ნ < თურქ. კუმ**ღა**ნ "თითბრის საწყული ჭურჭელი"[334]... სახელი რომ აფხაზურიდან შესულიყო მეგრულში, მაშინ ამ უკანასკნელში უნდა არსებულიყო ***ალძგა** ფორმა, რაც არსად დასტურდება;

მეგრ. დიალ. **დიხაზურგა // აფხაზ. დიხაჟურგა** – სოფელი გალის რაიონში. მეგრული ვარიანტი გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონეა: შდრ. მეგრ. **დიხა** "მიწა" + **ზურგა** "ბორცვი" = "ამობურცული მიწა; მიწაყინული[335]". ამ ამოსავალი ფორმის ფონეტიკურად ადაპტირებული ვარიანტია აფხაზური ფორმა: **ზუ** კომპლექსი კანონზომიერად გარდაქმნილია ლაბიალიზებულ **ჟ** თანხმოვნად (შდრ. **ზუთხ-ი** > მეგრ. **ზუნთხ-ი** > აფხაზ.

---

[332] იქვე, გვ. 41-42.

[333] ქ. ლომთათიძე. **ღალიძგა**-ს გაგებისათვის. – XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1999, გვ. 43-44.

[334] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტ.-შედარ. ანალიზი. I..., გვ. 28.

[335] პ. ცხადაია. დასახ. ნაშრ., გვ. 106-108.

ა-ჟ-ნთ-ხ, **ზ-უ-გ-დ-ი** > მეგრ. **ზ-უ-რ-გ-ი-თ-ი** > აფხაზ. **ჟ-ვ-რ-გ-ვ-თ**[336], **ზ-უ-რ-ა-ბ-ი** > აფხაზ. **ჟ-ვ-რ-ა-ბ**...);

მეგრ. დიალ. **ო-ხ-უ-რ-ე-ი, ო-ხ-უ-რ-ი** – სამი სოფელი გალის რაიონის აჩიგვარისა და გუდავის საკრებულოებში და ოჩამჩირის რაიონის ილორის საკრებულოში, იქვე მიმდინარე მდინარე. პ. ცხადაიას თვალსაზრისით, სახელი **ო-ხ-უ-რ-ე-ი** უნდა რქმეოდა ვრცელ ტერიტორიას სოფელ ოქუმსა და მდ. ღალიძგას შორის[337]. ჩვენი აზრით, ამ ტერიტორიის თავდაპირველი სახელი იყო **ხ-ო-ი-რ-ი**, რომელიც დასტურდება რამდენიმე ძველ დოკუმენტში. მაგალითად: XVI საუკუნის ბოლოს შედგენილ ნაჟანეულის საკათალიკოსო გლეხების ბეგრის ნუსხაში[338], 1621 წლის აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში[339], 1616-1621 წლებს შორის შედგენილ კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხაში[340], 1616-1639 წლებს შორის შედგენილ ბიჭვინტისადმი კათალიკოს მალაქიას შეწირულების წიგნში[341]. ამ დროს აფხაზები ჯერ კიდევ არ სახლობდნენ ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე, რასაც, მაგალითად, ადასტურებს ეკლია ჩელების 1641 წლის ცნობა მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე მეგრელთა ბინადრობისა და ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირზე მეგრულ-აფ-

---

336 ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტ.-შედარ. ანალიზი. I..., გვ. 63 და 224.

337 პ. ცხადაია. დასახ. ნაშრ., გვ. 114.

338 ნუსხა ნაჟანეულის საკათალიკოსო გლეხების ბეგრისა. – "ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)". ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1970, გვ. 386.

339 აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი. – "ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)". თბ., 1970, გვ. 423.

340 კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა. – "ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)". თბ., 1970, გვ. 481.

341 შეწირულების წიგნი მალაქია კათალიკოზისა ბიჭვინტისადმი. – "ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)". თბ., 1970, გვ. 501.

ხაზურად მოლაპარაკე აბაზების (აფხაზების) ჩაჩის ტომის ცხოვრების შესახებ, აგრეთვე არქანჯელო ლამბერტის მითითება, რომ აფხაზები მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობდნენ (ა. ლამბერტი 1633-1651 წლებში ცხოვრობდა ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიაზე, სოფელ წიფურიაში)[342], ხოლო აქვე ხსენებულ 1616-1639 წლებს შორის შედგენილ ბიჭვინტისადმი კათალიკოს მალაქიას შეწირულების წიგნში პირდაპირაა მითითებული, რომ სოფელ ხოირში მეგრელები სახლობდნენ: "...**ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან** და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევინე, ჯიხური დავადგმევინე და გარდავაჭედინე..."[343] როგორც ჩანს, მოგვიანებით სოფელს სახელი შეეცვალა და მეგრულადვე დაერქვა **ოხურე-ი > ოხურ-ი**. მართალია, **ხოირ-ი, ოხურეი** და **ოხური** ფორმების ეტიმოლოგია გარკვეული ჯერაც არ არის, მაგრამ მათი აფხაზურ სახელებად მიჩნევა არ არის მართებული, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ **ხოირი** ფორმა, როგორც ვნახეთ, წყაროებში იმ დროსაა დაფიქსირებული, როცა ეთნიკური საზღვარი აფხაზებსა და ქართველებს შორის აქედან შორს, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს გადიოდა; მეორე, აფხაზურ ენაში გავრცელებულია სამივე სოფლისა და მდინარის **ოხურე** სახელწოდება, რომლის ფუძეში **ო** და **ე** ხმოვნების არსებობა მეგრულიდან სესხების სიახლეზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, ამჟამად აფხაზები ამკვიდრებენ გამოგონილ **აბრჟ** ვარიანტს[344], რომელიც დღემდე არსად დასტურდებოდა;

მეგრ. დიალ. **ფოქვეშ-ი** // აფხაზ. **ფაჭაშ** – სოფელი ოჩამჩირის რაიონში. სახელის აფხაზურიდან სესხების შემთხვევაში მეგრულში უნდა ყოფილიყო **ფაქვაშ-ი** ფორმა, რაც არ არსე-

---

[342] ეკლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი". ნაკვეთი I. თბ., 1971, გვ. 100; ა. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1991, გვ. 163.

[343] შეწირულების წიგნი მალაქია კათალიკოზისა ბიჭვინტისადმი. – "ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)". თბ., 1970, გვ. 501.

[344] http://www.abiblioteka.info/rus/lang/section_1/dict/toponim/in.html.

ბობს. სამაგიეროდ, აფხაზური ფორმა მეგრული ვარიანტის სრულად ადაპტირებულ სახეობას წარმოადგენს: **ფ** და **ქ** თანხმოვნებს შორის მდგარი **ო** ხმოვანი კანონზომიერადაა გარდაქმნილი **ა** ხმოვნად, **ქვ** ბგერათკომპლექსს ჩაენაცვლა ლაბიალიზებული **ჶ** თანხმოვანი, ხოლო **ე** ხმოვანი კანონზომიერად იცვალა **ა** ხმოვნით, არსებითია ისიც, რომ სიტყვას არ ეძებნება ეტიმოლოგია აფხაზურ ენაზე, მეგრულად კი აქვს მნიშვნელობა "დარანისა; მღვიმისა", შდრ. მეგრ. **ფოქჳი** "დარანი; მღვიმე"[345];

მეგრ. დიალ. **სქურჩე**, აფხაზ. **Შჭურჩა** – სოფელი ოჩამჩირის რაიონში. აფხაზურ ფორმას ეტიმოლოგია არ ეძებნება ამ ენაზე. მეგრული ვარიანტი ქართულ წყაროებში დასტურდება 1630 წლიდან, შედგება **სქურ-ი** "ღელე" + **ჩე** "თეთრი" ფუძეებისაგან. აფხაზურში **ქუ** მარცვალი კანონზომიერადაა ჩანაცვლებული ლაბიალიზებული **ჶ** თანხმოვნით, ბოლოკიდურა **ე** ხმოვანი კი – **ა** ხმოვნით. აფხაზური **Შჭურჩა** ფორმა საყურადღებოა ამ ენის ფონოლოგიური სისტემის ისტორიის თვალსაზრისით და აი, რატომ: ამჟამად აფხაზურ ენაში არ არსებობს ლაბიალიზებული **ჴ** თანხმოვანი, მაგრამ აფხაზთა წინაპრების აფხაზეთში დამკვიდრების დროისათვის (XVI საუკუნისათვის) იგი აქაც უნდა არსებულიყო – ეს ფონემა ამჟამადაც არის აბაზურ დიალექტებში. სხვა ენათა **სვ, სუ** ბგერათმიმდევრობები აფხაზურში სესხებისას ამჟამად კანონზომიერად იძლევა **Ꭷ** თანხმოვანს (შდრ. მეგრ. **სუჯი** "სურო" > აფხაზ. **ა-Ꭷ-ჩ**, ქართ. თევზის სახელი **სვია** > აფხაზ. **ა-Ꭷია**, გვარსახელი **სვიმონია** > **Ꭷმანია**, პირსახელი **სულეიმან** > **Ꭷლიმან**...). საანალიზო ტოპონიმი **სქურჩე** აფხაზურში უნდა შესულიყო ***სქჳრჩა** ფორმით, მაგრამ მომდევნო ლაბიალიზებული თანხმოვნის ზეგავლენას უნდა გამოეწვია სისინა **ს** თანხმოვნის ლაბიალიზაცია, რაც მოგვცემდა ***Ჩჭურჩა** ვარიანტს. მომდევნო ეტაპზე, როცა აფხა-

[345] პ. ცხადაია. დასახ. ნაშრ., გვ. 37-38.

ზურმა ენამ ამოსავალი **ს** ფონემა შეცვალა **შ** ბგერით, წარმოიქმნა ამჟამად არსებული **შეჯრჩა** ფორმა;

1989 წელს აფხაზებმა შეადგინეს ვრცელი პროექტი-სია აფხაზეთის იმ ოიკონიმებისა და პოლისონიმებისა, რომლებიც, მათი აზრით, აფხაზური წარმოშობისაა, უსამართლოდ იყო გაუქმებული და უნდა აღდგენილყო[346]. ამ პროექტის მიხედვით, ოჩამჩირის რაიონის სოფელ **ცხენწყარის** ოფიციალურ სახელებად აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე უნდა დადგენილიყო **ლაშკვნდარ** (აფხაზ.) // **ლაშკინდარი** (ქართ.) // **Лашкиндар** (რუს.) ფორმები. ივარაუდებოდა ამ სახელის აფხაზური წარმომავლობა. რეალურად კი ტოპონიმი, რომელიც ამავე რაიონში მდებარე ერთ-ერთი მთისა და ნასოფლარის სახელია, მეგრელიზებული სვანური ფორმაა: თ. მიბჩუანის თვალსაზრისით, **ლაშკინდარ** სვანურად "სამჭედლოს" ნიშნავს, ჩვენი აზრით კი, იგი არის სვანური **ლაშკიდ** "მჭედელი" სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმა **ლაშკიდ-არ**, რომელიც სამჭედლოსაც უნდა ნიშნავდეს. სახელი მეგრულ მეტყველებაში გართულებულა **ნ** თანხმოვნით. აფხაზურ ენაზე სახელს ეტიმოლოგია არ ეძებნება. იგი მიღებულია ფონოტაქტიკის წესების სრული დაცვით: **კი** მარცვალი კანონზომიერადაა ჩანაცვლებული **კვ** ჯგუფით. შდრ.: ქართ. **კიბე** > აფხაზ. **ა-კვბა**, ქართ. **კირ-ი** > აფხაზ. **ა-კვრ**, მეგრ. **კინტირ-ი** "კიტრი" > აფხაზ. **ა-კვნტვრ**[347]...;

მეგრ. დიალ. **ჯერღვილ-ი**, აფხაზ. **ჯრლვლ** – მდინარე და სოფელი ოჩამჩირის რაიონში. აფხაზური ვარიანტი არ იხსნება ამ ენაზე და მიღებულია მეგრული ფორმისაგან ფონოტაქტიკის წესების დაცვით: **ჯ** და **რ** თანხმოვნებს შორის მდგომი **ე** ხმოვანი კანონზომიერადაა შეცვლილი **ა** ხმოვნით, **ღვი** მარცვალს კი ასევე კანონზომიერად მოუცია **ლვ** ჯგუფი. გარდა ამისა, **ჯერღვილი** მეგრულად "დაძარღვულს, დატოტვილს"

---

346 პროექტის ფრაგმენტის ქსეროასლი დაცულია ჩვენს პირად არქივში.

347 ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 60.

ნიშნავს, რაც მდინარის სახელად შესაფერისია. ჩანს, ჰიდრონიმი მოგვიანებით მეტონიმიის გზით გახდა სოფლის სახელიც. ზემოთ ხსენებულ პროექტში სახელწოდების მეგრული წარმოშობის მიჩქმალვის მიზნით სოფლის ოფიციალურ აფხაზურ და ქართულ სახელებად შემოთავაზებული იყო **ჯგრგულ** და **ჯირგული** ვარიანტები;

ქართ. **ილორ-ი**, აფხაზ. **ელგრ** – ისტორიული სოფელი ოჩამჩირის რაიონში. აფხაზური პროექტი გულისხმობდა მის ოფიციალურ აფხაზურ სახელად აფხაზური რეალური ვარიანტის, ხოლო ქართულ და რუსულ სახელებად მისგან მომდინარე წერილობით წყაროებში არარსებული ხელოვნური **ელირი** და **Елыр** ფორმების დამკვიდრებას. მიზანი ცხადი იყო: ქართულ წყაროებში ძველთაგანვე დადასტურებული ქართული სახელის სამუდამოდ წაშლა აფხაზეთის რუკიდან. რეალური ქართული **ილორი** ფორმა არ მომდინარეობს აფხაზური **ელგრ** ვარიანტისაგან. ეს რომ ასე იყოს, ქართულში ნამდვილადაც უნდა გვქონოდა **ელირი** ვარიანტი, რაც არ დასტურდება. გარდა ამისა, ასახსნელი იქნებოდა, ერთი მხრივ, **ე** ხმოვნის გარდაქმნა **ი** ხმოვნად და, მეორე მხრივ, ნეიტრალური ხმოვნისაგან **ო** ხმოვნის მომდინარეობა მაშინ, როდესაც ქართული რეალური სახეობისაგან აფხაზურის მიღება ასახავს ამ უკანასკნელი ენის სესხების ფონოტაქტიკურ წესებს: ა) ქართულ **ი** ხმოვანს უნდა მოეცა **აჲ**, ანდა **ჲა** მარცვალი, რომლებიც თვით აფხაზურ ენაში ასიმილაციის ნიადაგზე იძლევა **ე** ხმოვანს **ჲე // ჲე** საფუძვლების გავლით[348]; ბ) **ლ** და **რ** თანხმოვნებს შორის მოქცეული **ო** ხმოვანი ჯერ **ა** ხმოვნად უნდა გარდაქმნილიყო, შემდგომ კი მახვილის გავლენით მოგვცემდა ნეიტრალურ ხმოვანს. ასე რომ, ამ წესების გათვალისწინებით, ქართულ სახელს შემდეგი გზა აქვს გავლილი: ქართ. **ილორ-ი** > აფხაზ. ***აჲლარ**, ან ***ჲალარ** > ***ჲელგრ**, ან ქართ. **ილორ-ი** > ***ჲელგრ** > **ელგრ**. რაც შეეხება ქართული ამოსავალი **ილორი** სახელის თავდაპირველ

---

[348] იქვე, გვ. 45-48.

სტრუქტურასა და ამოსავალ სემანტიკას, იგი საძიებელი რჩება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სახელი **ილორი** აქვია კიდევ ერთ სოფელს ქვემო იმერეთში, სამტრედიის რაიონში, სადაც აფხაზებს არასოდეს უცხოვრიათ;

ქართ. **ილორგან-ი**, აფხაზ. **ელგრგან** – სოფელი ოჩამჩირის რაიონში. ტოპონიმის პირველი ნაწილი ილორის ქართული ისტორიული სახელი და მისი აფხაზურად ადაპტირებული სახეობაა. ხსენებული აფხაზური პროექტი ამ სოფლის სახელადაც გეთავაზობდა ქართულ და რუსულ ენებზე ოფიციალურ ფორმად **ელირგან-ი** და **Елырган** ვარიანტების დამკვიდრებას, რომლებიც არცერთ ძველ წყაროში არ ფიქსირდება. აფხაზური სახეობა ამ შემთხვევაშიც ქართულისაგან მომდინარეობს;

ქართ. **ტყვარჩელ-ი**, აფხაზ. **ტყარჩალ** – ქალაქი და მისი მიმდებარე სოფელი; როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სახელი მომდინარეობს ყოჩივარდას მეგრული **ტყვარჩელია // ტკვარჩელია** სახელწოდების ამოსავალი **ტყვარჩელი** ფორმისაგან. მას აფხაზურ ენაზე ახსნა არ ეძებნება[349]. აფხაზური ფორმა მეორეულია და იცავს სესხების კანონზომიერებებს (იხ. ზემოთ). ხსენებული აფხაზური პროექტი უსაფუძვლოდ მოითხოვდა ქართულ და რუსულ ოფიციალურ სახელებად **ტყუარჩალი** და **Ткуарчал** ვარიანტების დამტკიცებას. მაშინ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა და სამართლიანადაც, მაგრამ აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ ოფიციალურ რუსულ ნორმად **Ткуарчал** ვარიანტი დაამკვიდრეს, ხოლო ქართული ენა რეგიონში საერთოდ აიკრძალა;

ქართ. **მარგულა // მერკულა**, აფხაზ. **მარკულა // მგრკულა** – სოფელი ოჩამჩირის რაიონში. ქართული **მარგულა** და მასთან ახლომდგომი **მაგულა // მორგულა // მარკულა // მერკულა ფორმები** დასტურდება 1615 წლიდან ქართულ, დასავლეთევროპულ და რუსულ წყაროებში, ხოლო აფხაზური ფორმები მხოლოდ XIX საუკუნიდან. სიტყვა მომდინარეობს შაქლიავის მეგრული **მარგულა** < სამწიგნ. ქართ. **მარგვულ-ა** "მარგვეთუ-

---

[349] ამ სახელის ეტიმოლოგიის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ.

ლი" სახელისაგან. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ფონოტაქტიკის წესებიც. სახელის აფხაზური წარმომაველობის შემთხვევაში მეგრულ დიალექტში უნდა არსებულიყო ***მარკულა**, ან ***მურკულა** ვარიანტებიდან ერთ-ერთი, რაც არსად დასტურდება. სამაგიეროდ, ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში ფიქსირებული ქართული **მარგულა** ფორმისაგან ფონოტაქტიკის წესების დაცვით ჯერ მიღებულია წყაროებში ასევე დადასტურებული ქართული **მარკულა** ვარიანტი, რომლისაგანაც მომდინარეობს ორივე აფხაზური სახეობა: ქართ. **მარკულა** > აფხაზ. **მარკჳლა** (**კუ** > **კჳ** ცვლილების წესი) > **მჳრკჳლა** (**ა** > **ჳ** ცვლილების წესი);

ქართ. **მოქვი**, აფხაზ. **მჷ** – ისტორიული სოფელი და მონასტერი ოჩამჩირის რაიონში. ქართული ფორმა დასტურდება ადრეულ შუასაუკუნოვან წყაროებში, ხოლო აფხაზური – მხოლოდ XIX საუკუნიდან. აფხაზური პროექტი ქართული ისტორიული სახელის ამოკვეთის მიზნით მოითხოვდა ქართულ და რუსულ ოფიციალურ სახელებად **მოქუ** და **Мыку** ვარიანტების დამკვიდრებას, რომლებიც არსად დასტურდება. ამჟამად ამკვიდრებენ ხელოვნურ რუსულ **Мыку** ვარიანტს. სოფლისა და იქვე მდებარე მონასტრის ქართული სახელის ეტიმოლოგია ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი, მაგრამ სრულიად უდავოა, რომ აფხაზური ვარიანტი სწორედ მისგან მომდინარეობს, რასაც სესხების ფონოტაქტიკური წესები ადასტურებენ. სიტყვის აფხაზურიდან სესხების შემთხვევაში ქართულში უნდა არსებულიყო **მუქვი** სახეობა, რაც არ დასტურდება, სამაგიეროდ, ლაბიალური **მ** თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში მდგომი ქართული **ო** ხმოვანი აფხაზურმა კანონზომიერად შეცვალა ნეიტრალური ხმოვნით, ხოლო **ქვ** კომპლექსი გარდაქმნა **ჷ** ბგერად;

ქართ. **კვიტაული // კვიტოული**, აფხაზ. **კჳტოლ // კჳტრლ** – ისტორიული სოფელი ოჩამჩირის რაიონში. ქართულ და უცხოურ წყაროებში დასტურდება 1639 წლიდან **კვიტაული, კვიტოული, კიტოული, პიტაური** ვარიანტების სახით. მეტიც, პირადად ვართ იმის მოწმე, რომ აფხაზეთის კონფლიქტამდე აფხაზური

მოსახლეობის მასა რუსულ ენაზე მეტყველებისას ამ სოფელს **კვიტოული** ფორმით იხსენიებდა. სახელის აფხაზური ვარიანტი არ დასტურდება ძველ წყაროებში და არ იხსნება აფხაზურ ენაზე. კიდევაც რომ დაეუშვათ მისი აფხაზური წარმომავლობა, მაშინ ქართულ ენაში უნდა არსებულიყო არა ზემოთ დამოწმებული ფორმები, არამედ **კუტოლ-ი** სახეობა, რაც ძველ წყაროებში არ დასტურდება. როგორც გვანცა გვანცელაძემ გაარკვია, სოფელს თავდაპირველად ქართულ და უცხოურ წყაროებში რეალურად ფიქსირებული **კვიტაულ-ი** სახელი ერქვა, რომელშიც **კვიტა** მამაკაცის ქართული პირსახელია (შდრ. გვარსახელები: **კვიტა-შვილი** და **კვიტა-ი-შვილი**), ხოლო ქართულივე **-ურ** სუფიქსი გამოხატავს მიწის ნაკვეთის კუთვნილებას პირსახელით აღნიშნული ადამიანისადმი. იგივე სუფიქსია წარმოდგენილი ქართული ტოპონიმების დიდ ჯგუფში: ამბროლ-ა-**ურ**-ი (შდრ. გვარი ამბროლა-ძე), ანან-**ურ**-ი (შდრ. სახელი ანანია), თარგამ-ე-**ულ**-ი (შდრ. გვარი თარგამა-ძე), მანანა-**ურ**-ი (შდრ. სახელი მანანა) გუჯაბ-ა-**ურ**-ი (შდრ. გვარი გუჯაბიძე) და ა.შ. საყურადღებოა, რომ შუა საუკუნეთა ქართულ იურიდიულ საბუთებში ხშირია **-ურ//-ულ** სუფიქსიანი ორსიტყვიანი ტოპონიმები, რომელთა შემადგენლობაში პირველ წევრად, მსაზღვრელის ფუნქციით გაფორმებული ანთროპონიმები გვევლინება, ხოლო საზღვრულად გამოყენებულია სიტყვები: "მიწა", "მამული", "ვენახი", "ჭალა" და სხვ. მაგალითად: ბარდა-**ულ**-ი მიწა, ტურია-**ულ**-ი ვენახი, გული-**ურ**-ი ჭალა და ა.შ.[350] ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისტორიულ წყაროთა მონაცემებიცა და სიტყვათსესხების ფონოტაქტიკური წესებიც: ა) როგორც ითქვა, ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ სოფელს თავდაპირველად **კვიტაული** რქმევია. სწორედ ამ ფორმით იხსენიება იგი სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის

---

[350] გ. გვანცელაძე. სოფელ კვიტოულის სახელის ეტიმოლოგიისათვის. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XII. ქუთაისი, 2008, გვ. 53-56; Г. Гванцеладзе. К истории одного типа грузинских топонимов. – Материалы VI международной научной конференции. Актуальные проблемы общей и адыгской филологии. Майкоп, 2008. გვ. 99.

1640 წლის სინოდიკში, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთავარს თავისი ახლადგარდაცვლილი მეუღლის ნესტან-დარეჯანის ცხედარი დაუკრძალავს სოფელ ქიაჩში და ორი პანაშვიდი გადაუხდია **კვიტაულის** სასახლეში, ხოლო ამ სოფლის მცხოვრები ყმებისთვის ტოტოჯი, სულეიმან, მარკო, მაჭიხოლი და თომიხილი დავითიებისათვის შეუწერია თითო ძროხა, გაიზარდი აფიასთვის – ცხვარი, ანჩიბუხუ ჩხანგუასთვის კი – სანთელი. იქვე იხსენიებიან აგრეთვე ბებელია ბაგათელიას ქვრივი, აფაქიძის ქალი და მისი შვილი მასი ბაგათელია[351]. ამ საბუთში ხსენებული პირების გვარებიცა და სახელებიც (სულეიმანისა და მარკოს გარდა) ქართულია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სოფელში ქართული მოსახლეობა ბინადრობდა ჯერ კიდევ XVII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში. ზუსტად იმავე დროს, 1639-1640 წლებში სამეგრელოში, იმავე მთავარ ლევან II დადიანთან ჩამოსული რუსი ელჩების – ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის დაკითხვის ოქმებში სოფელი მოხსენიებულია დამახინჯებული **Китоули** ფორმით: **"Февроля во 8 день начавали в деревне в Китоуле"**[352]. ეს დოკუმენტი ზემოთ დასახელებულ სინოდიკთან ერთად იმასაც ადასტურებს, რომ სოფელი კვიტაული ამ დროს რეალურად შედიოდა სამეგრელოს მთავრის სამფლობელოში და აქ მთავარი თავის საპატიო სტუმრებსაც მასპინძლობდა[353]; ბ) ქართულ და რუსულ წყაროებში ერთსა და იმავე დროს მოხსენიებული **კვიტაული** და **კიტოული** ვარიანტები ადასტურებენ, რომ ამ პერიოდში, აღნიშნულ სოფელში აფხაზთა დასახლებამდე ამოსავალ **კვიტაულ-ი** ფორმას ქართულ ენაში ჰქონია მეორეული **კვიტოულ-ი** ვარიანტიც. სწორედ ეს მეორეული ფორმა უდევს საფუძ-

---

[351] Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, დოკუმენტი № 88, გვ. 242-243.

[352] Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии. Посольство Федота Елчина и Павла Захарьева в Мингрелию (1639-1640). Для издания подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил Дж. Гамахария. Тб., 2005, გვ. 219.

[353] გ. გვანცელაძე. სოფელ კვიტოულის სახელის ეტიმოლოგიისათვის..., გვ. 53-56.

ელად აფხაზურ ფორმას: **კვი** მარცვალი კანონზომიერადაა გარდაქმნილი **კ** მარცვლად (შდრ. ქართული გვარსახელი **კვიწინია** > აფხაზ. **კწნია**...), ხოლო **ო** დიფთონგს ჯერ მოუცია გრძელი **ო** ხმოვანი, შემდეგ კი სადა **ო** ხმოვანი, რაც საზოგადოდ ახასიათებს აფხაზურ ენას[354]. ამრიგად, სოფლის სახელის გარდაქმნათა ჯაჭვი ასე წარმოიდგინება: ქართ. **კვიტაულ-ი** > ქართ. **კვიტოულ-ი** > აფხაზ. **კტოლ** > აფხაზ. **კტოლ**. სამწუხაროდ, სოფლის ოფიციალურ ქართულ და რუსულ სახელებად ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრდა მეოთხეული აფხაზური ფორმისაგან მომდინარე **კუტოლ-ი** და **Кутол** ფორმები. მაგალითად, "ქართულ საბჭოთა ენციკლოპედია"-ში სოფელი მხოლოდ **კუტოლი** ვარიანტით იხსენიება და მითითებულიც კი არ არის მისი ისტორიული ქართული სახელები[355];

მეგრ. დიალ. **ნაოჩ-ი**, აფხაზ. **ნაუაჩ** – სოფელი ოჩამჩირის რაიონში. აფხაზურ პროექტში დასმული იყო საკითხი ქართული და რუსულ ოფიციალურ სახელწოდებებად **ნაუაჩ-ი** და **Наурач** ფორმათა დადგენის შესახებ, რასაც არანაირი გამართლება არა აქვს, ვინაიდან არც ეს სახეობები და არც აფხაზური ვარიანტი ძველ წყაროებში არ დასტურდება. აფხაზურ სახეობას ამ ენაზე ახსნა არ ეძებნება, ხოლო მეგრულ ვარიანტს გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს: იგი წარმოადგენს წინა ვითარების **ნა-** პრეფიქსით გაფორმებულ **ოჩე** "დიდი მინდორი; დიდი ყანა, ხოდაბუნი; ბალახის სახეობა" სიტყვას. ეს სახელი რომ აფხაზური ყოფილიყო, მეგრულში უნდა არსებულიყო ***ნავაჩ-ი** ფორმა, რაც არ დასტურდება. სესხების მიმართულებას გვიდგენს შემდეგი წესის გათვალისწინება: ძველ ნასესხობებში სხვა ენის **ო** ხმოვანს აფხაზური ენა შლიდა **უა** კომპლექსად, შდრ.: თურქ. **ოდა** "ოთახი" > აფხაზ. **აუადა**, ქართ. **ორბ-ი** > აფხაზ. **აუარბა**, მეგრ. დიალ. **ოფს-ი** "ოსი" > აფხაზ.

---

[354] ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 53.

[355] კუტოლი. – "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ. 6. თბ., 1983, გვ. 90.

ა-ჭაფს, მეგრ. დიალ. **ოხვამე** "სალოცავი, ეკლესია" > აფხაზ. **ა-ჭახამა**[356]... იგივე პროცესია მომხდარი საკვლევ ტოპონიმშიც;

მეგრ. დიალ. **ოჩემჩირე // ოჩამჩირე**, აფხაზ. **ოჩამჩრა** – ქალაქი აფხაზეთში. პროფ. გიორგი როგავამ მეტად დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ამ ქალაქის სახელი მეგრული კომპოზიტია და შედგება უკვე ხსენებული **ოჩე** სიტყვისა და მეგრულიევე **მჩირე** "ვრცელი ყანა"[357] სახელებისაგან. რაც მთავარია, ტოპონიმს აფხაზური ახსნა არ ეძებნება. ამ შემთხვევაშიც დაცულია სესხების კანონზომიერებანი: ორივე **ე** ხმოვანი აფხაზურში კანონზომიერადაა შეცვლილი **ა** ხმოვნით, ხოლო **ჩ** და **რ** თანხმოვნებს შორის მდგომი **ი** ხმოვანი ჩანაცვლებულია ნეიტრალური ხმოვნით. რაც შეეხება თავკიდურა **ო** ხმოვანს, იგი თავდაპირველად უეჭველად გადმოიცემოდა **უა** კომპლექსით, მაგრამ რაკი თვით აფხაზურშივე ხდება **უა > ო** პროცესი, აქაც მეორეულად კვლავ გაჩნდებოდა **ო** ხმოვანი. ჯერ კიდევ XX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზებმა მიაღწიეს იმას, რომ ქალაქის ოფიციალურ რუსულ ფორმად დაკანონდა მეორეული აფხაზური ფორმა **Очамчыра** და ქართულადაც **ოჩამჩირა** იწერებოდა;

ქართ. **კოჩარა**, აფხაზ. **კაჩარა** – სოფელი ოჩამჩირის რაიონში. სახელის ეტიმოლოგია ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ აფხაზურ ფორმას საფუძვლად ქართული ვარიანტი უდევს, რასაც ფონოტაქტიკის წესები გვიკარნახებს: **კო** მარცვალი კანონზომიერადაა ჩანაცვლებული **კა** მარცვლით. შდრ.: ქართ. **კოლოფ-ი > აფხაზ. ა-კალაფ**, მეგრ. დიალ. **კონჭ-ი** "კოჭი" > აფხაზ. **ა-კანჭ**, ქართ. **კოჭობ-ი > აფხაზ. ა-კაჭაბ**[358]... სახელის აფხაზურიდან ქართულში სესხების შემთხვევაში კი უნდა არსებულიყო ***კვაჩარა** ვარიანტი, რაც არსად დასტურდება;

---

[356] იქვე, გვ. 51.

[357] გ. როგავა. ზოგი გეოგრაფიული სახელის შემადგენლობისათვის. – თსუ შრომები, ტ. 93, თბ., 1960, გვ. 179-185.

[358] ქ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 51.

ქართ. **ქერექენ-ი**, აფხაზ. **ქარაქან** – სოფელი ოჩამჩირის რაიონში. არც ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიაა დადგენილი, მაგრამ მაინც ცხადია მისი სესხება ქართულიდან აფხაზურში, რაზეც ფონოტაქტიკა მიუთითებს: ორიენ **ქე** მარცვალი აფხაზურში კანონზომიერად გადასულა **ქა** მარცვლად, ხოლო ინლაუტის **ე** ხმოვანი – **ა** ხმოვნად (შდრ.: ქართ. **ქერ-ი** > აფხაზ. **ა-ქარ**, პირსახელი **ქეთო** > აფხაზ. **ქათა**...);

ქართ. **კოდორ-ი**, აფხაზ. **კუდრჳ** – მდინარე ოჩამჩირისა და გ'ულრიფშის რაიონების საზღვარზე. ეტიმოლოგია დადგენილი არ არის, თუმცა სიტყვა აფხაზური წარმომავლობისა არ ჩანს. აფხაზური ფორმიდან მოსალოდნელი იყო ქართულში მიგვეღო ***კუდრ-ი** ფორმა, რაც არცერთ წყაროში არ დასტურდება. სამაგიეროდ, ქართული ვარიანტის პირველადობას ადასტურებს ფონოტაქტიკა: **კო** მარცვალი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, კანონზომიერად იძლევა აფხაზურ **კა** მარცვალს; **დო** მარცვალი არაბუნებრივია აფხაზურისათვის და ძველ ნასესხობებში **და** > **დჳ** უნდა მოეცა (შდრ. მეგრ. **დოლო** "მდელო, მინდორი" > აფხაზ. ***ა-დლა** > აფხაზ. **ა-დლჳ**...), აქ კი მხოლოდ სადა **დ** თანხმოვანი დარჩა, რაც სესხების სიახლეზე მიუთითებს; ქართული ენის სახელობითი ბრუნვის **-ი** სუფიქსი გადასულია ნეიტრალურ ხმოვანში;

ქართ. **ვარჩა**, აფხაზ. **უარჩა** – სოფელი გ'ულრიფშის რაიონში. ქართული ვარიანტი ნამდვილად მომდინარეობს აფხაზური სახეობისაგან, მაგრამ ეს ს'ულაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზური ფორმა პირველადი იყოს. ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს ზემოთ უკვე ხსენებული მეგრული **ოჩე** სახელის **ორჩე** ვარიანტი, რომელშიც ფუძეში სონორ ბგერათა ჩართვის მეგრულისათვის დამახასიათებელი ტენდენცია ვლინდება. მეგრული **ორჩე** ფორმისაგან აფხაზ'ური სახეობა მიღებ'ულია შემდეგნაირად: თავკიდ'ურა **ო** ხმოვანი დაშლილია **უა** კომპლექსად (იხ. ზემოთ), ხოლო ბოლოკიდ'ურა **ე** ხმოვანი კანონზომიერად გადას'ულა **ა** ხმოვანში. ამის გამო ქართულად უნდა იწერებო-

დეს და გამოითქმოდეს არა ნააფხაზარი **ვარჩა** სახელი, არამედ მართებული **ორჩე** ფორმა;

ქართ. **ბესლეთ-ი**, აფხაზ. **ბასლათა** – სოფელი სოხუმის რაიონში. ჩვენი აზრით, პირველადია ქართული სახელწოდება. მას საფუძვლად პირსახელი **ბესელ-ი** უნდა ედოს (შდრ. გვარსახელი **ბესელ-ია**), რომელსაც ერთვის ქართული მატოპონიმებელი **-ეთ** სუფიქსი. აფხაზურ ფორმაში ქართული **ე** ხმოვნები წესისამებრ შეცვლილია **ა** ხმოვნებით. აფხაზურსავე ვარიანტს ბოლოში დართული აქვს **ა** ხმოვანი, რომელიც გადააზრიანებულია როგორც აფხაზური მატოპონიმებელი **-თა** სუფიქსის ნაწილი. პირუკუ სესხების შემთხვევაში ქართულში **ბასლათა** უნდა გექონოდა, რაც წყაროებში არ დასტურდება...

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული სამ ათეულამდე "ორენოვანი" ტოპონიმიდან ყველა ქართული სამწიგნობრო ენიდან, ან მეგრული დიალექტიდანაა შესული აფხაზურ ენაში. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა სიტყვათსესხების ფონეტიკური კანონზომიერებანიც და ამ ჯგუფის მრავალი სახელის გამჭვირვალე ქართველური ეტიმოლოგიაც. მაშინაც კი, როცა სიტყვის ეტიმოლოგია დაჩრდილულია, სესხების მიმართულებას გვირკვევს სიტყვათა ფონეტიკური ადაპტაციის წესები, რომლებიც უტყუარი მარკერია სესხების მიმართულებისა. ვფიქრობთ, ეს გეოგრაფიული სახელები უნდა მიეკუთვნოს აფხაზურ ენაში არსებულ ქართველურ სუბსტრატულ ფენას.

§ 9. ნათესაობის სისტემები აფხაზურ-აბაზური ენობრივი მონაცემების მიხედვით

ამჟამად აფხაზურ-აბაზურში ნათესაობის აღმნიშვნელი მრავალი სახელი გამოიყენება, რომელთა უმრავლესობა საკუთრივ აფხაზურ-აბაზური წარმოშობისაა, მცირე ნაწილი კი ნასესხებია სხვა ენებიდან.

ნათესაობის ლექსიკაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა წარმოდგენათა და მიმართებათა საფუძველზეა აგებული აფხაზ-აბაზური ნათესაო-

ბის ტერმინოლოგია. ამ საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ქ. ლომთათიძემ[359]. მკვლევრის დასკვნით, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ენობრივი მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ **აფხაზურ-აბაზურში ღვიძლი ნათესაობის გამოსახატავად, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება ხორცის, ტყავის, კანის, თესლის, კვალის, ფეხის, გულის, ღვიძლისა და მსგავს სიტყვათაგან მომდინარე ფუძეები, ხოლო ნათესაობის განსაზღვრა სისხლის მიხედვით გვიანდელია არა მარტო აფხაზურ-აბაზურში, არამედ ქართველურ ენობრივ ქვესისტემებსა და სხვა მონათესავე ენებში.**

სამწუხაროდ, ეთნოლოგები ნაკლებად იცნობენ ქ. ლომთათიძის დასახელებულ კლასიკურ გამოკვლევას, არადა მასში საფუძვლიანადაა გაანალიზებული ეთნოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენ აქ არ გავიმეორებთ მეცნიერის მიერ განხილულ პრობლემებს. ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ აფხაზურსა და აბაზურში არსებული ღვიძლი და შეძენილი ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია და ვცადოთ იმ შეხედულებათა სისტემის აღდგენა, რომელიც ამჟამად უკვე მნიშვნელოვნადაა ტრანსფორმირებული, მაგრამ მისი ანარეკლი ჯერ კიდევ მკაფიოდ არის ასახული ენაში.

ღვიძლი ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთა სისტემა. აფხაზურსა და აბაზურში ღვიძლი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების უმრავლესობა საზიაროა და მათ შორის სხვაობას მხოლოდ მცირე ფონეტიკური და სემანტიკური ნიუანსები ქმნიან. აქვე ისიც უნდა დავაზუსტოთ, რომ ლექსიკის ეს ქვეჯგუფი ძირითადად რთულფუძიანი სახელებისაგან შედგება. ეს რთულფუძიანი ტერმინები მიღებულია ერთზე მეტი მარტივი ფუძის შერწყმის (კომპოზიციის), ან მარტივ ფუძეზე სხვადასხვა ფუნქციის მქონე აფიქსთა დართვის (წარმოქმნის) გზით. ამ კონტექსტში რთულფუძიან სახელწოდებათა სიმრავლე ფრიად საყურადღებოა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მარ-

[359] ქ. ლომთათიძე. ნათესაური ურთიერთობის განსაზღვრის საფუძველი ენობრივ მონაცემთა მიხედვით (საკითხის დასმის წესით). – "მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია", № 3, 1983.

ტივფუძიანი სიტყვები უფრო ძველია ხოლმე, ვიდრე რთულფუძიანები, რის გამოც იშლება პერსპექტივა ნათესაობის ამ ქვესახეობის ტერმინთა არქაული, უფრო მარტივი სისტემის აღდგენისა.

მშობლების აღსანიშნავად აფხაზურსა და აბაზურში **არ არსებობს განმაზოგადებელი სახელი** (შდრ. ქართული **მშობელ-ი**). ამ სემანტიკით აფხაზურში ამჟამად გამოიყენება **ა-ხშარა** "შობა, დაბადება, გაჩენა" ზმნის ინფინიტური ფორმები **უზხშაზ // ბზხშაზ** "ვინც შენ (მამაკ., ქალი) გშობა", **ჰაზხშაზ** "ვინც ჩვენ გვშობა", აგრეთვე აფხაზ. **ა-ხქლწრა** (< აბაზ. **ჯლწრა**) "გამოსვლა; წარმომავლობა; შობა" ზმნის ინფინიტური **ჰაზხქლწჷზ** "ვინც ჩვენ გვშვა" ფორმა. **უზხშაზ // ბზხშაზ, ჰაზხშაზ, ჰაზხქლწჷზ** ფორმები ვერ ჩაითვლება არქაულ ტერმინებად (საერთოდ, ისინი ტერმინებიც კი არ არის), ვინაიდან არა აქვთ აბსტრაქტული გაგება და მეტად კონკრეტიზებული სემანტიკა შერჩენიათ, გარდა ამისა, მათ არა აქვთ დაკარგული ამოსავალი ზმნური ფორმა და **აგებული არიან კლასოვან-პიროვანი უღვლილების პრინციპების საფუძველზე.** კლასოვან-პიროვან უღვლილებას კი არა მარტო აფხაზურ-აბაზურში, არამედ ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში წინ უძღოდა უფრო არქაული კლასოვანი უღვლილება. ეს იმას ნიშნავს, რომ **განსახილველი ფორმები არ არსებობდა კლასოვან-პიროვანი უღვლილების სისტემის ჩამოყალიბებამდე.**

მშობლებს აღნიშნავს აგრეთვე შესიტყვება **ანი აბი** (აფხაზ.) და კომპოზიტი **ანჷ-აბა** (აბაზ.) "დედა [და] მამა", რაც არ არის დამოუკიდებელი ტერმინები და სიძველითაც არ გამოირჩევა (შედგება დედისა და მამის აღმნიშვნელი სიტყვების ფონეტიკურად გვიან ცვლილი ფუძეებისაგან). რაც მთავარია, აფხაზური და აბაზური ვარიანტები აგებულია სხვადასხვა პრინციპის გამოყენებით: აფხაზურში ფუძეები დაკავშირებულია **-ი** "და" მაკავშირებელი ელემენტით, ხოლო აბაზურში საქმე გვაქვს უკავშირო შეერთებასთან, რაც იმის მაუწყებელია, რომ

ორიეე ფორმა ჩამოყალიბებულა აფხაზურ-აბაზური ენობრივი კონტინუუმის დაშლის მერე.

დედა აფხაზურში აღინიშნება **ან** სიტყვით, აბაზურში კი წარმოდგენილია **ანა** ვარიანტი. ერთი შეხედვით შეიძლება ვინმეს აბაზური ფორმა თურქულიდან, ან ყარაჩაულ-ბალყარულიდან ნასესხებად მოეჩვენოს, რადგან იგი ფონემატური აგებულებით სრულად ემთხვევა თურქულ და ყარაჩაულ-ბალყარულ **ანა** "დედა" სიტყვას, მაგრამ ეს მხოლოდ მორჩენებითი მსგავსებაა. რეალურად აფხაზურ-აბაზური ფორმების ისტორია სულ სხვაგვარია:

ქ. ლომთათიძემ დაადგინა, რომ დედის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური ვარიანტები სულაც არ არის მარტივი ფუძეები. მრავლობით რიცხვში აღდგება ფუძის ბოლოკიდური **ა** ხმოვანი, რომელიც მხოლობითის ფორმაში მოკვეცილია: აფხაზ. **ანა-ცა** // აბაზ. **ანა-ჩა** "დედები". გარდა ამისა, აბეუურ, ბზიფურ და აშხარულ დიალექტებში დასტურდება ცხოველის დედის აღმნიშვნელი **აჲნ** ფორმა, ტაპანთურში კი **ჲან** ვარიანტი. ამ რეალურ მონაცემთა გათვალისწინებით გამოირიცხება დედის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური ტერმინის ნასესხობა სხვა ენებიდან და იქმნება საფუძველი სხვაგვარი ახსნისათვის. კერძოდ, ქ. ლომთათიძემ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ნაოესაობის აღმნიშვნელ სხვა ტერმინებშიც ხშირად არის წარმოდგენილი საურთიერთო კატეგორიის **აჲ-** < ***ჲა-** პრეფიქსი, რის საფუძველზეც მკვლევარმა დედის სახელწოდებაშიც არგუმენტირებულად ივარაუდა იმავე პრეფიქსის არსებობა[360].

მაშადამე, დედის აღმნიშვნელი ტერმინის ძირად აღდგება **ნა** ძირი. ეს ძირი მრავლობითი რიცხვის ფორმების პარალელურად რეალურად დასტურდება აფხაზურ-აბაზურ **ნან** ფორმაშიც, რომელიც იგივეა, რაც საერთო იბერიულ-კავკასიური **ნანა** "დედა" სიტყვა. **ნან** ფორმა აფხაზურ-აბაზურში მაშინ იხმარება, როცა დედა მიმართავს შვილს, ან ასაკით უფროსი ქა-

---

360 ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I..., გვ. 83-85.

ლი – უმცროს ადამიანს. მაგალითად: **ნან დუკუხმაააიტ!** "დედა შემოგევლოს!" იგივე **ნან** ფუძე წარმოდგენილია შემდეგ სიტყვებშიც: ბებიის აღმნიშვნელი **ნანდუ < ნან** "დედა" + **დუ** "დიდი" (შდრ. ქართ. **დიდი დედა > დიდედა**); ბებიისადმი ალერსობითი მიმართვის **ნანუ** ფორმა; ბავშვების აღტაცების შორისდებული **ნანჯარა** "დილილმე!"; ფუტკრის მფარველი ქალღვთაების სახელი **ანანა-გუნდა**...

მამა აფხაზურად არის **აბ**, აბაზურად კი – **აბა**. ქ. ლომთათიძემ დაასაბუთა, რომ ეს ვარიანტებიც შეიცავდა საურთიერთო კატეგორიის ***ჲა- > აჲ-** პრეფიქსს, ხოლო ძირია **ბა**[361]. იგივე **ბა** ძირი გაორკეცებული **ბაბა** სახითაც გეხვდება აფხაზურში როგორც დამოუკიდებელ სიტყვად, ისე ბაბუისადმი მიმართვის **ბაბადუ** "ბაბუ" (ზედმიწ.: "დიდი მამა") ფორმის შემადგენლობაში. შდრ.: აფხაზ. **აბდუ**, აბაზ. **აბადუ** "ბაბუა, პაპა" (ზედმიწ.: "დიდი მამა").

შეუძლებელია აფხაზურ-აბაზურმა **ბაბა** სიტყვამ არ მოგვაგონოს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (მეგრულში, იმერულში, გურულში) გავრცელებული მამის აღმნიშვნელი **ბაბა, ბაბა-ია** ფორმები, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ საქმე სესხებასთან კი არა, საზიარო ფუძესთან უნდა გვქონდეს.

XVIII საუკუნის მიწურულს ი. გიულდენშტედტს მამის აღმნიშვნელ აბაზურ სახელად **საბა** ფორმა აქვს მოყვანილი, რაც "მამაჩემს" ნიშნავს: **აბა** "მამა" სახელს დართული აქვს პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი **ს-** პრეფიქსი. ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ი. ჯაჯახიშვილმა, რომელიც წერდა:

"გერმ. მეცნიერს რომ უკითხავს, თუ როგორ ითქმის აბხაზურად[362] **"მამავ!"**, ცხადია, მისთვის უპასუხნიათ **საბა**. ის გარემოება, რომ **"მამა ჩემო"**-ს აღმნიშვნელი ფორმა ყოფილა დასახელებული, **ცხადჰყოფს, რომ აბხაზურში ჩვეულებრივი მოსაუბრისათ-**

---

[361] იქვე, გვ. 84-85.

[362] ი. გიულდენშტედტიცა და ი. ჯაჯახიშვილიც აბაზურ მეტყველებას აფხაზურად მიიჩნევდნენ.

ვის მამა ცალკეულად და განყენებულად კი არ არსებობდა, არა-მედ იყო ან ჩემი მამა, ან შენი მამა, ან მისი მამა და სხვ.

ამგვარად, კუთვნილებითი ნაცვალსახელების ასეთი თავ-სართები სიტყვასთან იმდენად შეზრდილი ყოფილა, რომ სა-განგებოდ განუსწავლელ ადამიანს, როგორც ჩანს, მათი ჩამო-ცილება ფიქრადაც არ მოსდიოდა. ამ და ამის მსგავს გარემო-ებას კავკასიის ენების სიტყვათა ეტიმოლოგიის ძიების დროს უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს და ყოველთვის მისი შე-საძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს"[363].

მახვილგონივრულად შემჩნეული ფაქტია! მართლაც, აფხაზ-აბაზებისათვის დედ-მამის აღმნიშვნელი სიტყვები განყენებუ-ლად დღესაც კი არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ანდაზებს, რომლებშიც ეს სახელები კუთვნილების ფორმით თითქმის არ დასტურდება.

არანაკლებ საყურადღებოა ისიც, რომ ამჟამად შვილი დე-დას, ან მამას განყენებული, ზოგადი **ან, აბ** სიტყვებით კი არ მიმართავს, არამედ პირველი პირის მხოლობითი რიცხვის, ან – უფრო ხშირად – მრავლობითი რიცხვის პირველი პირის კუთვნილებითი ფორმებით: **ს-ან** "დედაჩემო", **ჰ-ან** "დედაჩვენო", **ს-აბ** "მამაჩემო", **ჰ-აბ** "მამაჩვენო". აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ **მრავლობითი რიცხვის ფორმა უფრო განზოგადებულია** და მი-სი გამოყენება არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ მოსაუბრე თავისი და-ძმების სახელითაც მიმართავს მშობელს.

და-ძმის აღმნიშვნელ ფუძეებში გამოყოფენ არქაული ფორ-მით წარმოდგენილ საურთიერთო კატეგორიის **ჲა-** (აფხაზ.) > **ა-** (აბაზ.) პრეფიქსს: აფხაზ. **ა-ჲა-შა** // აბაზ. **ა-შა** "ძმა", აფხაზ. **ა-ჲა-ჰშა** // აბაზ. **ა-ხშა** "და". ამ 4 ვარიანტიდან უფრო ძველად აფხაზური ფორმები მიიჩნევა, აბაზურ ვარიანტებში კი მომ-ხდარია ფონეტიკური ცვლილებები: **ჲა-** პრეფიქსიდან დარჩენი-ლია მხოლოდ **ა** ხმოვანი, ხოლო დის აღმნიშვნელ ფუძეში

---

[363] ი. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბ., 1937, გვ. 24-25 (ხაზგასმა ი. ჯავახიშვილი-საა – თ.გ.).

ლაბიალიზებული ჰ თანხმოვანს ჯერ განუცდია დელაბიალიზაცია, რაც უცხო არ არის ამ ენებისათვის, შემდგომ კი ჰ თანხმოვანი შეცვლილა ხ თანხმოვნით.

როგორც სპეციალისტები სამართლიანად ფიქრობენ, და-ძმის აღმნიშვნელ ფუძეებს საზიარო შა ძირი აქვთ, ხოლო დის სახელწოდებაში წარმოდგენილი ჰ ელემენტი ქალის აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომელიც სხვა ფუძეებშიც მეორდება ხან ლაბიალიზებული ჰ-ს, ხან კი დელაბიალიზებული ჰ-ს სახით (შდრ.: ა-ფჰ̄ჯს "ქალი; ცოლი", მრ. რ. ა-ჰ̄სა "ქალები; ცოლები", ა-ფჰ̄ა "ასული").

ამრიგად, ზემოთ მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, უეჭველად აღდგება და-ძმის აღსანიშნავი განმაზოგადებელი *ჲა-შა ფუძე. შეიძლებოდა, გვეფიქრა, რომ *ჲა-შა ფუძე გამოიყენებოდა ზოგადად დედმამიშვილის სქესის მიხედვით გაუდიფერენცირებელ სახელად. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მონათესავე ენების მონაცემებს, მაშინ საკითხი შეიძლება სხვაგვარადაც გადაწყდეს. მაგალითად, ხუნძურ ენაში, სადაც გრამატიკული კლასის მარკირების სისტემა შედარებით კარგადაა შემონახული, და-ძმას საზიარო ც ძირი აღნიშნავს, ოღონდ ძმის სახელწოდებას წინ ერთვის მამაკაცის გრამატიკული კლასის ამჟამადაც მოქმედი ვ- პრეფიქსი თანმხლები ა ხმოვნითურთ, ხოლო დის სახელწოდებას დართული აქვს ქალის გრამატიკული კლასის დ- პრეფიქსი თანმხლები ა ხმოვნითურთ: ვ-ა-ც "ძმა" – დ-ა-ც "და", შდრ.: ხუნძ. ვ-ა-ს "ვაჟი, ძე" – დ-ა-ს "ასული"... ამის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ აფხაზურ-აბაზური არქაული *ჲა-შა ფუძე შეიცავს არა საურთიერთო კატეგორიის ჲა- პრეფიქსს, როგორც ამას ქ. ლომთათიძე ვარაუდობდა[364], არამედ **ფუძეს მიხორცებულ წარმოშობით ნივთის გრამატიკული კლასის მოგვიანებით ფუნქციაცვლილ ქალის გრამატიკული კლასის საერთოკავკასიურ დ- პრეფიქსს**

[364] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I... გვ. 84-85.

თანმხლები ა ხმოვნითურთ. შესაბამისად, ამოსაყალი *ჲა-შა ფუძე ასე უნდა იშლებოდეს: *ჲ-ა-შა, ხოლო მისი თავდაპირველი სემანტიკა დის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო. ამგვარი ვარაუდისათვის დაბრკოლებას არ უნდა ქმნიდეს ის ფაქტი, რომ ამჟამად ჲ- პრეფიქსი აფხაზურ-აბაზურში პოლიფუნქციურია და ზმნის უღელილების სისტემაშიც და პირ-კლასის ნაცვალსახელებშიც ასრულებს მხოლობითი რიცხვის მესამე პირის მამაკაცისა და ნიეთის კლასების, აგრეთვე მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ექსპონენტთა ფუნქციას. პირიქით, სწორედ ეს პოლიფუნქციურობა მიგვანიშნებს ჲ- პრეფიქსის მიერ თავისი თავდაპირველი დანიშნულების დაკარგვისა და ახალი ფუნქციის შეძენის შესახებ. საკითხის ისტორიისათვის უპრიანია დავიმოწმოთ არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი გრამატიკული კლასის საერთო იბერიულ-კავკასიური ჲ- ექსპონენტის თავდაპირველი და მოგვიანო ფუნქციის შესახებ:

"ამჟამად ჲ- კლასი (ჯ- კლასთან ერთად) ადამიანის კატეგორიისად მიგვაჩნია, გაგებული გვაქვს როგორც სქესის მიხედვით გარჩეული ჯგუფი ადამიანისა. ეს არის ახლებურად გააზრება (რეინტერპრეტაცია) ძველი ვითარებისა. ეს ძ ვ ე ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა ცხადყოფს, რომ "ქ ა ლ ი" მ ო ქ ც ე უ ლ ი ი ყ ო ნ ი ე თ ი ს კ ლ ა ს ი ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი, მეტწილად დ- კლასის სახელებში, და დ- ნიშნის ფონეტიკური ვარიანტი ჲ თან მოჰყვა ქალს, როცა მეორე გრამატიკულ კლასად იქნა გააზრებული"[365].

მეცნიერის ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, ვრცელდება აფხაზურ-აბაზურ სისტემაზეც, სადაც უპირატესად შეცვლილი ფუნქციითაა წარმოდგენილი გრამატიკული კლასის საერთო იბერიულ-კავკასიური ექსპონენტები: ჳ- (იყო და არის მამაკაცის კლასის ნიშანი), ბ- (იყო ნიეთის კლასის ნიშანი, არის ქა-

---

[365] არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1979, გვ. 111. აეტორის შეხედულებით, კლასის ნიშანთა ფონეტიკური ცვლა ასე წარმოიდგინება: დ- > რ- > ჲ.

ლის კლასის ნიშანი), ბ- (იყო ნივთის კლასის ნიშნის ფონეტიკური ვარიანტი, არის ნივთისა და მამაკაცის კლასის ნიშანი), დ- (იყო ნივთის კლასის ნიშანი, არის ადამიანის კლასის ნიშანი), რ- (იყო ნივთის კლასის ნიშნის ფონეტიკური ვარიანტი, არის III პირის მრ.რ. ნიშანი) > ლ- (ქალის კლ.).

ამ მონაცემთა გათვალისწინება უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ: და-ძმის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური *ბა-შა ფუძე თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ დას და მის პარალელურად ენაში არსებობდა ამჟამად დაკარგული ძმის აღმნიშვნელი *ჳა-შა კორელატი, ხოლო შა ძირი დედმამიშვილის აღმნიშვნელი საზოგადო ერთეული იყო და იგი მატერიალურადაც უკავშირდება მრავალი იბერიულ-კავკასიური ენის შესაბამის ძირებს.

ეს ვარაუდი გამორიცხავს და-ძმის სახელწოდებათა შა ძირის მატერიალურ კავშირს სისხლის აღმნიშვნელ აფხაზურ-აბაზურ შა ძირთან (შდრ. აფხაზ. ა-შა // აბაზ. შა "სისხლი"), რასაც ვარაუდობდნენ პ. უსლარი, პ. ჭარაია, ა. დირი, ი. მესაროში, ჟ. დიუმეზილი და სხვანი. ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გარდა, და-ძმისა და სისხლის აღმნიშვნელ სახელთა მატერიალურ კავშირს გამორიცხავს ქ. ლომთათიძის მიერ დასაბუთებული ფაქტი, რომ აფხაზურ-აბაზურსა და მონაოესავე ენებში ნათესაობის განსაზღვრა სისხლისმიერობის ნიშნით ახალია[366].

შვილის განყენებულ სახელწოდებად გამოიყენება აბაზ. ჯშა // აფხაზ. ა-ხშარა და აფხაზ. ა-ხჳლწ ფორმები, რომელთაგანაც აბაზური ჯშა და აფხაზური ხჳლწ ფუძეები მიმღეობებია და მთლიანად ემთხვევა შობის, გაჩენის აღმნიშვნელი ჯშა-რა და ა-ხჳლწ-რა ზმნების ფუძეებს. როგორც ქ. ლომთათიძემ დაადგინა, ამ ტიპის მიმღეობები, რომლებსაც არ ერთვის სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები, უძველესი ფორმაციისაა[367]. გა-

---

[366] ქ. ლომთათიძე. ნათესაური ურთიერთობის განსაზღვრის საფუძველი ენობრივ მონაცემთა მიხედვით... გვ. 135 და შემდგ.

[367] ქ. ლომთათიძე. ზოგი არაპროდუქტიული აბაზურ-აფხაზური მიმღეობა და მათი უბიჯურ-ადიღური პარალელების საკითხი. – "საიუბილეო კრებული არნოლდ ჩიქობავას". თბ., 1979, გვ. 216-223.

ცილებით უფრო ახალი ჩანს აფხაზური **ა-ხშარა**, რომელიც აბაზურში შემორჩენილი **ჯშა** ფუძისაგანაა მიღებული მასდარისა და აბსტრაქტულობის **-რა** სუფიქსის დართვით.

წვრილფეხობის, მრავალი მცირეწლოვანი შვილის აღმნიშვნელია აფხაზური **ა-წაკრა** სახელი, რომელშიც **წა-** "ქვეშ, ძირს" მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებულია, **კ** "დაჭერა, დაკავება" ზმნის ძირი, ხოლო **-რა** – მასდარის, აბსტრაქტულობისა და კრებითობის მაწარმოებელი სუფიქსი.

ასულისა და ძის სახელწოდებებიც საერთო აფხაზურ-აბაზურია: აფხაზ. **ა-ფა** // აბაზ. **ფა** "ძმა", აფხაზ. **ა-ფჰა** // აბაზ. **ფჰა** "ასული". **ფა** და **ფჰა** ფუძეები მატერიალურად ერთია, ოღონდ ასულის აღმნიშვნელ ფუძეში ჩართულია **ჰ** ელემენტი, რომელიც, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, ქალის აღმნიშვნელი უნდა იყოს და უნდა უკავშირდებოდეს დის აღმნიშვნელ ფუძეში წარმოდგენილ **ჲ** ელემენტს (იხ. ზემოთ). ეს მოსაზრება მისაღებია, ოღონდ სარკვევია, თუ რატომ არ მივიღეთ **ჲ** ელემენტისაგან **ხ** ვარიანტი აბაზურში, სადაც დის აღმნიშვნელ ფუძეში სწორედ ასეთი ცვლილება მოხდა (შდრ.: აფხაზ. **ა-ჲაჲშა** და აბაზ. **ახშა** "და"). როგორც ჩანს, აბაზურმა შემოინახა **ჲ** თანხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგად მიღებული **ჰ** თანხმოვანი და არ შეცვალა იგი **ხ** ბგერით, როგორც ეს მოხდა დის აღმნიშვნელ სიტყვაში. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ აბაზურში დისა და ასულის აღმნიშვნელ ფუძეებში **ჲ** ბგერის დელაბიალიზაცია ეროდროულად არ მომხდარა: ეს ცვლილება უდრო ადრე განიცადა დის სახელწოდებამ, რომელმაც მოასწრო კიდევ ერთი ფონეტიკური ცვლილების განცდა, ხოლო ასულის სახელწოდებამ უფრო მოგვიანებით განიცადა ცვლილების პირველი ეტაპი და აღარ გაუგრძელებია იგი.

ასულისა და ძის აღმნიშვნელ ფუძეთა ურთიერთშედარება სრულ საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ **თავდაპირველად ენაში არსებობდა ერთადერთი განყენებული ფუძე ფა, რომელიც არ ასხვავებდა შვილებს სქესის მიხედვით და აღნიშნავდა ზოგადად შთამომავალს, შვილს**. ეფიქრობთ, სწორედ ეს

ფა ფუძე უსწრებდა ქრონოლოგიურად შვილის განყენებულ სახელწოდებებად ამჟამად ხმარებულ აბაზ. ჯშა // აფხაზ. ახშარა და აფხაზ. აჰლწ ფორმებს, რაზეც უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელი 3 ვარიანტიდან არცერთი არ არის ყველა აფხაზურ-აბაზური დიალექტისათვის საზიარო. მაშასადამე, გამოდის, რომ შვილის განყენებულ სახელწოდებად წინარე აფხაზურ-აბაზურ ენაში სწორედ ფა ფუძე იხმარებოდა, დანარჩენი 3 სახელი კი აფხაზურ-აბაზური ენობრივი კონტინუუმის დაშლის შემდეგ შექმნილა და ამ დროს გამოყენებულა მიმღეობათა წარმოების თავდაპირველი მოდელი.

ერთი დედ-მამის შვილთა აღსანიშნავად აფხაზურსა და აბაზურში გამოიყენება ზოგი ფრაზეოლოგიზმი და მყარი შესიტყვებაც. მაგალითად, აფხაზები ცალ-ცალკე მცხოვრები, გაყრილი ღვიძლი ძმების შესახებ იტყვიან: **ურთ არხნჷშნა // აჯასთდა ეჳჷზშაზ როუპ** "ისინი ერთი კერიის ჯაჭვის // ერთი მუგუზლის გამყოფნი არიან", ანუ "ისინი ღვიძლი ძმები არიან".

ღვიძლ და-ძმას აღნიშნავს შემდეგი შესიტყვებებიც: **ართ ანხშეი-აბხშეი როუპ** "ესენი ერთი დედ-მამის ნაშობნი არიან"; **ურთ კტაცაკ ილწიტ** "ისინი ერთი კვერცხის ნაჭუჭიდან გამოიჩეკნენ", აბაზ. **კკაკ აცჳზაზ აშაჭა // ახშაჭა** "ძმები // დები, რომლებიც ერთ ძუძუს ერთად წოვდნენ" და ა.შ.

სასახელო, ან იმედისმომცემ ვაჟს აფხაზური **აწჷ** სიტყვა აღნიშნავს, რომელიც მეგრულიდან შეთვისებული **წიე** "ბიჭი" სიტყვისგან მომდინარეობს. იმავე სახელის აბაზ. **წაჲ** ვარიანტი გამოიყენება შვილის ზოგად სახელად: **სარა სწაჲ** "ჩემი შვილი".

ცალკე უნდა აღინიშნოს აფხაზ. **დად** // აბაზ. **დადა** სიტყვის შესახებ. აფხაზური ვარიანტი იხმარება მაშინ, როცა ხანდაზმული მამაკაცი მიმართავს ახალგაზრდას, ან ახალგაზრდები მიმართავენ ბერიკაცს. თუ ახალგაზრდა ადრესატები ერთზე მეტნი არიან, ბერიკაცი იყენებს კრებითი მრავლობითის **დად-რაა** ფორმას. აბაზურში **დადა** სიტყვა ბავშვთა მეტყველებაში გამოიყენება და "მამა"-საც ნიშნავს და "ბაბუა"-საც. ეს ფუძე საერთო იბერიულ-კავკასიურია.

შვილიშვილის აღმნიშვნელად აფხაზურსა და აბაზურს არ მოეპოვებათ აფხაზურ-აბაზური წარმოშობის განმასხვავებელი სახელწოდება. გამოიყენება რთული აგებულების აღწერითი ფორმები, რომლებშიც დეტალიზებულია, თუ ვინ არის აღსანიშნი: ძის ძე, ძის ასული, ასულის ძე, თუ ასულის ასული. შესაბამისად, დასტურდება ფორმები: აფხაზ. **ა-ფეიფა** // აბაზ. **ფაიფა** "ძის ძე", აფხაზ. **ა-ფეიფჭა** // აბაზ. **ფაიფჭა** "ძის ასული", აფხაზ. **ა-ფჭალფა** // აბაზ. **ფჭალფა** "ასულის ძე", აფხაზ. **ა-ფჭალფჭა** // აბაზ. **ფჭალფჭა** "ასულის ასული". ამ სახელწოდებების შუა პოზიციაში წარმოდგენილია მხოლობითი რიცხვის III პირის კუთვნილებითი პრეფიქსები: მამაკაცის კლასის **ი-** და ქალის კლასის **ლ-** თავსართები. ძნელია იმის უარყოფა, რომ ეს აღწერითი ფორმები ძველია, მაგრამ, ვფიქრობთ, ისინი სიძველით მაინც ვერ უნდა უტოლდებოდნენ მარტივფუძიან სახელებს და აი, რატომ: როგორც ზემოთ აღინიშნა, წინარე აფხაზურ-აბაზურში გრამატიკული კლასის ნიშნებს კლასოვანი უღელილების ეტაპზე ამჟამინდელისაგან განსხვავებული ფუნქცია ჰქონდა; შესაბამისად, **ი-** და **ლ-** პრეფიქსების გამოყენება მამაკაცისა და ქალის კლასების ექსპონენტებად შედარებით ახალი მოვლენაა, რის გამოც შვილიშვილის აღმნიშვნელი რთულფუძიანი ტერმინებიც ვერ იქნებოდა ახლანდელი სახისა კლასოვანი უღელილების ეტაპზე.

აბჟუურ დიალექტში საკუთრივ აფხაზურ სახელთა პარალელურად იხმარება მეგრულიდან ნასესხები **აშოთა** "შვილიშვილი" განმაზოგადებელი ტერმინიც.

ბიძის, მამიდისა და დეიდის აღმნიშვნელადაც არ დასტურდება მარტივფუძიანი განმაზოგადებელი ტერმინები. თითოეული ეს ცნება ენაში დანაწევრებულია და გამოიყენება რთულფუძიანი, აღწერითი სახელები, რომელთა ერთი ნაწილი სტრუქტურულად ემთხვევა შესაბამის ქართულ სახელებს, მეორე ნაწილი კი ეთნოლოგიურად მეტად საგულისხმო სურათს წარმოგვიდგენს.

ბიძა დედის ხაზით, ანუ დედისძმა აფხაზურ-აბაზურში აღინიშნება შემდეგი სახელებით: აფხაზ. **ანშა**, აბაზ. **ანშა** და

ფონეტიკურად უფრო ძველი აფხაზ. **ანლაშა,** რომელიც ზედმიწევნით ითარგმნება, როგორც "დედის ძმა" (შდრ. ქართული ენის **დედისძმა**).

ბიძა მამის ხაზით, ე.ი. მამის ძმა აფხაზურში რთულფუძიანი **აბჲაშა** "მამის ძმა" სახელით აღინიშნება, აბაზურში კი **აშა** ვარიანტი დასტურდება, რომელიც მთლიანად ემთხვევა ძმის აღმნიშვნელ **აშა** სიტყვას. აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ აბაზურში საქმე სულაც არა გვაქვს ძმის აღმნიშვნელი სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებასთან, რაც ლოგიკური იქნებოდა. რეალურად აბაზურში მოხდა რთული ფუძის ფონეტიკური ცვეთა, რამაც გამოიწვია მეორეული ომონიმია. ეს რომ ასეა, ამჟვენებს დეიდის აღმნიშვნელი სახელწოდება:

აფხაზურში **დეიდის** ცნება გამოიხატება რთულფუძიანი აღწერითი **ანლაჲშა** "დედის და" სახელით (შდრ. ქართული **დედისდა > დეიდა**), რომლის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია აბაზური **ანხშა,** სადაც ამოვარდნილია **ლა** მარცვალი.

იმავე აფხაზურში **მამიდის** ცნება გადმოიცემა აღწერითი **აბჲაჲშა** "მამის და" სახელით (შდრ. ქართული **მამისდა > მამიდა**), რომლის ფონეტიკური ვარიანტია აბაზური **აბახშა.**

მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა აფხაზურ ენაში შემონახული დედისძმის, მამის ძმისა და მამიდის აღმნიშვნელი სხვა ტერმინები: **ანშადუ** "ბიძა დედის ხაზით" (ზედმიწ.: "დედისძმა დიდი"), **აშადუ** "ბიძა მამის ხაზით" (ზედმიწ.: "დიდი ძმა") და **აჲშადუ** "მამიდა" (ზედმიწ.: "დიდი და"). ამ სახელთა შემადგენლობაში **-დუ** "დიდი" ზედსართავი სახელის ფუძის წარმოდგენა და ამ გზით განსაკუთრებული პატივის მიგება დედისა და მამის ძმების, აგრეთვე მამიდის მიმართ უშუალოდ უკავშირდება ეთნოლოგიურ რეალიებს. კერძოდ:

ცნობილია, რომ არა მარტო აფხაზებსა და აბაზებში, არამედ უკლებლივ ყველა სხვა იბერიულ-კავკასიურ ხალხში დედის ძმას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სანათესაოში. ამ ბოლო დრომდე სწორედ დედისძმას ეკითხებოდნენ ახრს მის დისწულთა ცხოვრებაში მომხდარი ისეთი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული საკითხების მოგვარებისას, როგორიცაა:

ქორწინება, დაკრძალვა, საპატიო სტუმრების მიღება, გაყრა და ქონების გაყოფა, სისხლის აღება... აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ აფხაზები დედისძმისადმი საგანგებო პატივისცემას ვერბალურადაც გამოხატავდნენ, რისი დასტურიცაა აფხაზური ტერმინი **ანშადუ < *ან-ლ-აშა-დუ** "დიდი დედისძმა". ვფიქრობთ, **ეს ენობრივი ფაქტი აფხაზთა შორის მატრიარქატის გადმონაშთების გვიანამდე შემორჩენის მანიშნებელია.** სახელწოდება შექმნილი ჩანს იმ დროს, როცა მატრიარქატი, როგორც სისტემა, უკვე კარგახნის მოშლილი იყო, მაგრამ მისი გადმონაშთები ჯერ კიდევ მძლავრად შეიგრძნობოდა. ამგვარი დასკვნისაკენ გვიბიძგებს ტერმინის შემადგენლობაში ნაგულისხმევი კლასოვან-პიროვანი ულელილებისათვის დამახასიათებელი ნაცვალსახელური პრეფიქსი.

შედარებით უფრო ინოვაციურია მამის ძმისა და მამიდის აღმნიშვნელი ის ვარიანტები, რომლებშიც ცნება **"დიდი"** არის ხაზგასმით გამოხატული. მათაც ეძებნება ახსნა ეთნოლოგიური სინამდვილიდან. საქმე ის არის, რომ აფხაზთა შორის XX საუკუნეშიც კი ხშირი იყო შემთხვევები, როცა მამისეული დიდი ოჯახიდან გამოყოფილი დაცოლშვილებული ვაჟიშვილები სახლდებოდნენ მამისეულ ეზოშივე აგებულ საგანგებო სახლებში (ამჰარა), ყოველდღიური მტკიცე კავშირი ჰქონდათ მამისა და ძმების ოჯახებთან და მათთან ერთად მონაწილეობდნენ როგორც სამეურნეო-ყოფით, ისე რიტუალურ საქმიანობაში[368]. ამდენად მამის ძმის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებაც სრულიად ბუნებრივია.

რაც შეეხება მამიდას, იგი გათხოვებამდე ცხოვრობდა დიდ მამისეულ ოჯახში და მამის ძმის მსგავსად მონაწილეობდა ყველა საოჯახო საქმეში, გათხოვების მერე იგი არ წყვეტდა კავშირს მამისა და ძმების ოჯახებთან, ხოლო მისი ძმისწულებიც, მამის პატრონიმიის წევრებიცა და მოგვარეებიც მას განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ, როგორც თავიანთ სის-

---

[368] აფხაზური დიდი ოჯახისა და პატრონიმიის სპეციფიკის შესახებ ვრცლად იხ: С.И. Бахиа. Абхазская «Абипара» - патронимия (Грузино-абхазские этнографические параллели). Тб., 1986.

ხლსა და ხორცს. ამდენად, ამ შემთხვევაშიც ლოგიკურია მამიდის **"დიდ დად"** ვერბალური მარკირება.

ბიძაშვილის, დეიდაშვილისა და მამიდაშვილის აღსანიშნადაც აღწერითი ფორმები გამოიყენება. შესაბამის სახელწოდებებში პირველ კომპონენტად გამოდის არა "დიდი დედისძმის" ტიპის სახელწოდებანი, არამედ დედისძმის, მამის ძმის, დეიდისა და მამიდის აღმნიშვნელი მეორე ჯგუფის აღწერითი სახელწოდებები; მეორე კომპონენტებად კი გვევლინება კუთვნილების ნაცვალსახელური პრეფიქსებით გაფორმებული ძისა და ასულის აღმნიშვნელი ტერმინები. მაგალითად, აფხაზურ ენაზე "ჩემი ბიძაშვილი ვაჟი მამის მხრიდან" იქნება **საბიაშა იფა**; "ჩემი ბიძაშვილი ქალი მამის მხრიდან" – **საბიაშა ლფა**; "ჩემი ბიძაშვილი ვაჟი დედის მხრიდან" – **სანლაშა იფა**; "ჩემი ბიძაშვილი ქალი დედის მხრიდან" – **სანლაშა ლჳფჰა**; "ჩემი დეიდაშვილი ვაჟი" – **სანლაჰშა ლფა**; "ჩემი დეიდაშვილი ქალი" – **სანლაჰშა ლჳფჰა**; "ჩემი მამიდაშვილი ვაჟი" – **საბიაჰშა ლფა**; "ჩემი მამიდაშვილი ქალი" – **საბიაჰშა ლჳფჰა**. იმავე სახელწოდებათა ფონეტიკური ვარიანტებია წარმოდგენილი აბაზურშიც.

გარდა ზემოთ განხილული საკუთრივ აფხაზურ-აბაზური სახელწოდებებისა, გამოიყენება ქართული და რუსული ენებიდან ნასესხები ნათესაობის ტერმინებიც. მაგალითად, აფხაზური ენის ორივე დიალექტში არა მარტო საკუთარი დედისადმი, არამედ უფროსი ასაკის ქალბატონებისადმი მიმართვის ფორმად იხმარება ქართულიდან შეთვისებული შემდეგი ფორმები: **დიდა, დი, დია**. მათგან **დიდა** ვარიანტი გამოიყენება ქალთა მიერ გაოცების, აღტაცებისა და აღშფოთების გამომხატველ შორისდებულადაც.

განსაკუთრებით ხშირია ქართული წარმოშობის **ბიძია, მამიდა, ამოთა** "შვილიშვილი", **ამოთაშმოთა** "შვილთაშვილი" სიტყვათა გამოყენება აბჟუურ დიალექტში.

როგორც აფხაზთა, ისე აბაზათა მეტყველებაში ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე მოხშირდა შემდეგი რუსიზმების ხმა-

რებაც: აფხაზ. **მამა** // აბაზ. **მჷმა** "დედა", აფხაზ. **პაპა** // აბაზ. **ფაფა** "მამა", **დ'Აად'Აა** "ბიძა", აფხაზ. **ტ'Აოტ'Აა** // აბაზ. **თ'Აოთ'Აა** "დეიდა; ბიცოლა, ძალუა", აფხაზ. **დ'ედუშკა** // აბაზ. **დ'ედუშქა** "ბაბუა, პაპა", აფხაზ. **ბაბუშკა** // აბაზ. **ბაბუშქა** "ბებია, დიდედა". საყურადღებოა, რომ ამ სიტყვებს გამოთქვამენ რუსული ორთოეპიული ნორმების შესაბამისად, თუმცა აფხაზური ენა შედარებით უფრო მეტად ახერხებს, დაიცვას ნასესხები ლექსიკის ფონეტიკური ადაპტირების თავისი ნორმები. მაგალითად, აფხაზურში ქართულის მსგავსად ხდება რუსული ენის **п, т, к** ურუ თანხმოვანთა აბრუპტივიზაცია-გამკეთრება, აბაზურში კი ეს რუსული ფონემები რჩება ფშვინვიერ ბგერებად.

***

ამრიგად, ღვიძლი ნათესაობის ამსახველ აფხაზურ-აბაზურ ტერმინთა ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. ამ ჯგუფის ტერმინთა უმრავლესობა აფხაზურ-აბაზური წარმომავლობის არის და საზიაროა ორივე სამეტყველო ქვესისტემისათვის;

2. არ დასტურდება შინაგანი ქვეცნებების მქონე ნათესაობის ზოგი ცნების აღმნიშვნელი განმაზოგადებელი სახელები, კერძოდ, მარტივფუძიანი ტერმინით არ არის მარკირებული მშობლის, შვილიშვილის, ბიძის ცნებები;

3. ღვიძლი ნათესაობის ტერმინებში ჭარბობს შედარებით ახალი ფორმაციის როულფუძიანი, ერთზე მეტი ფუძის შერწყმით მიღებული აღწერითი სახელწოდებები. ესენია: ბებია-ბაბუის, შვილიშვილთა, ბიძების, დეიდის, მამიდის, ბიძაშვილთა, დეიდაშვილის, მამიდაშვილის აღმნიშვნელი სახელები, რომლებშიც მეორე კომპონენტები გაფორმებულია კუთვნილების ნაცვალსახელური პრეფიქსებით. ერთფუძიან ზოგ რთულ წარმოებაში ფუძეს ერთვის საურთიერთო კატეგორიის **ᲐᲛ-** > **Ა-** პრეფიქსი. ამგვარი სახელები შეიძლება დათარიღდეს კლასოვან-პიროვანი უღელილების ჩამოყალიბების დროით;

4. გამოიყოფა კლასოვანი უღვლილების დროინდელი წარმოების მაგალითებიც (და-ძმის სახელწოდებანი);

5. ზოგი ფუძე ისტორიულად უფრო ფართო, განყენებულ ცნებას აღნიშნავდა, მაგრამ დროთა მანძილზე ამ ფუძეებში სქესის გახაზვის მიზნით ჩაერთო საგანგებო ელემენტები, რამაც წარმოქმნა ტერმინთა სქესის მიხედვით განსხვავებული წყვილები, რომელთა ერთი წევრი ამჟამად უკვე მამრობითი სქესის ადამიანზე მიმნიშნებელი ამოსავალი ფორმაა, წყვილის მეორე, ახალი წევრი კი მდედრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელი გახდა (ამგვარი ცნებითი წყვილებია: **და-ძმა** და **ძე-ასული**);

6. ღვიძლი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების სახელდების პრინციპებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, ვივარაუდოთ, რომ **ამ ტერმინთა სისტემა თავდაპირველად გაცილებით უფრო მარტივი იყო, ვიდრე ამჟამადაა.** ამოსავალ სისტემაში საგანგებო ტერმინებით არ იყო მარკირებული მშობლის ზოგადი ცნება, ბებია-ბაბუის ზოგადი და დაუწერებული ცნებები, შვილიშვილის ზოგადი ცნება და დანაწევრებული ცნებები, ბიძის, დეიდისა და მამიდის, აგრეთვე ბიძაშვილის, დეიდაშვლისა და მამიდაშვილის ცნებები.

ღვიძლი ნათესაობის ამოსავალ სისტემას, როგორც ჩანს, საფუძვლად ედო იმ პიროვნების პოზიცია, რომელსაც ჰყავდა დედა, მამა, დედმამიშვილი (და-ძმა) და შვილი (ძე და ასული), ანუ **მარტივი ფუძეებით ვერბალურად მარკირებული იყო მხოლოდ ცნებები: "დედა", "მამა", "დედმამიშვილი" (სქესის გაუდიფერენცირებლად) და "შვილი" (სქესის გაუდიფერენცირებლად).**[369] შემდგომში ეს მარტივი სისტემა გართულდა, ერთი მხრივ, ცნებათა სქესის მიხედვით დიფერენცირების საფუძველზე და ენამ ეს ასახა ზოგ სახელში სქესის აღმნიშვნელი ელემენტების ჩართვით, მეორე მხრივ კი ცნებები დაიყო უფრო დეტალურ ერთეულებად, რომელთა აღმნიშვნელად ენამ გამოიყენა უკვე არსებული სახელების ერთმანეთთან დაკავშირება სხვადასხვა კომბინაციით.

შეძენილი ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთა სისტემა. შეძენილი ნათესაობის აფხაზურ-აბაზურ ლექსიკაში 3 ძირითადი

---

[369] თვალსაჩინოებისათვის იხ. ცხრილი №1.

ჯგუფი გამოიყოფა: 1. ქორწინებითი ურთიერთობისა; 2. მორდუობა-ძუძუმტეობისა; 3. ქრისტიანული ნათლობისა. ორი უკანასკნელი ჯგუფის გაერთიანებას ნათესაობის ლექსიკაში ის გამართლება აქვს, რომ წარსულში ძუძუმტეობაც და ნათელმირონობაც ნათესაობად გაიგებოდა და შესაბამისი წესების სავალდებულო დაცვას გულისხმობდა: ისევე, როგორც აკრძალული იყო ღვიძლი ნათესავების ერთიმეორეზე დაქორწინება, ძუძუმტეობაცა და ნათელმირონობაც გამორიცხავდა ამ ინსტიტუტების მეშვეობით დაკავშირებული ოჯახების წევრთა ერთმანეთთან ქორწინებით კავშირს. ასეთი რამ სისხლის აღრევად, ე.ი. უმძიმეს დანაშაულად გაიგებოდა. სისხლის აღმრეველები (ა-მაჰაგა) კი უმკაცრესად ისჯებოდნენ: მოიკვეთდნენ გვარიდან, აძევებდნენ სოფლიდან, სიკვდილით სჯიდნენ და მკვდარს უპატიურად მარხავდნენ – თაეს დასავლეთის ნაცელად სამხრეთისაკენ, ან ჩრდილოეთისაკენ უზამდნენ, ანდა პირქვე ჩაგდებდნენ სამარეში.[370]

XX საუკუნის შუა ხანებამდე აფხაზებსა და აბაზებს შორის ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო გვაროვნული და გვარსშიდა (პატრონიმიული) გაერთიანებანი, აგრეთვე ერთზე მეტი დაქორწინებული წყვილებისაგან შემდგარი დიდი ოჯახები. გვარი და პატრონიმია დიდ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ-სოციალურ და სამეურნეო-ყოფით ურთიერთობებში. ქორწინება აკრძალული იყო როგორც პატრონიმიის, ისე გვარის წევრთა შორისაც. იგივე აკრძალვა ვრცელდებოდა იმ გვარებშიც, რომლებიც ერთი წარმოშობისად, ან დაძმობილებულ გვარებად მიიჩნეოდა. მაგალითად, საერთო წარმომავლობის მქონედ ითვლება აფხაზური გვარები **სმჯრ** და **სჯმსჯმ**, **ლეჩბა** და **ადლეჩბა**, **კიუტ** და **ღარწკია**...; დაძმობილებული გვარებია **შამბა** და **ოთჯრბა**, **წჯჯბა** და **აჰ-ბა**...[371]

საზოგადოდ, აფხაზებისათვის დამახასიათებელია მკაცრად დაცული მონოგამიური ქორწინება, ხოლო აბაზებში პოლიგა-

---

[370] Абхазское долгожительство. М., 1987, გვ. 69.

[371] С.И. Бахиа. დასახ. ნაშრ., გვ. 8; Абхазское долгожительство. М., 1987, გვ. 68-69.

მია იშვიათად, მაგრამ მაინც დასაშვები იყო (ერთზე მეტი ცოლის შერთვა ძირითადად შეძლებული ოჯახების წარმომადგენელთა შორის დასტურდებოდა) და ამაში რელიგია ასრულებდა თავის როლს: ისლამი აბაზებში უფრო მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული, ვიდრე აფხაზებში. აფხაზთა და აბაზათა მასა უკვე დაქორწინებული მამაკაცის მიერ სხვა ცოლის შერთვას გმობდა: პირველი ცოლის ოჯახი, პატრონიმია და გვარი ამას მათი გვარის ღირსების შელახვად აღიქვამდა და საქმე უსისხლოდ არ გათავდებოდა. ასევე სისხლის აღებით მთავრდებოდა საქმე მაშინაც, თუ ვაჟი უარს იტყოდა დანიშნული ქალის შერთვაზე.

ქორწინებითი ურთიერთობის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური ლექსიკა, ღვიძლი ნათესაობის ლექსიკის მსგავსად, გარკვეულ სისტემას ქმნის: **თუ ღვიძლი ნათესაობის ლექსიკურ სისტემაში ცენტრალური ფიგურა "მე" არის და ეგოცენტრულია** (ლათინური **ego** "მე" სიტყვისაგან), **ქორწინებითი ურთიერთობის ამსახველი ლექსიკური სისტემის ცენტრში დგას 2 შეწყვილებული პიროვნება – ქალი და მამაკაცი, ცოლ-ქმარი, მეულლეები. შესაბამისად, ყველა ტერმინიც მათდამი ნათესაურ მიმართებას გამოხატავს.**

ქორწინებითი ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკა. დაქორწინება, შეულლება, ერთმანეთის შერთვა აფხაზურსა და აბაზურში ტერმინად ქცეული ეროი და იმავე ზმნის ფონეტიკური ვარიანტებით აღინიშნება: აფხაზ. **ҳəбаgара // >** აბაზ. **ҳбаgара** "ერთმანეთის წაყვანა", რომელშიც **ҳə-бa- // ҳ-бa-** საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის პრეფიქსია, **гa** არის **(ҳ-)гa-ра** "წაყვანა" ზმნის ძირი, ხოლო **-ра** – მასდარის მაწარმოებელი სუფიქსი. "ისინი დაქორწინდნენ" იქნება: აფხაზ. **ҳəбаgəҧт //** აბაზ. **ҳаბაგატ**, რაც ზედმიწევნით ნიშნავს: "მათ ერთმანეთი წაიყვანეს". აქ ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას: იგიეე **гa** ძირი გამოიყენება ვაჟის მიერ ცოლის შერთვის აღმნიშვნელად, მაგრამ ქალის გათხოვება სხვა ზმნით აღინიშნება. იტყვიან: აფხაზ. **ҽҵəсааgара //** აბაზ. **ҽҵсҳаgра** "ცოლის შერ-

თვა" (ზედმიწ.: "ქალის მოყვანა"), აფხაზ. **ფჰ̆ჳს დაააგეიტ** // აბაზ. **ფჰ̆ჳს დმაგაგატ** "ცოლი შეირთო" (ზედმიწ.: "ქალი მოიყვანა"), რაც ზუსტი ანალოგია ქართული გამონათქვამებისა: **ქალის // ცოლის მოყვანა, ქალი // ცოლი მოიყვანა**. აქ ემთხვევა არა მარტო აფხაზურ-აბაზური და ქართული მასალის სემანტიკა, არამედ ფორმათა სტრუქტურაც: ყველგან გამოყენებულია სააქეთო მიმართულების ზმნისწინები. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საქმე კალკირებასთან კი არა, ეთნოფსიქოლოგიის მსგავსებასთან უნდა გვქონდეს.

საგულისხმოა, რომ ტაპანთურ დიალექტში "წაყვანა" ამჟამად სულ სხვა **და-რა** ზმნით გადმოიცემა, რაც ახალი მოვლენაა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო შინაარსს ეს უკანასკნელი ზმნა არ უკავშირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქორწინების აღმნიშვნელად **გარა** ზმნის ძირის გამოყენება უფრო ძველი ვითარების ამსახველია (ამას აფხაზურისა და აშხარული დიალექტის მონაცემებიც ადასტურებს).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინების ზოგად სახელწოდებად "ერთმანეთის წაყვანის" სემანტიკის მქონე **აბაგარა // აბაგარა** ზმნის გამოყენება სულაც არ უნდა იყოს ძალიან დიდი სიძველის ფაქტი. როგორც ზემოთაც ითქვა, აფხაზურ-აბაზურში ქალის გათხოვება სხვაგვარად გამოიხატება: აფხაზ. **ხაწაცარა <** // აბაზ. **ჯაწაცარა** "გათხოვება" (ზედმიწ.: "კაც[თან], ქმარ[თან] წასვლა"), აფხაზ. **ხაწა დცეიტ** // აბაზ. **ჯაწა დცატ** "გათხოვდა" (ზედმიწ.: "კაც[თან], ქმარ[თან] წავიდა"). რაკი აფხაზ-აბაზათა წარმოდგენითაც და რეალურადაც, ქორწინებისას ქალი მიდის მამისეული ოჯახიდან ქმრის ოჯახში და, შესაბამისად, ვაჟს თავის ოჯახში მოჰყავს ცოლი, სემანტიკურად ალოგიკურია **აბაგარა // აბაგარა** "ერთმანეთის წაყვანა" ზმნის გამოყენებაც, ვინაიდან ქალს ქმარი, ჩვეულებრივ, არ მოჰყავს თავის ოჯახში. მაშასადამე, **აბაგარა // აბაგარა** ტერმინი შექმნილი უნდა იყოს აფხაზურ-აბაზური ენობრივი კონტინუუმის დაშლის წინა პერიოდში და მის ახლანდელ სემანტიკას საფუძვლად მამაკაცის პოზიციის გამომხატ-

ველი ტერმინის შემდგომი გადააზრება უდევს.

დაქორწინება, დაოჯახება სხვაგვარადაც აღინიშნება. მაგალითად, აბაზურში როგორც ქალის, ისე მამაკაცის შესახებ ამბობენ: **აჳი უნაჰა დალალტ** "იგი ოჯახს მოეკიდა, დაოჯახდა" (ზედმიწ.: "იგი ოჯახს, ოჯახობას შეერია". აქ გამოყენებული სიტყვა **უნაჰა** "ოჯახი, სახლობა" ყაბარდოულიდანაა ნასესხები). აფხაზები კი იტყვიან: **უი დთააცარახეიტ** "იგი დაოჯახდა" (ზედმიწ.: "იგი ოჯახობად იქცა". შდრ.: **ა-თააცა** "ოჯახი" > **ა-თააცარა** "ოჯახი, ოჯახობა"). ეს აფხაზური შესიტყვება გამოიყენება მხოლოდ ვაჟის დაქორწინების აღმნიშვნელად.

აბაზურში ქალის დაოჯახებას გამოხატავს ფრაზა: **უნაჰა დნაშჳლტ** "დაოჯახდა, გათხოვდა" (ზედმიწ.: "ოჯახობაში შევიდა"). აბაზურშივე წარმოდგენილია ქალის გათხოვების აღმნიშვნელი კიდევ ერთი შესიტყვება: **თაჰა // თჳჰა დცატ** "გათხოვდა" (ზედმიწ.: "ოჯახ[ში] წავიდა"), რომელშიც **თაჰა // თჳჰა** ოჯახს აღნიშნავს და, ქ. ლომთათიძის აზრით, იმავე **თა** ძირის შემცველია, რაც დასტურდება სიტყვებში: აფხაზ. **ა-თააცა // აბაზ. თჳჰა** "ოჯახი, სახლეული", აფხაზ.-აბაზ. **(ა-)თაცა** "რძალი; პატარძალი"[372].

ქალისათვის ხელის თხოვნის მნიშვნელობით აფხაზურში გამოიყენება ტერმინი **აფჰშჰარა**, რომელიც ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "ქალის[თვის] თქმა". ამ ზმნის ტიპური საუღლებელი ფორმებია: **აფჰშს დიჰეიტ** "მან ქალი ითხოვა, ქალს ხელი სთხოვა" (ზედმიწ.: "ქალი თქვა"), **ფჰშსს დიჰეიტ** "ხელი სთხოვა, წინადადება მისცა" (ზედმიწ.: "ქალად, ცოლად თქვა").

იმავე აფხაზურში **ქალის დანიშვნის** აღსანიშნავად გამოიყენება იმავე **ა-ჰარა** ზმნის ე.წ. სასარგებლო ქცევის **ზ-** პრე-

---

372 ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგი საკითხის შესახებ. – ეურნ. "მნათობი", № 12, 1956, გვ. 137.

ფიქსიანი **ა-ზჰარა** სახეობა: **აფჰშს დიზჰოტ** "ქალი დანიშნა" (ზედმიწ.: "ქალი თავისთვის თქვა"). დანიშნული ქალის აღმნიშვნელად დასტურდება ფრაზა, რომელშიც საქმროს პირსახელია გამოყენებული, მაგალითად, **ამრა ასლან დიზჰოუპ** "ამრა ასლანის დანიშნულია" (ზედმიწ.: "ამრა ასლანისთვისაა ნათქვამი, ამრა ასლანისთვისაა დათქმული").

ქალის გათხოვებას აღნიშნავს აგრეთვე აფხაზური **ხაწა დითიიტ** "მან (მამაკ.) იგი გაათხოვა", რომელსაც საყურადღებო სემანტიკური თავისებურება აქვს: აფხაზურში **ა-თიირა** ზმნა ნიშნავს "გაგზავნა"-საც და "გაყიდვა"-საც. აქ რომ გაგზავნა იგულისხმებოდეს, ენას შეეძლო გამოეყენებინა ამ სემანტიკის მქონე არაორაზროვანი **ა-ზღნაშთრა** "ვინმესთვის გაგზავნა" ზმნა. მაშინ გვექნებოდა შესიტყვება **ხაწა დიზნაშთიტ** "მან (მამაკ.) ის კაცს, ქმარს გაუზავნა". მაგრამ რაკი ენამ თავი არ აარიდა ორაზროვნებას და არჩია **ა-თიირა** ზმნა, რომლის ერთერთი მნიშვნელობა "გაყიდვა"-ა, საეარაუდოა, რომ საანალიზო შესიტყვება სწორედ "გაყიდვას" უკავშირდებოდა და ასახავს ქალის ოჯახის მიერ სასიძოსაგან ურვადის მიღების ტრადიციას.

ქორწინებითი ურთიერთობის აღმნიშვნელ ლექსიკაში მთავარი ტერმინებია **ცოლისა და ქმრის სახელწოდებები**: აბჟ. **ა-ხაწა** < // ბზიფ. **ა-ხაწ'ა** < // აშხარ.-ტაპ. **ჯაწა** "ქმარი"; აბჟ. **ა-ფჰშს**, აშხარ.-ტაპ. **ფჰშს** < // ბზიფ. **ა-ფჰშს'** "ცოლი". ორივე ცნების გამომხატველ ტერმინებს სჩვა მნიშვნელობაც აქვთ: ქმრის სახელწოდება ნიშნავს "მამაკაცს; ვაჟკაცს", ხოლო ცოლის სახელწოდება – "ქალს" (შდრ. ქართულის ანალოგია).

მამაკაცისა და ქმრის აღმნიშვნელ სიტყვაში ვ. კონჯარია გამოყოფდა **ჯა > ხა > ხა** "თავი" ძირს და ვარაუდობდა, რომ ეს ტერმინი გამოხატავს მამაკაცის წამყვან როლს პატრიარქალურ ოჯახში[373]. ქალისა და ცოლის აღმნიშვნელ სიტყვაში

---

[373] В.Х. Конджария. Термины родства и семейных отношений в абхазско-абазинских диалектах. – "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული", ტ. II. თბ., 1975, გვ. 110-111.

იგივე **ფ** ელემენტი გამოიყოფა, რაც დასტურდება **(ა-)ფა** "ძე", **(ა-)ფჰა** "ასული", **(ა-)ფჰწბა** < **(ა-)ფჰწსბა** "ქალიშვილი, ქალწული", **(ა-)თწფჰა** "ქალიშვილი, ქალწული", **(ა-)რფწს // (ა-)რფწბა** "ჭაბუკი" სიტყვებში[374]. იქვე გამოიყოფა აგრეთვე ქალის აღმნიშვნელი **ჰ** ელემენტი[375], ხოლო **-ს** < **-ჰ** სიმცირის გამომხატველ სუფიქსად მიიჩნევა[376], რომელიც ოჯახში ქალის დაბალ სოციალურ მდგომარეობაზე მიანიშნებს.

ტრადიციის თანახმად, არც ცოლს და არც ქმარს (აფხაზ. **ხაწჲ-ფჰწსი // აბაზ. ჯაწი-ფჰწსი** "ცოლი და ქმარი") ამუამადაც არა აქვთ უფლება, პირსახელებით მოიხსენიონ მეუღლე. დღესაც კი იშვიათად რომ ვინმემ თქვას **სჷფჰწს** "ჩემი ცოლი", **სხაწა // სჯაწა** "ჩემი ქმარი". საჭიროების შემთხვევაში ცოლ-ქმარი სხვაგვარად, ტაბუირებული ფორმით ახსენებს მეუღლეს. მაგალითად, ისინი ერთმანეთს მხოლოდ **ჭარა** "შენ (მამაკაცო)", **ბარა** "შენ (ქალო)" ნაცვალსახელებით, ანდა შორისდებულებით მიმართავენ.

თუ მამაკაცს სჭირდება სხვასთან მეუღლის ხსენება, იგი იყენებს შემდეგ ვერბალურ საშუალებებს: აფხაზ. **არი // აბაზ. აბარი** "ეს; ეგ", აფხაზ. **უი // აბაზ. აჲი** "ის, იგი", აფხაზ. **აჳნჷ იყოუ** "ვინც სახლში არის, შინ მყოფი", აფხაზ. **სჷფშაფჰწს** "ჩემი მასპინძელი ქალი", აფხაზ. **სთაჯაჯ // აბაზ. სთაჯ** "ჩემი დედაბერი", აფხაზ.-აბაზ. **ჰან ლთაცა** "დედაჩვენის რძალი", აბაზ. **უნაჰანჷწგაჰ** "ოჯახის მტარებელი, ოჯახის წამყვანი", **ჯადჷლა** "თანამეცხედრე" (ზედმიწ.: "თავმიდებული" – იგულისხმება ერთ ბალიშზე თავის დადება), **ჯაფშჷლა(ჰ)** "ზედამხედველი" (ირონიულად) და ა.შ. როგორც ამ მასალიდან ჩანს,

---

[374] В.Х. Конджария. დასახ. ნაშრ., გვ. 111.

[375] ქ. ლომთათიძე. აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტები-თურთ). თბ., 1944, გვ. 56.

[376] ქ. ლომთათიძე. ერთეულის კატეგორია და მისი მაწარმოებლები აფხაზურში. – "ენიმკის მოამბე", ტ. X. თბ., 1941, გვ. 197-207.

ტაბუირებისას ცხადად ჩანს ქალის მიმართ პატივისცემაც და ირონიაც (უკეთ, თვითირონია). ისიც ნათელია, რომ ზოგი ვერბალური საშუალება აფხაზურ-აბაზური კონტინუუმის დაშლამდეა შექმნილი და დღეს ორივე ენაში დასტურდება.

ტაბუირების ასეთსავე საშუალებებს იყენებს ცოლიც. იგი ქმარს მოიხსენიებს შემდეგნაირად: აფხაზ. **სფშმა** "ჩემი მასპინძელი", აფხაზ. **აბგჭა რაბ** "ბავშვების მამა", აფხაზ. **სთაჰმადა** "ჩემი ბერიკაცი", აბაზ. **სლგ(აზ)** "ჩემი ბერიკაცი", **ჰლგ** "ჩვენი ბერიკაცი". ცხადია, რომ ქალის მეტყველება ტაბუირების საშუალებებით უფრო ღარიბია.

როგორც ცნობილია, ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობაში 4 დამოუკიდებელი სიტყვით აღინიშნება ცნებები: **"დედამთილი", "სიდედრი", "მამამთილი"** და **"სიმამრი"**, დიალექტთა ერთ ჯგუფში კი (მეგრულში, ლაზურში, სვანური ჯგუფის დიალექტებში) სულ ორი განზოგადებული ტერმინი გვაქვს და მათშია განაწილებული ეს მნიშვნელობები. მაგალითად, მეგრულში **დიანთილი** ნიშნავს "დედამთილ"-საც და "სიდედრ"-საც, ხოლო **მუანთილი** "მამამთილ"-საც და "სიმამრ"-საც. სწორედ მეგრულის მსგავსი ვითარებაა აფხაზურ-აბაზურშიც – აქაც 2 განზოგადებული ტერმინი არსებობს თავიანთი ფონეტიკური ვარიანტებით: აბჟ. **აბხა** // ბზიფ. **აბხა** // აშხარ.-ტაპ. **აბჯა** "მამამთილი; სიმამრი" და აბჟ. **ანხა** // ბზიფ. **ანხა** // აშხარ.-ტაპ. **ანჯა** "დედამთილი; სიდედრი". ორივე აფხაზურ-აბაზურ ტერმინს გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს: ისინი პირველ კომპონენტად შეიცავენ ღედისა და მამის აღმნიშვნელ ფუძეებს, ხოლო მეორე კომპონენტია "ირიბი, მრუდე" ცნების გამომხატველი აბჟ. **ა-ხა** < ბზიფ. **ა-ხა** < აშხარ.-ტაპ. **ჯა** ზედსართავი სახელი. მთლიანობაში მამამთილ-სიმამრის აღმნიშვნელი სახელი ითარგმნება როგორც **"ირიბი მამა"**, ხოლო დედამთილ-სიდედრის სახელწოდება – როგორც **"ირიბი დედა"**. მაშასადამე, ამ ტერმინებში ცხადად იგრძნობა რძლისა და სიძის პატივისმცემლური დამოკიდებულება მეუღლეთა მშობლებისადმი: რძლისათვის დედამთილ-მამამთილი და სიძისათვის

სიდედრ-სიმამრი დედ-მამის მსგავსია, ოღონდ ისინი ვერ უტოლდებიან ღვიძლ მშობლებს. ამ კონტექსტში შეიძლება დაისვას საკითხი: ხომ არ იყო ქართულშიც თავიდანვე მხოლოდ 2 სახელი მამამთილ-სიმამრისა და დედამთილ-სიდედრის აღსანიშნავად და ხომ არ ნიშნავდა **მთილ** ელემენტი "ირიბს"?

ასევე განზოგადებული სახელებით გადმოიცემა აფხაზურ-აბაზურში **ცოლისდა-მულისა** და **ცოლისძმა-მაზლის** ცნებებიც. გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს ცოლისდისა და მულის აღმნიშვნელ განმაზოგადებელ აბჟ. **ანხჳფა** < // ბზიფ. **ანხჳფა** < აშხარ.-ტაპ. **ანჯჳფა** ტერმინს, რომელიც მომდინარეობს ფონეტიკურად სახეცვლილი ამოსავალი **ანჯა ლჳფა** "ირიბი დედის, ანუ დედამთილის/სიდედრის ასული". აქ მთავარი ისაა, რომ **ცოლისდა და მული თანაბრად არიან მარკირებულნი როგორც ირიბი დედ-მამის ასულები., ანუ ხაზი გაესმის არა იმას, რომ ისინი მეუღლის დები არიან, არამედ იმას, რომ ცოლისდა და მული სიდედრისა და დედამთილის ნაშიერნი არიან.**

პრინციპულად იმავე მოდელის მიხედვითაა აგებული ცოლისძმისა და მაზლის აღმნიშვნელი განმაზოგადებელი აბჟ. **აბხჳნდა** < // ბზიფ. **აბხჳნდა** < აშხარ.-ტაპ. **აბჯჳნდ** < ***აბჯჳნდა** ტერმინიც, რომელშიც მამის სახელწოდებას ერთვის ამჟამად დამოუკიდებელი სემანტიკის უქონელი **-ნდა** სეგმენტი. ამ სეგმენტის რაობა საკვლევია, თუმცა შეიძლებოდა წარმოგვედგინა ასეთი ახსნა: ფუძის მეორე ელემენტი მომდინარეობს მამის, ან ასაკით უფროსი მამაკაცისადმი, მათ შორის უფროსი მაზლისადმი მიმართვის **დად(ა)** ფუძისაგან (იხ. ქვემოთ) და **ნ** თანხმოვანი მიღებულია ამ ფუძის თავკიდურა **დ** თანხმოვნისაგან, ხოლო მისი მომდევნო **ა** ხმოვანი რედუცირებულია. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ამჟამად ცოლისძმისა და მაზლის ზოგადი სახელი თავიდან უფროსი ცოლისძმისა და მაზლისადმი მიმართვის ფორმა ყოფილა.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ერთი მხრივ, ცოლისდისა და მულის, მეორე მხრივ კი ცოლისძმისა და მაზლის აღმნიშვნელი სახელები მოტივაციის თვალსაზრისით იმითაც სხვაობენ ერთიმეორისაგან, რომ **ქალების აღმნიშ-**

ვნელ ტერმინებში (ცოლისდა-მული) პირველ კომპონენტად დედის აღმნიშვნელი ფუძეა გამოყენებული, ხოლო ვაჟების აღმნიშვნელ ფუძეებში (ცოლისძმა-მაზლი) – მამის აღმნიშვნელი ფუძე, ანუ ქალთა სქესს დედის სახელწოდება გახაზავს, მამაკაცებისას კი – მამის სახელწოდება[377].

დედამთილ-სიდედრის, ცოლისდა-მულისა და ცოლისძმა-მაზლის წყვილთა განზოგადებულ სახელთა ანალოგიით მოსალოდნელი იყო, რომ აფხაზურ-აბაზურში ასეთივე განზოგადებული საერთო სახელით იქნებოდა აღნიშნული **სიძისა და რძლის** ცნებებიც, მაგრამ ეს ასე არ არის – სიძესა და რძალს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელები აღნიშნავს: რძალი არის აბჟ. **ა-თაცა** // ბზიფ. **ა-თაც'ა** // აბაზ. **თაცა**, ხოლო სიძე – აფხაზ. **ა-მაჰ** // აბაზ. **მაჰ** // **მჰ**. ვფიქრობთ, სიძისა და რძლის აღსანიშნად სხვადასხვა სახელის არსებობას საფუძვლად უნდა ედოს, ერთი მხრივ, მათი გენდერული სხვაობა, მეორე მხრივ კი ის გარემოება, რომ ისინი მეუღლეთა ოჯახებისათვის ერთიმეორისაგან **განსხვავებულ სოციალურ როლს ასრულებენ**: რძალი ოჯახს წევრად ემატება და მის გამრავლებას უზრუნველყოფს, ხოლო სიძეს ოჯახიდან მიჰყავს ოჯახის წევრი და მისი "პატრონი" ხდება. ჩანს, ამიტომ აღმოჩნდა ძნელი სიძისა და რძლის ცნებების განზოგადება-გაერთიანება ერთი ტერმინით.

რძლისა და პატარძლის აღმნიშვნელი **თაცა** (ბზიფ. **თაც'ა**) ფუძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიცავს ოჯახის აღმნიშვნელ **თა** ძირს, მისი მეორე კომპონენტი კი (**ა-**)**ცარა** (ბზიფ. **ა-ც'არა**) "წასვლა" ზმნის ძირია, რომელიც დასტურდება გათხოვების აღმნიშვნელ აფხაზურ **ხაწა ცარა** (ზედმიწ.: "კაც[თან] წასვლა") და აბაზურ **თაჰა ცარა** (ზედმიწ.: "ოჯახ[ში] წასვლა") ფორმებში.

სიძის აღმნიშვნელი აფხაზ. **ა-მაჰ** // აბაზ. **მაჰ** // **მჰ** სახელს ქ. ლომთათიძე სვანური დიალექტების **მუხუბე** "ძმა ძმის-

---

[377] თვალსაჩინოებისათვის იხ. ცხრილი №2.

თვის" ფუძიდან მომდინარედ მიიჩნევდა[378], რაც დამაჯერებელ არგუმენტაციას ემყარება.

სიძისა და რძლის დაბალ სოციალურ მდგომარეობას გამოხატავს მათი ქცევის წესებიცა და მათ მიერ მეუღლეების ახლო ნათესავთა სახელების ტაბუირების მიზნით გამოყენებული ვერბალური საშუალებებიც. მაგალითად, არც სიძესა და არც რძალს უფლება არა აქვთ, ნებართვის გარეშე ხმამაღლა ილაპარაკონ მეუღლის მშობლების თანდასწრებით; მამამთილის, სიმამრის, მეუღლის ბიძების, უფროსი მაზლის თანდასწრებისას სიძეც და რძალიც ფეხზე უნდა იდგნენ და ემსახურონ მათ და ა.შ.

აფხაზი რძალი იყენებს ტაბუირების შემდეგ ვერბალურ საშუალებებს: **აჰდუ** "დიდი ბატონი" // **ჰაჰდუ** "ჩვენი დიდი ბატონი" // **დადაჰ** "უფროსი ბატონი" // **დადდუ** "დიდი უფროსი" (ბოლო ორი სიტყვის თარგმანი პირობითია, ვინაიდან ქართულ ენაში არ არსებობს **დად** სიტყვის შესატყვისი) აღნიშნავს მამამთილს; **საჰ** "ჩემი ბატონი" – უფროს მაზლს; საყურადღებოა, რომ **დადაჰ** ფორმით აბჟუაში აღინიშნება არა მარტო მამამთილი, არამედ უფროსი მაზლიც, ხოლო ბზიფში იმავე ფორმით აღინიშნება მამამთილი და მისი უფროსი ძმა. რძლის ტაბუირებულ მეტყველებაში დედამთილი მოიხსენიება **ნანდუ** "დიდი დედა" სახელით (ჩვეულებრივ მეტყველებაში **ნანდუ** აღნიშნავს ბებიას), უმცროსი მაზლი – **არფჳს** "ჭაბუკი" და **აჭკუნ** "ბიჭი" სიტყვებით, მული – **ჰაძლაბ** "ჩვენი გოგო" და **ჰთჳფჰა** "ჩვენი ქალწული" სახელწოდებებით (იგივე **ჰთჳფჰა** სახელი აბაზურ ტაბუირებულ მეტყველებაში გამოიყენება გათხოვილი ქალის აღმნიშვნელად მისი ძმების ოჯახებში). იმავე აფხაზურში არატაბუირებულ მეტყველებაში კრებითი მრავლობითის **აბრაა** "მამანი, მამა და მისიანნი" სახელით აღინიშნება გათხო-

---

[378] ქ. ლომთათიძე. ერთი ფონეტიკური კანონზომიერება ბგერათა ფარდობისა: ქართ. **ხ** (ჳ), **ხვ** (ჳვ) – აფხ. **ჰ**, **ჰ** (ნასესხებ ფუძეებში) და სვან. **მჴხვბე** ("ძმა ძმისთვის") – აფხაზ. **ჰშაჰ** ("სიძე"). – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2001, გვ. 33-34.

ვილი ქალის თავისსახლი, მამის ოჯახი, ხოლო ცოლე'ურს, ან ქმრის ოჯახს აღნიშნავს კრებითი მრაელობითის ფორმაში მდგარი აბჟუური **აბხარაა** // ბზიფური **აბხარაა** "მამამთილნი, სიმამრნი, მეუღლის მამა და მისიანნი".

ძმათა ცოლებს, ანუ შილებსა და დათა ქმრებს, ანუ ქვისლებს დამოუკიდებელი სახელწოდებები აქვთ: აბჟ. **ადცალაცაა** // ბზიფ. **აეცაცაა** // აბაზ. **ადცალაჩაა** "ერთმანეთის შილები", აფხაზ. **ადმაჰწლაცაა** // აბაზ. **ადმჰწლაჩაა** "ერთმანეთის ქვისლები". ისინი შეიცავენ საურთიერთო კატეგორიის **ად-** პრეფიქსს, რომელიც უცვლელი რჩება აბაზურში და ეს მაშინ, როცა საურთიერთო კატეგორიაში მდგომი სხვა სიტყვების აბაზურ ვარიანტებში **ად-** პრეფიქსი სისტემურად წარმოდგენილია მხოლოდ ⅟ ვარიანტის სახით. ამ კონტექსტში საყურადღებოა ისიც, რომ საურთიერთო კატეგორიის სემანტიკა შილისა და ქვისლის სახელწოდებებში დღესაც უფრო გამოკვეთილად შეიგრძნობა, ვიდრე, ვთქვათ, დედ-მამის აღმნიშვნელ სახელებში, რომლებშიც ეს სემანტიკა უკვე დაჩრდილულია.

შილისა და ქვისლის ცნებათა გამომხატველ სახელწოდებებში გამოიყოფა აგრეთვე ინსტრუმენტალისის **-ლა** სუფიქსი და მრაელობითი რიცხვის **-ცა** // **-ჩა** ბოლოსართი. როგორც აფხაზურ'ში, ისე აბაზურ'ში იგივე სახელწოდებები მხოლობითი რიცხვის ფორმითა და საურთიერთო კატეგორიის პრეფიქსის გარეშეც შეიძლება შეგვხვდეს და ამ ფორმებით გამოიხატება ის, რომ შილებიდან ერთ-ერთი, ან ქვისლებიდან ერთ-ერთი აზუსტებს თავის დამოკიდებულებას მეორე შილის, ან თავისი ქვისლის მიმართ: **საცალა** "ჩემი შილი", **სმაჰწლა** "ჩემი ქვისლი". იგივე სემანტიკა შეიძლება აღწერითი ფორმებითაც გადმოიცეს, ოღონდ ამ დროს ხაზი გაესმის იმას, რომ მეორე ადამიანი არის მისი ცოლისძმის, ან მაზლის ცოლი (აბჟ. **საბჯწდა იფჰწს**, ბზიფ. **საბჯწდა იფჰწს'**, აშხარ.-ტაპ. **საბჯწდ იფჰწს**), ან კიდევ მოსაუბრის ცოლისძმის ქმარი, ან მულის ქმარი (აბჟ. **სანჯფჰა ლხაწა**, ბზიფ. **სანჯფჰა ლხაწ'ა**, აშხარ.-ტაპ. **სანჯფჰა ლჯაწა**).

მძახლის აღსანიშნად აფხაზურშიცა და აბაზურშიც გამოიყენება ყარაჩაულ-ბალყარული ენიდან ნასესხები არაბული წარმოშობის **ახლა** სიტყვა., რომელსაც აბჟუურ დიალექტში საურთიერთო-სათანაო კატეგორიის ც- პრეფიქსიანი ვარიანტიც აქვს: **ა-ცჲხლა**. ბზიფურ დიალექტში გამოიყენება აგრეთვე **აცალა** სიტყვაც, ხოლო აბაზურში ამავე სემანტიკით იხმარება ახლობლის აღმნიშვნელი **ადჲა** სახელიც.

ქორწინებითი ურთიერთობის ლექსიკასთანვე ერთიანდება ქვრივის. დედინაცვალ-მამინაცვლისა და გერის აღმნიშვნელი სახელწოდებებიც.

ქვრივის ცნება აბჟუურ და ბზიფურ დიალექტებში გადმოიცემა **ა-ჲბა** სახელით, რომელიც ობოლსაც ნიშნავს, აშხარულ დიალექტში იხმარება **ჲბა** ვარიანტი, ხოლო ტაპანთური იყენებს ადიღურ **ჩზაბა > ფზაბა** სიტყვას.

დედინაცვლის, მამინაცვლისა და გერის აღნიშვნა შემდეგი ქართულისებური მოდელით ხდება: პირველ ადგილზე დგას დედის, მამის, ძის, ან ასულის აღმნიშვნელი ფუძე, რომელსაც ერთვის **ფსა** "შეცვლილი" მიმღეობური ფუძე: აფხაზ.-აბაზ. **ანფსა** "დედინაცვალი" (ზედმიწ.: "შეცვლილი დედა"), აფხაზ. **აბფსა // აბაზ. აბაფსა** "მამინაცვალი" (ზედმიწ.: "შეცვლილი მამა"), აფხაზ. **ა-ფაფსა // აბაზ. ფაფსა** "გერი ვაჟი" (ზედმიწ.: "შეცვლილი ვაჟი"), აფხაზ. **ა-ფჰაფსა // აბაზ. ფჰაფსა** "გერი ქალი" (ზედმიწ.: "შეცვლილი ასული").

ზედსიძეს აფხაზურსა და აბაზურში დამოუკიდებელი ტერმინი ვერ დავუდასტურეთ, მაგრამ აფხაზურში გამოვავლინეთ ზედსიძედ მისვლის აღმნიშვნელი აშკარად უარყოფითი კონოტაციის მქონე საინტერესო ფორმები: **ა-ხატ'არა** "თავზე დაჯდომა" > "ზედსიძედ მისვლა" ზმნისაგან იწარმოება ტიპური ფრაზა: **უი ფჰცჲაბაკ დცლხატ'ეტ** "იგი ერთ ქვრივ ქალს ჩაუსიძა" (ზედმიწ.: "იგი ერთ ქვრივ ქალს თავზე დააჯდა"). ზედსიძეობის მიმართ ასეთივე მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იგრძნობა აფხაზურ ანდაზაში: **ხატ'არა იცაზ აჩადა დაჯზოუპ** "ზედსიძედ წასული ვირსა ჰგავს".

***

ამრიგად, ქორწინებითი ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკა ღვიძლი ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკის სისტემისაგან საკმაოდ განსხვავებულ, უფრო **რთულ სისტემას** წარმოაჩენს. ეს არც არის მოულოდნელი, ვინაიდან:

1. ღვიძლი ნათესაობის სისტემა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაფუძნებულია ერთი ადამიანის სოციალურ დამოკიდებულებაზე, ხოლო **ქორწინებასთან დაკავშირებული ლექსიკა ემყარება ორი ადამიანის, საქორწინო წყვილის სოციალურ ურთიერთობას პირადად ერთმანეთისა და ერთიმეორის ნათესავებისადმი,** რაც უფრო განტოტვილ სისტემას წარმოქმნის;

2. ქორწინებითი ურთიერთობის ამსახველი ლექსიკის დიდი ნაწილი "საშენ მასალად", საყრდენ ერთეულებად იყენებს ღვიძლი ნათესაობის ამსახველ ლექსიკას სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად, ანუ **ქორწინებითი ურთიერთობის ლექსიკა კომბინირებულია;**

3. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქორწინებითი ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკის ერთი ნაწილის (დედამთილ-სიდედრის, მამამთილ-სიმამრის, ცოლისდა-მულის, ცოლისძმა-მაზლის სახელწოდებათა) სახელდების პრინციპი, კერძოდ, **ცნებათა შეწყვილება-განზოგადება გენდერული ნიშნისა და მეუღლის მშობლებისადმი მიმართების მიხედვით;**

4. საყურადღებოა მეუღლის და-ძმების აღმნიშვნის მოტივაცია: განსხვავებით ღვიძლი ნათესაობის გამოხატვის სისტემისაგან, როცა და-ძმა ერთი საზიარო ძირით აღინიშნება, **მეუღლის და-ძმათა სახელებში ხაზი გაესმის არა იმას, რომ ცოლისძმა-მაზლი და ცოლისდა-მული მეუღლის და-ძმანი არიან, არამედ იმას, რომ ისინი მეუღლეთა მშობლების შვილები არიან, ანუ ქვესისტემის ცენტრალური ფიგურები მეუღლეთა მშობლები არიან.** შდრ. ქართული სისტემა, სადაც ხაზგასმულია ის, რომ ცოლისდა და ცოლისძმა ცოლის ღვიძლი ნათესავები არიან, ხოლო მაზლისა და მულის მარტივფუძიანი სახელწოდებები, როგორც ჩანს, უძველესია და მათში სახელდების მოტივაცია ამჟამად დაჩრდილულია.

მორდუობა-ძუძუმტეობისა და ნათელმირონობის აღმნიშვნელი ლექსიკა. ქორწინებით ურთიერთობასთან ყველაზე ახლოსაა მორდუობა-ძუძუმტეობის ძველთაძველი ინსტიტუტი. ძველი წარმოდგენით, არა მარტო გაზრდილის ოჯახს, არამედ მის საგვარეულოსაც მორდუს, ძიძის ოჯახი ძვირფას ახლობლად მიაჩნდა და, პირიქით, მორდუს ოჯახს განსაკუთრებით ეძვირფასებოდა გაზრდილიცა და მისი სანათესაოც, რაც ტერმინოლოგიაშიც არის ასახული. მნიშვნელოვანია, რომ აფხაზთა გაქრისტიანების შემდგომ მორდუობის ტერმინთა ნაწილი გამოყენებულ იქნა ნათელმირონობის აღმნიშნელადაც. ამიტომ უპრიანია ამ ორი ჯგუფის ლექსიკის ერთად განხილვა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ორი ჯგუფის ლექსიკიდან აბაზურში ვერ დავადასტურეთ ნათელმირონობასთან დაკავშირებული ენობრივი მასალა, რომელიც, როგორც ჩანს, ან საერთოდ არ არსებობდა, ანდა ისლამის მძლავრმა ზეგავლენამ გააქრო.

გამზრდელ ქალს აფხაზურად ქართულიდან ნასესხები **აძძე** < ძე. ქართ. **ძიძა** ეწოდება. იგივე ფუძე გამოყენებულია რთული **ანაძძე** "გამზრდელი ქალი, ძიძა, დედამძუძე" და **აბაძძე** "გამზრდელი მამაკაცი, მამამძუძე" სიტყვების საწარმოებლადაც. ორ უკანასკნელ სახელში კომპოზიტის პირველ წევრად დედისა და მამის აღმნიშვნელი ფუძეები გამოდის, რაც ხაზს უსვამს გამზრდელებისადმი დიდ პატივისცემას. საგულისხმოა, რომ იგივე **ანაძძე** სიტყვა აფხაზთა შორის იხმარება ნათლიდედის აღსანიშნავადაც, ხოლო **აბაძძე** გამოიყენება ნათლიმამის ცნების გამოსახატად. თუ დავაკვირდებით, ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ ორი სიტყვის გამოყენება ნათლიდედისა და ნათლიმამის აღმნიშვნელად **რეალობას არ შეესაბამება: ანაძძე**, რომელიც ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "დედა-ძიძა" და **აბაძძე**, რომელიც ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "მამა-ძიძა", ნაოელმირონობის ინსტიტუტთან დაკავშირების შემდგომ უნდა აღნიშნავდეს არა ნათლიდედა-ნათლიმამას, ანუ ნათლულის რეალურ მშობლებს, რომლებიც ძიძებად ვერ ჩაითვლებიან, არამედ ნათლია ქალსა და ნათლია მა-

მაკაცს – ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, სწორედ ნათლიებს ევალებათ ნათლულის სულიერი აღზრდის სწორად წარმართვა, მათ უნდა ასწავლონ ნათლულს ღვთისაკენ მავალ გზაზე სვლა. შესაბამისად, რაკი ნათლიები ნათლულის ღვიძლი მშობლები არ არიან, მაგრამ მისი აღზრდა ევალებათ, ლოგიკური იქნებოდა მათ აღმნიშვნელად მშობლებისა და ძიძის სახელწოდებათა გამოყენება. მაშასადამე, აფხაზურში დადასტურებული შემთხვევა ან აფხაზთა წინაპრების ზერელე ქრისტიანობის მაჩვენებელია, ან ენაში მოხდა ტერმინთა სემანტიკის გადაწევა: ნათლიის აღმნიშვნელმა სიტყვებმა მიიღეს ნათლიდედისა და ნათლიმამის მნიშვნელობა. ვფიქრობთ, ამ ორი ვარაუდიდან მეორე უფრო სწორი უნდა იყოს, რასაც ადასტურებს ჩვენი საექსპედიციო მასალა: ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში ინფორმატორები გვიდასტურებდნენ, **ანაძეი** და **აბაძეი** ნათლიას აღნიშნაესო.

გაზრდილს აფხაზურად **ააძამთა** ეწოდება, რომელიც გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე სიტყვაა: **ააძა** სეგმენტი **ააძარა** "გაზრდა, აღზრდა" ზმნის ფუძეა, ხოლო **-მთა** რეზულტატივის მაწარმოებელი სუფიქსია (შდრ.: **აჳგ-მთა** "ნაწერი; თხზულება" აჳრა "წერა" ზმნისაგან, **აუსუ-მთა** "ნაშრომი, ნაღვაწი" აუსურა "მუშაობა" სიტყვისაგან და ა.შ.). მაშასადამე, **ააძამთა** სრულად შეესაბამება ქართულ **გაზრდილ**-ს.

ძუძუმტეს, ანუ მორდუს შვილს აფხაზურად ერთი განყენებული სახელწოდება არა აქვს. ცნება დიფერენცირებულია გენდერული ნიშნის მიხედვით: ძუძუმტე ვაჟი იქნება **აბზჳაშა**, ხოლო ძუძუმტე ქალი – **აბზჳაჰშა**. ორივე სახელი აგებულია ერთი მოდელის მიხედვით: **ა-ბზ** "ენა" + **ა-ცარა** "წოვა" ზმნის ძირი + დის, ან ძმის აღმნიშვნელი ძირი. მაშადამე, ამ ტერმინებში მარკირებულია ის ფაქტი, რომ გაზრდილი და მისი ძუძუმტეები ერთ ძუძუს წოვდნენ, რაც მათ ურთიერთობას მკაცრად აწესრიგებდა: გაზრდილსა და ძუძუმტეებს დედმამიშვილებივით უნდა ჰყვარებოდათ ერთმანეთი, მუდამ მხარში უნდა ამოსდგომოდნენ ერთიმეორეს და, თუ საჭირო გახდებოდა, სი-

ცოცხლეც კი უნდა შეეწირათ ეროიმეორის გადასარჩენად. ამიტომაც გაჩნდა აფხაზურ ენაში შესიტყვება: **урт аҟҟахьа рҭбжьоуп** "მათ შორის ძუძუს რძეა", რითაც ხაზი გაესმის ქალის რძით დანათესაურების მაგიურობას. ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ მოსისხლეობასთან დაკავშირებული ერთი გარემოება, რომელიც გვისვენებს, რომ ქალის რძეს საკრალური ნიშვნელობა ჰქონდა და თრგუნავდა ისეთ მძლავრ ინსტიტუტსაც კი, როგორიც მესისხლეობა იყო: თუ ოჯახებს, ან გვარებს შორის მესისხლეობა გაჩნდებოდა და მკვლელის ოჯახს, ან საგვარეულოს სურდა, შერიგებოდა მოკლულის ოჯახს, ან გვარს და თავიდან აეცილებინა შურისძიება, მკვლელის ოჯახის, ან გვარის წარმომადგენლები მოიტაცებდნენ მოკლულის, ან მისი ახლო ნათესავის მცირეწლოვან ვაჟს, რომელსაც მკვლელის მეუღლე, რძალი, ან ასული ძუძუს მოაწოვებდა. ამით ორ საგვარეულოს შორის ბოლო ეღებოდა მესისხლეობას და იწყებოდა ნათესაობა.

აბაზებში გაძიძაებულ თავადიშვილს ყაბარდოულიდან ნასესხები **ყან** ტერმინით აღნიშნავდნენ, ხოლო ძიძას რამდენიმე სინონიმური სახელწოდებით მოიხსენიებდნენ: ადიღური **дгъэ**ზა; აბაზ. **саби**ზაჳ (ზედმიწ.: "ჩვილი ბავშვის აღმზრდელი"), რომლის პირველი წევრი ჩვილი ბავშვის აღმნიშვნელი **саби** სიტყვაა, მეორე კი – აფხაზური **ааԥаҳ** "გამზრდელი" სიტყვის აბაზური პრაფორმა **зазаჳ**; **саби**კაჳ (ზედმიწ.: "ჩვილი ბავშვის დამკავებელი"), რომლის მეორე კომპონენტი **кра** "დაკავება, დაჭერა" ზმნის **к** ძირია.

ნათელმირონობასთან დაკავშირებული აფხაზური ტერმინოლოგია საკმაოდ ღარიბია და მასში წარმოდგენილია როგორც საკუთრივ აფხაზური, ისე ქართული სახელწოდებები:

მონათვლა, ნათლობა გამოიხატება ქართულიდან ნასესხებ **ნათ** ძირზე აფხაზური აფიქსების დართვით გაფორმებული **ა-ნათ-რა** სიტყვით, რომლისგანაც, თავის მხრივ, იწარმოება დრო-კილოთა ფორმები: **დნათიტ** "მოინათლა", **დინათიტ** "მონათლა"... აფხაზურ ენაში ქართული ტერმინის მხოლოდ ძირის

და არა მთელი ფუძის გადაღება, ე.ი. სიტყვის "მორფოლოგიური ანალიზი" სესხების სიძველეზე მიუთითებს.


სინონიმური მნიშვნელობის მქონეა საკუთრივ აფხაზური წარმოშობის **ა-ძაახრა** "მონათვლა" სიტყვა, რომელშიც **ძ** წყლის აღმნიშვნელი **ა-ძ** სიტყვის ძირეული თანხმოვანია, **აახრა** კი **აახარა** "მოხვედრება" ზმნის ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს, ანუ ტერმინი უნდა ნიშნავდეს "წყლის მოხვედრებას, მისხურებას" (იგულისხმება აიაზმის მიშხეფება).

ამ აფხაზური ზმნისაგანაა ნაწარმოები **ნათლულის** აღმნიშვნელი **ა-ძაახჳმთა**, რომელიც ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "წყალმოხვედრილი, წყალმისხურებული". სიტყვა შეიცავს რეზულტატიევის **-მთა** სუფიქსს.


მირონს აფხაზურად **ა-მირან** ეწოდება, რომელიც ნასესხებია არა უშუალოდ ბერძნული ენიდან, არამედ ქართულიდან. საამისო საბუთად ის გარემოება გამოდგებოდა, რომ ბერძნული წარმომავლობის ამ ფუძეში წარმოდგენილია იგივე **o** ხმოვანი, რაც ქართულშიც გვაქვს, ბერძნულ **μύρον** ფორმაში კი სათანადო ადგილას მახვილიანი **ύ** ზის, რომელიც აფხაზურს ბერძნულიდან სესხების შემთხვევაში მახვილიანი ნეიტრალური **ჳ** ხმოვნით უნდა გადაეღო. რაკი **o** ხმოვანი XVI საუკუნემდე არ არსებობდა აფხაზურ ენაში და **ა-მირან** ფორმაში მახვილი დასმულია სიტყვის ბოლო ხმოვანზე, ანუ იქ, სადაც ქართულ ფუძეშია, ბერძნულში კი მახვილი სიტყვის თავიდან პირველ მარცვალზეა, სრულიად უეჭველია, რომ მირონის სახელწოდება აფხაზურმა შეითვისა XVI საუკუნის შემდგომ ქართული ენისაგან.

მირონის სახელს მორწმუნე აფხაზთა მეტყველებაში ისეთივე საკრალური ფუნქცია აქვს, როგორც ქალის რძეს. ამის მაჩვენებელია გამოთქმა: **ურთ მირანკ რჳბჟოუპ** "მათ შორის მირონია", ანუ მათ ნათელმირონობა აკავშირებს აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ცხრილი №1. ღვიძლი ნათესაობის ტერმინთა ამოსაყალი სისტემა



ცხრილი №2. მეუღლეთა მშობლებისა და ერთმანეთის დაძმისადმი ურთიერთობის ამსახველ ტერმინთა სისტემა



§ 10. კვირეულის დღეთა აღნიშვნის აფხაზურ-აბაზური სისტემის ისტორიისათვის

აფხაზურ-აბაზურში კვირეულის დღეთა აღსანიშნავად გამოიყენება შემდეგი სახელწოდებანი:

კვირეულის დღეები	აფხაზური სახელწოდებანი	აბაზური სახელწოდებანი
ორშაბათი	ა-შაᲽა	ᲽაᲽა
სამშაბათი	ა-ჳაშაა	ჩაშა
ოთხშაბათი	ა-ხაშაა	ხაშა
ხუთშაბათი	ა-ფᲩაშაა	ფᲩაშა
პარასკევი	ა-ჩაშაა	ჩაშა
შაბათი	ა-საბშა	საბშა
კვირადღე	ა-ᲨᲬᲩაა	ᲨაᲩაა

როგორც ერთი შეხედვითაც ჩანს, უკლებლივ ყველა დღის აფხაზური და აბაზური სახელწოდებანი საზიაროა, ხოლო სხვაობა მინიმალური. კერძოდ, სხვაობას განაპირობებს ორი მიზეზი:

1. აფხაზურში სახელები გაფორმებულია ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსით, აბაზურს კი ეს პრეფიქსი საერთოდ არ ახასიათებს. ამ ფაქტორს უკავშირდება სხვაობა მახვილის ადგილმდებარეობის თვალსაზრისით სამშაბათის, ოთხშაბათის, ხუთშაბათისა და პარასკევის სახელწოდებებში: ზოგადობის აფხაზურმა ა- პრეფიქსმა მახვილი ამ 4 სახელში თავისკენ მიიზიდა;

2. სამშაბათისა და კვირადღის აღმნიშვნელ წყვილთაგან აბაზურში შენარჩუნებულია უფრო ძველი ფონოლოგიური სისტემა. კერძოდ, სამშაბათის აბაზურ სახელში არსებული პირველადი ჩ ფონემა აფხაზურში, საზოგადო წესისამებრ, ჩანაცვლებულია მისგან მომდინარე მეორეული ჳ ფონემით, ხოლო კვირადღის სახელში აბაზურის ამოსავალი მახვილიანი ა ხმოვანი, ასევე საზოგადო წესისამებრ, შეცვლილა მახვილიანი ნე-

იტრალური ხმოვნით; ასევე საზოგადო წესია დაცული ორშაბათის სახელწოდებებშიც: ჩვენი აზრით, ამოსავალი **ა** თანხმოვანი, რომელიც აბაზურს დღემდე დაუცავს, აფხაზურში კანონზომიერადაა ჩანაცვლებული უფრო ახალი **შ** ფონემით.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ **აფხაზურ-აბაზურ ტერმინთა მორფოლოგიაში პრინციპული ხასიათის სხვაობა არ არსებობს**, იგი შეინიშნება მხოლოდ სახელთა ზოგადი ფორმის წარმოებაში, რაც მარტო კვირეულის დღეთა სახელებისათვის არ არის დამახასიათებელი და ეხება უკლებლივ ყველა არსებით და ზედსართავ სახელსა და მათთან გათანაბრებულ სიტყვებს (მასდარს, მიმღეობას).

აფხაზურ და აბაზურ ვარიანტებს შორის არსებული დიდი მსგავსება და უმნიშვნელო სხვაობა გვარწმუნებს, რომ კვირეულის დღეთა აღნიშვნის ამჟამინდელი ერთიანი სისტემა ერთდროულად უნდა შექმნილიყო აფხაზურ-აბაზური ეთნიკურენობრივი ერთობის დაშლამდე, ანუ XVI საუკუნემდე.

ჩვენ აქ მიზნად ვისახავთ, გავარკვიოთ კვირეულის დღეთა აღნიშვნის ერთიანი აფხაზურ-აბაზური სისტემის ჩამოყალიბების ნომინაციურ-სახელდებითი, ანუ მოტივაციური საფუძვლები და მისი მიმართება სხვაენოვან, სახელდობრ, ქართველურ და ადიღურ შესაბამის სისტემებთან.

კვირეულის დღეთა აფხაზური სისტემის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხი პირველად აკად. ნ. მარმა განიხილა. იგი აფხაზური **ა-მշა** "დღე" სიტყვის განხილვისას გამოყოფდა მშ-თავსართს აფხაზურ **შიბჟაუნ** [უნდა იყოს: **შებჟონ**] "შუადღე" სიტყვასთან მცდარი დაკავშირების საფუძველზე[379] (**ა-მშა** და **შებჟონ** სიტყვებში საზიარო თანხმოვანი არ არსებობს: დღის აღმნიშვნელ სახელში ინტენსიური **შ** თანხმოვანია, შუადღის აღმნიშვნელში კი – სადა **შ** ფონემა. ამიტომ მათი ერთმანეთთან დაკავშირება უმართებულოა). აფხაზურში გამოყოფილ **შ**

[379] Н.Я. Марр. К вопросу о положении абхазского языка среди яфетических. С.-Пб., 1912, გვ. 25.

"ძირს" ავტორი საერთო იაფეტურ ძირად მიიჩნევდა კვირეულის დღეთა მეგრულ-ჭანურ სახელწოდებებში არსებულ შხა ელემენტთან გარეგნული და სრულიად შემთხვევითი მსგავსების საფუძველზე. მცდარად დაწყებული მსჯელობა მთავრდება ახალი საკითხის ასევე მცდარად დასმით – ნ. მარი წერდა: «... и вот вопрос, заимствовали ли абхазы слово для «дня» (ა-შშ და შბჟონ[380]) от тубал-кайнов (ამ სახელით ნ. მარი მეგრელ-ლაზებს აღნიშნავდა – თ.გ.), или слово შხა в мингрельском и чанском тубал-кайнами заимствовано от абхазов в составе названий дней недели тогда, когда оно еще в самом абхазском не доходило до нынешнего состояния его истертости?»[381].

ბუნებრივია, ჩვენ წინაშეც წამოიჭრება საკითხი, არის თუ არა რაიმე მატერიალური კავშირი კვირეულის დღეთა მეგრულ-ლაზურ სახელწოდებებში მეორე კომპონენტად არსებულ შხა სეგმენტსა და დღის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური სიტყვის შიშინა ინტენსიურ თანხმოვანს შორის.

ნ. მარის დამოწმებული მასაზრებანი კრიტიკულად პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა განიხილა. იგი წერდა: "ზევით ნ. მ ა რ რ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა გვქონდა მოყვანილი, რომლის მიხედვით თითქოს აფხაზებს, ჩერქეზებს, ინგუშებსა და ჩაჩნებს პარასკეევის გარდა დღეების სახელები მამაპაპეული წარმართული "იაფეტური" ჰქონოდეთ შენახული, ქართველებს კი ამგვარი სახელები სულ დავიწყებული ჰქონდეთ... ე ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა მ თ ლ ა დ ს წ ო რ ი ა რ ა ა, რადგან აფხაზურად დღეების სახელები კვირა-ორშაბათის გარდა შაბათის სისტემაზეა დამყარებული და, ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ, ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს ჰნიშნავს. ჩერქეზულშიაც დღეების სახელთაგან ნახევარზე მეტი არაფერ წარმართულს არ შეიცავს. ხოლო ინგუშურსა და ჩაჩნურში დღეების სახელებს არამცთუ წარმართული არაფერი აქვთ შერჩენილი, არამედ კვირისა, ორშაბათისა,

[380] აქ ნ. მარისეული ტრანსკრიფცია ტექნიკური მიზეზების გამო შეცვლილი გვაქვს ქართული სამეცნიერო ტრანსკრიფციით.
[381] Н.Я. Марр. К вопросу о положении..., გვ. 25.

პარასკევისა და შაბათისათვის ქართული სახელებიც კი აქვთ, ხოლო დანარჩენი დღეების სახელები შაბათის აღრიცხვის სისტემაზეა დამყარებული. ასე მცდარია ნ. მ ა რ რ ი ს განცხადება: ცხოვრების სინამდვილე მთლად არ ამართლებს მის დებულებას, თითქოს ქართველებს გარდა ყველა "ცოცხალ ი ა ფ ე ტ ი ა ნ ე ბ ს" შვიდეულის დღეების წარმართული სახელები დაცული ჰქონდეთ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ აფხაზებს, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, ინგუშებსა და ჩაჩნებს უფრო ნაკლებ აქვთ დღეთა წარმართული სახელები და მათ შესახები ცნობა შენახული, ვიდრე ქართველთა ტომებს, მეგრელებს, ჭანებსა და სვანებს, ვიდრე თვით საზოგადო სამწერლობო ქართულსაც კი აქვს ცნობები დაცული"[382].

ივ. ჯავახიშვილმა სავსებით დამაჯერებლად გაარკვია კვირეულის დღეთა აღნიშვნის მეგრულ-ლაზური და სვანური სისტემების წარმართულ რწმენათა საფუძველზე ჩამოყალიბებაც და შესაბამის სახელწოდებათა ეტიმოლოგიაც. მის მიერ უეჭველად დადგინდა, რომ კვირეულის დღეთა მეგრულ სახელებში არსებული **შხა** სეგმენტი მიღებულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **შ** თანხმოვნისა და **დღა** "დღე" სიტყვის შერწყმის ნიადაგზე. მაგალითად, ორშაბათის მეგრული სახელი **ჟაშხა // ჟეშხა** მომდინარეობს **ბჟაშ დღა** "მზის დღე" სინტაგმისაგან, ხოლო ლაზური **ბჟაჩხა // ბჯაჩხა** ვარიანტების **ჩ** თანხმოვანი იმავე **შ**-საგანაა მიღებული და ა.შ.[383]

ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი დამაჯერებელი ეტიმოლოგიები გვარწმუნებს, რომ თუკი კვირეულის დღეთა აღნიშვნის მეგრულ-ლაზური და აფხაზურ-აბაზური სისტემების შედარება გვსურს, შესადარებელ ერთეულებად არ გამოდგება, ერთი მხრივ, მეგრულ-ლაზური **შხა // ჩხა** სეგმენტები, რომლებშიც აღდგება **-შ + დღა** ნაწილები და, მეორე მხრივ, აფხაზურ-აბაზური **შა** სეგმენტი, რომელიც სულ სხვა წარმომაელობისაა. გარდა ამისა, ამგვარ მატერიალურ დაკავშირებას

---

[382] იქ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი I. – თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I. თბ., 1979, გვ.157.

[383] ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 170-187.

ხელს უშლის ფონეტიკური დაბრკოლებებიც. საქმე ის არის, რომ ვერცერთი ფონეტიკური კანონის მოქმედებით ვერ აიხსნება მეგრულ-ლაზური შხა სეგმენტისაგან აფხაზურ-აბაზური შა სეგმენტის მიღება, ვინაიდან ვერ დასაბუთდება, თუ რა ნიადაგზე უნდა დაკარგულიყო ხ თანხმოვანი აფხაზურ-აბაზურში, სადაც შხ კომპლექსი მეტად გავრცელებული და კანონიკურია[384]. ამასთანავე აუხსნელი დაგვრჩება მეგრულ-ლაზური სადა შ თანხმოვნის ინტენსიური შ ფონემით ცვლა აფხაზურ-აბაზურში, რადგანაც ასეთი რამ აქ არ ხდება მსგავს ფონოლოგიურ გარემოცვაში, მით უმეტეს, რომ აფხაზურ-აბაზურს მოეპოვება სადა შ ფონემაც[385]. ასევე დამაჯერებელი ახსნა არ დაეძებნება ვარაუდს აფხაზურ-აბაზური შა სეგმენტისაგან მეგრული შხა სეგმენტის მიღების შესახებ – ასეთ შემთხვევაში მეგრულს უნდა ჰქონოდა *შა ვარიანტი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ კვირეულის დღეთა მეგრულ-ლაზურ და აფხაზურ-აბაზურ სახელწოდებებში შხა და შა სეგმენტები მატერიალურად სხვადასხვა ოდენობებია და მათი ერთმანეთთან დაკავშირება შეუძლებელია.

მაინც რას წარმოადგენს აფხაზურ-აბაზური შა სეგმენტი, რომელიც კვირეულის დღეთა აღმნიშვნელი 7 წყვილი სახელიდან 6 წყვილშია წარმოდგენილი?

ამ კითხვის პასუხი კარგახანია ცნობილია: აკად. ქ. ლომთათიძის სრულიად დამაჯერებელი თვალსაზრისით, ეს სეგმენტი დღის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური ჰ(ე)შ(ე) სიტყვის ამოსავალი ძირისეული ელემენტია; აფხაზური ა-ჰ(ე)შა // აბაზური შშჳ ფორმები მიღებულია *მა-შა ვარიანტისაგან ბოლოკიდურა მახვილიანი მარცვლის შემკუმშველი ძალის ზემოქმედებით: *მაშა > *მშა > მშჳ[386], ხოლო შა ძირის შემცველი დღეთა აფ-

---

[384] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I..., გვ. 244.
[385] იქვე, გვ. 181.
[386] იქვე. გვ. 134.

ხაზურ-აბაზური სახელები ითარგმნება ასე:

აფხაზ. ა-ჟა-შა, აბაზ. ჩა-შა "ორი (მეორე) დღე", ანუ სამშაბათი;

აფხაზ. ა-ხა-შა. აბაზ. ხა-შა "სამი (მესამე) დღე", ანუ ოთხშაბათი;

აფხაზ. ა-ფშა-შა, აბაზ. ფშა-შა "ოთხი (მეოთხე) დღე";

აფხაზ. ა-ხა-შა, აბაზ. ხა-შა "ხუთი (მეხუთე) დღე", ანუ პარასკევი.

სახელთა ამ 4 წყვილში პირველი კომპონენტების სახით გამოყენებულია არა რიგობითი, არამედ რაოდენობითი რიცხვითი სახელების სრულხმოვნიანი ძირები: ჟა < ჩა "ორი", ხა "სამი", ფშა "ოთხი", ხა "ხუთი", რაც სრულიად ემთხვევა ქართული სამწიგნობრო ენის სისტემას, სადაც კვირეულის დღეთა სახელებში ასევე გამოყენებულია არა რიგობითი, არამედ რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეები: ორ-შაბათ-ი, სამ-შაბათ-ი, ოთხ-შაბათ-ი, ხუთ-შაბათ-ი, შდრ. რუსული ენა, სადაც სათანადო შემთხვევებში იხმარება არა რაოდენობითი, არამედ რიგობითი რიცხვითი სახელების ფუძეები: втор-ник "სამშაბათი" (შდრ.: втор-ой "მეორე" და два "ორი"), четвер-г "ხუთშაბათი" (შდრ.: четвер-тый "მეოთხე" და четыре "ოთხი").

ზემოთ აღნიშნული გარემოებანი საფუძველს გვაძლევს იმის სავარაუდოდ, რომ მითითებული 4 აფხაზურ-აბაზური სახელი, რომლებშიც რიცხვითი სახელების ძირები და დღის ცნების აღმნიშვნელი ძირია ერთმანეთს შერწყმული, კვირეულის დღეთა აღნიშვნის ქართული ქრისტიანული სისტემის, ანუ შაბათის სისტემის ზეგავლენითაა ჩამოყალიბებული. ანალოგიისათვის: იმ ენებში, რომლებთანაც აფხაზურ-აბაზურს ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტი ჰქონია, რაოდენობით რიცხვით სახელთა გამოყენებით ნაწარმოები სისტემა არცერთს არა აქვს, ოუმცა ქართული შაბათის სისტემის ზეგავლენის კვალი მათაც საგრძნობლად ემჩნევა. მაგალითად, ადიღეურ ენაში სწორედ ქართულის შუამავლობით არის შექმნილი სამი დღის სახელწოდება: **ბარასპზე** "ოთხშაბათი" (ეტიმოლოგიუ-

რად: "მცირე პარასკევი"), ბარასჰშჲ "პარასკევი" (ეტიმოლოგიურად: "დიდი პარასკევი"), შამბათ "შაბათი"[387]. აშკარაა, რომ ოთხშაბათისა და პარასკევის სახელები რეალურად ქართულიდან ნასესხები და ადიღეური ფუძეების კონტამინაციითაა მიღებული, ხოლო შაბათის სახელში შ თანხმოვანის არსებობა ამ სიტყვის ასევე ქართული სამწიგნობრო ენიდან სესხებაზე მიუთითებს.

ოთხშაბათისა და პარასკევის კონტამინირებული ქართულ-ადიღეური სახელწოდებების ანალოგიური სტრუქტურა აქვს შაბათის აღმნიშვნელ აფხაზურ-აბაზურ (ა-)საბ-შა სახელსაც, რომელშიც ა. შაგიროვი მართებულად გამოყოფს საბ სეგმენტს და აკავშირებს მას შაბათის აღმნიშვნელ მეგრულ საბა-ტონ-ი სახელთან[388], თუმცა თვით მეგრულში ეს სიტყვა ნასესხებია ბერძნული ენიდან. აქვე უნდა დავძინოთ, რომ აფხაზურ-აბაზურში ამ ბერძნული სიტყვის უშუალოდ ბერძნულიდან სესხება გამოირიცხება, ვინაიდან, როგორც ჩვენ მიერ ადრე იქნა გარკვეული, სხვა შემთხვევებში ბერძნულ ენასთან აფხაზურ-აბაზურის უშუალო კონტაქტის კვალი არ ჩანს[389]. ჩვენ ვიზიარებთ ა. შაგიროვის მოსაზრებას, რომ შაბათის აფხაზურ-აბაზური სახელწოდება მიღებულია მეგრული დიალექტიდან ნასესხები სიტყვის პირველი ნაწილისა და დღის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური ძირის კონტამინაციის გზით და ითარგმნება როგორც "შაბათი დღე".

ყურადღებას იპყრობს კვირადღის აღმნიშვნელი აფხაზური ა-შჲშა და აბაზური შჲაშა სახელებიც. მათში აშკარად გამოიყოფა დღის აღმნიშვნელი იგივე შა ძირი, რომელიც ერთვის

---

387 А.К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. А-Н. М., 1977, გვ. 75-76; А.К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. П-І. М., 1977, გვ. 146.

388 А.К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. П-І..., გვ. 146.

389 Т. Гванцеладзе. О пути заимствования греческой христианской лексики в абхазском языке. - "Rocznik orientalistyczny", t. LI, z. 2. Warszawa, 1998, გვ. 129-134.

იმავე სახელის ამოსავალი *მა-შა არქეტიპისაგან აფრიკატიზაციის გზით მომდინარე მშა > მშჲ ვარიანტებს. ამ შემთხვევაში აბაზური უფრო ძველ ვითარებას გვიჩვენებს ა ხმოვნის შენარჩუნების გამო. მშა > მშჲ ვარიანტები მიღებულია ასე: *მაშა "დღე" > *მჲშა > მშა (შდრ. აფხაზ. ესჲ-მშა "ყოველდღე, ყოველდღიურად") > მშა > მშჲ. კვირადღის სახელის ამგვარად ახსნას თითქოს ხელს უნდა უშლიდეს სემანტიკური მხარე: "დღე-დღე", ან "დღის დღე" > "კვირადღე", მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, მათ შორის აფხაზურ-ადიღურ ენებშიც არსებითი სახელი "დღე" ასრულებს ზედსართავი სახელის ფუნქციასაც და აღნიშნავს "ბედნიერს; კეთილს; კარგს". მაგალითად, იმავე აფხაზურში არსებობს გზის დალოცვის ფორმულა მჳამშა უმაზააატ! "გზა მშვიდობისა!", რომელიც ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "გზა-დღე გქონოდეს!" და იგივე მშა ელემენტი გადააზრიანების შედეგად "ბედნიერს, კეთილს" ნიშნავს; აფხაზურშივე მონადირეთა ტაბუირებულ მეტყველებაში (აბნა ბჳზშა "ტყის ენა") მონადირეთა ჯგუფის ლიდერს აღნიშნავს კომპოზიტი აცჲმშა "ბედნიერი ხარი" (ზედმიწ.: "ხარ-დღე")... ამ ფაქტთა გათვალისწინებით კვირადღის აღმნიშვნელ აფხაზურ-აბაზურ ფორმებშიც ვვარაუდობთ, რომ ეს უქმე დღე მარკირებული იყო არა როგორც "დღე-დღე", ან "დღის დღე", არამედ მეტაფორულად ნიშნავდა "ბედნიერ, კეთილ დღეს". ანალოგიისათვის გამოდგებოდა ახლომონაოესაავე ადიღეური ენის მონაცემებიც, სადაც დღის აღმნიშვნელი მაფა სიტყვა, რომელიც კანონზომიერი ბგერათშესატყვისობით უკავშირდება აფხაზურ-აბაზურ ამოსავალ *მაშა ფუძეს, ხშირად იხმარება "ბედნიერის, კეთილის, კარგის" სემანტიკით[390]. იგივე მაფა სიტყვა გამოიყოფა ხუთშაბათის ადიღეურ მაფიჯ სახელწოდებაშიც.

---

[390] А.К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. А-Н..., გვ. 261.

რაც შეეხება ორშაბათის აღმნიშვნელ აფხაზ. ა-შაწა და აბაზ. ჱაწა ვარიანტებს, მათგან უფრო ძველი აბაზური ფორმა ჩანს, მაგრამ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ტერმინი სრულებით ამოვარდნილია კვირეულის დღეთა სხვა სახელთა მოდელიდან: არ შეიცავს არც რიცხვითი სახელის ძირს და არც დღის აღმნიშვნელ შა ელემენტს. ამ აფხაზურ-აბაზურ ვარიანტებში ქ. ლომთათიძე გამოყოფდა წა კომპონენტს დროის ზოგიერთი ზმნისართის ძირთან მატერიალური ერთობის საფუძველზე. შდრ.: აფხაზ.-აბაზ. ჲა-წა "დღეს, დღევანდელ დღეს", აშხარ. ჲა-წ-ტ'ა > ტაპანთ. ჲა-წ-ჭ'ა "უკვე გასული დღე (იმავე საღამოს საუბრისას)", აშხარ. შა-წ-ტ'ა > ტაპანთ. შა-წ-ჭ'ა "დღევანდელი დღე (დილით საუბრისას)". სამწუხაროდ, მკვლევარი არ აზუსტებდა, თუ რას წარმოადგენს ამ აშკარად კომპოზიტური სიტყვის პირველი ჱა > შა ელემენტი[391], მაგრამ როგორც უნდა გადაწყდეს ამ ელემენტის რაობის საკითხი, არსებითი ისაა, რომ ორშაბათის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური სიტყვა აშკარად წარმართული კალენდრის გადმონაშთია, რომლის შენარჩუნებამაც წარმოქმნა ის სხვაობა, რაც შეინიშნება კვირეულის ერთი და იმავე დღეების ქართულ და აფხაზურ-აბაზურ სახელთა რიგითობის მარკირებისათვის რიცხვით სახელთა გამოყენების თვალსაზრისით: ქართულში დღეების ათვლა იწყება ერთშაბათიდან, ანუ კვირიდან, ორშაბათი ერთშაბათის, ანუ კვირის მომდევნო დღეა, მერეა სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი და ეს ამ დღეთა სახელწოდებებიდანაც ცხადად ჩანს; აფხაზურ-აბაზურში ორშაბათის სახელი, როგორც ვთქვით, წარმართობიდან დარჩა, რის გამოც კვირის სხვა დღეების ათვლა იწყება არა კვირადღიდან, არამედ ორშაბათიდან, რის გამოც სამშაბათი მეორე დღეა, ოთხშაბათი – მესამე, ხუთშაბათი – მეოთხე, პარასკევი კი – მეხუთე (ანალოგიურადაა საქმე რუსულ ენაშიც, სადაც კვირის დღეთა რიგითობის ათვლა ასევე ორშაბათიდან, понедельник-

[391] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I..., გვ. 78.

იდან იწყება და არა კვირადღიდან).

მთლიანობაში რომ შევაფასოთ, **კვირეულის დღეთა აღნიშვნის აფხაზურ-აბაზური სისტემა ნარევი ხასიათისაა და მასში აშკარად შეინიშნება როგორც ქართული სამწიგნობრო ენის, ისე მეგრული დიალექტის ზეგავლენა**:

1. ქართული სამწიგნობრო ენის სისტემიდან კალკირებულია კვირეულის დღეთა რიგითობის აღნიშვნა რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეთა გამოყენებით (ასეა აგებული 4 დღის სახელწოდება), თუმცა, ქართულისაგან განსხვავებით, ათვლის წერტილად მოიაზრება არა კვირადღე, არამედ ორშაბათი, რომლის სახელიც წარმართული კალენდრიდან ჩანს გადმოყოლილი;

3. მეგრული დიალექტის გავლენის კვალია ის, რომ შაბათის სახელად იხმარება კონტამინირებული ფორმა, რომელიც შედგება მეგრულიდან ნასესხები შაბათის აღმნიშვნელი ფუძის ნაწილისა და დღის აღმნიშვნელი აფხაზურ-აბაზური ძირეული ელემენტისაგან;

4. ის ფაქტი, რომ კვირეულის დღეთა აფხაზურ-აბაზურ სახელებში რთული ფუძის მეორე კომპონენტად გამოყენებულია არა შაბათის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძე, როგორც ეს ქართულ სამწიგნობრო ენაშია, არამედ დღის აღმნიშვნელი ფუძე, აფხაზურ-აბაზურ სისტემაზე მეგრული დიალექტის გავლენის მანიშნებელი უნდა იყოს (შდრ.: წარმართობის გადმონაშთად მიჩნეული მეგრ. **თუთაშხა < თუთაშ დღა** "მთვარის დღე > ორშაბათი" ტიპის სახელები);

5. აფხაზურ-აბაზურ სისტემაში სულ ორი ისეთი სახელია, რომლებიც არ არის სხვა სამეტყველო სისტემის გავლენით შექმნილი: ესაა კვირადღისა და ორშაბათის სახელწოდებები. მათგან ორშაბათის სახელის ერთ-ერთი კომპონენტის რაობა სარკვევია, ხოლო კვირადღის სახელწოდებად გამოიყენება დღის აღმნიშვნელი გაორკეცებული აფხაზურ-აბაზური ფუძე, ამასთანავე გაორკეცებული ელემენტებიდან ერთ-ერთს ფონეტიკური სახე შეცვლილი აქვს, ხოლო მეორე გამოყენებულია მეტაფორული სემანტიკით.

დასასრულს დაისმის საკითხი: როდის და სად (რა ტერი-

ტორიაზე) განიცადა წინარე აფხაზურ-აბაზურმა ენამ ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრული დიალექტის ესოდენ ძლიერი ზეგავლენა?

ვფიქრობთ, გამორიცხულია, რომ ეს მომხდარიყო ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იმ მიზეზის გამო, რომ აქ აფხაზთა წინაპრების ბინადრობა არ დასტურდება XVI საუკუნემდე. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ აფხაზურსა და აბაზურში კვირეულის დღეთა აღნიშვნის სისტემა აბსოლუტურად ერთნაირია, ე.ი. ნაგულისხმევი გავლენა უნდა მომხდარიყო აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის არსებობის დროს, ანუ ისევ XVI საუკუნემდე. უფრო მეტი კონკრეტიზაციისათვის ყურადღება უნდა მიექცეს ერთ ისტორიულ ფაქტსაც: დასავლეთ საქართველოში ე.წ. აფხაზთა სამეფოს შექმნის შემდგომ, დაახლოებით X საუკუნიდან ამ სამეფოს საეკლესიო მოღვაწენი, რომელთა შორის ალბათ მეგრელები ჭარბობდნენ, დიდ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ანუ იმ რეგიონში, სადაც მაშინ ბინადრობდნენ აფხაზ-აბაზათა, უბიხთა და ჩერქეზთა წინაპრები. ქართული ეკლესიის გავლენა კიდევ უფრო მძლავრი იყო ერთიანი ქართული სამეფოს შექმნის დროიდან, ანუ XI საუკუნიდან. ამას ადასტურებს არა მარტო აფხაზურ-აბაზურში, არამედ მის მეზობელ ადიღეურ ენაში გამოვლენილი კვირეულის დღეთა აღნიშვნის ქართული სისტემის ზეგავლენის კვალიც. ამის გამო, საფიქრებელია, რომ ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრული დიალექტისათვის დამახასიათებელი კვირეულის დღეთა აღნიშვნის ქრისტიანული და წარმართული სისტემები ერთდროულად ახდენდა გავლენას აფხაზურ-აბაზურ ენაზე, რისი ნაკვალევიც დღემდეა შემორჩენილი.

§ 11. ფრინველთა აფხაზურ სახელწოდებათა მოტივაციის საფუძვლები და მორფოლოგიური მოდელები[392]

ფრინველთა აფხაზურ სახელწოდებათა ნაწილი პ. უსლარიდან მოკიდებული გაანალიზებული აქვს მეცნიერთა ჯგუფს[393], მაგრამ საკითხი საგანგებოდ ჯერაც არ გამოკვლეულა.

მკვლევარ-ორნითოლოგთა მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღწერილია გარეული ფრინველთა 273 სახეობა (შემთხვევით, ან სპორადულად შემოფრენილ ფრინველთა გარდა). მათგან საქართველოში მუდმივად ბინადრობს 201 სახეობა[394]. რაც შეეხება აფხაზეთს, აქ მობინადრე ფრინველები სრულად ჯერაც არ არის აღწერილი[395]

ჩვენს ხელთ არსებული ენობრივი მასალის მიხედვით, აფხაზურ ენაში წარმოდგენილია გარეული და შინაური ფრინველთა 170-ზე მეტი სახელწოდება. ამასთანავე ზოგ ფრინველს ერთზე მეტი სინონიმური სახელი ჰქვია.

ფრინველთა აფხაზური სახელწოდებების ანალიზი საყურადღებო მონაცემებს გვაწვდის ენაში მოქმედი სახელდების (ნომი-

---

[392] წიგნის ეს ნაწილი დაწერილი და წაკითხულია 1982 წელს (იხ.: თ. გვანცელაძე. ფრინველთა სახელწოდებანი აფხაზურში. – ენათმეცნიერების ისტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1982, გვ. 6-8). ტექსტი უცვლელად იბეჭდება 1982 წლის რედაქციით.

[393] П.К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. I. Абхазский язык. Тифлис, 1887; ქ. ლომთათიძე. აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ). თბ., 1944; ქ. ლომთათიძე. ბულბულის სახელწოდების ყარანა-ს გამო. – სმამ, ტ. V, № 1. თბ., 1944; ქ. ლომთათიძე. აფხაზური აფსაა // აფსაად "ფრინველი" სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. – სმამ, ტ. VI, № 4. თბ., 1945; ქ. ლომთათიძე. აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ). თბ., 1954; Х.С. Бгажба. Бзыбский диалект абхазского языка. Тб., 1964; В.Х. Концьариа. Аҧсуа-абаза алексика иазку аочеркқуа. Аҟуа, 1976; А.К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, т. I, т. II. Мю, 1977 და ა.შ.

[394] რ. ჟორდანია. საქართველოს იშვიათი ფრინველები. თბი, 1979, გვ. 6.

[395] М.Т. Бҕажәба. Ардәына ашәа ахәоит. Аҟуа, 1968, გვ. 6.

ნაციის) მოტივირების პრინციპთა და მორფოლოგიური მოდელების ისტორიის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც წმინდა ლინგვისტური, ისე აფხაზთა ეთნოფსიქოლოგიის კვლევისთვისაც. ამ თვალსაზრისით აფხაზური ენობრივი მასალა საინტერესოა იმით, რომ მისი უმრავლესობა გამჭვირვალეა და ცხადად ჩანს როგორც სახელთა მოტივაციის საფუძვლები, ისე ის მორფოლოგიური მოდელებიც, რომელთაც საფუძველზე აგებულია ეს სიტყვები. ჩვენ მოტივაციის მიხედვით გამოვყოფთ ფრინველთა სახელების შემდეგ ჯგუფებს:

1. ფრინველის გარეგნობით, მისი ანატომიური სპეციფიკით მოტივირებული სახელები. ამ ჯგუფის სახელებში ხაზი გაესმის ბუმბულის, ნისკარტის, თავის, ჩიჩახვის, ბოლოს (კუდის) და სხეულის სხვა ნაწილთა ფორმასა და ფერს, ან სხეულის ნაწილთა მსგავსებას რაიმე სხვა საგანთან. ამგვარი სახელწოდებებია:

ა-წგსდრა "ნიბლია, სკვინჩა": ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "ჭრელი ჩიტი": **ა-წგს** "ჩიტი" + **ა-დრა** "ჭრელი". სახელი მოტივირებულია ბუმბულის ფერით. ფორმა მიღებულია მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ სიტყვად შერწყმის გზით;

ა-ჰჳბგჳ "კულუმბური": ზედმიწ. "პირ-ნაჯახი". შედგება პირის აღმნიშვნელი **ა-ჰჳ** სახელისა და მონადირეთა ენაზე (აბნა ბჳზშა "ტყის ენა") ტაბუირებული ცულის **ა-ბგა > აბგჳ** ფუძისაგან. სახელის მოტივაციის საფუძველია ფრინველის მჭრელი ნისკარტი. კომპოზიტის წევრ მეორე არსებით სახელს ("ცული") შეუძენია ზედსართავი სახელის ფუნქცია. მთლიანად სიტყვა მეტონიმიის შედეგად აღნიშნავს არა მჭრელ ნისკარტს, არამედ ასეთი ნისკარტის მქონე ფრინველს;

ა-ბლაფშ "მთის ჭვინტა": ნიშნავს "მოწითალო ზურგს". შედგება **ა-ბლა** "ზურგი" + **აფშ** "მწითური" < **ა-ყაფშ** "წითელი" ფუძეებისაგან. მოტივირებულია ზურგის ბუმბულის ფერით. სახელს შეცვლილი აქვს აღსანიშნი ობიექტი: აღნიშნავს არა ფრინველის ზურგს, არამედ მთლიანად ფრინველს;

ა-დრგანწჳხა "ბოლოქანქარა": ზედმიწ. "ტაფა-კუდი". სახე-

ლის შემადგენლობაში წარმოდგენილია **აძრგან** "ტაფა" და **აწგხა** "კუდი, ბოლო" ფუძეები. ფრინველის სხეულთან შედარებით გრძელი ბოლო შედარებულია ტაფის სახელურთან. შდრ. ქართული **თოხიტარა**, რომელიც მოტივირებულია თოხის სახელურთან მსგავსებით. სახელი მიემართება არა ამოსავალი სემანტიკით საგულეებელ საგანს (ტაფის ტარს), არამედ ფრინველს;

აჰწნწრყაფშ // > აჰწნწრაფშ "გულწითელა": ზედმიწ. "წითელი ღილი". სახელი მიღებულია **აჰწნწრა** "ღილი" და **აყაფშ** "წითელი" > **აფშ** "მოწითალო" სახელთა ფუძეების შერწყმით. სიტყვა მოტივირებულია ფრინველის მკერდზე არსებული წითელი ფერის ბუმბულით. საინტერესოა, რომ აფხაზურ ფოლკლორში ამ ჩიტის შესახებ ლამაზი თქმულებაა გავრცელებული: ერთ ქალს სტუმარი მოუვიდა, მაგრამ რაკი გასამასპინძლებლად არაფერი ჰქონდა, მკერდი დანით გაიპო და სტუმარს საკუთარი გულით უმასპინძლა. ღმერთმა ამ ქალს თავდადება დაუფასა და იგი კოხტა ჩიტად აქცია. აფხაზთა წარმოდგენით, მკერდის წითელი ბუმბული ნაჭრილობევის კვალია. გულწითელას მოკვლა ცოდვად მიიჩნეოდა. აქაც დარღვეულია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ამოსავალი მიმართება;

აფსარდ "ნისკარტმარწუხა": ზედმიწ. "დუქარდი (ცხვრის საკრეჭი მაკრატელი)". აქაც საქმე გვაქვს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ამოსავალი მიმართების ცვლასთან – დუქარდის სახელი ფორმობრივი ცვლილების გარეშეა გადატანილი ფრინველზე. ფრინველი სახელდებულია კაუჭა ნისკარტის მიხედვით, რომლითაც იგი გირჩებს აქუცმაცებს თესლის გამოსაღებად. შდრ. იმავე საფუძველზე მოტივირებული ამავე ფრინველის ქართული სახელი **ნისკარტმარწუხა**;

აწჳსჳაჟ // აწჳსჳეჟ "მოლაღური, ბიჭოგოგია, შვილოგოგია": ითარგმნება როგორც "ყვითელი ჩიტი". შედგება ჩიტის აღმნიშვნელი **აწჳს** და ყვიოელის აღმნიშნელი **აჳაჟ** > **აჳეჟ** სიტყვათა ფუძეებისაგან. სახელს საფუძვლად ამ ფრინველის ბუმბულის საერთო შეფერილობა უდევს. შდრ. ქართული **ყვი-**

თელგულა, რუს. **желтушник**;

ა-ძაწ-ჯშ "ალკუნი": ზედმიწ. "მწვანე-თეთრი". სახელი მიღებულია **ა-ძაწ-ა** "მწვანე; ლურჯი" ზედსართავ სახელზე თეთრის აღმნიშვნელი **ა-შჯაჯა** ზედსართავი სახელის პირველი თანხმოვნის დართვით, რაც უცხო არ არის აფხაზურ ენაში (შდრ.: **ა-ხ-ჯშ** "ქერა", რაც **ა-ხ-ჯ** "თავი" სახელზე "თეთრის" აღმნიშვნელი **შ** თანხმოვნის მიერთებითაა წარმოქმნილი...). ფრინველს ყვითელი მკერდი, მწვანე ქოჩორი, ზურგი და ფრთები აქვს, მაგრამ თვალის ქვემოთა ნაწილი და კუფა მოყავისფროა, ხოლო ნისკარტის დიდი ნაწილი, ყელი და თვალის უკანა მიდამო თეთრი აქვს. ამ 4 ფერიდან სამოტივაციოდ აფხაზთა წინაპრებმა 2 ფერი აირჩიეს. მომხდარია ზედსართავ სახელთა სუბსტანტივაცია, ანუ შეცვლილია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ამოსავალი მიმართება;

ა-ტაფშ "ტყის ბუ": ზედმიწევნით "მწითურ, მოწითალო ბუს" ნიშნავს და ნაწარმოებია **ა-ტ-ჯ** "ბუ" და ზემოთ უკვე ნახსენები **აფშ** "მწითური" ფუძეების შერწყმის გზით. ფუძის სტრუქტურიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო, რომ ამ სახელწოდების საფუძველი ბუმბულის მოწითალო შეფერილობა ყოფილიყო, მაგრამ რეალურად ტყის ბუს თეთრ-მონაცრისფრო ბუმბული აქვს, რაც არ შეესაბამება ფრინველის სახელს. ეფიქრობთ, სახელი თავიდან მოწითალო ბუმბულის მქონე ზარნაშოს, ან ოლოლის სახელწოდება ყოფილა და შემდეგ გადასულა ტყის ბუზე. ასეთი რამ მოულოდნელი არ არის, მით უმეტეს, რომ სხეულის ფორმებით სამივე ფრინველი ერთმანეთს ძალიან ჰგავს;

ა-ტ-ჯ-ქამსა "ბუკიოტი": სახელის ზუსტი თარგმანია "ბანჯგვლიანი ბუ". კომპოზიტი მიღებულია ბუს ზოგად **ა-ტ-ჯ** სახელზე **ა-ქამსა** "ბანჯგვლიანი" ზედსართავი სახელის ფუძის მიერთებით. ამ ფრინველს მთელი სხეული გაფუებული ბუმბულით აქვს დაფარული, რაც საფუძვლად დასდებია მის აფხაზურ სახელწოდებას. აფხაზური ფორმა რუსულის გავლენით შექმნილი ნეოლოგიზმი ჩანს. შდრ. რუს. **Мохнатый сыч**;

ა-შაჰქამსა "როჭო": ზედმიწ. "ბანჯგვლიანი ფეხი". შედგება **ა-შაჰ** "ფეხი" არსებითი სახელისა და **ა-ქამსა** "ბანჯგვლიანი" ზედსართავი სახელის ფუძეებისაგან. განსხვავებით აქვე განხილული **ა-ტჲქამსა** "ბუკიოტი" სახელწოდებისაგან, რომელშიც ხაზგასმულია ფრინველის სხეულის ზოგადი "ბანჯგვლიანობა", ამ სახელში აქცენტი გადატანილია მხოლოდ ფეხის "ბანჯგვლიანობაზე", რაც თვით ფრინველის გარეგნობითაა განსაზღვრული: როჭოს ფეხებზე მართლაც აქვს ბანჯგვლიანი ბუმბული. შეცვლილია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ამოსავალი მიმართება;

ა-შაჰჲაწ "წყლის ბუღა, ყარაულა": ითარგმნება როგორც "ერთადერთი ფეხი, მხოლოდ ფეხი". შდრ.: **ა-შაჰ** "ფეხი" და **ა-ჲაწ** "მარტო, მხოლოდ". ორნითოლოგ მ. ბღაჟბას სიტყვით, როცა ეს ფრინველი ტოტზე ზის, ცალ ფეხს აიკაუჭებს ხოლმე, რის გამოც ცალფეხას შთაბეჭდილებას ახდენს და ამიტომაც შერქმევია ამგვარი სახელი[396], ანუ სახელწოდება მოტივირებულია იმ გარეგნული შთაბეჭდილების მიხედვით, რასაც დასახელებული ფრინველი ახდენს მნახველზე – გეჩვენება, თითქოს იგი ცალფეხაა. შეცვლილია ამოსავალი მიმართება აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის;

ა-ტჲჳარშა "პრანწია": სახელი ნიშნავს "გაყოფილ რქას" და შედგება რქის აღმნიშვნელი **ა-ტჲჳა** სახელისა და მასზე მიერთებული **ა-რშარა** "გაყოფა" ზმნის მიმღეობისაგან. სახელწოდება მოტივირებულია ფრინველის თავზე ორი საკმაოდ გრძელი წანაზარდის არსებობით[397]. შეცვლილია ამოსავალი მიმართება აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის;

ა-წჳხ-ემჭაფა "ბოლოსადგისა იხვი": ზედმიწ. "განტოტვილი კუდი". კომპოზიტი მიღებულია **ა-წჳხა** "კუდი, ბოლო" არსებითი სახელისა და **ამჭაფარა** "განტოტვა, გაყოფა" ზმნის მიმღეობის შერწყმით. გარეული იხვის ამ სახეობას კუდი უბოლოვდე-

---

[396] М.Т. Бгажәба. დასახ. ნაშრ., გვ. 188.

[397] იქვე, გვ. 214.

ბა ორი გრძელი და ვიწრო წანაზარდით, რაც სახელდების საფუძვლადაა გამოყენებული. მომხდარია აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ამოსავალი მიმართების ცვლა;

ა-ხკაჩ "კოკონა": ზედმიწ. "გასიებული თავი". სახელი მოტივირებულია იმ გარემოებით, რომ იხვის ამ სახეობას თავზე სქელი ბუმბული აქვს, რაც არღვევს პროპორციას მომცრო ტანთან შედარებით. შეცვლილია ამოსავალი მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის;

ა-ფცყ'აყ'ა "ფართოცხვირა იხვი": ზედმიწ. "ბრტყელი ნისკარტი". ამ ფრინველს მართლაც ბრტყელი და ფართო ნისკარტი აქვს. ნეოლოგიზმი შექმნილია რუსულის გავლენით. შდრ.: **широконоска**. შეცვლილია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ამოსავალი მიმართება;

ა-ლრეშ "ქოჩორა ყვინთია": ზედმიწ. "ჭრელ-თეთრი". კომპოზიტი **ა-ჲაწეშ** ალკუნის სახელწოდების ანალოგიური სტრუქტურისაა და მიღებულია **ა-ლრა** "ჭრელი" ზედსართავი სახელის ფუძეზე თეთრის აღმნიშვნელი **ა-შკაკა** ზედსართავი სახელის პირველი თანხმოვნის დართვით. ნომინაციის საფუძველია ფრინველის შეფერილობა: იხვის ამ ჯიშს ახასიათებს თეთრი მუცელი, სხეულის დანარჩენი ნაწილები კი ან შავია, ანდა მოყავისფრო. სიჭრელის ეფექტს 2 ფერის თანაარსებობა ქმნის. შეცვლილია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ამოსავალი მიმართება;

ა-მაყაფშ "ამლაყი იხვი": ზუსტი თარგმანია "მოწითალო ქამარი". კომპოზიტი ნაწარმოებია **ა-მაყა** "ქამარი, სარტყელი" სახელისა და **აფშ** "მწითური, მოწითალო" ფუძის შერწყმით. მართლაც, იხვის ამ სახეობას მკერდსა და ზურგზე ფართო მოწითალო რგოლი აქვს შემოვლებული, რაც სახელდების საფუძვლად ქცეულა (შდრ. ამავე ფრინველის ქართული სამეცნიერო სახელწოდება **ყელწითელა იხვი**). შეცვლილია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ამოსავალი მიმართება;

ა-შლარჯ "მდელოს ბოლობეჭედა": ზედმიწ. "ჭაღარა-ლურჯი". შედგება **ა-შლა** "ჭაღარა" და ქართულიდან ნასესხები **ა-**

ლარჯ < ლურჯი ზედსართავი სახელებისაგან. აფხაზი ორნითოლოგის მ. ბღაჟბას სიტყვით, ამ ფრინველს სხვა მტაცებელ ფრინველთაგან მკვეთრად გამოარჩევს შეფერილობა: იგი თვალშისაცემად "ჭაღარაა"-ო[398]. სახელიც ამითაა მოტივირებული. შეცვლილია ამოსავალი მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშველს შორის;

ა-ფაწაქალა "ულვაში წივწივა": ითარგმნება როგორც "დაწკეპილი ულვაში". სახელი მოტივირებულია ფრინველის თვალქვემოთ გამოსახული საკმაოდ დიდი ზომის "დაწკეპილი ულვაშებით". გამოყენებულია მეტონიმიის ხერხი: მსაზღვრელსიტყვიანი ულვაშის სახელწოდება გადატანილია ფრინველზე;

ა-ლვაჩ "ღვის ყვინთია, თეთრგვერდა იხვი": ზედმიწ. "შესქელებული ბოლი; კვამლის ბოლქვი". სახელი შედგება კვამლის, ბოლის აღმნიშველი **ა-ლვა** სახელისა და **ა-ჩრა** "გასიება; გასქელება" ზმნის მიმღეობის **ჩ** ძირისაგან. მოტივაცია ემყარება იხვის ამ სახეობის ბუმბულის შეფერილობას, რომელიც, მ. ბღაჟბას ცნობით, ნედლი ფიჩხის წვისას გამოცემული კვამლის ფერს ჰგავს[399]. დარღვეულია ამოსავალი მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშველს შორის;

ა-ფრაჰაფშ "მეკანაფია": ზედმიწ. "მოწითალო წინსაფარი". შედგება **ა-ფრაჰა** "წინსაფარი" და **აფშ** "მოწითალო, მწითური" სახელებისაგან. მოტივირებულია იმ გარემოებით, რომ მამალ მეკანაფიას მოწითალოდ შეფერილი მკერდი აქვს. დარღვეულია საგულვებელი მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშველს შორის;

ა-ჯოუჰარ "ჭვინტაკა": ზედმიწ. "წინწკალი, კოპალი". სახელს საფუძვლად დასდებია ის ფაქტი, რომ ჭვინტაკას ნისკარტიდან მკერდამდე რამდენიმე სვეტად ჩამწკრივებული წინწკლები, კოპლები აქვს. დარღვეულია ამოსავალი მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშველს შორის;

ა-ჯეჟ "ფასკუნჯი; სვავი": ზედმიწევნით ითარგმნება რო-

---

[398] М.Т. Бҕажәба. დასახ. ნაშრ., გვ. 306.

[399] იქვე, გვ. 232.

გორც "კუზი". მ. ბღაებას ცნობით, როცა ეს ფრინველი ფეხზე დგას, ზურგი ამოებერება ხოლმე, რაც კუზიანის შთაბეჭდილებას უქმნის. სახელიც ამითაა მოტივირებული. დარღვეულია ამოსავალი მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის...

2. ფრინველის ბიოტოპით (საბინადროთი) მოტივირებული სახელები. ამ ჯგუფის სახელები უპირატესად კომპოზიტებია, რომელთა ერთ-ერთ წევრად გვევლინება ტყის, მთის, წყლის, ზღვის, ჭაობისა და იმ მცენარეთა სახელწოდებანი, რომლებზეც ბუდობენ შესაბამისი ფრინველები, მეორე კომპონენტად კი გამოდის კონკრეტულ ფრინველთა სახელები, ან ყველაზე ხშირად – სიტყვები **ა-წყს** "ჩიტი" და **ა-კტ** "ქათამი". ამ ჯგუფში შედის შემდეგი სახელები:

ა-ჰკატა "გარეული იხვი": ზედმიწევნით ნიშნავს "წყლის იხვს". შეიცავს **ა-ჰ** "წყალი" + შინაური იხვის მეგრულიდან ნასესხები სახელწოდება **ა-კატა**. საყურადღებოა, რომ შინაური და გარეული იხვების გასარჩევად ენა იყენებს შემდეგ ხერხს: შინაური იხვის აღსანიშნად იხმარება მარტივი ნასესხები **ა-კატა** სახელი, ხოლო გარეული იხვისათვის იმავე სახელს ემატება წყლის აღმნიშვნელი სახელი, რაც ალოგიკური ჩანს, ვინაიდან შინაური იხვიც წყლის ფრინველია, მაგრამ აქ არსებითი წყლის ცნების გამოხატვა კი არ არის, არამედ სხვაობის მარკირებაა – **შინაური ფრინველის სახელწოდება უფრო ზოგადი სემანტიკის მქონე სიტყვადაა აღქმული და გარეული სახეობის დასაზუსტებლად გამოყენებულია წყლის აღმნიშვნელი სიტყვა** (შდრ. ქართული **იხვი** და **გარეული იხვი**). მაინცდამაინც წყლის სახელის ხმარება ალბათ განაპირობა იმან, რომ **გარეულის ცნებას აფხაზურში, ჩვეულებრივ, ა-ბნა "ტყე" სიტყვის შემცველი ფორმები გამოხატავს** და რაკიღა გარეული იხვი ტყეში არ ბინადრობს, ამ ფორმის ნაცვლად გარეულობის მარკერად გამოყენებულ იქნა წყლის სახელწოდება;

ა-ჰრლწნა "წყლის შაშვი": ჩვენი აზრით, კალკირებული შესატყვისია ქართული სახელწოდებისა. ნაწარმოებია **ა-ჰ** "წყალი" და **ა-რლწნა** "შაშვი" სახელებისაგან. მოტივირებულია იმ

გარემოებით, რომ ეს ფრინველი ბინადრობს მდინარეებისა და ჰბების ნაპირებზე. განსხვავებით გარეული იხვის სახელწოდებისაგან, ამ შემთხვევაში შაშვის ზოგად **ა-რლუნა** სახელს წყლის აღმნიშვნელი ფუძე დართული აქვს არა წყლის შაშვის გარეულობის მარკირებისათვის (შინაური შაშვი არ არსებობს), არამედ იმ სხვაობის გამოსახატად, რომ ჩვეულებრივი შავი "ხმელეთის" ფრინველია, ხოლო წყლის შაშვი სწორედ წყლიან ადგილებს ეტანება;

ა-ძლაჰა "გედი": ნიშნავს "წყლის ჭკას". შედგება წყლის აღმნიშვნელი სიტყვისა და **ა-ლაჰა** "ჭკა" სახელისაგან. მოტივაცია უცნაურია: ჭკა ყორნის მსგავსი მომცრო ფრინველია და არც ანატომიურად, არც საკვებით და არც ნირით არ ჰგავს გედს. ჩანს, ეს სახელი ადრე წყლის სხვა ფრინველს ერქვა და შემდეგ მიიღო გედის სემანტიკა;

ა-ძცაა "წყლის ბუღა, ყარაულა": ზედმიწ.: "წყლის ბუღა". აფხაზური სახელწოდება და ქართული **წყლის ბუღა** კალკირებულია რუსული **выпь-бугай, водяной бык** სახელებიდან და შედგება წყლის აღმნიშვნელი სახელისა და **ა-ცაა** "ბუღა" სიტყვისაგან. როგორც რუსული, ისე ქართული და აფხაზური სახელწოდებები მოტივირებულია, ერთი მხრივ, ამ ფრინველის წყლიან გარემოში ბინადრობითა და, მეორე მხრივ, იმით, რომ ყარაულა ნისკარტს წყალქვეშა შლამში ჩაარჭობს, ხმაურით გამოუშვებს ჰაერის მძლავრ ნაკადს, რაც შლამს ამღვრევს, ზედაპირზე ამოაგდებს შლამის ბინადარ წვრილ ცხოველებს და მიირთმევს მათ. ამ დროს გამოცემული ხმა ხალხს მიუმსგავსებია ბუღის გაბმული ბღავილისათვის;

ა-ძხჯარ "დიდი კრონშნეპი": სახელწოდება მთლიანად ვერ ვთარგმნეთ, ვინაიდან წყლის აღმნიშვნელ აფხაზურ სახელს ერთვის **ხჯარ** სეგმენტი, რომელიც დამოუკიდებელ სიტყვად არ დასტურდება;

ა-ძკჯრინა "წყლის ქათამი": ეს სახელიც ზედმიწევნით ძნელი სათარგმნელია, ვინაიდან მეორე სეგმენტის რაობა სარკვევია. ერთი კი შეიძლება ითქვას, მეორე სეგმენტში წარმოდგე-

ნილი ი ხმოვანი ამ სეგმენტის ახალ ნასესხობაზე უნდა მიუთითებდეს;

ა-ყარმაწგს "ბულბული": ზედმიწ. "სვიის ჩიტი". ნაწარმოებია სვიის (მცენ.) აღმნიშვნელი **ა-ყარმა** და ჩიტის **ა-წგს** სახელწოდებებისაგან[400]. ფრინველი ბინადრობს ფოთლოვან ტყე-ბუჩქნარებში, იკვებება კენკრით, წვრილი ხილით, მწერებით. აფხაზების რწმენით, ბულბულს განსაკუთრებით სვიის ნაყოფი უყვარს, ამიტომაც ამბობენ, ბულბული მანამ გალობს, სანამ სვია იზრდება, გაჩუმებისა ეშინია, ვაითუ ტანში სვია აღმომიცენდესო[401];

ა-ყარმგშ "შავთავა ასპუჭაკა": სახელი ითარგმნება როგორც "თეთრი სვია". ნაწარმოებია სვიის **ა-ყარმა** ფუძეზე თეთრის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელის პირველი თანხმოვნის დართით. სახელდება, როგორც ჩანს, მოტივირებულია იმავე გარემოებით, რაც ბულბულის შემთხვევაშია: ეს მგალობელი ფრინველიც ფოთლოვან ტყე-ბუჩქნარებში ბინადრობს, იკვებება მწერებითა და კენკრით, მათ შორის სვიის ნაყოფითაც. საინტერესოა, რომ აქაც საქმე გვაქვს ერთი საგნის სახელწოდების მეორეზე გადატანასთან (მეტონიმიასთან), ანუ შეცვლილია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ამოსავალი მიმართება;

ა-ძმახჯგ "მელოტა": ზედმიწ. "ჭაობის ქათამი". შედგება **ა-ძმახ** "ჭაობი" + **ა-ჯგ** "ქათამი" სიტყვათა ფუძეებისაგან. მოტივირებულია ამ ფრინველის ჭაობნარში ბინადრობით;

ა-შხარწგს "ჩიტბატონა": ზედმიწ. "მთების ჩიტი". შედგება მხოლობითი რიცხვის ფორმაში მდგომი **ა-შხა** "მთა" სახელისაგან, მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელური **რ-** პრეფიქსისა და **ა-წგს** "ჩიტი" სახელისაგან. მართალია, ეს ფრინველი ბარშიც ბინადრობს და მთაშიც, მაგრამ აფხაზმა ხალხმა მის მთავარ საბინადროდ მაინც მთა ჩათვალა. აქედანაა სახელწოდებაც;

---

[400] ქ. ლომთათიძე. ბულბულის სახელწოდების **ყარანა**-ს გამო. – სმამ, ტ. V, № 1. თბ., 1944, გვ. 122.

[401] М.Т. Бгажәба. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

ა-ჩალე "მეჩალია": ზედმიწ. "ჩალა; ჩალამკალამი". სახელი ნასესხებია ქართულიდან, შდრ.: ძვ. ქართ. **ჩალა-დ**. ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც შავთავა ასპუჭაკას სახელწოდების შემთხვევაში, მომხდარია მეტონიმია, ე.ი. შეცვლილია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ამოსავალი მიმართება: ფრინველზეა გადატანილი მისი საბინადროს სახელი, ეს ფრინველი კი ჭაობის ლაქაში, ლერწამსა და ჩალამკალამში ბინადრობს;

ა-ბენჰეჰ "გარეული მტრედი": ზედმიწ. "ტყის მტრედი". სახელი ნაწარმოებია **ა-ბნა** "ტყე" + **ა-ჰეჰ** "მტრედი" კომბინაციით. ტყის სახელი აქ ფრინველის გარეულობის მარკერია;

ა-ბენკტე 1. "ხოხობი"; 2. "როჭო": ზედმიწ. "ტყის ქათამი". ამ 2 ფრინველის საზიარო სახელი ისეთივე მოდელისაა, როგორც გარეული მტრედისა: **ა-ბნა** "ტყე" + **ა-კტე** "ქათამი". ტყის სახელი აქაც გარეულობის მარკერია;

ა-ბენდზ "გარეული ბატი": ზედმიწ.: "ტყის ბატი". სახელი აგებულია იმავე მოდელზე, როგორც **ა-ბენჰეჰ** და **ა-ბენკტე**. ტყის სახელი ამ შემთხვევაშიც წყლის ფრინველის გარეულობის მარკერია;

ა-ბენკატა "გარეული იხვი": ზედმიწ. "ტყის იხვი". მოდელი და მოტივაცია იგივეა, რაც წინა სამ მაგალითში;

ა-მაქაწეს "რქოსანი ტოროლა": ზედმიწ. "ქასურის, სალესი ქვის ჩიტი". შედგება **ა-მაქა** "ქასური, სალესი ქვა" და **ა-წეს** "ჩიტი" სახელებისაგან. მონადირეთა ენაზე **ამაქა** ქვის ტაბუირებული სახელიცაა, ამიტომ უფრო ზუსტი იქნება, თუ სახელს ვთარგმნიდით, როგორც "ქვის ჩიტს", რასაც საფუძვლად ის გარემოება უდევს, რომ ტოროლას ეს სახეობა ბინადრობს კლდოვან და ქვაღორღიან ადგილებში;

ა-ფავჟეს "ფლატის მერცხალი": ზედმიწ. "ფლატის მერცხალი". ნაწარმოებია **ა-ფავ** "ფლატე" და **ა-ჟეს** "მერცხალი" სახელების შეერთების გზით. ჩვენი აზრით, კალკირებულია ქართული **ფლატის მერცხალი**-ს მიხედვით, შდრ. რუს. **береговая ласточка** "ნაპირის, სანაპიროს მერცხალი";

ა-ლფსაწ-ს "ყვითელთავა ნარჩიტა": ზედმიწ. "თხმელის, მურყნის ყვავილედის ჩიტი". შედგება **ა-ლფსა** "თხმელის ყვავილედი" და **ა-წ-ს** "ჩიტი" სიტყვათა ფუძეებისაგან. ეს ჩიტი მართლაც ბინადრობს თხმელნარში და სახელიც აქედან მომდინარეობს. აფხაზურ ენაში დასახელებული ფორმისაგან ფონეტიკური ცვეთის შედეგად მიღებულია გამარტივებული **ა-ლსა** ვარიანტიც;

ა-ფსანჭ "წითელთავა ნარჩიტა": ფუძე აშკარად შეიცავს სოჭის ხის აღმნიშვნელ **ა-ფსა** სახელის ფუძეს, თუმცა მისი მეორე **ნჭ** კომპონენტის რაობა სარკვევია. ფრინველი ბინადრობს სოჭნარში;

ა-შ-შაწ-ს "მოლაღური, ბიჭოგოგია, შვილოგოგია": ზედმიწ. "წყავის ჩიტი". სიტყვა ნაწარმოებია **ა-შ-შა** "წყავი" და **ა-წ-ს** "ჩიტი" სახელებისაგან. სახელდების საფუძველია ამ ფრინველის საკვებში წყავის ნაყოფის არსებობა და ა.შ.

ამავე ჯგუფს უნდა განვუკუთვნოთ ფრინველთა ის სახელებიც, რომელთა პირველ კომპონენტებად დასტურდება შინაურ ცხოველთა სახელწოდებანი. ასეთებია:

ა-ჯ-წ-ს "მერცხალი": ზედმიწ. "ძროხის ჩიტი"; **ა-ჯრლ-ნა** "შოშია": ზედმიწ. "ძროხის შაშვი"; **ა-ჯასარლ-ნა** "შოშია": ზედმიწ. "ცხვრის შაშვი". ამ სახელწოდებათა ნომინაციას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მერცხალი და შოშია არ უფრთხიან ადამიანს და ბინადრობენ ადამიანთან ახლოს, მათ შორის ფარეხებსა და ბოსლებში...

3. ფრინველის ნირითა და საკვების მოპოვების ჩვევით მოტივირებული სახელები. ამ ჯგუფის სახელწოდებებში დახასიათებულია ფრინველის ქცევის თავისებურებანი და ხშირადაა წარმოდგენილი მათი საკვების აღმნიშვნელი ფუძეები. მათში საკმაოდ ორიგინალურად არის აღწერილი ფრინველის თვისებები. მაგალითად:

ა-რქ-ნცც-ც "მაქცია": ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "ნებიერი, განებიერებული; ონავარი, ანცი, ცელქი". ამ ფრინველს შეუძლია თავ-კისრის მიტრიალება 180 გრადუსით. გარ-

და ამისა, ბარტყობაში ადვილად შინაურდება და პატრონის დანახვაზე ახლოს ჯდება, თავს უცნაურად იგრეხს და ფრენაცეკცას იწყებს[402]. როგორც ჩანს, ეს სითამამე-ონავრობაა სახელდების საფუძველი;

აშშალგჩ 1. "წივწივა"; 2. "წიწკანა": ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "ქონის ქურდი". წივწივები და წიწკანები ადამიანთა საცხოვრისთან ახლოსაც ბინადრობენ და ნასუფრალითაც იკვებებიან. წარსულში აფხაზთა წინაპრებს საზამთროდ საქონლისა და ფრინველის ხორცი ბოლში გამოჰყავდათ და ლურსმანზე დაკიდებულს, ან კერიის თავზე გადებულ მოწნულ ჩელტზე ინახავდნენ. როგორც ჩანს, წივწივები და წიწკანები არ უკადრისობდნენ ამგვარად შენახული ხორცის ჩუმად ჭამას, რის გამოც მათ ქონის ქურდები შეარქვეს;

აცჟლაშშჟ "წყრომი": ზედმიწ. "მძინარა, ძილისგუდა; მოღვენთილი, მოთენთილი". ხალხური წარმოდგენით, წყრომი გამუდმებით გაიძახის: **სჟცოუპ, სჟცოუპ, სჟცოუპ** "მძინავს, მძინავს, მძინავს"-ო[403]. სახელდების მოტივი ეს წარმოდგენა და ის ფაქტია, რომ წყრომი ღამით აქტიურობს, დღისით კი სძინავს, ან მოთენთილი ზის;

აძთას "ზღვის წინტალა": ზედმიწ. "წყალში ჩაყვინთული, წყალში ჩაცემული". ეს ფრინველი წყლის ქვიშნარ ნაპირებზე "დასეირნობს" და წყალში საკბილოს შემჩნევისთანავე სწრაფად ყვინთავს. ეს ჩვევა გამხდარა ფრინველის ნომინაციის მოტივი[404];

აცჭრფჟნ "მცირე ქარიშხალა": ზედმიწ. "ტალღაზე მყოფი". ეს ზღვის ფრინველი არ უფრთხის მღელვარე ზღვას, ქარიშხალს, ელვა-ქუხილს. სახელიც ამითაა მოტივირებული. კალკირებულია რუსული буревестник სახელისაგან;

აძცა "ყანჩა": ზედმიწ. "წყალზე მძინარი". სახელი მოტივირებულია იმ ფაქტით, რომ სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ყანჩა

---

[402] М.Т. Бҕажәба. დასახ. ნაშრ., გვ. 78.
[403] იქვე, გვ. 170.
[404] იქვე, გვ. 246.

წყალში ატარებს;

ა-ფშარგ "ორბი": ზედმიწ. "ქარების გული". ამ მეტაფორულ სახელწოდებაში, როგორც ჩანს, იგულისხმება ის, რომ ორბი მაღალმთიანეთის ბინადარია და ცაში ლივლივისას მიჰყვება ქარის დინებას. დარღვეულია ამოსავალი მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის;

ა-ჰაზა "სინეგოგა": ზედმიწ. "მცოცავი, მხოხავი". სახელდებას საფუძვლად უდევს ფრინველის თვისება, დაუბრკოლებლად იაროს ხის ზროზე ზევით-ქვევით;

ა-თჭჭა "წითელფრთიანი კლდეცოცია": ითარგმნება როგორც "შიგნიდან ამოხეთქილი, შიგნიდან დამსკდარი". სახელი წარმოადგენს **ა-თჭჭარა** "შიგნიდან ამოხეთქა, დასკდომა" ზმნის მიმღეობას. მოტივირებულია ამ ფრინველის ჩვევით, გრძელი, წვეტიანი და წერილი ნისკარტით ამოხეთქოს ხის ნაპრალები და მიირთვას შიგ ჩაბუდებული მწერები. დარღვეულია ამოსავალი მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის...

4. ფრინველის ხმიანობით მოტივირებული სახელები. ეს ჯგუფი ყველაზე მეტ სახელს აერთიანებს, რომლებიც, თავის მხრივ, 2 ქვეჯგუფს ქმნიან, კერძოდ:

ა. წმინდა ფუძის სახით წარმოდგენილი ხმაბაძვითი სიტყვები, რომლებსაც მხოლოდ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა-** პრეფიქსი ერთვის. ბევრი მათგანი რედუპლიცირებულია. **ამ ქვეჯგუფის სახელთა საზიარო მახასიათებელია ის, რომ მათში დარღვეულია ამოსავალი მიმართება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის – ხმიანობის სახელწოდება უცვლელადაა გადატანილი შესაბამისი ხმის გამომცემ ფრინველზე:**

ა-ყართ "კრუხი" – საზიარო ფუძეა ჩერქეზულთან, შდრ.: ადიღ.-ყაბ. **ყერთ**; **ა-ხ'აჟ** "ჩხიკვი", შდრ. ქართული **ჩხიკვი**, რომელიც ასევე ხმაბაძვითია; **ა-წიუწიუ** "თოხიტარა", შდრ. სხვა ფრინველის ქართული სახელი **წივწივა**; **ა-წჳფწჳფ** "მეღორღია"; **ა-ჭაქჭაქ** "მთის ჭვინტა"; **ა-ჭერჭერ** "მეჩალია"; **ა-წერწერ** "ციბრუტა მეჩალია"; **ა-ყათ-ყათ** "მწვანულა"; **ა-კუკუ** "გუგული",

შდრ.: ადიღ. ჭჭუ, ქართ. გუგულ-ი, რუს. **кукушка**, ლათინ. **cuculus**...; **ა-ჰარჰარ** "თუთიყუში"; **ა-კარკარ** "წყლის ქათამი"; **ა-ყ'აფყ'აფ** "რუხი იხვი"; **ა-ჭჭა** "იხვინჯა", იგივე სიტყვა აფხაზურში ტკაცუნის, ჭრიალის აღმნიშვნელია. შდრ. რუს. **чирок-трескунок**; **ა-კამკამ** "ბოლოკარკაზი, ცუდქორა"; **ა-კაფკაფ** "შურთხი"; **ა-ჭჭა** "მგლინავა", იგივე სიტყვა ჭრიალსაც აღნიშნავს; **ა-ყორინჭ** "მთიულა"; **ა-ყით // < აყუთ** "სტვენია"; **ა-ყურლ'აფ** "ჭიკჭარა" – მ. ბღაჟბას სიტყვით, იხვის ეს სახეობა წყლიდან ამოყვინთვისას **ყურრლ'აფ, ყურრლ'აფ**-ს იძახის[405]; **ა-ბეფუბჟ'** "ოფოფი"; **ა-სია** "ტყის მწყერჩიტა" – აფხაზთა შთაბეჭდილებით, ეს ფრინველი **სი-სი-სი, სა-სა**-ს იძახის და ამიტომაც ჰქვია ამგვარი სახელი[406] და ა.შ.

ბ. მეორე მოდელს ქმნიან რთულფუძიანი სახელები, რომლებშიც ერთ-ერთ კომპონენტად გამოდის ხმაბაძვითი ფუძე (ძირი). თავის მხრივ, ეს ფუძე დამოუკიდებლადაც შეიძლება იხმარებოდეს იმავე, ან სხვა ფრინველის სახელწოდებად. მაგალითად:

ა-ტრჯაა "თეთრშუბლა იხვი": ზედმიწ. "სტვენია, სტვენის დამცემი"; **აშხარყუთ** "კვირიონი": ზედმიწ. "მთების სტვენია", შდრ. **ა-ყით // აყუთ** "სტვენია"; **ა-წლარკჯ'** "კოდალა": ზედმიწ. "ხეების ამკაკუნებელი", შდრ. **ა-კჯკჯ** "გუგული", ქართ. **ხეკოდა, ხეკაკუნა**; **ა-შაშგწ'აჟ** "ოფოფი": პირველი კომპონენტის რაობა სარკვევია, მეორე კომპონენტად კი გამოყენებულია ჩხიკვის ხმამაბაძვითი სახელი **ა-წ'აჟ**; **ა-ტჳარჳარ** "ზარნაშო": პირველ კომპონენტად გამოდის ბუს სახელი **ა-ტჳ**, მეორე კი ხმაბაძვითი რედუპლიცირებული ძირია; **ა-შხაკაფკაფ** "შურთხი": ზედმიწ. "მთის შურთხი". პირველი კომპონენტია მთის აღმნიშვნელი **ა-შხა** სიტყვა, მეორეა შურთხის ხმაბაძვითი სახელი **ა-კაფ-**

---

[405] М.Т. Бҕажәба. დასახ. ნაშრ., გვ. 228.

[406] იქვე, გვ. 58.

კაფ; ა-цаბლგკაჭკაჭ "ზღვის კაჭკაჭი": ზედმიწ. "ჩიბუხა-კაჭკაჭი". ორივე კომპონენტი ნასესხებია და ისინი აფხაზურში დამოუკიდებელი სახელებია: პირველ კომპონენტად გამოყენებულია ა-цаბლგ "ჩიბუხა, ცხრატყავა" სიტყვა, რომელიც მომდინარეობს რუს. **цапля** "ყანჩა" სახელისაგან (მასში სემანტიკა გადაწეულია), მეორე კომპონენტი კი ქართული **კაჭკაჭ-ი** სახელია და ა.შ.

5. **ფრინველის საკვებით მოტივირებული სახელები**. მრავალ ენაში ფრინველთა სახელწოდებების ეს ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ასეა, მაგალითად, ქართულში (შდრ.: **მოლაღური, მელეღვია, მემატლია, მეკანაფია, კრავიჭამია, ბატკანძერი**...), რუსულში (შდრ.: **овсянка, мухоловка, крапивник, коноплянка, тетервятник, перепелятник, осоед**...). აფხაზური ენა ამ მხრივ თავისებურებას ამჟღავნებს: საკვებით მოტივირებული ფრინველთა სახელწოდებები ამ ენაში საკმაოდ ცოტაა. ამასთანავე ამ ჯგუფში შემავალ სახელებში გამოყენებულია იმ მცენარეთა სახელებიც, რომლებზეც ბინადრობს ესა თუ ის ფრინველი და რომელთა ნაყოფსაც იგი საკვებად იყენებს. ამიტომ ამგვარ სახელწოდებათა შეყვანა საკვებით მოტივირებულ ტერმინთა ჯგუფში პირობითია, რადგან **ისინი ორმაგადაა მოტივირებული ბიოტოპით (საბინადროთი) და საკვების მოპოვების ჩვევით (ხერხით)**. ასეთი ორმაგად მოტივირებული სახელებია ზემოთ განხილული: **ა-ყარმაწგს** "ბულბული", **ა-ყარმგშ** "შავთავა ასპუჭაკა", **ა-შგმჰაწგს** "მოლაღური, ბიჭოგოგია, შვილოგოგია". ამ სახელებს ემატება საკუთრივ **საკვებით ცალმაგად მოტივირებული** შემდეგი სახელწოდებები:

ა-ნგცწგს "მეკანაფია": ზედმიწ. "კანაფის ჩიტი". ბინადრობს ხე-ბუჩქნარებში, ჩირგვებში. უპირატესად იკვებება მცენარეთა თესლეულით, მათ შორის კანაფის თესლითაც, სახელიც ამითაა მოტივირებული. შესაძლოა, კალკირებული იყოს რუსული **коноплянка**, ანდა ქართული **მეკანაფია** ფორმებისაგან;

ა-შხგრცაღფაგ "ბოლოკარკაზი, ცუდქორა": ზედმიწ. "კრაზანას მჭამელი, ბზიკიჭამია". ძირითადად იკვებება კრაზანა-

ბზიკებით, იშვიათად, ბაყაყებითა და წიწილებით. სახელი კალკირებული უნდა იყოს რუსული **осоед** "ბზიკიჭამია" სახელისაგან;

აშწჭ "რუხი მემატლია": ზედმიწ. "ბუზიჭამია". იკვებება ბუზებითა და სხვა მწერებით. სახელიც ამითაა მოტივირებული. კალკირებულია რუს. **мухоловка**-ს მიხედვით;

აჩა "მწყერი": ფონემატური სტრუქტურით ემთხვევა პურის აღმნიშვნელ **აჩა** ფუძეს, ოღონდ ამ სიტყვებს შორის მახვილის ადგილმდებარეობა ქმნის სხვაობას. ვფიქრობთ, ეს გარემოება დაბრკოლებას არ უნდა ქმნიდეს ამ სახელთა კავშირის სამტკიცებლად. საქმე ის არის, რომ მახვილის გადანაცვლება ომონიმიის თავიდან ასარიდებლად მოულოდნელი სულაც არაა. რაც შეეხება მოტივაციას, იგი ემყარება იმ გარემოებას, რომ მწყერი პურის ყანებში ბინადრობს და ხორბლის მარცვლებით იკვებება. აქაც მომხდარია მეტონიმია: საკვების სახელი მცირედი ცვლის გზით ფრინველის სახელად გადაიქცა. ერთადერთ დაბრკოლებად ის რჩება, რომ ხორბალი აფხაზეთში ძნელად ხარობს და ნაკლებად ითესებოდა. ჩანს, ფრინველის სახელად პურის სახელწოდების გამოყენება ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანისპირეთში მოხდა, სადაც ხორბალი კარგადაც ხარობს და წამყვანი კულტურაცაა.

6. საკრალურ-ანთროპონიმული წარმოშობის სახელები. გამოიყოფა რამდენიმე სახელწოდება, რომლებშიც ერთ-ერთ კომპონენტად შედის ღმერთისა და ეშმაკის სახელები, სოციალური ტერმინი **აჵ** "ბატონი; მთავარი, სამთავროს მფლობელი", ასევე ადამიანთა პირსახელები და გვარსახელებიც კი. ასეთებია:

აცარწჳს "მერცხალი": ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "ქალღმერთების ჩიტი". საყურადღებოა, რომ პირველ კომპონენტად გამოყენებული **ანცა** სიტყვა აფხაზურ-აბაზურში დედის აღმნიშვნელი სიტყვის მრავალობითი რიცხვის გაქვავებული ფორმაა, მაგრამ დღეს უკვე გაიგება მხოლობითი რიცხვის მამაკაცის კლასის სახელად, რაზეც ის ფაქტი მიუთითებს, რომ ეს სახელი მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელებსა და ზმნებში მამაკაცის გრამატიკული კლასის **ი-//ლ-**

პრეფიქსს აჩენს[407]. ფრინველის სახელწოდების ერთ ვარიანტში ეს ასეც არის: მ. ბღაჟბას ორნითოლოგიურ ნაშრომში დასტურდება მხოლოდ **ანცა იწჳს** "ღმერთის ჩიტი" (ზედმიწ.: "ქალღმერთები + მისი (მამაკაცის) ჩიტი") ფორმა[408], მაგრამ აფხაზურ ზეპირ მეტყველებაშიც და სამწიგნობრო ენაშიც უპირატესად გავრცელებულია ეტიმოლოგიურად უფრო სწორი და უძველესი **ანცაარწჳს** "ქალღმერთების ჩიტი" ვარიანტი. მერცხლის სახელის ამგვარი მოტივაცია ამ ფრინველისადმი აფხაზთა განსაკუთრებულ სიყვარულსა და მის საკრალურობას გამოხატავს – აფხაზებში ისევე, როგორც ქართველებსა და მრავალ სხვა ხალხში, მერცხლის ჭიკჭიკი სასიამოვნო ამბის წინასწარმეტყველებად აღიქმება, ხოლო მისთვის ბუდის დანგრევა, ან მისი მოკვლა უბედურების მომასწავებლად ითვლება;

აჳსთაა იჟტჳ "თვალჭყეტია, წოლელა": ზედმიწ. "ეშმაკის ქათამი". მ. ბღაჟბას ვარაუდით, ფრინველს სახელი ალბათ იმიტომ შერქმევია, რომ იგი ძნელი მოსახელთებელია და ღღისით მას ადამიანი იოლად ვერ იპოვის[409];

ჭაკუატ იწჳს "მწვანე კვირიონი": ზედმიწ. "ჭაკვატის ჩიტი", ჭაკვატი მამაკაცის პირსახელია. ამ სახელწოდებასთან დაკავშირებულია შემდეგი გადმოცემა: ერთხელ ზარმაცი კაცი, სახელად ჭაკვატი, შქერის ბუჩქნარში წამოწვა და ჩაეძინა. დილით მისმა მეგობრებმა, ვისთან ეროვდაც იგი სადღაც უნდა წასულიყო, ვერ იპოვეს და ძებნა დაუწყეს. ამ დროს ჭაკვატი ბუჩქებიდან გამოძვრა. თურმე კრაზანებს დაეკბინათ და სახე ისე დასიებოდა, მეგობრებმა ძლივს იცნეს. სად დაგკბინეს ასეო, როცა ჰკითხეს, ჭაკვატმა მიუგო, აი, იმ ხის ქვეშო. მეგობრები მივიდნენ ხესთან. მასზე კრაზანების ბუდე ყოფილიყო, მაგრამ იმ ბუდეში მათთვის მანამდე უცნობი ლამაზი ჩი-

---

[407] ქ. ლომთათიძე. კვლავ აფხაზური **ანცა** ("ღვთაება") სიტყვის ფუძის აგებულების შესახებ. – "მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია", № 3, 1978, გვ. 144-147.

[408] М.Т. Бгажәба. დასახ. ნაშრ., გვ. 136.

[409] იქვე, გვ. 184.

ტიც მჯდარა (კვირიონები კრაზანებსა და ხოჭოებს ჭამენ). ამის მერე უცხო ფრინველს **ჭაკვატის ჩიტი** შერქმევია[410];

ლაზ იწგს // ლაზბა იწგს "კავკასიური წიწკანა": სახელის მოტივირების საფუძვლის დამადასტურებელ რაიმე თქმულებას ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი ამავე ფრინველის რუსული **лазаревка** სახელის გააფხაზურებული სახეობაა;

აჰ იკტგ "ფარშავანგი": ზედმიწ. "მთავრის ქათამი". სახელის სემანტიკა მიუთითებს, რომ ეს ფრინველი აფხაზეთში შარავაშიძეებს შემოუყვანიათ.

ამ ჯგუფის ფრინველთა სახელებთან ახლოს დგას ის უახლესი სახელწოდებებიც, რომლებშიც ხაზი გაესმის **ფრინველთა ზოგი გარეგნული ნიშნის, ან ქცევის "მსგავსებას" ადამიანის გარეგნულ თვისებებთან, ან ქცევასთან.** ასეთებია:

აჰაა "ვარდისფერი ვარხვი": ზედმიწ. "ქალბატონი". სახელი კალკირებულია რუსული **баба-птица** "ქალ-ფრინველი", **бабуся** "ბებია, ბებო" სახელთა ზეგავლენით. მ. ბღაჟბას განმარტებით, ვარხვის ამ სახეობას ასეთი სახელი იმიტომ დარქმევია, რომ ისე დგას, ჯდება და იქცევა, თითქოს საკუთარ თავს დიდ პატივს სცემდეს[411]; **ა-კრალ** "თავწითელა მთიულა": ზედმიწ. "ხელმწიფე, მეფე". სახელი აშკარად ახლად გააფხაზურებული ვარიანტია რუსული **королевский // корольковый вьюрок** ფორმებისა; **ა-ბაღლაჩგ** "მელოტა": რუსულიდან ნასესხები ტერმინი **благочинный > ა-ბაღლაჩგ** აღნიშნავს სასულიერო პირს (კეთილმოწესეს), რომელიც მეთვალყურეობს რამდენიმე სამრევლოს სასულიერო ცხოვრებას. მ. ბღაჟბას სიტყვით, მთლიანად შავი ბუმბულით დაფარულ მელოტას ეს სახელი იმიტომ ეწოდა, რომ იგი აფხაზებმა შავანაფორიან კეთილმოწესეს მიამსგავსეს. შდრ. ამავე ფრინველის რუსული მეტაფორული სახელი **чиновник**[412]; **ა-სტრაჟნიკ** "ბოლოცეც-

[410] იქვე, გვ. 130.
[411] იქვე, გვ. 262.
[412] იქვე, გვ. 202.

ხლა": ზედმიწ. "სტრაჟნიკი". რუსულიდან ნასესხები სახელის მოტივაციას იმით ხსნიან, რომ ამ ფხიზელ ჩიტს არ გამოეპარება ბაღში მოძრაჟი მავნე მწერები, რომელთაც უმალვე იჭერს და ანადგურებს[413]; **ა-ესაულ** 1. "ჩხიკვი"; 2. "კოჭობა": რუსულიდან ნასესხები თურქული წარმოშობის სიტყვა **ესაული** პოლიციის მოხელეს აღნიშნავდა. კოჭობას შესახებ მიუთითებენ, რომ იგი ისე უსტვენს, თითქოს იძახდეს **ჰეზა! ჰეზა!** "თავი მოიყარეთ, თავი მოიყარეთ"-ო. ამის გამო აფხაზებს ფრინველი მიუმსგავსებიათ ესაულისათვის, რომელიც მოსახლეობას სასოფლო შეკრებებზე ეძახდა[414]. ასეთივე მეტაფორიზაციაა საგულვებელი ჩხიკვის სახელის შემთხვევაშიც.

***

ზემოთ განხილულ ფრინველთა მოტივირებულ სახელებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ **აგებულების თვალსაზრისით აფხაზურ ენაში დასტურდება სახელთა 2 მთავარი ჯგუფი: მარტივფუძიანი სახელები და რთულფუძიანი სახელები.** ორივე ჯგუფის სახელთა უმრავლესობა აფხაზური ენის ძირეულ ლექსიკას განეკუთვნება.

საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის მარტივფუძიანი სახელები მცირერიცხოვანია და მათ აფორმებს მხოლოდ სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა-** პრეფიქსი: **ა-ბაჟ** "ჩხიკვი", **ა-ჯტ** "ქათამი", **ა-სია** "მწყერჩიტა", **ა-ჯართ** "კრუხი", **ა-ყრ** "უფეხურა", **ა-ჩა** "მწყერი", **ა-ტ** "ბუ; ოლოლი" და სხვ. ასევე ფორმდება ნასესხები სახელებიც, რომლებიც, მათი სტრუქტურის მიუხედავად, აფხაზურისათვის მარტივფუძიანი სიტყვებია (ნასესხობების შესახებ იხ. ქვემოთ).

გაცილებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია ფრინველთა რთულფუძიანი სახელები, რომლებიც რამდენიმე მორფოლოგიურ მოდელში ნაწილდებიან. ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა-** პრეფიქსი მუდამ რთულფუძიანი სახელის პირ-

[413] იქვე, გვ. 60.
[414] იქვე, გვ. 90.

ველი კომპონენტის წინ დგას. **რთულფუძიან სახელებში გაბატონებულია კომპოზიციის ხერხი, ხოლო აფიქსაცია, როგორც სიტყვათწარმოქმნის ხერხი, სრულებით არ გამოიყენება.** რთულფუძიან სახელთა მოდელებია:

1. ორი არსებითი სახელის ფუძეთა შერწყმით წარმოქმნილი კომპოზიტები, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ქვეჯგუფად იყოფა:

ა) ტოლად შერწყმული ფუძეები: **ა-ჰხ-ბგ** "კულუმბური" (ზედმიწ.: "პირი-ცული") და **ა-ცაბლ-კაჭკაჭ** "ზღვის კაჭკაჭი" (ზედმიწ.: "ჩიბუხა-კაჭკაჭი");

ბ) მსაზღვრელ-საზღვრული, სადაც მსაზღვრელი კუთვნილებას გამოხატავს, ხოლო საზღვრული – საკუთვნებელს. ასეთ შემთხვევებში პოსტპოზიციაში მდგომ საზღვრულს ხშირად ჩამოცილებული აქვს კუთვნილების გამომხატველი პრეფიქსი და უშუალოდ ერწყმის ("ეწებება") მსაზღვრელი სახელის ფუძეს. ვფიქრობთ, ამგვარი **ფონეტიკური ცვლილება განპირობებულია ტერმინოლოგიზაციის საჭიროებით** – ტერმინად, ჩვეულებრივ, ერთსიტყვიანი ფორმები გამოიყენება ხოლმე. ამ ქვემოდელის მაგალითებია: **ა-ყარმა-წგს** "ბულბული" (ზედმიწ.: "სვიის ჩიტი"), **ა-უასა-რლგნა** "შოშია" (ზედმიწ.: "ცხვრის შაშვი"), **ა-დგრგან-წგხა** "ბოლოქანქალა" (ზედმიწ.: "ტაფის ტარი"), **ა-შშა-ლგჩ** "წივწივა; წიწკანა" (ზედმიწ.: "ქონის ქურდი"), **ა-შხა-რ-წგს** "ჩიტბატონა" (ზედმიწ.: "მთების ჩიტი"), **ა-ლფსა-წგს** "ყვითელთავა ნარჩიტა" (ზედმიწ.: "მურყნის ყვავილედის ჩიტი"), **ა-ნფკ-წგს** "მეკანაფია" (ზედმიწ.: "კანაფის ჩიტი"), **ა-შგმა-წგს** "მოლაღური" (ზედმიწ.: "წყავის ჩიტი"), **ჭაკატ იწგს** "მწვანე კვირიონი" (ზედმიწ.: "ჭაკვატის ჩიტი"), **ა-ჟ-წგს** "მერცხალი" (ზედმიწ.: "ძროხის ჩიტი"), **ა-ფავ-ჟ-წგს** "მენაპირე მერცხალი" (ზედმიწ.: "ფლატის მერცხალი". **ჟ-წგს** სეგმენტი აქ გაიგება არა როგორც "ძროხის ჩიტი", არამედ როგორც "მერცხალი"), **ა-ლაჰა-რ-წგს** "ჩამგალა" (ზედმიწ.: "ჭკების ჩიტი"), **ა-ბგნ-კტგ** "ტყის ქათამი; როჭო" (ზედმიწ.: "ტყის ქათამი"), **ა-ბგნ-ჰგჲ** "გუ

ლიო, გარეული მტრედი" (ზედმიწ.: "ტყის მტრედი"), **ა-ბენ-ყწ** "ლოყათეთრი ღერღეტი" (ზედმიწ.: "ტყის ბატი"), **ა-ბენ-კატა** "გარეული იხვი" (ზედმიწ.: "ტყის იხვი"), **ა-შაშე-ხაჟ** "ოფოფი" (ზედმიწ.: "მსხვილფეხა საქონლის ჩხიკვი"), **ა-ლაყაბ-კტე** "ღალღა" (ზედმიწ.: "ტლაპოს ქათამი"), **ა-ბე-რლენა (< *აბე არლენა)** "წყლის შაშვი" (ზედმიწ.: "წყლის შაშვი"), **ა-ბე-ცალ** "ყარაულა, წყლის ბუღა" (ზედმიწ.: "წყლის ბუღა"), **ა-ბე-ლაჰა** "გედი" (ზედმიწ.: "წყლის ჭკა"), **ა-ძმახ-კტე** "მელოტა" (ზედმიწ.: "ჭაობის ქათამი"), **ა-ფშა-რ-გე** "ორბი" (ზედმიწ.: "ქარების გული"), **ა-რხა-უარბა** "ველის არწივი" (ზედმიწ.: "ველის არწივი"), **ა-ძმახ-უარბაჟ** "ჭაობის ბოლობეჭედა" (ზედმიწ.: "ჭაობის ბოლობეჭედა"), **ა-მშენ-უარბაჟ** "შაკი" (ზედმიწ.: "ზღვის ბოლობეჭედა");

2. კომპოზიტად ქცეული მსაზღვრელ-საზღვრული "არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი/ზედსართავის პირველი ბგერები" მოდელისა: **ა-ჰენწერ-ყაფშ // ა-ჰენწარ-აფშ** "გულწითელა" (ზედმიწ.: "ღილი წითელი"), **ა-ბღა-ფშ** "მთის ჭვინტა" (ზედმიწ.: "ზურგი მოწითალო"), **ა-ყარმე-შ** "შავთავა ასპუჭაკა" (ზედმიწ.: "სვია თეთრი"), **ა-ფრაჰა-ფშ** "მეკანაფია" (ზედმიწ.: "წინსაფარი მოწითალო"), **ა-წეს-ჯეჟ** "მოლაღური" (ზედმიწ.: "ჩიტი ყვითელი"), **ა-ტ-აფშ** "ტყის ბუ" (ზედმიწ.: "ბუ, ოლოლი მოწითალო"), **ა-ტე-ქამსა** "ბუკიოტი" (ზედმიწ.: "ბუ ბანჯგვლიანი"), **ა-შაბე-ქამსა** "როჭო" (ზედმიწ.: "ფეხი ბაჯგვლიანი"), **ა-ცაბლე-ხ** "ტურუხტანი" (ზედმიწ.: "ჩიბუხა რუხი"), **ა-ცაბლე-ჯ** "დიდი კრონშნეპი" (ზედმიწ.: "ჩიბუხა კუზიანი"), **ა-ცაბლე-ღრა** "პრანწია" (ზედმიწ.: "ჩიბუხა ჭრელი"), **ა-ფცეჭ-აჟ-ა** "ფართოცხვირა იხვი" (ზედმიწ.: "ნისკარტი ბრტყელი"), **ა-მაყაფშ < ა-მაყა აფშ** "ამლაყი იხვი" (ზედმიწ.: "მოწითალო ქამარი"), **ა-უარბალ** "ბატკანძერი, კრაიჭამია" (ზედმიწ.: "არწივი მამალი" –

სიტყვა "მამალი" აქ მძლავრს უნდა ნიშნაედეს), **ა-უარბა-ჯ** "ბოლოობეჭედა" (ზედმიწ.: "არწივი ბებერი");

3. კომპოზიტად ქცეული მსაზღვრელ-საზღვრული "არსებითი სახელი + მიმღეობა" მოდელისა: **ა-მწგ-ტ** "რუხი მემატლია" (ზედმიწ.: "ბუზის მჭამელი"), **ა-ფაწა-ქალა** "ულვაშა წივწივა" (ზედმიწ.: "ულვაში დაწკეპილი"), **ა-წლა-რ-კოკ** "კოდალა" (ზედმიწ.: "ხის ამკაკუნებელი"), **ა-წგხ-ეიმჭაფა** "ბოლოსადგისა იხვი" (ზედმიწ.: "ბოლო გაყოფილი"), **ა-ლვა-ჩ** "ხღვის ყვინთია" (ზედმიწ.: "შესქელებული კვამლი"), **ა-ხ-კაჩ** "კოკონა" (ზედმიწ.: "თავი გასიებული"), **ა-ტრგშ-ას** "თეთრშუბლა იხვი" (ზედმიწ.: "სტვენის დამცემი"), **ა-ძ-თას** "ხღვის წინტალა" (ზედმიწ.: "წყალში მყვინთავი, წყალში ჩამცემი"), **ა-ბგ-ცა** "ყანჩა" (ზედმიწ.: "წყალ-მძინარი"), **ა-ჩა-კვგ** "მიმინო" (ზედმიწ.: "მწყრის დამჭერი"), **ა-შხერც-ალ-ფავგ** "ბოლოკარკაზი, ცუდქორა";

4. კომპოზიტად ქცეული მსაზღვრელ-საზღვრული "ზედართავი სახელი + ზედსართავი სახელი" მოდელისა: **ა-ჲაწგ-შ** "ალკუნი" (ზედმიწ.: "მწვანე/ლურჯ-თეთრი"), **ა-ღრგ-შ** "ქოჩორა ყვინთია" (ზედმიწ.: "ჭრელ-თეთრი"), **ა-შლარჯგ** < **ა-შლა-ლარჯ** "მდელოს ბოლობეჭედა" (ზედმიწ.: "ჭაღარა-ლურჯი");

5. რედუპლიცირებული ხმაბაძვითი ფუძე: **ა-წგფ-წგფ** "მეღორღია", **ა-წიტ-წიტ** "თოხიტარა", **ა-ჭაქ-ჭაქ** "მთის ჭვინტა", **ა-წღრ-წღრ** "ციბრუტა მეჩალია", **ა-ყათ- ყათ** "მწვანულა", **ა-კაფ-კაფ** "შურთხი", **ა-კარ-კარ** "წყლის ქათამი", **ა-ყ'აფ-ყ'აფ** "რუხი იხვი", **ა-კამ-კამ** "ბოლოკარკაზი, ცუდქორა", **ა-ყაყაბ** სავათი";

6. "არსებითი სახელი + ხმაბაძვითი ფუძე" მოდელის კომპოზიტი: **ა-შხა-რ-ყგთ** "მწვანე კვირიონი" (ზედმიწ.: "მთების ყუთ"), **ა-შხა-კაფკაფ** "შურთხი" (ზედმიწ.: "მთის შურთხი" – **ა-კაფკაფ** ცალკეც შურთხს ნიშნავს. იხ. ზემოთ), **ა-ტგ-ჳარჳარ** "ზარნაშო" (ზედმიწ.: "ბუ, ოლოლი" + ჳარჳარ);

7. მოდელი არსებითი სახელი + ზმნისართი: **ა-შაბგ-ზაწ**

“ერთადერთი, მხოლოდ ფეხი”;

8. მოდელი “არსებითი სახელი + თანდებული”: აცჰჳრფჳ-ნ “მცირე ქარიშხალა” (ზედმიწ.: “ტალღაზე”).

ამ მოდელებიდან, როგორც დამოწმებული მაგალითებიც აჩვენებენ, ყველაზე პროდუქტიულია პირველი 3 მოდელი.

ის ფაქტი, რომ **ფრინველთა სახელებში სრულებით არ არის გამოყენებული სიტყვათწარმოქმნის აფიქსური ხერხი,** მრავლისმთქმელია და გვიჩვენებს აფხაზურ ენაში უძველესი სიტყვათწარმოების წესის გამძლეობას. მეტიც, აფიქსაცია არ გამოიყენება არც XIX-XX საუკუნეებში რუსული ენის ზეგავლენით შექმნილ ახალ სახელებში და ეს სახელწოდებები ნაწარმოებია კომპოზიციის ხერხის საფუძველზე, თანაც ამ ნეოლოგიზმებშიც დაცული არ არის აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მოსალოდნელი პირდაპირი კავშირი. ამ ფაქტების გათვალისწინება გვარწმუნებს, რომ **ფრინველთა აფხაზური სახელები უნიკალურ მონაცემებს გვაწვდის იბერიულ-კავკასიურ ენათა სიტყვათწარმოების ისტორიის კვლევისათვის: საფუძველი გვეძლევა, დავსკვნათ, რომ ამ ენებში სიტყვათწარმოების აფიქსური ხერხი გაცილებით უფრო ახალია, ვიდრე კომპოზიცია.** გარდა ამისა, აღსანიშნისა და აღმნიშვნელის თავდაპირველი მიმართების ცვლა (მეტონიმია) ასევე ძველი მოვლენა ჩანს.

საკმაოდ ხშირად **ზუსტად ერთსა და იმავე მოდელზეა აგებული ფრინველთა სახელები აფხაზურში, ადიღეურ-ყაბარდოულსა და ქართულ ენებში,** სადაც მოქმედებს მოტივაციის სასიარო ხერხები, რაც ეთნოფსიქოლოგიის სიახლოვესა და სამყაროს აღქმის მსგავსებაზე მიუთითებს. მაგალითად, სტრუქტურულ-სემანტიკურად სრული ანალოგებია: აფხაზ. **აწლარკჳ** “კოდალა” და ქართ. **ხეკოდა // ხეკაკუნა**; აფხაზ. **აბგნატგ** “ტყის ქათამი; ხოხობი”, ქართ. **ტყის ქათამი** და ადიღ. **შზჳჯდ** “ხოხობი”; აფხაზ. **ატგჳარჳარ** და ადიღ. **დგლრგლუ // თგლრგლუ** “ზარნაშო”; აფხაზ. **აჰაზა** და ქართ. **ცოცია...**

შემთხვევითი არც ისაა, რომ დასახელებულ ენებში ფრინ-

ვულია მრავალი ხმაბაძვითი სახელი შეიცავს ერთსა და იმავე ფონემებს, თუმცა ამ ენებში ფონემათა დიდი რაოდენობის არსებობის პირობებში ნაკლები ალბათობა იყო სახელებში ფონემატური სტრუქტურის დამთხვევისა.

ამგვარი ფაქტების სიმრავლეს ღრმა გენეტიკური ფესვები აქვს და შესაბამის ეთნოსთა ფსიქოლოგიის ერთიანობაზე მიუთითებს.

მოტივაციის საფუძვლების დადგენა ჭირს ფრინველთა როგორც მარტივფუძიანი, ისე აშკარად რთულფუძიანი სახელების დიდ ჯგუფში. მათი უმრავლესობა ძალზე ძველი უნდა იყოს, სიძველემ, ხშირმა ხმარებამ, ფონეტიკურმა და სემანტიკურმა ცვლილებებმა კი, როგორც ჩანს, დაჩრდილა ამ სახელთა ამოსავალი სტრუქტურა და სემანტიკა. ამ ჯგუფს, უპირველესი ყოვლისა, განეკუთვნება შინაურ ფრინველთა სახელებისა და გარეულ ფრინველთა სახელწოდებების არცთუ მცირე ნაწილი. მაგალითად, საძიებელია შემდეგ სახელთა ეტიმოლოგია: **ა-კჭაბა** "კულუმბური"; **ა-ნწრჩაჭ** "მელორღია"; **ა-ხწსხწრ** "ჩრდილოური წივწივა"; **ა-ქ'აც** "შავი წივწივა"; **ა-ცსლაბ** "ჭიკჭაკი"; **ა-ცსლაშ** "მთის გრატა"; **ა-ცწაფს** "ბოლოცეცხლა"; **ა-ნაფშ** "შავთავა ოვსადი"; **ა-ბასლამჭრ** "რუხი მემატლია"; **ა-ფრანჭ** "ჭრელი მემატლია; მცირე მემატლია"; **ა-ჭაფშ** "კოჭობა"; **ა-რტა** "შავი ბოლოცეცხლა"; **ა-უარდანჯ** "ტოროლა"; **ა-წჭრმანჯ** "გნოლი"; **ა-საფრანჯ** "კავკასიური კოჭობა" (**-ნჯ** დაბოლოებიანი ეს სახელები ნასესხები სიტყვების შთაბეჭდილებას ტოვებს); **ა-ყჭრშჭ // ა-შაახ** "ყვითელწარბა ყარანა"; **ა-ყრჭ** "უფეხურა" – ხმაბაძვით სახელს ჰგავს და, თუ ეს ასეა, მაშინ იგივე ფუძე უნდა მონაწილეობდეს **ა-ყჭრშჭ** "ყვითელწარბა ყარანა" სახელში, რომელშიც ბოლოკიდური **შჭ** სეგმენტი თეთრის აღმნიშვნელი სახელის ფუძისეული ელემენტი უნდა იქნებოდა; **ა-ყარაშ** "ყაპყაპი"; **ა-ფყ'აათ** "მეკირია"; **ა-ყარასა** "გვრიტი"; **ა-კარჭა** "კაჭკაჭი"; **ა-ლაჰა** "ჭკა"; **ა-ძაბა** "ღაღღა"; **ა-პყა** "სავათი"; **ა-პყარ** "სარსარაკი"; **ა-პჭზ** "ლოყათეთრი ღერღეტი"; **ა-ჭჭა // ა-ყრჭშ** "იხვინჯა"; **ა-ჭნჭშ** "თო-

ლია"; **აყაგა** "ნამცეცა ჯიღოსანა"; **აბაკა** "ქოჩორა მურტალა"; **აბაბეყ** "დიდი ჩვამა"; **აჩმერ** "ზღვის კაჭკაჭი"; **ამამერყაყ** "ორბი"; **აყარგეშ** "ბეგობის არწივი"; **ათკემც** < // **ათკამც** "ფასკუნჯი, სვაეი"; **ახკალას** "გავაზი, ბარი"; **აუარლეშ** "თვალშავი"; **აწშ** "ქორი"; **აწშცბა** "ქორცქვიტა"; **აქამარყეყ** // **აუარყ** "ბორა, ძერძერუკი"; **ამარეჭ** "შაკი"...

ამ სახელთა ეტიმოლოგიზაციისათვის საკმარისი არ ჩანს მხოლოდ აფხაზური ენის მონაცემები, აუცილებელია სხვა, შედარებით შორს მდგომი ენების მონაცემთა გათვალისწინებაც, რაც მომავლის საქმეა. წინასწარ კი შესაძლებელი ჩანს ზოგი ვარაუდის გამოთქმა. მაგალითად: ჭიჭავისა და მთის გრატას სახელებში აშკარად მეორდება ერთი და იგივე **ცასლა** სეგმენტი, რომლის რაობა სარკეევია; **აუარდანჯ** "ტოროლა", **ასაფრანჯ** "კავკასიური კოჭობა", **აწერმანჯ** "გნოლი" სახელებში მეორდება **-ანჯ** თუ **-ნჯ** დაბოლოება, რომლის წარმომავლობა და ფუნქცია სარკეევია ისევე, როგორც მათი წინამაყალი სეგმენტებისა; **პყა** სეგმენტი მეორდება **აპყა** "სავათი" და **აპყარ** "სარსარაკი" სახელებში, მაგრამ საძიებელია **რ** თანხმოვნის სემანტიკური დატვირთვა სარსარაკის სახელში, არადა სავათი და სარსარაკი ერთიმეორეს გარეგნულადაც ჰგვანან; **აჭაფშ** "კოჭობა" სახელში, შესაძლოა, შედიოდეს მოწითალო ფერის აღმნიშვნელი **აფშ** ფუძე, რაც შეესაბამება ფრინველის მკერდისა და თავის მოწითალო შეფერილობას, მაგრამ ნათელი არ არის პირველი თანხმოვნის სემანტიკა; გარეული ბატის ერთ-ერთი სახეობის **აპჟზ** "ლოყათეთრი ღერღეტი" სახელში, შესაძლოა, თურქულიდან ნასესხები ბატის **აჟზ** სახელი შედიოდეს, თუმცა გაურკვეველია **პ** თანხმოვნის სემანტიკური დატვირთვა...

ზემოთ ჩვენ გამოვყავით რუსული ენის გავლენით შექმნილი ფრინველთა კალკირებული სახელწოდებები. მათ გვერდით აფხაზურ ენაში არსებობს ქართული, თურქული და რუსული ენებიდან ნასესხები ფრინველთა სახელების საკმაოდ დიდი რაოდენობაც.

ქართველიზმებია:

ა-შოშია < ქართ. **შოშია**[415]. სესხება ახალი მომხდარი ჩანს, რაზეც მიანიშნებს ნასესხები ფორმის სრული ბგერობრივი დამოხვევა ქართულ ორიგინალთან. ადრეული სესხების შემთხვევაში **ო** ხმოვანი არ უნდა დარჩენილიყო უცვლელად;

ა-ბალღრ // ა-ბალღრე "ბეღურა", შდრ.: ქართ. სამწიგნ. **ბეღურა**, მეგრ. **ბალირე // ბალღრე**[416]. სიტყვა ნასესხებია მეგრულიდან, სადაც **ღ** და **რ** თანხმოვნებს შორის წარმოდგენილია **ი** და **ჳ** ხმოვნები, სამწიგნობრო ქართულ'ში კი **უ** ხმოვანია, რომელიც სესხების შემთხვევაში უეჭველად გამოიწვევდა წინამავალი **ღ** თანხმოვნის ლაბიალიზაციას და გვექნებოდა ***ა-ბალრა**, ან ***აბალრე** ფორმებიდან ერთ-ერთი;

ა-ჯინჩა "სკვინჩა, ნიბლია" < მეგრ. **კვინჩა**[417]. უცვლელად დარჩენილი **ი** ხმოვანი სესხების სიახლეზე მიანიშნებს, წინაალმდეგ შემთხვევაში უნდა არსებულიყო ***ა-კვინჩა** ვარიანტი;

ა-ჭვინჭა "ჭინჭრაქა, ღობემძვრალა" < მეგრ. **ჭინჭა**. აფხაზურში **ი** ხმოვნის მაგიერ ნეიტრალური ხმოვნის არსებობა სესხების სიძველის. დამადასტურებელია. მეგრულის გავლენითვე აფხაზურში სიტყვას გადატანითი მეტაფორული სემანტიკაც აქვს: აღნიშნავს ფიზიკურად სუსტ, მაგრამ ჩხუბისთავ ადამიანს[418], აგრეთვე ცელქ, მოუსვენარ და მოქნილ ბავშვს;

ა-მალალღრ "მწვანულა, მოლაღური" < მეგრ. **მალაღურ-ი**[419]. მეგრულის **ღუ** მარცვლის გადმოცემა ლაბიალიზებული თანხმოვნითა და ნეიტრალური ხმოვნით სესხების სიძველეზე მიუთითებს;

ა-მაჩხოლ "მერცხალი" < მეგრ. **მაჭირხოლ-ი** < **მარჭიხოლ-**

---

415 Х.С.Бгажба. Бзыбский диалект абхазского языка. Тб., 1964, გვ. 215.

416 Х.С Бгажба. დასახ. ნაშრ., გვ. 215.

417 იქვე, გვ. 215.

418 იქვე, გვ. 86.

419 Х.С. Бгажба. დასახ. ნაშრ., გვ. 224; В.Х. Концьариа. Аҧсуа-абаза алеҳика иазку аочеркқуа. Аҟуа, 1976, გვ. 71.

ი[420]. ეს ნასესხები სახელი დასტურდება მხოლოდ აბჟუური დიალექტის გავრცელების უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ზოლში, სამურზაყანოში, ოჩამჩირისა და გალის რაიონების მიჯნაზე. ფუძეში უცვლელად დარჩენილი **ო** ხმოვანი აქაც სესხების სიახლის მანიშნებელია;

აჰჯჰ "მტრედი" < ქართ. **ხოხობ-ი**[421]. იგივე სიტყვა იმავე სახით დასტურდება აბაზურშიც, რაც სესხების დიდ სიძველეზე მიუთითებს;

აროპაპ "წითელნისკარტა მაღრანი" < მეგრ. **როპაპ-ი** "როკაპი"[422]. მუქი შავ-ლურჯი ფერის ბუმბულის გამო ეს ყორნის მსგავსი "თარსი" ფრინველი ავსულ, როკაპ დედაბერთანაა შედარებული. ნასესხებ ვარიანტში შენარჩუნებული **უ** ხმოვანი სესხების სიახლის ნიშანია;

აჟარაან "ყორანი; ყვავი" < ქართ. **ყორან-ი**[423]. **ყო** მარცვლის სრული ადაპტირება სესხების სიძველის მანიშნებელია. რაც შეეხება აფხაზურ ვარიანტში **ა** ხმოვნის დაგრძელებას, ამგვარი სპონტანური დაგრძელება აფხაზურში ნასესხებ ლექსიკაში იშვიათი არ არის (იხ. ზემოთ);

აჯარია "ჭილყვავი" < მეგრ. **კვარია** "ყვავი". აფხაზურში გადაწეულია სემანტიკა. ბგერითი შემადგენლობის ცვლა სესხების სიძველის გამომხატველია;

აჯატა "იხვი" < მეგრ. **კვატა, კვატია**. ფუძის ფონეტიკური ადაპტაცია სესხების სიძველის გამოხატულებაა;

აჳარბ(ა) < ქართ. **ორბ-ი**, ერთ-ერთ კომპონენტად შედის ბატკანძერის (კრავიჭამიას), მცირე არწივას, ბოლობეჭედას, ჭაობის ბოლობეჭედას სახელწოდებებში. ქართულის **ო** ხმოვნის ფონეტიკური ადაპტაცია და აბაზურში იმავე ფუძის არსებობა სესხების დიდი სიძველის მაუწყებელია;

---

[420] მ. ციკოლია. აფხაზური ენის აბჟუური დიალექტი. თბჰ, 1969, გვ. 054.

[421] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I..., გვ. 192.

[422] Х.С. Бгажба. დასახ. ნაშრ., გვ. 225.

[423] В.Х. Кошьарина. დასახ. ნაშრ., გვ. 71.

ა-შაუარდზ < ქართ. **შავარდენ-ი // შევარდენ-ი**. აფხაზური ვარიანტი იხმარება შავარდნის, მარჯვანის, გავაზის (ბარის), თვალშავის განმაზოგადებელ სახელად. ძველი ნასესხობა უნდა იყოს;

ა-ჯარზლ "ყვერული, გასასუქებლად კასტრირებული მამალი" < მეგრ. **ჯვარილ-ი**. აშკარად ძველი ნასესხობაა, რაზეც ფონეტიკური ცვლილებები მიუთითებს;

ა-ჩალეჲ "ჭაობის მეჩალია" < ქართ. **ჩალა**;

ა-კაჭკაჭ "კაჭკაჭი" < ქართ. **კაჭკაჭ-ი**...

თურქიზმებია:

ა-ყზ "ბატი", **ა-კოკუშ // ა-კაკუშ // ა-გაგუშ** "ინდაური" (ნასესხებია აგრეთვე აბაზურსა და ყაბარდოულში **გაგუშ** ფორმით, მეგრულში კი – **კოკუშ-ი** ფორმით), **ჩამგეზლ** – სანადირო ქორის სახეობა, **ა-ყარაჰან** "ყარყატი, ლაკლაკი", **ა-ჩომა** "რუხი წერო" (იგივე სიტყვა ქართულში **ჩვამა** ფორმითაა წარმოდგენილი), **ა-ზაამბზლ** "ღაჟო", **ა-ხალზა** "მთის არწივი" (იგივე სიტყვა რუსულ ენაშიც შესულა **халзан** ფორმით), **ა-კრალ** "თავწითელა მთიულა"...

რუსიზმებია:

ა-სტრაჟნიკ "ბოლოცეცხლა" < **стражник**; **ა-ისაულ** "კოჭობა" < **эсаул** (სიტყვა რუსულში თურქული ენებიდანაა შესული); **ა-პაპუგაჲ** "თუთიყუში" < **попугай**; **ა-კანარეკა** "კანარის ჩიტი" < **канарейка**: **ა-ფზან** "ხოხობი" < **фазан**; **ა-ბალლაჩგ** "მელოტა" < **благочинный**; **ა-ცაბლგ** "ჩიბუხა, ცხრატყავა" < **цаплия** – იგივე ნასესხები ფუძე ერთ-ერთ კომპონენტად შედის წყლის ფრინველების ერთი ჯგუფის, კერძოდ, ვალდშნეპის, კრონშნეპის, ტურუხტანის, პრანწიას, ზღვის კაჭკაჭის სახელწოდებათა შემადგენლობაში, რაც ამ სახელთა სიახლეზე მიუთითებს – რუსულ ენასთან აფხაზურს შეხება არ ჰქონია XIX საუკუნემდე; **ა-ბაბგრ** "ვარდისფერი ვარხვი" < **бабура, бабуся**...

***

ამრიგად, ფრინველთა სახელები აფხაზურში საკმაოდ მრავალრიცხოვან ლექსიკურ დარგს ქმნიან. ეს სახელწოდებანი სახელდების მოტივაციის თვალსაზრისით რამდენიმე ქვეჯგუფად იყოფა და ისინი ემთხვევა სხვა ენათაგან ცნობილ ჯგუფებს.

ფრინველთა მრავალი აფხაზური სახელის მოტივაციაში შეინიშნება ერთი **ძალზე სპეციფიკური და პროდუქტიული ხერხი: ფრინველის სახეობა აღინიშნება ისეთი სიტყვიერი ფორმით, რომელიც პირდაპირი გაგებით სულ სხვა სემანტიკისაა, მაგრამ მეტონიმიის შედეგად გამოიყენება ფრინველთა სახელებად**. ასეთი მეტონიმიის მაგალითებია: "თამამი, ნებიერი, განებივრებული; ორიავარი, ანცი, ცელქი" > "მაქცია", "მძინარა, ძილისგუდა; მოღვენთილი, მოთენთილი" > "წყროში", "წყალში ჩაყვინთული, წყალში ჩაცემული" > "ზღვის წინტალა", "ტალღაზე მყოფი" > "მცირე ქარიშხალა", "ქარების გული" > "ორბი", "მცოცავი, მხოხავი" > "სინეგოგა", "შიგნიდან ამოხეთქილი, შიგნიდან დამსკდარი" > "წითელფრთიანი კლდეცოცია", "პური" > "მწყერი" და სხვ.

ასევე **სპეციფიკურია მეტონიმიის სხვა ხერხი – ფრინველთა სახელებად ხმაბაძვით ფუძეთა გამოყენება ყოველგვარი სიტყვათმაწარმოებელი აფიქსების დართვის გარეშე**. შედეგად ვიღებთ საინტერესო ფორმებს, როცა **ხმიანობის გამომხატველი ფუძე აღნიშნავს ფრინველს**. რაც მთავარია, ხმაბაძვით ფუძეთა ფონემატური სტრუქტურა ხშირად აბსოლუტურად ერთნაირია აფხაზურში, ჩერქეზულსა და ქართულში, რაც ამ ენათა გენეტიკური ნათესაობითაა განპირობებული.

გენეტიკური ნათესაობის დამადასტურებელია აგრეთვე რთულფუძიან სიტყვათა ზუსტად ერთნაირი აგებულება იმავე სამ ენაში.

ყველაზე არსებითი მახასიათებელი კი ის არის, რომ ფრინველთა აფხაზურ რთულფუძიან სახელებში სრულებით არ გამოიყენება სიტყვათწარმოების აფიქსური ხერხი და ერთადერთ საშუალებად კომპოზიცია რჩება, რაც რელიქტური მოვლენაა.

§ 12. აფხაზური რელიგიური ტერმინოლოგია ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა კონტექსტში

აფხაზურ-ქართველურ ლინგვოკულტურულ კონტაქტებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ. მიუხედავად იმისა, თუ სად ვიგულისხმებთ ამჟამინდელ აფხაზთა (აფსუათა) თავდაპირველ ისტორიულ სამშობლოს, – თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, კერძოდ, მდინარე ყუბანის აუზში, – ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ **აფხაზებს ყველაზე მჭიდრო კულტურული ურთიერთობანი მაინც ქართველ ხალხთან ჰქონდათ, რასაც რამდენიმე სერიოზული ფაქტორი განაპირობებდა:**

1. 1862 წლამდე აფხაზური ენა უდამწერლობო იყო, რის გამოც აფხაზები საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენ ქართულ სამწიგნობრო ენას და მისი მეშვეობით ეცნობოდნენ უმდიდრეს ქართულ და უცხოურ კულტურულ მემკვიდრეობას.

2. თუ XVI საუკუნემდე აფხაზთა წინაპრები მართლა ცხოვრობდნენ მდ. ყუბანის აუზში, რაზეც ცხადად მიუთითებენ სხვადასხვა ენაზე შედგენილი ძველი წერილობითი, კარტოგრაფიული, ფოლკლორული და ეთნოლოგიური წყაროები, ქართულ კულტურულ სამყაროსთან მათ მაინც უნდა ჰქონოდათ მჭიდრო შეხება თუნდაც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უკვე IX-X საუკუნეებიდან მოკიდებული დასავლეთ საქართველოს ქართული სამეფოს მესვეურები აქტიურ პოლიტიკას ახორციელებდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ავრცელებდნენ ქართულ ქრისტიანობას, აგებდნენ ოავდაცვით და საკულტო შენობებს და ა.შ. განსაკუთრებით მძლავრი იყო ეს გავლენა XI საუკუნის მერე, ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, როცა მთელი ჩრდილოეთ კავკასია ამ სამეფოს ყმადნაფიცი იყო.

3. განსაკუთრებულად ინტენსიური ხასიათი მიიღო ქართული კულტურის ზეგავლენამ აფხაზებზე XVI საუკუნის შემდგომ, როცა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იწყება აფხაზთა მასობრივი შემოდინება, მათი შერევა დამხვდურ ქართველურ მოსახლეობასთან და თანამედროვე აფხაზი ხალხის

საბოლოო ჩამოყალიბება. ბუნებრივია, მოსულნი მემკვიდრეობად იღებდნენ ქართველურ მოსახლეობაში მანამდე გავრცელებულ რწმენა-წარმოდგენებსაც, რაც ენაშიც მკაფიოდაა ასახული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აფხაზურ ენაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თურქულმა ენამ და ოსმალო-თურქების მიერ აფხაზთა შორის XVI-XVIII საუკუნეებში გავრცელებულმა ისლამმა (მაჰმადიანობამ).

სხვადასხვა ენაზე (ქართულად, ფრანგულად, იტალიურად, ინგლისურად, თურქულად, ძველსლავურად, რუსულად...) შედგენილი საისტორიო წყაროებიდან და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აფხაზები (აფსუები) გვიანი შუა საუკუნეებიდან გამოირჩეოდნენ რელიგიური სინკრეტიზმით: მათ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და მითოლოგია-ფოლკლორში ერთმანეთთან განუყრელად თანაარსებობს წარმართული, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური და ისლამურ-სუნიტური შეხედულებანი.

1970-1990 წლებში აფხაზურ სოფლებში ექსპედიციების დროს პირადად ჩვენ არაერთგზის გვინახავს და ზოგჯერ მონაწილეობაც მიგვიღია ისეთ რიტუალებში, რომლებიც სწორედ აფხაზთა რელიგიური რწმენების სინკრეტული ბუნების გამოვლინება იყო. მეტიც, მრავალჯერ გვქონია შესაძლებლობა ისეთ ოჯახებში სტუმრობისა, რომელთა წევრები სხვადასხვა კონფესიის (ქრისტიანობისა და ისლამის) მიმდევრებად მიიჩნევდნენ თავს, მაგრამ ერთნაირი გულმოდგინებით ასრულებდნენ ერთიმეორის რელიგიით გათვალისწინებულ რიტუალებს, ან ერთმანეთში ჰქონდათ არეული და ვერ არჩევდნენ, რა არის ქრისტიანული და რა – მაჰმადიანური, თუ წარმართული.

მაგალითად, 1978 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდაში ჩვენი მასპინძლის, 102 წლის ქიაზიმბეი ამიჯბას განცხადებით, თვითონაც და მისი ოჯახის წევრებიც მაჰმადიანები იყვნენ (**ჰარა ამსჲლმანცა ჰაუ** "ჩვენ მაჰმადიანები ვართ"), მაგრამ 28 აგვისტოს, **ღვთისმშობლობის დღეს**, როცა მისმა ასულმა და რძალმა სარიტუალო სუფრა გაშალეს ოჯახის გარდაცვლილ წევრთა სულების მოსახსენებლად, არც ქიაა-

ზიმბეისა და არც მისი ოჯახის რომელიმე სხვა წევრს პროტესტი არ გამოუთქვამთ, მეტიც, მათაც აანთეს სანთლები და ილოცეს, რამდენიმე დღის შემდეგ კი მოელმა ოჯახმა ხალისით მიიღო მონაწილეობა ხანგრძლივი გვალვის შეწყვეტის მიზნით უბნის მცხოვრებთა მიერ გამართულ წარმართულ **აცუნჯვარა-ს**[424] რიტუალშიც, რაც იმისი ნათელი მაგალითი იყო, რომ ამ ოჯახში (აფხაზურ ოჯახთა უმრავლესობის მსგავსად) რელიგიური იდენტობის საკითხი ბუნდოვანი რჩებოდა. ბუნებრივია, როცა აფხაზთა შორის ამგვარი სპეციფიკური ვითარება დღემდეა შემორჩენილი, რელიგიური სინკრეტიზმი მეტად რელიეფურად აისახება აფხაზურ ენაში, ფოლკლორსა და მითოლოგიაშიც, რაც მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდის მრავალი სამეცნიერო პრობლემის საკვლევად.

ჩვენი მიზანია, საკულტო ლექსიკის მაგალითზე გამოვავლინოთ აფხაზურ ენაში ასახული ლინგვოკულტურული კონტაქტების კვალი რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ტერმინების მაგალითზე და შესაძლებლობისდაგვარად დათარიღდეს აფხაზურ ენაში ქართულიდან და თურქულიდან მათი სესხება.

ამჟამად აფხაზთა ყველაზე დიდი ჯგუფი, 150 ათასი კაცი ცხოვრობს თურქეთის რესპუბლიკაში. ისინი 1867 და 1878-1880 წლებში აფხაზეთიდან რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ მასობრივად განდევნილ აფხაზთა შთამომავლებს წარმოადგენენ. **თურქეთში მოსახლე აფხაზები მთლიანად სუნიტი მაჰმადიანები არიან.** მაჰმადიან აფხაზთა მცირე ჯგუფი იმავე დროიდან სახლობს სირიაშიც. მათი რაოდენობა 3 000 კაცს არ აღემატება.

რიცხოვნობით მეორე ადგილზე არიან აფხაზეთის ავტონომიურ რეპუბლიკასა და ბათუმში მოსახლე აფხაზები – დაახლოებით 93 ათასი კაცი 1993 წლამდე. ამჟამად აფხაზეთში 60 ათას აფხაზზე მეტი აღარ დარჩა. ამ ჯგუფში შემავალ აფხაზ-

---

[424] ტერმინი **აცუნჯარა** კომპოზიტია და შედგება **აცუ** "სოფელი; სოფლის უბანი" და **ანჯარა** "ლოცვა" ფუძეებისაგან. მოლიანობაში იგი ეტიმოლოგიურად ნიშნავს "სოფლის, უბნის ლოცვას".

თა ერთი ნაწილი თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის, მეორე ნაწილი კი – სუნიტ მაჰმადიანად (ვრცლად იხ. ქვემოთ).

აფხაზურ ენაში ცნებები "რელიგია", "რჯული", "რწმენა", "სარწმუნოება" გამოიხატება ტერმინებით: **ა-დინ, ა-დინხაწარა**, რომელთაგან სიტყვა **ა-დინ** არაბულია და აფხაზურ ენაში შესულია თურქული ენიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **საზოგადოდ, არაბული წარმოშობის საკულტო ტერმინები აფხაზურს ნასესხები სწორედ თურქულიდან აქვს**, რაზეც ცხადად მიუთითებს მათი ფონეტიკური იერსახე და ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სესხების დროის გასარკვევადაც. მაგალითად, იგივე **ა-დინ** ტერმინი, თუკი იგი საქართველოში არაბობის დროს იქნებოდა ნასესხები, უნდა დამორჩილებოდა სიტყვათსესხების იმდროინდელ ძველ წესებს, როცა აფხაზურ ენას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მეორეული **ე, ი, ო, უ** ხმოვნები და მათ უნდა ჩანაცვლებოდა შესაბამისი დიფთონგები. მოცემულ შემთხვევაში, თუკი **ა-დინ** სიტყვა მართლა ძველი ნასესხობა იქნებოდა, აფხაზურში რეალურად უნდა გექონოდა ***ა-დჳნ** ვარიანტი და არა **ი** ხმოვნიანი სახეობა. მაგრამ რაკი ასეთი რამ არ დასტურდება, სრულიად უეჭველია, რომ სიტყვა ახალი ნასესხებია და იგი აფხაზურ ენაში შეიძლებოდა დამკვიდრებულიყო მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში, XVIII საუკუნეში, როცა აფხაზურს უკვე ჰქონდა **ი** ხმოვანი. ამ დროს კი აფხაზეთიც და ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთის ნაწილიც ოსმალეთის პოლიტიკური და რელიგიურ-კულტურული ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული. რაც შეეხება რელიგიის აღმნიშვნელ მეორე **ა-დინხაწარა** ტერმინს, ისიც იმავე პერიოდის წარმონაქმნია და მიღებულია ხსენებული არაბული სიტყვისა და აფხაზური **ა-ხაწარა** "დაჯერება, რწმენა" სიტყვის ფუძის შეერთების გზით.

ასევე თურქულიდანაა აფხაზურში შესული ტერმინები: **ა-მსჯლმან** "მაჰმადიანი, მუსულმანი", **ა-მსჯლმანრა** "მაჰმადიანობა, მუსულმანობა; ისლამი", აგრეთვე **ა-მურთათ** "წარმართი", **ა-მურთათრა** "წარმართობა". საყურადღებოა, რომ წარმართისა

და წარმართობის აღმნიშვნელი ტერმინებიც ახალი ნასესხებია იმავე თურქული ენიდან და მათ სიახლეზე გარკვეით მიუთითებს სათანადო ფორმებში **უ** ხმოვნის არსებობა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ტერმინების სესხების სიახლე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წარმართობა აფხაზთა შორის ახალია. ეს მხოლოდ იმისი მაუწყებელია, რომ XVIII საუკუნემდე აფხაზურ ენას არ მოეპოვებოდა წარმართისა და წარმართობის აღმნიშვნელი ზოგადი სახელები და ისინი სხვათა ენიდან შეითვისა. საზოგადოდ, ამ ენაზე დაკვირვება გვაძლევს საფუძველს იმის განსაცხადებლად, რომ საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა **განყენებულ–განზოგადებულ ცნებებს, რომლებსაც სხვა ენებში საგანგებო ტერმინები აღნიშნავენ და ამით ამ ენათა განვითარების მაღალი ხარისხი გამოიხატება, აფხაზურში ან საერთოდ არ მოეპოვებათ ზოგადი სახელწოდება, ანდა ასეთი სიტყვები აშკარად ახალი ჩანს.**

ფრიად საყურადღებოა ქრისტეს, ქრისტიანისა და ქრისტიანობის აღმნიშვნელ ტერმინთა ფონემატური აღნაგობა. აფხაზურში ამ ცნებებს გამოხატავენ სიტყვები: **ქ̌ერსა** "ქრისტე: ქრისტეშობა", **ა-ქ̌ერსიან** "ქრისტიანი" და **ა-ქ̌ერსიანრა** "ქრისტიანობა", რომლებიც ნასესხებია არა ბერძნული, ან ქართული სამწიგნობრო ენებიდან, არამედ მეგრული დიალექტიდან. ამ დასკვნისაკენ გვიბიძგებს ორივე ტერმინის ფონემატურ სტრუქტურაზე დაკვირვება. საქმე ისაა, რომ მეგრულში ვერ ძლებს **სტ** თანხმოვანთკომპლექსი და იგი კარგავს მკვეთრ **ტ** თანხმოვანს. შდრ.: **სტუმარი > სუმარი** ტიპის მაგალითები (ვ. შენგელია). ასევე სუპერაციისაკენ მიიდრიკება **ქრ** კომპლექსიც. ამის გამო მეგრულში ქართული სამწიგნობრო ენის **ქრისტე** ვარიანტმა (შდრ. ბერძნული **ხრისტოს // ქრისტოს**) სრულიად ბუნებრივად მოგვცა **ქირსე** სახეობა, ხოლო **ქრისტიან–ი** გარდაიქმნა **ქირსიან–ი** ფორმად. რაც შეეხება აფხაზურში წარმოდგენილ ვარიანტებს, სამივე მათგანის წყარო მეგრული ვარიანტებია. რაზეც სრულიად უეჭველად მიანიშნებს მათი მატერიალური სიახლოვე სწორედ მეგრულ დიალექტურ ფორმებთან და სიტყვათსესხების კანონზომიერებათა გათვალისწინებაც: **ი** ხმოვა-

ნი იწვევს წინამავალი ქ თანხმოვნის პალატალიზაციას და გადაიქცევა ნეიტრალურ ხმოვნად, როგორც ეს სხვა შემთხვევებშიც ხდება, ხოლო ქირსე ფორმის ე ხმოვანი ასევე კანონზომიერად იცვლება ა ხმოვნით. ეს ორივე ცვლილება ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ ქრისტეს სახელი აფხაზებს უსესხებიათ XVI საუკუნემდე, როცა ენას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ი და ე ხმოვნები. რაც შეეხება ქრისტიანისა და ქრისტიანობის აღმნიშვნელ სახელებს, ისინი ასევე მეგრული დიალექტიდან შესულა აფხაზურ'ში, ოღონდ გაცილებით უფრო გვიან, კერძოდ, მაშინ, როცა აფხაზურ ენაში უკვე იწყება ი ხმოვნის ფონემად ჩამოყალიბება: დავაკვირდეთ, ტერმინები ა-ქგრსიან "ქრისტიანი" და ა-ქგრსიან-რა "ქრისტიანობა", ერთი მხრივ, ინარჩუნებენ ფუძის ბოლოკიდურა ი ხმოვანს, მეორე მხრივ კი იგივე ი ხმოვანი იწვევს წინამავალი ქ თანხმოვნის პალატალიზაციას, თვითონ კი იცვლება ნეიტრალური ხმოვნით. ერთი და იმავე ბგერის სხვადასხვაგვარი ქცევა ერთსა და იმავე სიტყვებში ცხადად გვიჩვენებს, რომ ამ ფორმათა სესხების დროს აფხაზურ ენას ჯერ კიდევ "ხმოვნური დუღილის" პერიოდი ჰქონდა და მხოლოდ იწყებოდა ახალი ფონემის ჩამოყალიბება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აფხაზურ ენაში აშკარად გამოსაყოფი ჩანს ქართველური ენა-კილოებიდან შესული ქრისტიანული ტერმინების ორი ქრონოლოგიური პლასტი: ერთი XVI საუკუნემდე ნასესხებ ლექსიკას აერთიანებს, მეორე კი უფრო გვიანდელს, ჩვენი ვარაუდით, XVI-XVIII საუკუნეებში შესულ სიტყვებს.** ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს სხვა ამგვარ ტერმინთა არსებობაც აფხაზურში. კერძოდ, ამ თვალსაზრისით საყურადღებო ჩანს ჯვრის აღმნიშვნელი ა-ჯვარ ტერმინი, რომელშიც წარმოდგენილი არ არის ვ თანხმოვანი, რაც სხვა ენებიდან ადრე ნასესხები შიშინა თანხმოვანთა შემცველი ლაბიალური კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი. ვფიქრობთ, ეს გარემოება საკმარისი საფუძველია საიმისოდ, რომ ჯვრის აღმნიშვნელი სიტყვის სესხების დროდ XVI საუკუნემდე პერიოდი ვიგულისხმოთ. თუ უფრო დავაკონკრეტებთ, ალბათ უპრიანია, ჩავთვალოთ, რომ ქრისტეს სახელი ჯვრის

აღმნიშვნელ ქართულ ტერმინთან ერთად აფხაზებს შეეძლოთ ესესხებინათ IX-X საუკუნიდან მაინც, როცა დასავლურქართული სახელმწიფო იწყებს ქრისტიანობის გავრცელებას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, სადაც იმ დროს ბინადრობდნენ ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები. ამგვარი ვარაუდი, ჩვენი აზრით, უფრო მეტად შეესაბამება კონკრეტულ ისტორიულ რეალიებს, ვიდრე ჩვენივე ადრინდელი მოსაზრება, რომ აფხაზთა წინაპრებმა ქრისტიანობა მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში გაიცნეს ქართველთაგან[425]. ამჟამად უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ზემოთ წარმოდგენილი ვარაუდი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ **აფხაზთა წინაპრებმა ქრისტიანობა ქართველებისაგან ორ სხვადასხვა ეპოქაში გაიცნეს: ჯერ IX-X საუკუნეებში, მერე კი XVI-XVIII საუკუნეებს შორის – პირველ შემთხვევაში ისინი ყუბანის აუზში ცხოვრობდნენ, მეორეში კი – ამჟამინდელ აფხაზეთში.**

შენიშვნა: ამ კონტექსტში წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა IX საუკუნემდე აფხაზთა წინაპრებს უშუალო კონტაქტები ბერძნულ სამყაროსთან და მიიღეს თუ არა მათ იმავე ბერძნებისაგან ქრისტიანობა. ამ საკითხს დამაჯერებლად უპასუხებს თვით აფხაზური ენა. საგანგებო კვლევით დადასტურდა, რომ აფხაზურ ენაში არ ჩანს ებრაული და ბერძნული წარმოშობის ქრისტიანული ტერმინების უშუალოდ

---

[425] იხ.: თ. გვანცელაძე. ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. I. ქუთაისი, 1996; T. Гванцеладзе. О пути заимствования греческой христианской лексики в абхазском языке. – "Rocznik orientalistyczny", t. LI, z. 2. Warszawa, 1998; თ. გვანცელაძე. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. – "აფხაზეთის ისტორიის პრობლემები". თბ., 1998; თ. გვანცელაძე. ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. – ჟურნ. "არტანუჯი", № 10, 2000; თ. გვანცელაძე. ქრისტიანული ლექსიკა აფხაზურ ენაში. – II საერთაშორისო სიმპოზიუმი "ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი", მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005.

ბერძნული ენიდან სესხების მცირეოდენი კვალიც კი – ებრაული და ბერძნული ლექსიკა ამ ენას უსესხებია ქართველიზებული ფორმით, ან ქართველიზებული სემანტიკით.

პირველი ქრონოლოგიური ეპოქის რელიგიურ ქართველიზმებს ან ქართველიზებულ ლექსიკას ზემოთ დასახელებული ტერმინების გარდა უნდა მივაკუთვნოთ ის ტერმინები, რომლებშიც არ ფიგურირებს აფხაზური ენისათვის მეორეული, ახალი ხმოვნები **(ე, ი, ო, უ)**. მეორე ქრონოლოგიურ პლასტად კი უეჭველად უნდა ჩაითვალოთ ის ქართველიზმები, ან ქართველიზებული ტერმინები, რომლებიც ამ ხმოვნებს შეიცავენ და აშკარად ახალი ნასესხებია აფხაზურ ენაში. ე.ი. **უძველეს პლასტს ქმნიან ფონეტიკურად სრულად ადაპტირებული ქრისტიანული ტერმინები, შედარებით ახალ პლასტს კი განეკუთვნებიან ნაწილობრივ ადაპტირებული სიტყვები.** თუ ამ ნიშანს ავიღებთ ქრონოლოგიზაციის საყუძვლად, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ა) ფონეტიკურად სრულად ადაპტირებული რელიგიური ქართველიზმები

ქრისტიანულ ტერმინთა ამ ჯგუფში სიტყვათა საკმაოდ მცირე რაოდენობა შედის. კერძოდ:

აჭყანდარ "ეპისკოპოსი". მომდინარეობს მეგრული დიალექტური **ჭყონდარ-ი (< ჭყონდიდარ-ი)** ვარიანტისაგან, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ქართული სამწიგნობრო **ჭყონდიდელ-ი** ფორმა. ქართული საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ ჭყონდიდის საეპისკოპოსო დააარსა დასავლურქართული სამეფოს მეფე გიორგი მეორემ X საუკუნეში. ერთიანი ქართული სამეფოს არსებობის პერიოდში, XI-XV საუკუნეებში ჭყონდიდელ ეპისკიპოსს სამეფო კარზე შეთავსებული ჰქონდა მწიგნობართუხუცესის სავაზირო ფუნქციაც, XV საუკუნიდან XIX საუკუნემდე ჭყონდიდელი სამეგრელოს საეკლესიო მეთაური იყო და მის დაქვემდებარებაში შედიოდა ამჟამინდელი აფხაზეთის დიდი ნაწილიც (ბედიისა და მოქვის ეპარქიები), სადაც აფხაზი მოსახლეობა ჩნდება მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოდან. ამ ისტორიული რეალიების გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ტერმინი **აჭყანდარ** აფ-

ხაზური ენის აბჟუურ დიალექტში ეპისკოპოსის განზოგადებული მნიშვნელობით უნდა დამკვიდრებულიყო ან X-XI საუკუნეებში, როცა დასავლურქართული სამეფო იწყებს ქრისტიანობის გავრცელებას ჩრდილოეთ კავკასიაში, ანდა XVII-XVIII საუკუნეებში, როცა აფხაზთა წინაპრები სახლდებიან ამჟამინდელი აბჟუის (ქართულ წყაროთა **შუა სოფლის,** რომლის კალკირებულ აფხაზურ თარგმანსაც წარმოადგენს სახელი **აბჟუა**) ტერიტორიაზე. ჩვენი აზრით, ტერმინის ფონეტიკური ადაპტაციის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით უფრო რეალური ჩანს, ვივარაუდოთ, რომ სიტყვა აფხაზურში X-XI საუკუნეებში შევიდა მეგრული მეტყველებიდან. არსებითია ისიც, რომ **აბჟური დიალექტი საერთოდ არ არსებობდა XVII საუკუნემდე, რადგანაც ახლანდელ აბჟუაში აფხაზური მოსახლეობა ჯერ კიდევ არ ცხოვრობდა.**

მღვდლის აღმნიშვნელი **ა-პაპ** ტერმინი, მაროალია, არ არის ქართველური წარმოშობისა და ბერძნულია, მაგრამ იგი მაინც ქართველიზმად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან აფხაზურში შესულია არა უშუალოდ ბერძნული ენიდან, არამედ მეგრული დიალექტიდან. ამას ადასტურებს სიტყვის ფონოლოგიური სტრუქტურა. საქმე ისაა, რომ ბერძნულში ეს სიტყვა წარმოითქმის **პაპას (παπας)** ფორმით, რასაც აფხაზურში უშუალოდ ბერძნულიდან სესხების შემთხვევაში უნდა მოეცა ***ა-პაპას** ფორმა, რომელიც რეალურად არ დასტურდება. მეგრულს ეს ფუძე ბერძნული სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე უსესხებია **პაპა** ფორმით, რომლისგანაც ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოკვეცითაა მიღებული აფხაზური ვარიანტი.

ასევე მეგრულიდან მოდის მთავარანგელოზის აღმნიშვნელი **თარგალაზ** სიტყვაც, რომელიც ფონეტიკურად სრულადაა ადაპტირებული აფხაზური ენის მიერ. შდრ. მეგრ. **თარანგილოზი,** რომლის **ი** და **ო** ხმოვნები არ არის წარმოდგენილი აფხაზურ ვარიანტში. აფხაზურში **ან** მარცვლის რედუცირებაც არაა მოულოდნელი, ვინაიდან, ჩვენი დაკვირვებით, **აფხაზური ენა ერიდება სამზე მეტმარცვლიან სიტყვებს და ამარტივებს მათ.**

აფხაზურ წარმართულ პოლითეისტურ პანთეონში წამყვანი

ადგილი უჭირავს ღვთაებას, რომლის სახელიც სამ ვარიანტადაა წარმოდგენილი: **ԥՐՂ // ԥՐՂ // ԥՐՂՔ**. ამ ღვთაებას ერთმანეთთან უცნაურად შეხამებული მრავალი ფუნქცია აკისრია აფხაზურ პანთეონში: არის ყაჩაღობა-ძარცვისა და ქურდობის, მესაქონლეობის, ნადირობისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი. ჩვენი აზრით, აირგის სახელი აფხაზური ენის ფონეტიკური კანონების შესაბამისად ადაპტირებული **წმინდა გიორგის** სახელია და ამ ენაში შესული უნდა იყოს ქართული ენიდან, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს ბერძნული სახელობითი ბრუნვის ნიშნის უქონლობაც, როგორც ეს ქართულშია (შდრ. ბერძნ. **Γηοργιος** და ქართ. **გიორგი**). წმინდა გიორგის სახელის ამგვარი რადიკალური ფონეტიკური და სემანტიკური ცვლა შედეგი უნდა იყოს იმისა, რომ აფხაზთა წინაპრებმა ქრისტიანობა მხოლოდ ზედაპირულად გაიცნეს X-XI საუკუნეებში და ეს სარწმუნოება ვერ იქცა მასობრივად, რის გამოც ქრისტიანული წმინდანი ტრანსფორმირდა წარმართულ ღვთაებად, რომლის ერთ-ერთ ფუნქციად ქრისტიანობისათვის ყოვლად მიუღებელი ძარცვა-ყაჩაღობისა და ქურდობის მფარველობაც კი იქცა.

მნიშვნელოვანი ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებები განუცდია აგრეთვე წმინდა გიორგის საომარი იარაღის – **ბოძალის** სახელსაც. აფხაზურში, კერძოდ, აბეჟურ დიალექტში დასტურდება ამ იარაღის სახელის მეგრული **ბორზალ-ი** ვარიანტისაგან მომდინარე **ა-ბჟრზალ** სახეობა, რომელიც აღნიშნავს ჭექა-ქუხილის ღვთაების იარაღს, თუმცა აფხაზებს წარმოდგენა არა აქვთ, თუ რა იარაღია იგი. სიტყვა სრულადაა ადაპტირებული აფხაზური ენის მიერ, რაც სესხების დიდი სიძველის ნიშანია.

მაქსიმალურადაა ადაპტირებული ნათლობის აღმნიშვნელი **ა-ნათ-რა** სახელიც. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში **მომხდარია არა მხოლოდ სიტყვის ფონეტიკური ტრანსფორმაცია, არამედ მისი მორფოლოგიური სეგმენტაციაც, ანუ სიტყვაფორმის ერთგვარი მორფემული ანალიზიც კი, რაც სესხების სიძველეზე უნდა მიუთითებდეს**. საქმე ისაა, რომ აფხაზურ სიტყვას, რომელიც გაფორმებულია აფხაზურისათვის დამახა-

სიათაბელი ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **ა-** თავსართითა და მასდარის მაწარმოებელი **-რა** ბოლოსართით, საფუძვლად უკეცს არა ქართული სამწიგნობრო ენის **ნათლ-** (შდრ. **ნათელი**) ფუძე, არამედ მეგრული **ნათ** ვარიანტი (შდრ. მეგრ. **ნათ-უ-ა** "ნათელა", **ნათ-უ-ნ-ს** "ნათლავს").

ბ) ფონეტიკურად ნაკლებ ადაპტირებული რელიგიური ქართველიზმები

რელიგიური ტერმინების ამ ჯგუფ'ში გაცილებით მეტი სიტყვა შედის, ვიდრე ზემოთ უკვე განხილულ ჯგუფ'შია წარმოდგენილი, და მათ შემადგენლობაში შედის გამსესხებელი ენის ის ხმოვნები (**ე, ი, ო, უ**), რომლებიც შუა საუკუნეთა აფხაზურში არ იყო და, აფხაზური ფონოტაქტიკის წესების თანახმად, უნდა შეცვლილიყო სხვა ფონემებით. ქვემოთ მსჯელობის გარეშე ჩამოვთვლით ამ ლექსიკურ ერთეულებს:

პერტაბა "პეტრეობა, აღდგომის მეორე დღე" (შდრ. მეგრ. **პერტობა**);

თერდობა "თეუდორობა";

აიობა "ბზობის ანუ ბაიობის წინა კვირა" (შდრ. ქართ. **იაიობა**);

ა-მატანეირა "მეტანიობა";

ა-წყარკუთხია "წყალკურთხევა, ნათლისღება" (შდრ. მეგრ. **წაკუ(რ)თხია**);

წეჩხამა // ღეჩხამა "მჭედლობის ღვთაების სახელზე ახალი წლის წინა საღამოს გამართული ლოცვა" (შდრ. მეგრ. **ღეჯხვამა** "კალანდა", ზედმიწ.: "ღორის ლოცვა");

ა-დიაკან "დიაკონი";

ა-ბერ "ბერი";

ადგილ დედო(უ)ფალ "მუცლის გვრემისა და მუცლის ტკივილისაგან დამცველი სული". მეტად დამახასიათებელია ამ სახელის სემანტიკური ძვრები: ადგილის დედოფალი, ადგილის დედა ქართულ სინამდვილეში ოჯახის ბედნიერებისა და ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მფარველია, აფხაზურ სინამდვილეში კი მას მხოლოდ მეტად ვიწროდ დეტალიზებული ფუნქცია აქვს შერჩენილი;

ა-ჯაჯა ელია "ამინდისა და ზოგი დაავადების მფარველი ღვთაება" (სედმიწ.: "ცისარტყელა ელია");

ა-მქამგარია (აბჟუურ დიალექტში) "ძროხისა და კამეჩის მფარველი ღვთაება" (შდრ. მეგრ. **მიქამგარიო** "მიქელ-გაბრიელი");

ა-სჳმგარია // ა-სქამგარია (ორივე ბზიფურ დიალექტში) "ზაქის მოგების კვირისთავზე ფურკამეჩისათვის გამოლოცვის რიტუალი". პირველი ვარიანტი მოდის მეგრული **სამგარიო** "სამიქელგაბრიელო" სიტყვისაგან, მეორე – ასევე მეგრული, იმავე სემანტიკის მქონე უფრო ძველი **სამიქამგარიო** ფორმისაგან და ა.შ.

არა მარტო ლინგვოკულტუროლოგიურად, არამედ აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის დასადგენადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორ რელიგიურ ტერმინს, რომელთა აფხაზურ ენაში დამკვიდრების თარიღის დადგენაში გვშველიან ქართული წერილობითი წყაროები. ეს ტერმინებია: ეკლესიის აღმნიშვნელი სიტყვა **ა-ჳახამა** და კელაპტრის აღმნიშვნელი სიტყვა **ა-კ'ალანტარ**.

ეკლესიის აღმნიშვნელი სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული, სადაც **ო-ხვამ-ე** ზედმიწევნით "სალოცავს" ნიშნავს და მომდინარეობს უფრო ძველი ***ო-ჴვამ-ე** ვარიანტისაგან (შდრ. სვანურ დიალექტთა **ლა-ჴვამ** სახეობა). ვვარაუდობთ, რომ ფარინგალური **ჴ** თანხმოვანი ქართულ სამწიგნობრო ენასა და ბარის კილოთა უმრავლესობის მსგავსად მეგრულშიც უნდა შეცვლილიყო **ხ** თანხმოვნით X-XIII საუკუნეებს შორის[426]. აფხაზურ ენას რომ ეს სიტყვა უფრო ადრე ესესხებინა, მაშინ ამ ენის ბზიფურ კილოში საანალიზო სიტყვაში რეალურად უნდა გექონოდა სპეციფიკური, აბაზური ენის **ჯ** თანხმოვ-

---

[426] ზ. სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები. თბ., 1975, გვ. 15-16; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990, გვ. 496.

ნის შესატყვისი **ხ** ბგერა[427], მაგრამ ბზიფურში ამ სიტყვაში წარმოდგენილია სხვა, **ხ** თანხმოვანი, რომლითაც გადმოიცემა ხოლმე სხვა ენათა არა **ჰ**, არამედ **ხვ** ბგერათკომპლექსი. ამ ფაქტის გათვალისწინებით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ აფხაზურ ენას მეგრული ტერმინი უსესხებია არა უადრეს X-XIII საუკუნეებისა.

კიდევ უფრო ზუსტ თარიღს გვთავაზობს კელაპტრის აღმნიშვნელი სიტყვის ანალიზი. აფხაზური **აკ'ალანტარ** ფორმისათვის ამოსავალია ასევე მეგრული **კელანტარ-ი** ვარიანტი, რომელიც მიღებულია ქართული სამწიგნობრო ენის **კელაპტარ-ი** სახეობისაგან, ხოლო ამ უკანასკნელს საყრუძველად ბერძნული **κηρολάμπτηρ** "სანთლის სადგარი, სასანთლე" ფორმა უდევს. თავდაპირველად სიტყვა **კელაპტარ-ი** ქართულშიც სასანთლეს აღნიშნავდა, რაც დასტურდება გიორგი მთაწმინდელის "იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში", რომელიც დაწერილია 1042-1044 წლებს შორის[428]. გვიან შუა საუკუნეებში ამ სიტყვას ქართულში შეეცვალა სემანტიკა და მიიღო მსხვილი ცვილის სანთლის მნიშვნელობა, რაც მითითებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს 1685-1716 წლებს შორის შედგენილ თავის ლექსიკონში: "**კელაპტარი** – სასანთლე, ხოლო აწ დიდს სანთელსა უჴმობენ ტყუვილად"[429]. მოსალოდნელია, რომ იგივე სემანტიკური ცვლილება მოხდებოდა მეგრულ მეტყველებაშიც 1044 წლიდან 1716 წლამდე პერიოდში. რაკი აფხაზურ ენაში ეს სიტყვა სწორედ მეორეული მნიშვნელობით იხმარება, ცხადია, რომ ეს ტერმინი აფხაზურს უსესხებია XI-XVIII საუკუნეებს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზურ ენას კელაპტრის ცნების გადმოცემის აუცილებლობა ამ პერიოდში გასჩენია. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ეს მნიშვნელოვანი ქრისტიანული

---

[427] ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I..., გვ. 51.

[428] გიორგი მთაწმინდელი. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთუმესი. თბ., 1946, გვ. 23.

[429] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბ., 1991, გვ. 364.

ტერმინი აფხაზებს გვიან შუა საუკუნეებამდე არ სჭირდებოდათ, ვინაიდან, როგორც ზემოთ განხილული მასალა ცხადყოფს, მათ უკვე დავიწყებული ჰქონიათ X-XI საუკუნეებში ზედაპირულად აოცისებული ქრისტიანული რეალიები.

ასევე საყურადღებოა სიტყვა **ა-კუბა // ა-კუბა** "კუბო", რომელიც ქართულიდანაა შესული აფხაზურში. ქართულში **კუბო** სიტყვა თავდაპირველად აღნიშნავდა არა მიცვალებულის ჩასასვენებელ ხის ჭურჭელს, როგორც ეს ახლაა, არამედ სულ სხვა რამეს. XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ შოთა რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსან"-ში სიტყვა **კუბო** გამოყენებულია ფარდებჩამოფარებული ტახტის სემანტიკით. მაგალითად, როცა ნესტან-დარეჯანმა პირველად იხმო თავისთან თავისი მიჯნური ტარიელი, ვაჟი ასმათმა შეიყვანა ნესტანთან. ტარიელი ჰყეებოდა:

"ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,
სადა დგა **კუბო** შემკული ბალახშითა და ლალითა;
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა-მკრთალითა,
მე შემომხედნის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა".[430]

სულხან-საბა ორბელიანი თავისი ლექსიკონის ZAB რედაქციებში სიტყვის მთავარ მნიშვნელობას ასე განმარტავს: "**კუბო** ესე არს ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი (შთასაჯდომელი B). აქლემთა ასაკიდებელი, გინა ჴელით სატარებელი". C რედაქციაში კი წერია: "კუბო არს შთასაჯდომელი ქალთა, აღსაკიდებელი აქლემთა, გინა პილოთა, საპატიონი რამე შემზადებულნი: ხოლო მსოფლიონი კ უ ბ ო დ უჴმობენ გინა გავალაკთა, გინა მცირეთა კონქთა, გინა მკვდართა შთასადებელთა გვადრუცთა"[431]. ყველა რედაქციის მიხედვით, სიტყვის ძირითად მნიშვნელობად ჩანს **"აქლემზე, ან სპილოზე ასაკიდებელი ტახტრევანი"**, მაგრამ ხალხურ მეტყველებაში მას უკვე

---

[430] შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1975, გვ. 83.

[431] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბ., 1991, გვ. 392. შდრ.: მსოფლიონი "უბრალო ხალხი, მდაბიონი", გაჟალაკი "მეფეთა თავსხემოთ საფარებელი ქსოვილი", კონქი "კამარა", გვადრუცი "ფიცრის კოლოფი, გოდორი".

გასჩენია ახალი მნიშვნელობებიც: 1. **"კამარაზე, ან მეფეთა თავსზემოთ ჩამოსაფარებელი ქსოვილი"** და 2. **"მიცვალებულის ჩასასვენებელი ხის ჭურჭელი"**. ამ 3 მნიშვნელობიდან საბას აშკარად პირველი მიაჩნია ძირითადად.

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ 1716 წლის ახლო ხანებში ტერმინი **კუბო** სამწიგნობრო ქართულში ჯერ კიდევ საყოველთაოდ არ გამოიყენებოდა მიცვალებულის ჩასასვენებელი ხის ჭურჭლის მნიშვნელობით, ყოველ შემთხვევაში, საბა, როგორც ენის კანონმდებელი, კოდიფიკატორი ასე მიიჩნევდა. შემდგომ პერიოდში სიტყვამ სწორედ ძირითადი მნიშვნელობა დაკარგა და დღემდე გამოიყენება მხოლოდ მიცვალებულის ჩასასვენებელი ხის ჭურჭლის სემანტიკით.

რაკი აფხაზურში **აკჳბა // აკუბა** ვარიანტებიც მხოლოდ მიცვალებულის ჩასასვენებელ ხის ჭურჭელს აღნიშნავს და აფხაზთათვის უცნობია სხვა მნიშვნელობები, უნდა დავასკვნათ, რომ სიტყვა **კუბო** მაო მხოლოდ XVIII საუკუნიდან შეითვისეს. ამ დასკვნას განამტკიცებს ვახუშტი ბატონიშვილისა და ევროპელი ავტორების იმავე პერიოდის ცნობები აფხაზთა შორის მიცვალებულების ჰაერზე დაკრძალვის ჩვევის არსებობის შესახებ[432], რაც ცხადყოფს, რომ იმ დროს აფხაზებში ქრისტიანობა ჯერ კიდევ ძალიან სუსტი, ხოლო წარმართობა ძალზე ძლიერი იყო.

ამჟამინდელ აფხაზთა შორისაც, როგორც ითქვა, **წარმართული** რწმენა-წარმოდგენების სიძლიერე მკაფიოდაა ასახული, ერთი მხრივ, სათანადო წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების კარ-

---

[432] იხ., მაგალითად: ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 786. აფხაზთა შორის გავრცელებული მიცვალებულის ჰაერზე დაკრძალვის წესის არგუმენტირებული ისტორიულ-ეთნოლოგიური ანალიზისათვის იხ.: ს. ბახია-ოქრუაშვილი. ჰაერზე დაკრძალვის წესი კოლხეთსა და აფხაზეთში. – "კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული". ტ. VIII. თბ., 2003, გვ.139-149; ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). თბ., 2010, გვ. 100-116.

გად შემონახულობაში, მეორე მხრივ კი იმაში, რომ ეს წარმოდგენები დეტალიზებულადაა სახელდებული (ენობრივად მარკირებული) უმდიდრესი ლექსიკურ-ტერმინოლოგიური მასალით, კერძოდ, წარმართულ ღვთაებათა, მფარველ და მავნე სულთა, საგანთა თუ რიტუალთა სახელწოდებების სიმრავლით. მაგალითად, პოლითეისტური წარმართული პანთეონი მარკირებულია ღვთაებათა და გაღმერთებულ სულთა შემდეგი სახელებით:

ანცა – ამჟამად გაიგება, როგორც უზენაესი ღვთაება, ღმერთი და გამოიყენება ამავე სემანტიკით, მაგრამ, როგორც დამაჯერებლად გაარკვიეს აკად. ს. ჯანაშიამ და აკად. ქ. ლომთათიძემ, ეს სიტყვა თავდაპირველად ქალღმერთთა კრებულის ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო, რაზეც უეჭველად მიგვანიშნებს ტერმინის სტრუქტურა: ფორმა **ანცა** დედის აღმნიშვნელი **ან** სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმაა მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებებით[433].

ათარ – ნაყოფიერებისა და შინაურ ცხოველთა მფარველი ღვთაება, რომლის სახელი აშკარად მატერიალურ კავშირშია სამეგრელოში გავრცელებულ **ანთარ-ი (ჟინი ანთარი** "ზემო, ზეციური ანთარი") სახელთან და, შესაძლოა, ხევსურეთში ცნობილ **ანატორ**-თანაც. აფხაზურ **ათარ**-ს პყავს კონკრეტულ ცხოველთა მფარველი წილები (**ანცახ** "ღმერთის წილი"): **ალჷშჷენტʜრ** – ძაღლების მფარველი; **ანაფანაგა** – მოსაველის მფარველი; **ჯაბრან** – მსხვილფეხა საქონლის მფარველი; **ჯაბრან** – წრილფეხა საქონლის მფარველი; **აჩშაშანა** – ცხენების მფარველი. საყურადღებოა, რომ **ალჷშჷენტʜრ, ჯაბრან** და **აჩშაშანა** სახელებში აშკარად გამოსჭვივის კავშირი **ა-ლა** "ძაღლი", **ა-ჯ** "ძროხა" და **ა-ჩ** "ცხენი" ფუძეებთან, ხოლო **ჯაბრან, ჯაბრან** და **აჩშაშანა** ტერმინებში გამოსაყოფი ჩანს

---

[433] ქ. ლომთათიძე. კელაე აფხაზური **ანცა** "ღვთაება" სიტყვის ფუძის აგებულების შესახებ. – "მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია", № 3, 1978, გვ. 144-147.

დედის აღმნიშვნელი **ან(ა)** ფუძეც, რაც, ჩვენი აზრით, იმის მანიშნებელია, რომ მსხვილფეხა საქონლის, წვრილფეხა საქონლისა და ცხენების მფარველები ქალღმერთები იყვნენ.

წარმართული პანთეონის სხვა სახელებია:

ალიაშა – უკეთურ ხეთა მფარველი სული;

ანანა-გუნდა – ფუტკრისა და მეფუტკრეობის მფარველი ქალღვთაება, რომლის სახელშიც გამოიყოფა დედის აღმნიშვნელი საერთოკავკასიური **ნანა** ფუძე;

ანანა-შაცა – ქალთა მფარველი, შვილიერების მომნიჭებელი ქალღვთაება, რომელიც ზედმიწევნით ნიშნავს "დედის გამჩენთ". ამ სახელშიც შედის დედის აღმნიშვნელი **ნანა** ფუძე;

აბნა ანცახ – ტყის მფარველი ღვთაების წილი, ტყიურთა გამგებელი. სახელი ზედმიწევნით ნიშნავს "ტყის ღმერთის წილ"-ს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ არსებობდა ტყის ღმერთიც (**აბნა ანცა**);

ალაბნა – "მიწისგან დაჭერილი" სნეულის მფარველი სული. სახელი ზედმიწევნით ითარგმნება, როგორც "მინდორ-ტყე";

ერშა //ერშაყან – ფეიქრობის მფარველი სული. სახელის მეორე ვარიანტში აშკარად გამოიყოფა **ყან** ფუძე, რომელიც აფხაზურ ენაზე არ იხსნება. აბაზურში **ყან** სიტყვა ნასესხებია ყაბარდოული ენიდან და მას 2 მნიშვნელობა აქვს: 1. "ბეჭდის ძვირფასი თვალი" და 2. "გაძიძავებული თავადიშვილი". ყარაჩაულ-ბალყარულ ენაშიც არის **ყან** სიტყვა და "სისხლს" ნიშნავს. ყაბარდოული ომონიმების 2 მნიშვნელობიდან და ყარაჩაულ-ბალყარული სიტყვის სემანტიკიდან აფხაზური წარმართული ღვთაების სახელში შეიძლება ფიგურირებდეს როგორც "ბეჭდის ძვირფასი თვლის", ისე "სისხლის" მნიშვნელობებიც, მაგრამ არცერთი ეს მნიშვნელობა არ ესადაგება ფეიქრობას, რომლის მფარველიცაა **ერიში // ერიშყანი**. ამიტომ სახელის ეტიმოლოგია საძიებელი რჩება;

აწგ ზოსპან – ზედმიწევნით: "ოქროს ზოსპანი". ბატონების (ინფექციურ სნეულებათა) მფარველი ღვთაება. საეჭვოა, სახელი შეიცავდეს დედის აღმნიშვნელ ფუძეს;

ნუმირაჰ // ლუმილაჰ – ცოლქმრობის მფარველი სული. სახელი, შესაძლოა, ნასესხები იყოს თურქული ენიდან;

ანაფრა – კუჭის დაავადებათა მფარველი სული;

აჟაჰარა –ფუძის ანგელოზი, ოჯახისა და მისი გამრავლების მფარველი სული. როგორც გაარკვია აკად. ქ. ლომთათიძემ, ეს სახელი ნიშნავს "ხორცის მატებას", ოჯახის წევრთა რაოდენობის ზრდას[434];

აჟვეფშაა // აჟვეფშაა ჟვეფშჲრყან – ნადირობის და ნადირის მფარველი შვიდსახოვანი ღმერთი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ **ჟვეფშჲრყან** ფორმაშიც შედის იგივე **ყან** ფუძე, რაც ფეიქრობის მფარველის სახელში ჩანს.;

საუნაუ – ფქვის მფარველი ღვთაება;

აფჲ – ჭექა-ქუხილის მრისხანე ღვთაება;

აფსცაჰა – მიცვალებულთა უფალი, ზედმიწევნით: "მკვდართა ბატონი";

ჰიჰინა – სელის (მცენარის) მფარველი სული;

შაშჲ – მჭედლობის მფარველი შვიდსახოვანი ღვთაება;

აშაცა-ჩაფაცა – ბედის მწერელნი, ზედმიწევნით: "გამჩენნი-მჭედელნი";

აშხა ანცახ – მთებისა და უღელტეხილთა ღვთაება, ზედმიწევნით: "მთის ღმერთის წილი". სახელი მიანიშნებს, რომ არსებობდა მთის ღმერთიც **აშხა ანცა**-ს სახელით;

ჲზლან // ჲბლან – წყლის დედა, ზედმიწევნით: "წყალში მყოფი (წყალში გარეული) დედა". ამ სახელის ეტიმოლოგიის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველაზე ადეკვატური ასეთი ახსნაა: თავკიდურა **ჲ** მარცვალი წყლის აღმნიშვნელი **აჲ** სიტყვის ძირეული ნაწილია, **ლა** მარცვალი **ა-ლა-ზაარა** "რაიმე მასაში, ან ერთგვარ საგანთა

---

[434] ქ. ლომთათიძე. ნათესაური ურთიერთობის განსაზღვრის საფუძველი ენობრივ მონაცემთა მიხედვით. – "მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია", № 3, 1983, გვ. 134-140.

კრებულში ყოფნა" ზმნის ძირია, რომელსაც წინ დართული აქვს ქართული **ვინც, რაც** ნაცვალსახელთა ფუნქციის გადმომცემი სამიმართებო ნაცვალსახელური პრეფიქსი **ზ-** (**ბძანან** ვარიანტში **ზ-** პრეფიქსი ასიმილაციის ნიადაგზე აფრიკატიზებულია და შეცვლილია **ძ-** სახეობით), ბოლოკიდურა **ან** დედის აღმნიშვნელი ელემენტია. მთლიანობაში სიტყვის არეტიპული სემანტიკაა: "წყალში მყოფი დედა, წყალში შერეული დედა";

ჭაპ – კერიის მფარველი ღვთაება;

წბჟრ – წმინდა ხეების მფარველი ღვთაება;

ჯაჯა – მემინდვრეობის მფარველი ქალღვთაება...

მრავალმხრივ საყურადღებოა, რომ აფხაზურ წარმართულ პანთეონში **არ დასტურდება არც ზღვის, არც ზღვაოსნობისა და არც თევზთა მფარველი სულები თუ ღვთაებები**, რაც კიდევ ერთი უტყუარი საბუთია იმისა, რომ აფხაზთა წინაპრები შავი ზღვის სანაპიროზე არ ცხოვრობდნენ გვიანდელ შუა საუკუნეებამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებულ ტერმინებში **მეცხოველეობისა და ნადირობის დარგებთან დაკავშირებული სახელები ჭარბობს მიწათმოქმედებისა და მემინდვრეობის ამსახველ სახელებს**, რაც ცხადად მიანიშნებს იმაზე, რომ აფხაზთა წინაპრების მთავარი საქმიანობა მეცხოველეობა და ნადირობა ყოფილა. ამისიექე დასტურია ისიც, რომ დასახელებულ პრიორიტეტულ დარგებთან დაკავშირებული ღვთაებები მრავალსახოვანია და თავიანთი წილები ჰყავთ. მაგალითად: **აძთარი** ექვს წილს აერთიანებს, **აუვეიფშაა** და **შაშ** კი შვიდსახოვანნი არიან

აფხაზურ ენაში **ქრისტიანული** ტერმინოლოგიის უმცირეს ნაწილს ქმნის საკუთრივ აფხაზური წარმოშობის ლექსიკა. რომელიც აშკარად წარმართობის გადმონაშთია და მორგებულია ქრისტიანობას (**ანცა** "ღმერთი", **ა-ნქა** "ხატი", **ა-ვსთაა** "ეშმაკი", **ა-ნქჰარა** < აბაზ. **ნქა ჰარა** "ლოცვა" < "ხატის თქმა"...), ქრისტიანული ლექსიკის უდიდესი ნაწილი კი გვიანდელ შუა საუკუნეებშია შესული აფხაზურ ენაში, ან ქართული სამწიგნობრო და სასაუბრო ენიდან, ანდა მეგრული დიალექტიდან და აღნიშნავს ძირითად ქრისტიანულ ცნებებს. გან-

საკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, როგორც აღინიშნა, სწორედ ქართული სამწიგნობრო და სასაუბრო ენიდან თუ მეგრული დიალექტიდანაა აფხაზურში შესული ებრაული და ბერძნული საკულტო ლექსიკაც. მაგალითად, მთავარანგელოზთა სახელები **მიქელ** და **გაბრიელ** აფხაზურს შეუთვისებია მეგრულიდან, შდრ. მეგრ. **მიქამგარიო** > აფხაზ. **ა-მქამგარია**, ასევეა ნასესხები **ა-კ'ალანტარ** < მეგრ. **კელანტარი** < ქართ. სამწიგნ. **კელაპტარი** < ბერძნ. **კეროლამპტერ** და სხვანი. ამგვარი ფაქტების არსებობა ცხადყოფს, რომ თანამედროვე აფხაზთა წინაპრები ქრისტიანობას უშუალოდ ბერძნებისაგან კი არა, ქართველთა წინაპრებისგან ზიარებიან.

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ისლამური ტერმინით აფხაზურში აღინიშნება ქრისტიანობის ძირითადი ცნებებიც. მაგალითად: **ჯანათ** "სამოთხე", **ჯაჰანგმ** "ჯოჯოხეთი", **ა-დინ** "რჯული, რწმენა, რელიგია", **ა-მაალქ'** "ანგელოზი", **ა-ფააჲმბარ** "წინასწარმეტყველი, ფეიღამბარი"...

ამგვარი ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ აფხაზთა წინაპრებს შორის ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული, როცა მათ მოუხდათ თურქების ძლიერი ზეგავლენით ისლამის მიღება, რამაც ხმარებიდან ამოაგდო ქრისტიანული ტერმინების ერთი ნაწილი. ასეთი რამ კი მხოლოდ XVI-XVIII საუკუნეებში შეიძლებოდა მომხდარიყო.

§ 13. სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიციის ლინგვოკულტურული ასპექტები

სტუმარმასპინძლობის ტრადიცია კავკასიაში მცხოვრები ყველა ეთნოსის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. სტუმრის განსაკუთრებული პატივისცემა, მისი უპირატესობის ხაზგასმა, მზადყოფნა სტუმრის სიცოცხლისა და პირადი ღირსების დასაცავად – ყველა კავკასიელ ხალხში ითვლება უმთავრეს პრიორიტეტად. ყოველი ადამიანი, ყოველი ოჯახი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში ვალდებულია, მზად იყოს

სტუმრის მისაღებად და სამასპინძლოდ, რა სირთულესთანაც უნდა იყოს ეს დაკავშირებული.

საზოგადოება მუდამ ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმას, თუ როგორ სრულდება ამ ტრადიციის მოთხოვნები, იგი ქებით ამკობს მათ, ვინც ღირსეული მასპინძლობით გამოირჩევა და მკაცრად გმობს იმათ, ვინც უღირსი მასპინძლობით შეარცხვენს საკუთარ ოჯახს, საგვარეულოს, თემ-სოფელს და მთლიანად თავის ეთნოსსაც კი.

კავკასიელები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ტრადიციას, რომ ადამიანს პირველ რიგში იმით აფასებენ, თუ როგორი მასპინძელია იგი. განსაკუთრებით ფასდებიან ისეთი ადამიანი, ვინც მნიშვნელოვანი მატერიალური, ფსიქოლოგიური, თუ სხვა პრობლემების მიუხედავად (საოჯახო, სათემო, სამსახურებრივი საქმეები, მგლოვიარობა, სნეულება და ა.შ.) არ აგრძნობინებს სტუმარს თავის პრობლემებს და ისე უმასპინძლებს, როგორც ამას სტუმარმასპინძლობის დაუწერელი წესები მოითხოვენ.

ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც აფხაზი ხალხია. სტუმარმასპინძლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების განუხრელად დაცვა აფხაზი კაცის მიერ დღემდე განიხილება **აფსუარა**-ს (აფხაზთა თვითსახელ **აფსუა**-საგან მომდინარე სახელია, უდრის "აფხაზობა"-ს), ანუ აფხაზისათვის სავალდებულო დადებით თვისებათა ერთობის განუყოფელ ნაწილად. რა თქმა უნდა, სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიცია ბევრი რამით ჰგავს სხვა კავკასიელ ეთნოსთა (როგორც მონათესავე ხალხთა, ისე არამონათესავეთა) შესაბამის ტრადიციებს, მაგრამ მას მაინც აქვს მრავალი განმასხვავებელი ნიშან-თვისება და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნული მახასიათებლები[435].

სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიცია მჭიდრო კავშირშია ენობრივ (ვერბალურ) მასალასთან, რომლის გაუთვალისწინებლადაც შეუძლებელია ამ ეთნოსის სულის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ სწო-

---

[435] ვრცლად ამის შესახებ იხ.: Ш.Д. Инал-ипа. Очерки об абхазском этикете. Сухуми, 1984, გვ. 103-122.

რედ ამ ენობრივ (ვერბალურ) მასალას.

სტუმარმასპინძლობასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკა და ფრაზეოლოგია იყოფა შემდეგ ჯგუფებად: სპეციალური ტერმინები და ტერმინოლოგიური შესიტყვებანი; სტუმრისა და მასპინძლის თვისებათა მიმართ ხალხის დამოკიდებულების ამსახველი შეფასებითი ეპითეტები; პატივისცემის გამომხატველი მიმართვის ფორმულები; ეზოში, სახლში, სუფრასთან მიწვევის ფორმულები; სადღეგრძელოები; ანდაზები და თქმულებები, რომლებიც ნერგავენ სტუმარმასპინძლობის ტრადიციისადმი პატივისმცემლურ დამოკიდებულებას და ა.შ.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციასთან დაკავშირებული ტერმინები და ტერმინოლოგიური შესიტყვებებია:

ა-სას "სტუმარი";

ааҩҵ "სტუმარი" (ზედმიწ.: "მომსვლელი");

а-ҩшәа "მასპინძელი";

а-ҩшәа иҩшәацәа "მასპინძლის ახლობელ-ნათესავები და მეზობლები, რომლებიც ეხმარებიან მას მასპინძლობაში" (ზედმიწ.: "მასპინძლის მასპინძლები"). ამ ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში მინიშნებაა იმაზე, რომ, აფხაზთა წარმოდგენით, სტუმრის ღირსეულად გამასპინძლებას ერთი ოჯახი მარტო ვერ ა'უყა და მასპინძელს ახლობლებმა იმ დონეზე უნდა გაუწიონ დახმარება, რომ თვით მასპინძელი სტუმარივით საპატიო მდგომარეობაში ჩანდეს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძვირფას სტუმარს ორმაგი მასპინძლობა სჭირდება;

сасра ацара "სტუმრად წასვლა" (**сасра дцэҟт** "სტუმრად წავიდა"). ამ შემთხვევაში სახელის ზოგადი ფორმის მაწარმოებელი **а-** პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილი მასდარი გამოიყენება მიზნის გარემოების როლში;

а-сасдҟлара "სტუმრის მიღება; სტუმარმასპინძლობა" (**асас дидиҟлт** "სტუმარი მიიღო");

а-тааара "1. სტუმრად წვევა; 2. ძველებური ტრადიცია, როცა სტუმრად მიდიოდნენ და მასპინძლისათვის საჩუქრები მიჰქონდათ" (**асас дитааҳт** "სტუმარი ეწვია; სტუმარი ეწვია და

სანუქრები მიართვა");

ა-სასააძრთა "საგანგებოდ აგებული სასტუმრო სახლი" (ზედმიწ.: "სტუმრის მოსასვლელი"). წარსულში ამგვარ სახლებს განსაკუთრებით რთავდნენ და უელიდნენ, რათა სტუმარს თავი მყუდროდ ეგრძნო;

ა-სას ძააძრა "სტუმრის მოსვლა" (**ასას დააძტ** "სტუმარი მოვიდა");

ა-თაზაარა "სტუმრის ყოლა" (**ასას დითოუპ** "სტუმარი ჰყავს". ზედმიწ.: "სტუმარი შიგ [სახლში, ოჯახში] ჰყავს");

ააძგლარა "მცირე ხნით წვევა; გზიდან გადახვევა სტუმრად" (**ამჯა შიასუაზ დაადგლეიტ** "გზად რომ მიდიოდა, სტუმრად გადაუხვია");

აანჭასრა "ვინმესთან სტუმრად დადგომა, გაჩერება" (**ასასცა ასასააძრთაჭ ძაანჭასიტ** "სტუმრები სასტუმრო სახლში დადგნენ, მოეწყვნენ");

ა-ფგლარა "შეხვედრა, შეგებება" (**აფშმა ასას დიფგლეიტ** "მასპინძელი სტუმარს შეეგება");

ააფწარა "მოწვევა" (**აფშმა ასას დააძფწეიტ** "მასპინძელმა სტუმარი მოიწვია");

ა-სას იწ "სასტუმრო კერძი, სტუმრის ულუფა; მოულოდნელი სტუმრისათვის გადანახული სანოვაგე". სირცხვილად ითვლებოდა, თუ ოჯახს არ ჰქონდა გადანახული მოულოდნელი სტუმრის სამასპინძლო სანოვაგე, ან თვითონ თუ მიირთმევდნენ სტუმრის კერძს;

ა-ჩეიჯკა "პურმარილი" (ზედმიწ.: "პური და მარილი");

ა-ჩარა "პურობა, ქეიფი; ქორწილი". ტერმინი წარმოადგენს **ა-ჩა** "პური" სიტყვის ფუძისაგან მომდინარე მასდარს. შდრ., ერთი მხრივ, ქართ. **პურ-ი** და **პურობა**, მეორე მხრივ, აბაზური **ჩარა** "ჭამა";

აკრეტარა დუ "დიდი პურობა, დიდი ქეიფი" (ზედმიწ.: "დიდი ჭამა");

ა-ჭააწარა "რითიმე, ნუგბარით გამასპინძლება" (ზედმიწ.:

“ვისიმე პირში რამის ჩადება”). ტიპური ფრაზაა: **აფშმა აჯაც ჰჰეწეტ** “მასპინძელმა ხორცით გვიმასპინძლა”;

ა-ნჯჰაჭჰა “სადღეგრძელო” (ზედმიწ.: “დალოცვის პირი, დამლოცავი პირი”);

ა-ჯჳხ “სადღეგრძელო” (ზედმიწ.: “ღვინის ულუფა, ღვინის წილი”). სიტყვა ამჟამად თითქმის დავიწყებულია. იციან მხოლოდ ღრმად მოხუცებულებმა;

ა-ხჳბჟა “საქონლის მოხარშული თავის ნახევარი, რომელსაც პატივისცემის ნიშნად მიართმევდნენ საპატიო, უხუცეს სტუმარს”;

ა-ხაწგჳლარა “სტუმართა მომსახურება ფეხზე დგომით სუფრასთან წესრიგის დაცვის მიზნით”. ჩვეულებრივ, ამ მოვალეობას ასრულებენ მასპინძელი და მისი ახლობელი მამაკაცები;

ა-ტოლბაშ // ა-ტალბოშ “თამადა”. ახალი ნასესხებია თურქული ენიდან;

ა-ჯჳნაჰა(ჯჳ) “მერიქიფე, ღვინის მწდე”;

აკრჳთარა “მასპინძლის მიერ მის ოჯახში პირველად მისული სტუმრის დასაჩუქრება” (ზედმიწ.: “რისამე მიცემა”);

ა-ჭჰა ანჳზაარა “დასაჩუქრება” ტიპურ ფრაზაში: **სჩჳ უაჭჰა ჲან'უპ** “მიჩუქნია შენთვის ჩემი ცხენი” (ზედმიწ.: “ჩემი ცხენი შენს პირზეა”) და ა.შ.

დასახელებულ ტერმინთა ერთ ნაწილს მიესადაგება სტუმრისა თუ მასპინძლის თვისებათა შესაფასებელი დადებითი ან უარყოფითი კონოტაციის მქონე ეპითეტები. მაგალითად, ჩერქეზული წარმოშობის ზედსართავი სახელი **დაბ**, რომელიც ჩერქეზულში აღნიშნავს “ლამაზს”, აფხაზურ ენაში გამოიყენება მხოლოდ სტუმრის ეპითეტად და შესიტყვება **ასას დაბ** გამოხატავს “საპატიო, უცხო სტუმარს”; მასპინძლისა და სტუმრის თვისებათა შესაფასებლად იხმარება აგრეთვე ზედსართავი სახელები: **ა-ბზია** “კარგი” და **ა-ცგა // ა-ბააფსჳ** “ცუდი”...

სტუმარმასპინძლობის ტრადიციასთანაა დაკავშირებული პატივისცემის გამომხატველი მიმართვის ფორმულებიც, რომ-

ლებიც სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება. ამ ჯგუფში შედის შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

უხწ ზგეტ "შენი თავის ტკივილი წავიღე!" (შდრ. ქართ.: შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, შენი სატკივარი მერგოს);

უხაწკ სცეტ // უხაცკ სცეტ "შენი თავის მაგიერ წავედი" (შდრ. ქართ.: შენ გენაცვალე);

სუკხშოუპ "შენზე გარს შემოვლებული ვარ" (შდრ. ქართ.: შემოგევლე);

დად – ბერიკაცის მიმართვა ახალგაზრდისადმი. დაახლოებით უდრის ქართულ მიმართვას "ბაბუ". თუ მიმართვის ობიექტი ერთზე მეტია, გამოიყენება კრებითი მრავლობითი რიცხვის ფორმა **დადრაა**;

ნან – ხანდაზმული ქალის მიმართვა ახალგაზრდისადმი. სიტყვა დედის აღმნიშვნელი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძეა...

სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობის ამსახველ ვერბალურ საშუალებებს განეკუთვნება აგრეთვე სტუმრის მიწვევა-მიპატიჟების ფორმულები. მაგალითად:

თუ აფხაზმა გადაწყვიტა გზად მიმავალი მგზავრის მიწვევა, ასეთ მზა ფორმულას წარმოთქვამს: **უმვახგწ, ჰაფშაზაად** "გზიდან გადმოუხვიე, დაე, მასპინძლები ვიყოთ";

სტუმარს ეგებებიან მისალმების ზოგადი ფორმულით: **ბზიალა უააბეტ** "კარგით, სიკეთით გნახეთ" (შდრ. ქართ. კეთილი იყოს შენი მობრძანება);

სუფრასთან მსხდომ სტუმრებს შემდეგი სიტყვებით სთხოვენ, მიირთვან კერძები და სასმელი: **შანაპ აშგრკ!** "[კერძს] ხელი მოჰკიდეთ!" **აკრგ შფა!** "რამე შეჭამეთ!" **იჟუგ!** "დალიეთ!";

სტუმრის პატივსაცემად გამართული პურობის უმთავრესი ვერბალური კომპონენტებია სტუმრის მისამართით წარმოთქმული საქებარი სადღეგრძელოები. ყოველი სადღეგრძელო წარმოითქმის თანმიმდევრობის მკაცრი დაცვით. აუცილებლად მიიჩნევა სტუმართა დადებითი თვისებების ხაზგასასმელად სადღეგრძელოთა შემკობა დადებითი ეპითეტებით, მეტაფორებით,

შედარებებით, პიპერბოლებით. ხალხური წარმოდგენით, ის თამადა მიიჩნევა თავისი საქმის დიდოსტატად, ვინც მჭევრმეტყველურად ამბობს სადღეგრძელოებს, თავის მოუბეზრებლად ხელმძღვანელობს პურობას, ქმნის თბილ, მეგობრულ, მხიარულ და მიმზიდველ ატმოსფეროს, ფხიზლად ადევნებს თვალყურს წესრიგს, ცდილობს სტუმარს თავი მყუდროდ აგრძნობინოს, ვინც დაჯილდოებულია იუმორის გრძნობით და ა.შ. რა თქმა უნდა, თამადას შეუძლია იმპროვიზება (ეს აუცილებელიც კია!), მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, მოვალეა, დაიცვას დიდი ხნის წინ შემუშავებული თამადის ქცევის ნორმები.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციისადმი ეთნოსის დამოკიდებულების გამომხატველ ვერბალურ საშუალებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ანდაზებს, შეგონებებს (სენტენციებს), ხალხურ თქმულებებს, რომელნიც ახალგაზრდებს უნერგავენ თვალსაზრისს სტუმარმასპინძლობის ტრადიციის, როგორც **აფსუარას**, ე.ი. აფხაზი ხალხის ეროვნული თვითიდენტობის განუყოფელი ნაწილის, დიდი მნიშვნელობისა და გარდაუვალი აუცილებლობის შესახებ. ქვემოთ დავიმოწმებთ ამ თემატურ ჯგუფში შემავალ ზოგ ანდაზასა და შეგონებას:

ასას ბჟ-ნასჳფკ იცუპ "სტუმარს თან შვიდი ბედნიერება ახლავს (მოჰყვება)";

ასას იიუა-იიჰო დაჭითუპ "სტუმარს ნება აქვს, რაც მოესურვება ქნას და თქვას";

ასას დმცხ-ხარჳც აფშმა დიჩჰაროუპ "სტუმარმა რომც გადაამლაშოს ("ჭარბი რომ გახდეს"), მასპინძელმა უნდა მოუთმინოს";

ასასი აფშმეი ეიბარჩეიროუპ "სტუმარმა და მასპინძელმა ერთმანეთი უნდა გაუმჯობესონ";

ასას იცუწ-ახჳზ აჳსთაა იტ'უპ "რაც სტუმარს გადაუმალე, ეშმაკის საკუთრებაა";

ასას დააძრა დარა იუსუპ, ასას იცარა აფშმა იუსუპ "სტუმრის მოსვლა მისი ნებაა (მისი საქმეა), სტუმრის წასვლა მასპინძლის ნებაა (საქმეა)". იგულისხმება, რომ სტუმარს ნებისმიერ დროს შეუძლია მიადგეს მასპინძლის კარს, სამაგიეროდ

სტუმრის ყოფნის დროს (სტუმრობის ვადას) მასპინძლის ქცევა განსაზღვრავს;

აფშმა ბააფს დნასკაგაჳხოტ // აფშმა ცჟა დნასკაგაჳ ბზიოუპ "უვარგისი მასპინძელი გამცილებლობს // ცუდი მასპინძელი კარგი გამცილებელია";

ასას დჟცჟარხჟხუპ "სტუმარი ცუდის გამომაშკარავებელია". იგულისხმება, რომ სტუმრის მიღებაზეა დამოკიდებული იმის გამომჟღავნება, თუ რა ნაკლი აქვს მასპინძლის ოჯახს;

ასასი ასჟსი "სტუმარი ბატკანს უნდა ჰგავდეს" (ზედმიწ.: "სტუმარი და ბატკანი"). იგულისხმება, რომ სტუმარი წყნარი, თავდაჭერილი უნდა იყოს და არ ამჟღავნებდეს აგრესიასა და პრეტენზიებს;

ახჟ ზმარდაზ ალჟმპა იფჯტ "ვისაც [საქონლის მოხარშული] თავი მიართვეს, ყური შეჭამა". აფხაზური ეტიკეტის თანახმად, საპატიო სტუმარს საქონლის მოხარშულ თავს მიართმევდნენ. იგი მოვალე იყო, სხვათათვისაც ეწილადებინა ხორცი. სამარცხვინოდ მიიჩნეოდა, თუ სტუმარი ყურებს თავისთვის დაიტოვებდა და შეჭამდა;

ბადია მჟშათ ზჭალა ააადგაზ მჟალა იგჯტ "მუშმათ ბედიამ საკუთარი ზურგით მოტანილი თავისივე მუცლით წაიღო". იგულისხმება, რომ სტუმარმა თავისივე მოტანილი მოსაკითხი სანოვაგე თვითონვე არ უნდა შეჭამოს, ანუ თავდაჭერა სტუმარსაც მოეთხოვება;

სასრა იმცაც სას დიზნჟყომ "ვინც სტუმრად არ ყოფილა, სტუმარს ვერ უმასპინძლებს (ვერ გაუძღვება)";

ასას ასას დიცჟმლჟნ, აჟჟჯაგჟ აფშმა ცჟმლჟნ "სტუმარს სტუმარი სძულდა, ორივე კი – მასპინძელს";

უაგა სასრა დუმჟშთჟნ! "შენს სულელს სტუმრად ნუ გაუშვებ!";

უალაგჟ ჩჟსლა დშჟ! "შენი მტერიც კი საჭმლით მოკალი!" იგულისხმება, რომ პურმარილი მტერსაც არ უნდა დაუკავო, მტერსაც კი უნდა აჩვენო, როგორი მასპინძელი ხარ და შენი კარგი მასპინძლობით "მოკლა" იგი.

ასასცა ზეჭაცააუა იჩუან თაცუამ "ვისაც სტუმრები მოსდის (ვისთანაც სტუმრები დადიან), მისი ქვაბი არ დაიცლება" და მრ. სხვ.

სტუმარიცა და მასპინძელიც ვალდებულნი არიან, არა მარტო დაიცვან ქცევის წესები, არამედ სათანადოდ, დროულად გამოიყენონ ეთნოსის მიერ დადგენილი ურთიერთობის ვერბალური საშუალებებიც. აღზრდის ხალხური სისტემა მთლიანად უჭერს მხარს საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებას სტუმრის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ, რაც უნერგავს ახალ თაობას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ: ა) სტუმრის ღირსეულად მიღება ყოველი აფხაზისათვის უდიდესი პატივია; ბ) სტუმრის წვევა ღვთის განსაკუთრებული წყალობაა; გ) არ არსებობს სტუმრის გულღია მასპინძლობაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე; დ) სტუმარს მასპინძლისათვის ბედნიერება, სიხარული და ავტორიტეტი მოაქვს; ე) სტუმარი ხელშეუხებელია და ა.შ. ენობრივი ქცევის წესები უკრძალავენ როგორც სტუმარს, ისე მასპინძელს ბილწსიტყვაობას, ერთიმეორისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას, დამსწრე თუ იმ მომენტში იქ არმყოფი პირების სიტყვიერ შეურაცხყოფას.

მასპინძელს უნდა ჰქონდეს საკუთარი პრობლემების დაფარვის უნარი, რათა არ შეაწუხოს სტუმარი და გუნება არ წაუხდინოს მას. მასვე ევალება, გამოხატოს გულწრფელი სიხარული მის ოჯახში სტუმრის მოსვლის გამო. მასპინძლის მოვალეობაა ისიც, რომ მორიდებით მოუბოდიშოს სტუმარს, ჩემს ოჯახს გაუჭირდება შენნაირი ძვირფასი სტუმრის სათანადოდ მასპინძლობა, მაგრამ ყველანი შევეცდებით გასიამოვნოთო. ასევე აუცილებელია, რომ მასპინძელმა სთხოვოს სტუმრებს, თავი ისე იგრძნონ, თითქოს საკუთარ ოჯახში იყვნენ, არ დაიმორცხვონ, მიირთვან კერძები და სასმელი, მოილხინონ, იმღერონ და იცეკვონ... სტუმარმასპინძლობის ტრადიციის მნიშვნელოვანი კომპონენტია მასპინძლის მიერ თავის დამდაბლება სტუმრის აღმატებული ქების ფონზე. საამისოდ გამოიყენება მზა ფორმულები: **სჩეჟკა ხეჭ** "ჩემი მცირედი პურმარილი", **ჩარაშა აკ ზუტ** "პურობასავით რაღაც გაემართე"... ეს ფორმულები სტუმარმასპინძლობის ტრადიციის აუცილებელ ვერბა-

ლურ კომპონენტებად მიიჩნევა და ყოველი აფხაზი ვალდებულია, გამოიყენოს ისინი სათანადო დროს.

თავის მხრივ, სტუმარიც ვალდებულია, მოუბოდიშოს მასპინძელს მისი მოსვლით შექმნილი უხერხულობისა და იმის გამო, რომ მოაცდინა მასპინძლის ოჯახი... მზა ფორმულით – **სუ სასჷმჯან სუუსჷნდაზ** "ნეტამც შენი სტუმარი კი არა, შენი საქმე ვიყო" – სტუმარი მიანიშნებს, რომ მას შეგნებული აქვს, თუ რა პრობლემაც შეუქმნა მასპინძელს მისმა მოსვლამ და ამჯობინებდა, მასპინძელთან საქმეში დასახმარებლად მისულიყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუმარს პატივდების იერარქიაში მეტად მაღალი სტატუსი ენიჭება. პროფ. შ. ინალ-იფას გამოკვლევის თანახმად, სტუმარს ამ სისტემაში მეტად საპატიო მეორე ადგილი უჭირავს უხუცესი მასპინძლის (ბერიკაცის) შემდეგ. ამ სისტემაში სტუმრის მომდევნო საფეხურებზე დგანან შემდეგი პირები: 1. თემის უხუცესი; 2. მასპინძლის დედის ძმა; 3. მასპინძლის უხუცესი მეზობელი; 4. მამამძუძე (ძიძის ქმარი); 5. საგვარეულოს უხუცესი; 6. ბიძაშვილი (დედის ძმისწული); 7. საგვარეულოს წარმომადგენელი; 8. აღზრდილი; 9. ახლობელი მეზობელი; 10. სტუმრის მხლებელი; 11. ძუძუმტე; 12. პატრონიმიის წარმომადგენელი; 13. სიძე; 14. მამის ნათესაი დედამისის მხრიდან; 15. მასპინძლის უფროსი ვაჟი; 16. დისწული; 17. ახლობელ-მეგობარი[436].

ზოგჯერ, როცა უხუცეს მასპინძელს არ შეუძლია (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის ან სხვა სერიოზული მიზეზის გამო) თავისი მოვალეობის შესრულება, სტუმარი აღნიშნულ სისტემაში პირველ ადგილს იკავებს. აქვე ისიც სათქმელია, რომ სტუმრებიც იყოფიან კატეგორიებად: მათში ყველაზე საპატიო უხუცესი სტუმარია (**ასას ეჩჰაბჷ**), მას მოსდევს საპატიო, უცხო სტუმარი (**ასას დაბ**), მერე კი შუათანა სტუმარი (**ასას გჷბჟანჷტ**) და უმცროსი სტუმარი (**ასას ეიწჷბჷ**)[437]. ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ანალოგიურად, ე.ი. ასაკის მიხედვით

[436] ვრცლად ამის შესახებ იხ.: Ш.Д. Инал-ипа. დასახ. ნაშრ., გვ. 112-113.

[437] Ш.Д. Инал-ипа. დასახ. ნაშრ., გვ. 112-113.

იყოფიან სტუმარი ქალებიც.

ამ სისტემის ანალიზი საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ **აფხაზთა შორის პატივდების იერარქიული დაყოფა უმჭიდროესადაა დაკავშირებული ასაკისადმი მოწიწებასთან (შეიძლება ამას კულტიც კი ეწოდოს) და ამის შემდგომ სოციალურ თავისებურებებთან**. რაც შეეხება სტუმართა დაყოფას კატეგორიებად, ამ შემთხვევაშიც არსებითია ასაკი. გამონაკლისს ქმნიან მხოლოდ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ახალგაზრდები.

სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიცია და მასთან დაკავშირებული ენობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ აფხაზი ხალხი თავის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებასა და საკუთარი იდენტობის დაცვაში მნიშვნელოვან როლს აკისრებს სტუმარმასპინძლობას, იწონებს თავმდაბლობას, გულუხვობას, ყურადღებიანობას, სოციალურ, ეროვნულ და რელიგიურ ტოლერანტობას და როგორც სტუმრის, ისე მასპინძლის სხვა დადებით თვისებებს.

ყურადღებას იპყრობს ერთი არსებითი მომენტიც: სტუმარმასპინძლობის წესების დაცვა, ერთი შეხედვით (განსაკუთრებით არაკავკასიელთა აღქმით), მეტად ძნელ და შემაწუხებელ საქმედ ჩანს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სტუმარმასპინძლობის ტრადიციის, როგორც **აფსუარას** (აფხაზი ხალხის იდენტობის), განუყოფელი ნაწილის, დაცვის მნიშვნელოვნებისა და განუხრელობის შეგნება აფხაზთა ახალახალ თაობებს ჩაენერგებათ დედის რძესთან ერთად, ცხადი გახდება, რომ **სტუმარმასპინძლობას აფხაზთათვის დიდი ბედნიერება და უზარმაზარი სულიერი კმაყოფილება მოაქვს**. შესაბამისად, ამ ტრადიციის დაცვა ადამიანის ცხოვრების დამამშვენებელ საქმედ მიიჩნევა. მაგრამ ზოგჯერ ამ ტრადიციას შეუძლია ადამიანს უბედურებაც მოუტანოს, თუკი იქმნება კონფლიქტი მის მოთხოვნებსა და ქაღალდზე დაწერილ კანონებს შორის, რომლებიც მუდამ არ ითვალისწინებენ ეროვნულ სპეციფიკას. ასე, მაგალითად, აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებლის, დიმიტრი გულიას ცნობილ რომან "კამაჭიჭ"-ში აღწერილია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დააპა-

ტიშრეს და ციხეში გამოკეტეს ძველებური აფხაზური ეროვნული ტრადიციების პატივისმცემელი და ერთგული დამცველი აფხაზი გლეხი ალიასი მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ უღალატა სტუმარმასპინძლობის ტრადიციას და უმასპინძლა სტუმრად მოულოდნელად მოსულ სამ ყაჩაღს[438]. ამ შემთხვევაში ალიასი სრულიად მართალი იყო, როგორც ეროვნული ტრადიციების უსიტყვოდ აღსრულების მომხრე. ამავე ტრადიციებით ისარგებლეს ყაჩაღებმაც, რომლებმაც, რა თქმა უნდა, წინასწარვე იცოდნენ, რომ მათი სტუმრობა ალიასს სიკეთეს არ მოუტანდა, მაგრამ მათ თავი არ შეუწუხებიათ, რათა თუნდაც სიტყვიერად გამოეხატათ სინანული იმის გამო, რომ ალიასი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდეს. რაც შეეხება ოფიციალურ რუსულ ხელისუფლებას, მას სრულებითაც არ გაუთვალისწინებია, რომ ალიასს სხვა გზა, გარდა ყაჩაღთა მასპინძლობისა, უბრალოდ არ ჰქონდა.

§ 14. ყარაჩაულ-ბალყარული ლექსიკა აფხაზურში

აფხაზურ ენაში უკვე გამოვლენილია ადიღურ-ჩერქეზული, ქართველური, თურქული და რუსული ენებიდან ნასესხები ლექსიკის საკმაოდ დიდი პლასტები, მაგრამ აქამდე საგანგებოდ არ გამოკვლეულა ყარაჩაულ-ბალყარულ ენასთან კონტაქტის ამსახველი მასალა. არადა ეს ენა გავრცელებულია იმ ზონაში, სადაც ისტორიულად განსახლებულნი იყვნენ ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები და სადაც ახლაც ცხოვრობენ აბაზები, რაც უეჭველად გვავარაუდებინებს აფხაზ-აბაზათა და ყარაჩაელ-ბალყარელთა ხანგრძლივ ენობრივ ურთიერთობებსაც.

ურალურ-ალათაური მოდგმის ყარაჩაელ-ბალყარელები რეალურად ერთი ეთნოსია და შედგება ყარაჩაელებისა და ბალყარელებისაგან. ყარაჩაელები სახლობენ აფხაზეთისა და სვანეთის გადაღმა, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში, მდინარე

---

[438] Д. Гулиа. Камачыч. - Д. Гулиа. Ифымтакуа ф-томкны. Афбатэи атом. Акуа, 1982, გვ. 32-38.

ყუბანის მარცხენა შენაკადების ხეობებში, ხოლო ბალყარელები – სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილისა და რაჭის გადაღმა, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში. ყარაჩაელ-ბალყარელები ლაპარაკობენ ერთ ენაზე, რომელიც შედის თურქულ ენათა ყივჩაღური ჯგუფის ყივჩაღურ-პაჭანიკურ (კუმანურ) ქვეჯგუფში და აქვს 2 დიალექტი: ბაქსან-ჩეგემის ყარაჩაული (შიშინა) და მალყარული (სისინა) კილოები. გამოიყოფა აგრეთვე ხოლამ-ბიზინგის ნარევი კილოკავი. ყარაჩაელ-ბალყარელთა განმაზოგადებელ სახელებად მიიჩნევა ტერმინები **ალან** და **თაულუ** "მთიელი"; ყარაჩაელთა თვითსახელწოდებაა **ყარაჩაელ**, ხოლო ბალყარელებისა – **მალყარელ**[439].

ზემოთ, ფონოლოგიურ-ფონეტიკურ პრობლემათა განხილვისას ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ზოგი სიტყვა აფხაზურში ნამდვილად ყარაჩაულ-ბალყარულიდან არის ნასესხები, აქ კი წარმოვადგენთ ყარაჩაულ-ბალყარულ ენასთან აფხაზური ენის მჭიდრო კონტაქტის ამსახველი ლექსიკის სხვა ნაწილს, რაც გამოვლინდა საკითხის პირველადი კვლევის შედეგად და მრავალი თვალსაზრისითაა საყურადღებო. მაგრამ სანამ ძირითად სათქმელს შევეხებით, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

ცნობილია, რომ თურქული მოდგმის ენები ძალზე ახლოს დგანან ერთმანეთთან, რაც ზოგჯერ მკვლევრის წინაშე წარმოქმნის პრობლემას – როგორ გაარჩიოს მესამე, არათურქულ ენაში შესული ლექსიკის ზუსტი წარმომავლობა, თუკი როგორც ძირეული, ისე სულ სხვა ენიდან შესული ერთი და იგივე სიტყვა მსგავსი ფონემატური სტრუქტურითა და იდენტური სემანტიკითაა წარმოდგენილი არათურქულ ენასთან კონტაქტში მყოფ თურქული მოდგმის 2 ენაში. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი ხდება საკონტროლოდ ორივე თურქული ენის მონაცემების სკრუპულოზური ანალიზი, თუმცა ხშირად საქმეს ესეც არ შველის. სამაგიეროდ, ნაყოფიერი ხდება კვლევა მაშინ, როცა მესამე არათურქულ ენაში წარმოდგენილი ნასეს-

---

[439] М.А. Хабичев. Краткий грамматический очерк карачаево-балкарского языка. წიგნში: Карачаево-балкарско-русский словарь, под редакцией Э.Р. Тенишева и Х.И. Суюнчева. М., 1989, გვ. 806.

ხები სიტყვა ფონემატური შემადგენლობისა და სემანტიკის მხრივ გარკვეულწილად სხვაობს თურქული მოდგმის 2 სხვადასხვა ენაში.

მაგალითად, აფხაზურ ენაში დასტურდება აშკარად ნასესხები სიტყვები, რომლებიც საკუთრივ თურქულ და ყარაჩაულ-ბალყარულ ენებში ერთნაირი ფონემატური სტრუქტურითა და სემანტიკითაა წარმოდგენილი და მათი ზუსტი წარმომავლობის რკვევა ძნელდება:

აფხაზ. **ა-ბარაქ'ат** "ბარაქა; ბედნიერება" — შდრ. თურქული და ყარაჩაულ-ბალყარული **бэрекъет**, რომელიც არც ბგერითი შემადგენლობითა და არც სემანტიკით არ განსხვავდება ამ ორ უკანასკნელ ენაში. ამის გამო ჭირს იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელი ენიდანაა შესული აფხაზურში დასახელებული სიტყვა, რომელიც წარმოშობით არაბულია — თურქულიდან, თუ ყარაჩაულ-ბალყარულიდან. აფხაზურში ნასესხებ ლექსიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ **ამ ენას არ ჰქონია უშუალო კონტაქტი არაბულ ენასთან**, ამიტომ სესხების ეს გზა გამოირიცხება და გაურკვეველი რჩება, რომელი ენის შუამავლობით ისესხა აფხაზურმა საანალიზო სიტყვა — თურქულისა, თუ ყარაჩაულ-ბალყარულისა. ამ საკითხზე მხოლოდ ჰიპოთეზის გამოთქმაა შესაძლებელი.

ამგვარი შემთხვევები საკმაოდ ბევრია, მაგრამ მათ გვერდით ჩვენ გამოვაელინეთ სიტყვათა ჯგუფი, რომელიც აფხაზურში უეჭველად ნასესხები ჩანს უშუალოდ ყარაჩაულ-ბალყარული და არა საკუთრივ თურქული ენიდან. ესენია:

აფხაზ. **ааԥаԥ** "ტანჯვა, წამება, ვაება, უბედურება" — შდრ.: ყარაჩ.-ბალყ. **аъзаб**, თურქ. **азаф**. სიტყვის ყარაჩაულ-ბალყარული ვარიანტის ბოლოკიდურა თანხმოვანი მიგვანიშნებს, რომ იგი სწორედ ამ ენიდან შეუთვისებია აფხაზურს და არა საკუთრივ თურქულიდან. რაც შეეხება აფხაზურში თავკიდურა ხმოვნის დაგრძელებასა და **з > ԥ** ცვლილებას, ისინი აფხაზურ ნიადაგზეა მომხდარი;

აფხაზ. **а-ҵаз** "ქადაგება; დამოძღვრა" — შდრ.: ყარაჩ.-ბალყ. **аҵаз** "ქადაგება; დამოძღვრა, დარიგება; ხმა; ტემბრი, ტონი",

თურქ. **ვაიზ // ვაზგ** "ქადაგება, დამოძღვრა, დარიგება". არაბული წარმომავლობის ეს სიტყვაც აშკარად ყარაჩაულ-ბალყარულიდანაა აფხაზურში შესული, რაზეც აფხაზურ და ყარაჩაულ-ბალყარულ ვარიანტთა სრული ფონემატური იდენტობა მიანიშნებს. სახელი რომ თურქულიდან ესესხებინა აფხაზურს, მაშინ ამ უკანასკნელში უნდა გექონოდა ***ა-ვაზ**, ან ***ა-ვაზგ** ფორმები;

აფხაზ. **ა-ბირაყ** "დროშა, ალამი" – შდრ.: ყარაჩ.-ბალყ. **ბაძრაყ**, თურქ. **ბაძრაქ**. თურქულ ფორმაში ბოლოკიდურა თანხმოვანი **დ** ბგერითაც იცვლება. აფხაზური ფორმა ყარაჩაულ-ბალყარულთან უფრო ახლო დგას, ვიდრე თურქულთან;

აფხაზ. **ა-საპჳნ** "საპონი" – ყარაჩ.-ბალყ. **საფჳნ**, თურქ. **საბუნ**. შეიძლებოდა გეფიქრა, რომ აფხაზური ფორმა მომდინარეობს ქართულში ნასესხები **საპონ-ი** ვარიანტისაგან, რომელშიც აფხაზურის მსგავსად მკვეთრი **პ** თანხმოვანია წარმოდგენილი, მაგრამ ამ ვარაუდს დაბრკოლებას სესხების ფონოტაქტიკის წესები უქმნის: ქართულიდან **საპონ** ფორმის სესხების შემთხვევაში აფხაზურში მოსალოდნელი იყო ***ა-საპან** ვარიანტის არსებობა. ვფიქრობთ, უფრო რეალურია შუამავლად ყარაჩაულ-ბალყარული ენის დაშვება, რასაც ის გარემოება უჭერს მხარს, რომ **აფხაზურ ენას სხვა ენათა ფშვინვიერი თანხმოვნების გამკვეთრება ისევე ახასიათებს, როგორც ქართულს** (იხ. ქვემოთ დამბაჩის სახელის ფონეტიკური ცელილებანი). ამიტომ **საფჳნ > საპჳნ** ტრანსფორმაცია სრულიად ბუნებრივია;

აფხაზ. **ა-სამარყჳლ** "ხუმრობა, ოხუნჯობა" – ყარაჩ.-ბალყ. **სამარყაუ** "დაცინვა, ირონია";

აფხაზ. **ა-ტაპანჩა** "დამბაჩა, რევოლვერი, პისტოლეტი" – შდრ. ყარაჩ.-ბალყ. **თაბანჩა // თაფანჩა**, თურქ. **თაბანჯა**. აფხაზური ფორმა აშკარად მიღებულია ყარაჩაულ-ბალყარული **თაფანჩა** ვარიანტისაგან **თ** და **ფ** თანხმოვნების გამკვეთრების გზით;

აფხაზ. **შამ** ფუძე აღნიშნავს "სამოთხეს, ზღაპრულ ქვეყა-

ნას, აღთქმულ ქვეყანას"[440]; დასტურდება **შამბზლა** "აღთქმული ქვეყანა" (ხედმიწ.: "შამის ქვეყანა") სიტყვის შემადგენლობაშიც (ა-**ბზლა** "ქვეყანა"-ს ნიშნავს). მომდინარეობს სირიის ძველი სახელიდან. თურქულ ენაში **შამ** ფორმა გამოიყენება სხვა სემანტიკით: "დამასკელი; დამასკური"[441]. სიტყვის აფხაზურ ფორმასა და სემანტიკასთან უფრო ახლოს დგას ყარაჩაულ-ბალყარული **შამ** ვარიანტი, რომელსაც, თურქულისაგან განსხვავებით, არა აქვს გეოგრაფიული სემანტიკა და აღნიშნავს "წმინდას; მშობლიურს; შესანიშნავს"[442]. ამის გამო მიგვაჩნია, რომ სიტყვა აფხაზურში შესულია სწორედ ყარაჩაულ-ბალყარული ენის შუამავლობით...

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი ლექსიკური მასალა უეჭველად უნდა ადასტურებდეს იმ ფაქტს, რომ აფხაზურსა და ყარაჩაულ-ბალყარულ ენებს წარსულში ჰქონიათ მჭიდრო უშუალო ურთიერთობა, რასაც სხვა გარემოებანიც უჭერს მხარს. კერძოდ, ყარაჩაულ-ბალყარულ ენაშიც შეინიშნება როგორც აბაზურ, ისე აფხაზურ სამეტყველო კონტინუუმებთან კონტაქტის ნაკვალევი.

მაგალითად, ყარაჩაელთა მეტყველებაში გამოიყენება სიტყვა **ბაგა** "ტურა; ტურისა"[443] – შდრ. აბაზ. **ბაგა** "მელა; მელიისა; ეშმაკი, ფლიდი" და მელიის, ტურისა და მგლის განმაზოგადებელი აფხაზური სახელი ა-**ბგა**. რაკი ყარაჩაულ მეტყველებაში სახელს არ ახლავს ზოგადი ფორმის მაწარმოებელი აფხაზური **ა-** პრეფიქსი, რომელიც არ გამოიყენება აბაზურში, ცხადია, რომ სიტყვა ნასესხებია ან აბაზურიდან, ანდა ჯერ კიდევ დაუშლელი აფხაზურ-აბაზური ენიდან, რომელსაც ასევე არ უნდა ჰქონოდა ხსენებული პრეფიქსი;

---

[440] В.А. Касландзия. Абхазско-русский словарь, т. II. Сухум[и], 2005, გვ. 622.

[441] თურქულ-ქართული ლექსიკონი. ლ. ჩლაიძის რედაქციით. K-Z. სტამბოლი, 2001, გვ. 1289.

[442] Карачаево-балкарско-русский словарь, под редакцией Э.Р. Тенишева и Х.И. Сюнчева. М., 1989, გვ. 748.

[443] იქვე, გვ. 109.

ყარაჩაელთა და ბალყარელთა მეტყველებაში იხმარება სიტყვა **ჩაგა** "თოხი; თოხნა"[444] – შდრ. აბაზ. **ჩაგა**, აფხაზ. ა-**ჩაგა** "თოხი". იმის გამო, რომ არც ამ სიტყვის ყარაჩაულ-ბალყარულ ვარიანტშია წარმოდგენილი სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი აფხაზური ა- პრეფიქსი, დასკვნა იგივე უნდა გაკეთდეს: ყარაჩაულ-ბალყარულ ენაში სიტყვა ნასესხებია ან აბაზურიდან, ანდა ჯერ კიდევ დაუშლელი აფხაზურ-აბაზური ენიდან...

ზემოთ განხილულ ლექსიკურ მასალასთან დაკავშირებით დაისმის **სიტყვათსესხების დროისა და ადგილის განსაზღვრის საკითხი**, რომლის რკვევაშიც დაბრკოლებას ქმნის ის ფაქტი, რომ არც აფხაზური, არც აბაზური და არც ყარაჩაულ-ბალყარული ენები არ არის ხანგრძლივი წერილობითი ისტორიის მქონენი. მაგრამ პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია 2 არსებითი გარემოების გათვალისწინებას:

1. ყარაჩაულ-ბალყარული ენიდან აფხაზურში შესული ლექსიკის ნაწილი დაკავშირებულია რელიგიურ, კერძოდ კი ისლამურ რწმენა-წარმოდგენებთან. ასეთებია ტანჯვა-წამების, ქადაგება-დამოძღვრისა და სირიის, როგორც აღთქმული ქვეყნის, სახელები. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზებმა დასახელებული სიტყვები ისესხეს ყარაჩაელ-ბალყარელთა შორის ისლამის გავრცელების შემდგომ, რაც ვერ მოხდებოდა XIII-XIV საუკუნეებამდე, ვინაიდან ყარაჩაელ-ბალყარელი ხალხი მანამდე დამოუკიდებლად არ არსებობდა[445], ისლამი კი ამ ხალხში გავრცელდა მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში, XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში[446]. შესაბამისად, **ყარაჩაულ-ბალყარული ენიდან ზემოთ განხილულ სიტყვათა სესხების დროდ XVIII საუკუნე უნდა ვივარაუდოთ;**

2. ქრონოლოგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყარაჩა-

---

[444] იქვე, გვ. 720.

[445] История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М., 1988, გვ. 237-238.

[446] იქვე, გვ. 495.

ულ-ბალყარული ენიდან აფხაზურში შესული დამბაჩის სახელი. ცეცხლსასროლი იარაღები და მათ შორის დამბაჩაც, კავკასიის ხალხებში მასობრივ გავრცელებას ასევე XVII-XVIII საუკუნეებში იწყებს, ანუ დამბაჩის სახელიც ყარაჩაულ-ბალყარული ენიდან აფხაზურში ვერ მოხვდებოდა ამ პერიოდზე ადრე.

რაც შეეხება ლექსიკის სესხების ადგილს, ეს უნდა ყოფილიყო ახლანდელი ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ანუ დღევანდელი ყარაჩაეთ-ჩერქეზეთისა და კრასნოდარის მხარის სამიჯნე ზოლი, რომელიც უშუალოდ ესაზღერება აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილს მდ. ბზიფის სათავეებიდან სოხუმის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილამდე. იმ დროისათვის აფხაზთა დიდი ნაწილი უკვე ჩამოსახლებული იყო თანამედროვე გაგრის, გუდაუთის, სოხუმისა და გულრიფშის რაიონების მიწებზე, მაგრამ გრძელდებოდა აფხაზთა ახალ-ახალი მასების ჩამოწოლა თანამედროვე ყარაჩაეთ-ჩერქეზეთიდან და მის დასავლეთით (ამჟ. კრასნოდარის მხარის აღმოსავლეთ ნაწილიდან) მდებარე ტერიტორიიდან აფხაზეთში. როგორც ჩანს, სწორედ ამ ახალ მასას მოჰქონდა ყარაჩაულ-ბალყარულიდან შეთვისებული ლექსიკა და ავრცელებდა მას აფხაზეთში უკვე დასახლებულ თანამოძმეთა შორის.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს ყარაჩაელთა მეტყველებაში შემორჩენილი ერთი საგულისხმო ენობრივი ფაქტიც. კერძოდ, ყარაჩაელები დღემდე იყენებენ ტერმინს **ჰაჩეფსჲ**, რომელსაც აქვს შემდეგი მნიშვნელობები: "1. აფხაზი; 2. აფხაზური; 3. აფხაზეთი"[447]. ეს სახელი სხვა არაფერია, თუ არა აფხაზთა ერთ-ერთი თემის **აჰჭეფს // ჰაჭეფს** სახელწოდების ფონეტიკური ვარიანტი. აჰჭიფსის თემი მდებარეობდა ამჟამინდელი გაგრის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მაღალმთიან ზოლში, მდ. ფსოუსა და ბზიფის სათავეებს შორის. მეზობელი ეთნოსის აღმნიშვნელად იმ ეთნოსის ერთ-ერთი ტომის, ან თემის სახელის განზოგადება, რომელთანაც უფრო მჭიდრო კონტაქტები არსებობს, ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიოს ისტორიაში. მაგალითად, ფრანგები გერმანელებს **ალმან** სახელით

[447] Карачаево-балкарско-русский словарь, გვ. 709.

აღნიშნავენ, იტალიელები კი იმავე გერმანელებს **ტედესკო**-ს ეძახიან, ფრანგული ფორმა მომდინარეობს ალემანების გერმანული ტომის სახელისაგან, ხოლო იტალიურს საფუძვლად უდევს სხვა გერმანული ტომის სახელი. მსგავს მაგალითთან გვაქვს საქმე ყარაჩაული **ჰაჩჷფსჷ** სახელის შემთხვევაშიც: **აფხაზთა აღსანიშნად ყარაჩაელებმა გამოიყენეს იმ აფხაზური თემის სახელი, რომელთანაც მათ უფრო მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ.**

მაგრამ აქ უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ აჰჯიფსის თემი საკმაოდ შორსაა ყარაჩაელთა საბინადროსგან: ყუბანის მდგენლები, მდინარეები დიდი ლაბა და მცირე ლაბა სათაეს იღებენ ყარაჩაელთა საცხოვრისის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ წერტილთან, რომლის გადმოღმაც, აფხაზეთში მდებარეობს არა აჰჯიფსის აწ უკვე გამქრალი თემის ტერიტორია, არამედ ფსჰუს ხეობა, სადაც აფხაზთა ფსჰუს თემი სახლობდა 1864 წლამდე.

წამოიჭრება საკითხი: რატომ განაზოგადეს ყარაჩაელებმა მათგან უფრო შორს მდებარე თემის სახელი აფხაზთა აღმნიშვნელ ტერმინად და რატომ არ ისარგებლეს მათთან უფრო ახლოს მცხოვრები ფსჰუელების, დალელების, ან წებელელების სახელწოდებით?

როგორც ჩანს, იმიტომ, რომ აჰჯიფსის თემი ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გადმონაცელებამდე განლაგებული იყო დიდი ლაბასა და მცირე ლაბას ხეობებში, უშუალოდ ყარაჩაელთა მეზობლად და ყარაჩაელებს მათთან უფრო მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ, ვიდრე სხვა აფხაზურ თემებთან. ამ ერთერთი აფხაზური (აფსუური) თემის სახელი ჯერ კიდევ ჩრდილოეთ კავკასიაში აფხაზთა ცხოვრების დროს გადაიქცა ყოველთა აფხაზთა (აფსუათა) ზოგად სახელად, ხოლო როცა აჰჯიფსის თემმა ერთიანად გადაინაცვლა ახლანდელი გაგრის რაიონის მიწაზე, ტერმინი **ჰაჩჷფსჷ** გავრცელდა მთლიანად აფხაზეთზეც.

§ 15. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეთა ლაპიდარული წარწერების მიხედვით

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ისტორიულ წარსულში მოიცავდა ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიასა და მის გაგრძელებაზე, კერძოდ, მდინარე ფსოუსა და ქ. ტუაფსეს ახლოს მდებარე ამჟამინდელ სოფ. ნოვომიხაილოვსკოეს (ყოფილ ნიკოფსიას) შორის გაშლილ მიწა-წყალს. ამ ვრცელ ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკვლევად არსებითი მნიშვნელობა აქვთ სხვადასხვა ენაზე შედგენილ ნარატიულ საისტორიო წყაროებს, მაგრამ ამ წყაროებში ყოველთვის არ არის წარმოდგენილი პირდაპირი ცნობები ამა თუ იმ კონკრეტულ პერიოდში არსებული ეთნიკური ვითარების შესახებ. საკითხის კვლევას ართულებს ისიც, რომ ხშირად ნარატიული წყაროს ტექსტი ჩვენს დრომდე ავთენტური, ავტორისეული სახით არ არის მოღწეული და ნასწორებ-გადაკეთებულია მოგვიანო ხანის გადამწერის, ან რედაქტორის მიერ. გარდა ამისა, როგორც ქართულ, ისე სხვაენოვან ნარატიულ ტექსტებში ერთი და იგივე ეთნიკური ტერმინი ხან წმინდა ეთნიკური სემანტიკითაა წარმოდგენილი, ხან კი – პოლიტიკურით. ამ და ზოგი სხვა მიზეზის გამო აუცილებელი ხდება ნარატიულ საისტორიო წყაროთა მონაცემების შეჯერება (შემოწმება, შევსება, ან უკუგდება) სხვა სახის წყაროთა მონაცემებთან. ამგვარ დამატებით წყაროებს (ლაპიდარულ და ფრესკულ წარწერებს, წიგნების მინაწერ მარგინალიებს, იურიდიულ საბუთებს, ფოლკლორს, ენობრივ მასალას, ეთნოლოგიურ რეალიებსა და სხვებს) ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი შეიძლება აღმოაჩნდეს მოცემული ტერიტორიის თავდაპირველი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის დასადგენად.

ამ ლანდელი აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის გასარკვევად ამგვარი როლი ეკისრება რეგიონის ტერიტორიაზე IX-XVIII საუკუნეებში შესრულებულ ქართულ ლაპიდარულ წარწერებს, რომლებიც არცთუ ისე მცირე რაოდენობითაა შემონახული

ჩვენს დრომდე და მოიცავს 100-მდე ერთეულს. ამ წარწერებში ხშირად პირსახელებითა და გვარსახელებით იხსენიებიან სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომი ეკლესია-მონასტრების ქტიტორ-შემკვეთები, მშენებელ-ოსტატები, სასულიერო და საერო პირები, რომელთა პირსახელებისა და გვარსახელების ანალიზი გვეხმარება რეგიონის მცხოვრებთა ეთნიკური ვინაობის დადგენაში.

სამწუხაროდ, რეგიონში გამოვლენილ ლაპიდარულ წარწერათა დიდ ნაწილში დაქარაგმებული სახითაა მოხსენიებული ბევრი პირსახელი, მაგრამ არ არის აღნიშნული ამ პირთა გვარები, რასაც შეიძლებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა საკვლევი საკითხისათვის. ზოგჯერ კიდევ ეს პირსახელები ბიბლიიდან მომდინარეობს, წარმოშობით ებრაული, ან ბერძნულია და გავრცელებულია ქრისტიანი ეთნოსების ენებში, რაც ხელს გვიშლის მოცემულ სახელთა მატარებლების ეთნიკური ვინაობის გარკვევაში. მაგალითად, მსიგხვის (გუდაუთის რაიონი) წარწერებში დაქარაგმებული **მქლ** სახით იხსენიება ვინმე მიქაელი[448], რომლის სახელიც პრაქტიკულად ყველა ქრისტიანი ხალხის ენაშია გავრცელებული, რაც აბრკოლებს ამ სახელით აღნიშნული პირის ეროვნების გარკვევას.

ასეთივეა ვითარება შემდეგ წარწერებშიც:

1. ოჩამჩირის რაიონის ბედიის მონასტრის X საუკუნის ასომთავრული წარწერა სვიმეონ გალატოზთუხუცესისა: "გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ზთა უხ(უ)ცეს(ს) **ს(ვ)მ(ეო)ნ(სა)**"[449];

2. გუდაუთის რაიონის ანუხვის სვეტის XI საუკუნის გიორგი ბასილისძის ასომთავრული წარწერა: "გ(იორგ)ი ბ(ა)ს(ი)ლის ძემ(ა)ნ"[450];

3. გალის რაიონის დიხაზურგას XI საუკუნის გრიგოლ გალატოზთუხუცესის ასომთავრული წარწერა: "გრ(ი)გოლს

---

[448] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვეთი I (IX–XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980, №№ 5, 6, გვ. 30-32.

[449] იქვე, № 12, გვ. 38.

[450] იქვე, № 44, გვ. 64-65.

გ(ა)ლ(ა)ტ(ო)სთუხ(უ)ცეს(ს)"[451];

4. ონამჩირის რაიონის ილორის მონასტრის XI-XII საუკუნეთა ნუსხური წარწერა: "მ(ი)ქ(აე)ლ"[452];

5. ილორის XI-XII საუკუნეთა ასომთავრული წარწერა გიორგი გურგენის ძისა: "გ(იორგ)ი გურგ(ე)ნის ძე"[453].

მართალია, როგორც აღვნიშნეთ, ამ წარწერათა მონაცემების მიხედვით ძნელია მათში ხსენებულ პირთა ეროვნების უეჭველად განსაზღვრა, მაგრამ თვით ფაქტი ამ რეგიონში IX საუკუნიდან ქართული სამწიგნობრო ენის მყარი პოზიციის შესახებ (ამას 100-მდე წარწერა ადასტურებს!) მეტად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, არსებობს მრავალი სხვა მონაცემიც (მაგალითად, ქართველური წარმოშობის ისტორიული ტოპონიმები), რომლებიც მხარს უჭერენ მოსაზრებას ამ მხარეში ქართველთა ავტოქთონობის შესახებ. თუკი ამ ტერიტორიაზე აფხაზები მუდამ ცხოვრობდნენ, მაშინ ამის კვალი ხელშესახები უნდა იყოს წარწერებშიც, ნარატიულ ტექსტებშიც, იურიდიულ საბუთებშიცა და ისტორიულ ტოპონიმიაშიც. ასევე ქართულ წარწერაშიც უნდა ჩანდეს აფხაზური ენის გაელენის რაიმე ნაშთი, თუნდაც, საკუთარ სახელთა ბგერით შემადგენლობაში.

ანალოგიისათვის შდრ.: დაღესტანში, ოსეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში გამოელინდა მრავალი შუასაუკუნოვანი (X-XV საუკუნეთა) ეპიგრაფიკული ძეგლი, რომლებიც შესრულებულია ქართული ანბანით. XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის მარტო დაღესტანში აღმოჩენილი იყო 20-მდე ჯვარი, რომელთა უმრავლესობაზე ტექსტი შესრულებულია ქართულად, ზოგი მათგანის წარწერები კი ორენოვანია და მათზე ტექსტი შესრულებულია ქართ'ელ და ადგილობრივ (ხუნძურ) ენაზე ქართული ასოებით (არნ. ჩიქობავა, ტ. გუდავა). იმავე რეგიონში, სოფლებში ხუნძახში, რუგუჯაში, ჰინიჩუთლში, გოცათლში, გალაში, ტად-რაალში და სხვაგან ნაპოვნია ნარევი, ასომთავრულ-ნუსხურით ნაწერი XIV-XV საუკუნეების ქართულენოვანი წარწერები. ქართული ეპიგრაფიკა გამოელინდა აგრეთვე სამხრეთ დაღესტნის რუთუ

[451] იქვე. № 69, გვ. 83.
[452] იქვე, № 188, გვ. 160.
[453] იქვე, № 189, გვ. 160-161.

ლის რაიონის სოფლებში. ინგუშეთის მთიანეთში, კერძოდ, ტყობა-ერდისა და მაგი-ერდის ქრისტიანულ ტაძრებში მიკვლეულია ფსალმუნის ქართული თარგმანის ფრაგმენტები, რაც იმისი მაჩვენებელია, რომ აქ ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა (გ. ღამბაშიძე). იმავე ტყობა-ერდის ტაძარზე გამოსახულია ქართული წარწერებიც. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე, ეგიკალში აღმოჩენილ აკლდამაზე, აგრეთვე ცოი-პედაში, მაგატასა და მოხდაში მიკვლეულ თიხისა და ხის ჭურჭელზე გამოსახულია ქართული წარწერები, რომლებშიც იხსენიება ვაინახური პირსახელები და ტოპონიმები (ლ. სემიონოვი).

ამ მაგალითების გათვალისწინებით, თუკი ბედიის X საუკუნის წარწერაში მოხსენიებული სვიმეონ გალატოზთუხუცესი ეროვნებით აფხაზი (აფსუა) იყო და იდგა ეროვნებით აფხაზი მეფის სამსახურში, საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ამ პირს შეეძლო, არ დაეცვა ქართული ენის ფონოტაქტიკის წესები და თავისი სახელი აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის ნორმების მიხედვით დაეფიქსირებინა ქართულ წარწერაშიც კი. ასეთ შემთხვევაში წარწერაში წარმოდგენილი იქნებოდა ბერძნულის გზით ნასესხები ანთროპონიმ **სვიმეონ**-ის აფსუიზებული ვარიანტი, ვინაიდან აფხაზურ ენაში სხვა ენათა **სვ // სუ** ბგერათკომპლექსები ტრანსფორმირდება ლაბიალიზებულ **შ** თანხმოვნად (შდრ.: გვარსახელი **სვიმონია** > **შმანია**, ანთროპონიმი **სულეიმან** > **შლიმან**...), ხოლო **ეო** ხმოვანთა ჯგუფი იცვლება **აჭა** ბგერათჯგუფით. ამ წესების გათვალისწინებით ბედიის წარწერაში მოსალოდნელი იყო არა **სვიმეონ** სახეობა, არამედ ***შუმავან**, ან ***შმავან** ვარიანტთაგან ერთ-ერთი. რეალურად კი ეს ასე არ არის და დაცულია **სვიმეონ** ფორმის ქართულად გადმოცემის წესი – იკითხება დაქარაგმებული **სმნ** და არა **შმნ**.

მსგავსი ვითარება გვაქვს დიხაზურგის XI საუკუნის წარწერაშიც, სადაც დასტურდება სხვა გალატოზთუხუცესის სახელი **გრიგოლ**. ქართულ სამწიგნობრო ენაში ეს სახელი მომდინარეობს ბერძნული **გრეგორიოს** ფორმისაგან. ძველქართულ ტექსტებში ამ ანთროპონიმის ბერძნული ფორმა უცვლელად

არცერთხელ არ დასტურდება. სიტყვა ადაპტირებულია ქართული ენის ფონოტაქტიკის წესების მიხედვითაც და განცდილი აქვს მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ცვლილებებიც კი: მოკვეცილი აქვს სახელობითი ბრუნვის ბერძნული **-ოს** სუფიქსი და მის წინ მდგომი ფუძისეული **ი** ხმოვანი, ხოლო ბოლოკიდური **რ** თანხმოვანი ქართული ენისათვის დამახასიათებელი დისიმილაციის შედეგად გადასულია **ლ** თანხმოვანში (შდრ.: *ქართური > ქართული, *რაჭური > რაჭული, გამშრარი > გამშრალი...). აფხაზური ენის ფონოტაქტიკის წესების მიხედვით, ბერძნული **გრეგორიოს** ფორმა აუცილებლად ტრანსფორმირდებოდა ***გრაგარიას** ვარიანტად, ხოლო ამ ფორმის საფუძველზე ქართულ წარწერაში შესაძლებელი იყო **გრაგვარიას** ფორმის არსებობა, რაც არ დასტურდება – რეალურად წარწერა წარმოგვიდგენს ქართულად ცვლილ დაქარაგმებულ **გრგოლ** ვარიანტს.

მაშასადამე, სრულიად აშკარაა, რომ სვიმეონ და გრიგოლ გალატოზთუხუცესები ეროვნებით ქართველები ყოფილან, თუმცა წარწერებში არც მათი ეროვნება იხსენიება და არც მათი გვარსახელები.

აქვე დაეძენთ, რომ არა მარტო ამ ორ წარწერაში, არამედ **რეგიონის არცერთ სხვა პალეოგრაფიულ ძეგლში საერთოდ არ ჩანს ანთროპონიმთა მოსალოდნელი აფსუიზებული ვარიანტები, რაც ეჭვქვეშ აყენებს აფხაზთა აქ ბინადრობის ვარაუდს.**

ყურადღებას იპყრობს მოქვის მონასტრის მიდამოებში მიკვლეული ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც ამჟამად დაკარგულია და შემორჩენილია მხოლოდ მისი ფოტონეგატივი მინაზე. ამ წარწერის ტექსტს ვ. სილოგავა ასე კითხულობდა:

"ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო ღ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბ(ელ)ო, მეოხ და მფარვ(ე)ლ ექმ(ე)ნ გ(რი)გ(ო)ლი[ს], მიქაე(ლ) მ~ა~გ~ძნის ძესა"[454].

ამ წარწერაში ანთროპონიმი **გრიგოლ** მიცემით ბრუნვაში

---

[454] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II. № 170, გვ. 147-148.

დგას, მაგრამ სამწიგნობრო ენის ნორმებით საკალდებულო **გრიგოლს** ფორმის ნაცვლად აღდგება **გრიგოლის** ვარიანტი, რაც დამახასიათებელია მეგრული დიალექტისა და ქვემოიმერული კილოკავისათვის. ეს ენობრივი ფაქტი უეჭველს ხდის, რომ წარწერის შემსრულებელი ან მეგრულად მეტყველებდა, ანდა ქვემოიმერულად და მისი სამეტყველო კოდის თავისებურებას თავი უჩენია ტექსტში.

ერთი შეხედვით, ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა ბინადრობის საბუთად შეიძლებოდა მიგვეჩნია გალის რაიონის სოფ. წკელიკარის XI საუკუნის ასომთავრული წარწერა კირქვის ფილის 5 ფრაგმენტზე, რომელიც 1962 წელს აღმოაჩინა ლ. შერვაშიძემ[455]. ამ წარწერის თ. ბარნაველისეული წაკითხვა ასეთია:

"ქ. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მწკელ[იკარისაო], მეოხ ექავ წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა მონა(სა) შ(ენ)სა [თა]რკილ[ს დღესა მას განკითხვისასა]".

წარწერის ამგვარ წაკითხვას ეთანხმებოდა ვ. სილოგავა[456].

თუკი წარწერაში წარმოდგენილ **რკილ** სეგმენტს **თარკილ** სიტყვის ნაწილად მივიჩნევთ, მაშინ ისიც უნდა დავასკვნათ, რომ წარწერის ტექსტში მოხსენიებული ყოფილა **თარკილ**-ის აფხაზური გვარის რომელიღაც წარმომადგენელი და, შესაბამისად წკელიკარის მიდამოებშიც აფხაზურ მოსახლეობას უცხოვრია XI საუკუნეში.

---

[455] Л. Шервашидзе. Цкелкар (Ацкар). Материалы по археологии Абхазии. Сухуми, 1967, ნახ. 8, გვ. 52. სხვათა შორის, ლ. შერვაშიძე იზიარებდა ქ. შაყრილის ვარაუდს, რომელსაც ტოპონიმი **წკელ(ი)კარი < მწკელიკარი** აფხაზური წარმოშობისად მიაჩნდა და უკავშირებდა აფხაზურ **ა-წკარ** "კიდე, ნაპირი ზღვარი" სიტყვას (გვ. 39). რეალურად კი ოვით ეს სიტყვა აფხაზურს ნასესხები აქვს ქართულიდან (შდრ. **ბწკარი // პწკარი**). ტოპონიმი რომ აფხაზური ყოფილიყო, მაშინ აღგილობრივ ქართველთა მეგრულ მეტყველებაში იგი უცვლელად შეივიდოდა და მის შემადგენლობაში არ იქნებოდა წარმოდგენილი თავკიდურა **მ** თანხმოვანი, **ე** ხმოვანი და **ლ** თანხმოვანი. ერცლად ამ ტოპონიმის შესახებ იხ.: პ. ცხადაია. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია (ენათმეცნიერული გამოკვლევა). თბ., 2004, გვ. 28-32.

[456] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II., № 177, გვ. 153.

ენათმეცნიერი პ. ცხადაია არ ეთანხმება ამგვარ წაკითხვას და წარწერაში რეალურად დადასტურებულ **რკილ** სეგმენტს სხვა ახსნას უძებნის:

მკვლევრის აზრით, **რკილ**, შესაძლოა, იყოს ნაწილი ქართული **ბორკილი, დაბორკილი**, ან **შებორკილი** ფორმებისა, რაც ამგვარი (ღვთისადმი, წმინდანისადმი) მიმართვის ფორმულაში ჩვეულებრივია. რაც მთავარი და ისტორიულადაც დადასტურებულია, ამ წარწერის შესრულების ხანაში, XI საუკუნეში ამ რეგიონში აფხაზთა კომპაქტური დასახლებანი მოსალოდნელი არ არის[457].

წკელიკარის წარწერის **რკილ** სეგმენტის რაობის საკითხს საგანგებო ნაშრომი უძღვნა ქ. ლომთათიძემ. მან ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ სხვა ლაპიდარულ წარწერაშიც, კერძოდ, გუდაუთის რაიონის ანუხვის XI საუკუნისავე ქართული წარწერის მესამე რეგისტრში დასტურდება დაქარაგმებული **მ~რკ~ლე** ფორმა, რომელიც იკითხება როგორც **მერკილე**. მეცნიერი წერდა:

"...ანუხვის სტელის წარწერაში... **"მ~რკლე"** დასახელებულია წმინდა მეომრებს – გიორგის, თეოდორესა და დემეტრეს შორის და ამდენადვე ამ სახელით წმინდა მეომარი უნდა იგულისხმებოდეს.

წმინდა მეომარი "მერკილეს" სახელით (სრული) დაუქარაგმებელი სახით დასახელებულია სხვა წმინდა მეომრებს შორის სუფის წმ. გიორგის ეკლესიის – ს. ფარი (ზემო სვანეთი) – ერთ-ერთ საკურთხეველისწინა ჯვრის XIII ს.-ის ჭედურ ასომთავრულ წარწერაში. სუფის ეკლესიის ჯვრის წარწერაში ამ სახელის სრული, დაუქარაგმებელი სახით გადმოცემა საფუძველს გვაძლევს ანუხვის სტელის წარწერის **"მ~რკლე"** გახსნათ **"მ(ე)რკ(ი)ლე"**-დ.

ზემოთ განხილულ წარწერათა მსგავსად [იგულისხმება ანუხვისა და სუფის წარწერები – თ.გ.] წკელიკარის წარწერა-

---

[457] პ. ცხადაია. დასახ. ნაშრ., გვ. 118.

ში არსებული **რკილ** საეარაუდოა შეივსოს არა [თა]-თი, არამედ [მე...ე]-თი.

ამრიგად, განხილულ წარწერაში წმინდა გიორგის შესთხოვენ, მეოხ ეყოს მერკილეს. ეს სახელი გავრცელებული უნდა ყოფილიყო საქართველოში და მას შესაძლოა გარკვეული ვარიანტებიც ეძებნებოდეს ქართულ გვარის სახელებშიაც"[458].

ამ სრულიად დამაჯერებელი მოსაზრების საფუძველზე გამოირიცხება ტექსტში აფხაზური **თარკილ** გვარსახელის არსებობა და, შესაბამისად, წარწერის თავდაპირველი სახე ასე აღდგება:

"ქ. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მწკელ[იკარისაო], მეოხ ეყავ წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა მონა[სა] შ(ე)ნსა [მე]რკილ[ესა დღესა მას განკითხვისასა]".

ამ წარწერაში რომ არ შეიძლება აღდგეს გვარსახელი **თარკილ-ი**, ამაზე ზემოთ დასახელებულ გარემოებათა გარდა ისიც მიუთითებს, რომ, როგორც ჩვენ მიერ საგანგებოდ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, XI საუკუნეში არცერთ სხვა წერილობით წყაროში არ დასტურდება აფხაზურ გვარსახელთა რომელიმე მოდელის არსებობა (იხ. ზემოთ). რაც შეეხება ქართველურ გვარსახელთა მოდელებს, ისინი ძირითადად უკვე ჩამოყალიბებული ჩანს IX საუკუნისათვის[459].

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ბედიაში მიკვლეული ნიკოლოზ კათალიკოსისა და სოფრონ ბედიელის წარწერა. იგი უნახავთ მ. ბროსესა და თ. ჟორდანიას, თუმცა სხვადასხვაგვარად გადმოუღიათ წარწერის დაზიანების ხარისხის მატების გამო. წარწერის მ. ბროსესეული გადმონაწერი ასეთია[460]:

[...] მშნბლისანკზკ

---

458 ქ. ლომთათიძე. წკელიკარის (გალის რ.) XI საუკუნის წარწერის ერთი ადგილის წაკითხვისათვის. – "ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", ტ. VII. თბ., 1998, გვ. 168-169.

459 რ. თოფჩიშვილი. როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ., 1997, გვ. 34.

460 ტექნიკური მიზეზების გამო ასომთავრულით შესრულებული ტექსტი მოგვყავს მხედრული ასოების გამოყენებით.

[...] დასყრნბდიელისა
გნგლიასძთსაშნდნ

ფრანგ მეცნიერს ტექსტი ასე უთარგმნია თავის დედაენაზე: Dieu fasse (l'ame) du catolicos Nicoloz, dui a construit, et du Bediel Sophron Goungoulias dze "ღმერთო, შეიწყალე (სულით) ნიკოლოზ კათოლიკოსი, რომელმაც ეს ააგო, და ბედიელი სოფრონ გუნგულიას ძე".

ტექსტის ამ იკითხვისში ჩვენს ყურადღებას იპყრობს მ. ბროსეს მიერ გადმოწერილი **გნგლიასძთსა** ფორმა, რომელსაც იგი კითხულობდა როგორც **გუნგულიას ძეთასა** ფორმას. იგივე სიტყვა თ. ჟორდანიამ გადმოიღო **ენგლბსთძსა** ვარიანტად და კითხულობდა როგორც **ენგლიბაისძეთასა** ფორმას.

ვ. სილოგავა ამ სიტყვასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ გვარსახელის აღდგენილ ვარიანტთაგან სხვა წყაროებში არ დასტურდება არც **გუნგულიასძე** და არც **ენგლიბაისძე** ფორმები, სამაგიეროდ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე დაწესებული ყოფილა აღაპი მიქაელ **გონგლიბაისძე** ბედიელისათვის. ამ აღაპში წარმოდგენილ **გონგლიბაისძე** ფორმაზე დაყრდნობით მეცნიერი დაასკვნიდა, რომ ბედიის წარწერის ტექსტში სათანადო ადგილი წაკითხულ უნდა იქნეს როგორც **გ(ო)ნგლი(ბ)ა(ი)ს ძ(ე)თ(ა)სა**[461]. იქვე ვ. სილოგავა გეთავაზობდა წარწერის ასეთ წაკითხვას:

...[† ღმერთო, შეიწყალე სული ქ.ის] მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბლისა ნ(ი)კ(ოლო)ზ კ(ათოლიკო)ზ(ისა) და ს(ო)ფრ(ო)ნ ბ(ე)დიელისა – გ(ო)ნგლი(ბ)ა(ი)ს ძ(ე)თ(ა)სა. შ(ეიწყალე)ნ ღ(მერთმა)ნ!

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ტექსტის ამგვარ რეკონსტრუქციას და გადამწყვეტ ფაქტორად მიგვაჩნია როგორც პალეოგრაფიული მხარე, ისე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სააღაპო წიგნში ბედიის მონასტერთანვე დაკავშირებული საეკლესიო მოღვაწის მიქაელ ბედიელის გვარსახელად **გონგლიბაისძე** ფორმის რეალურად არსებობა, მაშინ როდესაც მ. ბროსეს მიერ აღდგენილი გვარსახელი ***გუნგულია** არსად დასტურდება.

---

[461] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II. № 207, გვ. 173.

ბუნებრივია, აქვე დაისმის გონგლიბაისძეთა საგვარეულოს ეროვნების შესახებ. ამ გვარსახელში **-ძე** დაბოლოების წინ **იბა** სეგმენტის არსებობამ, შესაძლოა ვინმეს აფიქრებინოს, რომ საქმე გვაქვს აფხაზურ გვარსახელთა **-იბა** < **-იფა** "მისი ძე, მისი ვაჟი" სუფიქსოიდის შემცველ გაქართულებულ გვართან (შდრ. **-იბა** // **-ჲბა** დაბოლოებიანი აფხაზური გვარები: **აბდ-ჲბა, ადლე-ჲბა, ლე-ჲბა, აშმე-ჲბა**...), მაგრამ საკითხი ასე მარტივად, მხოლოდ ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე ვერ გადაწყდება. წინამდებარე წიგნში (იხ. ზემოთ) ჩვენ საშუალება გვაქვს დიდძალ ფაქტობრივ მასალაზე დამყარებით დავასაბუთოთ, რომ ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში მრავლად დასტურდება **-(ა)ბა, -იბა, -ება, ობა** კნინობითობის სუფიქსების შემცველი პირსახელები და მათგან მომდინარე ათეულობით გვარსახელი, რომელთაც ბოლოში დართული აქვთ **-ძე** და **-შვილი** დაბოლოებანი. რაც მთავარია, **-(ა)ბა, -იბა, -ება, ობა** კნინობითობის სუფიქსებიან პირსახელთა და გვარსახელთა პარალელურად დასტურდება ამ სუფიქსების გარეშე წარმოდგენილი ფორმებიც. სწორედ ამ ქართველურ მოდელს განეკუთვნება გვარსახელი **გონგლ-იბა-ის-ძე**, რომელსაც საფუძვლად უდევს ქართული **გონგლ-ი** პირსახელისაგან (შდრ. გვარი **გონგლ-ი-აშვილ-ი**) ნაწარმოები ქართულივე პირსახელი **გონგლ-იბა**.

ამრიგად, ბედიის წარწერა გვირკვევს, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევარში ბედიის ტაძრის წარწერა შესრულებულა გონგლიბაისძეთა ქართული საგვარეულოს წარმომადგენელთა დაკვეთით, თუ განკარგულებით.

საკვლევი საკითხისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ილორის წმ. გიორგის ტაძრის ხუთსტრიქონიანი ნუსხური წარწერა, რომლის ტექსტი თ. ხაჟომიას წაკითხვით ასეთია:

"წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შეიწყალე გ(იორგ)ი ქოჩოლავაჲ მღ(აღა)დ(ებე)ლი [ვ. სილოგავას წაკითხვით: მღდ(ე)ლი]. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, მფარ(ვე)ლ მექმენ დიდსა მას დღესა"[462].

---

[462] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II. №190, გვ. 161.

ეს წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღებულია XI-XII საუკუნეებით. მასში დაუქარაგმებლად, სრული სახით წარმოდგენილია ქართული, კერძოდ, მეგრული გვარსახელი **ქოჩოლვა**, სადაც ბოლოკიდურა **-ა** სახელობითი ბრუნვის ნიშანია. ჩვენი აზრით, ამ გვარსახელში **ლ** და **ვ** თანხმოვნებს შორის აღსადგენია **ა** ხმოვანი, ვინაიდან **-ვა** დაბოლოებიან მეგრულ გვარსახელებში ამ დაბოლოების წინ თანხმოვანი არასოდეს დგას ხოლმე. მათში ასევე არ დასტურდება არცერთი სხვა ხმოვანი, გარდა **ა** ხმოვნისა (შდრ.: სიჭინა-**ვა**, ჭითანა-**ვა**, ხოჭოლა-**ვა**, ვართაგა-**ვა**, სიტკილა-**ვა**... ერთადერთი გამონაკლისია გვარი **მელივა**, რომელშიც **-ვა** დაბოლოების წინ **ი** ხმოვანი გვხვდება).

გვარსახელი **ქოჩოლავა** ამჟამად აღარ დასტურდება. მას საფუძვლად უდევს პირსახელი **ქოჩოლა**, რომლის შეკუმშული, ნარედუქციალი **ქოჩლა** ვარიანტი წარმოდგენილია გვარსახელ **ქოჩლა-ძე**-ში. მართალია, ამჟამინდელ ქართულში დამოუკიდებლად ხმარებისას პირსახელები არ იკუმშება და არ კარგავენ ფუძისეულ ხმოვნებს, მაგრამ, როგორც დადგენილია, გვარსახელებში ნებისმიერი ხმოვანი შეიძლება რედუცირდეს[463]. **ქოჩოლა** პირსახელის **ქორჩოლუ**, ან **ქორჩოლო** ვარიანტი უდევს საფუძვლად ისტორიულ იურიდიულ საბუთებში ფიქსირებულ კიდევ ერთ ქართულ **ქორჩოლუა** გვარსახელს. კერძოდ საეკლესიო გლეხები **ყელგრძელი და მამაში ქორჩოლუები** იხსენიებიან 1621 წლის "აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარ"-ში[464]. მათ უცხოვრიაო სუბვის (ახლანდელი გალის რაიონის სოფ. აჩიგვარის) სასახლის "მიმდგამ"

---

[463] გ. ბედოშვილი. რედუქციის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ ანთროპონიმიაში. – XVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები (გორი, 1998 წლის 30-31 ოქტომბერი). თბ., 1998, გვ. 10-11.

[464] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1970, გვ. 426.

სოფელ მუხურში, რომელიც ახლოსაა ილორის ტაძართან.

ყველაზე არსებითი ამ შემთხვევაში ის არის, რომ გვარსახელ **ქოჩოლ(ა)ვა**-ს სრულებით არაფერი აკავშირებს აფხაზურ ენასთან, ამას ადასტურებს არა მარტო სიტყვის შემადგენელ მორფემათა (ძირისა და აფიქსების) ქართველური წარმომავლობა, არამედ გვარსახელის ბგერითი სტრუქტურაც: სიტყვის სხვადასხვა პოზიციაში წარმოდგენილია ორი ო ხმოვანი, ეს ხმოვანი კი აფხაზურ ენაში საერთოდ არ არსებობდა XVI საუკუნემდე. გარდა ამისა, თვით აფხაზურ გვარსახელთა მორფოლოგიური მოდელებიც, როგორც არაერთგზის აღნიშნეთ, იმ შორეულ ეპოქაში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. მაშასადამე, რჩება ერთადერთი დასკვნის გამოტანის უფლება:

ილორის ტაძრის XI-XII საუკუნეთა ნუსხურ ხუთსტრიქონიან წარწერაში ისტორიაში პირველადაა ფიქსირებული -ვა დაბოლოებიანი ქართული (მეგრული) გვარსახელი; ამ ტაძარში მოღვაწე მღვდელი გიორგი ქოჩოლ(ა)ვა ეროვნებით ქართველი ყოფილა და ალბათ იმავე სოფელში ცხოვრობდა სხვა ქართველებთან ერთად (როგორც ჩანს, ეს კარგად მოეხსენებათ ახლანდელი აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს და ამიტომაც გადალესეს ილორის ტაძრის ქართული წარწერები).

ასეთივე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1938 წელს გულრიფშის რაიონის წებელდის ტაძრის ნანგრევებში მიკვლეულ ქართულ ასომთავრულ წარწერას, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება. წარწერის ფოტოსურათი და ტექსტი გამოაქვეყნა ხ. ბღაჟბამ[465].

წარწერის ტექსტი განთავსებულია ქვაზე ამოკვეთილი, ორნამენტით შემოვლებული ჯერის მარჯვენა და მარცხენა მკლავებს ქვემოთ. წარწერაში ზოგი სიტყვა დაქარაგმებულია. დაქარაგმებულ ტექსტს ხ. ბღაჟბა ასე გადმოსცემდა:

"ამის ჯ~ისა მაშენებელსა ლ~კს მ~რტინივას შ~დოს ღ~ნ ა~ნ".

---

[465] Х. Бгажба. Из истории письменности Абхазии. Тб., 1967, გვ. 21-22.

ქარაგმების გახსნით კი ტექსტს იგივე მეცნიერი ასე კითხულობდა:

"ამის ჯუარისა მაშენებელსა ლუკას მარტინივას შეუნდოს ღმერთმან, ამინ".

წარწერის ფოტოზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მის ტექსტში მოხსენიებული გვარსახელი **მარტინივა** ფორმის ნაცვლად შესაძლებელია წაიკითხოთ როგორც **მარტინავა**: საქმე ის არის, რომ გვარსახელში **ნ** ასოს უშუალოდ ებმის საკმაოდ გაბუნდოვანებული რაღაც ნიშანი, რომელიც ჩვენი აზრით, **ა** ასოს ნაწილი უნდა იყოს. მაგრამ თუნდაც ასე არ იყოს, ასოების ამოკვეთისას შეცდომა XIII საუკუნეშიც შეიძლებოდა მოსვლოდათ. ამგვარ ამოკითხვას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **-ვა** დაბოლოებიან ქართულ გვარსახელთა მოდელს არ სჩვევია ამ **-ვა** დაბოლოების წინ **ა** ხმოვნის გარდა რომელიმე სხვა ხმოვნის წამძღვარება (ერთადერთი გამონაკლისი **მელი-ვა** არღვევს ამ წესს, მაგრამ იგი აშკარად ახალი ვარიანტია და მომდინარეობს მისთვის ამოსავალი **მელია-ვა** ფორმისაგან).

ამრიგად, წებელდის წარწერაც ადასტურებს, რომ ამ სოფლის მიდამოებში XIII საუკუნეში ქართველები, კერძოდ, მეგრელები ბინადრობდნენ, რაც ეხმიანება თვით სოფლის სახელის ქართველურ ეტიმოლოგიას (იხ. ზემოთ).

თავი V

აფხაზთა იდენტობა და ენის ფუნქციონირების საკითხები

§ 1. იმპერიული ანტიაფხაზური ენობრივი პოლიტიკა და მისი შედეგები

2008 წლის აგვისტოს საომარმა მოქმედებებმა ცხინვალის რეგიონსა და საქართველოს სხვა მხარეებში, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოფიციალურმა აღიარებამ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ მთელ მსოფლიოს აშკარად დაანახვა რუსეთის ჭეშმარიტი სახე და ამ სახელმწიფოს შეუფარავი იმპერიული ზრახვები. სპეციალისტთათვის სრულიად ნათელია, რომ დემოკრატიის ლოზუნგებს ამოფარებული რუსეთი დღემდე აგრძელებს მეფის რუსეთისა და საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკას საქართველოსა და მისი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ ზედმეტი არ იქნებოდა, კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა ზოგი მეტად ნიშანდობლივი ისტორიული ფაქტი, რომლებიც დაგვეხმარებოდა დღეს მიმდინარე ცალკეული მოვლენების ლოგიკის გააზრებაშიც და სამომავლო კონტრზომების მიღებაშიც.

ჩვენ აქ ისტორიის მოშველიებით განვიხილავთ მეფის რუსეთის, საბჭოთა კავშირისა და ამჟამინდელი რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთში განხორციელებული ანტიაფხაზური და ანტიქართული იმპერიული პოლიტიკის ძირითად არსენალს და ამ არსენალის გამოყენების შედეგებს.

ცნობილი ფაქტია, რომ იმპერიებს სხვა ქვეყნების დაპყრობის დროს ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევა სურთ, კერძოდ: ამ დროს ყველაზე არსებითად მიიჩნევა ახალი ტერიტორიების მოპოვება, წიაღისეულისა და სხვა მატერიალური სიმდიდრის ხელში ჩაგდება, გეოსტრატეგიული და სამხედრო პოზიციების გამყარება-გაუმჯობესება, დემოგრაფიული სიტუაციის თავის სასარგებლოდ შეცვლა და სხვა. აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია დაპყრობილი მოსახლეობის ენობრი-

ვი. კულტურული, რელიგიური და ეთნიკური ასიმილირება, რათა ეს მოსახლეობა არ აღმოჩნდეს შეურიგებელ ოპოზიციაში დამპყრობლის მიმართ.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, როცა რუსეთი შეუდგა საქართველოს დაპყრობას, მისთვის აქტუალური იყო თითქმის ყველა დასახელებული მიზნის მიღწევა რელიგიური ასიმილაციის ჩათვლით, ვინაიდან ქვეყნის სატიტულო ეთნოსის, ქართველი ხალხის ერთი ნაწილი კონფესიური თვალსაზრისით განსხვავდებოდა მართლმადიდებლურ-ქრისტიანული უმრავლესობისაგან და აღიარებდა სუნიტურ ისლამს (აჭარლები, მესხები, ჯავახები, ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის მოსახლეობა, ინგილოები...), გრიგორიანულ ქრისტიანობასა და კათოლიკობას. გარდა ქართველთა ამ ჯგუფებისა, კონფესიურად განსხვავებულ ჯგუფებში შედიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოსახლე ებრაელები, მაჰმადიანი ბორჩალოელი თათრები და აფხაზების ნაწილი, აგრეთვე გრიგორიანელი სომხები. ამ მოზაიკურ რელიგიურ ვითარებას ემატებოდა ასევე მოზაიკური ენობრივი სურათიც: ქართულ ენაზე მოლაპარაკე უმრავლესობის პარალელურად ქვეყანაში წარმოდგენილი იყო აფხაზურ, ოსურ, სომხურ, თურქულ ენებზე მოსაუბრე მეტ-ნაკლებად კომპაქტური ჯგუფები. ბუნებრივია, ქართველთა და ქვეყანაში მოსახლე სხვა ეთნიკურ ჯგუფთა ეთნიკური, ენობრივი და კონფესიური იდენტობა დიდწილად განსაზღვრავდა მათ პოლიტიკურ ორიენტაციასაც:

მართლმადიდებელი ქართველი, აფხაზი და ოსი მოსახლეობა გრიგორიან სომხებთან ერთად იმ ეტაპზე მაინც შედარებით ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთის მიმართ და მასში ირანისა და ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკისაგან დამცველს ხედავდა, ხოლო მაჰმადიანი ქართველების, აფხაზების, ბორჩალოელი თათრებისა და თურქების განწყობა ოსმალეთისაკენ უფრო იხრებოდა, ოსმალეთი კი მაშინ რუსეთის აშკარა პოლიტიკური და სამხედრო ოპონენტი იყო. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლებაც ხედავდა ამას და ცდილობდა კიდევაც რელიგიური ფაქტორის სათავისოდ გამოყენებას. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიაში შემოღწე-

ვის შემდგომ ცარიზმი აქტიურად შეუდგა მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელებასა და განმტკიცებას საქართველოს მთიან რეგიონებში, აფხაზეთში, საინგილოში და ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება მიანდო ქართველ მისიონერებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ ამ რეგიონთა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესებს, იცოდნენ აგრეთვე აფხაზური და ოსური ენები, ხოლო აფხაზები და ოსები ტრადიციული ისტორიული მჭიდრო კავშირით იყვნენ დაკავშირებულნი ქართველ ხალხთან, რაც ხელს უწყობდა მისიონერთა საქმიანობის წარმატებას აფხაზეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს იმ მხარეებში, სადაც წარმოდგენილი იყო ოსებით დასახლებული სოფლები (შიდა და შუა ქართლი, კახეთის ნაწილი...).

ამ კონტექსტში ერთი შეხედვით აუხსნელი და ალოგიკური ჩანს ის ფაქტი, რომ ცარიზმის ქრისტიანმა ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება არ დაუთმო ქრისტიანობის აღდგენის საქმეს მესხეთ-ჯავახეთში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ქრისტიან ქართველთა შთამომავალი იყო, მაგრამ უკვე ისლამსაც აღიარებდა და ინტენსიურადაც კარგავდა დედაენას (ქართულს) თურქული ენის ათვისების ხარჯზე. შდრ. აფხაზეთი, სადაც XIX საუკუნის 80-იან წლებამდე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ქრისტიანობის აღდგენას და საამისოდ დიდძალი დრო, ენერგია და თანხა იხარჯებოდა. საკითხის ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ **ცარიზმის ამ ალოგიკურ საქციელს განსაზღვრავდა მეტად მტკიცე იმპერიული ლოგიკა:** მესხეთ-ჯავახეთი უშუალოდ ესაზღვრებოდა რუსეთის მეტოქე ოსმალეთს, მაჰმადიანთა გაქრისტიანება ერთჯერადი და მყისიერი შედეგის მომცემი აქცია ვერ იქნებოდა და ოსმალეთთან ომის შემთხვევაში მაჰმადიან მოსახლეობას შეეძლო რუსეთისათვის სერიოზული პრობლემების შექმნა, აფხაზეთი კი ოსმალეთისაგან შორს იყო, 1864 წლამდე რუსეთი იარაღით ებრძოდა აფხაზთა მეზობლად მოსახლე ჩერქეზებსა და უბიხებს და მას აფხაზეთი პლაცდარმად სჭირდებოდა. მისთვის იმ დროს ჯერ კიდევ ხელსაყრელი არ იყო აფხაზთა მიმართ მკაცრი პოლიტიკის განხორციელება. აქ რუსი სამღვდელოების ნაცვლად

მისიონერებად ქართველების წარგზავნა უფრო უმტკივნეულო იქნებოდა (თუ მაჰმადიან აფხაზებს პროტესტი გაუჩნდებოდათ მათ შორის ქრისტიანობის ქადაგების გამო, მათი უკმაყოფილების ადრესატებად ქართველები იქცეოდნენ და არა რუსები, რითაც იმპერია ორი მოძმე ხალხის დაპირისპირებასაც მიაღწევდა). მაგრამ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა (1864 წ.) და განსაკუთრებით აფხაზთა ანტირუსული აჯანყებების (1866, 1877-78 წწ.) შემდეგ ცარიზმმა დაინახა, რომ **რეგიონში ქართველი სამღვდელოების ავტორიტეტი სახიფათოდ ამაღლდა, ხოლო აფხაზი ხალხი საჭიროების შემთხვევაში იარაღით ბრძოლაზეც არ იტყოდა უარს.**

ამ მიზეზის გამო რუსეთის ხელისუფლებამ ამჯობინა გადაედგა ის ნაბიჯი, რაც უკვე გადადგმული პქონდა XIX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე მესხეთსა და ჯავახეთში, როცა სამშობლოდან ოსმალეთში მასობრივად გააძევა მაჰმადიანი ქართველები და მათ ნაბინავარზე ჩამოასახლა რუსი სექტანტები, თურქულენოვანი პონტოელი ბერძნები და გრიგორიანი სომხები – აფხაზეთშიც 1867 და 1878-1880 წლებში მოხდა **აფხაზი ხალხის არსებობის ისტორიაში უდიდესი ტრაგედია:** ათასობით აფხაზი მასობრივად აჰყარეს და ძალით განდევნეს თურქეთში, მათ ადგილას კი ასევე მასობრივად ჩამოასახლეს რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, ესტონელები, გერმანელები და ა.შ. სამწუხაროდ, არც ცარისტულ, არც საბჭოურ და არც ამჟამინდელ რუსულ ხელისუფლებას დღემდე არ გახსენებიათ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ეს მძიმე დანაშაული და ბოდიში არ მოუხდიათ აფხაზი ხალხის წინაშე (სხვათა შორის, იმაყუ 1878 წელს რუსეთის ხელისუფლებამ მაჰმადიანი ქართველებისა და თურქების დიდი ნაწილიც გააძევა თურქეთში).

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის მთავრები ცდილობდნენ ლავირებას თურქეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის. ისინი ხან ისლამს იღებდნენ თურქების გულის მოსაგებად, ხან კი ქრისტიანობას უბრუნდებოდნენ რუსების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. 1810 წელს აფხაზეთის სამთავროს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესვლამ აფხაზეთის

მთავარსა და მის კარზე მოღვაწე ქართველ საეკლესიო პირებს აფიქრებინა, რომ რუსეთის ქრისტიანი ხელისუფლება დაეხმარებოდა მათ კულტურულად ჩამორჩენილი აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვაში. ამავე წელს აფხაზეთის მთავრის პირადმა მოძღვარმა, ქართველმა დეკანოზმა **იოანე იოსელიანმა აფხაზეთის ისტორიაში პირველად წამოაყენა წინადადება განათლების სფეროში აფხაზური ენის დანერგვის შესახებ**. მისი პროექტით, სოფელ ლიხნში, აფხაზეთის მთავრის რეზიდენციასთან უნდა გახსნილიყო სასულიერო სასწავლებელი, სადაც აფხაზ ბავშვებს მიეცემოდათ საშუალება, დედაენაზე მიეღოთ სასულიერო განათლება. დეკანოზს მხარს უჭერდა აფხაზეთის მთავარიც, მაგრამ რუსეთის სასულიერო იერარქებმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადეს და პროექტიც ჩაიშალა.

მოგვიანებით, 1851 წლის 30 მაისს რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამ საქმის ინიციატორი ქართველი იერომონაზონი (შემდგომში აფხაზეთის ეპისკოპოსი) **ალექსანდრე ოქროპირიძე** იყო, რომელიც ხსენებული გადაწყვეტილების მიღებამდე თვენახევრით ადრე, 15 აპრილს დაინიშნა დასაარსებელი სასწავლებლის ზედამხედველად. 4-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი 1852 წლის 25 სექტემბრიდან ამოქმედდა სოფელ ლიხნში. მასში ასწავლიდნენ სჯულის კანონს, რუსულ ენას, ქართულ ენას (საეროსა და სასულიეროს), სუფთა წერას რუსულად, სუფთა წერას ქართულად, რუსულ გრამატიკას, ქართულ გრამატიკას, **საგარჯიშოებს აფხაზურ ენაში**, გეოგრაფიას, გალობასა და არითმეტიკას[466]. ეს იყო **ისტორიაში პირველი პრეცედენტი აფხაზური ენის სწავლების შემოღებისა**.

ჩვენამდე მოღწეულია წმ. ალექსანდრეს ხელით შედგენილი ლიხნის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა ნუსხა, რო-

---

[466] წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბ., 2006, გვ. 11-17.

მელიც 1853 წლის 27 იანვრით თარიღდება. ამ ნუსხიდან ირკვევა, რომ იმ დროს სასწავლებელს სულ 11 მოსწავლე ჰყოლია. ჩვენი ვარაუდით, მაოგან ეროვნებით აფხაზი უნდა ყოფილიყო 6 მოსწავლე: სპირიდონ ბჟანია ილორიდან, თეოდორე ლაკობა სოუქსუდან (ლიხნიდან), დავით მარშანია გუფიდან, მოსე ეშბა ჯირხვიდან, დავით სოსრანის ძე მარღანია (მისი სადაურობა აღნიშნული არ არის, მაგრამ მითითებულია, რომ იგი "თათარი", ე.ი. მაჰმადიანია, აფხაზეთში კი მაჰმადიანი ქართველები არ ცხოვრობდნენ), ფილიპე ლაკერბაია ოთჯარიდან[467]. ამ ბავშვთაგან ა. ოქროპირიძე საკუთარი ხარჯით ინახავდა სპირიდონ ბჟანიას[468]. არსებობს კიდევ ერთი, 1867 წლის 29 მაისის ცნობა იმ 8 მოსწავლის შესახებ, რომლებსაც განათლება პირადად ა. ოქროპირიძის დაფინანსებით მიუღია. ესენი ყოფილან: გიორგი მარშანია, გიორგი ეშბა, პეტრე იასკუა, პეტრე ფილია, პეტრე ანთია, ნესტორ გრიგოლია, დავით გვილია, გრიგოლ ტებლია[469]. ამ მოსწავლეებიდან ყველა თუ არა, უმრავლესობა მაინც აფხაზი უნდა ყოფილიყო.

ლიხნის სასულიერო სასწავლებელმა იარსება 1855 წლის ოქტომბრამდე.

იგივე წმ. ალექსანდრე იყო სოფელ ილორში აფხაზი ბავშვებისათვის სკოლის გახსნის ინიციატორი და ამ სკოლის პირველი ხელმძღვანელიც, რისთვისაც იგი 1852 წლის 8 მაისს სამხრეულით დააჯილდოვეს[470].

ეპისკოპოს ალექსანდრეს ზრუნვით აღზრდილან შემდგომში სახელგანთქმული **პირველი აფხაზი ქრისტიანი სასულიერო პირები**: ივანე (იოანე) გეგია, იოანე არგუნი, პეტრე ფილია და სხვანი[471]. მათგან ი. გეგია მონაწილეობდა იმ კომისიის მუშაობაში, რომელსაც გენერალ ი. ბარტოლომეი ხელმძღვანელობდა და მიზნად ისახავდა პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს შედგენას.

---

[467] იქვე, გვ. 70-71.
[468] იქვე, გვ. 68-69.
[469] იქვე, გვ. 36 და 141.
[470] იქვე, გვ. 11.
[471] იქვე, გვ. 34.

აქ დასახელებული კონკრეტული ისტორიული ფაქტები ცხადყოფს, რომ აფხაზთა სასკოლო განათლების ეტაპს საფუძველი ჩაუყარა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ, ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ (მანამდე აფხაზი თავად-აზნაურები განათლებას ქართულ ენაზე იღებდნენ საოჯახო პირობებში)[472]. სამწუხაროდ, მისი დამსახურება აფხაზი ხალხის წინაშე დღეს მივიწყებულია.

სრულიად საპირისპირო იყო რუს მოხელეთა და სასულიერო პირთა პოზიცია. ცარიზმი საქართველოში ფეხის მოკიდებისთანავე შეუდგა აქტიურ მოქმედებას ქვეყნის მოსახლეობის მასობრივად გარუსებისათვის. საამისოდ იმპერიის იდეოლოგებმა სხვადასხვა გეგმა შეადგინეს. მაგალითად, XIX საუკუნის 30-იან წლებში ცარიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იდეოლოგი პლატონ ზუბოვი აფხაზეთის შესახებ წერდა: "...მთიელთა დაშოშმინება [ე.ი. დამორჩილება – თ.გ.] შემდეგს გულისხმობს: სავაჭრო ურთიერთობათა გზით დავნერგოთ მათში მიდრეკილება ფუფუნებისაკენ; ვაქციოთ იგი [ფუფუნება – თ.გ.] აუცილებლობად და გავანათლოთ მთიელნი ქრისტიანობის შუქით. [...] მთიელები იცხოვრებენ მთავარი გზებისაგან მოშორებულ დაბლობებში... და მთავრობის შემწეობით მიიღებენ პირველ რიგში აუცილებელ საცხოვრებლებს, განსაკუთრებით შესანიშნავ ეკლესიებს ყოველ მნიშვნელოვან სოფელში; ეკლესიებთან უნდა გაიხსნას სასწავლებლები რუსული ენის შესასწავლად და **თუნდაც დასაწყისისათვის საღვთო წირვა უნდა შესრულდეს მთიელთა ენაზე, მაგრამ თანდათანობით საქმე ისე უნდა წავიყვანოთ, რომ მათ მიატოვონ საკუთარი კილოკავები და გაეცნონ რუსულ ენას, რომელიც მათი შთამომავლებისათვის უკვე გაბატონებული ენა გახდება, რადგანაც დამწერლობის არმქონე მათი მრავალგვარი კილოკავები ოლად მიეცემა დავიწყებას**"[473].

---

[472] იქვე, გვ. 37.

[473] Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия историческая область Грузии (Историография, документы и материалы, комментарии). С дренейших времен до 30-х гг. XX века. Тб., 1997, გვ. 308-309 (თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

როგორც ვხედავთ, ამ გეგმაში აფხაზეთის მოსახლეობის ასიმილაციის რამდენიმე მთავარი ხერხია დასახელებული:

ა) ადგილობრივი მოსახლეობის ზნეობრივი გარყვნა ფუფუნების სიყვარულის ჩანერგვის გზით;

ბ) მოსახლეობის ჩამოსახლება ძნელად საკონტროლო მთიდან ბარში და მათი კონცენტრირება ცენტრალური მაგისტრალებიდან მოშორებით;

გ) აფხაზთა გაქრისტიანება და ღვთისმსახურების ენად რუსულის გაბატონება;

დ) საეკლესიო-სამრევლო სკოლების გამოყენება მთიელთა დედაენების დასავიწყებლად.

ცარიზმის ხელისუფლებამ ამ ხერხებიდან პრაქტიკულად ყველა გამოიყენა, გარდა პირველისა (ფუფუნებისაკენ მიდრეკილების დანერგვას დიდი თანხები სჭირდებოდა). დროთა განმავლობაში იმპერიამ ზოგი სხვა ხერხიც გამოიგონა, კერძოდ:

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისათვის, როცა აშკარა გახდა, რომ რუსეთ-კავკასიის ომი იმპერიის გამარჯვებით დასრულდებოდა, **ცარიზმმა დაიწყო აქტიური მუშაობა აფხაზეთში ეთნიკურ-დემოგრაფიული ვითარების შესაცვლელად, აგრეთვე აფხაზი მოსახლეობის ქართული კულტურული სამყაროსაგან მოსაწყვეტად და ამ ეთნოსის ქართველ ხალხთან დასაპირისპირებლად.** ამ მიზნების მიღწევის საშუალებებად გამოყენებულ იქნა აფხაზური ენისათვის რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული დამწერლობის შექმნა, აფხაზურ სოფლებში მანამდე მოღვაწე ქართველი მისიონერების გაწვევა, სამურზაყანოში მოსახლე ქართველების აფხაზებად გამოცხადება, მათთვის ეკლესიასა და სკოლაში ქართული ენის გამოყენების აკრძალვა და ა.შ.

აფხაზური ენა 1862 წლამდე დამწერლობის არმქონე ენა იყო და აფხაზები იყენებდნენ ქართულ სამწიგნობრო ენას ოფიციალური მიმოწერის, რელიგიურ-ქრისტიანული და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ქართული ენა მაღალ დონეზე იცოდნენ აფხაზური არისტოკრატიის წარმომადგენლებმა და დაბალი სოციალური ფენების საგრძნობმა ნაწილმა. უფრო მეტიც, XIX საუკუნის განმავლობაში აფხაზე-

თის მთავრებიც და სხვა თავადებიც რუსულ ხელისუფლებასთან ოფიციალურ მიმოწერას მხოლოდ ამ ენაზე აწარმოებდნენ, ხოლო ინტელიგენცია ქართულ ენასა და წერილობით კულტურას თავის მშობლიურ ენად და კულტურად მიიჩნევდა. მაგალითად, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ვაჟი გიორგი შარვაშიძე ზედმიწევნით ღრმად იცნობდა ქართულ ლიტერატურას და თვითონაც წერდა შესანიშნავ ლექსებს ამ ენაზე.

რუსეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო აფხაზთა და ქართველთა სიახლოვე, ამიტომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქცენტი გაკეთდა ამ სიახლოვის მოსაშლელად და დასახლებული ორი ეთნოსის გადასამტერებლად. უკვე 1862 წელს რუსეთის არმიის გენერალი პეტრე უსლარი შეუდგა აფხაზური ენის მეცნიერულ გამოკვლევას, მაგრამ მის წინაშე წამოიჭრა პრობლემა: რომელი ენის დამწერლობით უნდა გადმოეცა აფხაზური ენის ბგერები? გენერალმა იცოდა, რომ კავკასიაში გავრცელებულ ენათათვის, რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ უდამწერლობო იყო, ყველაზე გამოსადეგად ქართული ანბანი უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ მას არ სურდა ამ დამწერლობის გამოყენება წმინდა პოლიტიკური მოსაზრებების გამო. იგი წერდა:

"...[ქართული ანბანი] ლამის ყველაზე სრულყოფილია არსებულ ანბანთა შორის... ყოველი ბგერა გადმოიცემა საგანგებო ნიშნით და ყოველი ასო მუდამ გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში არსებობს დაბრკოლება – ესაა ორთოგრაფია; ქართველებს, მათი ანბანის სრულყოფილების წყალობით, ეს სირთულე თითქმის არა აქვთ... აქედან ჩანს, რომ ქართული საანბანო სისტემა შეიძლება აღებულ იქნეს აქამდე დამწერლობას მოკლებული ყველა კავკასიური ენისათვის საერთო ანბანის საფუძვლად; მაგრამ თუ ჩვენ ქართველებისაგან ვისესხებთ არა მარტო საანბანო სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობასაც, ამით სრულიად უნებურად **შევქმნით სირთულებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება, რაც უფრო მეტად გავრცელდება რუსული წერა-კითხვა კავკასიაში**"[474].

---

[474] Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრ., გვ. 353 (თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

პ. უსლარი იქვე დასძენდა: **"წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვქმნით იმის რისკს, რომ ქართული და სხვა ავტონომიების გარდა შევქმნით აფხაზურ ავტონომიასაც"**-ო[475]. პ. უსლარს დიდხანს არ უყოყმანია და შექმნა დამწერლობა აფხაზური ენისათვის, რომელიც ემყარებოდა რუსულ გრაფიკას (კირილიცას).

საყურადღებოა, რომ იმავე 1862 წლიდან "კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" განკარგულებით აფხაზურ ენაზე პირველი საანბანო წიგნის შექმნაზე მუშაობდა ჯგუფი გენერალ ი. ბარტოლომეის ხელმძღვანელობით, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, აფხაზური სიტყვების ჩასაწერად გამოეყენებინა ქართული გრაფიკა. ამან პ. უსლარი საშინლად გაანარისხა. მან ი. ბარტოლომეის ჯგუფი აიძულა, უარი ეთქვა თავის გადაწყვეტილებაზე და გამოეყენებინა პ. უსლარის მიერ შედგენილი ახალი დამწერლობა რუსული გრაფიკის გამოყენებით (ი. ბარტოლომეის ჯგუფის მიერ დაწერილი "აფხაზური ანბანი" გამოიცა თბილისში 1865 წელს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1892 წელს რუსული ეკლესიის ხელმძღვანელობამ აფხაზეთში შექმნა მთარგმნელობითი კომისია, რომელმაც აფხაზურ ენაზე თარგმნა და გამოსცა რამდენიმე რელიგიური წიგნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალ აფხაზურ დამწერლობას სხვა სფეროებში პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია 1912 წლამდე, როცა დიმიტრი გულიამ თბილისში გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული, რითაც საფუძველი ჩაეყარა აფხაზური მწერლობის ისტორიას. რაც შეეხება ზეპირ აფხაზურ მეტყველებას, იგი არა მარტო დამწერლობის შექმნამდე, არამედ დღემდეც აფხაზეთში გამოიყენებოდა და გამოიყენება თითქმის მხოლოდ მონოეთნიკურ გარემოში (გამონაკლისს ქმნიდა და ქმნის ეთნიკურად შერეული ოჯახების ნაწილი).

ამ მიზეზის გამო XIX საუკუნეში შეუძლებელი იყო საერო და სასულიერო განათლების ორგანიზება აფხაზურ ენაზე –

---

[475] იქვე, გვ. 720 (თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

ამ ენაზე არ არსებობდა არც ორიგინალური და არც თარგმნილი ლიტერატურა, რომლის შესწავლაც შეეძლებოდათ აფხაზ მოსწავლეებს. ამგვარად, **ხელოვნურად შეიქმნა დილემა**: ხელისუფლება აცხადებდა, რომ რაკი აფხაზები ქართველები არ არიან, მათთვის ქართული ენის სწავლება და ქრისტიანული ღვთისმსახურების შესრულება ამ ენაზე დაუშვებელია, აფხაზებს არც საკუთარი ორიგინალური ან თარგმნილი ლიტერატურა მოეპოვებათ, ამიტომ უპრიანია, აფხაზმა ბავშვებმა ისწავლონ და ილოცონ რუსულ ენაზეო. რუსიფიკაციისა და "Divide et impera"-ს ეს კვინტესენცია არაერთ რუს მოხელეს გამოუთქვამს. დავიმოწმებთ ერთ-ერთის, ევგენი ვეიდენბაუმის გულახდილ გამონათქვამს:

"აფხაზური ენა, რომელსაც არა აქვს დამწერლობა და ლიტერატურა, რაღა თქმა უნდა, განწირულია მეტ-ნაკლებად ახლო მომავალში გასაქრობად. საკითხი ასე დგას: რომელი ენა შეცვლის მას? ცხადია, რომ [აფხაზურ – თ.გ.] მოსახლეობაში კულტურული იდეებისა და ცნებათა დამნერგავის როლი უნდა შეასრულოს არა ქართულმა, არამედ რუსულმა ენამ. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ **აფხაზური დამწერლობის დაფუძნება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ის უნდა გახდეს ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართული ენისადმი მოთხოვნილების დასუსტებისა და მისი [ე.ი. ქართული ენის – თ.გ.] სახელმწიფო ენით [ე.ი. რუსულით – თ.გ.] შეცვლის იარაღი**"[476].

სწორედ ცარიზმის ჭეშმარიტი მიზნების ამოცნობა გვიწყობს ხელს იმის ახსნაში, თუ რატომ ახდენდა ცარიზმი ქართველ საერო და სასულიერო მოღვაწეთა იმ წინადადებების იგნორირებას, რომლებიც აფხაზეთში განათლებისა და ღვთისმსახურების აფხაზურ ენაზე წარმართვას გულისხმობდა. მაგალითად, როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ მანამ, სანამ რუსეთი ოფიციალურად გააუქმებდა აფხაზეთის სამთავროს, მაგრამ მკაცრად აკონტროლებდა ვითარებას ამ რეგიონში, აფხაზეთის მთავრის პირადმა მოძღვარმა, დეკანოზმა იოანე იოსე-

[476] Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრ., გვ. 720 (თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

ლიანმა რუსეთის ხელისუფლების წინაშე წამოჭრა საკითხი სოფ. ლიხნში სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ, სადაც აფხაზი ბავშვები სხვა საგნებთან ერთად დედაენასაც შეისწავლიდნენ, მაგრამ ამ პროექტს უარი ეთქვა – იმპერიას აფხაზური ენის ფუნქციონირების სფეროთა გაფართოება და აფხაზთა კულტურული აღმავლობა კი არა, აფხაზთა გარუსება აინტერესებდა.

ანალოგიური წინადადება სხვა დროსაც არაერთხელ დაისვა, მაგრამ საკითხი მუდამ გადაუჭრელი რჩებოდა. საკითხის მოგვარებას ცდილობდნენ ქართველი მოღვაწენიც, რომლებიც გულწრფელად იყვნენ დაინტერესებულნი აფხაზთა შორის წერა-კითხვის დონის ამაღლებითა და სასულიერო ლიტერატურის შექმნით. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) მომხრე იყო აფხაზურ ენაზე ლიტერატურის შექმნისა და ღვთისმსახურების დაწესებისა. იმავე წინადადებას აყენებდა დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილიც, რომელიც 1907 წელს წერდა:

"გაზეთების ზოგი კორესპონდენტი მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ეს მეტისმეტად მაოცებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ეჭვეული ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ [ე.ი. ეროვნულ – თ.გ.] ლიტერატურაზე".

ი. გოგებაშვილი იქვე მოუწოდებდა სოხუმელ ქართველებს, დახმარება გაეწიათ აფხაზი მოღვაწეებისათვის აფხაზური ენის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაში და თუ ამგვარი წიგნების სოხუმში გამოცემა გაუჭირდებოდათ, გადაეგზავნათ ტექსტი თბილისში, სადაც ქართველთა შორის წერა-

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის გამგეობის წევრიც ი. გოგებაშვილი იყო, თავისი ხარჯით დაბეჭდავდა წიგნებს[477].

იმავე ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული საანბანო წიგნის "დედა ენის" პრინციპები გამოიყენა აფხაზმა პედაგოგმა ანდრეი ჭოჭუამ აფხაზური საანბანო წიგნის შედგენისას. ბედის ირონიაა, რომ დღეს ი. გოგებაშვილი აფხაზ სეპარატისტებს "შავ სიაში" ჰყავთ და მას სრულიად უსაფუძვლოდ აფხაზთა გაქართველების იდეოლოგობაში სდებენ ბრალს, ხოლო გენერალ პ. უსლარს ლამის ღმერთად წარმოაჩენენ.

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე ობიექტური მკითხველი თავად განსჯის, თუ ვინ იყო აფხაზი ხალხის უანგარო მეგობარი და ვინ – მისი გადაჯიშების მოსურნე: პ. ზუბოვი, პ. უსლარი, ე. ვეიდენბაუმი, რუსეთის ხელისუფლება, თუ დეკანოზი ი. იოსელიანი, ი. გოგებაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ეპისკოპოსები ალექსანდრე ოქროპირიძე და გაბრიელ ქიქოძე (მათ ათასობით აფხაზი გააქრიტიანეს და ამით გადაარჩინეს ისინი აფხაზეთიდან დეპორტაციისა და ფიზიკურად განადგურებისაგან), ან აფხაზეთში მოღვაწე ის ქაროველები, რომლებიც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე უანგაროდ დაეხმარნენ აფხაზ მოღვაწეებს აფხაზთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნაში და ამ საზოგადოების მუშაობის ფართოდ გაშლაში?

ამრიგად, **1862 წელს აფხაზური ენისათვის დამწერლობის შექმნას, მართალია, ძალზე დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ენის არსებობის ისტორიაში, მაგრამ ეს აქტი არ ყოფილა ამ ენის მატარებელი ეთნოსის ბუნებრივი ისტორიულ-კულტურული განვითარებით გამოწვეული მოვლენა. აფხაზური დამწერლობა შეიქმნა პოლიტიკური მოტივებით** და მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, აფხაზთა იზოლირებას ქართული კულტურული სამყაროსაგან, მეორე მხრივ კი მათი საბოლოო გარუსებისათვის ნიადაგის შემზადებას რუსულ გრაფიკასთან შეჩვევის გზით. ამას ადასტურებს ისიც, რომ ცარიზ-

---

[477] ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.). თბ., 2005, გვ. 473-474.

მის ხელისუფალნი ხშირად უარყოფდნენ აფხაზური დამწერლობის არსებობის ფაქტსაც კი; კრძალავდნენ აფხაზური და ქართული ენების გამოყენებას აფხაზეთის სკოლებსა და ეკლესიებში; აძალებდნენ აფხაზებსა და ქართველებს რუსულ ენაზე სწავლასა და ღვთისმსახურებას და ა.შ. მაგალითად, 1864 წელს "კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ" გამოსცა "წესები სამრევლო სკოლების შესახებ", რომელიც ამ საზოგადოების ეგიდით გახსნილ სამრევლო სკოლებს ნებას რთავდა, სწაელება წარემართათ დედაენაზეც.

მიუხედავად ამ წესებისა, სამურზაყანოში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, სწავლება ქართულ ენაზე მხოლოდ სამრევლო სკოლათა მცირე ნაწილშიღა მიმდინარეობდა, ხოლო დანარჩენ სკოლებში, აგრეთვე აფხაზეთის აფხაზურ სოფლებში ბავშვებს მათთვის სრულიად გაუგებარ რუსულ ენაზე ასწავლიდნენ, რასაც შედეგი არ მოჰქონდა.

1884 წელს იმავე საზოგადოებამ საერთოდ აკრძალა სამურზაყანო-აფხაზეთში სწავლება ქართულ და აფხაზურ ენებზე.

"საქართველო-იმერეთის" სინოდალური კანტორის 1889 წლის 17 მარტის ბრძანებით, აფხაზეთ-სამურზაყანოს ეკლესიებსა და სამრევლო სკოლებში წირვა-ლოცვა და სწავლება უნდა წარმართულიყო მხოლოდ რუსულ ენაზე.

მსგავსი აკრძალვები პერიოდულად მეორდებოდა ხოლმე შემდგომშიც: 1896, 1898, 1903 წლებში[478].

ცარიზმი ამ აკრძალვებს ასეთი "ლოგიკით" ამართლებდა:

– 1868 წლის ოფიციალური გადაწყვეტილებით, აფხაზური ენა განუვითარებელ ენად გამოცხადდა, მას არა აქვს დამწერლობა, ამ ენაზე არ არსებობს არც რელიგიური და არც სა-

---

[478] ვრცლად იხ.: თ. გეანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია. ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. V, ქუთაისი, 2001, გვ. 105-106; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.)..., გვ. 669-672.

რო ლიტერატურა, ამიტომ აფხაზები უნდა სწავლობდნენ და ლოცულობდნენ რუსულად.

–აფხაზები არ არიან ქართველები, ე.ი. მათ არ სჭირდებათ არც ამ ენის შესწავლა და არც ქართულად ლოცვა.

– რაც შეეხება სამურზაყანოელებს, ისინი, იმპერიის იდეოლოგთა აზრით, ქართველები კი არა, აფხაზები არიან და რაკი ასეა, არც მათ სჭირდებათ ქართული ენის შესწავლა და ამ ენაზე ლოცვა, ამიტომ სამურზაყანოელებმაც, აფხაზთა მსგავსად, უნდა ისწავლონ და ილოცონ რუსულადო.

ამ გზით იმპერია რეგიონის მოსახლეობის ერთიანად გარუსებას ცდილობდა. სამწუხაროდ, 1878 წლის მასობრივი დეპორტაციის (მუჰაჯირობის) შემდეგ აფხაზეთის უმცირესობად ქცეულ აფხაზებს, რომლებიც ორ რეზერვაციაშიღა იყვნენ შემორჩენილნი, ოფიციალურად ჰქონდათ მინიჭებული "დამნაშავე ხალხის" სტატუსი, ეკრძალებოდათ მაგისტრალებისა და ზღვის სიახლოვეს ცხოვრება, თითქმის არ ჰყავდათ ინტელიგენცია და ლიდერები, არ შეეძლოთ სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკისათვის. ამიტომ როგორც საკუთარი, ისე აფხაზი ხალხის ეროვნულ-ენობრივ-რელიგიურ-კულტურული იდენტობის გადარჩენისათვის ბრძოლის სიმძიმე აფხაზეთ-სამურზაყანოში მცხოვრებმა ქართველმა ლიდერებმა იკისრეს:

როცა 1898 წლის 17 მარტს "საქართველო-იმერეთის" სინოდალურმა კანტორამ კვლავ აკრძალა ღვთისმსახურება და სწავლება ქართულ ენაზე სოხუმის ოლქის ეკლესიებსა და სამრევლო სკოლებში, ამას აფხაზეთ-სამურზაყანოს ქართული მოსახლეობის იმდენად მძლავრი პროტესტი მოჰყვა, რომ ამ ამბავმა თვით რუსეთის იმპერატორის ყურამდეც კი მიაღწია. იმპერატორმა საკითხის გადაწყვეტა რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს დაავალა.

სინოდმა 1898 წლის 3 სექტემბერს გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც სოხუმის ოლქის იმ სამრევლოებში, სადაც მრევლი ქართული იყო, ღვთისმსახურებაც და სასულიერო განათლებაც უნდა წარმართულიყო ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზურ სამრევლოებში... ძველსლავურ ენაზე. ეს ბრძანე-

ბულება სოხუმის ოლქის 42 სამრევლოდან მხოლოდ 3-ში შესრულდა. ქართველმა მოღვაწეებმა განაგრძეს ბრძოლა. კერძოდ, თედო სახოკიამ შეძლო პეტერბურგის გაზეთ "Санкт-Петербургския ведомости"-ში საპროტესტო სტატიის გამოქვეყნებაც კი, რომელშიც მოითხოვდა ღვთისმსახურებასა და სწავლებაში აფხაზური და ქართული ენების აღდგენას.

საპასუხოდ ხელისუფლებამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა თ. სახოკიასა და მისი "ქართული პარტიის" სხვა ლიდერთა წინააღმდეგ, რის შედეგადაც 1904 წლის 1 მაისს კავკასიის მთავარმმართებლის საბჭომ "დამნაშავე" 8 პირს კავკასიიდან უვადო გასახლება მიუსაჯა[479]. საქმის ძიების დროს ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორი გერშელმანი უმაღლესი ხელისუფლებისაგან ითხოვდა ნებართვას, რათა სოხუმის ოლქის მოსახლეობის გარუსების დაჩქარების მიზნით, იმ სამრევლოებში, სადაც ცხოვრობდნენ აფხაზები და ქართველები, გაემწესებინათ მხოლოდ რუსი, ან აფხაზი სასულიერო პირები; რუსებით შეეცვალათ ოლქში მოღვაწე ქართველი მასწავლებლები[480].

მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთში განხორციელებული ენობრივი პოლიტიკის **მთავარი მახასიათებლები** მისი **აგრესიულობა და რუსიფიკატორული ბუნება** იყო.

ამ პოლიტიკის შედეგი გახლდათ ის, რომ უკვე 1905-1907 წლების რევოლუციის დროისათვის გაჩნდა დაპირისპირების პირველი ნიშნები რეგიონის აფხაზურ და ქართულ მოსახლეობას შორის:

– აფხაზთა ნაწილმა ირწმუნა, რომ ქართველები მათ მშობლიურ მიწას ედავებიან და სურთ აფხაზთა გაქართველება;

– მათ აიტაცეს რუსი იდეოლოგების მიერ შექმნილი "სამეცნიერო თეორია", რომლის თანახმადაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველებს არასოდეს უცხოვრიათ XIX საუკუნემდე;

– გაჩნდა ქართველის, როგორც აფსაზთა დაუძინებელი

---

[479] ვრცლად იხ.: ა. სილაგაძე, ე. გურული. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904). თბ., 1999.

[480] იქვე, დოკუმენტი № 2, გვ. 83-84.

მტრის, მითოლოგიზებული სახე;

– შეიქმნა და დღემდე ცოცხალია დამღუპველი ლოზუნგი: "სჯობს ზღვამ ჩაგვყლაპოს, ვიდრე ნაკადულმა", რომელშიც "ზღვა" რუსეთს გულისხმობს, "ნაკადული" კი – საქართველოს;

– გავრცელდა ნიჰილისტური დამოკიდებულება აფხაზი ხალხის, აფხაზური ენისა და კულტურის მომავლის მიმართ.

ასეთ ვითარებაში დაემხო ცარიზმი. ბუნებრივია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხანმოკლე პერიოდში (1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე) შეუძლებელი იყო ცარიზმის დანატოვარი უკიდურესად მძიმე ვითარების სასწრაფოდ შეცვლა, მით უმეტეს, რომ როგორც საბჭოთა რუსეთი, ისე მისი მოწინააღმდეგე ძალები ერთნაირი მონდომებით ერეოდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში და ცდილობდნენ აფხაზეთში არეულობისა და ეროვნებათშორისი შუღლის გამოწვევას. ამ ეტაპზე გაჩნდნენ სეპარატიზმის იდეოლოგებიც (სიმონ ბასარია, სიმონ აშხვაწაა, სამსონ ჭანბა...), თუმცა ჯერ კიდევ დიდი იყო იმ აფხაზთა რაოდენობაც, ვინც მომხრე იყო ტრადიციული აფხაზურ-ქართული კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებისა და ვისაც ესმოდა, რომ რუსეთის შემადგენლობაში აფხაზ ხალხს კარგი არაფერი ელოდა (გიორგი შარვაშიძე, ვარლამ შარვაშიძე, ვიანორ ანჩაბაძე...). მიუხედავად არსებული სიძნელეებისა და მცირე დროისა, 1918-1921 წლებს შორის აფხაზეთში მაინც მოხერხდა რამდენიმე სასიკეთო ენობრივი ღონისძიების განხორციელება, კერძოდ, შეიქმნა რეალური შესაძლებლობა აფხაზური და ქართული ენების ფუნქციონირების სფეროთა გაფართოებისა.

ამ მხრივ მეტად ნაყოფიერი იყო 1919 წლის 13 თებერვლის შემდგომი პერიოდი, როცა რეგიონის ისტორიაში პირველად ჩატარებული დემოკრატიული და თანასწორი არჩევნების შედეგად არჩეულ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭო (პარლამენტი), რომელმაც დაუყოვნებლივ დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოს დამფუძნებელ კრებასთან (პარლამენტთან) ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობათა საკითხებზე. მოლაპარაკების ერთერთი მნიშვნელოვანი თემა ენობრივი პოლიტიკაც იყო.

ამის პარალელურად რეგიონში განხორციელდა რამდენიმე სერიოზული სოციოლინგვისტური ღონისძიება:

– საგრძნობლად გაიზარდა იმ სკოლების რაოდენობა, რომლებშიც სწავლება მიმდინარეობდა აფხაზურ ენაზე;

– სოხუმის პედაგოგიურ სემინარიაში მოქმედებდა აფხაზური და ქართული სექტორები. იქვე დ. გულიამ დააარსა აფხაზური ლიტერატურის წრე "ეწვაჯაა" ("ხომლი"), რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ მომავალი აფხაზი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები;

– მუშაობას განაგრძობდნენ და ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ, ერთი მხრივ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილება და, მეორე მხრივ, აფხაზთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის გამგეობაშიც რამდენიმე ქართველი მოღვაწეც შედიოდა;

– რეგიონის ქალაქებსა და მსხვილ სოფლებში გახშირდა სცენისმოყვარეთა მიერ სპექტაკლების დადგმა აფხაზურ ენაზე;

– დ. გულიას თაოსნობით დაარსდა პირველი აფხაზურენოვანი გაზეთი "აფსნი" ("აფხაზეთი"), რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 27 თებერვალს;

– გაიზარდა იმ ქრისტიანული ეკლესიების რაოდენობა, რომლებშიც ღვთისმსახურება აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა;

– იმავე 1919 წელს შეიქმნა აფხაზეთის კონსტიტუციის 3 პროექტი, რომლებიც ითვალისწინებდა აფხაზეთში გავრცელებულ ენათა იურიდიული სტატუსის განსაზღვრას და ა.შ.

1921 წლის 4 მარტს აფხაზეთშიც დამყარდა საბჭოთა რეჟიმი, რომელმაც მცირე კორექტივებით განაგრძო ცარიზმის პროვოკაციული ენობრივი პოლიტიკა. კერძოდ, მთელ საბჭოთა კავშირში წამყვანი მეთოდები იყო:

1. ეთნოსთა დანაწევრება ყალბი ენობრივი და ეთნიკური ნიშნების მიხედვით;

2. რეგიონთა თვითნებური ავტონომიზაცია და ეთნოსთა შორის კონფლიქტის მაპროვოცირებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა;

3. ენათა სამართლებრივი სტატუსის პრობლემის გააქტიუ-

რება პოლიეთნიკურ რეგიონებში;

4. სამრევლო სკოლების მოდიფიცირების გზით რუსულენოვანი ე.წ. ეროვნული სკოლების შექმნა, რომლებშიც დედაენაზე სწავლება მხოლოდ დაწყებით კლასებში ხდება, მეორე საფეხურიდან კი სწავლების ენად რუსული გამოდის;

5. დამწერლობიან ენათა გრაფიკული საფუძვლების ცვლა (ჯერ მათი ლათინიზაცია, შემდგომ კი რუსიფიკაცია);

6. რუსული ენის იძულებითი თავსმოხვევა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობისათვის და ეროვნულ-რუსული ბილინგვიზმის საფეხურის გავლით რუსული მონოლინგვიზმის მასობრივად გავრცელების მცდელობა;

7. არარუსულ ენებში რუსიზმების, სოვეტიზმებისა და ინტერნაციონალიზმების წილის ხელოვნურად ზრდის დაგეგმვა-განხორციელება;

8. "ტოპონიმიკურ-ონომასტიკური და ისტორიოგრაფიული ომების" პროვოცირება მეზობელ ეთნოსთა შორის;

9. ეთნიკური რუსებისა და ე.წ. რუსულენოვანი მოსახლეობის ჩასახლება სხვა ეთნოსის/ეთნოსთა მიწაზე და რეგიონთა პოლიეთნიკურობის ხელის შეწყობა;

10. მასმედიაში რუსული ენის პრიორიტეტულობის მიღწევა;

11. ეროვნულ ენებზე შექმნილი ლიტერატურის ტირაჟის შეზღუდვა;

12. მთელი ეთნოსების ოფიციალურად გამოცხადება "დამნაშავე ხალხებად" და მათი დეპორტირება მშობლიური ადგილებიდან და მრავალი სხვა.

ყველა ეს მეთოდი გამოიყენებოდა აფხაზეთშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეგიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აფხაზი და ქართველი მოსახლეობის **მონაცვლეობითი "პრივილეგირების" ტაქტიკასაც**, რაც გამსჭვალავდა ყველა ზემოთ დასახელებულ ხერხს. ეს ტაქტიკა საშუალებას აძლევდა მეტროპოლიას, მუდმივად შეენარჩუნებინა დაძაბულობა ამ ორ ეთნოსს შორის და გამოერიცხა მათი გაერთიანება იმპერიული პოლიტიკისაგან თავის დასაცავად.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე 4 დღით ადრე, 1921 წლის 21 თებერვალს ქვეყნის კანონიერმა ხელი-

სუფლებამ მოასწრო დაემტკიცებინა კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც სოხუმის ოლქს (ამჟამინდელ აფხაზეთს) მიენიჭა ავტონომიის სტატუსი, ამით საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას აღარ დარჩა საფუძველი, ბრალი დაედო კანონიერი ხელისუფლებისათვის აფხაზი ხალხის უფლების შელახვაში, მაგრამ კომუნისტებმა მაინც სცადეს, "ეჯობნათ" ევროპაში ემიგრირებული ხელისუფლებისათვის და სრულიად უსაფუძვლოდ შექმნეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც რეალურად ავტონომიური რესპუბლიკის უფლებები ჰქონდა 1931 წლამდე. აფხაზეთის სსრ-ს შექმნით წააქეზეს აფხაზი სეპარატისტები და გაანაწყენეს ქართველი მოსახლეობა, ვინაიდან ამის შემდგომ ერთი ნაბიჯი რჩებოდა რეგიონის საქართველოსაგან მთლიანად ჩამოცილებამდე (არსებობდა ასეთი გეგმაც: გენერალი სიტინი ურჩევდა კრემლს, შეეერთებინა აფხაზეთი ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე მთიელთა რესპუბლიკისათვის, რომელიც რსფსრ-ს ავტონომია იყო[481]).

1931 წელს აფხაზეთის სსრ-ს მოსკოვმა დაუქვეითა სტატუსი და ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად გადააქცია, რითაც ამჯერად უკვე აფხაზები განაწყენდნენ და ზოგ სეპარატისტს დღემდე ჰგონია, თითქოს ამაში დამაშავენი ქართველები არიან.

XX საუკუნის 20-იან წლებში მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო მასობრივი კამპანია ახალდამწერლობიან ენათა ლათინურ გრაფიკაზე გადასაყვანად. მისი მიზანი იყო ტაქტიკური მანევრის შესრულება საიმისოდ, რომ დაერწმუნებინათ არარუსი ხალხები, გარუსებას არ გიპირებთო. ანბანთა მასობრივი ლათინიზაცია გაგრძელდა 1936 წლამდე, რის შემდგომაც უკვე ლათინიზებული ენები მასობრივად გადაიყვანეს რუსულ გრაფიკაზე (კირილიცაზე).

ლათინიზაციის პროცესი შეეხო აფხაზურ ენასაც: იგი 1926 წელს გადაიყვანეს ნ. მარის მიერ შედგენილ "ანალიზურ ანბანზე", 1928 წელს – ნ. იაკოვლევის ლათინიზებულ ანბანზე, ხოლო 1938 წელს, როცა მასობრივად მიმდინარეობდა ახალდამწერლობიან ენათა გადაყვანა კირილიცაზე, აფხაზური ენა

[481] Дж. Гамахария, Б. Гогия. დასახ. ნაშრ., გვ. 470-472.

საქართველოში გავრცელებულ ოსურ ენასთან ერთად რუსული გრაფიკის ნაცვლად ქართულ გრაფიკაზე გადაიყვანეს. ეს ღონისძიება მოსკოვში, ახალი ანბანის ცენტრალურ კომიტეტში (Всесоюзный Центральный Комитет нового альфавита) დაიგეგმა და მისივე მეთვალყურეობით განხორციელდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

აფხაზური ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანას წინ უძღოდა 30-იანი წლების შუა ხანებში მიღებული ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ავტონომიების "სატიტულო ერთა" და ავტონომიის არმქონე ეთნოსთა ენები ლათინიზებული დამწერლობიდან უნდა გადაყვანილიყო იმავე გრაფიკაზე, რომელიც საფუძვლად ედო შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის "სატიტულო ერის" ენას. გამომდინარე იქიდან, რომ მთელ სსრკ-ში რუსულისაგან განსხვავებული გრაფიკა ჰქონდათ მხოლოდ ქართულ და სომხურ ენებს, ანბანთა რუსიფიკაციის დროს ქართულ გრაფიკაზე გადაიყვანეს აფხაზური ენა და ოსური ენის სამხრეთული ვარიანტი, სომხეთში კი სომხურ გრაფიკაზე გადაყვანილ იქნა ქურთული ენა (აფხაზური სამწიგნობრო ენის გრაფიკის ცვლის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ). მთავარი აქ ისაა, რომ **იმპერიამ მოხერხებულად მიაღწია ამ საკითხთან დაკავშირებით აფხაზთა უკმაყოფილების წარმართვას ქართველთა მისამართით.**

აფხაზი სეპარატისტები ბრალს სდებენ ქართველებს 1945 წელს აფხაზური სკოლების დახურვასა და აფხაზური ენის სწავლების აკრძალვაში. რეალურად აფხაზური სკოლების დახურვა უბრალოდ შეუძლებელი იყო, ვინაიდან **ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა აფხაზური სკოლა, სამწუხაროდ, არასოდეს არსებულა არც აფხაზეთის სამთავროს არსებობის დროს, არც ცარიზმის ხანაში, არც საბჭოთა პერიოდში და, რაც ყველაზე გაუგებარია, არ არსებობს არც ამჟამად – ე.წ. დამოუკიდებელ აფხაზეთში.** ის სკოლა, რომელიც მოქმედებდა 1945 წლამდე და მოქმედებს 1954 წლიდან დღემდე, **რეალურად რუსულენოვანი სკოლაა აფხაზური ენის სწავლების ელემენტებითურთ:** მის პირველ საფეხურზე (I-IV კლასებში) დისციპლინათა უმრავლე-

სობა ისწავლება აფხაზურ ენაზე რუსული ენის გაძლიერებული სწავლების თანხლებით, მეორე და მესამე საფეხურებზე კი (V კლასიდან) ყველა ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დისციპლინა ისწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე, გამონაკლისს ქმნის 2 დისციპლინა: აფხაზური ენა და აფხაზური ლიტერატურა, რომლებიც აფხაზურ ენაზევე ისწავლება.

1945 წელს ე.წ. აფხაზურ სკოლებში არ გაუქმებულა აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება, **ქართულმა ენამ მხოლოდ რუსული ენის ადგილი დაიკავა**, რაც სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს 1938 წლის გადაწყვეტილების 7 წლის დაგვიანებით შესრულების შედეგი იყო. დადგენილებაში კი ეწერა: "...აუცილებელია, განსაკუთრებული ეროვნული სკოლების რეორგანიზაცია მოხდეს ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებზე მათი გადაყვანის გზით, **შესაბამისი რესპუბლიკის ენაზე** ან რუსულ ენაზე **სწავლების შემოღებით**"[482].

ამ აქტით იმპერიამ თავის მიზანს ამჯერადაც მიაღწია: ბევრს პგონია, თითქოს ისეთი ფაქტი, როგორიცაა აფხაზური სკოლის გაუქმება, მართლაც მომხდარიყოს.

აქ დაისმის მთავარი კითხვა: **რა შედეგები მოუტანა აფხაზ ხალხს თითქმის ორი საუკუნის მანძილზე მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულმა ენობრივმა პოლიტიკამ?**

დავიწყოთ **დადებითი** მხარით:

ა) უდავოდ მნიშვნელოვანი იყო აფხაზური ენისათვის დამწერლობის შექმნა, მიუხედავად ამ აქტის პოლიტიკური მიზნებისა;

ბ) მისასალმებელი იყო 1912 წელს აფხაზურ ენაზე დაწერილი პირველი ორიგინალური თხზულებების გამოცემა და ამით აფხაზური მწერლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, თუმცა რუსეთის ხელისუფლებას ამ აქციაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია;

---

[482] ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე. თბ., 2007, გვ. 327.

გ) უეჭველად კარგი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აფხაზი მოსახლეობისათვის სასკოლო განათლების მასობრივად მიღების შესაძლებლობის შექმნა, სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემა და მოგვიანებით სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტის აფხაზური სექტორის გახსნა;

დ) დადებითად უნდა შეფასდეს აფხაზურ ენაზე ჟურნალ-გაზეთებისა და სხვადასხვა შინაარსის ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურის გამოცემა სახელმწიფოს ხარჯზე, აფხაზური თეატრის დაარსება და რადიოსა და ტელევიზიის აფხაზური რედაქციების შექმნა და ა.შ.

გაცილებით **მეტი და მძიმეა** ის უარყოფითი შედეგები, რაც აფხაზ ხალხს მოუტანა თითქმის 200-წლიანმა იმპერიულმა ენობრივმა პოლიტიკამ. აქ მხოლოდ ყველაზე არსებით საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას:

ა) აფხაზური ენა, კულტურა და იდენტობა აღმოჩნდა რუსული ენის, კულტურისა და იდენტობის გულდასმით დაგეგმილი აგრესიის სამიზნე, რაც, თუ კელავაც ასე გაგრძელდა, თვით **აფხაზი ხალხის არსებობას აყენებს უეჭველი გაქრობის საფრთხის ქვეშ**;

ბ) ე.წ. აფხაზურმა სკოლამ, რომელიც რეალურად რუსულია და რუსიფიკაციის მძლავრ იარაღსაც წარმოადგენს, **შეაჩვია მრავალი თაობა რუსულ მსოფლხატთა სისტემას და მოსწყვიტა ისინი ეროვნულ ფესვებს**. ამჟამინდელ აფხაზთა უმრავლესობა არ კითხულობს დედაენაზე არც ჟურნალ-გაზეთებს და არც მხატვრულ ლიტერატურას, არ უსმენს და არ უყურებს აფხაზურენოვან რადიო- და ტელეგადაცემებს, დასცინის საკუთარი დედაენის სპეციფიკურ თავისებურებებს, არ შეუძლია აფხაზურ ენაზე ისაუბროს ბუნებისმეტყველების, ტექნიკური და სხვა საკითხების შესახებ. ისინი ამჯობინებენ რუსულ ენაზე წერას, კითხვას, მსჯელობას თვით ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო საკითხთა შესახებაც კი. **ამ ტიპის სკოლა ცარიზმის დროინდელი სამრევლო სკოლების მოდიფიცირებული ვარიანტია და მიზნად ისახავს არარუსულ ეთნოსთა გარუსების გაიოლებას** (ასეთი ე.წ. ეროვნული, რეალურად კი

რუსული სკოლები დღემდე არსებობს ცხინვალის რეგიონში, რუსეთის ფედერაციის არარუსულ რეგიონებსა და თვით შუა აზიის ქვეყნებშიც კი).

გ) მართალია, აფხაზურ ენას 1926 წლიდან ოფიციალურად აქვს მინიჭებული სახელმწიფო ენის სტატუსი, მაგრამ არც მას და არც ქართულ ენას XIX-XX საუკუნეებში რეალურად **არასოდეს შეუსრულებიათ ამ სტატუსიდან გამომდინარე ფუნქციები.** აფხაზური ენა დღემდე რჩება არაპრესტიჟულ ენად და იგი მხოლოდ მონოეთნიკურ სოციუმში გამოიყენება ძალზე შეზღუდულად.

ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ამ ენას თითქმის აღარ სწავლობს და აღარ იყენებს აფხაზი ახალგაზრდობა. თვით სოფლებშიც კი, სადაც წესით ყველაზე უკეთ უნდა იყოს დაცული ენის ეკოლოგია და ბუნებრივი იერსახე, ახალგაზრდობა სათანადოდ ვეღარ ფლობს დედაენას და ლაპარაკობს რუსულ-აფხაზურ კონგლომერატზე.

დ) ის კვაზისახელმწიფო, რომლის მოწვენებითი დამოუკიდებლობა პროოკაციულად აღიარა პუტინ-მედვედევის რუსეთმა, **პრაქტიკულად არანაირად არ ზრუნავს აფხაზური ენის ფუნქციონირების არის გასაფართოებლად** და აფხაზი მოსახლეობის თვალში მისი პრესტიჟის ასამაღლებლად, ე.წ. აფხაზური ფსევდოხელისუფლება ვერ ბედავს და ვერც მომავალში გაბედავს ამ საკითხების გადაწყვეტაზე სერიოზულ მუშაობას, ვინაიდან მას ამის **ნებას არ დართავს მოსკოვი** – ამით ხომ კრემლს წყალში ჩაეყრება ორი საუკუნის მანძილზე რეგიონში გატარებული ენობრივი პოლიტიკის შედეგები, თანაც საკუთარი ენების უფლებათა დაცვასაც მოსთხოვენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები!

§ 2. აფხაზური ენა და ქართული გრაფიკა

ანტიქართულ-პროიმპერიულ სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის "შევიწროებისა და ასიმილაციის" დამადასტურებელ მაგალი-

თად ასახელებენ 1938 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენის გადაყვანას ლათინური გრაფიკიდან ქართულ გრაფიკაზე. მაგალითად, 2006 წელს გამოცემულ აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს იმ პარაგრაფში, რომელსაც "Культ личности" ("პიროვნების კულტი") ჰქვია და ეძღვნება ი. სტალინის პერიოდს, ავტორები წერენ:

"Грубые искривления имели место в области развития абхазской культуры. По решению партийной конференции Абхазии в мае 1937 был признан целесообразным перевод абхазского алфавита с латинского на грузинскую основу. К этому делу были привлечены видные грузинские ученые, а также известные деятели абхазской культуры. Алфавит, созданный комиссией, был утвержден ЦИК Абхазии в 1938 г., в том же году издан учебник «Грузинский язык для абхазских школ (первый год обучения)"[483] – "უხეში დარღვევები ხდებოდა აფხაზური კულტურის განვითარების დარგში. 1937 [წლის] მაისში აფხაზეთის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აფხაზური დამწერლობის გადაყვანა ლათინურიდან ქართულ საფუძველზე. ამ საქმეში ჩართულნი აღმოჩნდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, აგრეთვე აფხაზური კულტურის ცნობილი მოღვაწენი. კომისიის მიერ შექმნილი დამწერლობა დამტკიცდა 1938 წელს აფხაზეთის ცაკის[484] მიერ, იმავე წელს გამოიცა სახელმძღვანელო "ქართული ენა აფხაზური სკოლებისათვის (სწავლების პირველი წელი)"[485].

---

[483] О.Х. Бгажба, С.З. Лакоба. История Абхазии. С древнейших времен до наших дней. 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Утвержден Министерством образования Республики Абхазия. Сухум[и], 2006, გვ. 355.

[484] ცაკი – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. საბჭოთა მმართველობითი სისტემის ნაწილი. ასეთი კომიტეტები არსებობდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და ავტონომიურ რესპუბლიკაში.

[485] რეალურად არა 1938 წელს, არამედ 1937 წელს გამოქვეყნდა სასკოლო სახელმძღვანელო "ქართული ენა. აბხაზური სკოლებისათვის. სწავლების პირველი წელი", რომლის ავტორები იყვნენ შემდგომში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჩეჩნურ-ინგუშურ ენათა მკვლევარი **თინათინ გონიაშვილი** და **კლარა თევზაძე**. თ. გონიაშვი-

როგორც ვხედავთ, ციტირებულ წიგნში აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის 1937-1938 წლებში ლათინიზებული გრაფიკის ნაცვლად ქართულის შერჩევა და ამ საქმეში გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა ისეთ კონტექსტში იხსენიება (დავაკვირდეთ: პარაგრაფს **"პიროვნების კულტი"** ეწოდება!), რომ საქმის რეალურ ისტორიაში ჩაუხედავ მოსწავლეებს უნდა აფიქრებინოს, ქართული გრაფიკა აფხაზურ სამწიგნობრო ენას ქართველებმა ძალდატანებით მოახვიეს თავს და ეს აფხაზური კულტურის განვითარების შემაფერხებელი ღონისძიება იყოო (აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წიგნის ავტორები – ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა ნებსით თუ უნებლიეთ აფხაზური კულტურის მოღვაწეებსაც აყენებენ ჩრდილს ამ საქმე'ში ქართველებთან ერთად მონაწილეობის გამო). ამავე ნაწყვეტში ასევე დანაშაულად გამოჩანს აფხაზური სკოლებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენა და გამოცემა.

ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხები:

– რა და როგორ მოხდა 1937-1938 წლებში?

– ვისი ინიციატივით და რა გარემოებებში გადაიყვანეს აფხაზური სამწიგნობრო ენა ქართულ გრაფიკაზე?

– რა იყო ამ აქციის რეალური მიზანი?

– დაუშავდა თუ არა რაიმე ამ ცვლილების მიზეზით აფხაზურ ენას?

– იყო თუ არა ეს აქტი ქართული შოვინიზმის გამოვლინება?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია საკითხის ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალის გათვალისწინების

ლი იმ დროს მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის კავკასიური ენების განყოფილებაში. იგი 1942 წელს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობის გამო. ხანგრძლივი პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში. მისი თანაავტორის კ. თევზაძის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. დასახელებულ წიგნს ერთვის ქ. სოხუმში მოღვაწე ქართველი ენათმეცნიერი აფხაზოლოგის **ბაგრატ ჯანაშიას** (1901-1978 წწ.) მიერ შედგენილი მოკლე ქართულ-აფხაზური ლექსიკონი.

გარეშე. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მაშინდელ საბჭოთა კავშირში (განსაკუთრებით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიებში) მიმდინარე ენობრივი პოლიტიკის საერთო ტენდენციების გათვალისწინებას, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, **გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროისა და ადგილის სულის შესწავლას.**

წინამდებარე პარაგრაფის ერთი ნაწილი დაწერილია 2000 წელს, როცა აკად. სიმონ ჯანაშიას ქალიშვილმა, რუსუდან ჯანაშიამ გადმოგვცა მეცნიერის პირად არქივში დაცული დოკუმენტების ასლები. ეს დოკუმენტებია 1937 წლის 4-5 დეკემბერს ქ. სოხუმში, ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის ინსტიტუტში აფხაზური ენისათვის ახალი გრაფიკის შერჩევის საკითხზე გამართული საგანგებო თათბირის ოქმები. იმ დროს ჩვენთვის ზოგი საკითხი ბოლომდე ნათელი არ იყო, რის გამოც სტატიაში, რომელიც ამ პრობლემას ეხებოდა, ჩვენ ფრთხილ ვარაუდს გამოვთქვამდით[486]. საბედნიეროდ, ახლახან გაიხსნა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული უნიკალური დოკუმენტები, რომელთა შორისაც აღმოჩნდა აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიის ამსახველი რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი საბუთი. ჩვენ გავეცანით და გამოვიყენეთ ისინი.

საკითხის განხილვა უნდა დავიწყოთ ზოგიერთი ზოგადი, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობით:

ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის წარმოდგენილი იყო 130-მდე სხვადასხვა წარმოშობის ენა. მათ უმრავლესობაზე ჯერ კიდევ არ არსებობდა დამწერლობა, დანარჩენები კი სხვადასხვა გრაფიკას (მოხაზულობას) ემყარებოდა:

– რუსული, უკრაინული და ბელორუსული ენები, აგრეთვე ვოლგისპირეთის, კავკასიის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ნაწილის ენები ემყარებოდა **კირილიცა**-ს

---

[486] იხ.: თ. გვანცელაძე. აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. – ჟურნ. "ბედია", № 6-7, გვ. 83-92; ელექტრონული ვერსიები იხ.: www. ertoba.net/echo1; საიტი "სინათლე": Light.bpg.sytes.net/sinatle.

სახელით ცნობილ რუსულ გრაფიკას;

– იდიში იყენებდა ლათინურ გრაფიკას;

– ყალმუხური და რამდენიმე სხვა მცირერიცხოვანი ხალხის ენა – ძველუიღურულ-მონღოლურ გრაფიკას;

– შუა აზიის, კავკასიისა და ვოლგისპირეთის მაჰმადიან ხალხთა ნაწილის ენები (16 ენა) – არაბულ გრაფიკას (ალჯამ-ს);

– ებრაული, ბერძნული, ქართული და სომხური ენები იყენებდნენ საკუთარ ორიგინალურ სადამწერლობო სისტემებს.

დამწერლობათა ეს მრავალფეროვნება ხელს უშლიდა კომუნისტებს თავიანთი შორს მიმაჟალი სტრატეგიული გეგმის განხორციელებაში, რაც გულისხმობდა სახელმწიფოში მცხოვრები უკლებლივ ყველა ხალხის შერწყმას რუსებთან, მათი ენების მოსპობასა და რუსული ენის გაბატონებას ჯერ საბჭოთა კავშირში, მერე კი მთელ მსოფლიოში – ლენინისა და მისი თანამოაზრეების ბოდვითი იდეა იყო, შეექმნათ "მსოფლიოს შეერთებული შტატები" ("Соединенные штаты мира"), რომლის მოსახლეობასაც უნდა ელაპარაკა ერთ, ან ორ ენაზე. სლავური კირილიცასაგან განსხვავებული გრაფიკის მქონე დამწერლობები დაბრკოლებას უქმნიდნენ რუსიფიკაციის დაგეგმილ პროცესს.

არსებითი იყო რელიგიასთან ზოგი დამწერლობის კავშირის გაწყვეტაც (როგორც ცნობილია, კომუნისტები დაუნდობლად ებრძოდნენ ყველა სარწმუნოებას). მაგალითად, ყალმუხები და მათი მონათესავე ზოგი ხალხი აღიარებდნენ ლამაისტურ რელიგიას, რომლის წმინდა წიგნებიც დაწერილი იყო კირილიცასაგან ძალზე განსხვავებული ძველუიღურულ-მონღოლური გრაფიკით; მაჰმადიანი ხალხების (უზბეკების, ყაზახების, თურქმენების, ყირგიზების, ტაჯიკების, აზერბაიჯანელების, ვოლგისპირელი თათრების, დაღესტნის ზოგი ხალხის...) სამწიგნობრო ენები ეფუძნებოდა არაბულ გრაფიკას (ალჯამ-ს), რომელიც ამ ხალხებს უადვილებდა "ყურანის" გამოყენებას და აშორებდა კირილიცასაგან.

რა თქმა უნდა, გარუსებისაკენ მიმაყალი უმოკლესი და ყველაზე მარტივი გზა იქნებოდა ცარიზმის ენობრივი პოლიტიკის გაგრძელება და არარუსი ხალხებისათვის კირილიცას ძალდატანებით თავს მოხვევა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გა-

რიურაუზე, როცა ახალი დასრულებული იყო სამოქალაქო ომი, თავისუფლებააღდგენილი ქვეყნების ხელახალი დაპყრობა და ხორციელდებოდა პირველი რეპრესიები, ამგვარ ძალადობას შეიძლებოდა დაპყრობილ ხალხთა ენობრივი, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური გრძნობების უფრო მეტად გამძაფრება გამოეწვია, რაც დიდ პრობლემებს წარმოშობდა. ჩვენი აზრით, სწორედ დაპყრობილ ხალხთა აჯანყების შიშმა, დამწერლობიანი ენების გრაფიკის დიდმა სხვაობამ კირილიცასაგან და მათმა კავშირმა რელიგიასთან განაპირობა ის, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მთელ კომუნისტურ იმპერიაში დაიწყო ანბანთა ლათინიზაციის მასობრივი პროცესი, რაც აშკარად **ტაქტიკური მანევრი** იყო:

1. ამ გზით ისპობოდა საფუძველი რუსი ბოლშევიკებისათვის სხვა ხალხთა რუსიფიკაციაში ბრალის დასადებად – **ენები გადაჰყავდათ არა რუსულ გრაფიკულ საფუძველზე, არამედ ლათინურზე.** ამ საკითხს 1978 წელს ასე აშუქებდა ოსი ენათმეცნიერი **მიხეილ ისაევი**:

"დაისმის საკითხი: რატომ არ განხორციელდა პირდაპირ რუსულ გრაფიკაზე გადაყვანა, ხომ არ ყოფილა შეცდომა ლათინური ანბანის შემოღება? ამ კითხვაზე საპასუხოდ აუცილებელია წარმოვიდგინოთ პრობლემის მთელი სირთულე და ამ გადასვლის შემამზადებელი კონკრეტული ისტორიული პირობები.

საჭირო გახდა გარკვეული დრო საიმისოდ, რათა საბჭოთაა ხალხებს შეეგნოთ და ეგრძნოთ რუსული გრაფიკის მათთვის სრულიად ახალი შინაარსი და მნიშვნელობა. გარდა ამისა, **საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ამ გრაფიკაზე გადაყვანა შეიძლებოდა განმარტებულიყო როგორც ცარიზმის ძველი, რუსიფიკატორული პოლიტიკის რეციდივი.**

აი, რატომ დაუჭირა მხარი კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ადგილებზე გამოსვენილ ინიციატივას ძველი დაუხვეწავი დამწერლობების ლათინიზაციისა და ლათინურის ბაზაზე ახალი ანბანების შექმნის შესახებ"[487].

---

[487] М.И. Исаев. О языках народов СССР. М., 1978, გვ. 12-13 (თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია – თ. გ.).

2. ანბანთა ლათინიზაციას წინ უსწრებდა თვით რუსული დამწერლობის რეფორმა: 1917 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით, ე.ი. რუსეთში კომუნისტური რეჟიმის დამყარებიდან სულ რაღაც თვენახევარში, რუსული სამწიგნობრო ენა გამარტივდა, ხმარებიდან ამოღებულ იქნა რამდენიმე ზედმეტი ასო, მოწესრიგდა ორთოგრაფია... ამით თითქოს სხვა ხალხებს ეუბნებოდნენ, ხელუხლებელი თვით რუსულიც ენაც კი არ არისო. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ რუსული ენის გადაყვანაც კი სურვებიათ ლათინურ გრაფიკაზე: როგორც საბჭოთა რუსეთის კულტურის სახალხო კომისარი (= მინისტრი) **ანატოლი ლუნაჩარსკი**[488] იგონებდა, მას ეს საკითხი დაუსვამს პირადად ბელად **ვლადიმერ ლენინის** წინაშე, მას კი უპასუხია, ბარბაროსობაში დაგვდებენ ბრალს და **ამ ნაბიჯს რუსი ხალხი არ** გვაპატიებსო[489];

3. **საკითხი ლათინიზაციის დაწყების შესახებ დაასმევინეს არა რუსებს, არამედ აზერბაიჯანელ კომუნისტებს**[490]: 1922 წელს აზერბაიჯანული ენის არაბული გრაფიკიდან ლათინიზებულ დამწერლობაზე გადასაყვანად ქ. ბაქოში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი

---

[488] **ანატოლი ლუნაჩარსკი** (1875-1933 წწ., ნამდვილი გვარი – **ანტონოვი**) – რუსი კომუნისტი ლიდერი, მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1917-1929 წლებში იყო განათლების სახალხო კომისარი.

[489] А.В. Луначарский. Латинизация русской письменности. – "Культура и письменность Востока", Выпуск 6. Баку, 1930, გვ. 22.

[490] საკითხი აზერბაიჯანული სამწიგნობრო ენის არაბული გრაფიკიდან (აჯამიდან) ლათინურ გრაფიკაზე გადაყვანის შესახებ აზერბაიჯანში პირველად ჯერ კიდევ ქვეყნის გასაბჭოებამდე, 1918 წელს დაისვა, როცა პარლამენტს წარედგინა 3 პროექტი, მაგრამ ამ გეგმას მხარი არ დაუჭირეს ისლამისტებმა, რომლებმაც არაბული გრაფიკის გაუქმება ანტიისლამურ აქციად მიიჩნიეს. ცხარე დისკუსია საბჭოთა რეჟიმის შემდგომაც გაგრძელდა, სანამ საქმეში მოსკოვი არ ჩაერია (М.И. Исаев. Языковое строительство в СССР (Процессы создания письменностей народов СССР). М., 1979, გვ. 51-52).

კომუნისტი ლიდერი ნარიმან ნარიმანოვი[491]. ამ აქციის ინიციატორები ავითარებდნენ XX საუკუნის დასაწყისის სპარსელი და თურქი მოღვაწეების ერთი ნაწილის (მირზა მალკომხანის, ალი მუჰამედჯან უვეისის, საიდ ნაფისის, ქემალ ათათურქის..) იდეას არაბული გრაფიკის რეფორმის აუცილებლობის, ან მის ნაცვლად ლათინური ანბანის დანერგვის შესახებ[492];

4. ლათინიზაციის დროს ისეთი ენებიც კი გადაიყვანეს ლათინურ გრაფიკაზე, რომლებსაც ჯერ კიდევ ცარიზმის დროიდან ჰქონდათ რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული დამწერლობა (უდმურტული, იაკუტური, კომი, ყალმუხური, ჩეჩნური, ინგუშური, ყაბარდოული, ადიღეური, ხუნძური, ლაკური, ოსური, აფხაზური...). **ესეც ტაქტიკური ნაბიჯი იყო იმის საჩვენებლად, თითქოსდა რუსი კომუნისტები უანგაროდ ზრუნავდნენ სხვა ხალხთა კულტურულ წინსვლაზე.**

სამწიგნობრო ენათა ლათინიზაციის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სხვადასხვა რეგიონში იმართებოდა თათბირები და კონფერენციები, რომლებზეც ხალხის სახელით, ოღონდ ხალხის დაუკითხავად იღებდნენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. მაგალითად, 1925 წელს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა განათლების საკითხებისადმი მიძღვნილ მეორე კონფერენციაზე გადაწყდა ინგუშური, ჩეჩნური, ადიღეური, ყაბარდოული და ყარაჩაული ენების გადაყვანა ლათინურ დამწერლობაზე, ხოლო 1926 წლის 1 მარტს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის[493] ცაკის

---

[491] **ნარიმან ნარიმანოვი** (სრული სახელი და გვარია **ნარიმან ქერბალაი ნარიმანოვი**, 1870-1925 წწ.) – აზერბაიჯანელი პარტიული ფუნქციონერი, მწერალი, ექიმი-თერაპევტი. ბაქოს საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელი (1894 წ.), აზერბაიჯანული ენის სახელმძღვანელოთა ავტორი. იყო აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი (1920-1921 წწ.), აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე (1920-1922 წწ.), სსრკ ცაკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1922-1925 წწ.). არსებობს ვერსია, რომ იგი მოწამლეს.

[492] იხ.: М.И. Исаев. О языках народов СССР. М., 1978, გვ. 12-13.

[493] ამ რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ახალი ლათინიზებული ანბანის საყალდებულოდ შემოღების შესახებ[494]. როგორც ჩანს, ამ დადგენილებაში იგულისხმებოდა აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური ენების ლათინიზაცია. ამ ვარაუდს უნდა ამყარებდეს ის ფაქტი, რომ ერთი წლის შემდეგ, 1926 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენა გადაყვანილ იქნა აკად. **ნ. მარის** მიერ ლათინური გრაფიკის საფუძველზე შედგენილ ლათინიზებულ ანბანზე (ნ. მარი ამ ანბანს "ანალიზურს" უწოდებდა). ნ. მარის დამწერლობა რთული იყო და 74 ასო-ნიშანს შეიცავდა, რაც აძნელებდა მის შესწავლასა და გამოყენებას, თანაც ხშირი იყო ასოთა დიდი მსგავსების შემთხვევები (ანბანი იხ. აქვე ჩანართში). ამიტომ 1928 წელს წამოიჭრა მისი შეცვლის საკითხი. ახალი თურქული ანბანის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა აფხაზური სამწიგნობრო ენის ლათინიზებული გრაფიკის გამარტივების საქმის კურირება დაავალა პროფ. **ე. პოლივანოვს**[495]. ახალ პროექტზე მასთან ერთად მუშაობას შეუდგნენ აფხაზი მწერლები **სამსონ ჭანბა**[496] და **მუშნი ჰაშბა**[497],

---

[494] М.И. Исаев. О языках народов СССР. М., 1978 , გვ. 13.

[495] **ევგენი პოლივანოვი** (1891-1938 წწ.) – რუსი ენათმეცნიერი და საბჭოთა მოღვაწე. იკვლევდა იაპონურ და სხვა აღმოსავლურ ენებს. ეწინააღმდეგებოდა ნ. მარის "ახალ მოძღვრებას ენის შესახებ". იყო დიპლომატი. ასრულებდა საბჭოთა ხელისუფლების კონსპირაციულ დაკალებებს. რეპრესირებულ იქნა იაპონიის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით.

[496] **სამსონ ჭანბა** (1886-1938 წწ.) – აფხაზი პარტიული და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი, აფხაზური დრამატურგიის ფუძემდებელი. 1918-1920 წლებში იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს (პარლამენტის) წევრი და გამოხატავდა კომუნისტურ-პრორუსულ პოზიციას. 1921-1925 წლებში იყო აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი, 1923-1930 წლებში – აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე, 1923-1928 წლებში პარალელურად მუშაობდა გაზეთ "აფსნი ყაფშ"-ის რედაქტორად, 1934-1937 წლებში იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

[497] **მუშნი ჰაშბა** (1904-1992 წწ.) – აფხაზი მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. 1932-1933 წლებში იყო აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, 1938-1950 წლებში – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სხვადასხვა დროს რედაქტორობდა გაზეთ "აფსნი ყაფშ"-ს, სალიტერატურო ჟურნალ "ალაშარა"-სა და

რომლებმაც პროფ. ნ. იაკოვლევის[498] მიერ შემუშავებული პრინციპების საფუძველზე შედგენილი თავიანთი პროექტი ჯერ გააცნეს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ანბანების უნიფიკაციის პრობლემებისადმი მიძღვნილ ყრილობას, შემდეგ კი ბაქოელ სპეციალისტებს. აფხაზური ენის ახალი ლათინიზებული დამწერლობა დამტკიცდა 1928 წელსვე და იმოქმედა 1938 წლამდე[499]. მასში ასო-ნიშანთა რაოდენობა ნაკლები იყო (49 ერთეული. ანბანი იხ. აქვე ჩანართში), ვიდრე ნ. მარის "ანალიზურ ანბანში", მაგრამ მისი შესწავლა ბავშვებს მაინც უჭირდათ, ვინაიდან რთული მოხაზულობა ჰქონდათ და ბევრი ნიშანი ერთმანეთს ძალიან ჰგავდა.

ნ. მარის "ანალიზური ანბანი":

1926-1928 /Alapp/

a	b	v	g	g̱	g̱	ğ	ğ	ğ̱	d	d̂	e	j	ɻ	ɾ	ɾ	ḍ	ḍ	ʒ	ṭ	z	z̨	d	d̆	d̆	d̂	i	y						
k	ĸ	k̨	q	q̨	q̱	ḳ	ĸ̇	ḳ	l	m	n	o	p	ɸ	r	s	s̱	t	ɔ	ɔ̀	t	u	w	f	q̇	q̇	q̇						
q̇	q̱	ɔ̀	ȧ	ȧ	ṫ	i	i̱	ɔ	ṭ	ħ	ħ̱	ш	ш	шг	шг	ẇ	ə															

საბავშვო ჟურნალ "ამცაბზ"-ს. ბავშვებისათვის აფხაზურ ენაზე პროზაულად თარგმნა შოთა რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსანი".

[498] **ნიკოლოზ იაკოვლევი** (1892-1974 წწ.) – რუსი ენათმეცნიერი კავკასიოლოგი. იკვლევდა ადიღეურ, ყაბარდოულ, ჩეჩნურ, ინგუშურ და ზოგ დაღესტნურ ენას. აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკის შემუშავებაში. ავტორია ლათინიზებული ანბანების შედგენის უნიფიცირებული ფორმულისა. ნ. მარის მოძღვრების ოფიციალურად დაგმობის შემდეგ (1950 წ.) დაითხოვეს სამსახურიდან, რის გამოც ფსიქიკა შეერყა.

[499] М.И. Исаев. Языковое строительство в СССР (Процессы создания письменностей народов СССР). М., 1979, გვ. 193.

Aa Bв Cc Çç Dd Ðđ Ee Ff Ɦɦ Gg
Ꞡꞡ Ꝋꝋ Hh Ħħ Ii Jj Kk Ҡҡ Ll Mm Nn
Oo Pp Ꝑꝑ Qq Ҩҩ Rr Ss Ꞩꞩ Ꞅꞅ Tt
Ꞇꞇ Ꝑꝑ Ꝑꝑ Uu Vv Xx Yy Zz Ƶƶ Ꝺꝺ
Ꝿꝿ Ьь Ꝛꝛ Ҕҕ Jj Ҷҷ Ҷҷ

წყარო: http://apsnyteka.narod2.ru/abhazskaya_entsiklopediya/a/index.html

ლათინიზაციის უფრო ორგანიზებულად წარმართვის მიზნით 1926 წლის თებერვალში ქ. ბაქოში, რომელიც კომუნისტებმა ლათინიზაციის მექად გადააქციეს, გაიმართა საკავშირო თურქოლოგიური ყრილობა. მართალია, ყრილობა ეძღვნებოდა ვოლგისპირეთის, კავკასიისა და შუა აზიის თურქული მოდგმის ენათა ახალ ლათინიზებულ დამწერლობაზე გადაყვანის საორგანიზაციო საკითხებს, მაგრამ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ არათურქ ხალხთა წარმომადგენლებიც: აფხაზები, ოსები, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები. ამ ყრილობაზე შეიქმნა **ახალი თურქული ანბანის ცენტრალური კომიტეტი (Центральный Комитет нового тюркского алфавита**, შემოკლებით: **ЦК НТА**), რომელსაც თავმჯდომარედ დაუნიშნეს აზერბაიჯანის ცაკის თავმჯდომარე სამედ აღამალი-ოღლი. კომიტეტს დაეკისრა ლათინიზაციის პროცესის ხელმძღვანელობა მთელი იმპერიის მასშტაბით[500]. 1929 წლის 7 აგვისტოს სსრკ ცაკის

[500] იქვე, გვ. 13. კომიტეტს საბჭოთა კავშირის ავტონომიებში ჰქონდა თავისი ქვემდებარე კომიტეტები. აფხაზეთის ახალი ანბანის კომიტეტის მდივანი 1935-1938 წლებში იყო **ზაქარია აგრბა** (1901-1938 წწ.). ეს ფაქტი ცნობილია აფხაზი მეცნიერებისთვისაც, რასაც ადასტურებს "აფხაზური ენციკლოპედიის" ელექტრონულ ვარსიაში წარმოდგენილი სტატია ზ. აგრბას შესახებ. იხ.: http:// apsnyteka. narod2. ru/ abhazskaya_entsiklopediya/a/index.html

პრე'ხიდიუმმა და სახალხო კომისართა საბჭომ[501] მიიღეს დადგენილება ახალი ლათინიზებული ანბანის შემოღების შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ 30-იანი წლების დასაწყისში ლათინურ გრაფიკაზე გადაიყვანეს სსრკ-ს ტერიტორიაზე წარმოდგენილი თურქული მოდგმის ყველა ენა, თუმცა ამ პროცესს ყველგან პროტესტით შეეგება მოსახლეობა, რასაც კომუნისტები კულაკებსა და ისლამისტ სასულიერო პირებს მიაწერდნენ[502].

ბუნებრივია, მეტროპოლია ბოლომდე ვერ ენდობოდა "პროვინციაში" გადაკარგულ ახალი თურქული ანბანის ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც შეეძლო უკონტროლოდ გადაეხვია მთავარი მაგისტრალიდან, მით უმეტეს, რომ მოსკოვს რეალურად ლათინიზებული ანბანები სჭირდებოდა არა არარუსულ ენათა განვითარებისათვის, არამედ დროის მოსაგებად მანამდე, სანამ დაიწყებოდა **კირილიზაცია** (არარუსული ენების კირილიცაზე გადაყვანა) და ინტენსიური რუსიფიკაცია. ამიტომ 1930 წლის 15 აგვისტოს სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა საგანგებოდ განიხილა ახალი თურქული ანბანის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის საკითხი. სხდომაზე აღინიშნა კომიტეტის დამსახურებანი და მიიღეს გადაწყვეტილება ბაქოდან მოსკოვში მისი გადატანის შესახებ. გარდა ამისა, კომიტეტს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა **სსრკ ცაკთან არსებული ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი (Всесоюзный центральный комитет нового алфавита при ЦИК СССР**, შემოკლებით: **ВЦК НА**). ამ კომიტეტში არსებობდა 4 სექტორი: კავკასიური, თურქულ-თათრული, უნგრულ-ფინური და ტექნოგრაფიული. პირველი 3 სექტორი ემსახურებოდა ენათა ოჯახებს, მეოთხეს კი ევალებოდა ახალი ანბანებისათვის გრაფიკის შერჩევა-დანერგვა[503]. **ამ სექტორის ნებართვის გარეშე ვერცერთ ასოს ვერავინ დანერგავდა რომელიმე კონკრეტული ენის დამწერლობაში**. კომიტეტის კონტროლით იბეჭდებო-

---

[501] სახალხო კომისართა საბჭო – აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ფუნქციურად უდრიდა მინისტრთა საბჭოს.

[502] М.И. Исаев. დასახ. ნაშრ., გვ. 16.

[503] იქვე. გვ. 16.

და ჟურნალი "რევოლუცია და დამწერლობა" («Революция и письменность»), რომელშიც შუქდებოდა ლათინიზაციის მიმდინარეობისა და ენობრივი პოლიტიკის საკითხები.

ცნობილია ისიც, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ლათინიზაციის პროცესს კურირებდნენ კავკასიოლოგი პროფესორები **ნიკოლოზ იაკოვლევი** და **ლევ ჟირკოვი**[504], ოსური ენისას – ოსი ენათმეცნიერი **ვასილ აბაევი**[505]. მათთან ერთად საქმიანობდა აკად. **ნიკო მარიც**[506], რომელიც ზოგჯერ კონკურენციას ვერ უწევდა კოლეგებს. მაგალითად, მან აჯობა ნ. იაკოვლევსა და ლ. ჟირკოვს 1926 წელს და დანერგა თავისი ლათინიზებული "ანალიზური" ანბანი აფხაზური ენისათვის, მაგრამ 2 წლის შემდეგ მისი ეს ანბანი დაიწუნეს სირთულის გამო და დაინერგა იაკოვლევ-პოლივანოვის მიერ შექმნილი არანაკლებ რთული ლათინიზებული დამწერლობა, რომელიც 10 წელიწადს, 1938 წლამდე მოქმედებდა.

ანბანთა ლათინიზაცია დასრულდა 1935 წელს. მომდევნო 1936 წელს დაიწყო ახალი ეტაპი საბჭოურ ენობრივ პოლიტიკაში – ანბანთა მასობრივი რუსიფიკაცია-კირილიზაცია.

1922-1935 წლებში მიმდინარე ანბანთა ლათინიზაციის დროს, ჩვენი აზრით, **შეგნებულ-გამიზნულად დაუშვეს ზოგი შეცდომა, რათა შემდგომში საბაბად გამოეყენებინათ ისინი ლათინიზაციის შესაწყვეტად.** მაგალითად, საბაბად გამოსაყენებელი ამგვარი ფაქტები იყო:

1. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უკიდურეს ჩრდილოეთში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ძალზე მცირერიცხოვანი ეთნოსების ენებისათვის დამწერლობების შექმნა, რაც დიდ მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ ხარჯებს იწვევდა;

---

[504] **ლევ ჟირკოვი** (1885-1963 წწ.) – რუსი ენამეცნიერი. იკვლევდა დაღესტნურ და ირანულ ენებს.

[505] **ვასილ აბაევი** (1900-2001 წწ.) – ოსი ენათმეცნიერი, პროფესორი. იკვლევდა ოსურ ენასა და ფოლკლორს, ოსურ-ქართულ ენობრივ კონტაქტებს. მის ნაშრომთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოსური ენის სამტომეული ეტიმოლოგიური ლექსიკონი..

[506] М.И. Исаев. დასახ. ნაშრ., გვ. 16.

2. ამ მცირერიცხოვან ეთნოსთა ენებზე, მაგალითად, ევენკურზე იბეჭდებოდა იმაზე რამდენჯერმე მეტი ლიტერატურა, ვიდრე მის წამკითხველთა საერთო რაოდენობა იყო. გარდა ამისა, გააბატონეს იგივე ევენკური ენა და მას ძალით ასწავლიდნენ ევენკებზე უფრო მცირერიცხოვან ეთნოსთა წარმომადგენლებს, რაც ამ უკანასკნელთა პროტესტს იწვევდა;

3. ისეთი სამეტყველო ერთეულებისათვის ენის სტატუსის მინიჭება, რომლებიც რეალურად სხვა ენის დიალექტებს წარმოადგენდნენ (მაგალითად, იმ პერიოდში ენებად გამოაცხადეს და დამწერლობები შეუქმნეს მეგრულ და ლაზურ მეტყველებებს...);

4. მაშინდელ საბჭოთა კავშირში მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანი იყო. მაჰმადიანი ეთნოსების ენებისათვის ლათინური გრაფიკის შერჩევას შეეწირა ამ ჯგუფში შემავალ ხალხთა ერთი ნაწილის (აფხაზების, ოსების, ადიღელების, ყაბარდოელების, ჩეჩნების, ინგუშების და სხვათა) ენებზე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში **რუსული გრაფიკის** საფუძველზე შექმნილი დამწერლობებიც. ამით იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ხელისუფლება სულაც არ გეგმავდა დასახელებულ ეთნოსთა გარუსებას (მათი დამწერლობები ხომ ლათინურით იცვლებოდა!)...

ამ და სხვა ფაქტების საფუძველზე 1935 წლის 16 ივნისს სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც საგანგებოდ განიხილა სსრკ ცაკთან არსებული ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მუშაობა, მკაცრად დაგმო ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა, დროს ფეხს ვერ უწყობს, ჩამორჩება მუშაობაში, აჭიანურებს საკითხთა გადაწყვეტას და არაეფექტურად მუშაობსო. განსაკუთრებულ დანაშაულად ჩაითვალა ის, რომ "ლათინურ გრაფიკაზე გადაიყვანეს ზოგი იმ ხალხის დამწერლობები, რომლებიც მანამდე იყენებდნენ რუსული წერის გრაფიკას (უდმურტები, იაკუტები, კომები, ოსები, ყალმუხები და სხვანი). ახალი ანბანის კომიტეტი ლათინიზაციას "აბსოლუტის" დონემდე აღამაღლებდა და ლათინურ ანბანს "ერთადერთ რევოლუციურ" ანბანად

მიიჩნევდა"[507]. ამ მრისხანე დასკვნაში ცხადად ჩანს კომუნისტური რეჟიმის ჭეშმარიტი სრახვა – გაარუსონ უკლებლივ ყველა დაპყრობილი ეთნოსი. სწორედ ამიტომ უსვამდნენ ხაზს "გაუგონარ დანაშაულს" – რუსული გრაფიკის შეცვლას ლათინურით. არადა თავის დროზე თვითონვე აცხადებდნენ ლათინურ გრაფიკას სავალდებულოდ (იხ. ზემოთ).

სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის 1935 წლის 17 აგვისტოს სხდომაზე განმეორებით იქნა განხილული ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის საკითხი (2 თვეში ერთი და იმავე საკითხის ორჯერ განხილვა პრობლემის განსაკუთრებულობაზე მიანიშნებს). ამ მეორე განხილვის შედეგად **კომიტეტს შეუცვალეს ფუნქცია**: იგი გადააქციეს ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიის, დამწერლობისა და, საერთოდ, ენის განვითარების საკითხთა გადამწყვეტ ორგანოდ[508]. სხვაგვარად რომ ითქვას, **კომიტეტი ამიერიდან პასუხისმგებელი იყო ყველა იმ პრობლემის კომუნისტური სულისკვეთებით გადაჭრაზე, რომლებიც უკავშირდებოდა ენობრივ პოლიტიკას.**

აქ წამოიჭრება საკითხი: რატომ დაავალეს კომიტეტს ორთოგრაფია-მართლწერისა და ტერმინოლოგიის საკითხების კურირება? რა კავშირშია ისინი დამწერლობასთან და ანბანებთან?

პასუხი იოლი იქნება, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი დროისა და ადგილის სულს. საქმე ისაა, რომ 30-იანი წლების დასაწყისიდან სსრკ-ში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა რუსული ენის მასობრივად გავრცელებასა და სავალდებულო სწავლებას. ასევე აქტიურად მიმდინარეობდა ენათა სპეციფიკის მოშლისა და ერთიანი ლექსიკის ("ახალი საბჭოთა ტერმინოლოგიის") დანერგვის, ენობრივი ინტერნაციონალიზაციის ხელოვნურად დაჩქარების კამპანია. სწორედ ამ პროცესების მართვა დაეკისრა კომიტეტს.

1936 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბჭოთა კავში-

---

[507] М.И. Исаев. დასახ. ნაშრ., გვ. 19.
[508] იქვე, გვ. 24.

რის ყველა ენის რუსულ გრაფიკაზე გადაყვანის შესახებ[509], მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ეს დიდ პრობლემებს შექმნიდა და დაიწყო მხოლოდ ახალდამწერლობიან ენათა კირილიზაცია, რაც 50-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა.

ანბანთა რუსიფიკაცია-კირილიზაციას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მაგალითად, საერთოდ გააუქმეს დამწერლობა ბევრ ენაზე. პარალელურად მიმდინარეობდა დიდი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ერების დაახლოება-შერწყმის სასიკეთოობის ლოზუნგით, რაც ფარულად რუსებისა და რუსული ენის პრიორიტეტს გულისხმობდა.

აი, ასეთ იდეურ-პოლიტიკურ ატმოსფეროში გადაიყვანეს აფხაზური სამწიგნობრო ენა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გავრცელებული ოსური სამწიგნობრო ენა ქართულ გრაფიკაზე (ე.წ. ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ოსური სამწიგნობრო ენა ლათინიზებული გრაფიკიდან რუსულ გრაფიკაზე იმავე 1938 წელს გადაიყვანეს). ორივე ამ სამწიგნობრო ენის ქართული გრაფიკა გაუქმდა 1954 წელს.

აქ დასადგენი რჩება:

– რატომ და როგორ აღმოჩნდნენ აფხაზური ენა და ოსური ენის სამხრეოული ვარიანტი საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ათეულობით სხვა ენისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში?

– იცოდა თუ არა ამის შესახებ სსრკ ცაკთან არსებულმა ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა?

– ვინ და რა პირობებში მონაწილეობდა სათანადო პროექტების შედგენაში და ჩაიდინეს თუ არა მათ დანაშაული აფხაზი ხალხის წინაშე?

დავიწყოთ იმით, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (საბჭოთა კავშირი, ანუ სსრკ) მისი დასახელების მიუხედავად სულაც არ ყოფილა რესპუბლიკების **ნებაყოფლობითი კავშირი** და წარმოადგენდა ისეთსავე იმპერიას,

---

[509] Т.О. Атаев. Политический подтекст латинизации письменности. www.idmedina.ru/books/materials.

როგორიც იყო მისი წინამორბედი მეფის რუსეთის იმპერია. სიტყვა "კავშირი" მის დასახელებაში მხოლოდ შირმა იყო, ვინაიდან მის შემადგენლობაში შემავალი უკლებლივ ყველა ქვეყანა (უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდავეთი და ესტონეთი) დაპყრობილი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი **უკიდურესად ტოტალიტარული სახელმწიფო იყო**, რომელშიც უმკაცრესი კონტროლი იყო დაწესებული ადამიანის ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროზე, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ-იდეოლოგიურზე. კომუნისტური რეჟიმისაგან ერთადერთ სწორ თვალსაზრისად მიჩნეულის გარდა იკრძალებოდა ნებისმიერი სხვა შეხედულება და თუ ვინმე გაბედავდა სხვაგვარად აზროვნებას, ან დაიკავებდა განსხვავებულ პოზიციას, მას უმალ თავს ატყდებოდა რეჟიმის საშინელი რისხვა. ამ კომუნისტურ იმპერია'ში **მოქმედებდა ზეპირი და სატელეფონო მართვის სისტემა**, როცა ზემდგომი ინსტანციები ქვემდგომთ მართავდნენ ოფიციალური დოკუმენტების გარეშე, ანდა სახელმძღვანელოდ იყენებდნენ გასაიდუმლოებულ დოკუმენტებს, რომლებიც ხელმიუწვდომელი იყო რიგითი მოქალაქეებისათვის. ცნობილია ისიც, რომ უკლებლივ **ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, განსაკუთრებით იდეოლოგიური და ინტერეთნიკური ხასიათისა, იგეგმებოდა, თანხმდებოდა და წყდებოდა მოსკოვში, კრემლში. მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიების სუვერენიტეტი წმინდა წყლის ფიქცია იყო.** უსასტიკესად ისჯებოდა არარუსთა მხრიდან ეროვნულობის დასაშვებზე ოდნავ მეტი გამოვლინებაც კი, ხოლო ეთნოსთა ერთმანეთზე გადამტერება, მათ შორის უნდობლობისა და შუღლის მუდმივად გაღვივება სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. კომუნისტური რეჟიმი შენიღბულად, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიების მარიონეტი ხელმძღვანელების ხელით ახორციელებდა თავის ანტიეროვნულ გეგმებს იმპერიის მოსახლეობის გარუსების დაჩქარების მიზნით. **უშიშროების განტოტვილი სისტემა და ინფორმაციის გადამოწმების უამრავი ხერხის არსებობა გამორიცხავდა იმპერიისათვის არა-**

სასურველი ტენდენციებისა და პროცესების გავრცელებას.

ამ მიზეზთა გამო **ყოვლად წარმოუდგენელია**, რომ მოსკოვს 1938-1954 წლებში, ე.ი. მთელი 16 წლის განმავლობაში არ გაეგო, რა ხდებოდა აფხაზეთის ასსრ-სა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ვერ შეემჩნია თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის მარიონეტ ხელისუფალთა "თვითნებობა", აფხაზთა და ოსთა "გაქართველების" მცდელობა, მთელ იმპერიაში 1936 წლიდან მასობრივად და დაჩქარებული ტემპით მიმდინარე რუსიფიკაციის პროცესისათვის "ძირის გამოთხრა-საბოტაჟი" და უსასტიკესად არ დაესაჯა "ბურჟუაზიისა და წყეული კაპიტალიზმის სამსახურში ჩამდგარი" ქართველი, აფხაზი და ოსი კომუნისტი ფუნქციონერები და ქართული გრაფიკის საფუძველზე ახალი აფხაზური და ოსური დამწერლობების შემქმნელი ქართველი, აფხაზი და ოსი მეცნიერები.

საბედნიეროდ, აფხაზური სამწიგნობრო ენისა და ოსური სამწიგნობრო ენის სამხრეთული ვარიანტისათვის ქართული გრაფიკის საფუძველზე ახალ ალფავიტთა შექმნის, ან ხალხთა შორის ურთიერთობის წახდენის ბრალდებით **არ დასჯილა არცერთი ქართველი, აფხაზი და ოსი ფუნქციონერი თუ მეცნიერი.** და ეს ხდებოდა 1938-1954 წლებს შორის, როცა მთელ იმპერიაში სისხლიანი რეპრესიები მძვინვარებდა და ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც კი არ ფასობდა, თანაც სწორედ ამ პერიოდში დაწყებული იყო რუსიფიკაციის ახალი, მასობრივი პროცესი (მაგალითად, 1938 წლიდან მთელი საბჭოთა კავშირის ყველა არარუსულ სკოლაში სავალდებულო გახდა რუსული ენის გაძლიერებული სწავლება).

ვფიქრობთ, **ეს უკანასკნელი გარემოება უეჭველი ირიბი დადასტურებაა იმისა, რომ ქართულ გრაფიკაზე აფხაზური და ოსური სამწიგნობრო ენების გადაყვანის აქტი დაიგეგმა და განხორციელდა სწორედ მოსკოვის თანხმობითა და მისი კონტროლით.**

ამავე დასკვნას განამტკიცებს ისიც, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოსკოვში გადატანილი **ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტი 1935 წლიდან გადაიქცა საბჭოთა კავშირში გავრცელებული ყველა ენის ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიის,**

დამწერლობისა და, საერთოდ, ენის განვითარების საკითხთა გადამწყვეტ ორგანოდ და მას უშუალოდ ევალებოდა ამ საკითხების კონტროლი მთელი იმპერიის ტერიტორიაზე. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ ამ კომიტეტს არ ჰქონოდა ინფორმაცია სოხუმსა და ცხინვალში მიმდინარე მეტად მნიშვნელოვანი ენობრივი პროცესების შესახებ და არ ჩარეულიყო საქმეში, თუ ეს პროცესები კრემლთან შეუთანხმებლად მიმდინარეობდა.

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა **საგარეო ფაქტორსაც**, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-თურქეთის პოლიტიკურ ურთიერთობას XX საუკუნის 30-40-იან წლებში. საქმე ისაა, რომ 1917 წლიდან 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე საბჭოთა კავშირი და თურქეთი მოკავშირეები იყვნენ (მაგალითად, სწორედ თურქეთის მოთხოვნით შეიქმნა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიები საქართველოში), მაგრამ 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მათი ურთიერთობა თანდათან დაიძაბა და ბოლოს მტრობაში გადაიზარდა თურქეთის ფაშისტური გერმანიისა და იტალიის მოკავშირედ გახდომის შემდეგ. ამან რეალური ხიფათი შეუქმნა საბჭოთა კავშირს სამხრეთ საზღვარ'ზე, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე, აგრეთვე შავი ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაპირებზე. ომის შემთხვევაში თურქეთს შეეძლო, ესარგებლა ქართველი და სომეხი ხალხების რეალური უკმაყოფილებით საბჭოთა კავშირის იმპერიული ანტიქართული და ანტისომხური პოლიტიკის გამო და ნებით თუ ძალით აემოქმედებინა საბჭოთა კავშირის საზღვართან მცხოვრები ქართული და სომხური მოსახლეობა. როგორც ვვარაუდობთ, სწორედ ამ საფრთხემ აიძულა კომუნისტური იმპერია, გარკვეულ მოჩვენებით დათმობაზე წასულიყო საქართველოსა და სომხეთში, რაც, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ორ ქვეყანაში იდილია გამეფდა.

თურქეთთან ომისათვის საბჭოთა კავშირი მაშინაც კი ემზადებოდა, როცა ეს ორი სახელმწიფო მოკავშირეებად ითვლებოდნენ, მაგრამ ომის საბაბი გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, როცა თურქეთი ბერლინისა და რომისაკენ გადაიხარა. ამ კონტექსტში მოსკოვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა შავი ზღვის ღია სანაპიროზე მდებარე, გე-

ოსტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი აფხაზეთი. მოსკოვი აქ ალტერნატივის წინაშე დადგა:

თუ იგი განაგრძობდა 1921-1931 წლებში დაწყებულ აფხაზთა პრივილეგირებისა და ქართველთა შევიწროების პოლიტიკას, ომის შემთხვევაში დიდ საფრთხეს შეიქმნიდა 3 მილიონიანი ქართველი ხალხის უნდობლობის გამო. ომის შემთხვევაში მისთვის გაცილებით ნაკლებ სახიფათო იქნებოდა 5ჩ ათასი აფხაზისათვის მოჩვენებით-პროვოკაციული პრივილეგირების დროებით შეწყვეტა და ქართველთა ეროვნულ გრძნობებზე თამაში. აფხაზთა დასასჯელად იმპერიას საბაბის ძებნა არ დასჭირდებოდა, რადგან არც ისე დიდი ხნით ადრე, 1930-1931 წლებში აფხაზმა გლეხებმა "ვერ დააფასეს იმპერიის ამაგი", კატეგორიული უარი განაცხადეს კოლმეურნეობების შექმნაზე, გაიფიცნენ და მათი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში "იმუქრებოდნენ" სწორედ თურქეთში მასობრივად გადასახლებით (კომუნისტებისაგან მოულოდნელი იყო, რომ აფხაზთა ამ აქციის ორგანიზატორთა მცირე ნაწილიღა იქნა რეპრესირებული და ეს მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომის დროს ჩეჩენ-ინგუშები, ყარაჩაელ-ბალყარელები, ყირიმელი თათრები, მაჰმადიანი მესხები, ბერძნები, მაჰმადიანი სომხები (ჰემშინები) და სხვები სრულიად უდანაშაულოდ გარეკეს შუა აზიაში).

ამგვარ პირობებში 1938 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენის გადაყვანა ქართულ გრაფიკაზე უნდა განვიხილოთ, როგორც იმპერიის მიერ აფხაზი ხალხის დასასჯელი ღონისძიება, რითაც იმპერია, ერთი მხრივ, ვარაუდობდა თავისი პოზიციების განმტკიცებას ქართველ ხალხში, მეორე მხრივ კი მოხერხებულად და შეფარულად განაგრძობდა ორი მოძმე ხალხის ერთმანეთზე წაქეზების პოლიტიკას.

ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ 1938 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის ქართული გრაფიკის საფუძველზე ახალი დამწერლობის შექმნა იმპერიული მიზნებით განხორციელებული დროებითი პროვოკაციული ღონისძიება იყო.

მაგრამ ზემოთ აღნიშნული გარემოებანი ბოლომდე მაინც ვერ ხსნიან იმის მიზეზს, თუ რატომ დაუშვა მოსკოვმა სერიოზული გამონაკლისი სწორედ საქართველოში იმ ფონზე, როცა

ყველა სხვა ახალდამწერლობიანი ენა მასობრივად გადაჰყავდათ რუსულ გრაფიკაზე (კირილიცაზე). ამ საკითხის გადასაწყვეტად ყველაზე მნიშვნელოვანია ის დოკუმენტები, რომლებიც ან ნაკლებად იყო ცნობილი, ანდა აქამდე სრულიად უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის და ახლახან გამომზეურდა. ქვემოთ ამ დოკუმენტებსაც განვიხილავთ.

როგორც ზემოთ ითქვა, 1937 წლის 4-5 დეკემბერს ქ. სოხუმში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის საკითხის განსახილველად გაიმართა საგანგებო თათბირი, რომლის სხდომათა ოქმებმაც, საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია[510].

როგორც ოქმებიდან ირკვევა, აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის საკითხზე სპეციალური დადგენილება 1937 წლის მაისში მიუღია საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XV პარტიულ კონფერენციას. ამ სადამწერლობო რეფორმის ორგანიზებულად განხორციელების მიზნით შექმნილა სპეციალური კომისია საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, პროფესორ **პეტრე შარიას**[511] ხელმძღვანელობით. კომისიის წევრები ყოფი-

---

[510] ოქმების მეორე ეგზემპლარები ინახებოდა ამ თათბირის მონაწილის, აკად. სიმონ ჯანაშიას პირად არქივში. ამჟამად ისინი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მათი რუსული ტექსტი და ქართული თარგმანი ქვეყნდება ამავე წიგნში (იხ. ქვემოთ).

[511] **პეტრე შარია** (1902-1983 წწ.) – ქართველი ფუნქციონერი. 30-40-იან წლებში ჯერ მუშაობდა უშიშროების სამსახურებში, შემდეგ საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად პროპაგანდის დარგში. 1937-1938 წლებში იყო საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვისა და პარტიული პროპაგანდის განყოფილების გამგე. კითხულობდა ფილოსოფიის სალექციო კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1945 წელს ექვთიმე თაყაიშვილთან და შალვა ამირანაშვილთან ერთად საფრანგეთიდან დააბრუნა 1921 წელს გატანილი ქართული ეროვნული საგანძური. ქართულად თარგმნა თომას მაინ რიდის რომანი "ოცეოლა, სემინოლების ბელადი" (1971 წ.).

ლან აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები: **დიმიტრი გულია**[512], **ანდრია ჭოჭუა**[513], **მიხეილ დელბა**[514], **არსენტი ჰაშბა**[515], **დავით ჩაგავა**[516], **მუშნი ჰაშბა**[517].

აფხაზური მოსახლეობის მხრიდან ამ წამოწყების მხარდაჭერის ინიცირების მიზნით მიმდინარეობდა იდეური ნიადაგის შემზადება – აფხაზეთის გაზეთებში იბეჭდებოდა სტატიები და ა.შ. მაგალითად, გაზეთ "სოვეტსკაია აბხაზია"-ს 1937 წლის 17 ივნისის ნომერში ზემოთ დასახელებული კომისიის წევრები **ა. ჰაშბა, მ. ჰაშბა** და **დ. ჩაგავა** წერილში "აფხაზური ანბანის შესახებ" მკაცრად გმობდნენ იაკოვლეც-პოლივანოვის მიერ შედგე-

---

[512] **დიმიტრი გულია** (1874-1960 წწ.) – აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი, ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, ეთნოლოგი, ისტორიკოსი და ჟურნალისტი.

[513] **ანდრია ჭოჭუა** (1879-1965 წწ.) – აფხაზი განმანათლებელი და განათლების ორგანიზატორი, პუბლიცისტი. ავტორია ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ პრინციპებზე შედგენილი აფხაზური ენის სასკოლო სახელმძღვანელოთა მთელი წყებისა. იყო აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი (1925-1931 წწ.), სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი (1931-1938 წწ.), აფხაზური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი (1938-1948 წწ.), აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1948-1958 წწ.).

[514] **მიხეილ დელბა** (1905-1992 წწ.) – აფხაზი ფუნქციონერი. აქტიურად მონაწილეობდა "ხალხის მტრების მხილებაში", 1937-1938 წლებში იყო აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარი, 1938 წლის ივლისიდან 1948 წლამდე – აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, 1948-1953 წლებში – აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ამჟამად სეპარატისტები ბრალს სდებენ პროქართველობაში.

[515] **არსენტი ჰაშბა** (1900-1941 წწ.) – აფხაზი ენათმეცნიერი. იყო აფხაზური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი.

[516] **დავით ჩაგავა** (1902-1937 წწ.) – აფხაზი კომკავშირული, პროფკავშირული და საბჭოთა ფუნქციონერი, მილიციის თანამშრომელი. მოსკოვში დაასრულა აღმოსავლეთის მშრომელთა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სწავლა ასპირანტურაში განაგრძო და იქვე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. 1936 წელს დანიშნეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დირექტორად, 1937 წელს გახდა აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარი, იმავე წელს რეპრესირებულ იქნა.

[517] История Абхазии. Сухуми, 1991, გვ. 348; შდრ.: Д. Джоджуа. Абхазия в эпоху советского социализма. 1938-1990 годы. – "Очерки из истории Грузии. Абхазия. С древнейших времен до наших дней". Тб., 2009, გვ. 513.

ნილ ლათინიზებულ გრაფიკას, რომელიც 1928 წლიდან გამოიყენებოდა აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის და მხარს უჭერდნენ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის XV კონფერენციის გადაწყვეტილებას აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის შესახებ (არადა, სტატიის ავტორთაგან მუშნი ჰაშბა პირადად მონაწილეობდა იაკოველევ-პოლივანოვის დაწუნებული ლათინიზებული ანბანის შექმნა'ში!); ამ სტატიას იმავე გაზეთის 1937 წლის 11 იელისს გამოეხმაურა იმავე კომისიის წევრი **დ. გულია**, რომელიც ასევე იწონებდა აღნი'მნულ აქციას; 1938 წლის 23 მარტს გაზეთ "სოვეტსკაია აბხაზია"-ს ფურცლებზე **მ. დელბაც** აქტიურად უჭერდა მხარს აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანას...

საბჭოური მართვის სისტემის მცოდნე ნებისმიერი პირისათვის ცხადია, რომ **აფხაზეთის პარტორგანიზაციის კონფერენციის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანა, დასამტკიცებელი რეზოლუციის ტექსტი და ყოველი თათბირიც საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო უეჭველად იქნებოდა შეთანხმებული მოსკოვთანაც, სხვა შემთხვევაში სისხლიან 1937-1938 წლებში აფხაზ და ქართველ პარტიულ ფუნქციონერთა და მეცნიერთა თვითნებობა აუცილებლად აილაგმებოდა, რაც, როგორც ითქვა, საბედნიეროდ, არ მომხდარა.**

1937 წლის დეკემბრის დასაწყისში სოხუმში, აფხაზური კულტურის ინსტიტუტში გამართულ საგანგებო თათბირში სულ 33 კაცი მონაწილეობდა[518].

მათგან **ეროვნებით აფხაზები** იყვნენ: **სიმონ ბასარია**[519], **ხუხუტი ბღაჟბა**,[520] **ნიკოლოზ გერია**[521], **მიხეილ გოჩუა**[522], **გიორგი**

---

[518] იხ. აქვე. დოკუმენტები №1-4 და მათი ქართული თარგმანი.

[519] **სიმონ ბასარია** (1884-1942 წწ.) – აფხაზი ისტორიკოსი და პედაგოგი, აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი. იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს (პარლამენტის) პირველი თავმჯდომარე 1918 წელს, სადაც გამოხატავდა ჩრდილოეთ კავკასიასთან ინტეგრაციისა და ანტიქართულ პოზიციას. თავის ნაშრომებში აყალბებდა აფხაზეთის ისტორიას.

[520] **ხუხუტი ბღაჟბა** (1914-2000 წწ.) – აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. იკვლევდა აფხაზურ ენას, ფოლკლორს, ზეპატერულ ლიტერატურას, აფხაზურ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებს. 40-იან

გულია[523], დიმიტრი გულია, მიხეილ დელბა, ბაგრატ კაცია[524], ნიკოლოზ კოკოსქერია, ვ. მაანი, ვ. ნაყოფია, ნიკოლოზ პატეიფა[525], სიმონ ბასარია, გიორგი შაკირბაი[526], კონსტანტინე შაყრილი[527], პლატონ შაყრილი[528], გ. ძიძარია[529], ნ. ჭოჭუა, ვ. ხა-

---

წლებში იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, 1953-1966 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

[521] **ნიკოლოზ გერია** (1909-1985 წწ.) – აფხაზი ფუნქციონერი და განათლების ორგანიზატორი. 1940-1945 წლებში იყო აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, ხოლო 1954-1962 წლებში – აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი. რუსულიდან აფხაზურ ენაზე თარგმნიდა პოლიტიკურ ლიტერატურას.

[522] **მიხეილ გოჩუა** – აფხაზი ჟურნალისტი და მთარგმნელი. თარგმნიდა ქართული და რუსული ენებიდან (მაგალითად, მისი თარგმნილია ლოპე დე ვეგას პიესა "ცხვრის წყარო").

[523] **გიორგი გულია** (1913-1989 წწ.) – დიმიტრი გულიას ვაჟი, რუსულენოვანი აფხაზი მწერალი, მხატვარი, ჟურნალისტი. მოთხრობისათვის "გაზაფხული საკენში" მიენიჭა სტალინური პრემია, ხოლო მოთხრობისათვის "შაჟი სტუმრები" მკაცრად გაკიცხეს. სიცოცხლის მეორე ნახევარში ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთში, მოსკოვში.

[524] **ბაგრატ კაცია** – აფხაზი განმანათლებელი. იმ დროს იყო ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვის საშუალო სკოლის დირექტორი.

[525] **ნიკოლოზ პატეიფა** (1877-1941 წწ.) – აფხაზი განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე, ეთნოლოგი.

[526] **გიორგი შაკირბაი** (გარდაიცვალა 1977 წ.) – აფხაზი ენათმეცნიერი და ისტორიკოსი.

[527] **კონსტანტინე შაყრილი** (1899-1992 წწ.) – აფხაზი ენათმეცნიერი. აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი ლიდერი. 1947 წელს ისტორიკოს გ. ძიძარიასა და ბ. შინქუბასთან ერთად საჩივრით მიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აფხაზი ხალხის "გაქართველების პოლიტიკის" აღკვეთის მოთხოვნით.

[528] **პლატონ შაყრილი** – აფხაზი პედაგოგი.

[529] **გ. ძიძარია** – თათბირის ეს მონაწილე არ არის ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ალექსის ძე ძიძარია (1914-1989 წწ.): არ ემთხვევა მათი მამის სახელები – თათბირის მონაწილე გ. ძიძარიას მამის სახელის ინიციალად ოქმებში მითითებულია ხან **Г.Ф.**, ხან **К.Ф.** (იხ., მაგალითად, დოკუმენტი № 4, თათბირის მონაწილეთა ჩამონათვალი და სხდომის თავმჯდომარის დასახელება). ისტორიკოსს გიორგი ერ-

რაზია, მუშნი ჰაშბა[530];

ეროვნებით ქართველები იყვნენ: პროფ. პეტრე შარია, პროფ. აკაკი შანიძე, პროფ. სიმონ ჯანაშია, პროფ. არნოლდ ჩიქობავა, პროფ. ვარლამ თოფურია (ყველანი თბილისიდან), აფხაზოლოგი ბაგრატ ჯანაშია[531], ნიკანდრო ბასილაია[532], სერგო აქირთავა[533] (სამივე სოხუმიდან).

ეროვნებით რუსები იყვნენ: პროფ. ა. გრენი[534], ი. ტიმჩენ-

ქვა, მამამისს კი ალექსი. საძიებელი პირი იმდენად გავლენიანი და ავტორიტეტული ჩანს, რომ სწორედ მას მიუნდო ამ თათბირის სხდომების თავმჯდომარეობა. საფიქრებელია, რომ ოქმებში ბეჭდვის შეცდომაა და ეს პირი უნდა იყოს ცნობილი აფხაზი პედაგოგი კონდრატ ძიძარია. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ არცერთ ოქმში ერთდროულად არ იხსენიება ძიძარიას გვარის მქონე ერთზე მეტი მონაწილე. გარდა ამისა, კ. ძიძარიას მამის სახელის პირველი ბგერაც ემთხვევა ოქმში მითითებულ К ასოს. ეს უკანასკნელი 1921 წელს დაინიშნა აფხაზეთის განათლების სახელმწიფო კომისარიატის აპარატის თანამშრომლად და იმავე დროს ასწავლიდა სკოლის მასწავლებელთა გადამზადების კურსების მსმენელებს.

[530] ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა მაშინდელი აფხაზური კულტურული, სამეცნიერო და პარტიული ელიტა: მწერალი სამსონ ჭანბა იმ დროს იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მუშნი ჰაშბას ეკაყა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტი, ანდრია ჭოჭუა მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად, მიხეილ დელბა კი იყო აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარი.

[531] ბაგრატ ჯანაშია (1901-1978 წწ.) – სოხუმში მოღვაწე ქართველი ენათმეცნიერი. შესანიშნავად ფლობდა აფხაზურ ენას. იკვლევდა ამ ენის ლექსიკას. ავტორია "აფხაზურ-ქართული ლექსიკონისა" (1954 წ.) და გამოკვლევისა მეენახეობა-მეღვინეობის აფხაზური ლექსიკის შესახებ (გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 2010 წ. თბილისში).

[532] ნიკანდრო ბასილაია (1906-1986 წწ.) – სოხუმში მოღვაწე ქართველი ენათმეცნიერი. 1932-1966 წლებში იყო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, ხოლო 1967-1969 წლებში – ამავე ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე.

[533] სერგო აქირთავა – აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი.

[534] ალექსეი გრენი (დაიბადა 1862 წ., გარდაცვალების თარიღი უცნობია) – რუსი შოვინისტი მეცნიერი. კრასნოდარის, პერმის, ეოლოგდის

კო, ზ. მორინა, ა. ფადეევი.

თათბირის ოქმებიდან ცხადად ჩანს, რომ თათბირი საკმაოდ მძიმე იდეოლოგიური ზეწოლის პირობებში მიმდინარეობდა (ნუ დაგვავიწყდება, რომ 1937 წელი იყო!). სხვა ფაქტორებთან ერთად, როგორც ჩანს, ატმოსფეროს ამძიმებდა, ერთი მხრივ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პ. შარიას, მეორე მხრივ, აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ელიტისა და, მესამე მხრივ, **მოსკოვის "თვალისა და ყურის", ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის, პროფ. ა. გრენის** იქ ყოფნა. მართალია, ჩვენ ვერ დავადგინეთ ი. ტიმჩენკოს, ზ. მორინასა და ა. ფადეევის[535] ვინაობა და საქმიანობა, მაგრამ მათი დასწრება იმ თათბირზე მრავლისმთქმელია და გვიჩვენებს, რომ ეს ხალხი იქ შემთხვევით არ მჯდარა. მათი ფუნქცია აშკარად მოსკოვისათვის სოხუმიდან ზუსტი ინფორმაციის მიწოდება იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **მოსკოვი საქმის კურსშიც იყო და აკონტროლებდა კიდევაც სიტუაციას.**

იმაზე, რომ **ქართველი მეცნიერები არ ყოფილან აფხაზური დამწერლობისათვის ქართული გრაფიკის შერჩევის ინიციატორები, ისინი იძულებით მონაწილეობდნენ თათბირის მუშაობაში და სულაც არ მოსწონდათ მათი ჩათრევა ამ საქმეში,** ცხადად მეტყველებს პროფ. ს. ჯანაშიას ხაზგასმული ქვეტექსტია-

---

პედაგოგიური ინსტიტუტების პროფესორი, ხარკოვისა და კიევის უნივერსიტეტების პრივატ-დოცენტი, თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორი (1897 წ.). კავკასიაში ცხოვრებისას აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს საქართველოს ისტორიის, კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიისა და ენათმეცნიერების საკითხთა შესახებ. აქტიურად იდგა რუსიფიკაციისა და ქართველი ხალხის დახლეჩის პოზიციაზე. მან 1899 წელს რუსული გრაფიკის გამოყენებით შეადგინა ავადსახსენებელი "Мингрельская азбука», რომლის წინასიტყვაობაშიც წერდა, რომ მეგრელი "ხალხი" იჩაგრება ქართველებისაგან და მას თავისთავადობის შესანარჩუნებლად შეუდგინე ეს დამწერლობაო. ა. გრენს მეგრული "ენისათვის" დამწერლობის შექმნის საკითხზე სერიოზული დაპირისპირება ჰქონდა თადა აშორდიასთან, რომელიც მას "პირველობის პალმას" ეცილებოდა.

[535] ა. ფადეევი თათბირის სხდომების ერთ-ერთი მდივანიც იყო ბ. ჯანაშიასთან ერთად.

ნი განცხადება თათბირის მუშაობის პირველსავე წუთებში:

«Мы, тбилисские работники, рассматриваем себя как консультантов. Вопрос должен разрешить тот, кто его поставил, т.е. трудящиеся и культурные работники Абхазии. Вопрос надо было обсудить на широких собраниях» – **"ჩვენ, თბილისელი მუშაკები, ჩვენს თავს კონსულტანტებად მივიჩნევთ. საკითხი უნდა გადაწყვიტოს მან, ვინც იგი წამოჭრა**, ე.ი. აფხაზეთის მშრომელებმა და კულტურის მუშაკებმა. საკითხი უნდა განხილულიყო ფართო შეკრებებზე".

დავაკვირდეთ ამ სიტყვებს და დავინახავთ, რომ ქართველი მეცნიერი, რომელსაც **სრული უფლება ჰქონდა თავისი სამეცნიერო პოზიცია გამოეხატა** (იგი აფხაზურ სოფელ აძვიბჟაში იყო დაბადებულ-გაზრდილი და ბრწყინვალედ ფლობდა აფხაზურ ენას, თანაც მე-10 წელი იყო, რაც ამ ენას ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სამეცნიერო გამოკვლევების ავტორიც იყო მისი სტრუქტურისა და ისტორიის შესახებ; გარდა ამისა, იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დირექტორი იყო და თავს ვერ აარიდებდა ამ საქმეში მონაწილეობას), მაინც **ცდილობს დისტანცირებას** საკითხისაგან და დარბაზში მსხდომ **აფხაზებს უცხადებს**, თქვენი დედაენისათვის ქართული გრაფიკის შერჩევის **იდეა ქართველებს არ წამოგვიჭრია, ეს თქვენვე გააკეთეთ და ახლა ჩვენ ნუ დაგვაბრალებთო** (ბედის ირონიაა, რომ მასაც და სხვა ქართველებსაც მაინც დაბრალდათ ამ საქმის წამოწყება!). მეცნიერი იქვე იმაზეც მიანიშნებს თათბირის აფხაზ მონაწილეებს, რომ მათ საკითხი ფართოდ არ განუხილავთ.

მიუხედავად ს. ჯანაშიას ზემოთ ციტირებულ განცხადებაში ნაგულისხმევი ზეწოლისა კომუნისტური რეჟიმის მხრიდან, თათბირზე საკითხი **აკადემიურად და იმ დროისათვის შეუფერებლად დემოკრატიულად განხილულა**.

თათბირს წარედგინა 4 პროექტი, რომელთაგან 2 ქართველ მეცნიერებს, კერძოდ, **აკაკი შანიძესა** და **სიმონ ჯანაშიას** ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად შეუდგენიათ, ხოლო დანარჩენი 2 პროექტიდან ერთის ავტორი აფხაზი მწერალი და მეცნიერი **დიმიტრი გულია** ყოფილა, მეორისა კი – იგივე **დიმიტრი**

გულია, ანდრია ჭოჭუა და მუშნი ჰაშბა (ამ უკანასკნელს, როგორც აღინიშნა, უკვე პქონდა ანბანის შექმნის საქმეში მონაწილეობის გამოცდილება).

ამ პროექტებიდან თათბირმა არ დაამტკიცა არცერთი, უკეთ, უარყოფილ იქნა დ. გულიას, ა. ჭოჭუასა და მ. ჰაშბას ერთობლივი პროექტი, ხოლო დანარჩენი 3 პროექტის შესაჯერებლად 4 დეკემბრის საღამოს სხდომაზე არჩეულ იქნა შემაჯერებელი კომისია აკაკი შანიძის, სიმონ ჯანაშიას, ვ. ხარაზიას, მ. მარღანიას, პლატონ შაყრილის, მუშნი ჰაშბას შემადგენლობითა და დიმიტრი გულიას თავმჯდომარეობით. კომისიამ ნაყოფიერად იშრომა და 5 დეკემბრის დილის სხდომაზე თათბირმა ერთხმად დაამტკიცა მის მიერ შეჯერებული პროექტი. ახალ აფხაზურ ანბანში გამოყენებული იყო მოქმედი ქართული ანბანის 33-ვე ასო, რომლებსაც სპეციფიკური აფხაზური ფონემების აღსანიშნად დაემატა 3 სრული ასო და 3 დიაკრიტიკული ნიშანი (იხ. ოქმები).

საკითხის ისტორიისათვის არსებითია ის ფაქტი, რომ თათბირის სამივე სხდომაზეც და შემაჯამებელი კომისიის მუშაობაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ და წამყვან როლს ასრულებდნენ აფხაზი მწერლები, მეცნიერები, პედაგოგები და ფუნქციონერები. არცერთი მათგანის (თვით სეპარატისტულ პოზიციაზე მდგომი პირებისაც კი[536]) გამოსვლაში არ გამოთქმულა არანაირი პროტესტი თუ სერიოზული შენიშვნა აფხაზური დამწერლობის საფუძვლად ქართული გრაფიკის შერჩევის გამო. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თათბირზე სიტყვით თუ რეპლიკით გამოსული 16 მონაწილიდან აფხაზი იყო 11, რომელნიც განხილვაში 22-ჯერ ჩაებნენ. მათგან მ. ჰაშბა 6-ჯერ გამოსულა, დ. გულია – 4-ჯერ, კ. ძიძარია – 3-ჯერ, ხ. ბღაჟბა – 2-ჯერ, ხოლო გ. შაკირბაი, ნ. პატეიფა, ბ. კაცია, ს. ბასარია, პ. შაყრილი, ვ. მაანი და ვ. ხარაზია – თითოჯერ. შდრ.: ქართველ მონაწილეთაგან 5-5-ჯერ გამოსულან პ. შარია და აკ. შანიძე, 3-ჯერ ს. ჯანაშია, 2-ჯერ არნ. ჩიქობავა და ერ-

[536] ასეთები იყვნენ: სამსონ ჭანბა, სიმონ ბასარია, ბაგრატ კაცია, კონსტანტინე შაყრილი.

თხელ ვ. თოფურია, ხოლო ნ. ბასილაია, ს. აქირთავა და ბ. ჯანაშია – არცერთხელ.

საყურადღებოა რუს დამსწრეთა საქციელიც:

1. მათგან სოხუმელი ჩანს ა. ფადეევი, რომელიც ესწრებოდა მხოლოდ 4 დეკემბრისა და 5 დეკემბრის დილის სხდომებს, მაგრამ არ დასწრებია 4 დეკემბრის საღამოს სხდომას. არადა იგი თათბირის ერთ-ერთ მდივნად იყო არჩეული. 4 დეკემბრის საღამოს სხდომაზე არ გამოცხადებულა არცერთი რუსი მონაწილე. ჩანს, ისინი სადღაც ატარებდნენ დროს და ვერ მოიცალეს (ეტყობა, ა. ფადეევიც მათ ახლდა), ხოლო 5 დეკემბრის დილის სხდომაზე მხოლოდ ა. ფადეევი გამოცხადებულა;

2. ა. გრენის, ზ. მორინასა და ი. ტიშჩენკოს მიერ თათბირის უყურადღებოდ მიტოვება და 4 დეკემბრის საღამოს სხდომასა და 5 დეკემბრის დილის შემაჯამებელ სხდომაზე გამოუცხადებლობა აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ მათ თათბირზე საგანგაშო ვერაფერი დაინახეს და ჩათვალეს, რომ საკითხი მათ გარეშეც აკადემიურად და საქმიან ატმოსფეროში განიხილებოდა, რომ ქართველები არ არღვევდნენ აფხაზი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. სხვაგვარად წარმოუდგენელია პროფ. ა. გრენის საქციელის ახსნა – ეს ის ა. გრენია, ვინც ნამეტნავად ვერ ეგუებოდა ქართველთა "შოვინიზმს" და ჯერ კიდევ 1899 წელს მის მიერვე შედგენილ «Мингрельская азбука»-ს წინასიტყვაობაში წერდა: "ამ ანბანის შედგენისას მე მი'ხნად მქონდა, როგორმე, თუნდაც ირიბად, გამომეწვია ნაციონალური ბრძოლისათვის მეგრელები, რომელთაც ფეხქვეშ თელავს უფრო ძლიერი ქართველი ხალხი. ამგვარი ბრძოლა, ჭეშმარიტად, სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, [იმ ანბანისა,] რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისევე გამოხატავდა, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში – ქართველი"[537]. პროფ. ა. გრენს რომ არ სცოდნოდა მეტროპოლიის აზრი აფხაზური დამწერლობის საფუძვლად ქართული გრაფიკის გამოყენების შესახებ, იგი ბოლომდე დარჩებოდა თათბირ-

[537] ტ. ხუნდაძე. ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (XIX ს. 80-იანი წლები). თბ., 1940, გვ. 104 (ციტატის თარგმანი ჩვენია – თ.გ.).

ზე და ერთ აურზაურს ატეხდა "აფხაზთა გაქართველების მცდელობის" გამო, ანდა მოსკოვში დაბრუნებული მაინც მიიღებდა ზომებს "აფხაზთა ეროვნული ინტერესების დასაცავად", რაც არ უქნია. მაშასადამე, მან მშვენივრად იცოდა, რომ ეს აქცია თბილისმა კი არა, საკავშირო ხელისუფლებამ დაგეგმა;

3. ა. გრენის, ზ. მორინასა და ი. ტიშენკოს მიერ თათბირის ნაადრევად დატოვებამ, როგორც ჩანს, გაანაწყენა აფხაზი მონაწილეები, რისი გამოხატულებაც უნდა იყოს ის ფაქტი, რომ თათბირის დასასრულს სხდომების თავმჯდომარე კ. ძიძარიამ განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა თბილისელი მეცნიერების მიმართ, მაგრამ საერთოდ არ უხსენებია რუსები. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან წყდებოდა აფხაზი ხალხისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი და ამ დროს ყოველ პროფესიონალურ მოსაზრებას თუ საქმიან შენიშვნას ოქროს ფასი ჰქონდა, რუსებმა კი ეს საკითხი არაფრად ჩააგდეს და წავიდნენ.

თათბირის აფხაზ მონაწილეთა აქტიური დაინტერესება აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის ქართული გრაფიკის შერჩევით სხვაგვარადაც იგრძნობა:

1. როცა 4 დეკემბრის დილის სხდომაზე თავმჯდომარის მიერ სხდომის გახსნის შემდეგ გამოსულ **მ. ჰაშბას** განუცხადებია, ამჟამად ხელთა გვაქვს პროფ. ა. შანიძის, პროფ. ს. ჯანაშიას, დ. გულიას, აგრეთვე გულია-ჭოჭუა-ჰაშბას პროექტებიო, **დ. გულიას** რეპლიკით დაუზუსტებია: **«У меня имеются ряд проектов»** ("მე პროექტების წყება მაქვს")-ო. ამ განცხადებაში აშკარად გამოსჭვივის აფხაზი მწერლისა და მეცნიერის სიამაყე იმით, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმეში;

2. ოქმებში შეინიშნება ერთგვარი დაპირისპირება-კონკურენცია თათბირის ზოგ აფხაზ მონაწილეს შორის, ოღონდ ამ კონკურენციას აშკარად პირადული ხასიათი აქვს და არ არის მიმართული ქართველ მეცნიერთა, ან ქართული გრაფიკის წინააღმდეგ, რომელიც **ყველა გამომსვლელს მოსწონდა**. მაგალითად, 4 დეკემბრის დილის სხდომაზე იმავე **მ. ჰაშბას** განუცხადებია, ქართული დამწერლობა მთლიანად უნდა მიეიღოთ იმ სახით, რაც მას ამჟამად აქვსო, ანუ მწერლისთვის მისაღები

ყოფილა ქართული ანბანის 33-ვე ასო-ნიშანი;

3. იმავე სხდომაზე **გ. შაკირბაის** უკმაყოფილება გამოუთქვამს პირადად მ. პაშბას მისამართით: "მ. პაშბამ წარმოადგინა ოთხი ავტორის მიერ შედგენილი ანბანის პროექტი და მას აფხაზური კულტურის ინსტიტუტის პროექტი უწოდა, მაგრამ ეს პროექტი არ არის ინსტიტუტისა, ვინაიდან ამ ანბანის შედგენაში აფხაზური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომლები არ მონაწილეობდნენ"-ო. ამაზე საკითხის შესახებ **ხ. ბღაჟბას** აღუნიშნავს: "ანბანის შედგენა მონოპოლიზებულ იქნა [აფხაზური კულტურის ინსტიტუტის] ზოგი თანამშრომლის მიერ და [პროექტი] არ განუხილავთ აფხაზური კულტურის ინსტიტუტისა და უფრო ფართო წრეებს";

4. თათბირის დახურვისას, 5 დეკემბერს სხდომის თავმჯდომარე **კ. ძიძარიას** უთქვამს:

"თათბირმა 4 და 5 დეკემბერს სამ სხდომაზე განიხილვის შემდეგ გამოიტანა ერთხმა გადაწყვეტილება და დაამტკიცა ქართულ ანბანზე დამყარებული ახალი აფხაზური დამწერლობის პროექტი. ამით საფუძველი ჩაეყარა ამ დამწერლობის ათვისების, დანერგვისა და ფართოდ გავრცელების დიდ სამუშაოს, რაც დაიწყება შესაბამისი ზემდგომი ორგანოების მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

ახალი ანბანი ხელს შეუწყობს ორი მოძმე ხალხის უფრო მეტად დაახლოებასა და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებას.

თათბირის მუშაობა ნაყოფიერი იყო იმიტომ, რომ მასში ადგილობრივ მუშაკებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისიდან ჩამოსული პროფესორები პ. შარია, ა. შანიძე, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, რომელთაც ჩვენ დიდ მადლობას მოვახსენებთ".

აქ ნახსენები ზემდგომი ორგანოები ფუნქციონირებდნენ სოხუმშიც, თბილისშიცა და მოსკოვშიც, კერძოდ, სოხუმში იყო კომპარტიის საოლქო კომიტეტი თავისი აგიტაცია-პროპაგანდისა და იდეოლოგიური განყოფილებით, ავტონომიური რესპუბ-

ლიკის ცაკი და სახალხო კომისართა საბჭო[538], აგრეთვე შინსახკომის[539] დატოტვილი სისტემა. გარდა ამისა, **სოხუმშივე არსებობდა აფხაზეთის ახალი ანბანის კომიტეტი** (ხელმძღვანელობდა **ზაქარია აგრბა**)[540], რომელსაც ევალებოდა აფხაზეთში გავრცელებულ ენათა დამწერლობის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის კურირება-განხილვა და საბჭოთა კავშირის ზოგად საანბანო პოლიტიკასთან კოორდინირება. კომიტეტი ანგარიშვალდებული იყო სსრკ ცაკთან არსებული ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის, როგორც **უმაღლესი ორგანოს**, წინაშე. ამ უკანასკნელის ნებართვის გარეშე აფხაზეთის კომიტეტი ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამდა. ამითაც იყო განპირობებული 1937 წლის 4-5 დეკემბრის თათბირზე პროფ. ა. გრენის, მოსკოვის თვალისა და ყურის, დასწრება. ყოველივე ეს კი **გამორიცხავდა იდეოლოგიურად უმნიშვნელოვანესი საკითხის (სამწიგნობრო ენისათვის გრაფიკის შერჩევის) მოსკოვის უნებართვოდ თვითნებურ განხილვასა და გადაწყვეტას.**

აქ გამოტანილი დასენა რომ სწორია, ამას ადასტურებს საქართველოს შსს საარქივო სამმართველოში დაცული მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია ზემოთ ხსენებული თათბირის შემდგომ, 1938 წლის პირველ კვარტალში განვითარებული მოვლენები[541].

ამ საბუთებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს 1938 წლის 9 მარტს შედგენილ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, მატერიალური კულტურისა და ისტო-

---

[538] **სახალხო კომისართა საბჭო** – აღმასრულებელი ორგანო, უდრიდა მინისტრთა საბჭოს/კაბინეტს.

[539] **შინსახკომი** (რუსულად – НКВД) – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ანუ სამინისტრო.

[540] აფხაზეთის ახალი ანბანის კომიტეტმა განახორციელა არა მარტო აფხაზური სამწიგნობრო ენის გადაყვანა ჯერ ლათინურ, მერე კი ქართულ გრაფიკაზე, არამედ დანერგა დამწერლობები აფხაზეთში გავრცელებულ მეგრულ და ლაზურ "ენებზეც".

[541] შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 14, აღწერა 12, საქმე № 383 (9341), Отдел пропаганды, агитации и печати. Материалы об абхазском алфавите. Начато 9.3. 1938 г. Окончено 9.3. 1938 г.

რიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. **სიმონ ჯანაშიას** მიმართვას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძისადმი**[542]. ამ მიმართვის პირები მეცნიერს გაუგზავნია ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარ **გ. სტურუასათვის**[543], საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვისა და პარტიული პროპაგანდის განყოფილების გამგე **ჰ. შარიასა** და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფკულტსამმართველოს უფროს **ხეჩუმოვისათვის**[544].

ს. ჯანაშიას ეს მიმართვა გამოხატავს მეცნიერის უკიდურეს აღშფოთებას ქართული გრაფიკის საფუძველზე ახალი აფხაზური შრიფტის დამზადების დაგვიანებისა და ზოგიერთი პირის, კერძოდ, ხეჩუმოვის მხრიდან ამ საქმის შეფერხების გამო.

მიმართვის ტექსტიდან ვიგებთ შემდეგ რეალურ ფაქტებს:

1. ქართულ გრაფიკაზე დამყარებული ახალი აფხაზური ანბანი მიმართვის დაწერის დროისათვის, 1938 წლის 9 მარტისათვის უკვე დამტკიცებული ყოფილა ზემდგომი ორგანოების მიერ. სამწუხაროდ, კონკრეტულად არ არის დასახელებული, თუ რომელმა ორგანომ დაამტკიცა პროექტი;

2. ს. ჯანაშიას "ხელმძღვანელი ორგანოებისაგან" დავალებული ჰქონია ქართულ შრიფტში აფხაზური ანბანისათვის აუცილებელი ასო-ნიშნების დამატება. ახალი აფხაზური ანბანი შედგებოდა 39 ასო-ნიშნისაგან. მიმართვის ტექსტიდან და საქ-

---

[542] **ვალერიან ბაქრაძე** – მსხვილი ფუნქციონერი. 1921 წელს მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაში, იყო XI არმიის მებრძოლი. 1924 წელს ებრძოდა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის რაზმს. 30-იან წლებში მუშაობდა პარტიულ თანამდებობებზე. ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-მასობრივ განყოფილებას, 1934 წელს დაინიშნა ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად, მერე გახდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

[543] **გიორგი სტურუა** – მსხვილი ფუნქციონერი. 1937-1938 წლებში იყო საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი, 1938 წელს დაინიშნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

[544] ამ პირის შესახებ ცნობები ვერ მოვიპოვეთ.

მეს დართული ახალი ასოების გრაფიკული ნიმუშებიდან ჩანს, რომ შესრულებულა 1937 წლის 4-5 დეკემბრის თათბირის საბოლოო გადაწყვეტილება და აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის გამოუყენებიათ თანამედროვე ქართული ანბანის (მხედრულის) 33-ვე ასო-ნიშანი, ხოლო სპეციფიკური აფხაზური ფონემების (ბგერების) გადმოსაცემად შემოუღიათ 6 დამატებითი ასო-ნიშანი, რომლებიც არ ჰქონდა ქართულ ანბანს. ამ 6 ასოს მოხაზულობა დამტკიცებულა 1938 წლის 11 იანვარს. მიმართეიდან ჩანს, რომ ეს ასოები დაუმტკიცებია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტს;

3. არსებულა კონკრეტული გეგმა, რომლის თანახმადაც, 1938 წლის 15 იანვრისათვის უნდა დამზადებულიყო სამი დამატებითი ასო-ნიშანი, რომლებიც არ არსებობდა ქართულ დამწერლობაში და საჭირო იყო აფხაზური ენის ზოგიერთი სპეციფიკური ფონემის (ბგერის) გადმოსაცემად: ჲ, ჷ, ჸ. დაგეგმილი ყოფილა ისიც, რომ იმავე წლის 28 მარტისათვის მთლიანად უნდა დასრულებულიყო ახალი აფხაზური შრიფტის ჩამოსხმა[545];

5. პასუხისმგებლობა ქართული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური ანბანის შემუშავების საკითხში ეკისრებოდა პროფ. **ს. ჯანაშიას**, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – პროფ. **აკ. შანიძეს**;

6. ახალი ანბანის ასოთა მოხაზულობის დამტკიცების შემდეგ აუცილებელი იყო ახალი ლინოტიპების[546] დამზადების შესახებ **ქ. ლენინგრადში არსებული მაქს გელცის ქარხნისათვის** დაკვეთის დროულად მიცემა. ეს ქარხანა მთელ საბჭოთა კავშირს ემსახურებოდა და ამზადებდა ლინოტიპებს საბჭოთა კავშირში გავრცელებული უკლებლივ ყველა სამწიგნობრო ენისათვის. ლინოტიპის მანქანების გარეშე ახალი აფხაზური დამწერლობა უბრალოდ ვერ იმოქმედებდა;

---

[545] მაშინ ასოები ტყვიისაგან ისხმებოდა.

[546] **ლინოტიპი** – სასტამბო მანქანა, რომელიც იძლეოდა ანაწყობს მთლიანი სტრიქონების ტექსტის ჩამოსხმით.

7. ს. ჯანაშია ჩიოდა, რომ საქმე ფერხდებოდა. ასეთი იდეოლოგიურად მნიშვნელოვანი საქმის შეფერხება კი იმ სისხლიან წელს პირადად მასაც და ზოგ სხვასაც შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, მით უმეტეს, რომ თურმე საქმის გაჭიანურებას მეცნიერს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფკულტსამმართველოს უფროსი ხეჩუმოვი აქეთ აბრალებდა. ს. ჯანაშიას თავის სამართლებლად პ. შარიასათვის წერილის გაგზავნაც დასჭირვებია. როგორც ჩანს, ხეჩუმოვი არც ამის შემდეგ აჩქარებულა და ს. ჯანაშია იძულებული გამხდარა, დაეწერა ეს საკმაოდ უსიამო შინაარსის წერილი.

მეორე საბუთი უთარიღოა, მაგრამ აშკარაა, რომ იგი იმავე 1938 წელს არის შედგენილი. რუსულ ენაზე შედგენილ ამ წერილს ხელს აწერენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი **გიორგი გორდეზიანი** და კულტპოლიგრაფმრეწვის უფროსი **ლოხიშვილი**[547]. წერილის ადრესატები არიან **ლენინგრადის მაქს გელცის ქარხანა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობის მართვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** (НИИЦ НКУП РСФСР). ავტორები ითხოვდნენ, სასწრაფოდ დაემზადებინათ ქართული ანბანის 12 ასოს ნიშნები, რომლებიც საკმარისი იქნებოდა ძველი სასტამბო მატრიცების 20-25 კომპლექტის განსაახლებლად. იქვე ისიც აღინიშნება, რომ ადრესატებს დამატებით მალე გაუგზავნიან აფხაზური და ოსური ასოების ნიშნებს (7-8 ერთეულს).

საქმეში წარმოდგენილია კიდევ ერთი საბუთი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სსრ კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში 1938 წლის 27 აგვისტოს შედგარი თათბირის

---

[547] ამ 2 პირის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ. პოლიგრაფკულტსამმართველო, რომლის უფროსიც ხეჩუმოვი ყოფილა, და კულტპოლიგრაფმრეწვი, რომლის უფროსადაც ლოხიშვილი ჩანს, ერთი და იგივე დაწესებულება უნდა ყოფილიყო. ეტყობა, ლოხიშვილი ხეჩუმოვის ნაცვლად დაუნიშნავთ.

ოქმს, რომლიდანაც ირკვევა, რომ ქართულ შრიფტში შეტანილი ყოველი ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინათ და სათანადო ნახაზებიც გაეგზავნათ ლენინგრადის მაქს გელცის ქარხნისათვის.

ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ფ. ტაგიროვის მოხსენებითმა ბარათმა საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებისადმი, რომელიც ძნელად იკითხება, და იმავე ფ. ტაგიროვის ხელმოწერილმა საბუთმა "ქართული მატრიცების ათვისებისათვის მასალების დამზადების სამუშაო დროის გათვლა შრიფტში ზოგიერთი დაზუსტების აუცილებლობის გათვალისწინებით". სამუშაო დროის განაწილების ამსახველ ამ ცხრილში გათვალისწინებულია: 1. მუშაობა მოსკოვში პირველ სექტემბრამდე; 2. მუშაობა თბილისში პირველი სექტემბრიდან; 3. მუშაობა მოსკოვში პირველი ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე. იქვე III დანაყოფის მე-6 პუნქტი გულისხმობს საკითხის შეთანხმებას რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოსთან და საქართველოს სსრ კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან.

ხუთივე დოკუმენტიდან სრულიად ცხადად ჩანს, რომ 1938 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის დეტალური საკითხების გადაწყვეტაში უშუალოდ მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაცია-დაწესებულებები და პირები:

1. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი (ენიმკი), მისი დირექტორი ს. ჯანაშია და პროფ. აკ. შანიძე;

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და მისი თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძე;

3. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალ-

ხო **კომისარიატი** და სახალხო კომისრები **გ. სტურუა** და **გ. გორდეზიანი;**

4. საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვისა და პარტიული პროპაგანდის **განყოფილება** და მისი გამგე **პეტრე შარია;**

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის **პოლიგრაფკულტსამმართველო** და მისი უფროსები **ხეჩუმოვი** და **ლოხიშვილი;**

6. ქ. ლენინგრადში არსებული **მაქს გელცის ქარხანა;**

7. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობის მართვის სახალხო კომისარიატის **ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** (НИИЦ НКУП РСФСР);

8. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის **პოლიგრაფიული მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტი** და მისი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ფ. ტაგიროვი;**

9. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის **პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველო.**

დავუმატოთ ამას **ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი,** რომლის წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობდნენ ქ. სოხუმში 1937 წლის 4-5 დეკემბერს გამართულ თათბირში და მიეღებთ საქმის კურსში მყოფ პირთა და ორგანიზაცია-დაწესებულებათა საკმაოდ გრძელ სიას.

რა თქმა უნდა, ამ საქმეში მონაწილე **ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა სიმრავლე აბსოლუტურად გამორიცხავს იმას, რომ აფხაზური სამწიგნობრო ენა ქართულ გრაფიკაზე მეტრო-პოლიასთან შეუთანხმებლად, პარტიზანულად გადაიყვანეს და ამის შესახებ მთელი 16 წლის მანძილზე არაფერი იცოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის ცაკმა და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ.** მეტიც, ცნობილია, რომ **ეს აქცია განხორციელდა** საკავშირო ხელისუფლების იმ **სპეციალური დადგენილების საფუძველზე, რომელიც გულის-**

ხმობდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების "სატიტულო მცირე ერების" სამწიგნობრო ენათა აუცილებელ გადაყვანას შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სატიტულო ერის ენისათვის არსებულ გრაფიკაზე[548].

უაღრესად დამაჯერებელია ამ საკითხის შესახებ ისტორიკოს-პოლიტოლოგ დაზმირ ჯოჯუას მიერ წარმოდგენილი განმარტება:

"ფორმალურად და, ასე ვთქვათ, "კულტურული ფასადის" თვალსაზრისით ეს ანბანური რეფორმა არ ტოვებდა იმპერიულ-ასიმილატორული მიზანდასახულობის შთაბეჭდილებას და არ ჩანდა "მცირე ერებზე" კულტურულ-ცივილიზაციური დარტყმის გამოვლინებად – "მცირე ერების" დამწერლობა გადაჰყავდათ იმ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენის გრაფიკაზე, რომლის შემადგენლობაშიც ამ ერების ავტონომიური წარმონაქმნები შედიოდნენ. ამიტომ **დამწერლობის სისტემა მოდიოდა გარკვეულ ჰარმონიზაციაში ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სისტემასთან და მოკავშირე რესპუბლიკებზე ავტონომიური ერთეულების უშუალო დაქვემდებარების ზოგად პოლიტიკურ მოდელთან.** თანაც ეს რეფორმა ხორციელდებოდა **ოფიციალურად,** ორგანული კანონმდებლობისა და კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში.

მაგრამ სულ სხვა ანალიტიკურ სიბრტყეში მოიაზრება რეფორმის ლატენტური მხარე, რომელიც რეალურად იმპერიულ-ასიმილატორულ ხასიათს ატარებდა, ოღონდ რუსიფიკაციის კონტექსტში. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ **მოკავშირე რესპუბლიკებს შორის იმ პერიოდში მხოლოდ ოთხის – რსფსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ და საქართველოს სსრ – ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სტრუქტურას გააჩნდა ავტონომიური წარმონაქმნები,**

---

[548] იხ.: ზ. პაპასქირი. ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ. "მცდელობის" შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში. – "საისტორიო ძიებანი", VI, თბ., 2003, გვ. 6; დ. ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბ., 2007, გვ. 57.

ხოლო მათგან მხოლოდ საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენას – ქართულ ენას ჰქონდა საკუთრივ ორიგინალური ანბანი, დანარჩენი რესპუბლიკების სახელმწიფო ენების დამწერლობა კი გაწყობილი იყო სლავურ-რუსულ ანბანზე, ე.წ. "კირილიცაზე".

ამდენად, ცხადზე უცხადესია, რომ 30-იანი წლების მეორე ნახევრის **"ალფაბეტური რევოლუციის" ძირითადი მიზანი იყო "მცირე ერების" დამწერლობათა სისტემების გადაყვანა რუსულ-სლავურ გრაფიკულ სისტემაზე და უნიფიკაციის ამგვარი მოდელის ფარგლებში** (ეს პროცესი წარიმართა 1938-1941 წლებში ლათინური შრიფტის "კირილიცაზე" მასობრივი გადაყვანით) **მათი კულტურულ-ინსტიტუციონალური რუსიფიკაციის ქმედითი ბაზისის შექმნა.** აფხაზური დამწერლობის რეფორმა, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დამწერლობის ლათინური შრიფტის გადაყვანა ქართულ გრაფიკულ სისტემაზე განხორციელდა "ანბანური რევოლუციის" **იმპერიული მოდელის ფარგლებს გარეთ,** უფრო მეტიც, მისი ერთგვარი ალტერნაციის კონტექსტში. მაგრამ ამისი მიზეზი უნდა ვეძებოთ არა ი. სტალინის და ლ. ბერიას[549] ეთნიკურ ქართველობაში, არც პიროვნების კულტისა და საბჭოთა რეჟიმის ტოტალიტარულ-რეპრესიული პოლიტიკის სპეციფიკურად ანტიაფხაზურ მიმართულებაში და განსაკუთრებით არც ქართველების მხრიდან აფხაზური ეთნოკულტურული თვითობის დესტრუქციის მცდელობაში, არამედ იმ სრულიად უდავო ლინგვო-ისტორიულ გარემოებაში, რომ ავტონომიების მქონე მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენებიდან მხოლოდ ქართული გამოირჩეოდა "კირილიცისგან" დიამეტრალურად განსხვავებული ანბანური დამწერლობით. ცხადია, იმპერიული ცენტრი თავის გადაწყვეტილებაში ვერ მოახდენდა ამ ქართული სპეციფიკის ნეიტრალიზებას და სპეციალურად საქართველოსთვის ცალკე გადაწ-

---

549 ლავრენტი ბერია მოსკოვში გადაიყვანეს 1938 წლის მეორე ნახევარში (თ.გ.).

ყვეტილებას ვერ მიიღებდა"[550].

აქვე მოკლედ მიმოვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებული იყო აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის ქართული გრაფიკის შერჩევა.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ **აფხაზური ენისათვის მსოფლიოში ამჟამად არსებული 14 სადამწერლობო-საანბანო სისტემიდან ყველაზე მეტად შესაფერისი სწორედ ქართული სადამწერლობო-საანბანო სისტემაა**, ვინაიდან აფხაზური და ქართული ენები საერთო წინაპარი ენისაგან წარმოშობილი ერთმანეთის გენეტიკურად მონათესავე ენებია და ტიპოლოგიურად მსგავსი ფონემატური (ბგერითი) სისტემები აქვთ:

– აფხაზურ ენას მოეპოვება 33-ვე ის ბგერა, რაც აქვს ქართულს;

– აფხაზურ თანხმოვანთა სისტემა შეიცავს მჟღერი, ყრუ ფშვინვიერი და ყრუ მკვეთრი თანხმოვნების ანალოგიურ ჯგუფებს (სამეულებს);

– ხმოვანთა შორის სხვაობა ერთადერთ ბგერაშია და ა.შ.

ამ მიზეზთა გამო ქართულ სადამწერლობო-საანბანო სისტემას დამატებით ნიშანთა მინიმალური რაოდენობის (სულ რაღაც 6 ნიშნის) შემოღება ეყო აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი უკლებლივ ყველა სპეციფიკური, ქართული ბგერებისაგან განსხვავებული ფონემების გადმოსაცემად. და ეს მაშინ, როცა სხვა სისტემებს (ლათინურსა და კირილიცას) გაცილებით მეტი დამატებითი ნიშნების შემოღება დასჭირდა ამ მიზნით. მაგალითად, პ. უსლარის მიერ 1862 წელს შექმნილ და შემდგომ დაზუსტებულ რუსულ გრაფიკაში, რომელიც მცირედი მოდიფიკაციით ამჟამადაც იხმარება, აფხაზური ენის სპეციფიკურ ბგერათა გადმოსაცემად გამოიყენება 14 დამატებითი ნიშანი, ხოლო ნ. მარის "ანალიზურ ანბანში" – 74, იაკოვლევ-პოლივანოვის ლათინიზებულ დამწერლობაში კი 49 ასო-ნიშანი შედიოდა.

აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის შესაფერისობა

---

[550] დ. ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბ., 2007, გვ. 57-59 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – თ.გ.).

კარგად ესმოდა გერმანელ ენათმეცნიერს, პროფ. გეორგ როზენს, რომელმაც 1846 წელს გამოცემულ აფხაზური ენის პირველ გრამატიკულ მიმოხილვაში აფხაზურ ფონემათა გადმოსაცემად გამოიყენა ქართული ანბანი. იმავე აზრზე იდგნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით გენერალ **ივანე ბარტოლომეოსი**[551] თავმჯდომარეობით შექმნილი კომისიის რუსი, აფხაზი და ქართველი წევრები: **ვ. ტრიროგოვი, დ. ფურცელაძე, გიორგი ქურციკიძე**[552], **იოანე გეგია**[553], **სიმონ ეშბა**[554], **ჰასან მარღანია**[555], **კონსტანტინე შარვაშიძე**[556] და **გრიგოლ შარვაშიძე**[557],

---

[551] **ივანე ბარტოლომეი** (1813-1870 წწ.) – იტალიურ-გერმანული წარმოშაელობის რუსი მოღვაწე. გენერალ-ლეიტენანტი, ნუმიზმატი, არქეოლოგი, ეთნოლოგი, მწერალი. 1850 წლიდან ოფიცრად მსახურობდა კაკასიაში, მონაწილეობდა ჩეჩნეთის, აფხაზეთისა და სვანეთის დაპყრობაში. ავტორია წიგნისა "მოგზაურობა თავისუფალ სვანეთ'ში 1853 წელს" (რუსულ ენაზე, ტფილისი, 1855 წ.). მისი ხელმძღვანელობით შედგა და გამოიცა "აფხაზური ანბანი" (ტფილისი, 1865 წ.) და "ჩეჩნური ანბანი" (ტფილისი, 1866 წ.).

[552] **გიორგი ქურციკიძე** – ქართული წარმოშაელობის აფხაზი, რუსული არმიის პრაპორშჩიკი.

[553] **იოანე (ივანე) გეგია** – ერთ-ერთი პირველი აფხაზი სასულიერო მოღვაწე, ლიხნის ტაძრის მღვდელი, პედაგოგი. სასულიერო განათლება მიიღო აფხაზეთის ეპისკოპოსის, წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის მზრუნველობით. მხარში ედგა წმ. ალექსანდრესა და სოხუმის ეპისკოპოსს, წმ. გაბრიელ ქიქოძეს. ამ უკანასკნელს განზრახული ჰქონდა, შეედგინა კომიტეტი ი. გეგიას, კეთილმოწესე დ. მაჭავარიანისა და აფხაზური ენის მცოდნე სხვა პირთაგან, რათა აფხაზურად თარგმნილიყო ყოველდღიური ლოცვები, "მრწამსი", 10 მცნება, საკვირაო სახარება და ლიტურგიკული თხზულებანი.

[554] **სიმონ ეშბა** (დაიბადა 1825 წელს) – აფხაზი აზნაური, აფხაზეთის საეპისკოპოსოს თარჯიმანი.

[555] **ჰასან მარღანია** – გავლენიანი აფხაზი აზნაურის კაც მარღანიას ძმა. თურქოფილი, ანტიქრისტიანი.

[556] **კონსტანტინე შარვაშიძე** – აფხაზი მოღვაწე. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ქართველი თავად-აზნაურების 1832 წლის ანტირუსული შეთქმულების მონაწილე.

[557] **გრიგოლ შარვაშიძე** – გავლენიანი აფხაზი თავადი, ცნობილი ქართველი მოღვაწის კესარია დადიანის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. დედასთან ერთად ხელი შეუწყო აბჟუის აფხაზეთში

რომლებმაც სცადეს, გამოეყენებინათ სწორედ ქართული გრაფიკა განზრახული წიგნის შედგენისას, მაგრამ საქმეში ჩაერია გენერალი და ენათმეცნიერი **პეტრე უსლარი**[558], რომელმაც უჩივლა ი. ბარტოლომეის კომისიას და იძულებული გახადა მისი წევრები, გამოეყენებინათ რუსული გრაფიკა, თუმცა თვით პ. უსლარს შესანიშნავად მოეხსენებოდა, რომ აფხაზური ენისათვის ყველაზე შესაფერისი ქართული გრაფიკა იყო. როგორც აღვნიშნეთ, იგი წერდა კიდეეაც:

"ეს [= ქართული გრაფიკა] ლამის ყველაზე სრულყოფილია არსებულ ანბანთა შორის. ყოველი ბგერა აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით და ყოველი ასო გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენას აქვს დაბრკოლება – ესაა მართლწერა [იგულისხმება წერისა და წარმოთქმის დაშორებულობა – თ.გ.]; ქართველებისათვის მათი ანბანის სრულყოფილების გამო ეს სირთულე თითქმის არ არსებობს... აქედან ჩანს, რომ ქართული საანბანო სისტემა შეიძლება აღებულ იქნეს საფუძვლად აქამდე დამწერლობის არმქონე ყველა კავკასიური ენისათვის საერთო ანბანისა. მაგრამ თუ ჩვენ ქართველებისაგან ვისესხებთ არა მარტო საანბანო სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობასაც, ამით სრულიად თვითნებურად წარმოექმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება, რაც მეტად გავრცელდება რუსული წერა-კითხვა კავკასიაში".

მოსახლე აფხაზთა მასობრივ მონათვლას გაბრიელ ქიქოძის მიერ. მონაწილეობდა 1892 წელს სოხუმის საეპისკოპოსოსთან შექმნილი იმ კომისიის მუშაობაშიც, რომელსაც განზრახული ჰქონდა ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნა აფხაზურ ენაზე.

[558] **პეტრე უსლარი** (1816-1875 წწ.) – გერმანული წარმომავლობის რუსი მოღვაწე, გენერალ-მაიორი, ენათმეცნიერი და ეთნოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 25 წელს მსახურობდა კავკასიაში, მონაწილეობდა დაღესტნის, ჩეჩნეთის, ჩერქეზეთის, უბიხეთისა და ყირგიზეთის დაპყრობაში, სოფ. ხალდეს (სვანეთი) მოსახლეობის ანტირუსული აჯანყების ჩახშობაში. წარმატებით იკვლევდა აფხაზურ, უბიხურ, ჩერქეზულ, ჩეჩნურ, ხუნძურ, ლაკურ, დარგუულ, ლეზგიურ და თაბასარანულ ენებს. მის ლინგვისტურ გამოკვლევებს ფასი დღესაც არ დაუკარგავთ.

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ პ. უსლარისათვის კავკასიის ხალხთა გარუსება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კავკასიური ენებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი დამწერლობის შემოღება. ამიტომ იყო, რომ მან 1862 წელს გამოცემულ აფხაზური ენის გრამატიკაში გამოიყენა არა ის გრაფიკა, რომელიც უფრო გამოსადეგი იყო ამ ენისათვის (ქართული), არამედ რუსული გრაფიკა (კირილიცა).

აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის შესაფერისობაზე წერდა ამ ენის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი **პეტრე არაიაც**[559]:

"აფხაზური ენა იმდენად მდიდარია სხვადასხვა ბგერებით, რომ ის [სპეციფიკური ბგერები – თ.გ.] უსლარმაც ვერ შენიშნა, რადგან ვერც ერთი ალფავიტი, მათ შორის რუსულიც, ვერ გამოხატავს ამდენ ბგერას. ამიტომ აფხაზური ანბანის შედგენაში საფუძვლად უნდა მიეღოთ ქართული ანბანი, რადგან ქართული ენა ბგერათა სისტემის მხრით ყველაზე მეტად უახლოვდება აფხაზურს... მაგრამ მაშინ გაავრცელეს აფხაზებს შორის ჰმა: ქართველებს უნდათ, მოგისპონ ენა და ეროვნებაო, იმათა სურთ თქვენი გაქართველებაო. ასეთის ცრუ მოწმობით და ქადაგებით იმდენად მოიხიბლა და გაფანატიკოსდა ზოგი, რომ ღვთის წყალობა რომ გეთქვა, ღვთის წყრომად ჩაგითვლიდნენ... თუ აფხაზები დაფიქრდებიან იმაზე, თუ რას უქადის მათ ქართველებთან კავშირის გაწყვეტა და მიიღებენ აფხაზურ წერა-კითხვის ახლად შექმნილ ქართულ ანბანს [იგულისხმება ქართული გრაფიკის საფუძველზე შესადგენი საანბანო სახელმძღვანელო – თ.გ.], რომელიც, როგორც ბ-ნი ი.

---

[559] **პეტრე ჭარაია** (1861–1919 წწ.) – ქართველი ქართველოლოგი და აფხაზოლოგი, პედაგოგი, ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, ეთნოლოგი და პუბლიცისტი. მოღვაწეობდა აფხაზურ სოფელ ეშქითში (ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონი), სადაც აფხაზ მოწაფეებს ასწავლიდა აფხაზურ და ქართულ ენებს. ავტორია პირველი სპეციალური ნაშრომისა, რომელშიც განხილული და დასაბუთებულია საკითხი აფხაზური და ქართული ენების გენეტიკური ნათესაობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილს სურდა მისი მიწვევა ახლადგახსნილ თბილისის უნივერსიტეტში აფხაზური ენის ლექტორად, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა პ. ჭარაიას სნეულებისა და გარდაცვალების მიზეზით.

გოგებაშვილი გვახსენებს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში აფხაზურიც იყო და რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება აფხაზური ენის ზმებს, მაშინ ქართველებიც ძმურად ხელს გაუწვდიან მათ და შეძლებისამებრ დახმარებას გაუწევენ აფხაზური წერა-კითხვის შემოღების საქმეში. მაგრამ რადგან პოლიტიკანების ზემოქმედებით, ეს მათ [აფხაზებმა – თ.გ.] არ ინებეს, ასეთ გარემოებაში ქართველებს დარჩენიათ მხოლოდ ერთი: უსურვონ აფხაზებს, რომ დაწყებული საქმე მათის ეროვნებისათვის სასარგებლო გზით წასულიყოს და გაახსენონ, ძმობა-ერთობა ქართველებთან აფხაზებს სიკეთის მეტს არრას მოუტანს"[560].

აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი **დ. გულია** წერდა, რომ სრულიად ნათელია, აფხაზური დამწერლობის გადაყვანა ქართულ გრაფიკაზე აფხაზური კულტურის წინსვლა-განვითარებას შეუწყობს ხელს, რადგანაც ქართული ანბანი ყველაზე შესაფერისია აფხაზური ენის ბგერათა სრულად და ზუსტად გადმოცემისთვის[561]. იმავე აზრს გამოხატავდა გაზეთ "სოვეტსკაია აბხაზიას" 1938 წლის 23 მარტის ნომერში **მ. დელბაც**, ხოლო ცნობილი აფხაზი ენათმეცნიერი **ხ. ბღაჟბა** აღნიშნავდა, რომ ქართული გრაფიკა ყველაზე სრულყოფილად გადმოსცემდა აფხაზური ენის მთელ ბგერით სისტემას[562].

აფხაზური სამწიგნობრო ენის რუსულ გრაფიკაზე დაფუძნების პროეკაციულ ხასიათზე მიუთითებდა აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი **სიმონ აშხვაწაა**, რომელიც აღნიშნავდა, რომ ამ აქციას მიზნად ჰქონდა აფხაზი ხალხის მოწყვეტა მონათესავე ხალხებისაგან[563].

---

[560] პეტრე ჭარაია. აფხაზური ანბანის შესახებ. – გაზ. "ისარი", № 282, 1907 წ. 21 დეკემბერი.

[561] წიგნიდან: Г.П. Лежава. Между Грузией и Россией. М., 1997, გვ. 125-126.

[562] Х.С. Бгажба. Труды, книга I. Сухуми, 1987, გვ. 28.

[563] **სიმონ აშხვაწაა** (მის გვარს ქართულად შეცდომით **აშხაცავა**-ს ფორმით წერენ. 1886-1937 წწ.) – 1918 წლიდან იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, სადაც მხარს უჭერდა ჩრდილოეთ კავკასიასთან აფხაზეთის მიერთებას. საბჭოთა პერიოდში მუშაობდა სამეურნეო და

1937 წლის დეკემბრის თათბირის დროს აფხაზური ინტელიგენციის ელიტის (მეცნიერთა, მწერალთა, ჟურნალისტთა, პედაგოგთა და პოლიტიკოსთა) აქტიური მხარდაჭერა ქართული გრაფიკის შემოღების იდეისათვის ცხადყოფს იმას, რომ თავიანთი დედაენისათვის ყველა მათგანს სხვა სადამწერლობო სისტემებთან შედარებით უფრო შესაფერისად ქართული გრაფიკა მიაჩნდა, რაც სრულიად მართებული პოზიცია იყო წმინდა სამეცნიერო თვალსაზრისითაც. სხვა საქმეა, რომ დედაენისათვის ნებისმიერი სადამწერლობო სისტემის შექმნა, ან შერჩევა მხოლოდ ამ კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკე ეთნოსის უფლებაა და ამ საქმეში სხვა არავინ უნდა ერეოდეს.

დასასრულ ასევე მოკლედ შევეხებით იმასაც, თუ რა მოუტანა აფხაზურ ენას ქართული გრაფიკის შემოღებამ.

დავიწყოთ იმით, რომ ქართული გრაფიკის შემოღებას თან არ მოჰყოლია აფხაზური ენისათვის უცხო მართლწერის წესების თავსმოხვევა მაშინ, როდესაც 1936 წლიდან რუსულ გრაფიკაზე (კირილიცაზე) მასობრივად გადაყვანილ ათეულობით ენაში ძალდატანებით დამკვიდრდა რუსული მართლწერისა (ორთოგრაფიისა) და სწორმეტყველების (ორთოეპიის) ნორმები, რამაც გამოიწვია ამ ენებში უცხო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების დანერგვა, სხვა ენის მახვილის გავრცელება, სერიოზულად შეარყია ამ ენებზე მეტყველ ეთნოსთა სამეტყველო ბაზისი, გზა გაუხსნა რუსიზმების, სოვეტიზმებისა და ინტერნაციონალიზმების წამლეკავ მასას.

განვიხილოთ, მაგალითად, აფხაზური ენის უახლოეს მონათესავე ენაში, აბაზურში, მომხდარი სერიოზული ძვრები, რაც მოჰყვა ამ ენის კირილიზაციას 1938 წელს:

1. ლათინური გრაფიკიდან კირილიცაზე გადაყვანის დროს გამოყენებულ იქნა რუსულ ენაში არსებული უკლებლივ ყველა ასო, მიუხედავად იმისა, სჭირდებოდა ისინი აბაზურ ენას

სამეცნიერო ასპარეზზე. აყალბებდა აფხაზეთის ისტორიას. იხ.: С.М. Ашхацава. Пути развития абхазской истории. Доклад читанный на 1-м Всесоюзном Краеведческом съезде Абхазии 12 сентября 1924 г. Сухуми, 1925, გვ. 37-38. ავტორი აქ მონათესავე ხალხებში, უპირველეს ყოვლისა, ქართველებს გულისხმობდა.

თუ არა. ამ გზით ენაში დღემდე ინერგება მისთვის უცხო ბგერები და ბგერათკომპლექსები;

2. კატეგორიულად აიკრძალა რუსიზმების, აგრეთვე რუსული ენის მეშვეობით აბაზურ ენაში ნასესხები უცხო სიტყვების წერა რუსული ენისაგან განსხვავებული ფორმით. ამით აბაზურ ენას თავს მოახვიეს რუსული მართლწერისა და ორთოეპიის ნორმები და ხელი შეეწყო აბაზა ხალხის სამეტყველო ბაზისის გადაგვარებას;

3. აბაზურ ენაში არსებულ და რუსულისათვის უცხო სპეციფიკურ ბგერათა (ә, ҭ, ԥ, ҵ, ҷ, ҳ...) გადმოსაცემად გამოიყენება ორ- და სამასოიანი კომპლექსები და ერთადერთი დამატებითი ნიშანი, რაც არღვევს ანბანის ეკონომიურობის პრინციპს და ართულებს ამ ენის სწავლებას;

4. აღუნიშნავი დარჩა ენაში არსებული რამდენიმე სპეციფიკური ბგერა;

5. რუსულის გ'ხით ნასესხებ სიტყვებში მახვილი რუსულის მსგავსია;

5. ოფიციალურად დაინერგა ის წესი, რაც სრულიად სამართლიანად არ მოსწონდა ჰ. უსლარს ევროპულ ენათა უმრავლესობაში – წერისა და წარმოთქმის სხვადასხვაობა: აბაზურში რუსულის გზით ნასესხები სიტყვები იწერება ერთნაირად, მაგრამ იკითხება სხვაგვარად (მაგალითად, წერენ контора-ს, ამბობენ "ქანტორა"-ს და ა.შ.)..

ამ დრაკონულმა წესებმა აბაზურ ენას ის მოუტანა, რომ აბაზათა ამჟამინდელი თაობების მეტყველება (პრონონსი) ძალზე დაუახლოვდა რუსულ გამოთქმას, დაარღვია ენის ბუნებრივი იერსახე და საფრთხე შეუქმნა ამ ენის მომავალს.

მოვიყვანთ **ოსური ენის** მაგალითსაც, თუმცა მანამდე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მთელ საბჭოთა კავშირში აქტიურად წარმართული რუსიფიკატორული პოლიტიკა გულისხმობდა რამდენიმე სტრატეგიული საკითხის გადაწყვეტას იმგვარად, რომ იმპერიის არარუსულ მოსახლეობასაც და დანარჩენ მსოფლიოსაც თვალში არ სცემოდა გარუსების პოლიტიკის სიშიშვლე. ეს სტრატეგიული საკითხები იყო:

1. თუ ყველა ენისათვის არა, ენათა უმრავლესობისათვის მაინც რუსული გრაფიკის თავსმოხვევა;

2. კონკრეტული ენების სპეციფიკური საარტიკულაციო თავისებურებების მაიგნორირებელი დრაკონული ორთოგრაფიული და ორთოეპიული ნორმების შემოღება;

3. არარუსულ ენებში რუსული ენიდან, ან მისი შუამავლობით ლექსიკის დიდი რაოდენობის ჩანერგვა, თანაც რუსული ენისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფიულ-ერთოეპიული ფორმით;

4. კონკრეტულ ენებში ნასესხები ლექსიკის წილის განუხრელი ზრდა და ამ გზით **"ზოგადსაბჭოური ლექსიკის საერთო ფონდის"** შექმნა ენათა დაგეგმილი შერწყმის პროცესის გასაადვილებლად და ა.შ.

საბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთი აქტიური მომხრე, ოსი ენათმეცნიერი **მ. ისაევი** უნებურად ამხელდა იმპერიის მიზნებს, როცა ენობრივი პოლიტიკის ცენტრალიზაციაზე მსჯელობდა და წერდა: "სოციალისტურ სახელმწიფო'ში [ენათა] ურთიერთგამდიდრება **სტიქიური პროცესიდან მართულ [პროცესად] იქცევა**"-ო[564]. აქ ხსენებული "ურთიერთგამდიდრება" რეალურად სულაც არ გულისხმობდა რუსული და არარუსული ენების ორმხრივ გამდიდრებას, რადგანაც, როგორც თვით მ. ისაევიც აღნიშნავდა, "საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, რომ ჩვენს ეპოქაში [ე.ი. საბჭოთა გეგმიური ენობრივი პოლიტიკის პირობებში – თ.გ.] **რუსული ენიდან და მისი მეშვეობით სსრკ სხვა ხალხთა ენებში ხვდება სიტყვათა გაცილებით დიდი რაოდენობა, ვიდრე მათგან რუსულში**"[565]. ეს იმას ნიშნავს, რომ ენობრივი ინტერნაციონალიზაცია რუსულ ენას კი არ უქმნიდა საფრთხეს, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ენებს, განსაკუთრებით კი მცირერიცხოვან ეთნოსთა ენებს, რომლებსაც **სწორედ რუსული გრაფიკა უსრულებდა ტროას ცხენის როლს რუსიზმების, სოვეტიზმებისა და ინტერნაციონა-**

---

[564] М.И. Исаев. О языках народов СССР. Москва, 1978, გვ. 43 (თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

[565] იქვე, გვ. 44 (თარგმანი და ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

ლიზმების წამლეკავი მოძალების პირობებში.

სახიფათო მასშტაბებს აღწევდა აგრეთვე რუსულის გზით არარუსულ ენებში დარგობრივი ტერმინოლოგიის მიძალებაც. ხანგრძლივი სამწიგნობრო ტრადიციების მქონე ენებს რუსულთან კონტაქტამდეც მოეპოვებოდათ საკუთარი დარგობრივი ტერმინოლოგია და გამომუშავებული ჰქონდათ უცხო ლექსიკის ფონეტიკური ადაპტაციის წესები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლექსიკის მოჭარბებული სესხება მათაც კი უქმნიდა საფრთხეს, რომ არაფერი ეთქვათ ახალდამწერლობიან ენებზე, რომელთაც ტერმინოლოგიური ლექსიკის მარაგი თითქმის არ მოეპოვებოდათ. ეს უკანასკნელნი იძულებულნი იყვნენ, ყოველგვარი ფონეტიკური ადაპტაციის გარეშე, რუსულის ნორმებით გადმოელოთ ეს ტერმინები.

იგივე მ. ისაევი თავისი დედაენის, ოსურის შესახებ აღნიშნავდა, რომ 1917 წლამდე ოსურ ენაში რუსულის გზით ნასესხები ლექსიკა ადაპტირებულია ფონეტიკურად და ემორჩილება ამ ენის ორთოგრაფია-ორთოეპიის კანონებს (**სტოლ** "მაგიდა", **სკაფ** "კარადა", **ფეც** "ღუმელი", **სკოლა** "სკოლა", **დოხტურ** "ექიმი", **კაბუსკა** "კომბოსტო", **კანტორ** "კანტორა", **კამის** "კომისია", **სარა** "ფარდული", **ცაი** "ჩაი" და ა.შ.), მაგრამ საბჭოთა პერიოდის ნასესხობანი იმით განსხვავდებიან რევოლუციამდელისაგან, რომ ისინი ფონეტიკურად თითქმის უცვლელად, თანაც **გეგმიურად** იქნა ჩანერგილი ენაში. ოსი მეცნიერის ნაშრომიდან მოგვყავს ერცელი ამონარიდის თარგმანი:

"მრავალ მათგანში [ნასესხებ სიტყვებში – თ.გ.] აშკარად საგრძნობია **ფონეტიკური მოვლენები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი ოსური ენისათვის**. ამგვარ მოვლენებს შეიძლება განეკუთვნოს, უპირველეს ყოვლისა, ნასესხებ სიტყვებში **ოსურისათვის არადამახასიათებელ э, ж, ш, щ, ы ფონემათა და რბილ თანხმოვანთა მთელი ჯგუფის არსებობა** (მაგალითად: **эпохæ** "ეპოქა", **коэффициент** "კოეფიციენტი", **жюри** "ჟიური", **журнал** "ჟურნალი", **маршал** "მარშალი", **шахмæттæ** "ჭადრაკი", **щёткæ** "ჯაგრისი", **Щедрин** [რუსული გვარია], **промышленность** "მრეწველობა", **вымпел** "ვიმპელი", **стиль** "სტილი", **Горький**

[რუსი მწერლის ფსევდონიმია], **Харьков** [ქალაქია უკრაინაში], **вольт** "ვოლტი" და ა.შ.). **ამ ბგერათა წარმოთქმა, ჩვეულებრივ, უახლოვდება რუსულს.**

ნასესხები სიტყვები, როგორც წესი, **ინარჩუნებენ რუსულ მახვილს**, თუმცა ის ხშირად არ ემთხვევა ოსურს.

საბჭოთა პერიოდში ნასესხებ სიტყვათა ფონეტიკური თავისებურებების ერთობლიობისა და მათი მრავალრიცხოვნობის გათვალისწინებით, მიღებულ ორთოგრაფიაში ზოგჯერ **ჩამოყალიბებულია მათი მართლწერის განსაკუთრებული წესები.** ოსურ ენაში საბჭოთა პერიოდში შესული **რუსული სიტყვები და ინტერნაციონალური სიტყვა-ტერმინები იწერება ფუძეთა ცვლილების გარეშე, ანუ რუსული ორთოგრაფიული დაწერილობით,** ამასთანავე ისინი იღებენ ოსურ გრამატიკულ გაფორმებას: **коммунист** "კომუნისტი", **элеватор** "ელევატორი", **редакци** "რედაქცია", **революцион** "რევოლუცია", **бригад** "ბრიგადა", **орфографи** "ორთოგრაფია", **кинотеатр** "კინოთეატრი", **партизан** "პარტიზანი", **коллективизаци** "კოლექტივიზაცია" და ა.შ. დათქმულია, რომ ზოგიერთ სახელსა და სახელწოდებაში ნარჩუნდება დაბოლოებებიც: **Александрия** [ქალაქი ეგვიპტეში], **София** [ბულგარეთის დედაქალაქისა და ქალის სახელი], **Византия** "ბიზანტია", **Афины** [ათენი], **Горький** [რუსი მწერლის ფსევდონიმი] და ა.შ.

საკუთრივ ოსური სიტყვებისაგან განსხვავებით, ნასესხობებში სიტყვის თავში **არ იწერება პროთეტური ხმოვანი;** იგივე ხდება სიტყვის ფუძე'შიც თანხმოვანთა ჯგუფებს შორის: **трактор** "ტრაქტორი", **центр** "ცენტრი", **студент** "სტუდენტი", **стан** "დგანი", **министр** "მინისტრი", **тактикæ** "ტაქტიკა" და ა.შ.

სხვა ეროვნების პირთა გვარები, სახელები და მამის სახელები იწერება ისევე, როგორც ფორმდება წყარო-ენაში: **Александр Сергеевич Пушкин, Алексей Максимович Горький, Николай Васильевич Гоголь** და ა.შ. თუმცა დაშვებულია სხვაგვარი დაწერილობაც: **Александр Сергейы фырт Пушкин, Алексейы Максимы фырт Горький, Николай Василийы фырт Гоголь** და ა.შ...

რუსული ენის გავლენით გარკვეული ძვრები ხდება ენათა ბგერით წყობაშიც [ე.ი. ბგერით შემადგენლობაში – თ.გ.], თუმცაღა ისინი ნაკლებად შესამჩნევია[566] და მათი განმარტება ხშირად იწვევს სპეციალისტთა კამათს.

გაცილებით უფრო თვალში საცემია რუსული ენის გაელენა სინტაქსსა და სტილურ სისტემათა განვითარებაზე".[567].

ამრიგად, ირკვევა, რომ ოსური ენის გადაყვანას რუსულ გრაფიკაზე სერიოზულად შეულახავს მისი ბუნებრივი იერსახე ყველა ენობრივ დონეზე: ფონოლოგიურ სისტემაში, ფონეტიკურ პროცესებში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, სტილისტიკასა და ლექსიკაში.

ოგივე ითქმის უკლებლივ ყველა იმ ენის შესახებაც, რომლებიც რუსულ გრაფიკაზე გადაიყვანეს 1936 წლიდან.

რაც შეეხება აფხაზურ სამწიგნობრო ენას, მისთვის ქართული გრაფიკის შერჩევას **თან არ მოჰყოლია** 1938-1954 წლებში ქართული ორთოგრაფიისა და ორთოეპიის წესების თავსმოხვევა, სხვა ენებიდან (მათ შორის ქართულიდანაც) სიტყვათა სესხება ხდებოდა ბუნებრივად და აფხაზურ ენას ჰქონდა საშუალება, მოეხდინა ამ უცხო სიტყვათა ფონეტიკური ადაპტაცია თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ნასესხები სიტყვები იწერებოდა არა ისე, როგორც იწერება ქართულში, არამედ ისე, როგორც ამას თვით აფხაზური ენის ბუნება იგუებს და ა.შ.

ამ მიზეზთა გამო 1938-1954 წლების მანძილზე აფხაზურ ენაში მინიმალური რაოდენობით შევიდა რუსიზმები, სოვეტიზმები და ინტერნაციონალიზმები, ხოლო ქართველიზმები ძალზე მცირე ოდენობით აღმოჩნდა ნასესხები. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით სრული საფუძველი გვაქვს, დავასკვნათ:

1 აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის შერჩევა არ ისახავდა მიზნად აფხაზთა გაქართველებას, თორემ მოიძებნებოდა ორთოგრაფიისა და ორთოეპიის წესები, რომლებიც უზ-

---

[566] მართალია, ენის ბგერითი შემადგენლობის ცვლა ნაკლებად შესამჩნევია, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ძირფესვიანად არყევს ენის ბუნებრივ იერსახეს (თ.გ.).

[567] М.И. Исаев. О языках народов СССР. М., 1978, გვ. 51.

რუნველყოფდა აფხაზური ენის ბუნებრივი იერსახის შეცვლასა და ამ ენაში ქართული ნორმების დამკვიდრებას;

2. აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის გამოყენების 16-წლიანმა პერიოდმა გადაარჩინა აფხაზური ენა რადიკალურ დამანგრეველ ცვლილებებს, შეანარჩუნებინა მას ბუნებრივი იერსახე და შეაყოვნა რუსიფიკაციის პროცესი, რომელსაც ინტენსიური ხასიათი მიეცა 1954 წლიდან, ანუ იმ დღიდანვე, როცა მოხდა აფხაზური სამწიგნობრო ენის ხელახალი კირილიზაცია.

დანართი.
1937 წლის 4-5 დეკემბრის თათბირის ოქმები და მათი ქართული თარგმანი[568]:

დოკუმენტი №1

Копия

ПРОТОКОЛ

специального совещания по вопросу принятия нового алфавита при Институте Абхазской Культуры им. Н.Я. Марра Грузинского филиала Академии Наук СССР с участием представителей научных, общественных организаций, а также педагогов-практиков

4 и 5 декабря 1937 г. в г. Сухуми.

ДНЕВНОЕ ЗАСЕДАНИЕ 4-го декабря.

ПРИСУТСТВУЮТ: проф. Шария П.А., проф. Шанидзе А.К., проф. Топурия В., проф. Чикобава А.С., Гулия Д.И., Делба М.К., Хашба М.Л., Басария С.П., Пате-Ипа Н.С., Шакрыл П.С., Шакрыл К.С., Герия Н.Э., Маан В.Н., Гулия Г.Д., Дзидзария К.Ф.,[569] Шакирбая Г.З., Бгажба Х.С., Кокоскерия Н., Тищенко И.П., педаг. Харазия В.Н., педаг. Симония С.Б., педаг. Кация Б.А., Басилая Н., Морина З.М., проф. Грен А.Н., Акиртава С.В., Гочуа М.Д., проф. Джанашия С.Н., Фадеев А.В., Джанашия Б.П.

Председатель - К.Ф. Дзидзария
Секретарь - Б.П. Джанашия, А.В. Фадеев.

Председательствующий, открывая совещание предлагает перейти к обсуждению имеющихся проектов: 1) проф. Шанидзе, 2) проф.

---

[568] დოკუმენტები და მათი ქართული თარგმანი ქვეყნდება პირველად.
[569] ოქმებში ამ პირის ინიციალად, როგორც ითქვა, ხან კ. წერია, ხან – გ. რაკი იგი კონდრატ ძიძარია უნდა იყოს, აქაც და თარგმანშიც ვწერთ კ.-ს.

Джанашия, 3) Д. Гулия, которые исходят из принципа изображения дополнительных абхазских звуков с помощью служебных знаков, и 4) сводный проект М. Хашба, Д. Гулия, А. Чочуа, основанный на приближении к принципу создания особых начертаний для каждого звука.

ХАШБА М.Л. Имевшиеся раньше абхазские алфавиты не удовлетворяли нас. 15-я Абхазская областная партконференция в текущем году приняла решение о переходе на грузинский алфавит. Сейчас у нас имеются проекты проф. Шанидзе, проф. Джанашия, Гулия Д. и сводный проект Д. Гулия, Чочуа и Хашба М.

ГУЛИЯ Д.И. У меня имеется ряд проектов.

Проф. ШАРИЯ П.А. Мы хотим знать к какому проекту склоняются местные товарищи.

ХАШБА М.Л. Мы были склонны к тому, чтобы избежать двойных знаков.

Проф. ШАРИЯ П.А. Сколько надо дополнит. знаков?

ХАШБА М.Л. Было 13, а теперь 11 или 12.

Проф. ШАРИЯ П.А. Сколько было знаков в старом абхазском алфавите на основе русского алфавита?

ХАШБА М.Л. 56 знаков.

БГАЖБА Х.С. Я хочу отметить, что на широком собрании проекты не обсуждались.

Проф. ДЖАНАШИЯ С.Н. Мы, тбилисские работники, рассматриваем себя, как консультантов. Вопрос должен разрешить тот, кто его поставил, т.е. трудящиеся и культурные работники Абхазии. Вопрос надо было обсудить на широких собраниях. Для того, чтобы решить вопрос, какой алфавит будет хорошим, надо показать, почему существующие алфавиты были плохи. Алфавиты менялись часто. Интересно было бы услышать мнение практических работников о недостатках старых алфавитов. Я лично представляю себе дело так: было два затруднения многобуквенность и практическая непригодность начертаний для дополнительных знаков. Усвоить 62 знака не так легко. Потом: системы русского и латинского письма не покрывают звукового состава абхазского языка. Приходилось прибегать к многочисленным дополнительным знакам, которые изобретались путем единовременного акта. Тогда как все существующие алфавиты принимали свой практический пригодный вид, в результате длительного развития, проверки коллективным опытом. Так, напр., грузинский алфавит в течении веков тоже подвергался весьма существенным изменениям. Наша задача - создать

абхазское буквенное письмо. В основе такого письма лежит принцип: каждому звуку особый знак. Ближе всего подходит к этому грузинский алфавит, но и здесь есть некоторые условности (**u** и **v** и проч.). Мы считаем, что, так как абхазский язык слишком сложен по своему звуковому составу и так как абхазский алфавит создается не в результате многовекового развития, нужно держаться как можно строго рамок естественно развившихся алфавитов, испытанных самой длительной практикой, и ограничиться минимальным количеством дополнительных знаков, а не заниматься изобретением многочисленных искусственных и непригодных, практически, начертаний. Этот путь, путь ограничения дополнительных знаков, предусматривается всеми проектами, но в различной степени. Так, напр., сводный проект предусматривает смягчающий знак **ə**. Все остальные проекты разделяют это мнение. Необходимо довести этот принцип до конца и принять для всех специфических абхазских звуков двойные написания при помощи различительных знаков. Кроме мягкого знака, нужно ввести еще всего два дополнительных знака: для «дебелых» и «лабиализованных» звуков.

Проф. ШАРИЯ П.А. Нельзя фетишировать существующее положение. Нельзя абхазский язык причислить к очень развитым языкам. Не надо стараться навечно запечатлеть существующие звуки. От упрощения алфавита и школа и литература только выиграют. Упрощение - первый и основной принцип. Нет и не может быть алфавита, который бы полностью отражал все фонетические оттенки. Сводный проект хотел обойти двойные знаки, но это приводит к нагромождению знаков. Для 62 звуков предлагается 49 знаков и еще 1 смягчающий дополнительный знак. Плюс этого алфавита как будто в том, что нет двойных знаков, но этот принцип не выдержан и все-таки есть дополнительный знак. Авторы проекта говорят, что они выигрывают в письме, но ведь все равно сохраняется дополнительный знак.

Проект проф. Шанидзе дает пять дополнительных знаков. Если можно довести число дополнительных знаков до трех, это будет хорошо. Но если нельзя, тогда практика покажет какой проект лучше, так как по моему 5 дополнительных знаков это слишком осложняет алфавит.

Проф. ШАНИДЗЕ А.Г. Работая над составлением нового абхазского алфавита, на базе грузинских буквенных начертаний, мы должны добиться создания такого алфавита, который должен быть

совершенным и отвечать как научным запросам, так и практическим требованиям. Этого вполне можно достигнуть, если к существующим знакам современного грузинского литературного языка прибавить 4 (четыре) таких служебных знака, которые, не имея собственного звукового значения, соответственно изменяли бы звуки полноценных знаков, стоящих перед нами. Придачи четырех диакритических (различительных) знаков вполне хватило бы, чтобы охватить все звуковое богатство абхазского литературного языка. Эти дополнительные знаки должны иметь полное очко, чтобы легко заметить их и моментально угадать звуковую сторону данной комбинации. Пользуюсь принципом комбинирования полноценных и различительных знаков, мы могли бы ввести еще один знак, который позволил бы передавать шепелявые звуки бзыбского диалекта и свободно записывать диалектические тексты.

Предлагая четыре различительных знака для литературного языка, я имею в виду четыре больших группы сложных согласных, которые объединены общими составными элементами. Этими элементами являются: смягчение, твердость (дебелость), активное участие одной губы в произношении сложного звука (нижняя губа касается верхных зубов) и активное участие обоих губ (при произношении звука губы касаются друг друга).

Данный мною принцип построения абхазского алфавита является последовательным, одинаковые оттенки произношения сложных согласных всегда передаются одними и теми же знаками, тогда как сводный проект в этом отношении страдает большою непоследовательностью. Впрочем, я должен заметить, что с принципиальной точки зрения мой проект совпадает с напечатанным в газете «Советская Абхазия» (№ 213) проектом Д.И. Гулия, а также проектом проф. С.Н. Джанашия, разница имеется в количестве дополнительных знаков, а также и в некоторых деталях.

ГУЛИЯ Д.И. Алфавиты менялись часто потому, что мешала многобуквенность, сложность этих алфавитов. Теперь мы переходим на грузинский алфавит. Сошлись на одном проекте, проекте группы товарищей, сводном проекте. Двойных знаков избежать не удалось. Иначе мы должны были увеличить число знаков до 56. Но все-таки мы хотели сократить число знаков. Тов. Шанидзе дает 4 дополнительных знака. Я же хочу ограничиться только 3 особыми знаками, плюс еще один мягкий знак. Теперь у меня осталось только два особых знака, плюс один мягкий знак. Наша задача - как можно меньше знаков в алфавите. По-моему, «и» краткое нам не надо.

Проф. ТОПУРИЯ В. Надо установить количество звуков. грузинские ჯ и ბ изменяются в зависимости от последующих звуков.

Проф. ШАНИДЗЕ А.Г. Полного совпадения между некоторыми абхазскими и грузинскими звуками нет. В некоторых случаях нам приходиться мириться с тем, чтобы в произношении какого-либо знака была кое-какая разница у грузин и у абхазцев. В частности буквы ჯ, ჯ, ბ, ჟ, ე вызывают некоторые споры. Одни абхазцы полагают, что они у грузин мягкие, тогда как другие находят, что они твердые. Я думаю, что груз. ჯ, ჯ, ბ, ჟ, ე полностью не покрывают ни абхазских твердых, ни абхазских мягких, соответствующего ряда, но в общем они ближе к абхазским мягким, чем к твердым, а потому будет меньше беды в том, если в абхазском алфавите мы их примем за мягкие, а для передачи соответствующих твердых придадим им различительные знаки.

ГУЛИЯ Д.И. Когда я принял эти знаки за твердые, то получается два особых знака, а когда за мягкие, то три знака.

ХАШБА М.Л. Надо сохранить весь грузинский алфавит в том виде, в каком он есть - это во-первых. Если мы грузинское ბ примем за твердое, то это будет путать. Составляя сводный проект, мы хотели избежать двойные буквы, ради экономии труда и средств. С научной точки зрения проект проф. Шанидзе является самым совершенным.

Проф. ШАНИДЗЕ А.Г. Тов. М. Хашба, между прочим, говорил, что с введением моих 4-х дополнительных знаков текст будет пестреть, но мне кажется, что, наоборот, текст еще больше будет пестреть и письмо мало будет походить на грузинское, если, вместо четырех дополнительных знаков, мы введем 11 дополнительных, как это предлагается товарищем М. Хашба. При этом надо иметь в виду, что эти 11 дополнительных знака сводного проекта представляют переделки грузинских букв, что очень будет затруднять чтение.

Проф. ДЖАНАШИЯ С.Н. Неправильно выпячивать на первый план полиграфические и финансовые вопросы. Советская национальная политика решает вопросы национально-культурного строительства не по принципу экономической рентабельности. Главное при создании абхазского алфавита - это вопросы чтения и письма.

Проф. ЧИКОБАВА А.С. То, что в сводном проекте сохраняется дополнительный знак это есть ахиллесова пята этого проекта. Избежать двойных знаков не удалось.

Проф. ШАРИЯ П.А. Самое главное это легкость изучения

алфавита. У ряда товарищей есть неправильный подход к литературному языку. Можно пожертвовать некоторыми звуками для пользы дела. Чем больше букв в алфавите, тем труднее его изучить. Если дополнительные знаки можно свести к трем, тогда это можно принять. Если нельзя, тогда можно употреблять различные сочетания основных знаков.

Взять буквы грузинского алфавита и с помощью их сочетания, без дополнительных знаков, выражать все звуки устанавливающегося литературного абхазского языка.

ШАКИРБАЙ Г.З. Хашба М.Л. представил проект алфавита, разработанный четырьмя авторами и назвал их проектом Института Абхазской Культуры. Но этот проект не является проектом Института, поскольку к разработке этого алфавита не привлекались работники Института Абхазской Культуры.

Нужно избегать многобуквенности в целях упрощения алфавита и облегчения обучения письму и чтению.

БГАЖБА Х.С. Составление алфавита было монополизировано некоторыми работниками и не подвергалась обсуждению среди сотрудников Института Абхазской Культуры и среди более широких кругов.

Авторы сводного алфавита вместо того, чтобы глубоко подойти к вопросу, пошли по линии наименьшего сопротивления.

ПАТЕЙПА Н.С. По моему, для каждого звука надо иметь особый знак.

დოკუმენტი № 2

4-го декабря 1937 г.

ПРИСУТСТВУЮТ: проф. Шанидзе А.Г., проф. Топурия В., проф. Чикобава А.С., Джанашия С.Н., Гулия Д.И., Басария С.П., Патейпа Н.С., Шакрыл К.С., Герия Н.З., Маан В.Н., Гулия Г.Д., Дзидзария К.Ф., Шакирбай Г.З., Бгажба Х.С., Харазия В.Н., Симония С.Б., Кация Б.А., Басилая Н., Гочуа М.Д., Джанашия Б.П.

КАЦИЯ Б.А. Предыдущие алфавиты были трудные для обучения и по этому встал вопрос о замене и последнего алфавита.

Ошибки при письме падали главным образом на t, tˌ, ṭ, ṭˌ, k, kˌ.

Всякие крючки у других букв усиливали количество ошибок. Этих крючков не избегали авторы сводного алфавита - М.Л. Хашба, Гулия Д.И. и Чочуа А.М.

Считаю приемлемым проект Шанидзе, только нужно заменить начертания добавочных знаков.

БАСАРИЯ С.П. Из всех представленных проектов самым приемлемым является проект проф. Шанидзе. Сводный алфавит М.Л. Хашба, Гулия Д.И. и Чочуа А.М. страдает многобуквенностью и сложностью начертания, при том они не избегли двухзначного начертания многих букв, поэтому данный проект нужно считать неприемлемым.

ШАКРЫЛ П.С. Из абхазского литературного языка выброшено много звуков, бытующих в Гудаутском и Гагринском диалектах, но и оставшееся количество звуков превышает более пяти десятков. Марровский алфавит изобиловал точками и другими знаками в сочетании с буквами из латинского алфавита. Этих условных знаков в проекте Шанидзе меньше, но они все же есть.

Считает более приемлемым проект группы авторов - Гулия Д.И., М.Л. Хашба и Чочуа А.М. с условием упрощения начертаний.

МААН В.Н. Алфавит Марра, изобиловавший крючками и другими знаками, мешал обучению. Проект группы авторов не выдержал взятого принципа дать каждому звуку самостоятельное начертание, они дали такой алфавит, в котором буквы сходны и при изучении их легко смешивать.

Проект проф. Шанидзе приемлем, только знаки твердости, смягчения и т.д. нужно будет изменить.

ХАРАЗИЯ В.Н. Как практический работник, я считаю приемлемым проект проф. Шанидзе.

ГУЛИЯ Д.И. Проект алфавита проф. Шанидзе и проф. Джанашия составлены по одному принципу, только условные знаки у них разные.

«и» полугласное нужно изъять из алфавита. Сводный проект алфавита является наиболее приемлемым, так как считаю, что каждый звук должен иметь свое самостоятельное буквенное начертание.

Нужно будет некоторым буквам из представленного алфавита дать более красивое начертание, - в этом должны помочь товарищи.

ХАШБА М.Л. Нужно будет всем нам поработать в направлении той установки, которую дал Шария П.А., заключающуюся в том, чтобы как можно меньше было буквенных начертаний и меньше добавочных условных знаков.

Сводный алфавит страдает тем, что буквы похожи друг на друга, а это, как отметил практический работник школы т. Кация, мешает обучению, чтению и письму. Поэтому я не буду настаивать на принятии сводного алфавита.

Оригинальное предложение сделал проф. Шария о возможности применения сочетания букв для выражения тех звуков, для которых в грузинском алфавите нет соответствующих букв.

ДЗИДЗАРИЯ К.Ф. Имеющийся алфавит, как и бывшие до него алфавиты, не удовлетворяют требованиям быстрого чтения и письма. Сводный алфавит многобуквенен, а также взято несколько букв из древнегрузинского алфавита, буквы похожи друг на друга и поэтому нужно будет этот проект отвергнуть.

Проф. ЧИКОБАВА А.С. Совещание призвано разработать алфавит для абхазского литературного языка, на основании грузинского алфавита. Этот абхазский алфавит не может быть фонетическим: все вариации всех звуков ни в каком практическом алфавите не отображаются; это невозможно, это не нужно. Практический алфавит должен передать основные звуки данного языка (фонемы). Сколько фонем в абхазском языке? В Бзыбском наречии больше, в Абжуйском меньше. Поскольку звуковая система последнего кладется в основу литературного абхазского языка, общее количество фонем достигает до 56; на этом все сходятся. Действующий грузинский алфавит насчитывает 33 знака. Все они находят применение; если к этому прибавить и те пять знаков, которые были в употреблении, будет не доставать знаков для 18 звуков. Как их выразить путем ли комбинации основных знаков с дополнительными, или путем модификации грузинских букв? В последнем случае мы будем иметь цельные знаки, особый знак для каждого звука.

Абхазский алфавит также будет обозначать абхазские звуки, как грузинский алфавит - звуки грузинского языка: един звук - един знак. Это имеет безусловное преимущество, особенно, с точки зрения педагогической (грузинский алфавит тем и хорош, что он все основные звуки грузинского языка передает отдельными знаками).

Сводный проект группы исходит из этого принципа, но до конца его не проводит: смягченные согласные (а их 7) передают путем комбинации, да и вариации грузинских букв трудно различимы; это отмечают и школьные работники, это признает и сам докладчик по этому проекту т. М.Л. Хашба, кстати отказавшийся от защиты своего проекта, как неудовлетворительного.

Таким образом, принцип цельных, единых знаков оказывается

почти неосуществимым. Остается принцип комбинации основных знаков с дополнительными; некоторые педагогические затруднения связаны с использованием соответствующего алфавита (это надо учесть), но имеются и преймущества: фонетическая последовательность, меньшее количество знаков в алфавите при большем охвате звуков, простота типографской кассы.

Сколько должно быть дополнительных знаков? Достаточно будет ввести три знака: знак для смягчения, знак для дебелых звуков (геминатов) и знак для огубления (лабиализации).

Проф. Г. Ахвледиани выяснено, что ⴂ = "ⴑ" и ⴅ = "ⴒ" отличаются не по процессу производства, а на основе фонетического, поэтому и нет необходимости изображать различными знаками эту лабиализацию.

Проф. ДЖАНАШИЯ С.Н. Все представленные проекты строятся на грузинском алфавите, но по различному принципу: 1) одни желают иметь для каждого звука особый знак, но не выдерживают этого принципа до конца, поскольку все подобные проекты для смягчения согласных вводят дополнительный различительный знак (ⴈ) и, таким образом, наряду с одинарными написаниями принимают и двойные; 2) другая группа отдает предпочтение вообще двойным написаниям для специфических абхазских звуков; здесь принцип более выдержан. По нашему мнению, эти проекты можно согласовать, приняв принцип двойных написаний для абхазских специфических звуков и в осуществление этого принципа приняв для смягченных согласных знак первой группы проектов. Мы считаем. что кроме этого мягкого знака будут необходимы еще всего лишь два различительных знака - для твердых звуков и для огубленных (лабиализованных) - в этой последней группе должны быть объединены как звуки типа ⴍ, так и звуки типа ⴅ и типа ⴂ. Подыскать наилучшие очертания для этих знаков лучше всего поручить специальной комиссии.

Проф. ШАНИДЗЕ А.Г. Если знак «ⴈ» принять за знак смягчения, то тогда встанет вопрос: а как же быть с неслоговым ⴀ (ⴀ)? Я думаю, в случаях с неслоговым ⴀ (ⴀ) можно поставить также, как и в случаях с неслоговым ⴓ (лат. ⴓ, русск. у). Если вообще слоговые и неслоговые ⴀ, ⴓ будут различаться на письме, то оба неслоговых звука должны получить одинаковые различительные знаки (напр. ⴀ , ⴓ или ⴀ ,ⴓ , ⴀ , ⴓ ...).

Что же касается объединения одногубных и двугубных рядов (ряда

წ, ძ, ც и ряда ტ, ლ, თ), то я принципиально против этого, но, исходя из того, что в случае объединения смешений не будет и это на практике не приведет к сколько нибудь значительным ошибкам, то я не противился бы их объединению.

ПОСТАНОВИЛИ

Отвергнуть сводный проект М. Хашба, Д. Гулия и А. Чочуа.

Выбрать комиссию в составе: Шанидзе, Джанашия С.Н., Гулия, Кация, Харазия, Маан, Шакрыл П.С., Хашба М. (созыв за Гулия) для уточнения и сведения в один проект предложений проф. Шанидзе, проф. Джанашия и Д. Гулия, исходящих из принципа изображения ряда специфических абхазских звуков, не имеющихся в грузинском языке, с помощью служебных знаков, путем двойных начертаний.

Предложить Комиссии установить начертание этих служебных знаков.

დოკუმენტი № 3

5-го декабря 1937 г.

ПРИСУТСТВОВАЛИ: проф. Джанашия С.Н., проф. Шанидзе А.Г., проф. Чикобава А.С., проф. Топурия В., Басилая Н., Накопия В.Р., Гулия Д.И., Хашба М.Л., Герия Н.Э., Маан В.Н., Чочуа Н.Д., Патейпа Н.С., Басария С.П., Шакрыл П.С., Кация Б.А., Симония С.Б., Харазия В.Н., Дзидзария К.Ф., Джанашия Б.П., Шакрыл К.С., Фадеев А.В.

Проф. ШАНИДЗЕ А.Г. Комиссия под председательством Д.И. Гулия, избранная для выбора различительных знаков и для окончательного оформления нового абхазского алфавита на основе вчерашних постановлений нашего совещания, предлагает совещанию на утверждение следующее:

1. Для звука, передававшегося через лат. «y» (напр. ɜʒɐ «дом») внести знак «ӳ», как наиболее подходящий для выражения звонкого гортанного звука.

2. Знаки, употребляемые для диалектологических записей ф и ғ, принять с теми же звуковыми значениями, какие им присущи в грузинском языке.

3. Что же касается различительных знаков, то вопрос об одном из них уже был решен вчера: это «ә», упортребление которого показывает смягчение предыдущего согласного. Означенный знак и сейчас употребляется в груз. диалектологических текстах.

В качестве двух других различительных знаков с успехом применяться «ӏ» и «ᵒ»: первый для обозначения твердости, а второй для обозначения лабиализаций.

В итоге получается алфавит, состоящий из 36 полноценных и 3-х различительных знаков, которые при комбинированном способе передачи специфич. абхазских звуков, полностью охватывает весь звуковой состав абхазского литературного языка. Этот алфавит с точки зрения удовлетворения практических нужд абхазского литературного языка является полным и безукоризненным, с научной точки зрения выдержанным и последовательным до конца, а потому ясным и легко усвояемым, т.е. таким алфавитом, который при минимальном количестве дополнительных знаков дает возможность передать точно все звуки абхазского языка.

Принцип, на котором построены знаки для специфических абхазских звуков, позволяет иметь большую свободу и для диалектологических записей. Поэтому нет сомнения, что плоды нашей дружной работы, приведшей к созданию совершенного алфавита и увенчавшей чаяния широких масс абхазского народа, являются большим достижением. Новый абхазский алфавит послужит могучим средством для дальнейшего подъема национальной культуры абхазцев.

ПОСТАНОВИЛИ: Во исполнение постановления XV-й Абхазской Областной Партконференции КП (б) Грузии о введении нового абхазского алфавита, разработанного на базе грузинских буквенных начертаний, - Специальное совещание при Институте Абхазской Культуры им. Н.Я. Марра Грузинского филиала Академии Наук СССР с участием представителей научных и общественных организаций, а также педагогов-практиков, состоявшееся 4 и 5 декабря 1937 года в г. Сухуми, пришло к единодушному решению:

1. Существующие знаки современного грузинского литературного языка оставить без изменения, сохранив за ними целиком присущие им звуковые значения.

ПРИМЕЧАНИЕ: Буквы грузинского алфавита: ჭ, ჯ, ჩ, ღ, შ использовать для передачи мягких абхазских согласных, к которым в общем ближе соответствующие грузинские буквы, а для твердых согласных того же ряда употреблять те же буквы, но с различительным знаком.

2. Для передачи специфических абхазских звуков

а) использовать грузинские диалектологические знаки ფ и ჲ с теми же значениями, как и в грузинском, а знаку ჳ придать значение звонкого гортанного согласного (напр. აჳბჲ «дом»);

б) ввести в употребление различительные знаки, причем одинаковые составные элементы сложных звуков изображать одинаковым способом, ставя различительные знаки рядом с основными знаками (буквами).

3. Установить три различительных (диакритических) знака для трех больших групп согласных, а именно: для смягченных, твердых (дебелых) и огубленных (лабиализованных).

4. Использовать для различительных знаков следующие начертания: ◌�often, ◌ᲂ, ◌°, при чем:

А) Грузинский диалектологический знак «◌ᲂ» (в абхазском знак смягчения, или просто мягкий знак), служит для смягчения твердых звуков следующих начертаний: ყ, ლ, ხ, კ, გ, ქ, ლ;

ПРИМЕЧАНИЕ: Знак смягчения не ставится в тех случаях, когда за твердыми звуками следует ე или ი, которые сами по себе смягчают предыдущие твердые согласные.

В) Знак «◌ᲂ» (знак твердости, или просто твердый знак) служит для передачи дебелых абхазских звуков из ряда альвеолярных согласных, а именно: ჭᲂ, ჯᲂ, ჩᲂ, ჟᲂ, შᲂ; он же служит для обозначения моментальной задержки произношения, сохраняющей за звуком его твердое произношение и перед мягкими гласными ე и ი (напр. იგᲂᲘᲘტ «взял, унес», დგლᲂᲘᲘტ «пришел» и т.п.);

С) Знак «°» (знак активного участия губ в произношении звука, или просто губной знак) употребляется для обозначения трех видов участия губ:

а) при произношении свистящих и шипящих звуков нижняя губа касается верхних зубов (губно-зубных): წ°, ძ°, ც°;

б) при произношении зубных звуков обе губы касаются друг друга (губно-зубные): ტ°, დ°, თ°;

в) для произношения звуков губы округляются, но не касаются друг друга, ни зубов (округлые), напр.: ჱ, ჲ, ჳ;

5. Расположить абхазский алфавит, состоящий из 36 полноценных и трех различительных знаков, позволяющих изображать все звуки абхазского литературного языка, в следующем порядке: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ, ფ, ჶ, ჷ, ჸ, ჹ, ჺ.

ДЗИДЗАРИЯ К.Ф. После обсуждения на трех заседаниях 4 и 5 декабря совещание пришло к единодушному решению и приняло проект нового абхазского алфавита на основе грузинского алфавита. Тем самым положено начало большой работе по освоению, внедрению и широкому распространению этого алфавита, которая начнется тотчас после утверждения его соответствующими органами.

Новый алфавит будет содействовать еще большему сближению двух братских народов и дальнейшему развитию национальной по форме, социалистической по содержанию, культуры.

Работа совещания была плодотворной потому, что в ней приняли активное участие, наряду с местными работниками, и приехавшие из Тбилиси профессора П.А. Шария, Шанидзе А.Г., Джанашия С.Н., Чикобава А.С., Топурия В., которым мы приносим глубокую благодарность.

Председатель К. Дзидзария

Секретари: Б. Джанашия
А. Фадеев

Верно:

დოკუმენტი № 4

Копия

ПРОТОКОЛ

Заседания комиссии, выделенной Специальным совещанием при Институте Абхазской Культуры ГФАН по вопросу о введении нового абхазского алфавита, 5 декабря 1937 г.

ПРИСУТСТВОВАЛИ: Д.И. Гулия, П.С. Шакрыл, Б.А. Кация, М.Л. Хашба, В. Харазия, М.М. Маргания, А.Г. Шанидзе и С.Н. Джанашия.

Председатель - Д.И. Гулия
Секретарь - С.Н. Джанашия

СЛУШАЛИ: О начертании дополнительных к действующему грузинскому алфавиту знаков, необходимых для передачи специфических абхазских звуков.

ПОСТАНОВИЛИ: Основываясь на постановлении Совещания при ИАК ГФАН

гласящем: для специфических абхазских звуков, образующих три группы аналогичных по производству звуков - 1) смягченные, 2) твердые и 3) огубленные (лабиализованные) - принять различительные знаки, числом три, ставящиеся рядом с основной буквой, выражающей основной элемент данного сложного производного звука, и рассмотрев все представленные варианты искомых начертаний, предложить Совещанию:

А) Для различительных знаков принять следующие начертания:

1) ◌ (груз. диалектологический) - для смягченных (как в проекте Д.И. Гулия и «сводном»),

2) ◌ знак, употребляющийся в ныне оставленном абхаз. латинском шрифте, а также в некоторых транскрипционных системах абхазского языка, для твердых (знак занимает полное очко),

3) ◌ знак, употреблявшийся почти во всех алфавитах и транскрипциях абхазского языка, - для огубленных (лабиализованных; знак занимает полное очко);

В) Предложить Совещанию принять для звонкого гортанного согласного (ҕ, у) груз. диалектологический знак ჳ.

Председатель - Д.И. Гулия
Секретарь - С.Н. Джанашия
верно:

№№ 1-4 დოკუმენტების ქართული თარგმანი

დოკუმენტი № 1

ასლი

ოქმი

სპეციალური თათბირისა ახალი ანბანის მიღების საკითხზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის ინსტიტუტში სამეცნიერო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე პრაქტიკოს პედაგოგთა მონაწილეობით

1937 წლის 4 და 5 დეკემბერს, ქ სოხუმი

4 დეკემბრის დღის სხდომა

ესწრებიან: პროფ. პ. შარია, პროფ. ა. შანიძე, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. ა. ჩიქობავა, დ. გულია, მ. დელბა, მ. პაშბა, ს. ბასარია, ნ. პატეიფა, პ. შაყრილი, კ. შაყრილი, ნ. გერია, ვ. მაანი, გ. გულია, კ. ძიძარია, გ. შაკირბაია, ხ. ბღაჟბა, ნ. კოკოსკერია, ი. ტიშჩენკო, პედაგ. ს. სიმონია, პედაგ. ბ. კაცია, ნ. ბასილაია, ზ. მორინა, პროფ. ა. გრენი, ს. აქირთავა, მ. გოჩუა, პროფ. ს. ჯანაშია, ა. ფადეევი, ბ. ჯანაშია.

თავმჯდომარე — კ. ძიძარია
მდივანი — ბ. ჯანაშია, ა. ფადეევი

თავმჯდომარე ხსნის თათბირს და შემოაქვს წინადადება, გადავიდნენ არსებულ პროექტთა განხილვაზე: 1) პროფ. შანიძისა, 2) პროფ. ჯანაშიასი, 3) დ. გულიასი, რომლებიც ემყარება დამატებითი აფხაზური ბგერების დამხმარე ნიშნებით გადმოცემის პრინციპს, და 4) მ. პაშბას, დ. გულიას, ა. ჭოჭუას შეჯერებული პროექტისა, რომელიც ემყარება ყოველი ბგერი-

სათვის საგანგებო მოხაზულობათა შედგენის პრინციპთან დაახლოებას.

მ. ჰაშბა: ადრე არსებული აფხაზური ანბანები ჩვენ არ გვაკმაყოფილებდა. ა.წ. აფხაზეთის მე-15 საოლქო პარტკონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ქართულ ანბანზე გადასვლის შესახებ. ამჟამად ჩვენ გვაქვს პროფ. შანიძის, პროფ. ჯანაშიას, დ. გულიასა და დ. გულიას, ჭოჭუასა და მ. ჰაშბას შეჯერებული პროექტები.

დ. გულია: მე პროექტთა მთელი წყება მაქვს.

პროფ. ჰ. შარია: ჩვენ გვსურს, ვიცოდეთ, თუ რომელი პროექტისკენ იხრებიან ადგილობრივი ამხანაგები.

მ. ჰაშბა: ჩვენ იქითკენ ვიხრებოდით, რომ თავიდან აგვეცილებინა ორმაგი ნიშნები.

პროფ. ჰ. შარია: რამდენი დამატებითი ნიშანია საჭირო?

მ. ჰაშბა: იყო 13, ახლა კი 11 ან 12-ა.

პროფ. ჰ. შარია: რამდენი ნიშანი იყო რუსულ ანბანზე დამყარებულ ანბანში?

მ. ჰაშბა: 56 ნიშანი.

ხ. ბღაჟბა: მე უნდა აღვნიშნო, რომ პროექტები არ განხილულა ფართო შეკრებებზე.

პროფ. ს. ჯანაშია: ჩვენ, თბილისელი მუშაკები, საკუთარ თავს კონსულტანტებად მივიჩნევთ. საკითხი უნდა გადაწყვიტა იმას, ვინც იგი წამოჭრა, ე. ი. აფხაზეთის მშრომელებსა და კულტურის მუშაკებს. საკითხი ფართო შეკრებებზე უნდა განხილულიყო. საიმისოდ, რომ გადაწყდეს საკითხი, თუ რომელი ანბანი იქნება კარგი, უნდა წარმოჩენილ იქნეს, თუ რატომ იყო არსებული ანბანები ცუდი. ანბანები ხშირად იცვლებოდა. საინტერესო იქნებოდა პრაქტიკოს მუშაკთა აზრის მოსმენა ძველ ანბანთა ნაკლოვანებების შესახებ. მე საქმე ასე წარმომიდგენია: იყო ორი სირთულე — მრავალსაოიანობა და დამატებითი

ნიშნებისათვის მოხაზულობათა პრაქტიკული უვარგისობა. 62 ნიშნის ათვისება არცთუ ისე იოლია. შემდეგ: რუსული და ლათინური დამწერლობების სისტემები ვერ ფარავს აფხაზური ენის ბგერით შედგენილობას. საჭირო ხდებოდა მრავალრიცხოვან დამატებით ნიშანთა გამოყენება, რომლებიც ერთჯერადი აქტების გზით იქმნებოდა. ეს მაშინ, როცა არსებული [სხვა] დამწერლობები თავიანთ პრაქტიკულად გამოსადეგ სახეს ხანგრძლივი განვითარების, კოლექტიური გამოცდილებით შემოწმების გზით იღებდნენ. ასე, მაგალითად, ქართული დამწერლობა საუკუნეთა განმავლობაში ასევე განიცდიდა ძალზე არსებით ცვლილებებს. ჩვენი ამოცანაა აფხაზური ბგერითი დამწერლობის შექმნა. ასეთ დამწერლობას საფუძვლად უდევს პრინციპი: ყოველ ბგერას – საგანგებო ნიშანი. ამას ყველაზე მეტად ქართული ანბანი უახლოვდება, მაგრამ აქაც არის ზოგიერთი პირობითობა (უ - ჳ და ა. შ.). ჩვენ მიგვაჩნია, რომ, ვინაიდან აფხაზური ენა მეტად რთულია თავისი ბგერითი შემადგენლობით და ვინაიდან აფხაზური ანბანი არ იქმნება მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად, – საჭიროა რაც შეიძლება მკაცრად დავიცვათ ბუნებრივად განვითარებულ ანბანთა ჩარჩოები, რაც გამოცდილია უხანგრძლივესი პრაქტიკით, და შემოვიზღუდოთ დამატებით ნიშანთა მინიმალური რაოდენობით და ხელი არ მივყოთ მრავალრიცხოვან ხელოვნურ და პრაქტიკულად გამოუსადეგარ მოხაზულობათა გამოგონებას. ეს გზა, დამატებით ნიშანთა შეზღუდვის გზა, გათვალისწინებულია ყველა პროექტში, ოღონდ სხვადასხვა ხარისხით. ასე, მაგალითად, შეჯერებული პროექტი ითვალისწინებს სილბოს ◌ ნიშანს. ყველა დანარჩენი პროექტი იზიარებს ამ აზრს. აუცილებელია ამ პრინციპის ბოლომდე მიყვანა და ყველა აფხაზური სპეციფიკური ბგერისათვის უნდა შემოვიღოთ ორმაგი დაწერილობანი განმასხვავებელ ნიშანთა დახმარებით. სილბოს ნიშნის გარდა საჭიროა კიდევ სულ ცოტა დამატებითი ნიშნის შემოღება „დებელურ“ [ე.ი. ინტენსიურ – თ.გ.] და „ლაბიალიზებულ“ ბგერათათვის.

<u>პროფ. ჰ. შარია:</u> არ შეიძლება არსებული მდგომარეობის გაფეტიშება. არ შეიძლება აფხაზური ენის მითელა ძალზე

განვითარებული ენებისადმი. საჭირო არ არის, ვეცადოთ, სამუდამოდ აღვბეჭდოთ არსებული ბგერები. ანბანის გამარტივებით სკოლაც და ლიტერატურაც მხოლოდ მოიგებენ. გამარტივება პირველი და ძირითადი პრინციპია. არ არსებობს და ვერც იარსებებს ისეთი ანბანი, რომელიც სრულად ასახავს ყველა ფონეტიკურ ელფერს. შეჯერებულ პროექტს სურდა ორმაგი ნიშნების თავიდან არიდება, მაგრამ ეს ნიშანთა დახვავებას იწვევს. 62 ბგერისათვის შემოთავაზებულია 19 [დამარებითი] ნიშანი და ერთიც დამატებითი სილბოს ნიშანი. ამ ანბანის პლუსი თითქოს ის არის, რომ მასში არაა ორმაგი ნიშნები, მაგრამ ეს პრინციპი დაცული არ გახლავთ და მაინც არსებობს დამატებითი ნიშანი. პროექტის ავტორები ამბობენ, რომ ამით წერისას მოვიგებთ, მაგრამ აკი მაინც ვინარჩუნებთ დამატებით ნიშანს.

პროფ. შანიძის პროექტი გვთავაზობს 5 დამატებით ნიშანს. კარგი იქნებოდა, თუკი დამატებით ნიშანთა რაოდენობის სამამდე დაყვანა მოხერხდებოდა. მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მაშინ პრაქტიკა აჩვენებს, რომელი პროექტია უკეთესი, ვინაიდან, ჩემი აზრით, 5 დამატებითი ნიშანი ძალიან ართულებს ანბანს.

<u>პროფ. ა. შანიძე:</u> ქართულ ასოთა მოხაზულობის ბაზაზე ახალი აფხაზური ანბანის შედგენაზე მუშაობისას ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთი ანბანის შექმნას, რომელიც სრულყოფილი უნდა იყოს და უნდა უპასუხოს როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ მოთხოვნებს. ამის მიღწევა სრულიად შესაძლებელია, თუკი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არსებულ ნიშნებს დაემატებოდა 4 (ოთხი) ისეთი დამხმარე ნიშანი, რომელთაც არ ექნებოდათ საკუთარი ბგერითი მნიშვნელობა და შესაბამისად შეცვლიდნენ ჩვენ წინაშე არსებულ სრულფასოვან ნიშანთა [შესატყვის] ბგერებს. 4 დიაკრიტიკული (განმასხვავებელი) ნიშნის შემატება სრულიად საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რათა მოცულ იქნეს აფხაზური სალიტერატურო ენის მთელი ბგერითი სიმდიდრე. ამ დამატებით ნიშნებს უნდა ჰქონდეთ სრული ზომა, რათა მათი შემჩნევა იოლი

იყოს და მყისიერად მოხდეს მოცემული კონბინაციის ბგერითი მხარის ამოცნობა. სრულფასოვან და განმასხვავებელ ნიშანთა კომბინირების პრინციპის გამოყენებისას ჩვენ შეგვეძლო, შემოგვეღო კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა, გადმოგვეცა ბზიფური დიალექტის შიშინა (шепелявые) ბგერები და თავისუფლად ჩაგვეწერა დიალექტური ტექსტები.

სალიტერატურო ენისათვის 4 განმასხვავებელი ნიშნის შემოთავაზებისას მე ვგულისხმობ რთულ თანხმოვანთა 4 დიდ ჯგუფს, რომლებიც გაერთიანებულია საერთო შემადგენელი ელემენტების მიხედვით. ეს ელემენტებია: სილბო, სიმაგრე (დებელობა), ცალი ბაგის აქტიური მონაწილეობა რთული ბგერის წარმოთქმაში (ქვედა ბაგე ეხება ზედა კბილებს) და ორივე ბაგის აქტიური მონაწილეობა (ბგერის წარმოთქმის დროს ბაგეები ერთმანეთს ეხება).

აფხაზური ანბანის აგების ჩემეული პრინციპი თანმიმდევრულია, რთულ თანხმოვანთა წარმოთქმის ერთნაირი ელფერები მუდამ გაღმოიცემა ერთი და იმავე ნიშნებით, მაშინ როდესაც შეჯერებული პროექტი ამ მხრივ ძალზე არათანმიმდევრულია. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ პრინციპული თვალსაზრისით ჩემი პროექტი ემთხვევა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზია"-ში (№ 213) დაბეჭდილ დ. გულიას, აგრეთვე პროფ. ს. ჯანაშიას პროექტებს, განსხვავება არის დამატებით ნიშანთა რაოდენობაში, აგრეთვე ზოგიერთ დეტალში.

დ. გულია: დამწერლობები ხშირად იმიტომ იცვლებოდა, რომ ხელს უშლიდა მრავალსაოიანობა, ამ დამწერლობათა სირთულე. ახლა ჩვენ ქართულ დამწერლობაზე გადავდივართ. შევთანმხდით ერთ პროექტზე, ამხანაგთა ჯგუფის პროექტზე, შეჯერებულ პროექტზე. ვერ მოხერხდა ორმაგი ნიშნების გამორიცხვა. სხვაგვარად ჩვენ იძულებული ვიქნებოდით, ნიშანთა რაოდენობა გაგვეზარდა 56-მდე. მაგრამ ჩვენ მაინც გვსურდა ნიშანთა რაოდენობის შემცირება. ამხ. შანიძე 4 დამატებით ნიშანს გვთავაზობს. მე არ მსურს, შემოვიფარგლო მხოლოდ 3 საგანგებო ნიშნით, პლუს კიდევ 1 სილბოს ნიშნით. ახლა მე დამრჩა მხოლოდ 2 საგანგებო ნიშანი, პლუს 1 სილბოს ნიშა-

ნი. ჩვენი ამოცანაა – რაც შეიძლება ნაკლები ნიშნები ანბანში. ჩემი აზრით, მოკლე **ი** [ი] ჩვენ არ გვჭირდება.

<u>პროფ. ვ. თოფურია:</u> საჭიროა ბგერათა რაოდენობის დადგენა. ქართული **ჯ** და **ჩ** იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელი ნიშნები მოსდევენ მათ.

<u>პროფ. ა. შანიძე:</u> ზოგი აფხაზური და ქართული ბგერა სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს. ზოგ შემთხვევაში ჩვენ ვურიგდებით იმას, რომ რომელიმე ნიშნის წარმოთქმაში იყოს ერთგვარი სხვაობა ქართველებსა და აფხაზებს შორის. კერძოდ, **ჭ, ჯ, ჩ, შ, ქ** ასოები გარკვეულ დავას იწვევს. აფხაზთა ერთი ჯგუფი ვარაუდობს, რომ ისინი ქართველთა შორის რბილნი არიან, მაშინ როდესაც სხვები ფიქრობენ, რომ მაგარნი არიან. მე ვფიქრობ, რომ ქართ. **ჭ, ჯ, ჩ, შ, ქ** მთლიანად არ ფარავს არც აფხაზურ მაგარ და არც აფხაზურ რბილ [ბგერებს] შესაბამისი რიგისა, მაგრამ მთლიანობაში ისინი უფრო უახლოვდებიან აფხაზურ რბილ [ბგერებს], ვიდრე მაგრებს, რის გამოც ნაკლები უბედურება იქნება იმაში, თუკი აფხაზურ დამწერლობაში ჩვენ მათ რბილებად მივიღებთ, ხოლო შესაბამის მაგართა გადმოსაცემად მათ დავუმატებთ განმასხვავებელ ნიშნებს.

<u>დ. გუდავა:</u> როცა მე ეს ნიშნები მაგრებად მივიჩნიე, გამოდის 2 საგანგებო ნიშანი, ხოლო როცა რბილებად ჩავთვალე, მაშინ 3 ნიშანი გამოვიდა.

<u>მ. ჰაშბა:</u> უნდა შევინარჩუნოთ მთელი ქართული ანბანი იმ სახით, როგორიც მას აქვს. ეს ერთი. თუ ჩვენ ქართულ **ჩ**-ს მაგარ [ბგერად] ჩავთვლით, ეს არევ-დარევას გამოიწვევს. შეჯერებული პროექტის შედგენისას ჩვენ გვსურდა, შრომისა და სახსრების ეკონომიის მიზნით გვერდი აგვეცილო ორმაგი ასოებისათვის. სამეცნიერო თვალსაზრისით პროფ. შანიძის პროექტი ყველაზე სრულყოფილია.

<u>პროფ. ა. შანიძე:</u> ამხ. მ. ჰაშბამ, სხვათა შორის, თქვა, რომ ჩემეული 4 დამატებითი ნიშნის შემოღების შემთხვევაში ტექსტი აჭრელდება, მაგრამ მე მგონია, პირიქით, ტექსტი უფრო

მეტად აჯრელდება და ნაწერი ნაკლებად დაემსგავსება ქართულს, თუკი 4 დამატებითი ნიშნის მაგიერ ჩვენ შემოვიღებთ 11 დამატებით [ნიშანს], როგორც ამას ამხანაგი მ. ჰაშბა გვთავაზობს. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს 11 დამატებითი ნიშანი შეჯერებული პროექტისა გადაკეთებული ქართული ასოებია, რაც ძალზე გაართულებს კითხვას.

პროფ. ს. ჯანაშია: არასწორია წინა პლანზე პოლიგრაფიული და საფინანსო საკითხების გამოჭიმვა. საბჭოური ეროვნული პოლიტიკა ეროვნულ-კულტურული მშენებლობის საკითხებს წყვეტს არა ეკონომიკური რენტაბელობის პრინციპით. აფხაზური დამწერლობის შექმნისას მთავარია კითხვა და წერა.

პროფ. ბ. ჩიქობავა: ის, რომ შეჯერებულ პროექტში შენარჩუნებულია დამატებითი ნიშანი, ამ პროექტის აქილესის ქუსლია. ვერ მოხერხდა ორმაგი ნიშნების უკუგდება.

პროფ. ჰ. შარია: ყველაზე მთავარია დამწერლობის შესწავლის სიადვილე. ზოგიერთ ამხანაგს სალიტერატურო ენისადმი არასწორი მიდგომა აქვს. საქმის სასარგებლოდ შეიძლება მსხვერპლად გავიღოთ ზოგი ბგერა. რაც მეტი ასოა ანბანში, მით უფრო ძნელია მისი შესწავლა. თუ შესაძლებელია დამატებით ნიშანთა დაყენა სამამდე, მაშინ ეს მისაღები იქნებოდა. თუ შეუძლებელია, მაშინ შეგვეძლო გამოგვეყენებინა ძირითად ნიშანთა სხვადასხვაგვარი შეხამებანი. ავიღოთ ქართული ანბანის ასოები და მათი შეხამების დახმარებით, დამატებითი ნიშნების გამოყენების გარეშე, გადმოვცეთ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი აფხაზური სალიტერატურო ენის ყველა ბგერა.

გ. შაკირბაი: მ. ჰაშბამ წარმოადგინა 4 ავტორის მიერ შემუშავებული ანბანის პროექტი და მას აფხაზური კულტურის ინსტიტუტის პროექტი უწოდა. მაგრამ ეს პროექტი არ არის ინსტიტუტისა, ვინაიდან ამ ანბანის შემუშავებისას არ მიუწვევიათ აფხაზური კულტურის ინსტიტუტის მუშაკები. საჭიროა თავი ავარიდოთ მრავალსაოიანობას ანბანის გამარტივებისა და

წერა-კითხვის სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

ხ. ბღაჟბა: ანბანის შედგენა მონოპოლიზებული იყო ზოგი მუშაკის მიერ და არ განხილულა აფხაზური კულტურის ინსტიტუტისა და უფრო ფართო წრეების მიერ. შეჯერებული პროექტის ავტორები, იმის ნაცვლად, რომ საკითხს ღრმად ჩასწვდომოდნენ, ნაკლები წინაღობის ხაზით წავიდნენ.

ნ. ჰატეიფა: ჩემი აზრით, ყოველ ბგერას საგანგებო ნიშანი უნდა ჰქონდეს.

დოკუმენტი № 2

საღამოს სხდომა

1937 წლის 4 დეკემბერი

ესწრებიან: პროფ. ა. შანიძე, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. ა. ჩიქობავა, პროფ. ს. ჯანაშია, დ. გულია, ს. ბასარია, ნ. პატეიფა, პ. შაყრილი, კ. შაყრილი, ნ. გერია, ვ. მაანი, გ. გულია, კ. ძიძარია, გ. შაკირბაი, ხ. ბღაჟბა, ვ. ხარაზია, ს. სიმონია, ბ. კაცია, ნ. ბასილაია, მ. გოჩუა, ბ. ჯანაშია.

ბ. კაცია: წინა ანბანები სწავლების თვალსაზრისით რთული იყო და ამიტომაც დადგა საკითხი ბოლო დამწერლობის შეცვლის შესახებ.

შეცდომები ძირითადად ტ, თ-ს, მაგარი ჩ-ს, მაგარი ჭ-ს, კ, ჭ-ს [წერისას] მოსდიოდათ. შეცდომათა რაოდენობას ზრდიდა ნაირგვარი კაუჭები სხვა ასოებშიც. ამ კაუჭებს თავი ვერ დააღწიეს ვერც შეჯერებული პროექტის ავტორებმა: მ. ჰაშბამ, დ. გულიამ და ა. ჭოჭუამ.

მისაღებად მიმაჩნია შანიძის პროექტი, ოღონდ საჭიროა დამატებით ნიშანთა მოხაზულობის შეცვლა.

ს. ბასარია: წარმოდგენილ პროექტთაგან ყველაზე მისაღებია პროფ. შანიძის პროექტი. მ. ჰაშბას, დ. გულიასა და ა. ჭოჭუას

შეჯერებული ანბანი ნაკლოვანია მრავალსოციანობისა და მოხაზულობის სირთულის გამო, ამასთანავე მათ თავი ვერ აარიდეს მრავალი ასოს ორნიშნიან მოხაზულობას, ამიტომ მოცემული პროექტი მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ.

ჯ. <u>შაყრილი:</u> აფხაზური სალიტერატურო ენიდან ამოყრილია გუდაუთისა და გაგრის დიალექტებში არსებული მრავალი ბგერა, მაგრამ დარჩენილ ბგერათა რაოდენობაც აღემატება 5 ათეულს. მარის ანბანში ჭარბად იყო ლათინური ანბანის ასოებთან შეხამებული წერტილები და სხვა ნიშნები. ეს პირობითი ნიშნები შანიძის პროექტში ნაკლებია, მაგრამ ისინი მაინც არის.

[ჯ. შაყრილი] უფრო მისაღებად მიიჩნევს ავტორთა ჯგუფის – დ. გულიას, მ. ჰაშბას და ა. ჭოჭუას პროექტს, იმ პირობით, რომ გამარტივდეს მოხაზულობა.

ვ. <u>მაანი:</u> მარის ანბანი, რომელიც სავსე იყო კაუჭებითა და სხვა ნიშნებით, ხელს უშლიდა სწავლებას. ავტორთა ჯგუფის პროექტმა არ დაიცვა აღებული პრინციპი, ყოველ ბგერას ჰქონდეს დამოუკიდებელი მოხაზულობა. მათ ისეთი დამწერლობა წარმოადგინეს, რომელშიც ასოები ერთმანეთს ჰგავს და შესწავლისას იოლად აირევა ერთი-მეორეში.

შანიძის პროექტი მისაღებია, ოღონდ შესაცვლელი იქნება სიმაგრის, სილბოსა და სხვა ნიშნები.

ვ. <u>ხარაზია:</u> როგორც პრაქტიკოსი მუშაკი, მე მისაღებად პროფ. შანიძის პროექტს მივიჩნევ.

დ. <u>გულია:</u> პროფ. შანიძისა და პროფ. ჯანაშიას პროექტ[ებ]ი ერთი პრინციპითაა შედგენილი, მათ მხოლოდ პირობითი ნიშნები აქვთ სხვადასხვა.

ნახევარხმოვანი ი ამოსაღებია ანბანიდან. დამწერლობის შეჯერებული ვარიანტი ყველაზე უფრო მისაღებია, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ყოველ ბგერას თავისი დამოუკიდებელი ასოითი მოხაზულობა უნდა ჰქონდეს.

საჭირო იქნება, რომ წარმოდგენილი ანბანიდან ზოგ ასოს მიეცეს უფრო ლამაზი მოხაზულობა, – ამხანაგები ამაში უნდა დაგვეხმარონ.

ე. ჭაშბა: საჭირო იქნება, ვიმუშაოთ პ. შარიას მიერ მოცემული მითითებების მიმართულებით, რაც გულისხმობს იმას, რომ რაც შეიძლება ნაკლები ასოითი მოხაზულობა და ნაკლები დამატებითი პირობითი ნიშანი იყოს.

შეჯერებული პროექტის ნაკლი ისაა, რომ ასოები ერთიმეორეს ჰგვანან, ეს კი, როგორც აღნიშნა სკოლის პრაქტიკოსმა მუშაკმა. ამხ. კაციამ, ხელს უშლის სწავლებას, კითხვასა და წერას. ამიტომ მე არ დავიყინებ შეჯერებული ანბანის მიღებას.

ორიგინალური წინადადება წამოაყენა პროფ. შარიამ იმ შესაძლებლობის შესახებ, რომ გამოყენებულ იქნეს ასოთა შეხამებანი ისეთ ბგერათა გადმოსაცემად, რომელთა შესაბამისი ასოები არ არის ქართულ ანბანში.

გ. ძიძარია: არსებული ანბანი ისევე, როგორც მანამდე არსებული ანბანები, ვერ აკმაყოფილებს სწრაფად კითხვისა და წერის მოთხოვნებს. შეჯერებული ანბანი მრავალასოიანია, ამასთანავე აღებულია რამდენიმე ასო ძველი ქართული ანბანიდან, ასოები ერთმანეთს ჰგვანან და ამიტომ საჭირო იქნება ამ პროექტის უკუგდება.

პროფ. ა. ჩიქობავა: თათბირი მოწოდებულია შეადგინოს ანბანი აფხაზური სალიტერატურო ენისათვის ქართული ანბანის საფუძველზე. ეს აფხაზური ანბანი ვერ იქნება ფონეტიკური: არცერთ პრაქტიკულ ანბანში არ აისახება ყველა ბგერის ყველა ვარიაცია; ეს შეუძლებელია, ეს საჭირო არ არის. პრაქტიკულმა ანბანმა უნდა გადმოსცეს მოცემული ენის ძირითადი ბგერები (ფონემები). რამდენი ფონემაა აფხაზურ ენაში? ბზიფურ კილოში (наречие) მეტია, აბჟუურში – ნაკლები. რაკიღა ამ უკანასკნელის ბგერითი სისტემა ედება საფუძვლად სალიტერატურო აფხაზურ ენას, ფონემათა საერთო რაოდენობა 56-მდე აღწევს; ამაზე ყველანი თანახმანი არიან. მოქმედ ქარ-

თულ ანბანში 33 ნიშანია. ყველა მათგანი გამოიყენება; თუკი მათ დაეუმატებთ იმ 5 [ქართულ] ნიშანსაც, რომლებიც ადრე [XIX ს. 60-იან წლებამდე – თ.გ.] გამოიყენებოდა, ნიშნები არ ეყოფა 18 ბგერას. როგორ აღვნიშნოთ ისინი: ძირითად და დამატებით ნიშანთა კომბინაციის თუ ქართულ ასოთა მოდიფიკაციის გზით? უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ გვექნება მთლიანი ნიშნები, განსაკუთრებული ნიშანი ყოველი ბგერისათვის.

აფხაზური ანბანი ისევე გადმოსცემდა აფხაზურ ბგერებს, როგორც ქართული ანბანი გადმოსცემს ქართულ ბგერებს: ერთი ბგერა – ერთი ასო. ამას უეჭველი უპირატესობა აქვს, განსაკუთრებით პედაგოგიკური თვალსაზრისით (ქართული ანბანი იმითაა კარგი, რომ იგი ქართული ენის ყველა ძირითად ბგერას ცალკეული ნიშნებით გადმოსცემს).

ჯგუფის შეჯერებული პროექტი ამ პრინციპიდან ამოდის, მაგრამ ბოლომდე არ მიჰყავს იგი: შერბილებულ თანხმოვნებს (ისინი კი შვიდია) კომბინაციის გზით გადმოსცემენ.

ქართულ ასოთა ვარიაციებიც ერთმანეთისაგან ძნელი გასარჩეია; ამას სკოლის მუშაკებიც აღნიშნავენ, ამას აღიარებს თვით მომხსენებელი ამ პროექტთან დაკავშირებით, ამხ. მ. ჰაშბაც, რომელმაც სხვათა შორის უარი თქვა, დაეცვა თავისი პროექტი, ვითარცა არადამაკმაყოფილებელი.

ამრიგად, მთლიანი, ერთიანი ნიშნების პრინციპი თითქმის განუხორციელებელი გამოდის. რჩება ძირითად ნიშანთა კომბინაციის პრინციპი; შესაბამისი ანბანის გამოყენებას ზოგი პედაგოგიკური სირთულე უკავშირდება (ეს გასათვალისწინებელია), – მაგრამ არსებობს უპირატესობანიც: ფონეტიკური თანმიმდევრულობა, ანბანში ნიშანთა ნაკლები რაოდენობა ნიშანთა ფართო მომცველობასთან ერთად, სასტამბო სალაროს სიმარტივე.

რამდენი დამატებითი ნიშანია საჭირო?

საკმარისი იქნება სამი ნიშნის შემოღება: სილბოს ნიშნისა, დებელურ ბგერათა (გემინატთა) ნიშნისა და ბაგისმიერობის (ლაბიალიზაციის) ნიშნისა.

პროფ. ახვლედიანმა გაარკვია, რომ წ [წ] და ტ [ტ]

ერთიმეორისაგან განსხვავდებიან არა წარმოების პროცესის, ანუ ამად ფონეტიკურ ნიადაგზე, ამიტომაც არ არის აუცილებელი ამ ლაბიალიზაციის სხვადასხვა ნიშნებით გამოხატვა.

პრო ფ. ს. ჯანაშია: ყველა წარმოდგენილი პროექტი აგებულია ქართულ ანბანზე, ოღონდ სხვადასხვა პრინციპით: 1) ზოგს სურს, რომ ყოველ ბგერას საგანგებო ნიშანი ჰქონდეს, მაგრამ ვერ იცავენ ამ პრინციპს ბოლომდე, ვინაიდან ყველა ასეთ პროექტს თანხმოვანთა სილბოს გადმოსაცემად შემოაქვს დამატებითი განმასხვავებელი ნიშანი (ჲ) და ამ გზით ართულებს დაწერილობათა გვერდით ამკვიდრებენ ორმაგ დაწერილობას; 2) მეორე ჯგუფი საერთო უპირატესობას ანიჭებს ორმაგ დაწერილობებს სპეციფიკური აფხაზური ბგერებისათვის; აქ პრინციპი უფრო მეტადაა დაცული. ჩვენი აზრით, ეს პროექტები შეიძლება ერთმანეთს შეუჯეროთ, თუ მივიღებთ აფხაზური სპეციფიკური ბგერების ორმაგი დაწერილობის პრინციპს და ამ პრინციპის განსახორციელებლად დავნერგავთ პროექტთა პირველი ჯგუფისეულ ნიშანს შერბილებული თანხმოვნებისათვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სილბოს ამ ნიშნის გარდა საჭირო იქნება კიდევ სულ რაღაც ორი განმასხვავებელი ნიშანი — მაგარი და გაბაგისმიერებული (ლაბიალიზებული) თანხმოვნებისათვის. ამ უკანასკნელ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ როგორც შ-ს [შ] ტიპის, ისე ტ-ს [ტ] ტიპისა და გ-ს [გ] ტიპის ბგერები. უკეთესია, ამ ნიშანთათვის საუკეთესო მოხაზულობათა შერჩევა დაევალოს სპეციალურ კომისიას.

პროფ. ა. შანიძე: თუ ნიშან ჲ-ს შემოვიღებთ სილბოს ნიშნად, მაშინ წამოიჭრება საკითხი: რა ვუყოთ უმარცვლო ი-ს? მე ვფიქრობ, რომ [საკითხი] უმარცვლო ი-ს შემთხვევაში შეიძლება დაისვას ისევე, როგორც უმარცვლო უ-ს, ლათინ. u-ს, რუსული у-ს შემთხვევაში. თუკი მარცვლიანი და უმარცვლო ი და უ საზოგადოდ გარჩეული იქნება წერილობით, მაშინ ორივე უმარცვლო ბგერას უნდა ჰქონდეს ერთნაირი განმასხვავებელი ნიშნები (მაგალითად, ჲ , ᲂ , ანდა ᲃ, ᲄ, ᲅ , ᲆ).

რაც შეეხება ცალბაგისმიერი და წყვილბაგისმიერი რიგების (წ, ხ, ც-ს რიგი და ტ', ლ, თ-ს რიგი) გაერთიანებას, მე პრინციპულად წინააღმდეგი ვარ ამისა. მაგრამ იქიდან გამომდინარე, თუ მათი გაერთიანების შემთხვევაში ისინი ერთმანეთში არ აირევა და ეს პრაქტიკაში არ გამოიწვევს რამენაირად მნიშვნელოვან შეცდომებს, მე არ შეეწინააღმდეგებოდი მათ გაერთიანებას.

დაადგინეს:

უპირებულ იქნეს მ. ჰაშბას, დ. გულიას და ა. ჭოჭუას შეჯერებული პროექტი.

არჩეულ იქნეს კომისია შანიძის, ს. ჯანაშიას, გულიას, კაციას, ხარაზიას, მაანის, პ. შაყრილის, მ. ჰაშბას შემადგენლობით (მათი მოწვევა დაევალოს დ. გულიას) პროფ. შანიძის, პროფ. ჯანაშიასა და დ. გულიას იმ წინადადებების დაზუსტებისა და ერთ პროექტად შეჯერებისათვის, რომლებიც ემყარება ქართულ ენაში არარსებულ სპეციფიკურ აფხაზურ ბგერათა დამატებითი ნიშნებით, ორმაგ მოხაზულობათა გამოყენების გზით გამოხატვის პრინციპს.

წინადადება მიეცეს კომისიას, დაადგინოს ამ დამხმარე ნიშანთა მოხაზულობანი.

დოკუმენტი № 3

დღის სხდომა

1937 წლის 5 დეკემბერი

ესწრებოდნენ: პროფ. ს. ჯანაშია, პროფ. ა. შანიძე, პროფ. ა. ჩიქობავა, პროფ. ვ. თოფურია, ნ. ბასილაია, ვ. ნაყოფია, დ. გულია, მ. ჰაშბა, ნ. გერია, ვ. მაანი, ნ. ჭოჭუა, ნ. პატეიფა, ს. ბასარია, პ. შაყრილი, ბ. კაცია, ს. სიმონია, ვ. ხარაზია, კ. ძიძარია, ბ. ჯანაშია, კ. შაყრილი, ა. ფადეევი.

<u>პროფ. ა. შანიძე:</u> კომისია დ. გულიას თავმჯდომარეობით, რომელიც არჩეულია ჩვენი თათბირის გუშინდელ გადაწყვეტილებათა საფუძველზე განმასხვავებელ ნიშანთა შესარჩევად და ახალი აფხაზური ანბანის საბოლოოდ გასაფორ-

მებლად, თათბირს დასამტკიცებლად სთავაზობს შემდეგს:

1. იმ ბგერებისათვის, რომლებიც გადმოიცემოდა ლათინური „y" ნიშნით (მაგ., აჳნგ „სახლი"), შემოღებულ იქნეს ნიშანი „ჯ", როგორც მჟღერი ყელისმიერი ბგერის გადმოსაცემად უფრო მისაღები.

2. დიალექტოლოგიური ჩანაწერებისათვის გამოყენებული ф და ჹ ნიშნები მიღებულ იქნეს იმავე ბგერითი მნიშვნელობებით, რაც მათ აქვთ ქართულ ენაში.

3. რაც შეეხება განმასხვავებელ ნიშნებს, ერთ-ერთი მათგანის საკითხი უკვე გადაწყდა გუშინ: ესაა „ჲ", რომლის გამოყენება მიანიშნებს წინამავალი თანხმოვნის შერბილებას. აღნიშნული ნიშანი ამჟამადაც გამოიყენება ქართულ დიალექტოლოგიურ ტექსტებში.

დანარჩენ ორ განმასხვავებელ ნიშნად წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს "ჲ" და „ჲ": პირველი — სიმაგრის აღსანიშნავად, ხოლო მეორე — ლაბიალიზაციის აღმნიშვნელად.

საბოლოოდ ვიღებთ ანბანს, შემდგარს 36 სრულფასოვანი და 3 განმასხვავებელი ნიშნისაგან, რომლებიც სპეციფიკურ აფხაზურ ბგერათა კომბინირების წესით გადმოცემისას მთლიანად ფარავენ აფხაზური სალიტერატურო ენის მთელ ბგერით შემადგენლობას. ეს ანბანი აფხაზური სალიტერატურო ენის პრაქტიკულ საჭიროებათა დაკმაყოფილების თვალსაზრისით სრულყოფილი და უნაკლოა, ხოლო სამეცნიერო თვალსაზრისით ბოლომდე მტკიცე და თანმიმდევრულია, ამიტომ იგი მკაფიოდ და იოლად ასათვისებელია. ე.ი. ამგვარი ანბანი, რომელიც [შეიცავს] დამატებით ნიშანთა მინიმალურ რაოდენობას, ქმნის შესაძლებლობას, ზუსტად გადმოიცეს აფხაზური ენის ყველა ბგერა.

პრინციპი, რომლის მიხედვითაც აგებულია ნიშნები სპეციფიკური აფხაზური ბგერებისათვის, ქმნის დიდ თავისუფლებას დიალექტოლოგიური ჩანაწერების საწარმოებლადაც. ამიტომ, უეჭველია, რომ ჩვენი მეგობრული შრომის ნაყოფი, რამაც მიგვიყვანა სრულყოფილი ანბანის შექმნამდე და დააგვირგვინა აფხაზი ხალხის ფართო მასების ოცნება, წარმო-

ადგენს დიდ მიღწევას. ახალი აფხაზური ანბანი მძლავრი საშუალება იქნება აფხაზთა ეროვნული კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

დაადგინეს: ქართული ასოების მოხაზულობის ბაზაზე შესამუშავებული ახალი აფხაზური ანბანის შესახებ საქართველოს კპ (ბ) აფხაზეთის XV საოლქო პარტკონფერენციის დადგენილების განხორციელების მიზნით სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის ინსტიტუტის სპეციალურმა თათბირმა სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების, აგრეთვე პრაქტიკოს პედაგოგთა მონაწილეობით 1937 წლის 4 და 5 დეკემბერს ქ. სოხუმში მიიღო ერთხმა გადაწყვეტილება:

1. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული ნიშნები დარჩეს უცვლელად, მათთვის დამახასიათებელ ბგერობრივ მნიშვნელობათა სრული დაცვით.

შენიშვნა: თანამედროვე ქართული ანბანის **ჭ, ჯ, ჩ, შ, ქ** ბგერები გამოყენებულ იქნეს აფხაზური რბილი თანხმოვნების გადმოსაცემად, რომლებთანაც ზოგადად უფრო ახლოს დგანან შესაბამისი ქართული ბგერები, ხოლო იმავე რიგის მაგარი თანხმოვნებისათვის გამოყენებულ იქნეს იგივე ასოები, ოღონდ განმასხვავებელი ნიშნებით თურთ.

2. სპეციფიკურ აფხაზურ ბგერათა გადმოსაცემად:

ა) გამოყენებულ იქნეს ქართული დიალექტოლოგიური ნიშნები ფ, ჳ იმავე მნიშვნელობებით, რაც მათ აქვთ ქართულშიც, ხოლო ჯ ნიშანს მიენიჭოს მჟღერი ყელისმიერი თანხმოვნის მნიშვნელობა (მაგ., აჯგ „სახლი").

ბ) შემოღებულ იქნეს განმასხვავებელი ნიშნები, ამასთანავე რთულ ბგერათა ერთნაირი შემადგენელი ელემენტები გამოისახოს ერთი და იმავე ხერხით განმასხვავებელ ნიშანთა დასმით ძირითადი ნიშნების (ასოების) გვერდით.

3. დადგინდეს სამი განმასხვავებელი (დიაკრიტიკული) ნიშანი თანხმოვანთა სამი დიდი ჯგუფისათვის, კერძოდ: შერბილებულთათვის, მაგართათვის (დებელურთათვის) და გაბაგისმიერებულთათვის (ლაბიალიზებულთათვის).

4. განმასხვაებელ ნიშანთათვის გამოყენებულ იქნეს შემდეგი მოხაზულობანი: ◌ᲂ, ◌ᲄ, ◌ᲅ, ამასთანავე:

A) ქართული დიალექტოლოგიური ნიშანი „◌ᲂ" (აფხაზურში შერბილების ნიშანი, ანდა უბრალოდ სილბოს ნიშანი) გამოიყენება შემდეგ მოხაზულობათა მქონე მაგარ თანხმოვანთა შერბილებისათვის: ყ, ღ, ხ, კ, გ, ქ, ლ.

შენიშვნა: შერბილების ნიშანი არ დაისმის იმ შემთხვევაში, როცა მაგარ თანხმოვნებს მოსდევს ე ან ი, რომლებიც თავისთავად არბილებენ წინამავალ მაგარ თანხმოვნებს.

B) ნიშანი „◌Т" (სიმაგრის ნიშანი) გამოიყენება აფხაზური ბგერების დებელობის გადმოსაცემად ალეეოლარულ თანხმოვანთა რიგში, კერძოდ: ჭᲄ, ჯᲄ, ჩᲄ, შᲄ, ჟᲄ. იგივე [ნიშანი] გამოიყენება წარმოთქმის მომენტალური შეყოვნების აღსანიშნავად, რაც ბგერას მაგარ გამოთქმას უნარჩუნებს რბილი ე და ი ხმოვნების წინაც (მაგ., იგᲄეიტ „წაიღო, წაიყვანა", დჟლᲄეიტ „ჩავიდა" და ა.შ.).

C) ნიშანი „◌ᲅ" (ბგერის წარმოთქმაში ბაგეების აქტიური მონაწილეობის, ან უბრალოდ ბაგისმიერობის ნიშანი) გამოიყენება ბაგეების მონაწილეობის სამი სახეობის აღსანიშნავად:

ა) სისინა და შიშინა ბგერათა წარმოთქმისას ორივე ბაგე ეხება ზედა კბილებს (კბილბაგისმიერნი): წᲅწᲅ, ძᲅ, ცᲅ;

ბ) კბილისმიერ ბგერათა წარმოთქმისას ორივე ბაგე ეხება ერთმანეთს (კბილბაგისმიერნი): ტᲅ, დᲅ, თᲅ;

გ) ბგერათა წარმოთქმისას ბაგეები მრგვალდება, მაგრამ არც ერთმანეთს ეხება და არც კბილებს (მომრგვალებულნი), მაგ., ჰᲅ, შᲅ, ჟᲅ.

5. აფხაზური სალიტერატურო ენის ყველა ბგერის გამოხატვის შესაძლებლობის მომცემი 36 სრულყოფილი და სამი განმასხვავებელი ნიშნისაგან შედგენილი აფხაზური ანბანი დალაგდეს შემდეგი წესით:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ ჶ ჷ ჸ ჹ ჺ ჻ ჼ ჽ ჾ.

კ. ძიძარია: 4 და 5 დეკემბრის 3 სხდომაზე განხილვის შემდგომ თათბირმა მიიღო ერთხმა გადაწყვეტილება და დაამტკიცა ახალი აფხაზური ანბანის პროექტი ქართული დამწერლობის საფუძველზე. ამით საფუძველი ჩაეყარა ამ ანბანის ათვისების, დანერგვისა და ფართო გავრცელების დიდ სამუშაოს, რომელიც მაშინვე დაიწყება, როგორც კი მას დაამტკიცებენ სათანადო ზემდგომი ორგანოები.

ახალი ანბანი ხელს შეუწყობს ორი მოძმე ხალხის უფრო მეტად დაახლოებასა და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებას.

თათბირის მუშაობა ნაყოფიერი იყო იმიტომაც, რომ მასში ადგილობრივ მუშაკებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან ჩამოსულმა პროფესორებმა: პ. შარიამ, ს. ჯანაშიამ, ა. ჩიქობავამ, ვ. თოფურიამ, რომელთაც ჩვენ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

თავმჯდომარე: კ. ძიძარია
მდივნები: ბ. ჯანაშია
ა. ფადეევი

სწორია:

დოკუმენტი № 4

ასლი

ოქმი

ახალი აფხაზური ანბანის შემოღების საკითხზე მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აფხაზური კულტურის ინსტიტუტში გამართული თათბირის მიერ გამოყოფილი კომისიისა
1937 წლის 5 დეკემბერი

ესწრებოდნენ: დ. გ'ულია, პ შაყრილი, ბ. კაცია, მ. პაშბა, ვ. ხარაზია, მ. მარღანია, ა. შანიძე და ს. ჯანაშია.

თავმჯდომარე — დ. გ'ულია

მდივანი — ს. ჯანაშია.

მოისმინეს: სპეციფიკურ აფხაზურ ბგერათა გადმოსაცემად აუცილებელი, მოქმედი ქართული ანბანისათვის [დასამატებელი] დამატებითი ნიშნების მოხაზულობის შესახებ.

დაადგინეს: მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აფხაზური კულტურის ინსტიტუტში გამართული თათბირის გადაწყვეტილებაზე დამყარებით, რაც გულისხმობს: ანალოგიური წარმოების სპეციფიკური აფხაზური ბგერებისათვის, რომლებიც ბგერათა სამ ჯგუფს ქმნიან – 1. შერბილებულთ, 2) მაგართ და 3) გაბაგისმიერებულთ (ლაბიალიზებულთ) – შემოღებულ იქნეს განმასხვავებელი ნიშნები, რიცხვით 3, რომლებიც დაისმება მოცემული რთული წარმოების ბგერის ძირითადი ელემენტის აღმნიშვნელი ძირითადი ასოს გვერდით, [კომისიამ] განიხილა ძიებულ მოხაზულობათა ყველა წარმოდგენილი ვარიანტი და თათბირს სთავაზობს [შემდეგს]:

A) განმასხვავებელ ნიშანთათვის შემოღებულ იქნეს შემდეგი მოხაზულობანი:

1) ჲ (ქართ. დიალექტოლოგიური) – შერბილებულ [თანხმოვანთათვის] (როგორც არის დ. გულიასა და „შეჯერებულ" [პროექტებში]);

2) ◦ ნიშანი, რომელიც ამჟამად უარყოფილ აფხაზურ ლათინურ შრიფტში, აგრეთვე აფხაზური ენის ზოგიერთ სატრანსკრიფციო სისტემაშიც გამოიყენება, – მაგარი თანხმოვნებისათვის (ნიშანი იჭერს სრული ასოს ადგილს);

3) ნიშანი ი, რომელიც გამოიყენება აფხაზური ენის თითქმის ყველა ანბანსა და ტრანსკრიფციაში, – გაბაგისმიერებულთათვის.

B) თათბირისათვის შეთავაზებულ იქნეს, მიიღოს მჟღერი ყელისმიერი თანხმოვნისათვის (ჴ, ყ) ქართული დიალექტოლოგიური ნიშანი ჯ.

თავმჯდომარე – დ. გულია

მდივანი – ს. ჯანაშია

სწორია:

ოქმები რუსულიდან ქართულად თარგმნა **თ. გვანცელაძემ.**

§ 3. ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ

უკანასკნელ წლებში ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა მიერ ჩატარებულმა კვლევითმა მუშაობამ დაადასტურა, რომ ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თავდაპირველად სახლობდნენ ქართველური ტომები (მეგრელ-სვანები). ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ამ ტერიტორიის ნაწილზე მოიხსენიებიან აფშილთა და აბასგთა ტომები, რომელთა ეთნიკური ვინაობა სათანადო ფაქტობრივი მასალის სიმწირის გამო დღემდე სარკეევი რჩება და დაეას იწვევს[570]. ამ ორი ტომის ხსენება წყდება ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის, რაც საფუძველს ქმნის იმის სამტკიცებლად, რომ ამ დროისათვის აფშილები და აბასგები, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, საბოლოოდ შეერწყნენ ადგილობრივ ქართველურ მოსახლეობას. რაც შეეხება ახლანდელ აფხაზთა თავდაპირველ საცხოვრისს, იგი XVI-XVIII საუკუნეებამდე ჩრდილოეთ კავკასიაში, სახელდობრ, მდინარე ყუბანის აუზში უნდა ყოფილიყო, რაზეც ცხადად მიანიშნებს როგორც წერილობითი წყაროები, ისე ძველი რუკების მონაცემები[571].

ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კერძოდ, ქალაქ ბიჭვინთის მიდამოებში თანამედროვე აფხაზთა წინაპრების სახლობის უძველესი მოწმობაა XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ოდიშის მთავრის მამია III დადიანის (მთავრობდა 1512-1533 წლებში) სახელით შედგენილი "ბიჭვინტის იადგარი", რომელშიც შავი ზღვის სანაპიროზე ისტორიაში პირველად იხსენიება აფხაზური ენის ნორმების მიხედვით გაფორმებული ორი გეოგრაფიული სახელი: **აითარნე** და **არუხა**.

ამ დროიდან მოკიდებული აფხაზური მოსახლეობა თანდა-

---

[570] ვრცლად იხ. კრებული: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. თბ., 2007.

[571] ვრცლად იხ: თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები: ძირითადი პრობლემები. თბ., 2008.

თანობით მრავლდება ჯერ მდინარე კოდორის მიმართულებით, შემდგომ კი მდინარე ღალიძგისკენაც.

ამ მიგრაციული პროცესის საფუძველზე აფხაზებით დასახლებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა **ტოპონიმთა სტიქიური და მასობრივი ცვლა:** ერთი მხრივ, დავიწყებას ეძლეოდა გეოგრაფიულ ობიექტთა ადრინდელი ქართველური (წინარექართველური, მეგრული, სვანური, სამწიგნობრო ქართული) სახელწოდებანი (**წაბალი//წებელი, ჯიხახორა, ცხუმი, მარმარისკარი...**), მეორე მხრივ, აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ლექსიკის სესხების კანონთა საფუძველზე თავდაპირველ ფონეტიკურ იერსახეს იცვლიდნენ და აფხაზური ფონოტაქტიკის ნორმებს ემორჩილებოდნენ (აფხაზურდებოდნენ) წარმოშობით ქართველური გეოგრაფიული სახელები (მეგრ. **ოთხირე** "სათხილე" > **აუადხარა // ოთხარა, ჭალა > ჭლოუ, მარგულა > მჩრკოლა, ოჩემჩირე > ოჩამჩრა...**) და, მესამე მხრივ, მასობრივად ჩნდებოდა სრულიად ახალი აფხაზური ტოპონიმ-ჰიდრონიმები.

XVII-XVIII საუკუნეებში აქა-იქ გაჩნდა თურქული გეოგრაფიული სახელებიც. ქართველური გეოგრაფიული ნომენკლატურა ძირითადად ხელუხლებლად დარჩა მხოლოდ ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში. ასე რომ, 1864 წლამდე, როცა რუსეთის იმპერიამ გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და მოახდინა მისი ანექსია და ოკუპაცია, ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ქართველური (წინარექართველური, მეგრული, სვანური და სამწიგნობრო ქართულის კუთვნილი), აფხაზური და მცირე რაოდენობის თურქული ტოპონიმია, ხოლო **ერთი ენის (ქართულის) ტოპონიმთა მასობრივად ცვლა მეორე ენის (აფხაზურის) გეოგრაფიული სახელებით მიმდინარეობდა სტიქიურად, რომელიმე სახელმწიფოს გეგმიური და მიზანმიმართული ჩარევის გარეშე, რაც გამორიცხავდა ამ ნიადაგზე მწვავე კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნას.**

რადიკალურად განსხვავებული ვითარება შეიქმნა 1864 წლის შემდგომ, როცა **ტოპონიმთა ცვლა მასობრივ ხასიათს ატარებდა და ატარებს, ასახავდა და ასახავს ჯერ მეფის რუ-**

სეთის, მერე საბჭოთა რუსეთის, ახლა კი "დემოკრატიული" რუსეთისა და სეპარატისტთა მიერ წინასწარ დაგეგმილ და მიზანმიმართულ ანტიქართულ ენობრივ პოლიტიკას.

სათანადო ფაქტობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ **აფხაზეთში გეოგრაფიულ სახელთა მასობრივი ცვლა 1864 წლიდან დღემდე განხორციელდა ხუთ ეტაპად.** ყოველ ეტაპს თავისი სპეციფიკა და ერთი საზოგადო ნიშანი ჰქონდა: ერთდროულად დიდი რაოდენობით იკრძალებოდა ერთი, ან, იშვიათად, ორი ენის გეოგრაფიული სახელები და მათ მაგიერ ძალდატანებით ინერგებოდა სხვა ენის გეოგრაფიული ნომენკლატურა.

ტოპონიმთა მასობრივი ცვლის **პირველი ეტაპი,** რომელსაც **რუსიფიკაციის ეტაპი** შეიძლება ეწოდოს, განხორციელდა 1864-1918 წლებს შორის და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეფის რუსეთის კოლონიალისტურ და რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან. აფხაზეთის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გამო რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ჯერ კიდევ ამ რეგიონის დაპყრობამდე გეგმავდა აქაური ქართული და აფხაზური მოსახლეობის დათრგუნვასაც და დაუმორჩილებლობის, ან სხვა ხელსაყრელი საბაბის გამოძებნის შემთხვევაში მის მასობრივად აყრა-განდევნასაც რეგიონიდან, ხოლო ამ გზით გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე განზრახული ჰქონდა იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი სხვა ეროვნების კოლონისტების დამკვიდრება. ამ გეგმაში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა რუს კაზაკთა გასამხედროებული დასახლებების (სტანიცების) უწყვეტი ჯაჭვის შექმნას შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ენგურის შესართავამდე, აგრეთვე მდ. ბზიფის ხეობაში. აფხაზეთის დაპყრობისთანავე იმპერიის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა აქაური მოსახლეობის მიერ რეგიონის "ნებაყოფლობითი" დატოვების "ხელის შეწყობა". მაგალითად, 1864 წლის 27 მარტს, როცა რუსეთ-კავკასიის ხანგრძლივი ომი დასასრულს მიუახლოვდა და დადგა აფხაზეთის სამთავროს რეალური დაპყრობის საკითხი, რუსეთის იმპერიის მეფისნაცვალმა კავკასიაში, დიდმა მთავარმა მიხეილ რომანოვმა შეადგინა და იმპერატორს წარუდგინა

გეგმა, რომელშიც ეწერა:

"იმის გამო, რომ მოახლოვდა განხორციელება უზენაესად მოწონებული გეგმისა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდინარე ყუბანის შესართავიდან მდინარე ბზიფის შესართავამდე [არსებული ტერიტორიის – თ.გ.] კაზაკური სტანიცებით ათვისების შესახებ, იქმნება აუცილებლობა იმისა, რომ გადაწყდეს აფხაზეთის მთავრის მომავალი... ამ საკითხის გადაწყვეტა ყველაზე მომგებიანი იქნება მთიელთა [იგულისხმებიან ჩერქეზები და უბიხები, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობდნენ თავგანწირულ ბრძოლას დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად – თ.გ.] საბოლოო დამორჩილებისა და [შავი ზღვის] აღმოსავლეთ სანაპიროს მათგან გაწმენდისთანავე.

[საკითხის] გადაწყვეტის მთავარ საფუძვლებად მე მივიჩნევდი შემდეგს:

1) დავითანხმოთ [აფხაზეთის] მთავარი და მისი მემკვიდრე [შემდგომში ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის მიმდევარი გიორგი შარვაშიძე – თ.გ.], უარი თქვან მართვა-გამგებლობაზე;

2) გამოეყოს მთავარსა და მის მემკვიდრეებს ისეთი ქონება, რაც მათ უზრუნველყოფდა;

3) აფხაზეთი გადაიქცეს სამხედრო ოკრუგად, რომელიც წებელდასთან ერთად უნდა დაემორჩილოს განსაკუთრებულ სამხედრო ხელმძღვანელს, ვინც [სხვა] ოლქებში მოღვაწე განყოფილებათა უფროსების უფლებით უნდა დაემორჩილოს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს;

4) თუკი [დეპორტირებული მოსახლეობისაგან] თავისუფალი მიწების რაოდენობა მოგეცემს საშუალებას, დაარსდეს ზღვის ნაპირის გასწვრივ, მდინარე ენგურის შესართავამდე კაზაკთა დასახლებები, რომლებიც მდინარე ბზიფის ნაპირებზე მდებარე დასახლებებთან ერთად შექმნიან აფხაზეთის კაზაკთა არმიას აფხაზეთის სამხედრო ოლქის უფროსის მეთაურობით..."[572].

---

[572] ჟ. Гамахария, Б. Гогия. Абхазия историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарий) С древнейших

იმავე დროს ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორი დ. სვიატოპოლკ-მირსკი მოახსენებდა რუსეთის არმიის გენერალურ შტაბს:

"თუ აფხაზთა ნაწილს გაუჩნდება სურვილი თურქეთში წასვლისა, მიმაჩნია, რომ ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ... ხელში ჩაიგდებთ რა [აფხაზეთის] მთავრის ძალზე ვრცელ და მნიშვნელოვან პირად მამულებს, ჩვენ შევძლებთ, ახლავე დავიწყოთ აფხაზეთის დაგეგმილი კოლონიზაცია კაზაკთა ჯარის საშუალებით... მდინარე ბზიფის ორსავე ნაპირზე მდებარე დაცლილი მიწების ფლობის შემთხვევაში აქ შესაძლებელი იქნება, შევქმნათ აფხაზეთის რუსული მოსახლეობა"[573].

რუსეთის ხელისუფლება საბაბს ელოდა საიმისოდ, რათა აფხაზეთიდან აეყარა ადგილობრივი მოსახლეობა და მათ ნაბინავარზე დაესახლებინა მისადმი ლოიალურად განწყობილი კოლონისტები. ასეთ საბაბად იქცა ჯერ აფხაზთა 1866 წლის ანტირუსული აჯანყება, მერე კი 1877-1878 წლებში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომის დროს აფხაზი მოსახლეობის ერთი ნაწილის მხრივ თურქეთისათვის მხარდაჭერა. ორივე შემთხვევაში დამარცხებულ აფხაზებს მოსთხოვეს თურქეთში გადასახლება, რასაც აგიტაციით ხელს უწყობდნენ თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის აგენტებიც.

1866 წლის სექტემბერში რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრისა და კავკასიის მეფისნაცვლის გადაწყვეტილებით განისაზღვრა აფხაზთა ნაწილის განდევნა აფხაზეთიდან ოსმალეთში. სამშობლოდან დეპორტირებულ აფხაზთა პირველი დიდი მასა აფხაზეთიდან 1867 წელს დაიძრა[574]. მეორე დეპორტაცია მიმდინარეობდა 1878-1880 წლებში. იმავე 1880 წლის 31 მაისს იმპერატორის რესკრიპტით აფხაზ ხალხს ოფიციალურად ეწოდა **"დამნაშავე ხალხი"** (Виновный народ).

времен до 30-х годов XX века. Тб., 1997, დოკუმენტი № 167, გვ. 329-333 (თარგმანი ჩვენია – თ.გ).

[573] ს. ჯანაშია. წინასიტყვაობა. – წიგნში: გიორგი შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა. თბ., 1985, გვ. 5 (თარგმანი ჩვენია – თ.გ.).

[574] განდევნილ ოჯახთა სიები იხ. წიგნში: ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბ., 2004.

ორივე დეპორტაციას შედეგად მოჰყვა აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის დაცლა მოსახლეობისაგან. კერძოდ, მთლიანად დაიცალა ამჟამინდელი გაგრის, სოხუმისა და გულრიფშის რაიონების, ხოლო სანახევროდ დაიცალა ახლანდელი გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების მიწა-წყალი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელოვნურად შეიქმნა ერთმანეთისაგან ტერიტორიულად საგრძნობლად დაშორებული აფხაზთა ორი რეზერვაცია – გუდაუთისა და ოჩამჩირისა.

ამ რეზერვაციების ერთიმეორისაგან იზოლირების მიზნით მათ ირგვლივ და სხვა დაცლილ მიწებზე შეიქმნა რუსული, უკრაინული, სომხური, ბერძნული, გერმანული, ბულგარული და ესტონური სოფლები. სწორედ 1867-1880 წლებში გაქრა აფხაზეთის რუკიდან აფხაზური და გააფხაზურებული ქართველური ტოპონიმების დიდი მასა და მათი ადგილი უპირატესად რუსულმა გეოგრაფიულმა სახელებმა დაიკავა.

ამ პერიოდში აფხაზეთში გაჩენილი რუსული ტოპონიმები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. რუსული ტოპონიმების ერთი ნაწილი ნაწარმოები იყო რუსეთის მეფის ოჯახის წევრთა პირსახელებისაგან. მაგალითად, ახლანდელი გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარანის ტერიტორიის ერთ მონაკვეთზე, სადაც ადრე აფხაზები სახლობდნენ, 1869 წელს შეიქმნა ანატოლიიდან დევნილ ბერძენთა დასახლება, რომელსაც რუსეთის უფლისწულ ალექსანდრეს დაბადების აღსანიშნავად **ალექსანდროვსკოე // ალექსანდროვკა** ეწოდა[575]; ამჟამინდელი სოხუმის რაიონის სოფელ ახალსოფლის მიწაზე დაარსებულ სოფელს ნიკოლოზ II-ის ვაჟის ალექსეის დაბადების აღსანიშნავად **ალექსეევკა** დაერქვა[576]; აფხაზთა მეორე დეპორტაციის შემდეგ, 1879 წელს ყოფილ აფხაზურ სოფელ აფრას იმპერატორის შვილიშვილ ანდრეის პატივსაცემად **ანდრეევკა** შეარქვეს[577]; აფხაზთაგან დაცლილ სოფელ ბარიალში 1867-1869 წლებში ჩაასახლეს

---

575 В.К. Карчия. Ойконимы Абхазии в письменных памятниках. Сухуми, 1985, გვ. 31.

576 იქვე, გვ. 39.

577 იქვე, გვ. 40-41.

ბერძნები, სოფელს კი **ოლგინსკოე** ეწოდა უფლისწულ ოლღა თევდორეს ასულ რომანოვას საბერძნეთის უფლისწულზე დაქორწინების აღსანიშნავად[578] და სხვ.

2. რუსულ ტოპონიმთა მეორე დიდი ჯგუფი მომდინარეობდა რუსეთ-კავკასიის ომის მონაწილე რუსეთის არმიის პირსისხლიანი გენერლების, მსხვილი მოხელეებისა და მემამულეების გვარსახელებისაგან. მაგალითად:

ჩეჩნებისა და დაღესტნის დაუძინებელი მტრის, გენერალ ალექსეი ერმოლოვის უკვდავსაყოფად აფხაზეთში გაჩნდა ორი სოფელი **ერმოლოვკა** და **ერმოლოვსკი**;

ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის აქტიური მონაწილის, გენერალ ნ. ევდოკიმოვის პატივსაცემად გაჩნდა ოიკონიმი **ევდოკიმოვკა**;

ამჟამინდელი დაბა განთიადის ადგილას მდებარე აფხაზურ სოფელ ცანდრიფ'შის ტერიტორიაზე 1871-1872 წლებში ჩაასახლეს რუსები, მოლდოველები და სომხები. ახალ კოლონისტურ დასახლებას შავი ზღვის სამხედრო ოლქის უფროსის, გენერალ პილენკოს პატივსაცემად ეწოდა **პილენკოვო**[579].

ამავე ტიპისა იყო ოიკონიმები: **ვლადიმიროვკა, ვორონცოვკა, ზახაროვკა** და სხვ.

3. ზოგი რუსული გეოგრაფიული სახელი მიუთითებდა აფხაზეთში ახლად შემოყვანილ კოლონისტთა სადაურობაზე, მათ ადრინდელ საცხოვრისზე. ასეთები იყო, მაგალითად: **ჩერნიგოვკა** და **სტაროჩერნიგოვკა** – ჩერნიგოვის გუბერნიიდან მოყვანილ კოლონისტთა დასახლებანი; **პოლტავსკოე** – პოლტავის გუბერნიიდან მოსულ კოლონისტთა სოფელი; **ესტონსკოე** (შემდგომში – **ესტონკა**) – ესტონელთა დასახლება; **ათარა-არმიანსკაია** – სომეხ კოლონისტთა სოფელი; **ეშერი-არმიანსკოე** – სომეხ კოლონისტთა სოფელი და ა.შ.

4. ქრისტიანულ-რელიგიური სემანტიკის ტოპონიმები: **ბოგოიავლენსკოე** (უკავშირდებოდა უფლის გამოცხადებას), **ტროიცკოე** (ეძღვნებოდა წმ. სამებას), **სპასსკოე // სპასოვსკოე** (მაც-

---

[578] იქვე, გვ. 51.
[579] იქვე, გვ. 27.

ხოერის პატივსაცემი სახელი), **როჟდესტვენსკოე** (უკავშირდებოდა მაცხოერის შობას) და სხვ.

5. სხვა ტიპის სახელები: **ვესიოლოე // ვესიოლი, ოტრადნოე, გრებეშოკი, ჩორნაია რეჩკა, ხოლოდნაია რეჩკა** და მრ. სხვ.

რუსიფიკაციის ეტაპზე ტოპონიმთა მასობრივი ცვლის მასშტაბი ნაწილობრივ მაინც ასახულია დაახლოებით 1914 წელს რუსი მოხელეების მიერ შედგენილ სოხუმის ოლქის დასახლებული პუნქტების იმ სიაში, რომელიც დაცული იყო აფხაზეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში და შედგება 213 მსხვილი სოფლის სახელისაგან (ამ სიაში არ არის წარმოდგენილი ახლანდელი გაგრის რაიონის დასახლებული პუნქტები, ვინაიდან ეს მიწა-წყალი 1904 წელს თვითნებურად ჩამოაჭრეს ქუთაისის გუბერნიას და მიუერთეს შავი ზღვის გუბერნიას). ამ 213 სოფლიდან ახალი რუსული, ანდა რუსიფიცირებული სახელი ჰქვია 33 სოფელს (15,4 %). ესენია: **ბაკლანოვკა, ბელორეჩენსკი, ვესიოლი, პეტროვსკოე, ალექსანდროვსკოე, ალექსანდროვსკოე პერვოე, ალექსანდროვსკოე ვტოროე, ანდრეევსკოე, ვასილევკა, ვორონცოვკა, ივანოვკა, მარიინსკოე, მატროსსკაია სლობოდკა, მიხაილოვსკოე, ნაა-არმიანსკოე, ნიკოლაევსკო-ანასტასიევსკოე, ნოვოჩერნიგოვკა, ოლგინსკოე, ვლადიმიროვკა, გეორგიევსკოე, დმიტროვსკოე, ეკატერინენსკოე, კონსტანტინოვსკოე, პავლოვსკოე, პეტროვსკოე, პოლტავსკოე, როჟდესტვენსკოე, სპასოვსკოე, სტაროჩერნიგოვკა, ესტონსკოე, ეშერი-აბხაზსკოე, ეშერი-არმიანსკოე, იურიევსკოე.**

ტოპონიმთა მასობრივი ცვლის **მეორე ეტაპი, ანუ სოვეტიზაციის ეტაპი** აფხაზეთში განხორციელდა XX საუკუნის 20-30-იან წლებში და მიზნად ისახავდა კომუნისტური იდეოლოგიის დანერგვას გეოგრაფიული ნომენკლატურის მეშვეობითაც. ამ პერიოდში არა მარტო აფხაზეთში, არამედ სრულიად საქართველოშიც და მთელ საბჭოთა კავშირშიც მასობრივად მიმდინარეობდა ადრინდელი გეოგრაფიული სახელწოდებების ნაცვლად ახალი იდეოლოგიზებული სახელების დამკვიდრების ერთიანი პროცესი.

უპირველეს ყოვლისა, უქმდებოდა ის გეოგრაფიული სახე-

ლები, რომლებიც ასახავდა რელიგიურ მსოფლმხედველობას, ან დაკავშირებული იყო მოცემული ეთნოსის ეროვნულ თავისებურებებთან, ან კიდევ შექმნილი იყო მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ.

ამ ტოპონიმთა ადგილას გაჩნდა კომუნისტური პარტიის ლიდერებისა და ცნობილ რევოლუციონერთა გვარსახელებისაგან მომდინარე, რევოლუციურ ცნებებთან, თუ რევოლუციურ რიტორიკასთან დაკავშირებული ხელოვნური სახელები. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში შემაეალ უკლებლივ ყველა "მოკავშირე" რესპუბლიკაში დამკვიდრებულ იქნა ლენინის, სტალინის, კიროვის, მიქოიანის, ორჯონიკიძის, კუიბიშევის, ჟდანოვის, მოლოტოვის, ბუდიონის, მიასნიკოვის (მიასნიკიანის), ვოროშილოვისა და სხვათა გვარებისაგან მომდინარე ტოპონიმები (ქალაქებისა და სოფლების სახელები): **ლენინგრადი, ლენინო, ლენინსკი, ლენინაბადი, ლენინაკანი, ლენინისი, ლენინგორი...; სტალინგრადი, სტალინო, სტალინირი** (ერქვა ქ. ცხინვალს), **სტალინაბადი...; კიროვი, კიროვო, კიროვსკი...; მიქოიანი, მიქოიან-შახარი...; ორჯონიკიძე, ორჯონიკიძევსკი...; კუიბიშევი, ჟდანოვი** და უამრავი სხვა.

ამავე რიგისა იყო "საბჭო", "კომუნარი", "კომინტერნი" (< კომუნისტური ინტერნაციონალი), "წინსვლა", "განახლება", "ოქტომბერი", "პირველი მაისი", "შრომა", "გამარჯვება" და იდეოლოგიურად დატვირთულ მსგავს ცნებათა აღმნიშვნელი ტოპონიმები: **სოვეტსკოე, კომუნარსკი, კომინტერნსკოე, წინსვლა, განახლება, ოკტიაბრსკი, ოქტემბერიანი, პერვომაისკი, პირველი მაისი, შრომა, გამარჯვება** და მრ. სხვა.

ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით აფხაზეთი ვერ იქნებოდა გამონაკლისი საერთო პროცესებში. ამ რეგიონშიც იმავე პერიოდში გაჩნდა ახალი იდეოლოგიზებული გეოგრაფიული სახელების დიდი ჯგუფი. კერძოდ, XX საუკუნის 20-30-იან წლებში შეიქმნა შემდეგი კომუნისტური ოიკონიმები (სოფელთა სახელები):

ოქტიაბრსკოე – 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების უკვდავსაყოფად (ყოფილი ს. **ფსჳრძხა // ფსირცხა**); **შაუმიანოვსკოე // შაუმიანოვკა** < რევოლუციონერ **ს. შაუმიანის** გვარისა-

გან (XIX ს. II ნახევრიდან ერქვა **წყუბუნ-არხირეისკოე**); **კულტუჩასტოკ** < культурный участок "კულტურული უბანი" (ყოფილი ს. **ასაბულეი** < მეგრ. დიალ. **საბულიო**), **კონსოვხოზ** < რუს. коневодческое советское хозяйство "მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობა" (ყოფილი **კაციჭთა**), **ლენინო** (XIX ს. II ნახევრიდან ერქვა **რეპერ**), **კომინტერნოვსკოე** < კომუნისტური ინტერნაციონალის სახელისაგან (XIX ს. II ნახევრიდან ერქვა **კესიანოვკა** სომხური გვარსახელისაგან **კესიან**), **მიასნიკოვო // მიასნიკოვკა** < რევოლუციონერ **მიასნიკოვის (მიასნიკიანის)** გვარისაგან (ყოფილი ს. **დალი**), **სვობოდა** < რუს. свобода "თავისუფლება" (ყოფილი **ჲაშთხვა**), სოფელ ეშერის შემადგენლობიდან გამოყოფილი 3 სოფლის სახელი: **ტრეტი ინტერნაციონალ** < რუს. третий интернационал "მესამე ინტერნაციონალი", **კარლ მარქს** < კომუნისტური იდეოლოგიის ფუძემდებელ **კარლ მარქსის** სახელისა და გვარისაგან, **ლაკობა** < აფხაზი კომუნისტი ლიდერის **ნესტორ ლაკობას** გვარისაგან და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ეს სახელები ძირითადად რუსულია, ან რუსული ფორმითაა წარმოდგენილი.

ასეთივე იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა XX საუკუნის 40-იან წლებში შექმნილ, ქართული ენის ნორმების მიხედვით გაფორმებულ შემდეგ რამდენიმე ოიკონიმსაც:

ოქტომბერი (XIX ს. II ნახევრიდან ერქვა **ოლგინსკოე**), **ცოდნისკარი** (XIX ს. II ნახევრიდან ერქვა **ტროიცკოე**), **განახლება** (XIX ს. II ნახევრიდან ერქვა **ანასტასიევკა**), **შრომა** (XIX ს. II ნახევრიდან ერქვა **მიხაილოვსკოე**) და ა.შ.

ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოებანი:

ა. XX საუკუნის 20-40-იან წლებში დამკვიდრებულ იდეოლოგიზებულ სახელთა შორის, ოიკონიმ ლაკობა-ს გარდა, არცერთი არ არის აფხაზური არც ფორმით და არც წარმოშობით;

ბ. ქართული ენის საფუძველზე შექმნილ არცერთ იდეოლოგიზებულ ოიკონიმს არ გამოუდევნია რომელიმე აფხაზური გეოგრაფიული სახელი – ქართული სახელწოდებებით ჩანაცვლებულ იქნა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრებული რუსული ტოპონიმები;

გ. რუსულენოვანი იდეოლოგიზებული ტოპონიმების ერთმა ნაწილმა შეიწირა რამდენიმე აფხაზური წარმოშობის, ან გა-აფხაზურებული ოიკონიმი (ფსჷრძხა, ასაბულეი, კაციჭთა, ბაშთხვა);

დ. XX საუკუნის 20-30-იან წლებში არ გაუქმებულა 1864-1917 წლებს შორის პერიოდში შექმნილი მრავალი ისეთი ოიკონიმი, რომელთაც საფუძვლად ედო რუსეთის სამეფო დინასტიის წევრთა სახელები და რუსეთის არმიის გენერალთა გვარები, თუმცა, საყოველთაოდაა ცნობილი, კომუნისტებს საშინლად სძულდათ როგორც რომანოვების სამეფო დინასტია, ისე რუსეთის იმპერიის გენერალიტეტი. ჩანს, ამ ტიპის ცარისტულ-კოლონიალისტური სახელწოდება გადაარჩინა იმან, რომ ისინი რუსულენოვანი იყო.

აფხაზეთში ტოპონიმთა მასობრივი ცვლის მესამე ეტაპი, რომელსაც შეიძლება დერუსიფიკაციის ეტაპი ეწოდოს, მოიცავდა XX საუკუნის 40-იან წლებს მთლიანად და 50-იანი წლების პირველ ნახევარს. ამ პერიოდს სეპარატისტულ ლიტერატურაში აფხაზი ხალხის ძალდატანებითი გაქართველების, აფხაზური ენისა და კულტურის დევნა-შევიწროების ეტაპს უწოდებენ. იმის შესახებ, თუ რამდენად უსაფუძვლოა ეს ბრალდება, კერძოდ, ტოპონიმთა ცვლის თვალსაზრისით, საგანგებო მსჯელობაა წარმოდგენილი პროფ. ო. მიქიაშვილის სპეციალურ ნაშრომში[580], რომელიც ემყარება 1943-1967 წლების სათანადო დოკუმენტურ მასალას.

ჩვენ ვიზიარებთ კოლეგის მიერ გამოთქმულ ძირითად დასკვნებს, მაგრამ ზოგი კონკრეტული საკითხის შესახებ მისგან განსხვავებული შეხედულება გვაქვს (ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება იმ რამდენიმე შემთხვევას, როცა ო. მიქიაშვილი მცდარად წყვეტს ზოგი გეოგრაფიული სახელის ენობრივი წარმომავლობის პრობლემას. იხ. ქვემოთ). აქ ჩვენ ვიმსჯელებთ იმ საკითხთა შესახებაც, რომლებიც კოლეგას არ განუხილავს.

ო. მიქიაშვილი აღნიშნავს, რომ 1943-1948 წლებში სოხუმის

---

[580] ო. მიქიაშვილი. აფხაზეთის ტოპონიმიის ისტორიიდან. 1943-1952, 1953-1967 წწ. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. IV. ქუთაისი, 2000.

რაიონ'ში[581] სულ 32 ტოპონიმი შეიცვალა. კერძოდ, ქართული სახელები ჩაენაცვლა 12 რუსულ, 9 თურქულ, 2 გერმანულ და 1 აფხაზურ ოიკონიმს, ხოლო აფხაზური სახელებით შეცვლილა 3 ტოპონიმი: 1 ქართული (**ჟირწყარი > აძირბჟარა**), 1 რუსული (**ასტეროვკა > ამზარა**) და 1 გერმანული (**გრადენბერგი > ძიკუტა**[582]). "აღნიშნულ ცვლილებათა შედეგად აფხაზურ ტოპონიმთა რიცხვი სოხუმის რაიონში გაიზარდა 2 ერთეულით. მათ შორის ერთს ქართული სახელი შეეცვალა აფხაზურით (**ჟირწყარი > აძირბჟარა**)"-ო, დაასკვნის მკვლევარი[583]. მეცნიერის მიერ დასახელებული კონკრეტული მასალიდან კი ოდნავ განსხვავებული სურათი იკვეთება:

ა. ო. მიქიაშვილს თურქული **ორდუ-ქუჩუკ-სტამბულ**-ის ნაცვლად შემოღებულ ქართულ ტოპონიმად **ფარნაეთი** მიაჩნია. რეალურად კი სოფელს **ფარნაუთი** დაერქვა, რომელსაც არ ეძებნება ეტიმოლოგია არც ქართულ და არც აფხაზურ ენებზე. ამდენად მისი მითვლა ახლად შემოღებულ ქართულ სახელებზე გაუმართლებელია;

ბ. მკვლევარს სათვალავში გამორჩენია 1943-1948 წლებში თურქული **კავაქლუქ**-ის მაგიერ ახლად შემოღებული გააფხაზურებული სახელი **აჭანდარა**;

გ. დაუსაბუთებელია განცხადება: ქართული სახელით შეიცვალა "... მხოლოდ 1 აფხაზური ტოპონიმი (32-დან) – ფიშთა > ზემო ეშერა"[584]. სინამდვილეში **ფიშთა** (აფხაზური გამოთქმით **ფჳშთა**), რომელიც ჯერ კიდევ სოხუმის რაიონის (სვანეთით დასახლებული ძვ. მისიმიანეთის) ტერიტორიაზე აფხაზთა წინაპრების მოსვლამდე დასტურდება ანტიკური პერიოდის ბერძნულ წყაროებში **ფუსტა // ფუსდა** ფორმით, სვანურია (შდრ. **ფუსტ // ფუსდ** "ბატონი, უფალი"). სესხების ფონოტაქ-

---

[581] იმ დროს არ არსებობდა გულრიფშის რაიონი. მისი ამჟამინდელი ტერიტორია განაწილებული იყო სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონებს შორის.

[582] აფხაზური ფორმაა **ძჳთა** "წყალთაშუა".

[583] ო. მიქიაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 255.

[584] იქვე. გვ. 255.

ტიკის წესების დაცვით **ფუსტა** ფორმისაგან მომდინარეობს აფხაზური **ფჳშთა** ვარიანტი. გარდა ამისა, არც ფორმა **ზემო ეშერა**-ა მთლად ქართული – იგი კონტამინირებული აფხაზურ-ქართული ტოპონიმია: ქართულია მსაზღვრელი სიტყვა **ზემო**, ხოლო ფორმა **ეშერა** (აფხაზური გამოთქმით **ეშჳრა** "კვერნების საბინადრო") – აფხაზური. ე.ი. რეალურად ამ შემთხვევაში ქართული ტოპონიმი კი არ დანერგილა, არამედ ქართული (სვანური) ტოპონიმი **ფუსტა // ფუსდა** გაუქმდა და მისი ადგილი დაიკავა აფხაზურ-ქართულმა ფორმამ;

დ. ამ დაზუსტებათა გათვალისწინებით დასკვნა ასეთი უნდა იყოს:

1943-1948 წლებში სოხუმის რაიონში ქართული ტოპონიმებით შეიცვალა 12 რუსული, 7 თურქული, 2 გერმანული ოიკონიმი (სულ 21 სახელი), **არ შეცვლილა არცერთი აფხაზური გეოგრაფიული სახელი**; აფხაზური, ან გააფხაზურებული ტოპონიმებით შეიცვალა 4 სახელი, კერძოდ: 1 ქართული (**ჟირწყარი > აძირბჟარა**), 1 რუსული (**ასტეროვკა > ამზარა**), 1 თურქული (**კავაქლუქი > აჭანდარა**) და 1 გერმანული სახელი (**გრადენბერგი > ძიკუტა**). გარდა ამისა, ერთ ქართულ (სვანურ) ტოპონიმს ჩაენაცვლა კონტამინირებული აფხაზურ-ქართული სახელი (**ფიშთა > ზემო ეშერა**).

ო. მიქიაშვილი წერს:

"გუდაუთის რაიონში 1943-1952 წლებში შეიცვალა 25 ტოპონიმი. ამათგან ქართულით – 7 პუნქტის სახელწოდება, აქედან 3 რუსული (კოჩკანიანოვკა → შუამთა, მინგრელსკოე-გრეჩესკოე → ციტრუსოვანი, ოქტიაბრსკოე-სოვეტსკოე → ოქტომბერი), 2 აფხაზური (აშიცრა → ახალსოფელი, კალმუთ → ბამბუკოვანი) და ორი თურქული (კავაქლუქ → აგარაკი, სანაპცაცკიუღ-აწსაპცაცკიუღ → ქვემო მწარა).

11 აფხაზური ტოპონიმი შეიცვალა აფხაზურითვე (აგვაერა → ბლაბურხვა, აგწა → ანუხვა, ათვარხუ → ხოფი, არაშახუ → ზვანდრიფში, თარკილაა-რჯაბლა → დურიფში, ჯაფხუნ → კალდახვარა, ჯირხვა-ახუწა → ახუწა, ხუდაარა → ჯირხვა, ძაღრიფშ → ოთხარა), ერთი ქართული – ქართულითვე (მესამე

ქარხანა → გოგირდწყალი) და ერთი რუსული – აფხაზურით (ცენტრალნოე-კომსომოლსკოე-კრასნოე → ფსირცხა).

ე.ი. სულ გუდაუთის რაიონს მოაკლდა 2 აფხაზური ტოპონიმი (გაქართულდა: აშიცრა → ახალსოფელი და კალმუთ → ბამბუკოვანი), მეორე მხრივ, მოემატა 2 პუნქტის აფხაზური სახელწოდება (ცენტრალნოე-კომსომოლსკოე-კრასნოე → ფსირცხა და სანაპიროულ-აწნაპიროულ → ქვემო მწარა. ჯამში ბალანსი არ დარღვეულა"[585].

რეალურად, ავტორს აქაც მოსდის ზოგი შეცდომა, რაც ნაწილობრივ ცვლის სურათს:

ა. გამორჩენილია რუსული **ბაკლანოვკა** სახელის აფხაზური **ააცი** ტოპონიმით შეცვლის ფაქტი;

ბ. ტოპონიმი **კალმუთ** არ არის აფხაზური. მისი წარმომავლობა სარკეევია;

გ. რთული სახელი **სანაპიროულ-აწნაპიროულ** სომხურია და არა თურქული;

დ. სახელი **ქვემო მწარა** ისეთივე კონტამინირებული ქართულ-აფხაზური ტოპონიმია, როგორც ზემოთ განხილული **ზემო ეშერა;**

ე. ტოპონიმები **ხოფი** (შდრ. **ხობი // ხოფი** სამეგრელოში და **ხოფა** ლაზეთში) და **ოთჰარა** < მეგრ. დიალ. **ოთხირე** "სათხილე" სუბსტრატული ქართული სახელებია და არსებობდა ჯერ კიდევ აფხაზთა ჩამოსახლებამდე, რაზეც მიანიშნებს მათი გააფხაზურებული ვარიანტები **ხაფ** და **ჭათჰარა** – აფხაზურში ფონეტიკურ ადაპტაციას მხოლოდ XIX საუკუნემდე ნასესხები ლექსიკა განიცდის. ასე რომ, ამ შემთხვევებში აღდგა ისტორიული სამართლიანობა;

ამ დაზუსტებათა გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ:

1. გუდაუთის რაიონში 1943-1952 წლებში გაუქმდა 4 რუსული ტოპონიმი (**კოჩკანიანოვკა, მინგრელსკოე-გრეჩესკოე, ოქტაბრსკოე-სოვეტსკოე, ცენტრალნოე-კომსომოლსკოე-კრასნოე**) და მათ ჩაენაცვლა 3 ქართული (**შუამთა, ციტრუსოვანი, ოქ-**

---

[585] ო. მიქიაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 256.

ტომბერი) და 2 აფხაზური სახელი (**ფსირცხა, ააცი**). ქართული სახელებით შეიცვალა აგრეთვე 1 თურქული (**კავაქლუქ → აგარაკი**) და 1 დაუდგენელი წარმომავლობის სახელი (**კალმუთ → ბამბუკოვანი**);

2. ქართული სახელით შეიცვალა 1 აფხაზური ტოპონიმი (**აშიცრა > ახალსოფელი**);

3. გააფხაზურებული ქართული სუბსტრატული სახელწოდებანი აღუდგა 2 სოფელს (**ათვარხუ → ხოფი // ხაფ, ძაღრიფშ → ოთხარა // უათჰარა**);

4. გაუქმდა ერთი სომხური სახელი და მის ნაცვლად დამკვიდრდა კონტამინირებული აფხაზურ-ქართული ტოპონიმი (**სანაპაცაცკიულ-აწნაპაცაცკიულ → ქვემო მწარა**);

დაზუსტებას მოითხოვს ო. მიქიაშვილის დასკვნა, თითქოს გაგრის რაიონში გაქართულდა 2 აფხაზური გეოგრაფიული სახელი (**მეხადირი > ნაკადული, აბგაბორთა > ბზიფი**)[586]. რეალურად **მეხადირ**-ის (აფხაზური გამოთქმით **მაჰადჳრ**) აფხაზურობა სარკეცეა, მისი ეტიმოლოგია ნათელი არ არის, ასევე საძიებელია სახელ **ბზიფ**-ის (აფხაზური გამოთქმით **ბზჳფ**) სტრუქტურა და წარმომავლობა. ასე რომ, კატეგორიულად მტკიცება იმისა, რომ "აფხაზური" ტოპონიმი **მეხადირი** გაქართულდა, მართებული არ არის. რაც შეეხება მდინარე **ბზიფ**-ს, მას ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი **კაპეტის წყალს** უწოდებდა (შდრ. მეგრ. **კაბეტი** "დიდი, მთავარი" – მ. სალია), ხოლო სიტყვა **ბზიფი** აფხაზური და ქართული ენების საზიარო კუთვნილებაა. ასე რომ, გაგრის რაიონში აფხაზური ტოპონიმების გაქართულებაზე საუბარი ნაადრევია, სანამ არ გაირკვევა ტოპონიმ **მეჰადირ**-ის წარმომავლობა.

იმავე პერიოდში ოჩამჩირის რაიონში შეცვლილი ტოპონიმების განხილვისას ო. მიქიაშვილი დაასკვნის, რომ ქართულ სახელებს ჩაუნაცვლებია 3 აფხაზური ტოპონიმი: **აგუაა > ფოჭ**

---

[586] ო. მიქიაშვილი. დასახ. ნაშრ.. გვ. 256.

ვეში, ატიშადუ > ვარდისუბანი, ლაგანიაა რხუ > ჭლოუ[587]. ჩვენი აზრით, აქ აუცილებელი იყო იმის აღნიშვნა, რომ ქართული (მეგრული) სახელი ფოქვეში სოფელ აგვაა-ს XX საუკუნემდეც ერქვა: მაგალითად, სწორედ ფოქვეში და არა აგვაა ფორმით იხსენიება ეს სოფელი 1888 წელს რუსი საეკლესიო მოხელეების მიერ შედგენილ სამრევლოების ნუსხაში[588]. რაც შეეხება სოფლის სახელ ჭლოუ-ს, მას შუა საუკუნეებში ჭალა ერქვა, ხოლო ვარიანტი ჭლოუ მისი გააფხაზურებული ფორმაა (ქართველი ჯაიანების კუთვნილი სოფელი ჭალა პირველად იხსენიება 1621 წლის "აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში", რომელშიც დაფიქსირებულია სოფლის მცხოვრებთა მხოლოდ ქართული გვარები: გოგორდავა, ჩაგლია, ბიშხუფლია, ჭანია, ფალია, პკა, ქეაცხა, ბიბილია[589]. ეს იმას ნიშნავს, რომ XX საუკუნის 40-იან წლებში სოფელს დარქმევია არა საკუთრივ ქართული, არამედ გააფხაზურებული სახელი.

ასევე დასაზუსტებელია ო. მიქიაშვილის დასკვნა, რომ გალის რაიონში იმავე პერიოდში 2 აფხაზური ტოპონიმი შეიცვალა ქართული სახელებით: არადუქვა > ჩხორთოლი, წალამუხი > ჭუბურხინჯი[590].

ჯერ ერთი, გაუგებარია, რა საფუძველზე მიაწერა ავტორმა მაიცდამაინც აფხაზური წარმომავლობა სახელ წალამუხ-ს, როცა იგი სრულებით არ იხსნება ამ ენაზე. მეორე, მართალია, არადუქვა "დიდი კაკლები" მართლაც აფხაზური ტოპონიმია, მაგრამ აფხაზებს სამურზაყანოში საერთოდ არ უცხოვრიათ XVIII საუკუნემდე და ეს გასათვალისწინებელი იყო.

---

[587] იქვე, გვ. 256. ფორმა ლაგანიაა რხუ ძველ წყაროებში საერთოდ არ დასტურდება.

[588] ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.). თბ., 2005, დოკუმენტი № 29, გვ. 996.

[589] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1970, დოკუმენტი № 90, გვ. 434-435.

[590] ო. მიქიაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 256-257.

ზემოთ აღნიშნულ დაზუსტებათა გათვალისწინებით, გადაჭარბებულია ო. მიქიაშვილისეული შემაჯამებელი დასკვნის შემდეგი ნაწილი:

"მაშასადამე, 1943-1952 წლებში (10 წლის მანძილზე) აფხაზეთში შეცვლილი 109 ტოპონიმიდან ქართულით შეიცვალა მხოლოდ 10 აფხაზური ტოპონიმი:

სოხუმის რაიონში: 1. ფიშთა → ზემო ეშერა;
2. აშიცრა → ახალსოფელი;
3. კალმუთი → ბამბუკოვანი;

გაგრის რაიონში: 4. მეხადირი → ნაკადული;
5. აბგაბორთა → ბზიფი;

ოჩამჩირის რაიონში: 6. აგუაა → ფოქვეში;
7. ატიშადუ → ვარდისუბანი;
8. ლაგანიაა რხუ → ჭლოუ;

გალის რაიონში: 9. არადუქვა → ჩხორთოლი;
10. წალამუხი → ჭუბურხინჯი.

სამაგიეროდ, აფხაზეთის რუკაზე გაჩნდა 4 ახალი აფხაზური ტოპონიმი, მათ შორის 1 ქართულის ხარჯზე (ჟირწყარი → აძირბჟარა), 2 რუსულის ხარჯზე (კომსომოლსკოე-კრასნოე → ფსირცხა, ასტეროვკა → ამზარა) და ერთიც გერმანულის ხარჯზე (გრადენბერგ → ძიკუტა), რის შედეგადაც გაქართველებულმა აფხაზურმა [?? – თ.გ.] ტოპონიმებმა შეადგინა სახეცვლილ სახელწოდებათა 5,5 % (6 ტოპონიმი)"[591].

სინამდვილეში კი ეითარება ასეთი იყო:

1. 1943-1952 წლებში მთელ აფხაზეთში ქართული სახელებით ჩანაცვლებულ იქნა 3 (და არა 10) აფხაზური გეოგრაფიული სახელი (**აშიცრა, აგგაა, არადუქვა**), რაც შეადგენს აფხაზეთში შეცვლილი 109 ტოპონიმის 2,27 %-ს;

2. აფხაზური სახელებით შეიცვალა 4 ტოპონიმი: 1 ქართული (**ჟირწყარი > აძირბჟარა**), 2 რუსული (**ასტეროვკა > ამზარა, ბაკლანოვკა > ააცი**) და 1 გერმანული (**გრადენბერგი > ძიკუტა**), რაც შეადგენს შეცვლილი 109 სახელის 3,67 %-ს;

3. გააფხაზურებული სახელებით შეიცვალა 3 აფხაზური

---

[591] იქვე, გვ. 257.

(ათვარხუ ხოფი // ხაფ, ძალრიფშ > ოთხარა // უათჰარა, ლაგანიაა რხუ > ჭლოუ) და 1 თურქული (კავაქლუქი > აჭანდარა) გეოგრაფიული სახელი. ამგვარ სახელთა წილი 3,67 %-ია;

4. ერთ გააფხაზურებულ ქართულ ტოპონიმს ჩაენაცვლა კონტამინირებული აფხაზურ-ქართული სახელი (**ფიშთა > ზემო ეშერა**), 1 სომხური სახელი შეიცვალა ასევე კონტამინირებული აფხაზურ-ქართული სახელით (**სანაპცაცკიულ-აწნაპცაცკიულ > ქვემო მწარა**). ამგვარ შემთხვევათა წილი შეადგენს 2,27 %-ს;

5. ახლად შემოღებული საკუთრივ აფხაზური, ქართული წარმოშობის გააფხაზურებული და კონტამინირებული აფხაზურ-ქართული ტოპონიმების ჯამი 9 ერთეულს ქმნის, ხოლო მათი საერთო წილი შეცვლილ ტოპონიმთა შორის უდრის 8,26 %-ს.

აქ 2-5-ე პუნქტებში აღნიშნული მასალა ცხადად მიანიშნებს, რომ ტოპონიმთა მასობრივი ცვლილებების **ამ ეტაპზე სრულებითაც არ მომხდარა ქართული გეოგრაფიული სახელების მასობრივი შემოღება აფხაზური ტოპონიმების ხარჯზე. პირიქით, მცირედ, მაგრამ მაინც გაიზარდა აფხაზური, გააფხაზურებული და აფხაზურ-ქართული ტოპონიმების რაოდენობა.** ეს იმას ნიშნავს, რომ იმდროინდელი საქართველოს სსრ მარიონეტული ხელისუფლება ერიდებოდა აფხაზთა ეროვნული გრძნობების შელახვას.

"გაქართველების" ამ ეტაპზე აფხაზეთში ტოპონიმთა მასობრივი ცვლის მთავარი "სამიზნე" XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რეგიონის კოლონიზაციის დროს შემოღებული რუსული ტოპონიმები იყო, რომელთა მაგიერ გაჩნდა ქართული (მეტი რაოდენობით) და აფხაზური, გააფხაზურებული და ქართულ-აფხაზური გეოგრაფიული სახელები, რაც, ბუნებრივია, **არ შეიძლება ჩაითვალოს აფხაზი ხალხის ეთნიკური ინტერესებისა და აფხაზური ენის უფლებების შელახვად.** საყურადღებოა ისიც, რომ მანამდე რუსულ და თურქულ სახელთა მქონე სოფლებში ან მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, ანდა ისინი უმრავლესობას ქმნიდნენ.

აფხაზეთში ტოპონიმთა მასობრივი ცვლის **მეოთხე ეტაპი** გრძელდებოდა 1954 წლიდან საბჭოთა კავშირის საბოლოო დაშლამდე (1991 წლის დეკემბერი). განსაკუთრებით აქტიური იყო 1954-1968 წლების მონაკვეთი, როცა გაუქმდა ქართული ტოპონიმების დიდი ნაწილი და მათი ადგილი კვლავ რუსულმა ნომენკლატურამ დაიკავა. ამ პერიოდს **რერუსიფიკაციის ეტაპი** შეიძლება ეწოდოს. ამ ეტაპზე სულაც არ მომხდარა რუსული ტოპონიმების მასისა და ზოგი კომუნისტური ელფერის მქონე ქართული სახელის ნაცვლად ადრინდელი აფხაზური ტოპონიმების (თუკი ასეთები დაიძებნებოდა) აღდგენა, რაც სამართლიანი იქნებოდა. პირიქით, კომუნისტურმა რეჟიმმა გააუქმა ქართული ტოპონიმები და, რა უცნაურიც უნდა იყოს, **კვლავ აღადგინა კომუნისტებისათვის საძულველი მეფის რუსეთის დროს დამკვიდრებული რუსული სახელები.** მაგალითად:

XIX საუკუნეში დაარსებულ რუს კოლონისტთა სოფელ **ჩერნიგოვკას** 40-იან წლებში მწერალ ალ. ყაზბეგის პატივსაცემად ეწოდა **ყაზბეგი**, 50-იან წლებში კვლავ **ჩერნიგოვკა** დაარქვეს;

კოლონისტთა სხვა სოფელ **ალექსეევკას**, რომელსაც რუსეთის უფლისწულ **ალექსეის** სახელის მიხედვით დაერქვა ასე, 40-იან წლებში **ბაგრატისციხე** ეწოდა, 50-იან წლებში კი აფხაზური აგვაა სახელის ნაცვლად ისევ **ალექსეევკა** შეარქვეს;

XX საუკუნის დასაწყისში დაარსებულ სოფელ **ალპიისკოეს** 40-იან წლებში **ალპური** უწოდეს, ხოლო 50-იან წლებში – "აღდგა სამართლიანობა" და კვლავ **ალპიისკოე** დაერქვა.

ამავე რიგისა იყო შემდეგი შემთხვევები:

არმიანსკოე უშჩელიე > სომხური ხეობა > არმიანსკოე უშჩელიე;

გრუზინსკოე უშჩელიე > საქართველოს ხეობა > გრუზინსკოე უშჩელიე;

სერებრიანი > ვერცხლიანი > სერებრიანი;

მეტელევკა > კორიანტელი > მეტელევკა;

ვლადიმიროვკა > კოდორი > ვლადიმიროვკა;

პავლოვსკოე > ურავი > პავლოვსკოე;

გეორგიევსკოე > საგიორგიო > გეორგიევსკოე;

ესტონკა > ბაღნაშენი > ესტონკა;

პოლტავო-ალექსანდროვსკოე > ქვემო ახუთი > პოლტავო-ალექსანდროვსკოე და ა.შ.

აქვე უნდა გაერთიანდეს მსაზღვრელსიტყვიანი ისეთი ტოპონიმები, რომლებშიც 50-იანი წლების შემდგომ ქართული ზედსართავი და რიცხვითი სახელები (**ზემო, ქვემო..., პირველი, მეორე...**) შეიცვალა რუსული ეკვივალენტებით (**ვერხნი, ნიჟნი..., პერვი, ვტოროი...**), ან სხვა მსაზღვრელი სიტყვებით:

ახალი ათონი > ნოვი ათონი (ასე იწერებოდა ქართულადაც!);

მეორე ანუხვა > ანუხვა-არმიანსკაია;

ზემო ეშერა > ვერხნაია ეშერა;

ზემო იაშთხვა > ვერხნაია იაშთხვა;

ქვემო იაშთხვა > ნიჟნაია იაშთხვა;

ზემო მწარა > ვერხნაია მწარა;

ქვემო მწარა > ნიჟნაია მწარა;

მეორე არასაძიხი > ვტოროი არასაძიხი;

ზემო აფიანჩა > ვერხნაია აფიანჩა;

ქვემო აფიანჩა > ნიჟნაია აფიანჩა;

პირველი კოპიტი > პერვი კოპიტი;

ცივწყარო > ხოლოდნაია რეჩკა...

ტოპონიმთა მასობრივი ცვლის **მეხუთე ეტაპი** დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდის დასრულებისა და რეგიონის ოკუპაციისთანავე და გრძელდება დღემდე. მისი მთავარი მახასიათებელი ქართული ტოპონიმების წინააღმდეგ ჟინიანი ბრძოლაა, რის გამოც ამ პერიოდს **ანტიქართული ეტაპი** უნდა ეწოდოს.

როგორც ცნობილია, 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდის დასრულებისა და რეგიონის ოკუპაციის შემდეგ ქართული მოსახლეობა პრაქტიკულად აღარ დარჩა გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებში, მცირე ნაწილია შერჩენილი გალის რაიონში. რეგიონის საოკუპაციო რეჟიმმა მიზნად დაისახა აფხაზეთში ქართველთა ოდინდელი ბინადრობის კვალის საბო-

ლოო აღხოცვა და ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა. კერძოდ, გააუქმეს მსხვილი დასახლებული პუნქტების აშკარად ქართული სახელები და მათ ნაცვლად დაამკვიდრეს ან საკუთრივ აფხაზური, ან გააფხაზურებული ტოპონიმები. ზოგ შემთხვევაში ეს გამართლებულია, ვინაიდან აღრე ზოგ პუნქტს ნამდვილად ჰქონდა აფხაზური სახელწოდება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ქართული ტოპონიმები უსამართლოდ გაუქმდა:

დაბა **ლესელიძეს** აღუდგინეს ძველი აფხაზური სახელი **გეჩრიფში**, რაც სამართლიან აქტად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამ პუნქტს XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მართლაც ერქვა ეს სახელი;

დაბა **განთიადს** ასევე სამართლიანად უწოდეს ადრინდელი აფხაზური სახელი **ცანდრიფში**;

სოფელ **თაგილონს** შეარქვეს გააფხაზურებული ვარიანტი **თაგლან**, რაც ელემენტარული თვითნებობაა;

ქალაქ **ტყვარჩელს**, რომლის სახელიც მეგრული **ტყვარჩელია** "ყორიყარდა" სიტყვისაგან მომდინარეობს, აფხაზური წარმოთქმის შესაბამისად რუსულად **Ткуарчал** ვარიანტით მოიხსენიებენ;

ქალაქ **ოჩამჩირეს**, რომლის დასახელებაც ასევე მეგრულია (**ოჩე+მჩირე** "ვრცელი სახნავი მიწა"), ასევე აფხაზური წარმოთქმის შესაბამისად რუსულად **Очамчыра**-ს ეძახიან;

ქალაქ **გალს** აგრეთვე აფხაზური წარმოთქმის მიხედვით რუსულად **Гал** ფორმით აღნიშნავენ;

ქალაქ **სოხუმის** (< სვან. **ცხუმ** "რცხილა") აღსანიშნავად რუსულად წერენ XIX საუკუნის რუსული ფორმით – Сухум[592]...

აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის ქალაქებში არცერთ ქუჩას არ დაუტოვეს საქართველოსა და ქართველებთან ასოციაციის აღმძვრელი დასახელებანი, ქართველ მწერალთა, ხე-

---

[592] სხვათა შორის, ამ ქალაქის ახლანდელი ქართული ფორმა მომდინარეობს თურქული **სუხუმ** ფორმისაგან. უპრიანი იქნებოდა, ქართულ ნორმად აღდგენილიყო მისი ძველქართული **ცხუმი** სახელწოდება.

ლოვანთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა გვარსახელებისაგან მომდინარე სახელწოდებანი, თუმცა ამ ადამიანთა ნაწილს დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზი ხალხისა და აფხაზეთის ისტორიის წინაშე. სამაგიეროდ გაჩნდა აფხაზეთის "დამოუკიდებლობასთან" დაკავშირებული სახელები. სანიმუშოდ წარმოვადგენთ ინტერნეტით მოპოვებულ რუსულენოვან მასალას ქ. სოხუმის ქუჩების ადრინდელი და ახალი სახელწოდებების შესახებ:

ძველი სახელები	ახალი სახელები	ძველი სახელები	ახალი სახელები
1-й пер. Мимино- швили	ул. Остороумова	ул. Горийская (на Сухумскую гору)	ул. Нартаа
1-й Цитрусовый пер.	ул. Г. Рыбинского	ул. Нагорная	ул. Арцах
ул. 60-летия пио- нерии	ул. 30-го сентября	ул. Ниношвили	ул. Чернявского
ул. Адамия	ул. Башкирская	Обводное шоссе	ул. Татарская
ул. Багратиони	ул. О. Битуаа	ул. Октябрьская	ул. академика Саха- рова
ул. Бараташвили	ул. Гумская	ул. Олимпийская	ул. Карачаевская
ул. Геловани	ул. Кабардинская	ул. Орахелашвили	ул. Конфедератов
ул. Гогебашвили	ул. Мачавариани	ул. Орджоникидзе	ул. Воронова
ул. Гулия	ул. Шотландская	ул. Пилия	ул. Аланская
ул. Гумистинская	ул. Славянская	ул. В. Пшавела	ул. Вайнахская
ул. Джгубурия	ул. Джонуа	ул. Руставели	набережная Маха- джиров
ул. Дзержинского	ул. Гумистинская	ул. Сванидзе	ул. Л.Соловьева

ул. Дзидзария	ул. Адыгейская	ул. Тавадзе	ул. Ашхацава
ул. Казбеги	ул. Черкесская	ул. Тархнишвили	ул. Имама Шамиля
ул. Калинина	ул. А. Чочуа	Тбилисское шоссе	Кодорское шоссе
ул. Кварацхелия	ул. Вавилова	Пер. Тупой	ул. Шевченко
ул. Кирова	ул. Анааира	ул. Туристическая	ул. Н. Альбова
Бульвар Когония	набережная Диоскуров	ул. Фрунзе	ул. Аидгылара
ул. Краснофлотская	ул. Шапсутская	ул. Церетели	ул. С. Званба
ул. Куйбышева	ул. С. Басария	ул. Цитрусовая	ул. П. Услара
ул. Кутаисская	ул. Университет-ская	ул. Цулукидзе	ул. И. Когония
ул. Кухалейшвили	ул. Дагестанская	ул. Цхакая	ул. В. Бубновой
пр. Ленина	пр. Леона	ул. Чавчавадзе	ул. Д. Гулия
ул. Леселидзе	ул. Абазинская	ул. Чочуа	ул. Дзидзария
ул. К. Маркса	ул. Инал-ипа	ул. Шукура	ул. Казачья
ул. Матарадзе	ул. Пате-ипа	ул. Энгельса	ул. академика Мар- ра
ул. Миминошвили	ул. Убыхская		

წყარო: http://cyxymu.livejournal.com/892617.html?thread=44953033

ამ ნუსხიდან ცხადად ჩანს, რომ სოხუმის "ქალაქის მამებს" სამართლიანად ამოუძირკვავთ კომინისტური იდეოლოგიის ამსახველი დასახელებანი, მაგრამ პირწმინდად დაუვიწყებიათ, მაგალითად, რომ ილია ჭავჭავაძე თავის დროზე აპროტესტებდა აფხაზთა გაძევებას ოსმალეთში; რომ აკაკი წერეთელიც პროტესტს გამოთქვამდა აფხაზთა დეპორტაციის გამო და აფ-

ხაზურ თემაზე დაწერა შესანიშნავი პოემა "გამზრდელი"; რომ იაკობ გოგებაშვილი მხარში ედგა მაშინდელ აფხაზურ ინტელიგენციას და სწორედ მის მიერ შემუშავებულ პრინციპებზე ააგო თავისი საანბანო სახელმძღვანელო მათმა განმანათლებელმა ა. ჭოჭუამ...; ერთადერთი წარმოშობით ქართველი, ვისი უკედაყოფაც მათ მოუსურვებიათ, აფხაზეთის ისტორიის გამყალბებელი კონსტანტინე მაჭავარიანი აღმოჩნდა – როგორც იტყვიან, "კეისარს – კეისრისაო". ქუჩების "ნათლიებს" არც საბჭოური სამხედრო მრეწველობის განმამტკიცებელი, წყალბადის ბომბის შემქმნელი, აფხაზური სეპარატიზმის დამცველი ა. სახაროვი დავიწყებიათ, თუმცა მეტი კომენტარი საჭირო აღარ არის, ყველაფერი ისედაც ცხადია.

§ 4. აფხაზთა იდენტობისა და აფსუარას იდეალების მიმართება თანამედროვე პირობებში

აფხაზი ხალხის იდენტობის სხვადასხვა ასპექტების შესახებ საკმაოდ ბევრი გამოკვლევა დაწერილა, მაგრამ განმაზოგადებელი, კომპლექსური ნაშრომი ჯერ კიდევ შესაქმნელია. ჩვენ პრეტენზია არა გვაქვს ამგვარი გამოკვლევის წარმოდგენისა, აქ მხოლოდ ის გვსურს, რომ აღვწეროთ და გავაანალიზოთ აფხაზთა იდენტობის ძირითადი ასპექტები და მათი მიმართება აფხაზთა იდენტობის განმსაზღვრელ **აფსუარა**-ს იდეალებთან თანამედროვე პირობებში.

სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ აფხაზი ხალხი საკუთარ ეთნიკურ ვინაობას განსაზღვრავს **აფსუარა**-ს მაიდენტიფიცირებელ კატეგორიაზე დამყარებით. ტერმინი **აფსუარა**[593] წარმოადგენს აფხაზთა ავტოეთნონიმ **აფსუა**-ს აბსტრაქტულ ფორმას (**აფსუა** "აფხაზი" + აბსტრაქტულობის სუფიქსი **-რა**) და ითარგმნება როგორც **"აფხა-**

[593] ტერმინი პირველად დასტურდება 1920 წლიდან, როცა იგი გამოიყენა აფხაზური მწერლობის ფუძემდებელმა დიმიტრი გულიამ. იხ.: http://apsnyteka.narod2.ru /abhazskaya_ entsiklopediya/a/index.htm.

ზობა", შდრ.: ჩერქეზული (ადიღეურ-ყაბარდოული) **ადღალა** "ადიღელობა", ქართული **ქართველობა**... ცნება **აფსუარა** მეტად რთული და ფართოა. მას სპეციალისტები სხვადასხვაგვარად განმარტავენ, თუმცა ყველა განმარტებაში მეორდება ერთი და იგივე სემანტიკური ბირთვი:

აფსუარა მოიცავს ყველა იმ ეთნიკურ-გენეტიკურ, ლინგვისტურ, კულტურულ, რელიგიურ, ზნეობრივ-ეთიკურ, ესთეტიკურ, კომუნიკაციურ და ქცევის თავისებურებათა ერთობას, რაც აფხაზ ხალხს განასხვავებს ყველა სხვა, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ხალხისაგან და ქმნის დიქოტომიას **"ჩვენ" — "ისინი"**[594]. **აფსუარა**-ს ცნებაში ასახულია აფხაზი ხალხის კოლექტიური თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ რა სავალდებულო თვისებები უნდა ჰქონდეს პიროვნებას, რომ იგი ჭეშმარიტ **აფსუა**-დ ("აფხაზ"-ად) ჩაითვალოს. შესაბამისად, **აფსუარა** წარმოადგენს **აფსუა**-ს ეროვნულ იდეალს.

აღსანიშნავია, რომ **აფსუარა**-ს იდეალურ **კომპონენტთა დიდი ნაწილი** ასევე იდეალურია სხვა ეთნოსებისთვისაც, ანუ **უნივერსალურია**. ასეთებია, მაგალითად, შემდეგი მოთხოვნები:

1. პატივი უნდა სცე შენი ხალხის ეროვნულ ნიშან-თვისებებსა და ინტერესებს. საჭიროების შემთხვევაში უნდა იბრძოლო და თავი შესწირო მათ დასაცავად;

2. უნდა იცოდე შენი დედაენა და მოუარო მას;

3. უნდა გიყვარდეს სამშობლო და დაიცვა იგი;

4. უნდა იყო პატიოსანი, კეთილშობილი, ღირსეული ვაჟკაცი/ქალი, კაცთმოყვარე (ჰუმანისტი), სამართლიანი, თავდაჭერილი, მომთმენი (მიმტევებელი);

5. პატივი უნდა სცე მშობლებსა და ნათესავებს...

უნივერსალურ იდეალთა გარდა, აფხაზებს აქვთ ის იდეალებიც, რომლებიც საზიაროა მათ მონათესავე სხვა ხალხებთან (აბაზებთან, ჩერქეზებთან, ქართველებთან, ჩეჩენ-ინგუშებთან, დაღესტნის ხალხებთან). ამ იდეალებს შეიძლება **იბერიულ-კავკასიური იდეალები** ეწოდოს. ესენია: უფროსი ასაკის

---

[594] ტერმინის უახლესი განმარტება იხ.: http://apsnyteka.narod2.ru/abhazskaya_entsiklopediya/a/index.htm.

ადამიანთა განსაკუთრებული პატივისცემა, სტუმარმასპინძლობა, ძველი ტრადიციების დაცვის მოთხოვნა, ძმადნაფიცობა და სხვ.

ბუნებრივია, აქ დაისმის საკითხი: თუკი აფხაზ ხალხს აქვს უნივერსალური და იბერიულ-კავკასიური იდეალების ერთობლიობით განპირობებული ეთნიკური იდენტობა – **აფსუარა**, იდენტობის რა მახასიათებლები ქმნის ამ ეთნოსის ინდივიდუალობას?

ჩვენი აზრი ამ საკითხზე ასეთია:

აფხაზთა იდენტობა კომპლექსური, დაუნაწევრებელი ერთეულია და მასში ზოგადსაკაცობრიო და იბერიულ-კავკასიური იდეალები ტრანსფორმირებულია ეროვნული, ინდივიდუალური, მხოლოდ აფხაზთათვის სპეციფიკური ნორმების მიხედვით და ემატება მხოლოდ აფხაზთათვის დამახასიათებელი ნორმები. **აფსუარა**-ს იდეალურ სისტემაში გადამწყვეტია თვით ამ ცნების სემანტიკა ("აფხაზობა", ანუ აფხაზად ყოფნა), რაც გულისხმობს **პიროვნების სურვილს**, იყოს **აფსუა** ("აფხაზი") და სხვა აფსუების მიერაც განიხილებოდეს **აფსუა**-დ, აგრეთვე აფსუა ინდივიდებისაგან შემდგარი **სოციუმის თანხმობას**, ჩათვალოს მოცემული პიროვნება ამ სოციუმის სრულფასოვან წევრად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აფხაზთა ეთნიკურ იდენტობას უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს აფსუა ინდივიდებისაგან შემდგარი სოციუმის კოლექტიური თვითშეგნება**, რაც გარკვეულ ოპოზიციას ქმნის აფხაზი ხალხის შემადგენლობაში შესული იმ მრავალრიცხოვანი ინდივიდების ეთნიკურ წარმომავლობასთან, ვისი წინაპრებიც არ იყვნენ ეთნიკური აფხაზები და სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მიზეზების გამო გვიან გახდნენ აფხაზი ხალხის ნაწილი (გააფხაზდნენ). კერძოდ, ახლანდელ აფხაზთა შორის არიან ქართული, უბიხური, ჩერქეზული, ყარაჩაული, თურქული წარმომავლობის ადამიანები. მაგალითად, ამჟამინდელ აფხაზთა ძალიან დიდ ნაწილს აქვს ქართული ეტიმოლოგიის მქონე გვარები (ჭითანავა, ნოდია, კამკია, ჭკადუა, ჰალვაში, ამფარ < მეფორია, აჯინჯალ < ჯინჯოლია...), თუმცა ისინი უკვე ეთნიკურ აფხაზებად განიხილავენ საკუთარ თავს და სხვა აფხაზებიც

ეთანხმებიან ამას[595]. მათ არ იციან ქართული ენა და მისი მიკროვარიანტები, ფლობენ აფხაზურ ენას და ა.შ. მაშასადამე, გამოდის, რომ **აფხაზ ხალხს არ აერთიანებს ისეთი, ერთი შეხედვით, გადამწყვეტი ნიშანი, როგორიცაა ეთნიკური წარმომავლობა.**

ასეთივე სურათი იკვეთება აფხაზთა **რელიგიურ-კონფესიური ნიშნით** დახასიათების შემთხვევაშიც. აფხაზები ამ ნიშნის მიხედვით მოზაიკურ სურათს წარმოგვიდგენენ. 1997 წელს გაგრისა და გუდაუთის რაიონებში, აგრეთვე ქ. სოხუმში, სოფ. მერხეულსა და სოფ. კვიტოულში ჩატარებული ანკეტირების შედეგად მკვლევრებმა ასეთი ვითარება აღწერეს:

გამოკითხულ აფხაზთა შორის ქრისტიანია 49,3 %, მაჰმადიანი – 28,7 %, წარმართი – 2 %, ე.წ. აფხაზური რწმენის მიმდევარი[596] – 1,2 %, ურწმუნო 10,2 %, ათეისტი – 1,9 %, კონფესიური იდენტობის განსაზღვრა გაუჭირდა 6,7 %-ს[597].

ამ მონაცემებთან ახლოსაა აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ 2003 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები: მათი 60 % მართლმადიდებელი ქრისტიანია, 16 % სუნიტი მაჰმადიანი, 3 % – "აფხაზური რელიგიის" მიმდევარი, 5 % – წარმართი, 8 % – ათეისტი, 2 % აღიარებს სხვა კონფესიებს, ხოლო 6 %-ს უჭირს თავისი რელიგიური იდენტობის

---

[595] საყურადღებოა, რომ კონფლიქტის შემდეგ ზოგმა აფხაზმა, ვისაც ქართული წარმომავლობის გვარები ჰქონდა, გვარებს ქართული მოდელი აფხაზურით შეუცვალა, ან საერთოდ გამოიცვალა გვარი. მაგალითად, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტში მუშაობს რამდენიმე ასეთი მეცნიერი: ლინგვისტი ლეონიდ **სამანბა** კონფლიქტამდე გვარად **სამანჯია** იყო, ისტორიკოს იგორ **მარიხვბას** ადრინდელი გვარია **მარხოლია**, ხოლო ეთნოლოგი გალინა **თარჯმან-იფა** ადრე **კოპეშავიძე** იყო. ამ 3 ახალი გვარიდან არცერთი არ არსებობდა კონფლიქტამდე. იხ.: http://kolhida.ru/index.php 3?path=_abigi&source=otdel.

[596] ე.წ. აფხაზური რელიგია რეალურად წარმართობაა, თუმცა აფხაზი ეთნოლოგები არ აღიარებენ ამას.

[597] Особенности социально-экономического положения современной Абхазии. – http://www.abxaz.ru/page/?step=&path=21,89,92&lang=.

განსაზღვრა[598]. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ 1994-1998 წლებში აფხაზეთში ჩატარებული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ **რეალურად აფხაზთა უმრავლესობა წარმართია და მათი ქრისტიანობა, ან მაჰმადიანობა ფორმალურია**, ვინაიდან ქრისტიანები არ დადიან, ან იშვიათად დადიან ეკლესიაში, არ ჰყავთ მოძღვარი, არ ამბობენ აღსარებას, არ ეზიარებიან, არ მარხულობენ, არ კითხულობენ ბიბლიას...; აფხაზი მაჰმადიანები არ დადიან, ან იშვიათად დადიან ჯამეში, არ ასრულებენ ლოცვებს, არ ასრულებენ წინადაცვეთას, არ კითხულობენ ყურანს, ჭამენ ღორის ხორცს, სვამენ ღვინოსა და არაყს, არ ჰყავთ ერთზე მეტი ცოლი... ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც სწამთ წარმართული ღვთაებები, ეშინიათ ხეების სულებისა, სჯერათ წარმართული სალოცავების (**ანძხა** "ხატი") ყოვლისშემძლეობა. ქრისტიანები, მაჰმადიანები და წარმართები ერთად აღნიშნავენ დიდ ქრისტიანულ, მაჰმადიანურ და წარმართულ დღესასწაულებს, სადაც მათ, რუს მეცნიერთა აზრით, ყველაზე მეტად ქეიფი იზიდავს. იმავე მეცნიერთა ცნობით, გამოკითხულ აფხაზთა უმრავლესობას თვითონ, ან მათ ახლობლებს აქვთ ტრადიციული სალოცავები, ან მიუმართავთ ამ სალოცავებისათვის[599]. მეტიც, აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა დაამტკიცა დღესასწაულების სია, რომელშიც 8 უქმე დღიდან თითო არის ქრისტიანული (7 იანვარი – ქრისტეშობა), მაჰმადიანური (6 ნოემბერი – ყურბან-ბაირამი) და წარმართული (13 იანვარი – აჟრნჯჰვა/ხეჩხვამა[600], ანუ სამყაროს შექმნა-განახლების დღე)[601]. სოციალურ ქსელებში გავრცელდა ე.წ. აფხაზური ეკლესიის საეპარქიო საბჭოს ყოფილი მდივნის გერმან მარშანის მიერ გადაღებული კურიოზული ვიდეომასალა, რო-

---

[598] АБХАЗИЯ (Республика Абхазия). _ http://apsnyteka.narod2.ru/abhazskaya_entsiklopediya/a/index.html.

[599] АБХАЗИЯ (Республика Абхазия). _ http://apsnyteka.narod2.ru/abhazskaya_entsiklopediya/a/index.html.

[600] ტერმინი **ხეჩხვამა** ნასესხებია მეგრულიდან. შდრ. **ღეჯხვამა** "კალანდა".

[601] იქვე.

მელშიც ასახულია, თუ როგორ მონაწილეობს ახალი ათონის მამათა მონასტრის 3 აფხაზი ქრისტიანი სასულიერო პირი (ბერი სიმონ ლაკრბა, ბერი კანდიდ კოკოსკირია და იერომონაზონი ანდრეი ამფარი) წარმართულ რიტუალში – აფხაზი აბიტურიენტისთვის აინარ წვიჯბასთვის ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე წარმატების საგარანტიოდ კლავენ თხას სოფელ ჭლოუს წმინდა ტყეში[602]. ერთობა არ არის არც აფხაზ ქრისტიანთა შორის, რომლებიც ნაწილდებიან მართლმადიდებლობასა და სხვადასხვა სექტაში, მეორე მხრივ კი მართლმადიდებელთა შორისაც არის დიდი განხეთქილება: ე.წ. აფხაზური ეკლესიის მმართველ პრორუსულ ჯგუფს (დეკანოზ ბესარიონ აფლიაას[603] ჯგუფს) დაუპირისპირდა პრობერძნულად განწყობილ აფხაზთა მცირერიცხოვანი ჯგუფი (იერომონაზვნების ანდრეი ამფარისა და დოროფეი დბარის ჯგუფი)[604].

ეს მონაცემები იძლევა იმ დასკვნის გამოტანის უფლებას, რომ **აფხაზ ხალხს არ აერთიანებს არც რელიგიურ-კონფესიური ფაქტორი.**

ნებისმიერი ეთნოსის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია **სამშობლოს ცნება და დამოკიდებულება სამშობლოსადმი.** აფხაზი ხალხისთვისაც ასე უნდა იყოს. როგორც ბოლო პერიოდის კვლევებმა აჩვენა, აფხაზთა ისტორიული სამშობლო მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში, სადაც აფხაზები აბაზებთან ერთად ერთ ეთნოსად ცხოვრობდა XVI საუკუნემდე და ემეზობლებოდა ჩერქეზებს, უბიხებსა და ყარაჩაელ-ბალყარელებს[605]. 70-80-იან წლებში აფხაზურ სოფლებში ჩვენი ექსპედიციების დროს ბევ-

---

[602] Телекомпания Новоафонская братва... avi. - www.youtube.com/watch?v=hsED6F87XIo.

[603] ამ სასულიერო პირის ნამდვილი გვარი **ფილია** იყო. გვარი მან კონფლიქტის შემდგომ გადაიკეთა თავისი ჭეშმარიტი აფხაზობის დასამტკიცებლად.

[604] http://ruskline.ru/analitika/2011/04/15/ne_poddavatsya_na_provokacii_raskolnikov_i_modernistov/.

[605] ვრცლად იხ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. თბ., 2007; Очерки из истории Грузии. Абхазия. С древнейших времен до наших дней. Тб., 2009.

რი აფხაზი მოხუცი გვიდასტურებდა, რომ მათი წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან მოსულნი (ამიჭბები, ზუხბები, აქავბები, აძინბები, თარბები, ლაკობები, არშბები...).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნიდან დაწყებული მიმდინარეობდა აფხაზეთის ისტორიის გაყალბების ინტენსიური პროცესი და წერილობით, კარტოგრაფიულ და ეთნოლოგიურ მონაცემთა მცდარი ანალიზის გზით საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით მასობრივად ინერგებოდა თვალსაზრისი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა მონოავტოქთონობის შესახებ. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ ეს თვალსაზრისი აფხაზთა შორის გავრცელებულ **ერთადერთ ფუძემდებლურ კონცეპტად გადაიქცა,** რაც ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი იყო აფხაზთა და ქართველთა შორის დაპირისპირების გაღვივებისა. ელციხინის, შევარდნაძისა და არძინბას კლანების მიერ ინსპირირებული 1992-1993 წლების ომი, რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია-ანექსია და 2008 წელს იმავე რუსეთის მიერ აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" ოფიციალურად ცნობა აფხაზებს მასობრივად მიაჩნიათ საქართველოსაგან განმათავისუფლებელ ომად და დამოუკიდებლობის აღდგენად, ანუ **ფაქტობრივად აფხაზმა ხალხმა ტოტალურად დაივიწყა თავისი რეალური ისტორია, წინაპართა ისტორიული სამშობლო და უსამართლოდ ცდილობს, მიითვისოს აფხაზეთის ერთადერთი მემკვიდრის უფლებები**[606], რასაც თან მოჰყვა რეგიონის ეთნიკური წმენდა და იქ ჩარჩენილ ქართველთა დევნა-შევიწროება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აფხაზებს დღეს რეალურად აერთიანებს საკრალური სიყვარული აფხაზეთისადმი,** რომელსაც განიხილავენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ, მაგრამ გაფეტიშებული დამოკიდებულება ახლანდელი სამშობლოსადმი ემყარება უსამართლობას, საკუთარი ფესვების დავიწყებას, სხვისი ღირსებებისა და უფ-

---

[606] გამონაკლისს ქმნის ქართული წარმოშობის გააფხაზებული მოსახლეობა, რომლის უდიდესი ნაწილის წინაპრები ოდითგანვე ცხოვრობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. მათმა წინაპრებმა XVI-XVIII საუკუნეებში დაკარგეს დედაენა, რასაც შედეგად ეთნიკური თვითშეგნების ცვლაც მოჰყვა, თუმცა ამ მოსახლეობას შერჩენილი აქვს ქართული წარმოშობის გვარსახელები.

ლებების შელახვას, რაც აფხაზთა ეთნოფსიქოლოგიის რადიკალური ტრანსფორმაციის გამოვლინებაა და საფუძველშივე ეწინააღმდეგება აფსუარას ფუძემდებლურ იდეალებს, რომლებიც ყოველი აფხაზისაგან მოითხოვენ სამართლიანობას, სხვისი ღირსების პატივისცემას, საკუთარი ისტორიული ფესვების ცოდნა-დაფასებას.

იგივე დასკვნა უნდა გაკეთდეს მაშინაც, თუ, ისტორიული ჭეშმარიტების საპირისპიროდ, ვაღიარებდით, რომ აფხაზეთი არის აფხაზთა ერთადერთი ისტორიული სამშობლო და ქართველები იქ გვიან დასახლდნენ: ასეთი ჰიპოთეზური შესაძლებლობის შემთხვევაშიც აფხაზები მაინც ჩაითვლებიან **აფსუარა**-ს ფუძემდებლურ იდეალთა მასობრივად დამრღვევებად, ვინაიდან **აფსუარა**-ში საკრალური მნიშვნელობა აქვს სტუმრისადმი (თუნდაც ის მოსისხლე მტერი იყოს!) განსაკუთრებულ პატივისცემას.

არსებითია კიდევ ერთი გარემოება. საკმარისია, ადამიანმა თვალი გადააგლოს სოციალურ ქსელებში აფხაზ მწერალთა, კულტურის მოღვაწეთა, მეცნიერთა, პოლიტიკოსთა, ჟურნალისტთა მიერ განთავსებულ მასალებს, რომ დარწმუნდეს, თუ რა მასობრივი სახე აქვს მიღებული ამჟამინდელ აფხაზურ ინტელიგენციაში საქართველოსა და ყოველივე ქართულის სიძულვილს. ეს განწყობა ხშირად ისეთ სფეროებშიც კი ვლინდება, სადაც მოსალოდნელი არ უნდა იყოს. მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ აფხაზი ხალხის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, ისეა დეზორიენტირებული, რომ ნამდვილი მტერი ვერ უცვნია და ნებაყოფლობით მიექანება უფსკრულისაკენ: სახელმწიფო, რომელმაც ამ ხალხს თავისი ისტორიის მანძილზე უდიდესი ენება მიაყენა, მეგობრად ეჩვენება და ვერ ხედავს, რომ, თუ ასე გაგრძელდა, აფხაზი ხალხი სამუდამოდ აღიგვება დედამიწის ზურგიდან. ესეც იმის მაუწყებელია, რომ **აფსუარა** დღეს ბევრ აფხაზს მცდარად ესმის.

როგორც ცნობილია, ეთნოსის **კულტურული იდენტობა** მრავალ კომპონენტს გულისხმობს. აქ შეიძლება: ქცევის ნორმები (ეტიკეტი), სტუმარმასპინძლობა, ქორწინებისა და დაკრძალვის რიტუალები, რძლისა და სიძის ურთიერთობა მეუღლის

ოჯახის წევრებისა და ნათესავებისადმი, ჩაცმა-დახურვის კულტურა, აღზრდის სისტემა, კვება, ფოლკლორი, ხალხური სიმღერა და ცეკვა, ხალხური თამაშები, ხუროთმოძღვრება, წერილობითი კულტურა, თეატრალური ხელოვნება, სახვითი ხელოვნება და მრ. სხვა.

აფხაზები ამჟამადაც განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ ქცევის ნორმებს (ეტიკეტს) და ცდილობენ მათ მკაცრად დაცვას. პრაქტიკულად ქცევის ნორმები **აფსუარა**-ს ძალზე მნიშვნელოვანი მაიდენტიფიცირებელი კომპონენტია. **აფხაზური ეტიკეტი კარგადაა შემონახული.** როგორც სოფლებში (მეტად), ისე ქალაქებში (შედარებით ნაკლებად) მცხოვრები აფხაზები იცავენ უფროს-უმცროსის ურთიერთობის სავალდებულო ნორმებს (მოკლედ მიმოვიხილავთ მხოლოდ ზოგ ნორმას):

ყოველი ახალგაზრდა ვალდებულია, **მოწიწებით მოეპყრას მშობლებს, უფროს და-ძმას, სხვა ნათესავებს, ასაკით უფროს პირებს.** უფროსის თხოვნა/ბრძანება უსიტყვოდ უნდა შესრულდეს. უფროსის თანდასწრებით დაჯდომა მისი ნებართვის გარეშე დაუშვებელია. მოახლოებული უფროსის დანახვაზე ფეხზე წამოდგომა სავალდებულოა. რა ხნისაც გინდა იყო, შენზე უფროსი ადამიანის წინაშე თამბაქო არ უნდა მოსწიო და ა.შ. მაგალითად, პურობის წინ და შემდეგ ხელის დაბანა ხშირად საკმაოდ დიდხანს გრძელდება, ვინაიდან ყოველი სტუმარი ცდილობს, დაუთმოს ხელის პირველად დაბანის პატივი მასზე უფროს, ან საპატიო პირს, რაც იწვევს ხანგრძლივ დინჯ კამათს, არა, ჯერ შენ უნდა გადაიბანო ხელიო. უცხო პირისათვის (განსაკუთრებით რუსებისა და ევროპელებისათვის) ასეთი ცერემონიალი გაუგებარი და დამღლელია. აფხაზები კი ამ წესების დამცველზე ქებით იტყვიან: **ааамстаҩара илоуп** "ზრდილობა აქვს" (ტერმინი **ааамстаҩара** "ზრდილობა" მომდინარეობს აზნაურის აღმნიშვნელი **ааамста** და **а-ҩара** "გაზომვა; საზომი" სიტყვებისაგან. იგი ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "აზნაურის საზომი").

ასევე კარგად არის დაცული **სტუმარმასპინძლობის ტრადიცია** და მასთან დაკავშირებული ეტიკეტი: მასპინძელი ვალდე-

ბულია, გადადოს ყოველგვარი საქმე, არ დაზოგოს თავისი შესაძლებლობები და ღირსეულად უმასპინძლოს სტუმარს, მით უმეტეს, თუ იგი უცხო ადამიანი, ასაკით უფროსი, ან პატივსაცემი პირია. სტუმრის უპატივცემულობა, მისი შეწუხება მასპინძლის სირცხვილია (უფრო ვრცლად იხ. ზემოთ).

ქორწინებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სარძლოს/სასიძოს ეროვნებას, გვარს, ოჯახს, სოციალურ მდგომარეობას. უახლესი გამოკვლევების თანახმად, აფხაზები მონოეთნიკურ ქორწინებას ამჯობინებენ. 1997 წელს გამოკითხულ აფხაზთაგან 93,4 % დაქორწინებული იყო თავისივე ეროვნების პირზე, ხოლო 6,6 %-ს მეუღლე სხვა ეროვნებისა ჰყავდა. მიიჩნევენ, რომ მონოეთნიკური ქორწინების პრიორიტეტს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: გამოკითხულთა უმრავლესობის ცხოვრება სოფლებში და გლეხთათვის დამახასიათებელი კონსერვატიზმი; ეთნოცენტრიზმი; ეთნიკური სტერეოტიპები; აფხაზთა თვითგადარჩენის ინსტინქტი. ასახელებენ აგრეთვე იმას, რომ სხვა ეროვნების პირებმა არ იციან აფხაზური ენა და ტრადიციები[607] (თუმცა აფხაზთა დიდმა ნაწილმაც არ იცის აფხაზური ენა, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა).

ჩვენი დაკვირვებით, **კონფლიქტამდე აფხაზებისათვის ყველაზე სასურველ საქორწინო პარტნიორებად ქართველები ითვლებოდნენ**, კონფლიქტის შემდეგ ამ მხრივ ვითარება სერიოზულად შეიცვალა, თუმცა ახლაც არის შემთხვევები ქართველებზე დაქორწინებისა. საინტერესოა ისიც, რომ აფხაზები **ყველაზე ნაკლებსასურველ საქორწინო პარტნიორებად რუსებს ასახელებენ** და ამას სასმელისადმი რუსების ჭარბი მიზიდულობითა და რუს ქალთა სექსუალური თავაშვებულობით ხსნიან[608].

აფხაზთა შორის დღემდე საკმაოდ კარგადაა შემონახული ქორწინებისა და დაკრძალვის ძველებური რიტუალები, მეუღლის ოჯახის წევრებისა და ნათესავებისადმი რძლისა და სი-

---

[607] Особенности социально-экономического положения современной Абхазии. – http://www.abxaz.ru/page/?step=&path=21,89,92&lang=.

[608] იქვე.

ძის უროიერთობის მკაცრი წესები, აგრეთვე შვილების ზნეობრივი აღზრდის ასევე მკაცრი სისტემა.

დროთ საგრძნობლად შეცვალა აფხაზთათვის ნიშანდობლივი **ჩაცმა-დახურვის კულტურა**, რაც აფხაზობის ერთგვარი "საეიზიტო ბარათი" იყო. თუ ამ 30-40 წლის წინათ აფხაზურ სოფლებში საკმაოდ ხშირად შეგხვდებოდნენ მოხუცი მამაკაცები, რომლებსაც საგარეო ჩასაცმელად შენახული ჰქონდათ ჩოხა (აჯგმჟჳ), ახალუხი (აკაბა), ე.წ. უძიროები (აზიაცკიჭა), ვერცხლის მოზარნიშებული ქამარი (აზანჳშ მაყა // არაძჳნტ მაყა), ბეწვიანი ბოხოხი (ახჳლფარჩ) და ხანჯალი (აყამა), ანდა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდამდე მოდაში შემოსული სამხედრო სტილის სამოსი, რომელიც შედგებოდა გალიფე შარვლისაგან, გადმოშვებული ხალათისაგან, ქამრისაგან, ჩექმებისა და ბოხოხისაგან, ამჟამად ასეთი მორთულობა უკვე ძალზე იშვიათია. დროის ფაქტორთან ერთად ამის მიზეზი მატერიალური გაჭირვებაც არის: პრაქტიკულად ნატურალური მეურნეობის დონეზე დაბრუნებულ აფხაზ გლეხს აღარ აქვს საშუალება, შეიკეროს ძველებური სამოსი, რაც ძალიან ძვირი ჯდება.

ასევე არ შეცვლილა საბჭოთა პერიოდის ბოლო 40 წლიწადში ჩამოყალიბებული **აფხაზური სოფლის გარეგნული იერი**. ყოველი აფხაზური სოფელი გადაშლილია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე (ზუსტად ისე, როგორც ეს დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ბარის სხვა რეგიონებისათვის), რასაც განაპირობებს გლეხის ეზოს სპეციფიკა: ეზო შემოზღუდულია ხის, ან ლითონის მესრით, აქვს ალაყაფის ჭიშკარი, სამეზობლო ალაგე, ფართო ეზოს წინა ნაწილში დარგულია საჩრდილობელი ხეები, ან გაშენებულია ვაზის ტალავერი, ხშირად აქვე თესავენ კოინდარს. ეზოში დგას დიდი სახლი (ავნგ დუ), თუმცა იშვიათი არ არის, როცა ერთ დიდ ეზოში ერთიმეორისაგან მოშორებით დგას გაყრილი ძმების ერთზე მეტი სახლი. სახლის უკან არის ბოსტანი, ხილის ბაღი და/ან ყანა, აგრეთვე მცირეასაკოვანი, ან მაკე საქონლის მოცრო საძოვარი (ახკაარა). სახლის გვერდით დგას ერთსართულიანი სამზადი და ავტომანქანის გარაჟი, სახლის უკან კი – დამხმა-

რე ნაგებობები: ფაცხა ხორცისა და ყველის შესაბოლად, საქათმე, სასიმინდე, ბოსელი...

ეთნოლოგიურ ლიტერატურაში აღინიშნება აფხაზთა შორის გავრცელებული მიცვალებულთა დაკრძალვის ერთი თავისებურება. მოგვყავს ერცელი ამონარიდი ერთ-ერთი ნაშრომიდან: "აფხაზები ყოველთვის ქართველებისაგან განცალკეევებით ასაფლავებდნენ მიცვალებულებს, საფლავებისათვის ირჩევდნენ გორებსა და ამაღლებულ კორდებს საცხოვრებლის ახლოს, ზოგჯერ საკუთარ ეზოსაც. აფხაზური წარმართული, პატრონიმული სასაფლაოები "გაბნეული იყო სოფლის მთელ ტერიტორიაზე"[609]. ამიტომ მათ აფხაზეთში კომპაქტურად დასახლებულ სოფლებშიც კი არასოდეს ჰქონდათ საერთო საუბნო, ან საგვარო სასაფლაო. ეს ვითარება... გამოწვეული იყო არამარტო სოციალური ყოფისა და კულტურის ან დასახლების თავისებურებებით, არამედ მათი ქცევის ქვეცნობიერი მოტივაციითაც, რაც დაკავშირებული იყო მათი აფხაზეთში სწორედ მიგრაციული გზით დამკვიდრებასთან. ცხადია, ამას ისინი არ აღიარებდნენ, მაგრამ ცნობიერებაში მექანიკურად დალექილი მოტივი შეგნებული ჰქონდათ, რაც მართავდა მათ ქცევასა და მისი აღმოფხვრა არც ისე იოლი ხდებოდა. ასეთ ქვეცნობიერ ჩვევებში, რომლებშიც თითქოს არავითარი შინაარსი არ ჩანს, ზოგჯერ შესაძლებელია მისი არსის დადგენა. ჩვენი ვარაუდით, ეს არის შეგნების ის ფორმა, რომელიც ეხმიანება ჩამოსახლების ცოდნას, რწმენას მათი ამ ტერიტორიაზე არამკვიდრობის შესახებ. ამ თვალსაზრისის დამადასტურებელია მხოლოდ მკვიდრი, ქართველური მოსახლეობის ზრუნვა ტაძრებსა და ეკლესია-მონასტრებზე, რომლის სიახლოვესა და მათ ეზოებში თავის მიცვალებულებს სწორედ ავტოქთონური, ქართველური მოსახლეობა ასაფლავებდა, რაც წარმართ აფხაზებთან კონფლიქტის მიზეზი არასოდეს ყოფილა"[610]. ქრისტიანული ტაძრებისადმი აფხაზთა ამგვარი შორეული დამოკიდე-

---

609 Н. Джанашия. Статьи по этнографии. Сухуми, 1960, გვ. 81.

610 ს. ბახია-ოქრუაშვილი. ჰაერზე დაკრძალვის წესი კოლხეთსა და აფხაზეთში. – "კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული", ტ. VIII. თბ., 2003, გვ. 147.

ბულების ამსახველია აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ ტაძრების შერყვნა-გადაკეთება (მაგალითად, ილორის ტაძარში ქართული წარწერების გადათეთრება-გადალესვა, რუსული სტილის "გუმბათის" დადგმა და სხვ.).

საცხოვრებელი სახლები ძირითადად ქვის, აგურის, ან ბლოკისაა (30-40 წლის წინ ხის სახლი უკვე სიღარიბის სიმბოლო იყო). ისინი უპირატესად ორსართულიანია და სტილითა და ფუნქციებით ჰგავს სამეგრელოში გავრცელებულ სახლებს. ოჯახი, ჩვეულებრივ, მთელ დღეს პირველ სართულზე ატარებს, ხოლო მეორე სართულის დიდი ოთახი და საძინებლები განკუთვნილია სტუმრებისათვის და ისინი გაწყობილია საუკეთესო ავეჯითა და მორთულობით.

ფოლკლორის ძირითადი მატარებელი წარსულში სოფლის ოჯახი იყო. ზღაპრებს, მითებს, თქმულებებს, ლეგენდებს, ენის გასატეხებს და სხვა ფოლკლორულ ჟანრებს ბებიები და ბაბუები, აგრეთვე დედები უამბობდნენ ბავშვებს და ამ გზით ხდებოდა ეროვნული ფოლკლორის გადაცემა თაობიდან თაობაზე. იგივე ითქმის ხალხურ სიმღერებზეც, ოღონდ ამ შემთხვევაში უფროსი ასაკის პირებს მუსიკალური სმენაც აუცილებლად სჭირდებოდათ. ყოველ ოჯახს სტუმრის გასართობად ჰქონდა მუსიკალური საკრავები. ჯერ რადიომ, მერე კი ტელევიზიამ მოშალა ეს ტრადიციები. ხალხურ სიმღერებს ახლა ოჯახების მცირე რაოდენობაში თუ ასრულებენ, ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის მცოდნეც მეტად იშვიათია. მსგავსი ვითარებაა ხალხური ცეკვების შენარჩუნების თვალსაზრისითაც. ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები ადრე თითქმის ყოველ სოფელსა და სკოლას ჰყავდა, ახლა კი ანსამბლების რაოდენობამ მკვეთრად იკლო და რომლებიც მოქმედებენ, ისინიც უპირატესად ასრულებენ ხალხური მელოდიების მოტივებზე შექმნილ საავტორო სიმღერებსა და ცეკვებს.

აფხაზური მხატვრული ლიტერატურა ჯერ 100 წლისაც არ არის. პირველი ორიგინალური აფხაზური თხზულებების, ლექსებისა და შაირების კრებული თბილისში გამოსცა დიმიტრი გულიამ 1912 წელს, რითაც გაკეთდა დიდი ეროვნული საქმე: საფუძველი ჩაეყარა ორიგინალურ აფხაზურ მწერლობას. გან-

ველილი 99 წლის მანძილზე ასპარეზზე აფხაზ მწერალთა რამდენიმე თაობა გამოვიდა, მაგრამ მათი უმრავლესობის შემოქმედებაში მკაფიოდ იგრძნობა რუსული საბჭოთა ლიტერატურის ძლიერი გავლენა, ბევრად უფრო ნაკლებია ქართული მწერლობის ზეგავლენა. 1912-1920 წლებში მოღვაწე რამდენიმე აფხაზი მწერლის შემოქმედება ძირითადად პატრიოტული და დიდაქტიკური შინაარსისა იყო. საბჭოთა პერიოდში აფხაზ მწერალთა შემოქმედებაში წამყვანი ადგილი დაიკავა კომუნისტურმა კონიუნქტურამ: უმღეროდნენ კომპარტიას, ლენინს, სტალინს, ხალხთა ძმობას, კოლექტივიზაციას, მუშათა კლასს. ლექსებში, პოემებში, ნოველებში, მოთხრობებსა და რომანებში ლანძღავდნენ ცარიზმს, კაპიტალიზმს, სოციალურ უსამართლობას, ეროვნულ ჩაგვრას. ტრადიციული ქართულ-აფხაზური კეთილი ურთიერთობის მოსაშლელად კომუნისტები უფლებას აძლევდნენ აფხაზ მწერლებს, უარყოფით პერსონაჟებად, დამპყრობლებად წარმოეჩინათ 1918-1920 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, ხოლო რუსი კომუნისტის, რუსი მუშის სახე სიკეთისა და უანგარო ძმობის სიმბოლო გახდა და ეს არ ითვლებოდა ერთაშორისი შუღლის გაღვივებად. აფხაზ მწერალთა უმრავლესობა კარგად მოერგო ამ სტერეოტიპს, რისი დამადასტურებელიცაა ის ფაქტი, რომ **1921-1991 წლებში აფხაზურ ენაზე არ შექმნილა არცერთი დისიდენტური, ანტისაბჭოთა შინაარსის ნაწარმოები**. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა პერიოდს, აფხაზური ლიტერატურა კრიზისში ჩავარდა – ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდა მისი ქების ობიექტები (სსრკ, კომპარტია, კომუნისტი ბელადები...) და მწერლებს 2 თემაღა შერჩათ: 1. ყოველივე აფხაზურის ზღვარგადასული პანეგირიკა ქართველი ხალხის ლანძღვა-გინებისა და ჩრდილოეთკავკასიელი კონფედერატების ქების ფონზე; 2. "რაც გამახსენდა".

თუ ადრე კომუნისტები დიდ პონორარებს უხდიდნენ აფხაზ მწერლებს მათი დაკვეთის შესრულებაში; დიდი ტირაჟით უბეჭდავდნენ წიგნებს; ურიგოდ აძლევდნენ ბინებს, ავტომანქანებს, უცხოეთის საგზურებს; თარგმნიდნენ რუსულ ენაზე მათ თხზულებებს; აწინაურებდნენ სამსახურებრივ კიბეზე და ა.შ.,

ახლა, თვით აფხაზ მწერალთა აღიარებით, აფხაზურ მწერლობაზე აღარავინ ზრუნავს: სულს ღაფავს ერთადერთი სალიტერატურო ჟურნალი "ალაშარა", რომლის რედაქციას არ შეუძლია ჰონორარების გაცემა; რუსულ ენაზე აღარ ითარგმნება აფხაზ მწერალთა ნაწარმოებები; აფხაზი მკითხველი ან არ კადრულობს დედაენაზე კითხვას, ან ენის უცოდინრობის გამო ვერ კითხულობს... არადა, ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ აფხაზ მწერალთა ერთი ჯგუფი 70-80-იან წლებში მართლაც მაღალი დონის თხზულებებს ქმნიდა და მათი წაკითხვა მხოლოდ სარგებელს თუ მოუტანდა აფხაზ ახალგაზრდობას. ვგულისხმობთ ბაგრატ შინქუბას პოეზიას და მის გახმაურებულ რომანს "უკანასკნელი უბიხი", ივანე თარბას პოეზიას, ალექსი გოგუას პოეზიასა და პროზას და სხვ.

საქმეს ვერ შველის ვერც სოციალური ქსელები, სადაც ბევრი ძებნის მიუხედავად, ვერ ვიპოვეთ აფხაზური მწერლობის ნიმუშების მიმწოდებელი ვერცერთი აფხაზურენოვანი საიტი. სამაგიეროდ აქა-იქ წააწყდებით ორიოდე მწერლის რუსულ ენაზე საბჭოთა პერიოდში თარგმნილ რამდენიმე ლექსს. იგივე ითქმის აფხაზური ფოლკლორის შესახებაც: თუ ვინმეს სურს, ორიგინალის ენაზე წაიკითხოს, ან მოისმინოს აფხაზური ფოლკლორის ნიმუშები, ვერ იპოვის. მაგალითად, www.apsnyteka.org-ზე განთავსებულია "აფხაზური ინტერნეტ-ბიბლიოთეკა", სადაც, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, უნდა იყოს აფხაზური მხატვრული ლიტერატურისა და ფოლკლორის საუკეთესო თხზულებები მაინც. ამ საიტის ლიტერატურის განყოფილებაში თქვენ წაიკითხავთ რამდენიმე აფხაზი მწერლის რუსულად თარგმნილ ნაწარმოებებს, ხოლო ფოლკლორის განყოფილებაში წააწყდებით ასევე მხოლოდ რუსულენოვან თარგმანებს: "აფხაზური ზღაპრები", "აფხაზური ანეკდოტები", "აფხაზური ანდაზები" (ეს უკანასკნელი ინგლისურადაცაა თარგმნილი). საიტზე ორიგინალური აფხაზურენოვანი მასალა შემოიფარგლება მხოლოდ პოეტი ქალის გუნდა საქანიას 4 ლექსით. სხვა საიტებზე ერთი ლექსიც კი არ არის.

აფხაზური მხატვრული ლიტერატურისა და ფოლკლორის მოვლა-პატრონობა და მეცნიერული კვლევა, უპირველეს ყოვ-

ლისა, ევალება აფხაზეთის დიმიტრი გულიას სახელობის პუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტს (ყოფილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს). ამ დაწესებულებას აქვს თავისი ვებგვერდი[611], მაგრამ არც მასზეა განთავსებული აფხაზური ლიტერატურისა და ფოლკლორის ნიმუშების აფხაზურენოვანი ტექსტები. რაც შეეხება კონფლიქტის მერე შექმნილ აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ლიტერატურის კათედრას, რომლებსაც ასევე ევალებათ აფხაზური ლიტერატურისა და ფოლკლორის ნიმუშთა კვლევა, მათ საერთოდ არა აქვთ თავიანთი საიტი.

ვფიქრობთ, ეს ფაქტები სრულ საფუძველს გვაძლევს, დავასკვნათ, რომ **ამჟამად აფხაზეთში აფხაზური ლიტერატურა და ფოლკლორი ყურადღების გარეშეა დარჩენილი, რაც შემაშფოთებელია და საფრთხეს უქმნის არა მარტო ლიტერატურასა და ფოლკლორს, არამედ აფხაზი ხალხის იდენტობასაც.**

უკეთეს პირობებში არ არის არც თეატრალური და სახვითი ხელოვნება.

აფხაზური კულტურის სავალალო მდგომარეობით ცოტა ვინმეა შეშფოთებული. ერთ-ერთი ამგვარი ახალგაზრდა გულშემატკივარი მიხეილ ჯერგენია მართებულად აღნიშნავს, რომ აფხაზური კულტურა დღეს გარდამავალ ეტაპზეა: საკუთრივ აფხაზური კულტურა განიცდის საბჭოურ-რუსული კულტურისა და გლობალიზაციის მძლავრ ზემოქმედებას. აფხაზური კულტურა კონკურენციას ვერ უწევს მათ და სერიოზულ რყევას განიცდის. ავტორის აზრით, ამ რყევას ამძაფრებს აფხაზი ხალხის მცირერიცხოვნობა, კულტურის გადარჩენისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის უქონლობა და მატერიალური სახსრების შეზღუდულობა. ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს აფხაზთა შორის **აფსუარა**-ს იდეალებისადმი შესუსტებულ დამოკიდებულებასა და ამ იდეალების მასობრივ დარღვევას.

---

[611] www.kolhida.ru/index.php3.

მ. ჯერგენია ჩამოთვლის იმ სფეროებს, რომლებშიც ასახულია საბჭოურ-რუსული კულტურის მძლავრი ზეგავლენა:

– მოსახლეობის უმრავლესობა, განსაკუთრებით ქალაქებში, თავისუფლად ფლობს რუსულ სამწიგნობრო ენას;

– სასკოლო პროგრამის უდიდესი მასივი ისწავლება რუსულ ენაზე;

– მხატვრული ლიტერატურა ვითარდებოდა და ვითარდება რუსული ლიტერატურის უმძლავრესი ზეგავლენის პირობებში;

– მსოფლიო კულტურის გაცნობის საქმეში უმთავრესი შუამავალი რუსული ენაა;

– ძლიერია ნოსტალგია და ერთგულება კომუნისტური იდეოლოგიისადმი (განსაკუთრებით უფროს თაობაში);

– დღემდეა შენარჩუნებული საინფორმაციო სივრცის ერთიანობა რუსეთთან[612].

ავტორს იქვე აღნიშნული აქვს გლობალიზაციური (დასავლური მასობრივი) კულტურის აფხაზურ კულტურაზე გავლენის შესახებაც: დასავლური კულტურა აფხაზეთში ინერგება მედიის (განსაკუთრებით ტელევიზიისა და რადიოს), სამომხმარებლო საქონლის (ტანსაცმლიდან დაწყებული ელექტროტექნიკით გამთავრებული), ჰუმანიტარული პროგრამების განმახორციელებელი სხვადასხვაგვარი ევროპული და ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და სხვათა მეშვეობით. ამათგან კოლოსალური გამვლენელია მედია, რომელიც აქტიურად ზემოქმედებს მოზარდებსა და ახალგაზრდობაზე, უყალიბებს მათ უცხო ესთეტიკურ გემოვნებას, ცხოვრებისეულ შეხედულებებს, ჩვევებს, გატაცებას... ეს გავლენა ჯერჯერობით სტიქიური, უკონტროლო და არათანაბარია. მოზარდებისა და ახალგაზრდობისათვის დასავლური კულტურაც, ევროპაცა და ამერიკაც ცხოვრების ყველა სფეროში იდეალებად იქცევა. მ. ჯერგენიას პროგნოზით, ახლო მომავალში დასავლური კულტურისაკენ ორიენტაციის ზრდა სულიერ ცხოვრებაში კვლავაც შენარჩუნდება[613].

---

[612] Михаил Джергения. Современная культура Абхазии и глобализация. http://www.apsnyteka.org/d/sovremennaya_kultura_abhazii_i_globalizatsiya/index.html.

[613] იქვე.

ვინაიდან ნებისმიერი ეთნოსის იდენტობის გამოხატვის უმძლავრესი და უმთავრესი საშუალება ენაა, უფრო ვრცლად უნდა განვიხილოთ **ენის ფაქტორისადმი აფხაზთა დამოკიდებულება და აფხაზური ენის ფუნქციონირება ამჟამინდელ "დამოუკიდებელ" აფხაზეთში.**

აფხაზ ხალხს აქვს თავისი საკუთარი ენა, რომელიც, მართალია, ყველა ენობრივ დონეზე ძალიან ახლოს დგას აბაზურ ენასთან, მაგრამ მათ შორის აბსოლუტური იდენტურობა არ არის (აფხაზურ-აბაზური ენობრივი კონტინუუმი, როგორც აღვნიშნეთ, დაიშალა XVI საუკუნის ახლო ხანებში[614]). რაკი **აფსუარა**-ს სისტემაში დიდ ადგილი უჭირავს უნივერსალურ და იბერიულ-კავკასიურ იდეალებს, ხოლო აფხაზური ენა განსხვავებულია არა მარტო არამონათესავე, არამედ თვით მონათესავე ენებისგანაც კი, სწორედ **აფხაზური ენა უნდა იყოს აფხაზი ხალხის იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი მარკერი** (იდეალური პრინციპი: დამოუკიდებელ ეთნოსს საკუთარი, სხვისგან განსხვავებული ენა უნდა ჰქონდეს):

– ამ ეთნოსის წარმომადგენელთა უმრავლესობა აფხაზურ ენას უნდა მიიჩნეედეს საკუთარ დედაენად;

– მათ კარგად უნდა იცოდნენ თავიანთი ეროვნების ენა; უნდა უვლიდნენ მას; იყენებდნენ არა მარტო ყოფით ურთიერთობაში, არამედ განათლების სისტემაში, კულტურის დარგებში, მასმედიაში, ოფიციალურ საქმისწარმოებაში, მეცნიერებაში, რელიგიურ ცხოვრებაში და ა.შ.

თუ მეფის რუსეთისა და საბჭოთა პერიოდებში ილახებოდა არარუსულ ენათა და მათ შორის აფხაზური ენის უფლებები, ამ ენის სრული მასშტაბით ფუნქციონირებისათვის ყველაზე კარგი პირობები აფხაზეთის "დამოუკიდებლობის აღდგენის" შემდეგ უნდა შეექმნა "ეროვნულ ხელისუფლებას", რომელსაც ამ საქმეში ხელს ვერ შეუშლიდნენ "ქართველი დამპყრობლები".

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, კონფლიქტამდე, 1989 წელს თავის დედაენად აფხაზურს ასახელებდა აფხაზეთ-

---

614 იხ.: თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. ძირითადი პრობლემები. თბ., 2008, გვ. 22-39.

ში მცხოვრებ აფხაზთა 97 %, მაგრამ ეს მონაცემი არ ასახავს მაშინდელ რეალურ ვითარებას. მონაცემთა სიმცდარეს ძირითადად 2 ფაქტორი განაპირობებდა:

1. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას არ სურდა იმის ოფიციალურად აღიარება, რომ ავტონომიის სატიტულო ეთნოსის ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა განუხრელად იკლებდა სსრკ-ს არსებობის 70 წლის მანძილზე განხორციელებული ანტიეროვნული და გამარუსებელი ენობრივი პოლიტიკის შედეგად;

2. აღწერების დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაენის განსაზღვრის საკითხს სტერეოტიპულად უყურებს, რასაც ხელს უწყობს დასმულ შეკითხვათა თანმიმდევრობა: ჯერ ეკითხებიან, თუ რომელია რესპონდენტის ეროვნება, მერე კი დაისმის შეკითხვათა სერია ენების შესახებ (რომელია თქვენი დედაენა? დედაენის გარდა რომელი ენები იცით?...). რესპონდენტები ამ დროს ავტომატურად ფიქრობენ, რომ მათი ეროვნების განსაზღვრა პირდაპირ კავშირშია მის დედაენასთან და ენების ცოდნასთან. მათ გონებაში უმალვე ამუშავდება სტერეოტიპი: "რაკი მე მიეუთითე, რომ ვარ X ეროვნების წარმომადგენელი, უხერხულია ჩემს დედაენად ეროვნების ენის დასახელება; გარდა ამისა, რატომ უნდა ვაღიარო უცხო ადამიანთან [აღმწერთან - თ.გ.], რომ მე არ ვიცი/ცუდად ვიცი ჩემი ეროვნების ენა?!" ამიტომ გამოკითხულ პირთა დიდი ნაწილი უხერხულობას გრძნობდა საკუთარი ეროვნებისა და დედაენის სხვადასხვაობის გამო; არ აფიქსირებდა, რომ არ იცოდა, ან ცუდად ფლობდა საკუთარი ეროვნების ენას და აცხადებდა, რომ მისი დედაენა საკუთარი ეროვნების ენაა;

3. აღწერის დროს შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს რესპონდენტთა დედაენის ცოდნის დონე და ხარისხი. შეიძლება ადამიანმა ცუდად იცოდეს დედაენა, მაგრამ დამალოს ეს ნაკლი და განაცხადოს, კარგად ვიციო, ან სწორად ვერ აფასებდეს ენის ცოდნის დონეს.

ჩვენი შეფასებით, 1989 წლისათვის აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრებ აფხაზთაგან **აფხაზური ენა კარგად და საშუალოდ იცოდა დაახლოე-**

ბით 55-60 %-მა. მათთვის აფხაზური ენა რეალურად წარმოადგენდა დედაენას. აფხაზური მოსახლეობის ეს კატეგორია შედგებოდა შემდეგი სტრატებისაგან:

– მონოეთნიკური აფხაზური სოფლების მოსახლეობის საშუალო და უფროსი ასაკის ორივე სქესის მცხოვრებნი (40 წელზე უფროსი აფხაზები);

– ბიეთნიკურ და პოლიეთნიკურ სოფლებში კომპაქტურად მცხოვრებ აფხაზთა უფროსი თაობა. ასეთი მოსახლეობა იყო, მაგალითად, გულრიფშის რაიონის სოფელ მარდახუჭში; გალის რაიონის სოფლებში: ჩხორთოლში, გუდავაში, ტოგონში, ბულიშხინჯში; გუდაუთის რაიონის სოფლებში: ანუხვაში, ახალსოფელში, ოთჰარაში, პრიმორსკოეში; ოჩამჩირის რაიონის სოფლებში: ბესლახუბაში, ნაგვალოუში; კოჩარას სასოფლო საბჭოს სოფელ ჭლოუში; მერკულაში, ფოქვეშში, ნაოჩში, წიკრიშში; სოხუმის რაიონის სოფლებში აძიგეჟსა და შიცკვარაში; გაგრის რაიონის სოფლებში აყვარაში, ლიძავასა და რაფიწაში;

– მონოეთნიკური აფხაზური სოფლებიდან ქალაქებში ახლად მიგრირებული აფხაზების საშუალო და უფროსი თაობა;

– ქალაქებში დიდი ხნის წინ მიგრირებულ აფხაზთა უფროსი თაობა, აგრეთვე ჰუმანიტარულ სპეციალობათა მქონე ყველა თაობის ინტელიგენცია (საბავშვო ბაღებისა და სკოლების პედაგოგები, უნივერსიტეტის პროფესურა, მეცნიერები, ჟურნალისტები, მწერლები, მსახიობები...).

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ აფხაზური ენის კარგად და საშუალოდ მცოდნეთა შორის 2 ჯგუფი გამოიყოფოდა:

1. ვინც კარგად/საშუალოდ ლაპარაკობდა აფხაზურად და ამასთანავე მაღალ/საშუალო დონეზე იცოდა სამწიგნობრო აფხაზური ენაც;

2. ვინც კარგად/საშუალოდ ლაპარაკობდა ამ ენაზე, მაგრამ ცუდად იცოდა/სრულებით არ იცოდა სამწიგნობრო აფხაზური ენა.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინ გაცილებით დაბალი იყო დედაენის ცოდნის დონე სოფლის ახალგაზრდობასა და ბავშვთა შორის; მათთან შედარებით აფხაზური ენის ცოდნა ბევ-

რად უფრო იშვიათი იყო ქალაქების აფხაზური მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. მეტიც, როგორც თვით აფხაზი ავტორებიც აღნიშნავენ, ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა **მონოეთნიკურ გარემოშიც კი** სხვა ენას (რუსულს) იყენებდა და იყენებს კომუნიკაციისათვის[615].

აფხაზეთში აფხაზურ ენას ქართულ და რუსულ ენებთან ერთად 1926 წლიდან მინიჭებული ჰქონდა რეგიონის სახელმწიფო ენის ოფიციალური სტატუსი, მაგრამ **რეალურად აფხაზური, ქართული ენის მსგავსად, ფუნქციონირებდა მხოლოდ მონოეთნიკურ გარემოში, გაბატონებული და პრესტიჟული კი რუსული ენა იყო.**

როგორც სოფლების, ისე ქალაქების აფხაზური მოსახლეობა ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის იყენებდა აფხაზური ენის დიალექტებს, **აფხაზურ სალიტერატურო ენას კი კარგად ფლობდნენ მხოლოდ გარკვეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები:** საბავშვო ბაღებისა და სკოლების მასწავლებლები, უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მიმართულების პროფესურა, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, ჟურნალისტები, მწერლები...

აფხაზთა უმრავლესობა თავისი ეროვნების ენის ნაკლებად ცოდნას ამართლებდა და ამართლებს აფხაზური ენის სირთულით, სპეციალური ტერმინოლოგიის სიღარიბით, ამ ენის უპერსპექტივობით, რუსული ენის პრესტიჟულობითა და ფართო გავრცელებით, პირადი კარიერისათვის აფხაზური ენის გამოყენების სიძნელით, აფხაზურ ენაზე არსებული ორიგინალური მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის დაბალი ხარისხით, მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის თარგმანთა ნაკლებობით და ა.შ.

სერიოზულ პრობლემას ქმნის განათლების სისტემის ანტიაფხაზური ხასიათი. როგორც ზემოთ ითქვა, ე.წ. აფხაზური

---

[615] Михаил Джергения. Современная культура Абхазии и глобализация. http://www.apsnyteka.org/d/sovremennaya _kultura_abhazii_i_globalizatsiya/index.html.

სკოლები მოქმედებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში შექმნილი საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოდელის მიხედვით, რაც შემდეგს გულისხმობს:

დედაენა გამოიყენება სწავლების დაწყებით საფეხურზე, პირველ 4 წელიწადს, როცა ამ ენაზე ისწავლება დისციპლინათა უმრავლესობა რუსული ენის გაძლიერებული სწავლების პარალელურად.

მიზანი: სწავლების პირველ ეტაპზე მოსწავლემ იმ დონეზე უნდა შეისწავლოს რუსული ენა, რომ მეორე საფეხურიდან (მე-5 კლასიდან) ყველა დისციპლინა (გარდა მცირე დატვირთვის მქონე აფხაზური ენისა და ლიტერატურის კურსებისა) უნდა აითვისოს რუსულ ენაზე, ანუ **სასკოლო სწავლების პირველ საფეხურზე მზადდებოდა და მზადდება ნიადაგი აფხაზ მოსწავლეთა გარუსებისათვის, ხოლო მეორე საფეხურიდან იწყებოდა და იწყება მოსწავლეთა გარუსების მძლავრი პროცესი.**

უნივერსიტეტში, გარდა ფილოლოგიის ფაკულტეტის აფხაზური ენისა და ლიტერატურის სპეციალობისა, ყველა მიმართულებაზე სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ რუსულ ენაზე.

განათლების ამჟამად მოქმედი სისტემა პრაქტიკულად ხელს უწყობს აფხაზური ენის სიცოცხლისუნარიანობის (ვიტალობის) ხარისხის დაქვეითებასა და მისი ფუნქციონირების სფეროების კატასტროფულ შემცირებას. აფხაზი ავტორები სამართლიანი გულისტკივილით აღნიშნავენ აფხაზური ენის უმძიმეს მდგომარეობას:

– ე.წ. აფხაზური სკოლის კურსდამთავრებულებს არა აქვთ მინიმალური წარმოდგენაც კი ამ ენის სტრუქტურაზე, ორთოგრაფიის წესებზე, ორთოეპიაზე;

– ვერ ფლობენ ძირითად ლექსიკურ ფონდს;

– არ შეუძლიათ აფხაზურ ენაზე საუბარი არასაყოფაცხოვრებო საკითხების შესახებ;

– არ კითხულობენ ორიგინალურ თუ თარგმნილ ლიტერატურასა და პრესას;

– არ უყურებენ მცირერიცხოვან აფხაზურენოვან ტელეგადაცემებს;

– არ უსმენენ აფხაზურ რადიოგადაცემებს;

– არ დადიან აფხაზურ თეატრში;

– იშვიათად მღერიან აფხაზურ ენაზე;

– დედაენაზე საუბრისას ავტომატურად გადადიან რუსულ ენაზე;

– დაბალია აფხაზური ენის სწავლების ხარისხი;

– სოციალურ ქსელებში განთავსებულ უკიდურესად მცირერიცხოვან აფხაზურენოვან მასალებს არა აქვთ ავტორიტეტი და არ ჰყავთ მომხმარებელი;

– მშობლები, რომლებიც თვითონ იზრდებოდნენ ე.წ. აფხაზურ, რეალურად კი რუსულ სკოლებში და ნაკლებად იციან აფხაზური ენა, **აფხაზურ ენას უპერსპექტივო და უპრესტიჟო ენად მიიჩნევენ**, ამიტომ მათი უმრავლესობა ამჯობინებს შვილების უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად შეიყვანოს შვილები რუსულ სკოლებში.

აფხაზი ავტორები ასახელებენ **აფხაზურ პარადოქსს**, როცა **საბჭოთა პერიოდში აფხაზებს არ სურდათ გარუსება, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ აფხაზთა შორის აფხაზური ენის გავრცელების განუხრელ შემცირებას**. ეს პარადოქსი არსებობს დღესაც. აღნიშნავენ იმასაც, რომ, სამწუხაროდ, **აფხაზებს აფხაზური ენა არ მიაჩნიათ განათლების, მეცნიერებისა და ინტელიგენტობის ენად**, რაც ენისათვის **მომაკვდინებელი განაჩენია**[616].

ამ სწორ შეფასებებს ჩვენი მხრიდან დავუმატებდით, რომ აფხაზებს აფხაზური ენა არ მიაჩნიათ არც საქმისწარმოებისა და კომუნიკაციის ენად. მაგალითად, აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა 2007 წლის 29 ნოემბერს დაამტკიცა კანონი "აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენის შესახებ", რასაც დიდი ხმაური მოჰყვა, ერთი მხრივ, რუსეთის ხელისუფლებასა და მასმედიაში და, მეორე მხრივ, აფხაზურ საზოგადოებაში.

კრემლს არ მოეწონა ის, რომ კანონმა აფხაზურს სახელმწიფო ენის სტატუსი განუსაზღვრა, ხოლო რუსული სახელ-

---

[616] Михаил Джергения.
http://www.apsnyteka.org/d/abhazskii_yazik_i_obschestvo_nastoyaschee_proshloe_i_buduschee/index.html.

მწიფო და სხვა დაწესებულებათა ენად გამოცხადდა, რაც კანონში **მხოლოდ რევერანსია აფხაზური ენის მიმართ და მარტო ვერბალურ სხვაობას ქმნის ამ ენისა და რუსულის უფლებებს შორის**, ვინაიდან აფხაზურ, რუსულ და ქართულ ენებს საბჭოთა პერიოდშიც ჰქონდათ სახელმწიფო ენის სტატუსი, მაგრამ რეალურად მხოლოდ რუსული ასრულებდა ამ სტატუსით ნაგულისხმევ ფუნქციას. ამ უმცირესი ვერბალური სხვაობის გამო გაღიზიანება ვერ დამალა რუსეთის მედიამ და პუბლიცისტიკამ, რომლებიც ირონიით აშუქებდნენ ამ კანონის მიღების პერიპეტიებს[617].

თავის მხრივ აფხაზმა ჟურნალისტებმაც გამოთქვეს პროტესტი კანონის იმ მოთხოვნის გამო, რომლის თანახმადაც, მასმედია ვალდებული გახდა, კანონის მიღებიდან 6 თვეში გადასულიყო აფხაზურ ენაზე (ტელე- და რადიოგადაცემების, აგრეთვე საგაზეთო სტატიების ნახევარი მაინც ამ ენაზე უნდა ყოფილიყო). ჟურნალისტთა არგუმენტაცია ასეთი იყო: ელექტრონულ და ბეჭდურ მედიას დასჭირდება ახალი თანამშრომლების აყვანა, დამატებითი (და არცთუ მცირე) თანხების გაღება ტექნიკის შესაძენად, გაიზრდება სასტამბო ხარჯები. ყოველივე ეს კი გააკოტრებს მასმედიასო...[618]

კანონმა ვერ იმოქმედა ვერც აფხაზეთის ე.წ. პარლამენტში: რამდენიმეჯერ სცადეს აფხაზურ ენაზე სხდომების წაყვანა, მაგრამ იმის გამო, რომ დეპუტატების უმრავლესობამ არ იცის ეს ენა და არ ჰყავთ სინქრონული თარგმანის სპეციალისტები, სხდომები კვლავ რუსულ ენაზე მიმდინარეობს[619].

აფხაზური ენა იგნორირებულია ე.წ. აფხაზურ ეკლესიაშიც, სადაც ღვთისმსახურება მეტად იშვიათად სრულდება ამ ენაზე.

---

617 http://abhazy.com/goslanguage.html.

618 მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე. აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება. 1993-2010 წლები. თბილისი, 2010, გვ. 118-119; http://abhazy.com/goslanguage.html; http://www.media.ge/ka/node/20221 და სხვ.

619 http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=25746; http://kiaraz.org/page76; http://www.ekhokavkaza. com /content/article/1969652.html და ა.შ.

მეტიც, 2011 წლის 15 მაისს ახალი ათონის მონასტერში გაიმართა საეკლესიო და საერო პირთა შეკრება, რომელზეც ქართული სამოციქულო ეკლესიის წიაღიდან "კანონიერად" უნდა "გამოყოფილიყო" ე.წ. აფხაზური ეკლესია. სოციალური ქსელებით გავრცელდა ამ შეკრების ამსახველი ვიდეომასალა, რომლიდანაც ცხადად ჩანს, რომ ეს "მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული" შეკრება პრაქტიკულად რუსულ ენაზე ჩატარებულა: უკლებლივ ყველა გამომსვლელი, ერიც და ბერიც მხოლოდ რუსულად საუბრობდა, ერთ-ორ პირსღა მოაგონდა დედაენა და ისიც მხოლოდ ბოდიშის მოსახდელად, აქ აფხაზური ყველამ არ იცის და ამიტომ რუსულად გესაუბრებითო[620].

აფხაზური ენის ისედაც მძიმე მდგომარეობას საშიშროებას უქმნის კონფლიქტის შემდგომ მასობრივად ქცეული **აფხაზთა ურბანიზაციის მაღალი ტემპიც**, რაც პრაქტიკულად ხელს უწყობს, ერთი მხრივ, აფხაზური სოფლების დაცლას აფხაზი მოსახლეობისაგან, მეორე მხრივ, სოფლებში აფხაზური ენის გადარჩენის შანსის შემცირებას, ხოლო მესამე მხრივ, ქალაქებში ჩასახლებულ აფხაზთა ახალი თაობების დაჩქარებული ტემპით გარუსებას.

დედაენისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულების შედეგად შეიქმნა უმძიმესი ვითარება: თუ საბჭოთა კავშირის დაშლის წინ ასე თუ ისე მეტი იყო აფხაზური ენის კარგად და საშუალოდ მცოდნე აფხაზთა წილი (60 %-მდე), ამჟამად, ჩვენი ვარაუდით, ამ კატეგორიის აფხაზთა წილი არ უნდა აღემატებოდეს 40 %-ს.

საქმე ისაა, რომ ამჟამად ცოცხალი აღარ არიან იმ თაობის წარმომადგენლები (მოხუცები), რომლებმაც კარგად იცოდნენ აფხაზური ენა და ოჯახებში ინახავდნენ მას. ახლანდელ აფხაზთა უფროსი თაობა (60 წლის ზევით) დაბადებულია საბჭოთა პერიოდში და იზრდებოდა ე.წ. აფხაზურ, მაგრამ რეალურად მადენაციონალიზებელ სკოლებში. მათ უპირატესად საშუალოდ, ან ცუდად იციან აფხაზური. მათ თვალში აფხაზურ ენაზე განათლების მიღება ნაკლებპრესტიჟულია (ეს პირადი

---

620 Сход в Новом Афоне 15 мая 2011 г. - www. youtube.com.watch.

გამოცდილებით იციან!). აფხაზთა საშუალო თაობა (40-60 წლისანი) სკოლა'ში სწავლობდა XX საუკუნის 50-70-იან წლებში, როცა რუსიფიკაციის ტემპი აფხაზეთში განსაკუთრებით მაღალი იყო. აფხაზურად განათლების მიღება მათთვის კიდევ უფრო ნაკლებპრესტიჟულია და, რა თქმა უნდა, ისინი ბავშვებს ე.წ. აფხაზურ სკოლაში არ შეიყვანენ. მაშასადამე, შეიკრა მანკიერი წრე, რაც **აფხაზური ენის კატასტროფული მდგომარეობის მაჩვენებელია – ეს ენა უკვე გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე დგას**. თუ აფხაზური საზოგადოება არ მიიღებს სათანადო ზომებს (მაგალითად, არ იქნება უზრუნველყოფილი უწყვეტი განათლება აფხაზურ ენაზე საბავშვო ბაღიდან დაწყებული უნივერსიტეტის ჩათვლით და არ მოიძებნება სტიმული ამ ენის შესასწავლად), უმოკლეს დროში მივიღებთ სამწუხარო შედეგს: გაქრება მრავალი თვალსაზრისით უნიკალური აფხაზური ენა და აფხაზი ხალხი შეემატება იმ ეთნოსთა რიცხვს, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ შერჩენილი საკუთარი ეთნიკური იდენტობა, მაგრამ ლაპარაკობს სხვის ენაზე. ისეთი მცირერიცხოვანი ეთნოსისათვის, როგორიც აფხაზი ხალხია, შემდგომი საფეხური ეთნიკური იდენტობის სრული გაქრობა იქნება.

ამრიგად, ზემოთ განხილული საკითხები გვიჩვენებს, რომ დღეისათვის საფუძვლიანადაა შერყეული აფხაზი ხალხის ეთნიკური, ენობრივი და კულტურული იდენტობა და აშკარაა შეუთავსებლობა ამჟამინდელ იდენტობასა და **აფსუარა**-ს ტრადიციულ ფუძემდებლურ იდეალებს შორის.

თეიმურაზ გვანცელაძის პუბლიკაციათა ნუსხა

წიგნები

1. ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოების ძირითადი პრინციპები აფხაზურსა და აბაზურ ენებში. გამომც. "მეცნიერება", თბ., 1991, 70 გვ.

2. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონითურთ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, სიმფონია-ლექსიკონი შეადგინეს და წინასიტყვაობა დაურთეს ა. არაბულმა, თ. გვანცელაძემ და ა. ლომთაძემ. თბ., თსუ გამომც., 1996, 312 გვ.

3. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონითურთ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, სიმფონია-ლექსიკონი შეადგინეს და წინასიტყვაობა დაურთეს ა. არაბულმა, თ. გვანცელაძემ და ა. ლომთაძემ. თბ., თსუ გამომც., 1996, 220 გვ.

4. აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატიანის ტექსტში. გამომც. "მეცნიერება", თბ., 1997, 48 გვერდი..

5. მცირე აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თსუ გამომც., თბ., 2000, 170 გვ..

6. აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. I. აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა (ქართულ ენაზე). აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. გამომც. "ქართული ენა" და გამომც. "ინტელექტი", თბ., 2003, 240 გვ.

7. აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. II. ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა (აფხაზურ ენაზე). ქართულ-აფხაზური ლექსიკონი. გამომც. "ქართული ენა" და გამომც. "ინტელექტი", თბ., 2003, 256 გვ.

8. ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში. გამომც. "უნივერსალი", თბ., 2006, 162 გვ.

9. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები: ძირითადი პრობლემები. გამომც. "არტანუჯი", თბ., 2008, 124 გვ.

10. ქართულ-აფხაზურ ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა ისტორია. I. აკაკი წერეთლის "გამზრდელი". დამხმარე სახელმძღვანელო უნივერსიტეტების სტუდენტთათვის. პოემის ქართული ტექსტი დიმიტრი გულიასეული აფხაზური თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა დაურთო და აფხაზურ-ქართუ-

ლი სასწავლო ლექსიკონი შეადგინა თ. გვანცელაძემ. გამომც. "არტანუჯი", თბ., 2008, 112 გვ.

11. Лингвистические основы этнической истории Абхазии: основные проблемы. Тб., изд. «Артануджи», 2009, 124 გვ.

12. Отрицательные формы глагола в абхазском и абазинском языках. Тб., изд. «Интелекти», 2010, 120 с.

13. ქართულ-აფხაზურ ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა ისტორია. I. აკაკი წერეთლის "გამზრდელი". დამხმარე სახელმძღვანელო უნივერსიტეტების სტუდენტთათვის. პოემის ქართული ტექსტი დიმიტრი გულიასეული აფხაზური თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა დაურთო, აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური სასწავლო ლექსიკონები შეადგინა თ. გვანცელაძემ. მეორე გამოცემა. გამომც. "არტანუჯი", თბ. 2010, 160 გვ.

14. აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობა. I. პირველი სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიციის წინასწარი შედეგები. გამომც. "არტანუჯი", თბ., 2011, 30 გვ. (თანაავტორი მანანა ტაბიძე).

15. Основные аспекты идентности абхазов, живущих в Аджарии. Тб., изд. «Универсал», 2011, 110 გვ. (თანაავტორები: მანანა ტაბიძე, თამარ გითოლენდია, სოფიკო ჭაავა).

16. Basic Aspects of Identity of the Abkhazians Living in Ajaria. Tbilisi, Publishing House Universal, 2011, 94 გვ. (თანაავტორები: მანანა ტაბიძე, თამარ გითოლენდია, სოფიკო ჭაავა).

სამეცნიერო სტატიები და რეცენზიები

1. რეცენზია: "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული", ტ. IV, თბილისი, 1977. – "თსუ შრომები, ენათმეცნიერება", ტ. 200, თბ., 1978, გვ. 242-246.

2. ზმნის უარყოფით ფუძეთაგან ნაწარმოები უქონლობის ზმნისართები აფხაზურში. – "ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან". თბ., 1980, გვ. 127-131.

3. უარყოფის მეორეული აფიქსაცია სამიმართებო ელემენტიან აფხაზურ-აბაზურ ზმნებში. – "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. 102, №2, 1981, გვ. 501-503.

4. უარყოფის არატიპური წარმოება აფხაზურ-აბაზურ ზმნებში. – "მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია", №3, 1981, გვ. 142-152.

5. რეცენზია: В.А. Касландзия. Краткий словарь синонимов абхазского языка. Сухуми, издательство «Алашара», 1981, 239 с. (на абхазском языке). – "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული" (იკეწ), ტ. IX. თბ., 1982, გვ. 308-310.

6. უარყოფის გამოხატვის საერთო პრინციპებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში. – "საენათმეცნიერო ძიებანი". თბ., 1983, გვ. 210-217.

7. აფხაზი ხალხის დიდი შვილი (დ. გულიას დაბადების 110 წლისთავისათვის). – ჟურნ. "ჭოროხი", №1. ბათუმი, 1985, გვ. 64-67.

8. **ბატკან-** და **მწევარ-** ფუძეთა ისტორიისათვის. – "ეტიმოლოგიური ძიებანი – 1988". თბ., 1988, გვ. 73-74.

9. О статусе анлаутного гласного а в абхазских именах. – "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული", ტ. XV. თბ., 1988, გვ. 187-194.

10. სპეციფიკურ აფხაზურ ფონემათა ქართულად გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) საკითხისათვის. – "ქართული სიტყვის კულტურის საკითხები", ტ. IX. თბ. 1989, გვ. 374-380.

11. ერთი "სადავო" საკითხის შესახებ. – ალმანახი "ცხუმი", №3. სოხუმი, 1990, გვ. 45-49.

12. Из недавнего прошлого. – ალმანახი "ცხუმი", №3, აგვისტო-სექტემბერი. სოხუმი, 1990, გვ. 45-49.

13. კვლავ ეთნონიმ "აფხაზისა"და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ. – "საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია". თბ., 1993, გვ. 571-577.

14. ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები აფხაზურსა და აბაზურ ენებში. – "საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია". თბ., 1993, გვ. 315-318.

15. ბიჭვინთის თავდაპირველი სახელწოდების საკითხისათვის. – "ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე", №1. ქუთაისი, 1995, გვ. 25-32.

16. Towards the original designation of Pitsunda. – "ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე", №1. ქუთაისი, 1995, გვ. 111-116.

17. ბიჭვინთის თავდაპირველი სახელწოდების საკითხისათვის. – ჟურნალი "ბედია", № 2-3, 1996. გვ. 51-55.

18. მცენარეთა სახელწოდებებისაგან მომდინარე ოიკონიმები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიისათვის. – ჟურნალი "ბედია", № 2-3, 1996. გვ. 95.

19. ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. I. ქუთაისი, 1996, გვ. 73-81.

20. აფხაზეთის ქართველური ტოპონიმია: გაგრა. – "ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", ტ. VI. თბ., 1996, გვ. 44-49.

21. აბაზები. – ენციკლოპედია "საქართველო". თბ., 1997, გვ. 11.

22. ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულებანი. – კრებ. "გიორგი როგავას". თბ., 1997, გვ. 55-67.

23. 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზთა ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია (წინასწარი ცნობა). – ალმანახი "არტანუჯი", № 4, 1997. გვ. 28-31.

24. О пути заимствования греческой христианской лексики в абхазском языке. – «Rocznik orientalistyczny», t. LI, z. 2. Warszawa, 1998, გვ. 129-134.

25. "ქართლის ცხოვრების" ერთი ადგილის გაგებისათვის ("ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი"). – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. II. ქუთაისი, 1998, გვ. 72-79.

26. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. – "აფხაზეთის ისტორიის პრობლემები". თბ., 1998, გვ. 14-63.

27. თამარ მეფის სიგელის ორი სახელის გაგებისათვის. – "ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", ტ. VII. თბ., 1998, გვ. 118-125.

28. ტოპონიმ "ტყვარჩელისა"და ყორიყარდას მეგრული სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის. – "ქართველური ონომასტიკა", ტ. I. თბ., 1998, გვ. 102-108.

29. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეთა ლაპიდარული წარწერების მიხედვით. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. III. ქუთაისი, 1999, გვ. 52-58.

30. Kartvelian substrate toponyms in Abkhazia. - Lund University. Department of lingvistics. General linguistics, Phonetics. Working Papers, 47. Lund, 1999, გვ. 99-105 (თანაავტორი რ. ჭანტურია).

31. ენათა ფუნქციონირება პოლიეთნიკურ რეგიონში მართვადი ენობრივი პოლიტიკის პირობებში. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. IV. ქუთაისი, 2000, გვ. 116-130.

32. აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. – ჟურნ. "ბედია", №6-7, 2000, გვ. 83-92.

33. ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. – ჟურნ. "არტანუჯი", №10, 2000, გვ. 51-66.

34. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი) – ჟურნ. "არტანუჯი", № 10, 2000, გვ. 87-92.

35. ტოპონომთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ. – "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", ტ. XXXIV. თბ., 2000, გვ. 44-51.

36. ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. – "ქართველური მემკვიდრეობა", V. ქუთაისი, 2001, გვ. 89-113 (თანაავტორები: მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია).

37. აფხაზური ეროვნულ-ენობრივი მსოფლხატთა სისტემის ურთიერთობა ქართულ და რუსულ შესაბამის სისტემებთან. – "ქართველური მემკვიდრეობა", VI. ქუთაისი, 2002, გვ. 58-68.

38. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: ავადჰარა, ოთჰარა. – "ქართველოლოგიური კრებული", I. თბ., 2002, გვ. 34-41.

39. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები და ქართველური ენობრივი სამყარო. – "ქართველური მემკვიდრეობა", VII. ქუთაისი, 2003, გვ. 102-141.

40. არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? (პასუხად პროფ. ა. ონიანს) – "ენათმეცნიერების საკითხები", № 2, 2003, გვ. 170-175.

41. სიახლეთა ათი წელიწადი. – "ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. 1993-2003". ქუთაისი, 2003, გვ. 55-58.

42. La "guerre des langues" au Caucase (1917-1950). – Le discourse sur la langue en URSS a l`epoque stalinienne (epistemologie, philosophie, ideologie). Cahiers de l`Institut de linguistique et des sciences du langage, #14, 2003. Numero edite par Patrick Seriot. Lausanne. გვ. 113-142.

43. რეცენზია: რ. ფარეულიძე, ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, გამომც. "ქართული ენა", 2003, 356 გვ. – "ქართველოლოგიური კრებული", ტ. II. თბ., 2003, გვ. 138-139

44. იგივე ინგლისურ ენაზე – იქვე, გვ. 139-140.

45. ქართველურ დიალექტთა ურთიერთმიმართება და დიალექტური ტექსტის აღქმა-გაგების ხარისხი (ექსპერიმენტული გამოკვლევა). – "ქართველოლოგიური კრებული", ტ. II. თბ., 2003, გვ. 38-43 (თანაავტორი გ. გვანცელაძე).

46. აკადემიური პოლემიკა თუ იდეის დისკრედიტაციის მცდელობა? – "ენათმეცნიერების საკითხები", №1, 2004, გვ. 191-198.

47. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა ავტონომიების მიმართ. – "ზვიად გამსახურდია – 65". თბ., 2004, გვ. 149-154.

48. ჯონ მანდევილის 1375 წლის ცნობის მნიშვნელობა ეთნიკური აფხაზეთის ლოკალიზაციისათვის. – "საისტორიო შტუდიები", ტ. V. თბ., 2004, გვ. 58-64.

49. ჯონ მანდევილის 1375 წლის ცნობის მნიშვნელობა ეთნიკური აფხაზეთის ლოკალიზაციისათვის. – "კავკასიოლოგიური კრებული". თბ., 2004, გვ. 48-51.

50. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შემადგენლობისათვის (საკითხის დასმის წესით). – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. VIII. ქუთაისი, 2004, გვ. 67-73.

51. ქართველური ენები თუ ქართველური დიალექტები? – დამატება წიგნისა: ტ. ფუტკარაძე, ქართველები. ნაწილი I. ქრისტიანობამდელი ეპოქა. ქუთაისი, ქსუ გამომც. 2005, გვ. 581-612.

52. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეთა ლაპიდარული წარწერების მიხედვით. – "მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. I. მოხსენებების კრებული". თბ., 2005, გვ. 38-48.

53. სამეგრელოს სამღვდელოებისა და მოსახლეობის ბრძოლა დედაენისათვის (XIX ს. II ნახევრიდან 1905 წლამდე) – "ქართველოლოგიური კრებული", V. თბ., 2006. გვ. 32-43 (თანაავტორი მ. ტაბიძე).

54. აუცილებელი განმარტება – "გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი", 11. 2007, გვ. 51-62.

55. სტიქიური პლებისციტები სოციოლინგვისტურ საკითხთა შესახებ XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის I ნახევარში – "კაეკასიოლოგიური კრებული". თბ., 2007, გვ. 37-47 (თანაავტორები მ. ნაჭყებია და მ. ტაბიძე).

56. ჩერქეზ-ქართველთა მეგობრობის მატიანე – წიგნში: თეუც-

ვაუ ყატი, "ჩერქეზის საქართველო". თბ., 2007, გვ. 5-9.

57. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში). – "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა". თბ., 2007, გვ. 66-85 (თანაავტორები მ. ნაჭყებია და მ. ტაბიძე).

58. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. – "ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი". თბ., 2007, გვ. 178-196.

59. ენობრივი პოლიტიკა თანამედროვე აფხაზეთში. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XI. ქუთაისი, 2007, გვ. 126-134.

60. აფხაზური ენა – ენციკლოპედია "ქართული ენა". თბ., 2008. გვ. 63-64.

61. ლომთათიძე ქეთევან ბესარიონის ასული, – ენციკლოპედია "ქართული ენა". თბ., 2008. გვ. 296.

62. როგავა გიორგი ბესარიონის ძე – ენციკლოპედია "ქართული ენა". თბ., 2008. გვ. 398.

63. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: მგუძირხვა. – "აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს". თბ., 2008, გვ. 30-33.

64. გამორჩეული მეცნიერი და მოქალაქე. – "აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს". თბ., 2008, გვ. 163-165.

65. წინარექართველური ტოპონიმები აფხაზეთში: **წაბალი // წებელი**. – ინტერდისციპლინარული სამეცნიერო კრებული "სვანეთი, III", თბ., 2008, გვ. 117-123.

66. ქართულ გვართა გავრცელების ისტორიული არეალი აფხაზური სოფლების მიკროტოპონიმთა მიხედვით. – "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XII. ქუთაისი, 2008, გვ. 57-62.

67. ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული კონტაქტების ისტორიიდან. რელიგიური ტერმინოლოგია. – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "დიდაჭარობა". ხულო-დიდაჭარა, 2009 წლის მაისი (მასალები), გვ. 295-300.

68. აფხაზური ენისა და კულტურის კვლევისა და სწავლების პერსპექტივები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. – "ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები", ტ. I. თბ., 2009, გვ. 8-11.

69. აფხაზური ზმნის ერთი იშვიათი მოდელის საკითხისათვის. – "ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები", ტ. I. თბ., 2009, გვ. 51-59.

70. წესთა დარღვევები აფხაზურ ენაში. I. კლასოვან-პიროვანი უღვლილების პრინციპის დარღვევები აფხაზურ ზმნაში. – "პროფესორი ოთარ მიქიაშვილი – 70". თბ., 2009, გვ. 27-37.

71. აფხაზური ენა ამჟამინდელ აფხაზეთში. – "ენობრივი სიტ'უაცია თანამედროვე აფხაზეთ'ში". თბ., 2009, გვ. 21-29.

72. Абхазский язык в современной Абхазии. – "ენობრივი სიტ'უაცია თანამედროვე აფხაზეთში". თბ., 2009, გვ. 59-66.

73. The abkhazian language in the present day Abkhazia. – "ენობრივი სიტ'უაცია თანამედროვე აფხაზეთში". თბ., 2009, გვ. 93-99.

74. წარმართობის, ქრისტიანობისა და ისლამის ამსახველი ლექსიკა აფხაზურ ენაში. – ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი (Bulletin of the AGIBAS), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კორნელის უნივერსიტეტი, № 7, 2009, გვ. 78-81.

75. იმპერიული ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთში და მისი შედეგები. – "საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა)". ბათუმი, 2009, გვ. 125-137.

76. იმპერიული ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთში და მისი შედეგები. – "საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები". საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი. თბ., 2009, გვ. 206-220.

77. შოთა რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსნის" დიმიტრი გ'ულიასეული აფხაზური თარგმანის ზოგი ასპექტი. – "ფილოლოგიური პარალელები", სამეცნიერო შრომების კრებული, № I. თბ., 2009, გვ. 26-34.

78. აფხაზური ზმნის კავშირებითი კილოს ერთი თავისებური მოდელის საკითხისათვის. – "წელიწდეული", თსუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბ., 2009, გვ. 147-152.

79. Лингвистические основы этнической истории Абхазии. – «Очерки из истории Грузии. Абхазия». Тбилиси, 2009, сс. 254-296.

80. სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიციის ლინგვოკულტურული ასპექტები. – ჟურნალი "კავკასიოლოგიური ძიებანი", №1, 2009, გვ. 81-88.

81. Лингвокультурологические аспекты абхазской традиции гостеприимства. – იმავე ჟურნალში, გვ. 89-95.

82. Russian Language Policy in Abkhazia and its Results. - «Causes of War - Prospects for Peace». Georgian Orthodox Church, Konrad-Adenauer-Foundation. Tbilisi, 2009, გვ. 167-172.

83. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში). – სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი "სვეტიცხოველი", 2009, № 1, გვ. 149-163 (თანაავტორები: მერაბ ნაჭყებია, მანანა ტაბიძე).

84. Профессор Ю.Д. Дешериев и грузинская школа кавказоведения. - "Материалы Международной научной конференции, посвященной 90-летию со дня рождения профессора Ю.Д. Дешериева, г. Грозный, 25-26 ноября 2008 г.". Назрань, 2009, გვ. 38-40.

85. ეთნოსთა და ენათა უფლებები ამჟამინდელ აფხაზეთში. – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა როგორც კულტურათაშორისი მედიატორი". მასალები. ქუთაისი, 2010, გვ. 148-155 (თანაავტორი – გ. გვანცელაძე).

86. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: ასაბულეი. – "ქართველური ონომასტიკა", IV. თბ., 2010, გვ. 68-76.

87. **-რიფშ** ელემენტიანი ტოპონიმები აფხაზეთში. – "თეიმურაზ მიბჩუანი – 70", თბ., 2008-2010, გვ. 364-369.

88. **ბა** მარცვლის შემცველ ქართულ პირსახელთა და გვარსახელთა წარმომაყალობისა და **-ობა, -ება, -იბა, -ა(ა)ბა** სუფიქსთა რაობის საკითხისათვის. – "ფილოლოგიური პარალელები. სამეცნიერო შრომების კრებული", № 2, თბ., 2010, გვ. 47-70.

89. ენა და ერი. – საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალი "ჯვარი ვაზისა", № 1, თბ., 2010, გვ. 154-161.

90. წინარე აფხაზურ-აბაზური ენა: ხმოვანთა სისტემის დიაქრონია. – "ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები", ტ. II, თბ., 2010, გვ. 58-64.

91. ზოგი ქართული გვარსახელის სტრუქტურისა და წარმომავლობის საკითხისათვის. – ჟურნ. "ბედია", № 8-9, 2010, გვ. 319-332.

92. Гость и хозяйн в лингвокультурном аспекте (На примере абхазского языка). Ингушский государственный университет, Казахский университет международных отношений и мировых языков им. Абылай Хана. Материалы 1-й Международной научно-практической

конференции «Языковая личность в современном мире», часть 1, секции 1-3. г. Магас. Назрань, 2010, გვ. 115-121.

93. ორი ჯ ხმოვნის სპონტანური წარმოქმნა აფხაზური ენის ნასესხებ ლექსიკაში. – ჟურნალი "ენათმეცნიერების საკითხები", I-II, 2010, გვ. 13-19.

94. Об одной редкой модели абхазского глагола. - «Русскоязычие и би(поли)лингвизм в межкультурной коммуникации XXI века: когнитивно-концептуальные аспекты. Материалы III Международной научно-методической конференции. 14-16 апреля 2010 года. Пятигорск, 2010, გვ. 59-60.

95. რუსეთ-კავკასიის ომის კვალი დასავლეთ ჩერქეზეთისა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ტოპონიმიაში. – "ფილოლოგიური პარალელები", № 3, თბ., 2011, გვ. 46-61 (თანაავტორი – გ. გვანცელაძე).

96. ქეთევან ლომთათიძის შემოქმედებითი გზა. – "ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები", ტ. III, თბ., 2011, გვ. 43-60 (თანაავტორი – გ. გვანცელაძე).

97. ორი დიდი ქართველი აფხაზოლოგი. – "რუსიფიკატორული პოლიტიკა და ეთნოლინგვისტური ვითარება აფხაზეთში", თბ., 2011, გვ. 9-22.

98. აფხაზეთი და რუსული იმპერიული პოლიტიკა. – "რუსიფიკატორული პოლიტიკა და ეთნოლინგვისტური ვითარება აფხაზეთში", თბ., 2011, გვ. 79-89.

ელექტრონული პუბლიკაციები

1. აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა. www.forumcaucasus. com/ books/ afkhazur_ kartuli_ gramatika.pdf; აგრეთვე: abkhazology /files/wordpress.com/2010/05 ;

2. ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა (აფხაზურ ენაზე). www.forumcaucasus.com/books/kartul_ afkhazuri_gramatika.pdf;

3. აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. – www.ertoba.net/echo1/;

4. აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. – bpg.sytes.net/sinatle/;

5. აფხაზური ენა. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფ-

ხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის ბლოგი: abkhazology.wordpress.com

6. აფხაზური ლიტერატურა. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის ბლოგი: abkhazology.wordpress.com.

7. აფხაზური ფოლკლორი. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის ბლოგი: abkhazology.wordpress.com.

8. აფხაზური ენის ფუნქციონირება განათლების სფეროში. – "სპეკალი", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, № 2, 2010. www. spekali. tsu. ge.

9. Functioning of Abkhazian Language in Education. Electronic Bilingual Scholarly Peer-Reviewed Journal Spekali of the Faculty of Humanities at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, # 2, 2010. www. spekali. tsu. ge.

10. National Schools of Abkhazia and region of Tskhinvali, and their Analogs in the Past and Future. – 2008, http://www.mah.se/imer/caucasusconference

კონფერენციათა მასალები და მოხსენებათა თეზისები

1. საურთიერთო და უარყოფის კატეგორიათა აფიქსების განლაგებისათვის აფხაზურ ზმნაში (აორისტის ჯგუფის დრო-კილოთა მიხედვით). _ Материалы докладов республиканской научной конференции молодых ученых и специалистов по актуальным проблемам филологии. Кутаиси, 1978, გვ. 55-56.

2. უარყოფისა და კაუზატივის აფიქსთა განლაგებისათვის აფხაზური ზმნის ფინიტურ წარმოებებში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1978, გვ. 14-15.

3 უარყოფის პრეფიქსაცია და ზმნისწინი აფხაზურ-აბაზურ ზმნებში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1979, გვ 12-14.

4. უარყოფის პრეფიქსაცია აბაზური ენის ზოგ ნასახელარ

დინამიკურ ზმნაში. – ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა IV რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1979, გვ. 42-44.

5. უარყოფის გამოხატვის ერთი საერთო პრინციპისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1980, გვ. 8-9.

6. უარყოფით მიმღეობათა უძველესი წარმოების შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში. – ახალგაზრდა ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1980, გვ. 122-123.

7. Префиксация отрицания в глаголах абхазского и абазинского языков (Опыт объяснения случаев отклонения от правил). - Материалы второй республиканской научной конференции молодых лингвистов Армении. Ереван, 1981, გვ. 24-25.

8. Имена, обозначающие пернатых в абхазском языке. – Материалы III республиканской конференции молодых лингвистов Армении. Ереван, 1982, ст. 42.

9. ფრინველთა სახელწოდებანი აფხაზურში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1982, გვ. 6-8.

10. Имена, обозначающие пернатых в абхазском языке. - Институт языка им. Р. Ачаряна Академии наук Армении. III республиканская научная конференция молодых лингвистов. 11-14 мая 1982 г. г. Цахкадзор. Ереван,1982, გვ. 42.

11. უძველესი წარმოების უარყოფით მიმღეობათა ერთი სახეობის შესახებ აფხაზურსა და აბაზურ ენებში. – ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენცია. მასალები. თბ., 1983, გვ. 24-28.

12. Об отражении отрицательных форм глаголов в диалектных словарях абхазского и абазинского языков.– Десятая региональная научная сессия по историко-сравительному изучению системы и истории иберийско-кавказских языков. Тезисы докладов. Грозный, 1983, გვ. 8-9.

13. პირისა და კლასის აღუნიშვნელობის შესახებ აფხაზურში. – ახალგაზრდა მეცნიერ ფილოლოგთა IV რესპუბლიკური კონფერენცია. სოხუმი, 21-25 დეკემბერი, 1983, მოხსენებათა თეზისები. თბ., 1983, გვ. 103-104.

14. ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული ლექსიკა აფხაზურში (კატეხიზმოს მიხედვით). – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1983, გვ. 15-16.

15. Об одном примере типологической и материальной общности в грузинском и абхазском языках. – III всесоюзная научная конференция молодых ученых-филологов. Тезисы докладов. Тб., 1983, გვ. 195-196.

16. გვარსახელთა უსუფიქსო ფორმები აფხაზურში. – თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის "საენათმეცნიერო საუბრების" საჯარო სხდომის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1984, გვ. 11.

17. ზოგი აფხაზური სახელის სალექსიკონო ფორმის დადგენისათვის. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1984, გვ. 5.

18. Об установлении словарных форм некоторых абхазских имён. – IV республиканская научная конференция молодых лингвистов Армении. Тезисы докладов. Ереван, 1984, გვ. 46.

19. მიზნის გარემოების გადმოცემის შესახებ ქართულსა და აფხაზურ- აბაზურ ენებში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის X III სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1985, გვ. 13-14.

20. О статусе анлаутного гласного а в абхазском языке. – XI региональная научная сессия по историко-сравнительному изучению системы и истории иберийско-кавказских языков. Тезисы докладов. Нальчик, 1986, გვ. 14-15.

21. ქრონოლოგიური პლასტების საკითხისათვის სოციალურ ურთიერთობათა ამსახველ აფხაზურ-აბაზურ ენობრივ მასალაში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის X VI სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1988, გვ. 10-11.

22. Масдар в роли инфинитива в абазинском, абхазском и грузинском языках. – XII региональная научная сессия по историко-сравнительному изучению системы и истории иберийско-кавказских языков. Тезисы докладов. Черкесск – Карачаевск, 1988, გვ. 12.

23 აფხაზეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობის საკითხისათვის. – მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1989, გვ. 13-14.

24. რელიგიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია აფხაზურ

ენაში. – მოხსენებათა თეზისები რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციისა "რელიგია ეროვნულ ურთიერთობებში". თბ., 1990, გვ. 36.

25. Распределение морфологических и словообразовательных суффиксальных элементов в отрицательных формах глагола в абхазском и абазинском языках. – XIII региональная научная сессия по историко-сравнительному изучению системы и истории иберийско-кавказских языков. Тезисы докладов. Майкоп, 1990, გვ. 35.

26. ქართველური ლექსიკა აფხაზურში. I. აჭყანდარ "ეპისკოპოსი". – ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50-ე სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1992, გვ. 11-12.

27. ბერძნული წარმოშობის ქრისტიანული ლექსიკა აფხაზურში. – "არნოლდ ჩიქობავას საკითხავები –VI". მოხსენებათა თეზისები. თბ., 1995, გვ. 15.

28. ტერმინ "აფხაზეთის" სემანტიკა ჯუანშერის მატიანისა და "ქართლის ცხოვრების" ძველსომხური თარგმანის მიხედვით. – "არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – VII", მოხსენებათა თეზისები. თბ., 1996, გვ. 13.

29. მეგრული სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზური ენის დიალექტთა ფონოლოგიური სისტემის მონაცემთა მიხედვით. – მოხსენებათა თეზისები სამეცნიერო კონფერენციისა "ფონეტიკა და ნორმა – 96". თბ., 1996, გვ. 10.

30. ცხუმი – ქალაქი აფხაზეთისა და აფშელეთისა? – პროფ. გ. როგავას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1996, გვ. 7-8.

31. ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში. – მასალები ქართველოლოგიური სიმპოზიუმისა "ქუთაისური საუბრები–III", ქუთაისი, 1996, გვ. 31.

32. აფხაზთა თავდაპირველი სამშობლოს ლოკალიზაციისათვის ისტორიულ წყაროთა, საენათმეცნიერო, ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მონაცემთა მიხედვით. – მასალები სიმპოზიუმისა "ქუთაისური საუბრები –IV", ქუთაისი, 1997, გვ. 42 - 44.

33. Тенденция дифтонгизации в заимствованных словах в абхазском языке. –IX международный коллоквиум Европейского общества кавказоведов. Тезисы докладов. Махачкала, 1998, გვ. 35.

34. შერეაშიძეები და ჩაჩბები. – "არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – IX", მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 19-20.

35. დიალექტური ლექსიკის დათარიღების საკითხისათვის – XVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 18.

36. ილორისა და წებელდის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XI-XIII საუკუნეთა ორი ლაპიდარული წარწერის მიხედვით. – მასალები სიმპოზიუმისა "ქუთაისური საუბრები–V". ქუთაისი, 1998, გვ. 35.

37. ანბანთა ლათინიზაციის ისტორიისათვის. – არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბ., 1998, გვ. 30-31.

38. -ობა (//-ოფა), -ება დაბოლოებიანი ანთროპონიმები და მათგან მომდინარე გვარსახელები. – ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების V სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ., 1998, გვ. 11-12.

39. აფსაზურ საცხოვრებელთა არქიტექტურული ტიპები და მათი სახელწოდებანი. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის 57-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1998, გვ. 20-21.

40. ენათა ფუნქციონირება პოლიეთნიკურ რეგიონში მართვადი ენობრივი პოლიტიკის პირობებში. – მასალები სიმპოზიუმისა "ქუთაისური საუბრები –VI", ქუთაისი, 1999, გვ. 65-69.

41. მისალმების ფორმულები როგორც დამატებითი წყარო ისტორიული ეთნოგრაფიისათვის. – "არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – X", მასალები. თბ., 1999, გვ. 15-16.

42. ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემისა და თანდართული სიმფონია-ლექსიკონისათვის. – ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თელავი, 1999 წლის 21 მაისი. თბ., 1999, გვ. 27 (თანაავტორები – ა. არაბული და ა. ლომთაძე).

43. Formulas of Greeting and Address in Abkhazian. - 34th World Congress of the International Institute of Sociology. Multiple Modernities in an Era of Globalization. Program and book of abstracts. Tel-Aviv, Israel, july 11-15, 1999, გვ. 85

44. საქართველოში აბაზური ენის კვლევის ისტორიისათვის. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის 58-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1999, გვ. 19-23.

45. ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა როგორც რუსული იმპერიული პოლიტიკის განხორციელების საშუა-

ლება საქართველოში. – "ქუთაისური საუბრები –VII", სიმპოზიუმის მასალები. ქუთაისი, 2000, გვ. 52-58 (თანაავტორები: მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია).

46. სამურზაყანოს ენობრივ-ეთნიკური ვითარება XVIII-XXსაუკუნეებში. – XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. ზუგდიდი, 2000 წლის 20-21 ოქტომბერი. თბ., 2000. გვ. 45-47.

47. ქართულ დიალექტთა ურთიერთმიმართება და დიალექტოლოგიური ტექსტის აღქმა-გაგების ხარისხი. – XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. ზუგდიდი, 2000 წლის 20-21 ოქტომბერი. თბ., 2000, გვ. 45-47 (თანაავტორი გ. გვანცელაძე)

48. აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. – თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მასალები. თბ., 2000, გვ. 40-44.

49. ახლად გამოვლენილი დოკუმენტი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას არქივიდან აფხაზური სალიტერატურო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის შესახებ. – საქართველოს მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მოხსენებების მოკლე შინაარსები. თბ., 2000, გვ. 22-24.

50. კვირის დღეთა აღნიშვნის აფხაზურ-აბაზური სისტემის ისტორიისათვის. – "არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – XI", მასალები. თბ., 2000, გვ. 29-30.

51. აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და აფხაზურ-ადიღური ენათმეცნიერება. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები. 2000 წლის 12-15 დეკემბერი. სესია ეძღვნება აკად. ს. ჯანაშიას დაბადების 100 წლისთავს. თბ., 2000, გვ. 28-30 (თანაავტორი ვ. შენგელია).

52. შხარა-ს ეტიმოლოგიისათვის. – ილ. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია "ფონეტიკა და ნორმა". თბ., 2000, გვ. 114-117 (თანაავტორები ა. არაბული და მ. ქურდიანი).

53. მოსაზრებანი ტერმინ "აფხაზის" ნ. მარისეული ეტიმოლოგიზების ცდის შესახებ. – "არნ. ჩიქობავას საკითხავები – XII", მასალები. თბ., 2001, გვ. 33-34.

54. აფხაზური ეროვნულ-ენობრივი მსოფლხატთა სისტემის ურთიერთობა ქართულ და რუსულ შესაბამის სისტემებთან. – "ქუთაისური საუბრები – VIII", სიმპოზიუმის მასალები. ქუთაისი, 2001, გვ. 49-52.

55. ბაგრატ ჯანაშიას სამეცნიერო მემკვიდრეობის შესახებ (დაბადების 100 წლისთავის გამო). – ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2001, გვ. 26-27.

56. აფხაზური ენის მონაცემთა მნიშვნელობა ორი მეგრულ-ჭანური სიტყვის ისტორიისათვის. – XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2001, გვ. 38-39.

57. Об исходной системе абазино-абхазских терминов кровного родства. – Региональное кавказоведение и тюркология: Традиции и современность. Материалы второй межвузовской научной конференции. Карачаевск, 2001, გვ. 95.

58. ენათა კლასიფიკაციის ძირითად კრიტერიუმთა შეფასებისათვის. – "ქუთაისური საუბრები – IX", სიმპოზიუმის მასალები. ქუთაისი, 2002, გვ. 38-41.

59. Теоритеческие основы «лингвистической войны» на Кавказе (1917-1950). – Le colloque: "Les fondements philosophiques, epistemologiques et ideologique du discourse sur la langue en Union Sovietique, 1917-1950", organize par Patrick Seriot, Cret-Berard, 5-7 juillet 2002 (შვეიცარია), გვ. 14-15.

60. Fondement theorique de la "guerre linguistique" au Caucase. _ Le colloque: "Les fondements philosophiques, epistemologiques et ideologique du discourse sur la langue en Union Sovietique, 1917-1950", organize par Patrick Seriot, Cret-Berard, 5-7 juillet 2002 (შვეიცარია), გვ. 15-16.

61. О причинах и целях «грузинизации» в Абхазии в 1938-1954 годах. – XI коллоквиум Европейского Общества Кавказоведов, 20-22 июня 2002 г. Москва, 2002, გვ. 30.

62. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: ავადჰარა, ოთჰარა. – XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2002, გვ. 33-34.

63. ქართველური ლექსიკა ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სოფელთა მიკროტოპონიმიაში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2002, გვ. 16-18.

64. აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულება ქართველური ენობრივი სამყაროს შემადგენლობის შესახებ. –

"არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – XIV", მასალები. თბ., 2003, გვ. 32-35.

65. არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? – "ქუთაისური საუბრები – X". ქუთაისი, 2003, გვ. 41.

66. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შემადგენლობის საკითხისათვის. – "ქუთაისური საუბრები – X". ქუთაისი, 2003, გვ. 42-43.

67. ქართველური დიალექტური ლექსიკის საბასეული დეფინიციისა და **ჟღურტული** სიტყვის განმარტების შესახებ. – XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2003, გვ. 24-25.

68. ქართველური სუბსტრატის როლის შესახებ აფხაზურ ენაში "ორი თანხმოვნის კანონის" დარღვევის წარმოქმნაში. – ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე სესიის მასალები. თბ., 2003, გვ. 14-15 (თანაავტორები – თ. კიპაროიძე, ჯ. ციმინტია).

69. შენიშვნები "გლოტოქრონოლოგიის მეთოდის" საფუძველზე ქართველურ "ენათა" დივერგენციის დროის დადგენის ცდების შესახებ. – XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2004, გვ. 28-29.

70. О хронологических пластах в абазино-абхазском языковом материале, отражающем социальные отношения. – Лингвистическое кавказоведение и тюркология: Традиции и современность. Материалы III всероссийской научной конференции. Карачаевск, 2004, გვ. 92-93.

71. აფხაზთა იდენტობა და "ქართული დემოკრატია". – თეზისები დისციპლინათშორისი რესპუბლიკური კონფერენციისა "ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა". თბილისი-მანგლისი, 2004 წლის 4-10 ოქტომბერი. გვ. 19.

72. ქრისტიანული ლექსიკა აფხაზურ ენაში. – "არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – XVI", მასალები. თბ., 2005, გვ. 38-39.

73. The language situation in Abkhazia (Facts without comments). – Languages, History and Cultural Identities in the Caucasus. June 17-19 2005. Editor Karina Vamling. Published by Malmo University, School of International Migratio and Ethnic Relations (IMER). Malmo, 2005, გვ. 24.

74. ქრისტიანული ლექსიკა აფხაზურ ენაში. – II საერთაშორისო სიმპოზიუმი "ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი", მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 2005, გვ. 130-131.

75. აფხაზურ გვარსახელთა მოდელებისა და მათი ჩამოყალიბების დროის საკითხისათვის მუჰაჯირთა 1867 წლის სიის მიხედვით. – "არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – XVII", მასალები. თბ., 2006, გვ. 17-19.

76. "მე საქართველოს ერთი წუეთი ვარ" (ასიმილაციის საფრთხის წინაშე მდგომი მოსახლეობის ეთნოლინგვისტური იდენტობის ვერბალური გამოხატვის ფორმები). – XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2006, გვ. 17-18.

77. აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე – კლასიკოსი ენათმეცნიერი. – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 65-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2006, გვ. 28-29.

78. აფხაზეთის ისტორიისა და ენობრივი ფაქტების გაყალბების მორიგი მცდელობის შესახებ – "არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – XVIII", მასალები. თბ., 2007, გვ. 35-36.

79. Лингвокультурологические аспекты абхазской традиции гостеприимства – კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები. თბ., 2007, გვ. 331.

80. აფხაზური ზმნის კიდევ ერთი მორფოლოგიურ-მოდალური კატეგორიის შესახებ (წინასწარი ცნობა). – "არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – XIX", მასალები. თბ., 2008, გვ. 30-31.

81. Академик К.В. Ломтатидзе – адыговед. – Материалы VI международной научной конференции. Актуалные проблемы общей и адыгской филологии. Майкоп, 2008. გვ. 99.

82. არნოლდ ჩიქობავა და ჟორჟ დიუმეზილი. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და კულტურის ინსტიტუტი, აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი. არნოლდ ჩიქობავასა და ჟორჟ დიუმეზილის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 2008 წლის 23 დეკემბერი. პასალები. თბ., 2008, გვ. 7-8.

83. წინარე აფხაზურ-ადიღური ენის დივერგენციის დროისა და ადგილის საკითხისათვის. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე სამეცნიერო სესია, მასალები. 2008 წლის 23-26 დეკემბერი. თბ., 2008, გვ. 31-32.

84. წარმართობის, ქრისტიანობისა და ისლამის ამსახველი ლექსიკა აფხაზურ ენაში. – რესპუბლიკური კონფერენცია "წარმართობიდან ქრისტიანობამდე". 2008 წლის 17-18 ნოემბერი. თეზი-

სები. თბ., 2008, გვ. 30.

85 ბრუნების კატეგორიის არმქონე ენათა სინტაქსურ კონსტრუქციათა კვალიფიკაციის საკითხისათვის. – საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია "ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში". მასალები. 2009 წლის 21-23 მაისი. თბ., 2009, გვ. 109-110.

86. К вопросу квалификации синтаксических конструкций предложения языков без категории склонения. – Международная языковедческая конференция «Эргатив и эргативная конструкция в языках мира», Материалы. 21-23 мая 2009 г. Тб., 2009. сс. 110-111.

87. რა ენაზე ლაპარაკობდნენ თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე ახ.წ. VII საუკუნემდე? – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ქუთაისური საუბრები – XII", 2009 წლის 13-14 ნოემბერი. სამუშაო პროგრამა და მასალები. ქუთაისი, 2009, გვ. 23-25.

88. К проблеме становления абхазско-абазинской вокальной системы. Синергетическая лингвистика vs. лингвистическая синергетика. Материалы международной научно-практической конференции (г. Пермь, 8-10 апреля 2010 г.). Федеральное агентство по образованию, ГОУ ВПО «Пермский государственный университет», Пермь, 2010, сс. 214-215.

წყაროთა პუბლიკაციები

1. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმიდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის დადგენილება მეგრულ კილოზე ლოცვათა თარგმანის მიზანშეწონილობის შესახებ (1895). – კრებ. "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 204-135 (რუსული ენიდან თარგმნეს თ. გვანცელაძემ და მ. ტაბიძემ).

2. თედო სახოკია. სოხუმში არსებული ვითარების შესახებ (გაზ. "სანქტ-პეტერბურგსკია ვედომოსტი", 1900 წლის 1 ივლისი, № 177). – კრებ. "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 236-239 (რუსული ენიდან თარგმნა თ. გვანცელაძემ).

3. კავკასიის მხარის [ქუთაისის გუბერნიის] სამხედრო გუბერნატორ გერშელმანის წერილი მთავარმმართებლის კანცელარიის უფროსს (1900 წლის 3 აგვისტო). – კრებ. "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 239-243 (რუსული ენიდან თარ-

გმნა თ. გვანცელაძემ).

4. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ გერშელმანის მოხსენება "სოხუმის ოლქში ქართული მოძრაობის შესახებ" (1900 წლის 2 სექტემბერი). – კრებ. "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 244-247 (რუსული ენიდან თარგმნა თ. გვანცელაძემ).

5. საიდუმლო წერილი კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართებლის საბჭოს (1904 წლის 12/15 მარტი). – კრებ. "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 248-272 (რუსული ენიდან თარგმნა თ. გვანცელაძემ).

6. დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი. საეკლესიო სკოლა ამიერკავკასიაში. – კრებ. "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 273-286 (რუსული ენიდან თარგმნა თ. გვანცელაძემ).

7. კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართებლის საბჭოს დადგენილება (დამტკიცებულია თავად გოლიცინის მიერ 1904 წლის 1 მაისს). – კრებ. "ქართველური მემკვიდრეობა", ტ. XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 287-288 (რუსული ენიდან თარგმნა თ. გვანცელაძემ).

8. მეცნიერის არქივიდან. ქეთევან ლომთათიძე. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა (80-იანი წლები). – კრებ. "ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები", ტ. III, თბილისი, 2011, გვ. 9-17 (გამოსაცემად მოამზადეს გვანცა და თეიმურაზ გვანცელაძეებმა).

9. მეცნიერის არქივიდან. ქ. ლომთათიძის წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. გუჩა კვარაცხელიას. – კრებ. "ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები", ტ. III, თბილისი, 2011, გვ. 18-20 (გამოსაცემად მოამზადეს გვანცა და თეიმურაზ გვანცელაძეებმა).

თარგმანები

1. გიორგი გუბლია. მიმინოს აჩრდილი. მოთხრობა. აფხაზურიდან თარგმნა თეიმურაზ გვანცელაძემ. ალმანახი "საუნჯე", 1987, № 1, გვ. 188-217.

2. სერგეი ზუხბა. აფხაზური ზეპირსიტყვიერება. სახელმძღვანელო. აფხაზურიდან თარგმნეს ავთანდილ არაბულმა და თეიმუ-

რაზ გვანცელაძემ. თსუ გამომც., თბ., 1988.

3. თეუცვაჟ ყატი. ჩერქეზის საქართველო. რუსულიდან თარგმნეს თეიმურაზ გვანცელაძემ და მანანა ტაბიძემ. თბილისი, "უნივერსალი", 2007, 90 გვ.

4. აბაზური ფოლკლორი. – კრებ. "კავკასიის ხალხთა ფოლკლორი", თბილისი, 2008. პწკარედული თარგმანი აბაზურიდან ქართულად თეიმურაზ გვანცელაძისა, გვ. 79-118.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

თავი I. აფხაზი ხალხისა და აფხაზური ენის გენეზისის საკითხები 5

§1. აფხაზური ენის ადგილი მონათესავე ენათა შორის და აფხაზურ-ადიღური ეთნოსთა დივერგენციის პრობლემა 5

§2. აფხაზური ენის დიალექტთა დიფერენციაციის დროის საკითხისათვის 19

თავი II. ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა და მორფონოლოგიის ისტორიის საკითხები 28

§1. წინარე აფხაზურ-აბაზური ენის ხმოვანთა სისტემის დიაქრონია. ზოგადი საკითხები 28

§2. ხმოვანთა ქცევა ზმნურ წარმოებებში და აფხაზურ-აბაზური ვოკალიზმის ისტორია 34

§3. ორი ა ხმოვნის ისტორია აფხაზური ენის ძირეული და ნასესხები ლექსიკის მიხედვით 42

§4. არსებით სახელთა თავკიდურა (ანლაუტის) ა ხმოვნის სტატუსისათვის 53

თავი III. გრამატიკის საკითხები 72

§1. კლასოვან-პიროვანი უღვლილების პრინციპის დარღვევები აფხაზურ ზმნაში 72

§2. აფხაზური ზმნის ერთი იშვიათი მოდელის საკითხისათვის 86

§3. სიტყვაფორმის "შეღწევადობის" საკითხისათვის აფხაზურ-აბაზური ზმნის უარყოფით ფორმათა მონაცემების მიხედვით 93

§4. ზმნისართთა ერთი იშვიათი მოდელი აფხაზურში 123

§5. აფხაზური ენის სინტაქსური კონსტრუქციების სახელდების საკითხისათვის (საკითხის დასმის წესით) ... 132

თავი IV. ლექსიკის სტრუქტურა (მორფოლოგიური მოდელები), სემანტიკა და ეტიმოლოგია 136

§1 აფხაზური გვარსახელების სტრუქტურულ მოდელთა ისტორიისათვის 136
§2. ბა მარცელის შემცველ ქართულ პირსახელთა და გვარსახელთა წარმომავლობის საკითხისათვის 151
§3. ქართულ გვაროთა გაერცელების ისტორიული არეალი აფხაზური სოფლების მიკროტოპონიმთა მიხედვით 172
§4. ქართველური სუბსტრატული მაკრო- და მიკროტოპონიმები აფხაზეთში 180
4.1. წებელი // წაბალი 181
4.2. ასაბულეი 186
4.3. აუადჰარა, ოთჰარა 192
4.4. ტყვარჩელი 200
4.5. ბიჭვინთა 210
4.6. ქართველური სუბსტრატული მიკროტოპონიმები აფხაზურ სოფლებში 220
§7. ქართულ-აფხაზური პიბრიდული ტოპონიმები აფხაზეთში 222
7.1. -რხეა დაბოლოებიანი სახელები 222
7.2. -რგჟ'შ დაბოლოებიანი სახელები 227
§8. "ორენოვანი" ტოპონიმები აფხაზეთში და მათი წარმომაელობის პრობლემა 238
§9. ნათესაობის სისტემები აფხაზურ-აბაზური ენობრივი მონაცემების მიხედვით 254
§10. კეირეულის დღეთა აღნიშვნის აფხაზურ-აბაზური სისტემის ისტორიისათვის 289
§11. ფრინველთა აფხაზურ სახელწოდებათა მოტივაციის საფუძვლები და მორფოლოგიური მოდელები 300
§12. აფხაზური რელიგიური ტერმინოლოგია ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა კონტექსტში 330
§13. სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიციის ლინგვოკულტურული ასპექტები 349
§14. ყარაჩაულ-ბალყარული ლექსიკა აფხაზურში 363
§15. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შუა საუკუნეთა ლაპიდარული წარწერების მიხედვით 368

თავი V. აფხაზთა იდენტობა და ენის ფუნქციონირების საკითხები.....381
§1. იმპერიული ანტიაფხაზური ენობრივი პოლიტიკა და მისი შედეგები.....381
§2. აფხაზური ენა და ქართული გრაფიკა.....404

დანართი. 1937 წლის 4-5 დეკემბრის თათბირის ოქმები და მათი ქართული თარგმანი.....455
§3. ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ.....487
§4. აფხაზთა იდენტობისა და აფსუარას იდეალების მიმართება თანამედროვე პირობებში.....510
თეიმურაზ გვანცელაძის პუბლიკაციათა ნუსხა 536

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge